საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი
სამეცნიერო ჟურნალი

ეკონომიკა და ფინანსები

ჟურნალი წარმოადგენს აკადემიურ გამომცემლობას, რომელიც
ყოველკვარტლურად აქვეყნებს სამეცნიერო სტატიებს ისეთ
სფეროებში როგორიცაა ეკონომიკა, ფინანსები, სოციალური
მეცნიერებები და ბიზნეს-ტექნოლოგიები

მთავარი რედაქტორი - ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს
ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი დავით ჩახვაშვილი

https://www.linkedin.com/in/davit1chakhvashvili

https://www.facebook.com/davit1chakhvashvili

ბაქოს სამეცნიერო კონფერენციის ოფიციალური პარტნიორები:

Construction company **LTD MEKAN** - M. Aleksidze str. # 1 (Tbilisi, Georgia);
Mosiashvili's wine cellar - Georgian traditional winemaking (Kareli, Georgia).
Company "**Royal honey**" Production and sale of natural honey (Akhmeta, Georgia);
GM City Hotel – Ahmed Rajabli Street, 1/49 (Baku, Azerbaijan);
Travel company **My Tourss** - Group tours around the world (Tbilisi Georgia);
GRADUSI LLC - Building Materials & Plumbing. Javakheti St. 18 (Tbilisi, Georgia);
Selumashvili's wine cellar - Georgian traditional winemaking (Gurjaani, Georgia).

UDC(უაკ)050:[33+336] ე-491

ISSN – 2587 - 5000

საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი
სამეცნიერო ჟურნალი „**ეკონომიკა და ფინანსები**“
გამოდის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ბიზნეს-
ტექნოლოგიების ფაკულტეტისა და ეკონომიკის კვლევის და
განვითარების ინსტიტუტის გადაწყვეტილებით

International refered and reviewed scientific journal „**Ecinimics and Finance**“ published by the decision of Georgian Technical University's Faculty of Business Technologie and Institute of Economic Research and Development

ჟურნალი გამოდის 2018 წლიდან, წელიწადში ოთხჯერ

The magazine has been published since 2018, four times a year

გამომცემლობა: „დანი“

სამეცნიერო ჟურნალი „**ეკონომიკა და ფინანსები**“-ს
სარედაქციო კოლეგია

სარედაქციო კოლეგიის თავჯდომარე - გიორგი ცაავა
მთავარი რედაქტორი – დავით ჩახვაშვილი

ლ. ბახტაძე, რ. ბურდიაშვილი, ნ. გრიგოლაია, ს. გოგჩე (თურქეთი), მ. ვანიშვილი, ნ. ვდოვენკო (უკრაინა), კ. ჯ. კარლოვითზი (უნგრეთი), მ. კედზიერსკი (პოლონეთი), ტ. ლიპაი (ბელორუსი), ი. მაზური (უკრაინა), ვ. მოსიაშვილი, მ. ნარსია, ჯ. რედელშეიმერი (აშშ), ნ. სამჭკუაშვილი, მ. ტროჯაკი (პოლონეთი), ა. ქუთათელაძე (ელ. ვერსიის ტექნიკური რედაქტორი), რ. ქუთათელაძე, ნ. ჭიკაიძე.

Editorial Staff

Head of the editorial board – Giorgi Tsaava
Editor-in-Chief – Davit Cakhvashvili

L. Bakhtadze, R. Burdiashvili, N. Grigolaia, C. Gokce (Turkey), M. Vanishvili, N. Vdovenko (Ukraine), T.J. Karlovitz (Hungary), M. Kedzierski (Poland), T. Lipai (Belarus), I. Mazur (Ukraine), V. Mosiashvili, M. Narsia, J. Redelsheimer (USA), N. Samchkuashvili, M. Trojak (Poland), A. Kutateladze, R. Kutateladze, N. Chikaidze.

ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი

სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა და ფინანსები“

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მეცნიერება პრაქტიკისა და განვითარებისთვის“

21-23 თებერვალი, 2020
ბაქო, აზერბაიჯანი

Institute of Economic Research and Development

Scientific Journal „Economics and Finance“

International Scientific Conference „Science for Practice and Development“

February 21-23, 2020
Baku, Azerbaijan

Official Partners of the Scientific Conference:

Construction company **LTD MEKAN** - M. Aleksidze str. # 1 (Tbilisi, Georgia);
Mosiashvili's wine cellar - Georgian traditional winemaking (Kareli, Georgia).
Company "**Royal honey**" Production and sale of natural honey (Akhmeta, Georgia);
GM City Hotel – Ahmed Rajabli Street, 1/49 (Baku, Azerbaijan);
Travel company **My Tourss** - Group tours around the world (Tbilisi Georgia);
GRADUSI LLC - Building Materials & Plumbing. Javakheti St. 18 (Tbilisi, Georgia);
Selumashvili's wine cellar - Georgian traditional winemaking (Gurjaani, Georgia).

ბაქოს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრები

1. **დავით ჩახვაშვილი** (კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავჯდომარე, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ბიზნესის მართვის ფაკულტეტის პროფესორი);
2. **ვალერი მოსიაშვილი** (ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანი);
3. **ჯემ აიდემირ** (საინვესტიციო და დეველოპელური კომპანია „მექანის“ გენერალური დირექტორი. ბაქო, აზერბაიჯანი);
4. **რუსუდან ქუთათელაძე** (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი);
5. **ანდრეი სტეფანოვი** (ბალკანეთის საერთაშორისო უნივერსიტეტეის პროფესორი. სკოპე, მაკედონია);
6. **რატი ბურდიაშვილი** (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი. საბანკო და საფინანსო ტექნოლოგიების დეოპარტამენტის თავჯდომარის მოადგილე);
7. **ხათუნა გაბიცინაშვილი** (საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უცროსი);
8. **ნანა შონია** (ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი);
9. **ტატიანა ლიპაი** - (განათლების განვითარების ინსტიტუტი. მინსკი, ბელორუსია);
10. **ნინო სამჭკუაშვილი -** (საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი);
11. **ნინო გრიგოლაია** (თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი);
12. **თორნიკე მღებრიშვილი** (საქართველოს უნივერსიტეტის მაგისტრი, სკოლა „ლანდაუს“ უცხო ენების დეპარტამენტის უფროსი მასწავლებელი. ბაქო, აზერბაიჯანი);

ბაქოს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის სამეცნიერო საბჭოს წევრები

1. **გიორგი ცაავა** (კონფერენციის სამეცნიერო საბჭოს თავჯდომარე; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი);
2. **კრისტინა კოროვსკა** - (კონფერენციის სამეცნიერო საბჭოს თავჯდომარე, პროფესორი, ვარმინისა და მაზურსკის უნივერსიტეტი ოლშტინი, პოლონეთი);
3. **ვალერი მოსიაშვილი** (ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანი);
4. **ტატიანა ლიპაი** - (განათლების განვითარების ინსტიტუტი. მინსკი, ბელორუსია);
5. **მედეა ჭელიძე** - (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტის, ასოცირებული პროფესორი);
6. **რატი ბურდიაშვილი** (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი);
7. **ივანე ეპიტაშვილი** (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დოქტორი);
8. **ნაზი ჭიკაიძე** (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი);
9. **დალი სეხნიაშვილი** (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, სამეცნიერო ჟურნალის „ბიზნეს-ინჟინერინგის“ პასუხისმგებელი რედაქტორი);
10. **ნინელი თევდორაშვილი** (საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი);
11. **ნიკოლოზ დარჩიაშვილი** - (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი).
12. **ნინო დიდიშვილი** (საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი);

ს ა რ ჩ ე ვ ი

ვაჟა ზეიკიძე, მაია ლომიშვილი - სახელმწიფო დახმარების ძირითადი მიმართულებები მცირე ბიზნესისათვის 14

ივანე ეპიტაშვილი, გიორგი გოგოლაძე - ხარისხის მართვის ფუნქციები და მართვსის მეთოდები თანამედროვე ბიზნესში 20

ნატო კაკაშვილი, ხათუნა ბარბაქაძე - სადაზღვევო კომპანიების ფინანსური ნაკადების შესახებ 30

ლიკა ტაბატაძე - საბანკო სისტემაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პრევენციისა და აღკვეთის მიმართულებები 40

სალომე მღებრიშვილი - ბაქოს ტურისტული ღირშესანიშნაობები 48

მაია ალადაშვილი, ნანული ხიზანიშვილი - მცირე ბიზნესის პრობლემები და მათი საქმიანობის შეჩერების მიზეზები კახეთის რეგიონში 55

ანუკი ტოგონიძე - ვალუტის გაცვლითი კურსი და მონეტარული პოლიტიკა 63

ვაჟა ჯაშიაშვილი, დავით სეფაშვილი - საკრედიტო პორტფელის მართვის სპეციფიკა და ხარისხის ანალიზი 72

თეონა კანკია - ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების გავლენა ქართული კომპანიების საექსპორტო სტრატეგიებზე 81

ლიკა ხურციძე - ლიდერი როგოც როლური მოდელი თანამედროვე ბიზნესში 85

მთვარისა თანანაშვილი, მაია კილაძე - ეკონომიკის მნიშვნელობა და მისი როლი საზოგადოების ცხოვრებაში 88

გიორგი ქევხიშვილი, ნიკა ზარანდია - კორპორაციული სტრუქტურების ორგანიზაციული ფორმები 98

ნათია კახნიაშვილი - ვალუტის გაუფასურების შედეგები და მოლოდინები საქართველოში 107

თორნიკე მღებრიშვილი - საზღვარგარეთ სწავლების პრინციპები 114

სოფიკო ცერცვაძე, დავით ჩახვაშვილი - ინტერნეტ მარკეტინგის როლი ბიზნესში და მისი განვითარება საქართველოში 118

ბექა ზაუტაშვილი, დავით ჩახვაშვილი - ახალი პროდუქტის განვითარების პროცესი და ონლაინ პლატფორმების როლი მის წარმატებით დანერგვაში 129

მაკა სოსანიძე, ლეილა მამულაშვილი - ხელოვნური ინტელექტის როლი განათლებასა და ბიზნესში 155

ნინო ლეთანძე - მუსიკალური ტურიზმის გავლენა რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე 146

ნინო მაზიაშვილი, ნინო ძნელაძე - იაპონური მენეჯმენტის ტრანსფერის შესაძლებლობები საქართველოში 154

ანი ხაჩიძე - სესხის ტიპები და რეფინანსირების განაკვეთის ცვლილების გავლენა ცვლად პროცენტიან სესხებზე 183

ლალი სრესელი - დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის მიზნები და ამოცანები 173

ლალი ოსაძე - სატრანსპორტო ლოგისტიკის ძირითადი გამოწვევები საქართველოში 183

თამარ გოგოლაძე - ანტონ ფურცელაძის წერილის „კაპიტალიზმი და კაპიტალური წარმოება“ ისტორიისათვის 194

თინათინ მშვიდობაძე - ელექტრონული მმართველობის გამოყენება სახელმწიფო მმართველობის სისტემაში 203

გიორგი ნატროშვილი, მანანა ცინცაძე, ნათია ნატროშვილი - სოფლის მეურნეობის დაკრედიტების პრობლემების სრულყოფა საქართველოში 213

ანი ხაჩიძე - მექრთამეობა და ფულის გათეთრების პრობლემა საბანკო სისტემებში 223

ია ჯიმშიტაშვილი - მუშაკთა შრომითი კმაყოფილება - ორგანიზაციის წარმატების შემადგენელი 235

ნაზი ჭიკაიძე, სალომე ოღაძე - საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის განვითარების ტენდენციები 241

სიმონ წულაია - უცხო ენების შესწავლის მეთოდიკები 251

ნინო თევდორაშვილი, ნელი სესაძე, ლია პიტიურიშვილი, ნაილი გაგნიძე - საგადამხდელო ბალანსის უარყოფითი სალდო და ვალუტის კურსის ცვალებადობა..... 255

მარიამ მგელაძე - პირველადი ჯანდაცვის მენეჯმენტის სრულყოფის ზოგიერთი ასპექტი 267

ნინო დიდიშვილი - ქოუჩინგი, როგორც პერსონალის განვითარების მეთოდი 277

ლელა ბაქრაძე, ელა სხირტლაძე - სექსუალური შევიწროება დასაქმების ადგილზე, როგორც ძალადობისა და დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმა 283

ელენე მენაბდე-ჯობაძე, მარიამ ძებისაშვილი - სახელმწიფოს როლი მდგრადი განვითარების ეკონომიკურ მექანიზმებში 292

ლაშა გაბისონია - მსოფლიო ბანკის და მისი ჯგუფის საქმიანობის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე 300

დალი სეხნიაშვილი - შიდა საინვესტიციო რესურსების ეფექტურად მართვის გზები საქართველოში 309

ვალერი მოსიაშვილი, ნინო სიბაშვილი - რეფინანსირების განაკვეთის გავლენა შიდა ინვესტიციებზე 320

ლარისა დოლიკაშვილი - სასტუმროს მომსახურების და სტუმრის პირადი სტანდარტების შესაბამისობა საქართველოს სასტუმროებში 333

მარიამ შუბითიძე - უმაღლესი განათლების პრობლემები საქართველოში და მათი დაძლევის გზები 349

თამუნა მჭედლიშვილი - პერსონალის შერჩევის პრობლემატიკა საბანკო სფეროში 358

გოგა გოგატიშვილი, იზა ინაური, მირზა რიჟვაძე - გაყიდვების სტრატეგიები და ტექნიკები 368

ვერიკო ხაინდრავა - საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობის ანალიზი 372

ნანა ხარაიშვილი, მონიკა არობოვა, ჯემალ თოლორაია - ქართველი მეცენატი მეწარმეები 382

ტარიელ ჯოხაძე, ლუკა ლორთქიფანიძე, თორნიკე სელუმაშვილი - ქართული პროდუქციის მოცულობის ზრდის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე 391

ილია ჭიკაიძე - არაეფექტური მენეჯმენტის მიზეზები და შედეგები თანამედროვე ბიზნეს ორგანიზაციებში 398

თამარ მაღრაძე - საქართველოს საპენსიო სისტემის ანალიზი..... 400

Contents

Vazha Zeikidze, Maia Lomishvili - Main Directions of State Support for Small Business 14

Ivane Epitashvili, Giorgi Gogoladze - Quality management functions and management methods in modern business 20

Nato Kakashvili, Khatuna Barbakadze - On the financial flows of insurance companies 30

Lika Tabatadze - Prevention and Prevention of Illegal Income Legalization in the Banking System 40

Salome Mgebrishvili - Tourist places in Baku 48

Maya Aladashvili, Nanuli Khizanishvili - Problems of Small Businesses and Reasons for Suspending Their Activities in Kakheti Region 55

Anuki Togonidze - Exchange Rate and Monetary Policy 63

Vaja Jashiashvili, Davit Sepashvili - Credit portfolio management specification and quality analysis 72

Teona Kankia – Quality Impact of Deep and Comprehensive Free Trade Area Agreement with EU on export strategies of Georgian companies 81

Lika Khurtsidze - Leader as a role model in modern business 85

Mtvarisa Tananashvili, Maya Kiladze - The importance of economics and its role in the life of society 88

Giorgi Kevkhishvili, Nika Zarandia - Organizational forms of corporate structures 98

Natia Kakhniashvili - Currency Impacts and Expectations in Georgia 107

Tornike Mgebrishvili - Principles of Teaching Overseas 114

Sopiko Tsertsvadze, Davit Chakhvashvili - The role of Internet marketing in business and its development in Georgia 118

Beqa Zautashvili, Davit Chakhvashvili - New product development process and the role of online platforms in its successful implementation 129

Мака Сосанидзе, Лейла Мамулашвили - Роль искусственного интеллекта в образовании и бизнесе 155

Нино Летандзе – Влияние музыкального туризма на экономическое развитие региона 146

Nino Maziashvili, Nino Dzneladze - Japanese Management Transfer Opportunities in Georgia 154

Ani Khachidze - Loan types and the impact of refinancing rate changes on variable interest rate loans 163

Лали Сресели - Цели и задачи государственной политики занятости 173

Лали Осадзе - Основные проблемы транспортной логистики в Грузии 183

Tamar Gogoladze - For the History of Anton Purtseladze's letter "Capitalism and Capitalist Production 194

Тинатин Мшвидобадзе - Применение электронного правительство в системе государственного управления 203

Giorgi Natroshvili, Manana Tsintsadze, Natia Natroshvili - Improving agricultural lending problems in Georgia 213

Ani Khachidze - Bribery and the problem of money laundering in banking systems 223

Ia Jimshitashvili - Worker Job Satisfaction - A Component of Organization Success 235

Nazi Chikaidze, Salome Oghadze - Development Tendencies of Georgia's Economic Policy 241

Симон Цулая – Методы изучения иностранных языков 251

Nino Tevdorashvili, Neli Sesadze, Lia Pitiurishvili, Naili Gagnidze - Negative balance of payments and currency fluctuations 252

Mariam Mgeladze - Some Aspects of Improving Primary Care Management 267

Nino Didishvili - Coaching as a method of staff development 277

Lela Bakradze, Ela Skhirtladze - Sexual harassment at the workplace as one form of violence and discrimination 283

Elene Menabde-Jobadze, Mariam Dzebiashvili - The role of the state in the economic mechanisms of sustainable development..... 292

Lasha Gabisonia - Impact of the World Bank and its Group on Georgia's Economy..... 300

Dali Sekhniashvili - Ways of effective management of domestic investment resources in Georgia 309

Valeri Mosiashvili, Nino Sibashvili - Impact of refinancing rate on domestic investment 320

Larisa Dolikashvili - Compliance of hotel service and guest personal standards in Georgian hotels 333

Mariam Shubitidze - Problems of higher education in Georgia and ways to overcome them 349

Tamuna Mchedlishvili - Problems in the selection of personnel in banking 358

Goga Gogatishvili, Iza Inauri, Mirza Rijavadze - Sales strategys and tactics 368

Veriko Khaindrava - Monetary Policy Effectiveness of National Bank of Georgia 372

Nana Kharaishvili, Monika Arabova, Jemal Toloraia - Georgian entrepreneurs 382

Tariel Jokhadze, Luka Lortkipanidze, Tornike Selumashvili - The Influence of Increasing the Volume of Georgian Products on the Company's Financial Position 391

Ilia Chikaidze - Causes and consequences of ineffective management in modern business organizations 398

Tamar Magradze - Analysis of the Georgian pension system 400

Main Directions of State Support for Small Business

Vazha Zeikidze - Doctor of Economics, Associate Professor,
Georgian Technical University,
v.zeikidze@gtu.ge
Maia Lomishvili - Department of Agro-Engineering, PhD,
Georgian Technical University,
makomako429@mail.ru

Resume: Small and medium-sized businesses are the cornerstone of formations and development of a market economy. It plays a determinant role in operating the country's resource potential, development of stable, dynamic economy, employment of population, rising income levels and in solving other real-world problems.

The process of small business formation in Georgia is complex, contradictory and it is associated with significant social expanses. This is due to many global causes, among them the main are: market imperfection, low levels of investment and credit attractiveness, bureaucracy and etc.

Keywords: small business, business service, tax code, tax legislation, regulating.

Promoting small business is a main effecter factor of economic policy in EU, and for the last 10 years, there has been special action in this regard, which is definitely a consideration for Georgia's small business.

In the first decade of the 21st century, significant steps have been taken in business development in Georgia. During the last three years, the procedures for registering and starting a business have greatly simplified. Therefore, Georgia has shown the best results against such indicators as "Procedures for Starting a Business" and "Number of Days to Start a Business." At this stage in Georgia we consider it inevitable to strengthen the legislative and administrative foundations of small and medium-sized businesses. Changes in the legislative base for small business development

in Georgia. At the same time, it is necessary to introduce in practice the small and medium-sized enterprises test, i.e. real impact assessment, which implies as a result of legislative changes analyzing the expected economic, social and environmental impacts, making appropriate political choices based on cost-benefit assessment. The best way to implement these actions is to allow the small and medium-sized enterprises test (SME Test).

The use of Regulatory Impact Analysis (RIA) is also essential for the successful development of small business in Georgia. In order to increase internationalization measures of small businesses in Georgia, it is necessary to first of all study what the interceptive circumstances of Georgian small business are in terms of handling in international markets. In improving the internationalization measures of small enterprises in Georgia special role belongs to the state to promote the implementation of actions.

For today in Georgia co-operation of various institutions is at very low level and virtually none, besides a few exceptions. Exactly such situation provides for the vacuum of technological transfer in the country, which impedes the development of small business and consequently the economic growth of the country. In addition, small enterprises experience an acute deficit of financial resources (see, for example, www.tekes.fi/en, www.vinnova.se/en, www.enterprise-ireland.com), its function is to facilitate the commercialization and adaptation/adoption of innovative solutions (products) with the help of grants, vouchers and technical assistance to small and medium-sized enterprises, universities and research organizations. This is a relatively expensive but very effective mechanism. Establishing such a structure is a necessary and urgent measure. At the same time, the implementation of measures to strengthen the innovation system (infrastructure) in the country will significantly contribute to small business development. In terms of state support it is very important to facilitate coordination of export production in small enterprises.

Significant results have been achieved in Georgia in last decade in terms of implementing E-government. As a result of these activities, small

entrepreneurs were able to implement electronic communication forms in practice and use available governmental services.

The importance of business services is well recognized and much has been done in recent years in organizing special programs that purposes improving the technological capabilities of small businesses. As for information security, today many websites operate which help small business to get different kind of information, however, the problem with providing information is the fact that there is no any address in the internet space where a small entrepreneur would be able to receive complete, comprehensive and renewed information about all interesting matters of business industry.

In last years, many programs have been implemented by the Government of Georgia and international organizations aimed at assisting of startup small enterprises. These programs have been implemented through a network of local provider organizations that often receive support from donor organizations. As practice shows us, startup enterprises are increasingly interested in such services. Accordingly, the assistance program does not fully meet the existing requirements and only a small number of startups are satisfied with such services in Georgia. In the coming years, it is necessary to strengthen the information and consulting component for startup small entrepreneurs in order to support as many startups as possible at an early stage of activity.

Amendments in tax legislation in Georgia towards physical persons who have micro and small business status should be improve on. According to the law, tax authorities have the right to implement tax control measures such as: (vetting purchase of goods service, comply with usage rules of check-cash registers, time-keeping, inventory), which enable tax authorities to determine income of persons who have micro and small business status with indirect methods, conduct a timing and determine on a weekly basis the annual income of a person with a small business status,

which as the practice proves in many cases causes artificial increase of total income and imposes appropriate penalty sanctions.

The results of our research confirm that one of the major vital problem that is necessary to be solved for small business development is the simplification of tax-financial accounting and control procedures that are overly tight and creates greenhouse conditions for the formation of the oligopoly market. Current tax and financial administration procedures in any field require high costs, highly qualified staff, implantation of modern management accounts, control and information systems. Unfortunately, there is no explained in the tax code weighted average valuation method, however, in the second standard of financial accounting-"stock accounting" there is mentioned that using the weighted average method is appropriate when the goods are used for the same purposes, but it is unclear to whom it`s for customer or business. Because the international standard of accounting is the standard of business accounting, production and customer accounting, i.e. if the organization only has goods for sale. Therefore, it is possible to spread the usage of weighted average valuation method to all commodities that`s for the same purposes.

So, there are several important problems to be solved in the way of development of small and medium-sized enterprises.

- Tax accounting procedures on the basis of current bylaws cost very expensive, especially for processing industry enterprises;
- Bylaws concretely about conducting ongoing control procedures, writing off inventory, implementation of ensuring measures of tax debt payment, approval of offenders' proceedings rule.

In our opinion, it is necessary to make appropriate changes in the tax legislation and in bylaws normative in direction of supporting small and medium-sized business. It should be noted, therefore, that the country's tax system should focus not only on budget revenue growth, but also it should facilitate employment of population and overcome poverty, for which the newly opened small enterprises should be exempt from taxes during the

first two years. Moreover, there should be liberalization of fines and penalties on small enterprises and should clearly be established simplified procedures for financial accounting for small and medium-sized businesses in the Tax Code.

In order to operate perfectly economic and social factors of small business, it would be the good will of the state to pass a new law "on small business", that will determine the real status of a small business and regulate all legal issues. It is desirable that the new legislative base to be underlie the Small Business Development Promotion Strategy. The Government of Georgia should make some changes to the current small and medium-sized businesses development policy, this attitude should include an unhurried implementation of state support for small and medium-sized businesses through gradual changes. In our opinion, small business promotion policy should be established allowance the specifics of each stage of economic development and from the socio-economic situation that`s created in the country. The hasty changes to small and medium-sized businesses development policy will cause the abandonment of the system that has been formed for years, weakening fiscal discipline and a sharp deterioration of the business environment. The revival of small and medium-sized businesses requires a multiple preparation of relevant preconditions from the state and permanent implementation of well thought out activities. The world experience of small and medium-sized businesses development shows that with the active involvement of the public and business circles in the initial phase of preparation of state policy changes in this field, should be done a strategy for small and medium-sized businesses development and gradually fulfill activities for its implementation. The strategy should include improving of state-owned bank-credit policy and legislative base, access to entrepreneurial advisory-information services, and more. The main priority of Georgian economy today is to support the development of small entrepreneurship, which

actually has the ability to change the socio-economic picture of the country's development.

Georgian government should solve three main issues to support small business development: a) Encouraging small entrepreneurship; B) Training of small entrepreneurs; C) Assisting small entrepreneurs in sales.

Encouraging small entrepreneurship: A) The power of example is very important. B) The second important issue is to provide ideas in this area. C) Third, it is also important to set up an information-consulting center.

Training of small entrepreneurs: A) Necessary competence for starting and conducting business, that is, the acquisition of managerial and technical competence from small entrepreneurs' side. B) Preparation of newsletters.

Assisting small entrepreneurs in sales: A) The main factor of this program should be to assist small entrepreneurs in early sales. Today the best prerequisite for such assistance is - "Buy national product, help the economy, and develop small entrepreneurship in Georgia." B) The second important factor is the organization of special markets, trading areas for small entrepreneurs and the preparation of advertising catalogs.

Literature:

1. About approving the 2002-2004 State Support Program for Small and Medium Enterprises in Georgia. Ministry of Justice of Georgia "Legislative informer of Georgia" 2002;

1. Tsetskhladze L.- "Small Business Organization and Management Strategy in Modern Market System", Batumi - Dissertation 2012;

2. Gobejishvili E. - Improving directions of State Regulation of Small and Medium Entrepreneurship in Georgia. Dissertation. Tbilisi, 2013;

3. Supporting Small Businesses in the United States of America, 2010;

4. Kalinin A-Analysis of the development and condition of small and medium-sized businesses in the world. G. "Economics" Entrepreneurship and Law No. 4, 2011

ხარისხის მართვის ფუნქციები და მართვსის მეთოდები თანამედროვე ბიზნესში

Quality management functions and management methods in modern business

ივანე ეპიტაშვილი - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ivane.epitashvili@stu.edu.ge
გიორგი გოგოლაძე - ბიზნესის მართვის ფაკულტეტი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
g.gogoladze@gmail.com

Ivane Epitashvili - Doctor of Technical Sciences,
Georgian Technical University
ivane.epitashvili@stu.edu.ge
Giorgi Gogoladze – Faculty of Business Management,
Georgian National University
g.gogoladze@gmail.com

აბსტრაქტი: ხარისხი არ შექმნილა, არ წარმოშობილა, მხოლოდ განვითარებულ საზოგადოებაში, ხარისხი შინაარსობრივად სულ არსებობდა იმის მიუხედავდ აცნობიერებდა თუ არა ამას ადამიანი, ისტორიის ამა თუ იმ მონაკვეთში, ხარსხი იხვეწებოდა, იხვეწება და კვლავაც განაგრძობს დახვეწას, ხარისხი არის ის მატერიალური ან არამატერიალური საკუთრება რომლითაც შენი თავი შეგიძლია გამოარჩიო სხვებისგან და გაუსვა ხაზი შენს შეხედულებას, შენ საკუთარ პროდუქტს.

ხარისხის დახვეწას ხელი შეუწყო სხვადასხვა ფაქტორებმა, ხარისხის თავდაპირველი დახვეწა გამოიწვია საზოგადოებს განვითარებამ და სიბრძნის გადინებამ ერთი ერიდან მეორეში, ადამიანების მიერ ზღვის „დაპყრობა“ ყველაზე დიდი პლაცდარმი გახდა ხარისხის განვითარების მრავალსაუკუნოვან ისტორიის მანძილზე, ამან შესაძლებელი გახადა სხვადასხვა კონტინენტზე არსებული პროდუქტის, მომსახურების, ცოდნის, და ტექნიკს (აგრეთვე სამუშაო ტექნიკის) მანამდე არნახული სისწრაფიდ ერთმანეთში გაცლა.

გარდა ზღვის ათვისებისა კაცობრიობა სხვა გამოგონებებმაც „დახლოვა“ როდესაც დადგა მომენტი, რომ ყველას ყველაფერზე მიუწვდებოდა ხელი, ყველას თანაბარი შეძლებლობები ქონდათ, დაიწყო უხილავი ბრძოლა, ბრძოლა ხარისხისხით, ხარისი გახდა ახალი საშუალება

რომლითაც შეეძლოთ საკუთარი პროდუქციის წარმოჩინება, ძვირად გაყიდვა და კლიენტების მოზიდვა.

Abstract: Quality was not created, it did not emerge, only in a developed society, quality existed substantially regardless of whether or not a person, at some point in history, was refining, refining, and continuing to refine, quality is the material or immaterial property by which you yourself You can distinguish yourself from others and ausva line of your viewpoint, you have your own product.

Quality factors have been promoted by various factors, initial quality improvements have led to the development of societies and the flow of wisdom from one nation to another, the "conquest" of humans by sea has become the largest springboard in the centuries-long history of quality development, enabling products, services, Exchange of knowledge and techniques (as well as working techniques) with unprecedented speed.

Other Inventions Mankind "Invent" Other Inventions When it came time for everyone to have access to everything, everyone had equal opportunities, an invisible struggle, a quality fight, the gap became a new way to showcase their products, sell expensive and attract customers.

საკვანძო სიტყვა: ხარისხის მართვა, მენეჯმენტი, უკუკავშირი, ეკონომიკის პრინციპები, ორგანიზაცია, კონკურენცია, ბიზნესი;
Keywords: Quality Management, Management, Feedback, Principles of Economics, Organization, Competition, Program, Business;

შესავალი: ნებისმიერი საზოდაგოება ორიენტირებული იყო და არის ხარისზხე კაცობრიბამ დიდი გზა განვლო ხარისხის არსის შეცნობასა და გაცნობიერებაში, დღევანდელი საბაზრო ეკონომიკის პირობებში როდესაც კაცობრიობამ დაიპყრო აქამდე დაუპყრობელი მწვერვალები, წინა პალზე წამოიწია ხარისხი და მასთან დაკავშირებული საკითხები, დღეს უკვე ვეღარავის გავაკვირვებთ საკუთარი პროდუქტით, გეზი უნდა ავიღოთ იქეთკენ, რომ კონკურენტს ვაჯობოთ ხარისხით და უნდა შევქმნათ: უკეთსი მომსახურების ხარისხი, უკეთესი მასალა, უკეთესი წესი და უკეთესი გარემო რათა ჩვენმა ხარისხმა აჯობოს კონკურნტის ხარისხს.

წარსული გამოცდილება ყველაზე კარგი მასწავლებელია როდესაც საქმე გვაქვს ხარისხსის მართვასასთან, წარსულის ანალიზით დაყრდნობით შესაძლებელია გავიგოთ ხარვეზები და აღარ გავიმეოროთ წარსულის შეცდომა.

- ხარისხის მართვა აუცილებელია შემდეგი მიზეზების გამო;
- ხარისხის გაუმჯობესების პროცესი უწყვეტი პროცესია და მასში უნდა ჩაებას ნებისმიერი ვისაც სურს საკუთარი პროდუქტის უკეთ რეალიზაცია;
- ხარისხის გარეშე წარმოუდგენელია ბაზარზე ოპრირება;
- ხარისხი კონკურენციის ერთერთი ხასეა რომელიც უნდა იქნეს აუცილებდა ათვისბული;

ჩვენ ხშირად ვყენებთ ცნებას ხარისხი, საქმიანობის ხარისხი პროდუქციის, მომსახურების, შრომის ხარისხი, ცხოვრების ხარისხი და სხვ. ცხოვრების ხარისხის შემადგენელთა სისტემაში შედის საზოგადოების მორალურეთიკური და სულიერი მდგომარეობა. ცხოვრების წესის ხარისხზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მატერიალური გარემო, საქონლისა და მომსახურების ხარისხი, ამიტომ პროდუქციისა და მომსახურების ხარისხის პრობლემა იყო და რჩება აქტუალურად, იგი არის სტრატეგიული პრობლემა, რომლის გადაჭრაზეც დამოკიდებულია სახელმწიფო ეკონომიკის სტაბილურობა.

ხარისხი არის ტევადი რთული და უნივერსალური კატეგორია, რომელსაც აქვს უამრავი განსაკუთრებული და განსხვავებული ასპექტი. ფილოსოფიური პოზიციებიდან ხარისხი ნიშნავს აღსაქმლი ობიექტის არსებით განსაზღვრულობას, რომლის გამოც ის ხდება სპეციფიკური და განსხვავდება სხვა ობიექტისაგან.

ამასთანავე ხარისხი აერთიანებს ბევრ ობიექტს ერთობლიობაში, ე.ი. ხდის მათ ერთგვაროვანს, ხარისხის კატეგორია გამოსახავს ადამიანის მიერ ობიექტური რეალობის შეცნობის შესაბამის საფეხურს. ხარისხის სოციალური ასპექტი უკავშირდება სუბიექტის და ან მთელი საზოგადოების დამოკიდებულებას

შესასწავლი ობიექტისადმი, მაგალითად გარკვეული მომხმარებლების აღქმას ან დამოკიდებულებას შესაბამისი პროდუქციის ან მომსახურებისადმი, ამასთანავე ხარისხი შეიძლება განიხილებოდეს როგორც კატეგორია, რომელიც შეესაბამება მოთხოვნისა და მიწოდების კანონებს, დამოკიდებულია კულტურის დონეზე, მომხმარებლის შემოსავალზე და ა.შ.

ხარისხის ტექნიკური ასპექტი განპირობებულია გამოკვლევის ობიექტის როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი ცვლილებებით, გამოკვლევის ობიექტებია ტექნიკური კანონზომიერებები, რომლებიც არსებობს ერთნაირი დანიშნულების მქონე საგნების ფიზიკური, ელექტრომექანიკური და სხვ. თვისებების წარმოქმნასა და გამოვლენაში, საინჟინრო პოზიციიდან ხარისხის გამოსაკვლევად არჩეული ობიექტის თვისებების ერთობლიობა უნდა შეუდარდეს ანალოგიურ ობიექტს, რომელიც გამოკვლევის მიზნის გათვალისწინებით მიჩნეულია ეტალონად

ეკონომიკური პოზიციებიდან ხარისხი განიხილება როგორც განსახილველი ობიექტის მოხმარების ან სამომხმარებლო ღირებულების შედეგი, ვინაიდან სხვადასხვა ობიექტის ხარისხისადმი მოთხოვნა სხვადასხვაა, ამიტომ ეს ხარისხი მომხმარებლის მიერ ფასდება სხვადასხვაგვარად, შესაბამისად, ეკონომიკური თვალსაზრისით საჭიროა ვიცოდეთ რამდენად შეესაბამება ხარისხი მოთხოვნას, სხვაგვარად ყოველგვარი ხარისხი არ არის სიკეთე, ე. ი. ხარისხის ტექნიკურსა და ეკონომიკურ გაგებას შორის არსებობს წინააღმდეგობა, მას აქვს დაპირისპირებული ხასიათი და განპირობებულია ობიექტების წარმოებისა და მოხმარების დამატებითი ურთიერთკავშირით, ამიტომ მიზანშეწონილია ხარისხის ტექნიკური და ეკონომიკური ასპექტების ერთობლივი განხილვ.

წარმოების სფეროში ბოლო ხანს შეიმჩნევა ცნება ხარისხის ევოლუცია ეკონომიკურ კატეგორიად. სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია ხარისხს განმარტავს როგორც პროდუქციის ან მომსახურების თვისებებისა და მახასიათებლების ერთობლიობას, რომლებიც ანიჭებენ მას უნარს დააკმაყოფილოს განპირობებული ან სავარაუდო მოთხოვნები. პროდუქციისა და მომსახურების ხარისხზე თანამედროვე წარმოდგენას უფრო უკეთ პასუხობს შემდეგი ფორმულირება: ხარისხი პროდუქციის ან მომსახურების იმ თვისებების გარკვეული ერთობლიობაა, რომელთაც შეუძლიათ პოტენციურად ან რეალურად ამა თუ იმ ზომით დააკმაყოფილონ საჭირო მოთხოვნები დანიშნულებისამებრ მათი გამოყენებისას, უტილიზაციის ან განადგურების ჩათვლით.

განვმარტოთ რამდენიმე ცნება და ტერმინი, რომელიც უნდა



აღვიქვათ ერთგვაროვნად. პროდუქცია უნდა აღვიქვათ როგორც მატერიალური ფასეულობების ნაირსახეობათა ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს სამეურნეო საქმიანობის მნიშვნელოვან შედეგს და გამიზნულია კონკრეტული საზოგადოებრივი და პირადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ამ შემთხვევაში

პროდუქცია წარმოადგენს განზოგადებულ მატერიალურ ცნებას და შეიცავს ნაკეთობას, მასალებს, პროდუქტებს, ტექნოლოგიებს,

მომსახურება შეიძლება დავახასიათოთ როგორც მიმწოდებლის შემსრულებლის და მისი შრომის საშუალებების ურთიერთობის შედეგი მომხმარებელთან ამ უკანასკნელის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, მომსახურების სახეებს შეიძლება მივაკუთვნოთ, მაგალითად მომსახურება წარმოების, მშენებლობის, მომარაგების, ფინანსების, მართვის, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, განათლების, ინფორმაციის, კავშირგაბმულობის და სხვ. სფეროში, სატრანსპორტო, კომუნალური, სოციალური, პერსონალური მომსახურება და სხვ., რემონტი, ტექნიკური მომსახურება, დასაწყობება, შენახვა, ვაჭრობა, არენდა, გამოკვლევა, შუამავლობა და სხვ.

ხარისხის ცნებასთან მჭიდრო კავშირშია ცნებები ხარისხის მაჩვენებელი, პროდუქციის ტექნიკური დონე, საქონლის კონკურენტუნარიანობა. ხარისხის მაჩვენებლის ქვეშ იგულისხმება პროდუქციის მაჩვენებლების ურთიერთდაკავშირებული ერთობლიობა, რომელიც ახასიათებს მის დანიშნულებას, საიმედოობას, ტექნოლოგიურობას, სტანდარტიზაციისა და უნიფიკაციის დონეს, ერგონომიკულ, ესთეტიკურ, ეკოლოგიურ თვისებებს, საპატენტოსამართლებრივ ასპექტებს, ტრანსპორტ-აბელურობას, უსაფრთხოებას, ეკონომიკურ პარამეტრებს,

ტექნიკური დონის ქვეშ იგულისხმება პროდუქციის ხარისხის ფარდობითი მახასიათებელი, რომელიც ემყარება შესაფასებელი პროდუქციის ტექნიკური სრულყოფილობის დამახასიათებელი მაჩვენებლების მნიშვნელობების შედარებას საბაზო მაჩვენებლების მნიშვნელობებთან, პროდუქციის ტექნიკური დონე წარმოადგენს მისი ხარისხის შემადგენელ ნაწილს, აისახება სხვადასხვა მაჩვენებლებში მწარმოებლურობა, უსაფრთხოება, ეკონომიკური პარამეტრები და სხვ. საქონლის კონკურენტუნარიანობის ქვეშ იგულისმება უნარი იყოს მომხმარებლისათვის უფრო მიმზიდველი

ანალოგიური სახის და დანიშნულების სხვა ნაკეთობებთან შედარებით, ვინაიდან მისი ხარისხობრივი და ღირებულებითი მახასიათებლები გაცილებით მეტად შეესაბამება მოცემული ბაზრის მოთხოვნებს და სამომხმარებლო შეფასებას.

უკანასკნელ წლებში ჩამოყალიბდა ხარისხის კონცეპტუალური ხედვა როგორც ერთერთი ფუნდამენტური კატეგორიისა, რომელიც განსაზღვრავს ცხოვრების წესს, სოციალურ და ეკონომიკურ საფუძველს ადამიანისა და საზოგადოების წარმატებული განვითარებისათვის, ხარისხის ასეთი ხედვა თითქმის ყოვლისმომცველია და უფრო მკაფიოდ განსაზღვრავს ხარისხის ამაღლების მნიშვნელობას. პროდუქციის ხარისხის მნიშვნელობაა ის, რომ მხოლოდ ხარისხიან პროდუქციას შეუძლია გახსნას საექსპორტო გზა დასავლეთის გადახდისუნარიანი ბაზრებისაკენ, ხარისხის მოთხოვნილი დონის უზრუნველყოფის გარდა თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში შეუძლებელია გადარჩენის სხვა რომელიმე ხერხის მიგნება.

საბაზრო პირობებში საწარმოს ვერ იხსნის ვერავითარი ინვესტიციები, თუ მას არ ძალუძს თავისი პროდუქციის ან მომსახურების კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, კონკურენტუნარიანობის საფუძველია ხარისხი, თუმცა, გარდა ხარისხისა, კონკურენტუნარიანობაში შედის ფასი, მიწოდების ვადები, გარანტიები, სერვისული მომსახურება და სხვ. სწორედ ხარისხს ანიჭებს უპირატესობას პროდუქციის არჩევისას მყიდველი და დამკვეთი, სადღეისოდ ფართოდაა გავრცელებული მიმწოდებელსა და დამკვეთს შორის ურთიერთობის ისეთი სტილი, როდესაც დამკვეთი, ვიდრე პროდუქციას შეუკვეთავდეს ამოწმებს, როგორა აქვს მიმწოდებელს ორგანიზებული ხარისხის სამუშაოები და ასეთი შემოწმების შედეგების მიხედვით იღებს გადაწყვეტილებას კონტრაქტის დადების შესახებ.

კონკურენტუნარიანი პროდუქცია უზრუნველყოფს საწარმოს კონკურენტუნარიანობას, ეს კი ცხადია დადებით გავლენას ახდენს მთლიანად ეკონომიკურ განვითარებაზე, ასე რომ, პროდუქციის ხარისხი არ არის კერძო პრობლემა ცალკეული მეწარმისათვის, იგი აუცილებლად გადაიზრდება მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ზოგადეროვნულ პრობლემად.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ხარისხის მნიშვნელობა საწარმოს შექმნის ეტაპზე, როდესაც იგი პროდუქციას ჯერ არ უშვებს, ხარისხის კონტროლი ამ ეტაპზე აუცილებელია ბაზრის წილის დასაკავებლად, იმიტომ რომ ჩვენი პროდუქტი მომაზადებული უნდა იყოს ხარისხის კუთხით ბაზრისათვის.

ხარისხის დონე წარმოადგენს ხარისხის ფარდობით მაჩვენებელს, რომელიც განისაზღვრება შესაფასებელი პროდუქციის ხარისხის მაჩვენებლის შედარებით შესაბამის საბაზო მნიშვნელობასთან, მაჩვენებლის საბაზო მნიშვნელობა ოპტიმალური დონეა, რომელიც შეიძლება რეალურად იყოს მიღწეული დროის გარკვეულ პერიოდში, ხარისხის დონის შეფასების მეთოდებია: დიფერენციალური მეთოდი, კომპლექსური და შერეული მეთოდი.

დიფერენციალური ეწოდება ხარისხის დონის შეფასების მეთოდს, რომლის დროსაც შესაფასებელი ნაწარმის ერთეულოვანი მაჩვენებლების ერთობლიობას ადარებენ საბაზო ნიმუშის შესაბამის მაჩვენებლებს, აღნიშნული მეთოდი ლიტერატურაში მოიხსენიება როგორც „ბენჩმარკინგის“ მეთოდი, დიფერენციალური მეთოდი ფაქტიურად წარმოადგენს საკვალიფიკაციო მეთოდს, რომლის მეშვეობითაც ნაწარმი ფასდება ხარისხის ისეთი კატეგორიებით, როგორიცაა „აღემატება“, „შეესაბამება“, „არ შეესაბამება“ ხარისხის გარკვეულ მსოფლიო დონეს, თუმცა შეგვიძლია რაოდენობრივადაც შევაფასოთ ნაწარმის ესა თუ ის თვისება.

ხარისხის კომპლექსური შეფასებისას იყენებენ კომპლექსურ განზოგადებულ მაჩვენებელს, რომელიც ერთეულოვანი მაჩვენებლების ფუნქციაა, კომპლექსური მეთოდი გამოიყენება მაშინ, როდესაც მიზანშეწონილია ხარისხის დონის შეფასება ერთი რიცხვით, ამ მეთოდის სირთულე მდგომარეობს განზოგადებული მაჩვენებლის ობიექტურად განსაზღვრაში, რისთვისაც იყენებენ სხვადასხვა მეთოდებს, მათ შორის საექსპერტოს.

რთულ პროდუქციას, რომელიც შეიცავს მრავალ ელემენტს, ახასიათებს ხარისხის მაჩვენებლების ფართო ნომენკლატურა, ასეთი პროდუქციის ხარისხის დონის შეფასება დიფერენციალური მეთოდის საფუძველზე პრაქტიკულად შეუძლებელია, ამავე დროს მხოლოდ კომპლექსური მეთოდის გამოყენება არ გვაძლევს საშუალებას ობიექტურად გავითვალისწინოთ პროდუქციის ყველა მნიშვნელოვანი თვისება, ასეთ შემთხვევებში პროდუქციის ხარისხის დონეს აფასებენ შერეული მეთოდით, რომელიც დაფუძნებულია როგორც ერთეულოვან, ასევე კომპლექსურ მაჩვენებლებზე, ე,ი, ერთდროულად გამოიყენება დიფერენციალური და კომპლექსური მეთოდები.

დასკვნა: ხარისხის მართვა როგორც ფენომენი გამოიხატება იმაში, რომ მას აქვს რელური ფორმა და მოცულობა ხარისხის უკეთს მართვას განაპირობებს ის ინსტუმენტები რომლებიც უზრუნველყოფენ ხარისხის სტანდარტს, ამ სტანდარტების წყალობთ ხარისხი დღითიდღე ხდება უკეთესი და კეთილდღეობის გამსაზღვრელი, ჩვენს კეთილდღეობას ის ხარისხი განაპირობებს რომელიც ჩვენ, ადამიანებმა შევიმუშავეთ, იმისათვის რომ გვქონდეს უკეთესი, გარემო და ცხოვრების საშუალება.

ნებისმიერი მეცნიერება ყალიბდება წარსული გამოცდილების საფუძველზე, ხარისხის მართვამ უნდა გაითვალისწინოს წარსულის გამოცდილება და უნდა შეძლოს ძველი ხარისხის სტანდარტების

ოპტიმიზაცია თანამედროვე გარემოსთან, რაც თავიდან აგვარიდებს უხარისხო, არაჯანსაღ ზოგჯერ სიცოცხლითვის საშიშ პრდუქტს

ჩემს ნაშრომში წარმოდგენილია ხარისხის არსი, მისი განვითარების ისტორია და ინტრუმენტები ასევე ნაშრომში განხილულია სხვადასხვა მიდგომა სხვადასხვა საკითხებისადმი რაც საშვალებას გვაძლევს უკეთ შევძლოდ ხარისხის მართვა ასევე აქვე აღნიშნული ხარისხის სტანდარტები, რომელიც დღეს წამყვანი სტანდარტებია ხარისხის სფეროში, შემოთავაზებული ხარისხის მართვის სხვადასხვა ინსტრუმენტები გზები და მეთოდები ხარსისხის ასამაღლებლად. გარდა ამისა მნიშვნელოვნად არის გადმოცემული ხარისხის დაგეგმვა, მართვის ფუნქციები, ხარისხის ქსელი შექმნა და სხვ.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

1. Craig M. Becker, Mary A. Glascoff, - "Process measures: a leadership tool for management", The TQM Journal, Vol. 26 Issue 2018.
2. Barone Adam - Quality Management. https://www.investopedia.com/ terms/q/quality-management.asp გადამოწმებულია 06.01.2020
3. ზედგინიზე ი., ბალიაშვილი მ., ჯაფარიძიძე შ. - „ხარისხის მენეჯმენტი“ სტუ_ს გამომცემლობა თბილისი 2004 წ.
4. Shirouzu, N. - China carmakers narrow quality gap on global rivals: Report. Reuters. Archived from the original on 17.02.2018.

სადაზღვევო კომპანიების ფინანსური ნაკადების შესახებ
On the financial flows of insurance companies

ნატო კაკაშვილი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
ხათუნა ბარბაქაძე - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
Nato Kakashvili - Assistant Professor TSU,
Faculty of Economics and Business
Khatuna Barbakadze - Associate Professor TSU,
Faculty of Economics and Business

რეზიუმე: სადაზღვევო მომსახურების ფასი განსაზღვრავს სადაზღვევო ტარიფს, რომელიც წესდება სადაზღვევო თანხის ერთეულზე, განსაზღვრულ დროში. სადაზღვევო ტარიფის ეკონომიკური საფუძველი არის სადაზღვევო მომსახურების თვითღირებულება, რომელიც ზეგავლენას ახდენს სადაზღვევო ფონდის საშუალებებზე და საქმის წარმოების ობექტურ მოთხოვნილებაზე. სადაზღვევო ტარიფი არის სადაზღვევო პროდუქტის სავარაუდო მოცულობა გამოხატული ფულად ფორმაში, რომელიც გამოითვლება მეცნიერული პროგნოზის საფუძველზე დაზღვევის ერთეულზე ან მთელ სადაზღვევო მოცულობაზე.
მზღვეველი გაუთვალისწინებელი შემთხვევების დადგომით გამოწვეული ზარალის მოცულობის განსაზღვრისათვის იყენებს აქტუარული გათვლების თეორიას, რომელიც მოიცავს შემთხვევითობისა და მათემატიკური სადაზღვევო სტატისტიკის თეორიის სინთეზს. სადაზღვევო პროდუქტის საბოლოო ფასი განისაზღვრება ბაზარზე საბაზრო და არასაბაზრო ფაქტორის ზემოქმედების შედეგად და ღებულობს სადაზღვევო შენატანის (პრემიის) სახელს. ფულადი ნაკადის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორებია: რისკის სიდიდე; დაზღვევის სახეები; პრევენციული ღონისძიებების ჩატარება; მოგებაში დამზღვევების მონაწილეობა; საქმის წარმოებაზე ხარჯების ეკონომია და ა.შ. სადაზღვევო კომპანიის ფინანსების ფორმირებისას მნიშვნელოვანია საწესდებო კაპიტალი, რომლის საშუალებითაც სადაზღვევო კომპანია შეძლებს დამზღვევების წინაშე ვალდებულებების გასტუმრებას.

საკვანძო სიტყვები: სადაზღვევო ტარიფი; სადაზღვევო მომსახურება; სადაზღვევო ფასი; დივერსიფიკაცია; დაბრუნებადობა; ლიკვიდურობა; შემოსავლიანობა.

Resume: The price of an insurance service determines the insurance rate that is charged per unit of insurance amount at a specified time. The economic basis of the insurance tariff is the cost of the insurance services that affect the insurance fund's assets and the objective requirement of the business. The insurance rate is the estimated amount of the insurance product in monetary form, calculated on the basis of a scientific forecast on the unit of insurance or on the whole insurance volume.

The insurer uses a theory of actuarial calculations that includes the synthesis of the theory of accidental and mathematical insurance statistics to determine the extent of the unintended loss. The final price of an insurance product is determined by the impact of market and non-market factors on the market and receives the name of the insurance contribution (premium). The main determinants of cash flow are: the magnitude of the risk; Types of insurance; Preventive measures; Participation of insurers in profit; Case Cost Savings, etc. When forming an insurance company finances, it is important to have statutory capital through which the insurance company will be able to pay off liabilities to insurers.

Keywords: insurance; Insurance services; Insurance price; Diversification; Returnability; Liquidity

შესავალი: სადაზღვევო მომსახურების ფასი ეს არის სადაზღვევო შენატანი (პრემია), რომელსაც დამზღვევი უხდის მზღვეველს. სადაზღვევო მომსახურების ფასზე მოქმედი ფაქტორებია**:** სადაზღვევო კომპანიის მდგომარეობა, სადაზღვევო პორტფელის მოცულობა და სტრუქტურა, მმართველობითი ხარჯები, შემოსავლები და ა.შ. დამზღვევების სადაზღვევო დაცვისათვის სადაზღვევო კომპანიები თვითდაზღვევის მიზნით რისკ-პრემიას (ნეტო-პრემიას) ამატებენ რისკ-დანამატს, რომელიც აუცილებელია ზარალის მოსალოდნელი სიდიდიდან გადახრის დასაფინანსებლად. სადაზღვევო ტარიფის ელემენტს წარმოადგენს დატვირთვა. დატვირთვის ძირითადი ნაწილია

სადაზღვევო საქმის წარმოების ხარჯები. სადაზღვევო პოლისის მფლობელთა დაცვის და ფინანსური სტაბილურობისათვის სადაზღვევო კომპანიები საჭიროებენ ეფექტურ რეგულირებასა და ზედამხედველობას. ფულადი ნაკადის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორებია: რისკის სიდიდე; დაზღვევის სახეები; პრევენციული ღონისძიებების ჩატარება; მოგებაში დამზღვევების მონაწილეობა; საქმის წარმოებაზე ხარჯების ეკონომია და ა.შ. სადაზღვევო კომპანიის ფინანსების ფორმირებისას მნიშვნელოვანია საწესდებო კაპიტალი, რომლის საშუალებითაც სადაზღვევო კომპანია შეძლებს დამზღვევების წინაშე ვალდებულებების გასტუმრებას.

ძირითადი ტექსტი: სადაზღვევო კომპანიების საწესდებო კაპიტალი. „საქართველოს ტერიტორიაზე სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის წესი“ აწესებს საქართველოს ტერიტორიაზე სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე კაპიტალის მინიმალურ ოდენობას დაზღვევის სახეობებისა და ფორმების მიხედვით. სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზიის მაძიებელი კომპანიებისთვის სსიპ-დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურში წერილობითი განაცხადის წარდგენის მომენტში შევსებული კაპიტალის, ხოლო მზღვეველისთვის სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა უნდა შეადგენდეს: სიცოცხლის დაზღვევა - 7,2 მლნ ლარს; დაზღვევა (არასიცოცხლის) - გარდა სავალდებულო ფორმის პასუხისმგებლობის დაზღვევის, ვალდებულებათა შესრულების დაზღვევისა და საკრედიტო ვალდებულებების დაზღვევისა - 4,8 მლნ ლარს; დაზღვევა (არასიცოცხლის) - სავალდებულო ფორმის პასუხისმგებლობის დაზღვევის, ველდებულებების შესრულების დაზღვევის და საკრედიტო ვალდებულებების დაზღვევის ჩათვლით -

7,2 მლნ ლარს; გადაზღვევა - 7,2 მლნ ლარს.[1] 2016 წლის 1-ლი იანვრისთვის მარეგულირებელმა ჩარჩომ გადახდისუნარიანობის პრინციპი II დაიწყო მოქმედება და გახდა სავალდებულო ევროპული მზღვეველებისა და გადამზღვეველებისთვის. გადახდისუნარიანობის პრინციპი II მოიცავს: კაპიტალის მოთხოვნებს; ზედამხედველობის რეჟიმს და საბაზრო დისციპლინა. 2017 წლის 1-ლი იანვრიდან სადაზღვევო კომპანიებს მოეთხოვებათ გადახდისუნარიანობის მარჟის შენარჩუნება, რომელიც გამოითვლება სადაზღვევო პრემიებზე და სადაზღვევო ზარალებზე დაყრდნობის მეთოდით, მათ შორის უდიდესი კი წარმოადგენს გადახდისუნარიანობის მარჟას. 2018 წლის 1-ლი იანვრიდან გადახდისუნარიანობის მარჟა უნდა აღემატებოდეს 100%-ს. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური განმარტავს აქტივის ტიპებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნას საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მზღვეველი ვალდებულია საზედამხედველო კაპიტალის ოდენობის ანგარიშგება წარუდგინოს მარეგულირებელ ორგანოს არაუგვიანეს მომდევნო საანგარიშო წლის 20 თებერვლისა. მზღვეველის საზედამხედველო კაპიტალის ოდენობა სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე უნდა აღემატებოდეს მზღვეველის გაანგარიშებით მიღებული გადახდისუნარიანობის მარჟის ოდენობას.[2]

სადაზღვევო მომსახურების ფასი. სადაზღვევო მომსახურების ფასი განსაზღვრავს სადაზღვევო ტარიფს, რომელიც წესდება სადაზღვევო

---

[1] საქართველოს ტერიტორიაზე სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება N27, 2017 წლის 25 დეკემბერი, ქ. თბილისი.

[2] საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება N16 მზღვეველის საზედამხედველო კაპიტალის ოდენობის გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ, თბილისი, 2016

თანხის ერთეულზე, განსაზღვრულ დროში. სადაზღვევო ტარიფის ეკონომიკური საფუძველი არის სადაზღვევო მომსახურების თვითღირებულება, რომელიც ზეგავლენას ახდენს სადაზღვევო ფონდის საშუალებებზე და საქმის წარმოების ობექტურ მოთხოვნილებაზე. სადაზღვევო ტარიფი - ეს არის აქტუარულ თეორიებზე დაყრდნობით მათემატიკურად დათვლილი დაზღვევის საბაზისო ტარიფი. ანუ ეს არის სადაზღვევო პროდუქტის სავარაუდო მოცულობა გამოხატული ფულად ფორმაში, რომელიც გამოითვლება მეცნიერული პროგნოზის საფუძველზე დაზღვევის ერთეულზე ან მთელ სადაზღვევო მოცულობაზე. მზღვეველი გაუთვალისწინებელი შემთხვევების დადგომით გამოწვეული ზარალის მოცულობის განსაზღვრისათვის იყენებს აქტუარული გათვლების თეორიას, რომელიც მოიცავს შემთხვევითობისა და მათემატიკური სადაზღვევო სტატისტიკის თეორიის სინთეზს.ნებაყოფლობით დაზღვევაში სადაზღვევო ტარიფი არის წინასწარი, მიახლოებითი ფასი ცდომილებებით. სადაზღვევო პროდუქტის საბოლოო ფასი განისაზღვრება ბაზარზე საბაზრო და არასაბაზრო ფაქტორის ზემოქმედების შედეგად და ღებულობს სადაზღვევო შენატანის (პრემიის) სახელს. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რეგისტრირებულია 17 სადაზღვევო კომპანია, 16 მათგანი ფლობს სიცოცხლის და არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიას, ხოლო ერთი მათგანი არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიას. 2018 წელს მთლიანმა შიდა პროდუქტმა შეადგინა 41 077,5 მლნ ლარი[3], ხოლო მთლიანმა მოზიდულმა პრემიამ 542,2 მლნ ლარი, 2017 წელს 441,4 მლნ ლარი ხოლო 2016 წელს 393,04 მლნ ლარი.[4] 2018 წელს პირდაპირი დაზღვევის საქმიანობიდან სადაზღვევო პრემიის უდიდესი ნაწილი მოზიდულ იქნა სამედიცინო (ჯანმრთელობის დაზღვევიდან)-217 მლნ ლარი,

---

[3] http://www.geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo

[4] სადაზღვევო ბაზრის სტატისტიკური მაჩვენებლები 2018, 2017, 2016. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური.

მეორე ადგილზეა სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა (გარდა სარკინიგზო ტრანსპორტისა) - 85,5 მლნ ლარი, მესამე ადგილზეა ქონების დაზღვევა სადაც მოზიდულმა პრემიამ 85 მლნ ლარი შეადგინა და მეოთხე ადგილზეა სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებათან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა - 42,9 მლნ ლარი მოზიდული პრემიით.[5] სადაზღვევო პრემიის უდიდესი წილი მოზიდულია კორპორატიულ სექტორში - 307,57 მლნ ლარი, საცალო სექტორში 131,9 მლნ ლარი და სახელმწიფო სექტორში 83,92 მლნ ლარი.

სადაზღვევო რეზერვები. სადაზღვევო კომპანიები სადაზღვევო გადახდებს სპეციალური სადაზღვევო რეზერვების საშუალებით ახორციელებენ. სადაზღვევო რეზერვების ფორმირება, სადაზღვევო რეზერვების ინვესტირება და გადაზღვევა წარმოადგენს ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფის საფუძველს. სადაზღვევო რეზერვების სწორად განსაზღვრაზეა დამოკიდებული სადაზღვევო კომპანიის შესაძლებლობა, გაისტუმროს ყველა ვალდებულება დამზვევების მიმართ, რომელიც აიღო სადაზღვევო ხელშეკრულებების შესაბამისად.

მსოფლიო პრაქტიკით აღიარებულია სადაზღვევო რეზერვების დაყოფა სიცოცხლის და არასიცოცხლის სადაზღვევო რეზერვებად. პირველ შემთხვევაში სადაზღვევო ხელშეკრულების ვადა წარმოადგენს არანაკლებ ერთ წელს, და მოსარგებლეს გარანტირებული აქვს საინვესტიციო სარგებელი. მეორე შემთხვევაში ხელშეკრულების ვადა ნაკლებია ერთ წელზე და მოსარგებლის საინვესტიციო შემოსავალი გარანტირებული არაა. სადაზღვევო კომპანიები გვთავაზობენ სადაზღვევო მომსახურებას და ახორციელებენ ფულად საშუალებათა მიმოქცევას კაპიტალის ბაზარზე. მიღებული სადაზღვევო შენატანები არის ფულის დაგროვების ერთ-ერთი წყარო. სადაზღვევო რეზერვები

---

[5] 2018 წლის სადაზღვევო ბაზრის სტატისტიკური მაჩვენებლები, დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური.

ეკონომიკაში ინვესტიციის მნიშვნელოვანი შიდა წყაროა. ნორმატიული დოკუმენტების მიხედვით სადაზღვევო რეზერვების განაწილება ხდება დივერსიფიკაციის, დაბრუნებადობის, ლიკვიდურობისა და შემოსავლიანობის პრინციპებით. მსოფლიოში მიღებულია საინვესტიციო რეგულირების მიდგომა, რომელსაც „პიგეონ ჰოლე“ ეწოდა. აღნიშნული მიდგომით სადაზღვევო კომპანიის ხელმძღვანელობამ უნდა დაადგინოს საინვესტიციო პოლიტიკა, სტანდარტები და პროცედურები პორტფელურ ინვესტიციებთან მიმართებაში.[6] სადაზღვევო კომპანიისათვის აუცილებელია საინვესტიციო საქმიანობის განხორციელება, რომ შეინარჩუნოს ფინანსური მდგრადობა. 2016 წელს საქართველოს სადაზღვევო კომპანიების საინვესტიციო შემოსავლებმა შეადგინა 10,1 მლნ ლარი, 2017 წელს 9,2 მლნ ლარი ხოლო 2018 წელს 15,3 მლნ ლარი.[7] მზღვეველის ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნება გულისხმობს აქტივებისა და ვალდებულებების ოპტიმალური რაოდენობისა და ხარისხის შენარჩუნებას, რაც უზრუნველყოფს სადაზღვევო კომპანიას, რომ უწყვეტად განახორციელოს საქმიანობა. სადაზღვევო კომპანიის საქმიანობის მთავარი ნიშანი არის გადახდისუნარიანობა, ანუ კომპანიის შესაძლებლობა დროულად და სრულად შეასრულოს მისი ვალდებულებები არსებული აქტივების საშუალებით.

სადაზღვევო კომპანიის ფინანსურ მდგრადობასა და გადახდისუნარიანობაზე, გავლენას ახდენს შიდა და გარე ფაქტორები. ფინანსური მდგრადობისა და გადახდისუნარიანობის შეფასებისათვის მზღვეველი ვალდებულია დაიცვას მაკონტროლებელი ორგანოების მიერ დაწესებული წესი და ნორმა,განსაზღვროს აქტივებისა და საკუთარ თავზე აღებული ვალდებულებების მოცულობა,ამასთან

---

[6] კაკაშვილი ნ. სადაზღვევო ინვესტიციების განვითარების პრობლემები და პრიორიტეტები, ბიზნესი და კანონმდებლობა, 2008.

[7] 2016, 2017, 2018 წლის სადაზღვევო ბაზრის ფინანსური მაჩვენებლები, დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური.

თავისუფალი აქტივების ფაქტიური მოცულობა არ უნდა იყოს ნაკლები ნორმატიულ მარჟაზე.

2016 წელს საქართველოს სადაზღვევო კომპანიების წმინდა მოგებამ შეადგინა 18,86 მლნ ლარი, 2017 წელს 20,34 მლნ ლარი, ხოლო 2018 წელს 42,19 მლნ ლარი.[8] სადაზღვევო კომპანიის ფინანსური სტაბილურობის შეფასებისთვის შეიძლება გამოვიყენოთ საკუთარ კაპიტალზე უკუგების კოეფიციენტი-ROE, რომელიც გამოითვლება, როგორც წმინდა მოგების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან.2016 წელს სადაზღვევო კომპანიების კაპიტალმა შეადგინა 136,27 მლნ ლარი, 2017 წელს 154,25 მლნ ლარი და 2018 წელს 221,64 მლნ ლარი.[9] ამ მონაცემების მიხედვით საკუთარ კაპიტალზე უკუგების კოეფიციენტი 2016 წელს იყო 13,8%, 2017 წელს 13,2%, ხოლო 2018 წელს 19%. საქართველოს სადაზღვევო კომპანიებს აქვთ საკმაოდ მაღალი უკუგების ნორმა საკუთარ კაპიტალზე, და ამ მაჩვენებლის მიხედვით ისინი უსწრებენ ზოგიერთ განვითარებულ ქვეყნებს. ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენლის 2018 წლის ანგარიშში ასოცირების პროცესის განხორციელების შესახებ მითითებულია, რომ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურმა გააუმჯობესა კანონმდებლობა მესამე პირისადმი ავტომფლობელთა პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის თაობაზე. უკვე მიღებულია კანონი უცხოური ავტომობილების შესახებ, ხოლო კანონი ადგილობრივი ავტომობილების შესახებ მიღების პროცესშია.[10]

---

[8] 2016, 2017, 2018 წლის სადაზღვევო ბაზრის ფინანსური მაჩვენებლები, დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური.

[9] 2016, 2017, 2018 წლის სადაზღვევო ბაზრის ფინანსური მაჩვენებლები, დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური.

[10] ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენლის ანგარიში, საქართველოს მიერ ასოცირების პროცესების განხორციელების შესახებ, ბრიუსელი, 2019 წ.

დასკვნა: სადაზღვევო კომპანიების სტაბილურობის, ფინანსური მდგრადობის და საიმედოობისთვის აუცილებელია ის აკმაყოფილებდეს გარკვეულ სტანდარტებს, რომლებიც შემდეგ მაჩვენებლებში შეიძლება იყოს გამოხატული: სადაზღვევო კომპანიების საწესდებო კაპიტალი, მოზიდული პრემიის საფუძველზე სადაზღვევო რეზერვის შექმნა და მათი ინვესტირება, სადაზღვევო კომპანიის მიერ აღებული ვალდებულებების ზღვარი და გადაზღვევის განხორციელება. ევროკავშირის წარმომადგენლები დადებითად აფასებენ ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული პროცესების შესრულებას.ამასთან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია: გაიზარდოს გადაზღვევის მაჩვენებლები, რადგან ამას ექნება დადებითი გავლენა, როგორც სადაზღვევო კომპანიების წმინდა მოგებაზე ასევე მათ სტაბილურობაზე; სადაზღვევო კომპანიების საინვესტიციო შემოსავლების დივერსიფიკაცია; გაიზარდოს საცალო სექტორში მოზიდული პრემია, რაც ხელს შეუწყობს სადაზღვევო კულტურის ამაღლებას; ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა, რომლებიც გააუმჯობესებს სადაზღვევო კომპანიების ეფექტიანობას და აამაღლებს საზოგადოების კეთილდღეობას.

ლიტერატურა:

1. ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენლის ანგარიში, საქართველოს მიერ ასოცირების პროცესების განხორციელების შესახებ, ბრიუსელი, 2019
2. კაკაშვილი ნ. სადაზღვევო კომპანიების გადაზღვევის ფორმების სრულყოფისათვის ჟურნ. ეკონომიკა და ბიზნესი. ტომი XI. #3,2019
3. კაკაშვილი ნ. სადაზღვევო ინვესტიციების განვითარების პრობლემები და პრიორიტეტები, ჟურნ. ბიზნესი და კანონმდებლობა, 2008;
4. კაკაშვილი ნ. სადაზღვევო კომპანიების ფულადი ნაკადების მართვის პრინციპების რეალიზაცია მისი დაგეგმვისა და პროგნოზირების პროცესში, ჟურნ. ეკონომიკა და ბიზნესი. #2. 2012

5. კაკაშვილი ნ. სადაზღვევო კომპანიების ფულადი ნაკადი: ზემოქმედების ფაქტორები და მისი აქტივიზაციის აუცილებლობა. ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“ #3. 2007
6. საქართველოს კანონი ,,დაზღვევის შესახებ“, თბილისი, 1997
7. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, სადაზღვევო ბაზრის სტატისტიკური და ფინანსური მაჩვენებლები 2016-2018 წლები
8. საქართველოს ტერიტორიაზე სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება N27, 2017 წლის 25 დეკემბერი, ქ. თბილისი.
9. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება N16 მზღვეველის საზედამხედველო კაპიტალის ოდენობის გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ, თბილისი, 2016
10. შათირიშვილი ჯ, კაკაშვილი ნ. სადაზღვევო საქმე. თბ, 2012, გვ. 436;
11. O. jones, Sustainable Finance, Insurance Europe, Annual Report 2018-2019
12. http://insurance.gov.ge/getattachment/Statistics/Aldagi_2017_Geo.pdf.aspx;
13. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo.

საბანკო სისტემაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პრევენციისა და აღკვეთის მიმართულებები
Prevention and Prevention of Illegal Income Legalization in the Banking System

ლიკა ტაბატაძე - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის,
ბიზნესის მართვის ფაკულტეტის მაგისტრი
lika.tabatadze1@gmail.com
Lika Tabatadze - National University of Georgia,
Master of Business Management
lika.tabatadze1@gmail.com

რეზიუმე: ფულის გათეთრება არის პროცესი, რომლის დროსაც ხდება კრიმინალური საქმიანობიდან მიღებული უკანონო შემოსავლი-სათვის კანონიერი სახის მიცემა, მისი რეალური წარმოშობის, მესაკუთრის ან მფლობელის ან/ და ქონებრივი უფლებების დამალვა ან შენიღბვა ან/და ასეთი ქმედების ჩადენის მცდელობა.

საბანკო სისტემაში არალეგალური შემოსავლების და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სრულყოფის მექანიზმების შემუშავება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საბანკო სისტემის ჯანსაღი ფუნქციონირებისთვის, არამედ ქვეყნის სტაბილური ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებისა და ქვეყნის ჩრდილოვანი ეკონომიკის უარყოფითი ეფექტის შემცირების ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად.

საკვანძო სიტყვები: არალეგალური შემოსავალი, ფულის გათეთრება, ფინანსური რისკები, ტერორიზმის დაფინანსება, კლიენტის იდენტიფიკაცია.

Resume. The underlying principle of combating illicit income is the willingness of states to create a combined state-of-the-art system of precedents to facilitate information access to the public sector and to businesses. Georgia is following the recommendations of international

organizations and has begun the process of ensuring free information exchange. To comply with regulatory requirements to combat the legalization of illicit income, reporting entities need to have additional systems in place to ensure the adequacy and speed of report production and delivery.

Keywords: illegal income, money laundering, financial risks, terrorist financing, client identification

შესავალი: ეს პროცესი დღითიდღე საერთაშორისო ხდება და ამისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელია ისეთი მზარდი ეკონომიკის მქონე ქვეყნები, რომლებიც ტრანსფორმაციის პროცესში არიან და სადაც უცხოური ინვესტიციებისათვის მიმზიდველი გარემოა. მსგავს ქვეყნებს განეკუთვნება საქართველოც. ამ მოცემულობიდან გამომდინარე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბანკში ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსების და ბანკისთვის საზიანო, კანონით დასჯადი სხვა ქმედებების გამოვლენისა და აღკვეთის ძლიერი სისტემების არსებობა.

ძირითადი ნაწილი. ფულის გათეთრების ზრდადი ტენდენცია მნიშვნელოვნად განვითარდა ბოლო წლების განმავლობაში. მსგავსი ტემპით განვითარებამ გამოიწვია საზოგადოების შეშფოთება ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებით. სხვადასხვა ქვეყნების მთავრობები ცდილობენ კონტროლი გაუწიონ ნაღდი ფულის გადაადგილების პროცესს და გამოავლინონ მოქმედებათა უჩვეულო ნიმუშები. ფინანსური სექტორის გამოყენების გზით ხელისუფ-ლებები ცდილობენ ადგილობრივი ან გლობალური მასშტაბით გამოავლინონ ორგანიზებული დანაშაულის ნიშნები და ცდილობენ შექმნან საერთო სისტემა, სადაც აკუმულირდება კონკრეტული ქეისები და სქემები, რათა გაიოლდეს დანაშაულის გამოვლენა, მისი მოქმედების სხვადასხვა დონეზე.

ნაღდი სახით თანხების მიმოქცევა ეკონომიკაში იმდენად უკონ-ტროლო ხასიათისაა, რომ ქვეყნებისთვის პრობლემასთან ბრძოლის

საშუალებად იქცა საბანკო სისტემაში ამ თანხების ბრუნვის გადატანა. ამ გზით ცდილობენ გააიოლონ დანაშაულებრივი სქემების გაანალიზების და გამოვლენის პროცესი. ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი, რომელიც მკაცრად კონტროლდება არის შეუსაბამო სახსრების გადაადგილება საბანკო სისტემაში, მათი წარმოშობის წყაროს შენიღბვის მიზნით, რათა მოხდეს ამ თანხების თავისუფლად გამოყენება.

თავდაპირველად კანონმდებლობის უმეტესობა მიმართული იყო ნარკოტრაფიკის წინააღმდეგ ბრძოლასთან, რადგან ძირითადად არალეგალური შემოსავალი აკუმულირდებოდა ამ ბიზნესში. შემდგომი განვითარების ეტაპზე მიღებული შემოსავალი მიმართულ იქნა იარაღით ვაჭრობის და ტერორიზმის დაფინანსების ხელშესაწყობად, რამაც განაპირობა ახალი, სიტუაციაზე მორგებული საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბება.

ადრე თუ მხოლოდ ნარკობიზნესი და იარაღით ვაჭრობა ითვლებოდა არალეგალურ საქმიანობად, დღეს ნებისმიერი საგადასახადო გადაცდომა, რომელსაც ბიზნესი ხარჯის შესამცირებლად იყენებს, განიხილება ფინანსურ დანაშაულად და ფულის გათეთრებად. კლიენტზე ორიენტირებული ბანკების სტრატეგიული პრინციპია - **„იცნობდე შენს კლიენტს“**, რაც ბანკის ბიზნეს საქმიანობის განუყოფელი ნაწილია და კლიენტების მხრიდან ბანკისადმი ნდობის ხარისხის გაზრდას ემსახურება.

„იცნობდე შენს კლიენტს“ პროცედურებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბანკის უსაფრთხოებისა და საიმედოობის უზრუნველყოფასთან მიმართებაში და დაკავშირებულია არა მხოლოდ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთასთან: KYC პროცედურები შეადგენს რისკის მართვის აუცილებელ ნაწილს; ამცირებს ბანკის მიერ ფინანსური დანაშაულის მექანიზმად ან მსხვერპლად ქცევის და შესაბამისად ბანკის რეპუტაციისთვის

ზიანის მიყენების რისკებს; KYC პროცედურები ხელს უწყობს ბანკის რეპუტაციისა და ერთიანობის დაცვას.

KYC პროცედურები მოიცავს შემდეგ ძირითად ელემენტებს: კლიენტების მიღების პროცედურა; კლიენტის იდენტიფიკაცია და ვერიფიკაცია; რისკის მართვა; ინფორმაციის/დოკუმენტაციის შენახვა. ბანკის კლიენტების იდენტიფიკაციისა და შემოწმების პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის ბრძანებას №4 „კომერციული ბანკების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავების და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის გადაცემის წესის შესახებ“ და საქართველოს სხვა ნორმატიულ აქტებს.

ბანკმა არა მხოლოდ უნდა შეამოწმოს მისი კლიენტების ვინაობა, არამედ მონიტორინგიც უნდა გაუწიოს ანგარიშებზე არსებულ ბრუნვას, რათა განსაზღვროს ის ტრანზაქციები, რომლებიც არ შეესაბამება აღნიშნული კლიენტისათვის მოსალოდნელ ან მისთვის ჩვეულ ტრანზაქციებს ან ანგარიშის ტიპს.

ბანკები იყენებენ რისკზე დამყარებულ მიდგომას, რაც გულისხმობს სისტემურ მიდგომას რისკების შეფასებისადმი და მოიცავს პოლისების, პროცედურებისა და სხვადასხვა სახის კონტროლის არსებობას რისკების დროული გამოვლენისა და შეფასების, რისკების შემცირების და რისკების მონიტორინგის მიზნით. რისკის დონის მიხედვით კლიენტთა იდენტიფიცირება შეიძლება მოხდეს მარტივი, სტანდარტული და გაძლიერებული მეთოდების გამოყენებით.

თითოეული კლიენტის (ან კლიენტების ჯგუფის) შეფასებისას ბანკი იყენებს რისკზე დამყარებულ მიდგომას (Risk Based Approach)

და ახდენს მათ სხვადასხვა რისკის კატეგორიებში კლასიფიცირებას. ეს მიდგომა ბანკს საშუალებას აძლევს გამოიყენოს პროპორციული ზომები და რესურსები უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების მართვისა და მონიტორინგის დროს. ბანკი კლიენტის რისკის ინდივიდუალური შეფასებისას ითვალისწინებს მის ვინაობას, რეპუტაციას, წარმომავლობის ქვეყანას, ქვეყანას, რომელთანაც კლიენტი დაკავშირებულია ბიზნეს ინტერესებით, ფინანსური სახსრების წარმომავლობას, კლიენტის საქმიანობის ბუნებას, მის მიერ განხორციელებული ტრანზაქციების ტიპს, სირთულეს და მოცულობას.



სქემა 1. კლიენტის კლასიფიკაცია რისკის კატეგორიების მიხედვით[11]

კლიენტის რისკის კლასის განსაზღვრა ხდება საქმიანი ურთიერთობების დამყარების მომენტში. კლიენტის საწყისი რისკ კატეგორია განისაზღვრება ავტომატურად კლიენტთან საქმიანი

[11] Varun Chandna, The Curious Case of Black Money and White Money: Exposing the Dirty Game of Money Laundering! 2017.

ურთიერთობის დამყარებისას. საწყისი რისკის კლასის გადახედვა ხდება მთელი საქმიანი ურთიერთობის პერიოდში როგორც რეგულარულად, ასევე სპონტანურად და იცვლება რისკთან დაკავშირებული ნებისმიერი ფაქტორის ცვლილების შესაბამისად.

ნახაზი 2. საქმიანი ურთიერთობის დამყარებისას კლიენტების კლასიფიკაცია რისკების მიხედვით[12]

კლიენტები კლასიფიკაცია წარმეობს ქვემოთ ჩამოთვლილი რისკის კატეგორიებიდან ერთ–ერთში:

---

[12] IBRD /The World Bank, Combating Money Laundering and the Financing of Terrorism, Washington, 2009.

საქმიანი ურთიერთობის დამყარებისას კლიენტების კლასიფიკაცია რისკების მიხედვით ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით.

საწყისი რისკის კლასის გადახედვა, გარდა ზემოთჩამოთვლილი რისკ ფაქტორებისა, დამატებით ხდება ისეთი კრიტერიუმების მიხედვით, რომელიც საჭიროებს ინდივიდუალურ მიდგომას, გაანალიზებას ან დაკავშირებულია ისეთ რისკ ფაქტორებთან, როგორიცაა (იხ. ნახ. 2).

დასკვნა. დასკვნის სახით შესაძლებელია აღვნიშნოთ, რომ მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია (The Financial Action Task Force - FATF, MONEYVAL, The Egmont Group, The Wolfsberg Group და სხვა), რომელიც იბრძვის არალეგალური შემოსავლების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ, შეიმუშავებს რეკომენდაციებს წევრი და არაწევრი ქვეყნებისთვის. რეკომენდაციების დიდი ნაწილი უშუალოდ ეხება საბანკო სექტორის რეგულირებას უკანონო შემოსავლებთან და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის კუთხით, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბანკო სისტემა ეკონომიკის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ფულადი მასების ბრუნვით და არამხოლოდ. ქვეყნების პოლიტიკა უკანონო შემოსავლების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლაში თითქმის ერთგვაროვანია. სახელმწიფო საკანონმდებლო აქტები და ფინანსური საზე-დამხედველო პოლიტიკა ძირითადად მსგავსი მიმართულებით ვითარდება.

კლიენტების და ტრანზაქციების შემოწმების პროცესში ბანკები იყენებენ რისკზე დამყარებულ მიდგომას, რაც გულისხმობს სისტემურ მიდგომას რისკების შეფასებისადმი და მოიცავს პოლისების, პროცედურებისა და სხვადასხვა სახის კონტროლის არსებობას რისკების დროული გამოვლენისა და შეფასების, რისკების

შემცირების და რისკების მონიტორინგის მიზნით. რისკის დონის მიხედვით კლიენტთა იდენტიფიცირება შეიძლება მოხდეს მარტივი, სტანდარტული და გაძლიერებული მეთოდების გამოყენებით.

მსოფლიო ეკონომიკის მასშტაბურობიდან გამომდინარე, დღევანდელ დღეს მეტად რთულია ეკონომიკის სათანადო კონტროლი, ლეგალური და არალეგალური საქმიანობის და შემოსავლების მკაფიო გამიჯვნა. ქვეყნების სპეციფიკიდან გამომდინარე, ტერორიზმის და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემებიც ასევე საკმაოდ აქტუალურია, რაც განაპირობებს შესაბამისი მაკონტროლებელი, საზედამხედველო და მარეგულირებელი ინსტიტუტების შექმნას და გამართულ ფუნქციონირებას. თითოეული ქვეყანა ამ მიმართულებით საკმაოდ მკაცრი სტანდარტებით და პროცედურებით ხელმძღვანელობს, რათა თავიდან იქნას აცილებული ჩრდილოვანი ეკონომიკის უარყოფითი გავლენა ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურობაზე ფა შემდგომ განვითარებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ასანიძე ს., უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის კრიმინოლოგიური დახასიათება, დისერტაცია. თბილისი, 2012.
2. მიქელაძე ა. ფულის გათეთრების საერთაშორისო პრობლემა და საქართველოს გამოწვევები, დისერტაცია. თბილისი, 2018.
3. წერეთელი კ., ხუბულური თ., შალამბერიძე ა. ფულის გათეთრების პრევენციული ზომების თაობაზე. სახელმძღვანელო ადვოკატებისთვის. თბილისი, 2015.
4. IBRD /The World Bank, Combating Money Laundering and the Financing of Terrorism, Washington, 2009.
5. Varun Chandna, The Curious Case of Black Money and White Money: Exposing the Dirty Game of Money Laundering! 2017.

Туристические места в Баку
Tourist places in Baku

Саломе Мгебришвили- Факультет бизнес администрирования
Грузинский Национальный Университет
salome.mgebbrishvili@outlook.com

Salome Mgebrishvili - Faculty of Business Administration
Georgian National University
salome.mgebbrishvili@outlook.com

Резюме: Баку столица Азербайджана, мы все знаем, что этот город так стремительно меняется, что он превратился в современный мегаполис. Каждый турист знает о местах, как Девичья башня, Дворец Ширваншахов, Центр Гейдара Алиева, Пламенные башни и все бывали в древней части города, но я ознакомлю вас с другими пунктами о которых вы можете знать не много. **Азербайджанский Национальный Художественный Музей-** представляет искуство Азербайджана, Заподной Европы, России и Востока. Коллекция искусства отражает исторические этапы от древних времён до современности.

Музей Азербайджанской Литературы- имени Низами Гянджеви, привлекает внимание всех, из-за голубого майолика на фасаде, где находятся памятники шести выдающимся представителям азербайджанской литературы. **Азербайджанский национальный исторический музей** – если вы хотите узнать о древнем городе, увидеть его самые знаменитые артифакты и услышать истории страны. **Музей археологии и Этнографии** –если вас интересует древняя история. **Музей каменной летописи**– создан Фондом Гейдара Алиева. Многие виды каменной пластики представленны в музее. **Янардаг (огненная гора)-** таинственный склон с непрерывно горящим естественным огнём.

Summary: Baku is the capital of Azerbaijan, we all know that this city is changing so rapidly that it has become a modern metropolis. Every tourist knows about places like the Maiden's Tower, the Shirvanshahs Palace, the Heydar Aliyev Center, the Flame Towers and everyone has been to the ancient part of the city, but I will introduce you to other points about which you may not know much. Azerbaijan National Art Museum - represents the art of Azerbaijan, Western Europe, Russia and the East. The art collection reflects the historical stages from ancient times to the present.

The Museum of Azerbaijan Literature named after Nizami Ganjavi attracts the attention of everyone because of the blue majolica on the facade, where there are monuments to six prominent representatives of Azerbaijani literature. Azerbaijan National Historical Museum - if you want to learn about the ancient city, see its most famous artifacts and hear the country's history. Museum of Archeology and Ethnography - if you are interested in ancient history. Museum of Stone Annals - created by the Heydar Aliyev Foundation. Many types of stone plastic are presented in the museum. Yanardag (fiery mountain) - a mysterious slope with continuously burning natural fire.

Баку столица Азербайджана, мы все знаем, что этот город так стремительно меняется, что вы даже можете пропустить момент, когда на месте Баку вырастит второй Дубай. Приморский булварь- это главное место в Баку, длинной 25 километров, любимая часть города не одного поколения бакинцев. Здесь вы увидете: Колесо обозрения как в Лондоне, торговый центр как оперный театр в Сиднее, кусочек Венеции. Все эти сходства не случайны, власти хотят, что все национальности приезжали в Баку и чувствовали себя как дома. Мы также знаем места как Девичья башня, Дворец Ширваншахов, Музей Ковра, Центр Гейдара Алиева, Пламенные башни и все бывали в древней части города Баку, но сегодня я хочу познакомить вас с

другими достопримечательностями о которыйх вы можете знать не много.

Азербайджанский Национальный Художественный Музей- этот великолепный музей представляет искуство Азербайджана, Заподной Европы, России и Востока (Иран, Афганистан, Турция, Япония, Китай, Индия, Египет и Центральная Азия). Коллекция искусства отражает исторические этапы от древних времён до современности.

Представлённая на первом этаже западноевропейская коллекция включает в себя представители художественных школ Италии, Фландрии, Голландии, Германии и Франции. Вы встретите здесь иссуства известных людей как Рафаеля Санти, Леодардо Бассано, Джованни Франческо Барбьери, Франческо Солимена, Фридриха Шмитта и другие живописцы и художники-графики XVI-XIX веков. Коллекция Русского музея на том же этаже представлена работами известных художников и скульптур XVIII-XX веков.

На втором этаже вы встретите коллекцию Азербайджанского искуства, а также найденны во время археологических раскопок керамические посуды, украшенные архаичными орнаментами и античными глиняными статуетками, декоративные светильники, керамическая плитка эпохи сельджуков и т.д. На третьем этаже проводятся международные и республиканские выставки.

Азербайджанский Национальный Художественный Музей является одним из влиятельных музеев мира.

Следующий музей, который вы должны посетить это – **здание Нацианального музея Азербайджанской Литературы** имени Низами Гянджеви, гениального поэта и мыслителя . Он находится в центре древнего Баку и привлекает внимание всех, из-за голубого майолика на фасаде, где находятся памятники шести выдающимся представителям азербайджанской литературы – Физули, Вагифу, М.Ф. Ахундову, Натавану, Дж. Мамедгулуазаде и Дж. Джаббарлы. Здесь вы увидете древние рукописи, образцы материальной культуры,картины,

ковры, уникальные книги, изысканные миниатюры, рукописи знаменитых каллиграфов, нумизматика, памятные вещи писателей, документальные фотографии, скульптуры, карты, предметы прикладного исскуства и ремесла. На инновационной выставке гости музея могут познакомится с ценными аудио-видео материалами, различными фильмами, фрагментами спектаклей, музыкальными произведениями известных азербайджанских композиторов и поэтическими примерами в исполнении популярных актёров. Вогруг этого музея есть красивый парк с несколькими фонтанами, вы можете отдохнуть и насладится музыкой рызных фонтанов и птиц.

Если вы хотите узнать о древнем городе, увидеть его самые знаменитые артифакты и услышать истории Азербайджана, то вы не найдёте лучшего места, чем **Азербайджанский национальный исторический музей** в Баку.

Само здание является памятником культуры: роскошный дворец был построен в конце 19-го века, Гаджи Зейналабдином Тагиевым, известным филантропом и меценатом. После обнаружения нефти он стал самым богатым человеком в России, и он построил самый огромный дворец, чтобы жить со своей второй женой. Однако, когда советские войска вьехали в Баку в 1920 году, он убежал, и его дворец был конфискован как государственная собственность и превращён в музей, которым он является сегодня. Впервые мызей был открыт для публики в 1921 году, и с тех пор более 300 000 экспонатов стали частью коллекции. Среди них важные документы, которые формировали историю Азербайджана, оружие, ювелирные изделия, одежда, изысканные ковры ручной работы, старинные книги и многое другое. Весь первый этаж посвещён более древней истории, где представленны предметы, найденные на археологических раскобках и на дне Каспийского Моря. На втором этаже находятся несколько комнат сохранившегося дворца, а также множество экспонатов и документов из современной истории. Экспонаты разделены на 6

разделов: древние и средневековые века, новейшая история, современная эпоха, валюты, этнография, а также отдел науки и образование. В этом музее также имеется лаборатория рестовраций и иследовательский комитет по разроботке и введению коллекции.

Музей археологии и Этнографии – этот музей играет важную роль в представлении культуры и истории Азербайджана и если вас интересует древняя история, вы можете посетить этот музей. Он был основан 1976 году и носит имя азербайджанского архитектора Микаила Гусейнова. Музей состоит из двух частей. В разделе этнографии представлены материалы, относящиеся к 19-му и начало 20-ого века, а также к жизни азербайджанского народа.

В музее собранны ценные археологические памятники, экспонаты, артефакты археологами. Экспонаты обновляются каждый год и вы можете познакомится с объектами материальной культуры, найденными в Азыхской пещере, Гобустане, Камилтепе, Гойтепе, кургане Союббулаг, самом древнем кургане на южном Кавказе, в Карабахском кургане и других древних поселениях.

Некоторые древние предметы связанны с культурой Гуручая. Предпологается, что жители пещеры Азых раннее жили в окрестностях Гуручая, позже переехали в пещеры и привезли с собой предметы утвари. Здесь также представлены элементы культыры Шулавери-Шомутепин, включённые в список древних археологических культур ЮНЕСКО и экспонаты относящиеся к средневековью.

Музей каменной летописи– на территории Площади государственного Флага создан Фондом Гейдара Алиева. Здание, в котором распологается музей, было построенно в 1901 году братъями Сименс и имело важное значение. Здесь находилось первая бакинская гидроэлектростанция, снабжавшая электричеством судостроительный завод, нефтяные вышки и жилые дома. В 2015 старинную постройку отремантировали и разместили в ней Музей каменной летописи.

Многие виды каменной пластики представленны в музее . Так, на первом этаже в полумраке разместились экспонаты привезённые из заповедников Гобустан и Гала. На камне установленному у входа зал, изображены две женщины и мужчина- скрестив руки на груди, они поклоняются небесным светилам – солнцу и луне. С древними экспонатами установленна современная композиция скульптора Гусейна Хагверди под названием << Артерия >>. Второй этаж музея – просторное светлое помещение с высокими потолками и широкими окнами. Здесь в основном собранны надгробные камни средних веков, найденные в Шипван-Абшеронской зоне. По надгробию можно было определить: если захоронена женщина, то на горизонтальной плете изображали зеркало, а если мужчина, то стрелы. А еще на нанесённым рисункам определяли професию, чем богаче был человек, тем красивее и интенсивнее наносились орнаменты на камень.

В последнем, я бы хотела с вами поделится и рассказать о таинственном склоне с непрерывно горящим естественным огнём, место которое называют **Янардаг (огненная гора).**

В 13-ом веке, когда Марко Поло посетил бывшый персидский город Баку, он упомянул многочисленные загадочные пламя, которые можно было найти по всему региону в разных местах полуострова Абшерон. Эти огни дали Азербайджану прозвище <<Страна Огня>>. Даже через пять веков после Марко Поло, французский писатель Александр Дюма стал свидетелем естественного огня в таинственном огненном храме. Эти пламя поразили и напугали людей в истории, и неудивительно, что именно непрерывные горящие огни, сыграли решающуюся роль в создании зороастизма- мистической веры, вокруг церемониальных культов огня, которые появились в регионе около 2000 лет назад. 10-метровая стена огня, которая никогда не гаснет, непрерывно горит вдоль края холма, что естественно впечетляющее ночью, когда туристы и местные жители смотрят на огонь из соседней чайханы.

Литература:

1. http://museu.ms/museum/details/17332/azerbaijan-national-museum-of-art
2. https://nizamimuseum.az/en/
3. https://nizamimuseum.az/en/content/56
4. https://www.advantour.com/azerbaijan/baku/history-museum.htm
5. https://www.azernews.az/culture/135274.html
6. https://heydar-aliyev-foundation.org/en/content/view/136/3961/Stone-Chronicle-Museum-
7. https://www.atlasobscura.com/places/fire-mountain-yanar-dag

მცირე ბიზნესის პრობლემები და მათი საქმიანობის შეჩერების მიზეზები კახეთის რეგიონში

Problems of Small Businesses and Reasons for Suspending Their Activities in Kakheti Region

მაია ალადაშვილი - ასოცირებული პროფესორი,
ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
maiaaladashvili@yahoo.com
ნანული ხიზანიშვილი - ასოცირებული პროფესორი,
ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
nanuli.xizanishvili@tesau.edu.ge

Maya Aladashvili - Associate Professor,
I. Gogebashvili Telavi State University
maiaaladashvili@yahoo.com
Nanuli Khizanishvili - Associate Professor,
I. Gogebashvili Telavi State University,
nanuli.xizanishvili@tesau.edu.ge

რეზიუმე: მცირე ბიზნესი არის ეკონომიკის ყველაზე მობილური სექტორი, რომელიც ასრულებს მნიშვნელოვან დამაბალანსებელ როლს და აერთიანებს ქვეყნის შრომითი რესურსების მნიშვნელოვან ნაწილს. იგი არის ეკონომიკურად მოწინავე ქვეყნების მეწარმეობის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ფორმა. მცირე ბიზნესს ხშირად ეკონომიკის ქვაკუდხედსაც უწოდებენ.

ბიზნესის ეს ფორმა მეტ-ნაკლებად განვითარებულია კახეთის რეგიონშიც, თუმცა აღინიშნება მთელი რიგი პრობლემები მათ საქმიანობაში, რაც ხელს უშლის მათ ფუნქციონირებას. ყურადღება მისაქცევია ის ფაქტი, რომ როგორც კახეთის შემოსავლების სამსახურიდან მოწოდებული ინფორმაცია ცხადყოფს, მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭება 2018 წლიდან 2019 წლამდე თითქმის განახევრდა, (1079- დან 526-მდე), ხოლო სტატუსის შეჩერების რიცხვი წლიურად დაახლოებით 70-ს შეადგენს.

ნაშრომის მიზანია, გავაანალიზოთ კახეთის რეგიონში მცირე ბიზნესის განვითარების პრობლემები და გავარკვიოთ მცირე მეწარმეების საქმიანობის შეჩერების მიზეზები, რომელიც როგორც რეგიონის, ასევე ქვეყნის ეკონომიკის შემაფერხებელი გარემოება შეიძლება გახდეს.

საკვანძო სიტყვები: მცირე ბიზნესი; კახეთი; პრობლემები; სტატუსი; შეჩერება.

Abstract: Small business is the most mobile sector of the economy, playing an important balancing role and combining a significant part of the country's labor resources. It is one of the most developed forms of entrepreneurship in economically advanced countries. Small businesses are often referred to as the cornerstone of the economy. This form of business is more or less developed in the Kakheti Region, although there are a number of problems that impede their functioning. It is noteworthy that the information provided by the Kakheti Regional revenues servise shows that the granting of small business status has almost halved from 2018 to 2019 (from 1079 to 526), with the number of status suspending approximately - 70 per year. The purpose of this paper is to analyze the problems of small business development in the Kakheti Region and find out the reasons for the suspension of the activities of small entrepreneurs, which may become a hindrance to the economy of the region and the country.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის, რადგან მათი წილი მსოფლიო ბაზარზე 50 პროცენტზე მეტს შეადგენს, მათი საქონელი და მომსახურება „უხილავი“ და ნაკლებად შესამჩნევია, ახასიათებთ გამძლეობისა და სიცოცხლისუნარიანობის მაღალი დონე, გააჩნიათ მნიშვნელოვანი საექსპორტო წილი, არიან გლობალური კონკურენტები და დიდი წვლილი შეაქვს ქვეყნის წარმატების ბალანსში.

საქართველოს სტატისტიკური სამსახურის მონაცემების მიხედვით, 2019 წლისთვის საქართველოში მთელი ეკონომიკური აქტიურობის 80-85 პროცენტი მსხვილ ბიზნესზე მოდის. ამავე

პერიოდის მონაცემების მიხედვით, რეგისტრირებული საწარმოთა მხოლოდ 23 % აგრძელბს ფუნქციონირებას, დანარჩენ 77%-ს შეჩერებული აქვს სტატუსი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში მცირე ბიზნესი კარგად განვითარებული არ არის.

თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აღნიშნულ ბიზნესს ჩვენს ქვეყანაშიც სერიოზული შემოსავლები მოაქვს და თუ ქვეყნის მოსახლეობა უკიდურესი გაჭირვების მიუხედავად, მაინც ახერხებს არსებობას, ესეც ამ ტიპის ბიზნესის დამსახურებაა. მოსახლეობის დიდი ნაწილი სწორედ მცირე ბიზნესშია დასაქმებული. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო ბიზნესს საქართველოსათვისაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ მცირე ბიზნესი დადებითი შედეგების მომტანია და სახელმწიფო მეტ-ნაკლებად ცდილობს ხელი შეუწყოს მის განვითარებას, საქართველოსა თუ მის ცალკეულ რეგიონებში მაინც არსებობს მცირე ბიზნესის განვითარების ხელშემშლელი მნიშვნელოვანი პრობლემები.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ კახეთს აქვს საკმაოდ დიდი პოტენციალი იმისთვის, რომ მცირე ბიზნესი წარმატებით განხორციელდეს და მეწარმეებმა მიიღონ მაღალი მოგება. მაგალითად:

✓კახეთის რეგიონი მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, რომლებიც რეგიონის მთელ ტერიტორიაზე თანაბრადაა განაწილებული;

✓სხვა რეგიონებთან შედარებით ეს რეგიონი გამოირჩევა სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის განკუთვნილი ტერიტორიული სიმრავლით, რაც განაპირობებს აგრობიზნესის განვითარების პერსპექტივებს.

✓მეტ-ნაკლებად განვითარებულია ინფრასტრუქტურა;

✓რეგიონში ისტორიული ძეგლების სიმრავლის, ლანდშაფტის მრავალფეროვნების და დედაქალაქთან სიახლოვის გათვალისწინებით, ძალიან მაღალია ტურისტული ბიზნესის სხვადასხვა სახეობის (აგრო, ღვინის, სათავგადასავლო და ა.შ.) განვითარების პერსპექტივა;

✓რეგიონში აღინიშნება დაუსაქმებელი სამუშაო ძალის სიმრავლე;

ის ფაქტი, რომ რეგიონში არსებობს მცირე ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორები არ გამორიცხავს პრობლემების არსებობას. კახეთის რეგიონში მცირე ბიზნესის განვითარების გზაზე უმნიშვნელოვანესი პრობლემები გამოიკვეთა.

ჩვენს მიერ კვლევის მეთოდებად გამოყენებული იქნა რესპოდენტებთან პირისპირ ინტერვიუს და ანკეტირების მეთოდი. გამოიკითხა 55 მოქმედი და 36 შეჩერებული სტატუსის მქონე მცირე და ინდივიდუალური მეწარმე.

კვლევის მიზანი იყო დაგვედგინა როგორც მოქმედი ბიზნესების საქმიანობის ძირითადი პრობლემები, ასევე მცირე ბიზნესის შეჩერების მიზეზები.

გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა **მოქმედი** მცირე ბიზნესების შემდეგი პრობლემები:

1. გამოკითხულთა 99 % უმთავრეს პრობლემად ოფიციალური საბიუჯეტო გადასახადების სიდიდესა და რაოდენობას ასახელებს.

2. გამოკითხულ მცირე საწარმოთა 89 % პრობლემებს აწყდებიან ბანკებთან ურთიერთობის დროს, რაც ძირითადად გამოიხატება ბანკების მხრიდან კრედიტის გაცემაზე უარით, ან სირთულით და მაღალი საპროცენტო განაკვეთებით;

3. გამოკითხულთა 62 % უმნიშვნელოვანეს პრობლემად მაკროეკონომიკურ ფაქტორებს ასახელებს, როგორებიცაა ინფლაცია, ეროვნული ვალუტის არასტაბილურობა და ფასების ცვლილება.

4. კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემად გამოკითხულთა 88% მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობის შემცირებას ასახელებს, რის გამოც საგრძნობლად შეუმცირდათ შემოსავლები.

5. ასევე მნიშვნელოვან პრობლემად გამოკითხულთა 78% ასახელებს კონკურენციას. შედარებით მსხვილი ბიზნესები უფრო ადვილად და მცირე დანახარჯებით უმკლავდებიან მიმდინარე წინააღმდეგობებს, ვიდრე მცირე მეწარმეები, რაც იწვევს ფასთა სხვაობას.

რაც შეეხება **შეჩერებულ** მცირე ბიზნესებს კახეთის რეგიონში, გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები და შეჩერების მიზეზები:

1. გამოკითხულთა 100 %-ს მათი საქმიანობის არც ერთ ეტაპზე არ გააჩნდა ბიზნეს გეგმა, რის მიხედვითაც უნდა განეხორციელებინა თავისი ბიზნეს საქმიანობა.

2. გამოკითხულთა 81%-ს არ აქვს მათი ბიზნესის შესაბამისი განათლება და გამოცდილება.

3. გამოკითხულთა 92 %-ს არ აქვს გავლილი არავითარი სასწავლო კურსი ბიზნესის მართვის, მარკეტინგის, საბუღალტრო აღრიცხვის და ასე შემდეგ.

4. გამოკითხულთა 72 %-მა იცოდა, რომ დაქირავებული ბუღალტერი ადგენდა მხოლოდ დეკლარაციას, რომელსაც შესაბამისად არც ეცნობოდა, საუბარი ზედმეტია მათ ანალიზზე და დინამიკაზე.

5. გამოკითხულთა 47%-მა არ იცოდა, რა სახის საბიუჯეტო გადასახადებს იხდიდა და რა პერიოდულობით.

6. გამოკითხულთა 65%-მა ბიზნესის შეჩერების მიზეზად შემოსავლების ნაკლებობა დაასახელა.

29%-მა - გადასახადების, კერძოდ დღგ-ს თანხა დაასახელა (ძირითადად სავაჭრო ობიექტებმა, კერძოდ ის, რომ საქონელზე ფასების გასამმაგების პირობებშიც კი, მაგალითად სიგარეტზე და სხვა, დღგ-ს ზღვარი ისევ 100000 ლარია), ხოლო 6%-მა ბანკის სესხზე ხელმისაწვდომობის დაბალი დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთი დააასახელა.

ჩვენს მიერ განხორციელებული კვლევის შედეგად აღმოჩნდა შემდეგი ძირითადი პრობლემები, რომელიც აფერხებს მცირე ბიზნესის განვითარებას კახეთის რეგიონში:

- მაღალი გადასახადები და რთულად გასაგები საგადასახადო კანონმდებლობა.
- კონკურენცია (მონოპოლიები);
- გასაღების ბაზრის სიმცირე;
- შესაფერისი კვალიფიკაციის კადრების ნაკლებობა;
- ბანკის სესხის რთულად მისაწვდომობა და მაღალი საპროცენტო განაკვეთი;
- საგრანტო პროგრამების სიმცირე;
- მეწარმეთა განათლების დაბალი დონე ბიზნესის სფეროში.

აღნიშნული პრობლემები იწვევს კახეთის რეგიონში და ზოგადად საქართველოს ეკონომიკაში ისედაც ნაკლები რაოდენობის მცირე ბიზნესის ხვედრითი წილის კიდევ უფრო შემცირებას, გარდა ამისა, საქმიანობის შეჩერება ფაქტიურად ბიზნესის გაკოტრებას ნიშნავს, რადგან შეჩერება უფრო იოლია როგორც ფინანსურად, ისე ტექნიკურად, ვიდრე გაუქმება. შეჩერებული სტატუსი აღიდგინა მხოლოდ რამოდენიმე მათგანმა, ხოლო გაკოტრებული ბიზნესი, როგორც წესი, პრობლემად გადაიქცევა არა მხოლოდ აღნიშნული ბიზნესისთვის, არამედ მათი კრედიტორებისთვისაც, (ბანკები, მომწოდებლები და სხვა), რომელთა რაოდენობა და კრედიტორული დავალიანების მოცულობა არც თუ ისე მცირე შეიძლება იყოს.

დასკვნა: ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა ორი მნიშვნელოვანი და საყურადღებო ფაქტი:

1.კახეთის რეგიონში მოქმედი და შეჩერებული ბიზნესების მფლობელების პასუხები საქმიანობასთან დაკავშირებულ შეკითხვებზე თითქმის იდენტურია, რაც ნიშნავს, რომ არცერთი მცირე ბიზნესის საქმიანობა არ არის გარანტირებულად სტაბილური და მუდმივად მოსალოდნელია მათი საქმიანობის შეჩერებაც.

2.რეგიონის თითქმის ყველა მცირე მეწარმე უკმაყოფილოა ბანკების, გადასახადების, სახელმწიფო პოლიტიკის მიმართ და აქვთ განცდა, რომ მათ არავინ უსმენს და ეხმარება პრობლემების გადაჭრაში. სახელმწიფოს როლს ისინი ხედავენ მხოლოდ აუდიტორული შემოწმების, გადასახადების ამოღების და ჯარიმების გადახდევინების კუთხით.

იმისათვის, რომ ნაწილობრივ მაინც გადაიჭრას რეგიონში არსებული პრობლემები და თავიდან იქნას აცილებული ეკონომიკაში მცირე ბიზნესის ხვედრითი წილის კიდევ უფრო შემცირება, მიგვაჩნია განხორციელდეს შემდეგი:

1.ბიზნესის რეგისტრაციისას აუცილებელ მოთხოვნად იქცეს ბიზნეს გეგმის არსებობა;

2.ასევე აუცილებელ მოთხოვნად იქცეს მეწარმის მინიმალური კომპეტენცია, კვალიფიკაცია ან გამოცდილება მოცემულ ბიზნეს საქმიანობაში;

3.პერიოდულად განხორციელდეს მცირე მეწარმეთა გადამზადება ბიზნესის მართვის, საბუღალტრო აღრიცხვის, გადასახადების და საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებების გაცნობის მიზნით;

4.რეგიონებში შეიქმნას მცირე მეწარმეთა ასოციაციები, სადაც გარკვეული პერიოდულობით მეწარმეები შეძლებენ თავიანთი პრობლემების შესახებ ხმა მიაწვდინონ მათ, ვისაც ხელეწიფება ამ პრობლემების გადაწყვეტა;

5.სახელმწიფომ უფრო დიდი ყურადღება დაუთმოს ამ ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვან სექტორს და დააწესოს გარკვეული შეღავათები როგორც გადასახადების კუთხით, ასევე საბანკო სესხებზე ხელმისაწვდომობის და შეღავათიანი საპროცენტო განაკვეთების დაწესების კუთხით;

6.გაიზარდოს მცირე მეწარმეთათვის გრანტების ოდენობა დახელმისაწვდომობა.

ზემოთჩამოთვლილი ღონისძიებების თანამიმდევრული განხორციელება ხელს შეუწყობს რეგიონებში მცირე ბიზნესის განვითარებას, რაც შესაბამისად მეტ შემოსავლებს, მეტ დასაქმებულ ადამიანს და განვითარებულ ეკონომიკას ნიშნავს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბესაძე, რ., კაკულია, ე., (2008). მცირე ბიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი საქართველოში. თბილისი: პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი;
2. პაჭკორია, შ. (2011). მცირე ბიზნესის ადგილი და როლი საბაზრო ურთიერთობათა სისტემაში. ეკონომიკა, 5-6: 142-146;
3. კახეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებში;
4. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის;
5. https://issuu.com/mrdigovge/docs/kaxetis_regionis_ganvitarebis_strat;
6. https://www.researchgate.net/publication/316861552_sakartveloshi_mtsire_biznesis_ganvitarebis_problemebi_da_misi_gadachris_zogierti_mimartuleba.

ვალუტის გაცვლითი კურსი და მონეტარული პოლიტიკა
Exchange Rate and Monetary Policy

ანუკი ტოგონიძე - დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
anukitogonidze@gmail.com

Anuki Togonidze - Ph.D.
Georgian Technical University
anukitogonidze@gmail.com

თემას რომელსაც განვიხილავთ ქვემომდებარე ნაშრომში წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეკონიმიკურ დეტერმინატს გამომდინარე იქედან, რომ ყველა საბაზრო ეკონიმიკის ქვეყანა დამოკიდებულია საკუთარ ვალუტაზე და ზოგადად მონეტარულ პოლიტიკაზე, სწორედ ვალუტის კურსი ქმნის და აყალიბებს როგორც ვაჭრობის ტენდენციებს ასევე ქვეყნის ეკონიმიკაში არსებული სიტუაციის ერთ-ერთი ნათელი გამოხატულებაა. გამომდინარე თემის აქტალობისა, მიმოვიხილეთ ის ძირითადი მდგენელები, რომლებიც გავლენას ახდენენ ვალუტის კურსის განვითარებაზე და ვუპასუხებთ ძირითად კითხვებს, რომლებსაც უნდა პასუხობდეს მონეტარული პოლიტიკა, რომ იგი ჩაითვალოს ეფექტურად.

საქართველო წარმოადგებს განვითარებად ქვეყანას, ამიტომ მნიშველოვანია სწორი ეკონომიკური გათვლების გაკეთება და თავის დამკვიდრება ევრო სივრცეში. რაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია საქართველოსთვის, სწორედ ამიტომ განვილხილეთ საქართველოს ეკომიკის უმნიშვნელოვანესი მდგენელი, როგორიცაა ვალუტის გაცვლითი კურსი და მონეტარული პოლიტიკა. მით უფრო, რომ 2014 - 2019 წლებში დიდი ცვლილებები მოხდა ქართულ ეკონიმიკაში.

The topic we are going to discuss below, is one of the most important economic components, as long as all countries based on the market economic, depends on their national currency and in general on the monetary policy. That is why, currency exchange rate creates and formulates trade tendencies, also is it the

clear expression of the economic situation in this or that country. Based on the importance of the subjects, in this essay we reviewed the currency forms, types, exchange rates, the steps of developing the exchange market and finally the current tendencies , that look place in the Georgian currency market during 2014-2019.

Georgia is developing country and it is important to make the right economic calculations and to establish in the Euro space. According to this, we discussed the currency exchange rate and monetary policy as the way components of the Georgian economy.

Below we present the current economic situation and economic climate in the country. Also it is shown the calculators, economic forecast and strategies that could be adopted by the relevant bodies and branches, that are responsible for making decision do stabilize the economic situation in the country.

საკვანძო სიტყვები: ვალუტის გაცვლითი კურსი, მონეტარული პოლიტიკა, გაუფასურებ.

Keywords: currency exchange rate, monetary policy, depreciation.

ძირითადი ტექსტი: მსოფლიოში მრავალი საკითხი არსებობს, რომელიც საზოგადოების ყურადღების ცენტრშია. განსაკუთრებით თუ განვიხილავთ ბოლო 5-6 წლიან პერიოდს ადვილი შესამჩნევია თემა ვალუტის კურსის გაუფასურების შესახებ, რომელიც ხშირად გვესმის, როგორც სატელევიზიო გადაცემებიდან აგრეთვე ჟურნალ გაზეთებიდან და თითოული ადამიანის სასაუბრო თემაც სწორედ ესაა. სწორედ ამიტომ განვიხილავთ ნაშრომში ვალუტის გაცვლით კურსს და მონეტარულ პოლიტიკას, რომელთაგან ერთის უმეოროდ განხილვა ფაქტობრივად შეუძლებელია გამომდინარე იქედან, რომ სწორედ მონეტარული პოლიტიკის სწორად წარმართვა წარმოადგენს ვალუტის კურსის მართვის კონტროლის ერთ-ერთ დეტერმინატს. საქართველოს ვალუტის კურსი მნიშვნელოვნად გაუფასურდა 2014-2019 წლებში. გაუფასურება მაღალი ტემპით 2014 წლის 20 ნოემბრიდან დაიწყო და 6 დეკემბერს 1,95 ლარს მიაღწია

თუმცა კომერციულ ბანკებსა და ვალუტის გამცვლელ პუნქტებში 1 აშშ დოლარის კურსი 2,40 ლარს შეადგენდა, ლარის კურსი მნიშვნელოვნად გაუფასურდა ევროს მიმართაც, ერთი ევროს ფასი 2,71 ლარამდე გაიზარდა. მსგავსი ტენდენცია იყო სხვა ქვეყნების ვალუტების მიმართაც გარდა რუბლისა. საქართველოს განვითარებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა. სწორედ ამიტომ საჭიროა დაბალანსებული ნაბიჯების გადადგმა, რათა საქართველომ არ გადაუხვიოს განვითარების გზიდან.

მიუხედავად წინ გადადგმული დიდი ნაბიჯისა, აუცილებელია განხილვა ქვეყნის ეროვნული ვალუტის, რომლის გაუფასურება ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს და დღითი დღე უფასურდება. როგორც აღვნიშნეთ 2014 წლის 20 ნოემბერს ვალუტის კურსმა 1,95 მიაღწია. თუმცა კომერციულ ბანკებში და ვალუტის გამცვლელ პუნქტებში ერთი დოლარის კურსი 2 ლარს აჭარბებდა. ასეთი ტენდენცია ძალიან შემაშფოთებელი იყო, განსაკუთრებით იმის ფონზე, როდესაც აღნიშნულ ვითარებას ეროვნული ბანკი ფინანსთა სამინისტროს აბრალებდა და პასუხისმგებლობას სრულად იხსნიდა, ხოლო ფინანსთა სამინისტროც ეროვნულ ბანკს აკისრებდა პასუხისმგებლობას და ამ ფაქტს იმით ხსნიდა, რომ მონეტარულ პოლიტიკაზე, სწორედ საქართველოს ეროვნული ბანკია პასუხისმგებელი.

მნიშვნელოვანია განვიხილოთ ის ძირითადი ფაქტორები რითაც ყალიბდება ვალუტის გაცვლითი კურსი, თუ რა მექანიზმები არსებობს იმისათვის, რომ ხელისუფლებამ და სხვა კომპეტენტურმა ორგანოებმა ზემოქმედება მოახდინონ ვალუტის გაცვლით კურსზე, იქნება ეს მონეტარული პოლიტიკა, რომელსაც ეროვნული ბანკი გეგმას და შესაბამის ანგარიშს ყოველწლიურად აქვეყნებს, თუ სამთავრობო გადაწყვეტილებები, გამომდინარე იქედან, რომ ვალუტის გაცვლით კურსს მხოლოდ სწორად შემუშავებული

მონეტარული პოლიტიკა ვერ გამოასწორებს, იგი თანხვედრაში უნდა იყოს სხვადასხვა ეკონომიკურ დეტერმინატებთან. აუცილებელია ყველა იმ ძირითადი ეკონიმიკური კომპონენტი და მდგენელების განხილვა , როგორიცაა ინვესტიციების ანალიზი, მთლიანი საგარეო ვალი და მისი დამოკიდებულება ვალუტის გაცვლით კურსთან, მონეტარული პოლიტიკის გავლენა ვალუტის გაცვლით კურსზე, აგრეთვე დინამიური და სტრუქტურული მეთოდებით გამოვყოთ და შევისწავლოთ ვალუტის გაცვლითი კურსის გადახდრები და მისი დამოკიდებულება ინფლაციასთან.

რა არის მიზეზი!? - და რა შედეგს მოუტანს ლარის გაუფასურება საქართველოს ეკონომიკას!?- მიზეზი და შედეგიც მრავალია, მათ შორის მკვეთრად გაუარესებული სავაჭრო ბალანსი, ინვესტიციების შემცირება, ფულადი გზავნილების შემცირება, ფულადი აგრეგატების ცვლილება, მაღალი დეფიციტური სახელმწიფო ხარჯების (700 მლნ-მდე) ლარამდე გაზრდა, ექსპორტ-იმპორტის დამოკიდებულება, საქართველოს საგარეო ვალი, გლობალური ფაქტორები და ა.შ.

სავაჭრო ბალანსი: საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად კვლავაც რჩება ეგრეთ წოდებული უარყოფითი სავაჭრო ბალანსი. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში უფრო მეტი [იმპორტირებული ნაწარმი შემოდის](), ვიდრე ქვეყნიდან პროდუქციის ექსპორტი ხორციელდება. შესაბამისად, საქართველოდან უცხოეთში ყოველწლიურად რამდენიმე მილიარდი ლარი გაედინება. საქართველო არის მოხმარებაზე ორიენტირებული ქვეყანა, რა უნდა შეიცვალოს და სწორედ ამიტომაა საჭირო ადგილობრივი დარგების მრეწველობის და წარმოების განვითარება.

უცხოური ინვესტიციები - პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ფინანსური ინვესტიციების მნიშვნელოვანი წყაროა განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნებისათვის, სადაც შიდა ინვესტიციებს

შედარებით ნაკლები წილი უჭირავს. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უცხოური ვალუტის ქვეყანაში შემოდინების მნიშვნელოვანი წყაროა და შესაბამისად, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობისთვის. რაც ხშირ შემთხვევაში არ არის მზარდი და თუ იზრდება ეს მხოლოდ საბანკო ინვესტიციების ჭრილში, რაც ასევე ვერ ახდენს გავლენას ვალუტის კურსზე.

ფულადი გზავნილები - საერთაშორისო ფულადი გზავნილები განვითარებად ქვეყნებში უცხოური ვალუტის შედინების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. ამ ქვეყნებში უცხოეთიდან განხორციელებულ ფულად ჩარიცხვებს დიდი გავლენა აქვს დაბალ შემოსავლიანი მოქალაქეების კეთილდღეობასა და მსყიდველობით უნარიანობაზე, ბიზნეს სექტორისა და ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე.

აღსანიშნავია, რომ ფულადი გზავნილების ნაკადები უფრო სტაბილურია ვიდრე საერთაშორისო კაპიტალის მოძრაობა, რომელიც თავის მხრივ გარე და შიდა შოკებისადმი მაღალი მგრძნობელობით ხასიათდება. უფრო მეტიც, მიმღებ ქვეყანაში არსებული კრიზისის დროს, ხშირ შემთხვევაში, ფულადი გზავნილების ნაკადები ზრდას განიცდიან და დაღმავალი ეკონომიკური ციკლის საწინააღმდეგოდ მოქმედებენ. ამავდროულად, ქვეყანაში ამ გზით შემოსული უცხოური ვალუტა არ იწვევს მომავალში ვალდებულების ზდრას. უმეტესი განვითარებადი ქვეყნებისთვის საერთაშორისო ფულადი ჩარიცხვები უცხოური ვალუტის მიღების და იმპორტის დაფინანსების მნიშვნელოვანი წყაროა. საქართველოში ფულადი გზავნილების მოცულობის კლება კიდევ უფრო გაძლიერდა 2015 წლიდან და აღნიშნული ტენდენცია გრძელდება რაც აგრეთვე ერთ-ერთი მნიშნელოვანი ფაქტორია, გზავნილების მოცულობის კლებამ მნიშვნელოვნად აზარალა ქართული ეკონომიკა, რაც გამოიხატა ვალუტის გაუფასურებით და ზოგადად ეკომიკური ზრდის პოტენციალის შენელებით.

საგარეო ვალი - სახელმწიფო ვალი საგარეო და საშინაო ვალისგან შედგება. საგარეო ვალი მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო ვალს მოიცავს, საშინაო კი სახაზინო და სხვა სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს (სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისთვის, სახელმწიფო ობლიგაცია სებ-ისთვის). სახელმწიფო ვალის სიდიდის განსაზღვრისთვის შემდეგი ინდიკატორები გამოიყენება: ვალის ბიუჯეტის შემოსავლებთან, ექსპორტთან და მშპ-სთან პროცენტული თანაფარდობა. ყველა ამ კრიტერიუმს თავისი ზღვარი აქვს და საბოლოოდ სამივე ერთად ქვეყნის ფისკალურ მდგომარეობას გვიჩვენებს, თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ ინდიკატორებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ვალის ნომინალურ მშპ-სთან თანაფარდობის მაჩვენებელია. როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ არის ცნობილი, ვალის მდგრადობის შესანარჩუნებლად განვითარებული ქვეყნებისთვის ვალი მშპ-ის 60%-ს არ უნდა აღემატებოდეს, ხოლო განვითარებადი ქვეყნებისთვის – 50%-40%. აღნიშნული განსაკუთრებით გაუარესდა როდესაც დიდი რაოდენობით დავიწყეთ საგარეო ვალის გასტუმრება რამაც განსაკუთრებულად იმოქმედა ეროვნულ ვალუტაზე.

ეროვნული ბანკი - ვალუტის გაცვლიტი კურსი ყალიბებდა იმ სტარატეგიიდან გამომდინარე, რომელიც თითოეულ ქვეყანას გააჩნია იქნება ეს მართვადი გაცვლითი კურსი, მყარი თუ თავისუფლად მცურავი. გამომდინარე ეკონომიკური პროცესებიდან და კურსის ხშირი მერყეობის გამო თითქმის უმეტესი ქვეყანა, თავისულად მცურავი გავლითი კურსის რეჟიმზე გადავიდა ან გადადის. ხოლო თავისუფალის ცურვის შემთხვევაში კი ვალუტის კურსს აკონტროლებს, პირველ რიგში მოთხოვნა - მიწოდება, შემდეგ ეროვნული ბანკი საკუთარი მონეტარული პოლიტიკით და სამთავრობო გადაწყვეტილებები, რომელთა თანხვედრა ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სავალუტო პოლიტიკის განხორციელებისათვის.

თავისუფალი ცურვა გულისხმობს საქართველოს შემთხევაში, რომ ლარი კურსს დოლარის მიმართ ადგენს სავალუტო ბაზარი. რომელიც შედგება კომერციული ბანკებისა და იმ კორპორაციებისა თუ ინდივიდებისაგან, რომელთა ინტერესში უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა შედის. ეროვნული ბანკი არ არის ვალდებული, ლარის კურსის სტაბილურობა უზრუნველყოს, ის ვალდებულია ქვეყანაში მაღალი ინფლაციის ტემპი არ დაუშვას, კერძოდ, სამომხმარებლო პროდუქციაზე ფასები არ გაიზარდოს 6%-ზე მეტად . აქედან გამომდინარე, თუ ეროვნული ბანკი ჩათვლის ლარის კურსი იმდენად გაუფასურდა დოლართან მიმართებით, რომ შესაძლოა სამომხმარებლო პროდუქციის ფასებზე აისახოს, ის ანხორციელებს სავალუტო ინტერვენციას“. - აცხადებს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ძნელია ერთი შეხედვით არ დაეთანხმო, მაგრამ უფრო ღრმად რომ განვიხილოთ აღნიშნული საკითხი ბევრ შეუსაბამობას აღმოვაჩენთ, მაგალითად მაშინ, როდესაც პირდაპირაა მოცემული ეროვნული ბანკის ბერკეტები სავალუტო კურსის რეგულირების:

1. რეფინანსირების სესხები;
2. ღია ბაზრის ოპერაციები;
3. სავალუტო აუქციონი;
4. სავალუტო ინტერვენცია - (ყიდის დოლარს და ყიდულობს ლარს);

ლარის კურსის გამყარებისთვის სწორედ აღნიშნული ბერკეტების გამოყენება იქნებოდა მიზანშეწონილი, მაგრამ ეს რასაკვირველია დროებითი მოვლენა იქნებოდა, კონკრეტული პერიოდის განმავლობაში ლარი დასტაბილურდებოდა, მაგრამ პირვანდელ მდგომარეობას არ დაუბრუნდებოდა. რასაკვირველია, კითხვის ნიშნის ქვეშაა ერვნული ბანკის მიერ გატარებული პოლიტიკა, მაგრამ ლარის გაუფასურება მხოლოდ ამ ერთი მიზეზით არ მომხდარა. მიზეზები მრავალი იყო მათ შორის სავაჭრო ბალანსი, ინვესტიციების კლება, ხარჯების არამიზნობრივი ხარჯვა. საბოლოო ჯამში, რომ შევაფასოთ ვითარება თუ რა მიზეზების გამო მოხდა

ვალუტის გაუფასურება და რა შედეგი მოჰყვა ვალუტის გაუფასურებას ეკონომიკაზე- შედეგი მრავალია მათ შორის:

1.ვალუტის კუსრსის მნიშვნელოვნად მერყეობა ნიშნავს არასტაბილურ მაკროეკონომიკურ გარემოს.

2.ბიზნესს იზიდავს სტაბილური გაცვლითი კურსი, რადგან ამ დროს არ არსებობს სავალუტო რისკები.

3.საქართველოს კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების 60% არის დოლარში. ლარში ეს არის 7.1 მილიარდი ლარის სესხი. ყველა იურიდიული თუ ფიზიკური პირი, ვისაც დოლარში აქვს სესხი დაზარალდა კურსის გაუფასურების შედეგად, რადგან სესხის დასაფარად მათ დოლარის შესყიდვა უხდებათ.

4.საქართველოს საგარეო ვალის 74% არის საგარეო ვალი. ლარის გაუფასურების შედეგად საგარეო ვალიც მნიშვნელოვნად გაიზარდა.

5.კურსის გაუფასუების შეჩერებას შეეწირა 80 მილიონი დოლარის უცხოური ვალუტის რეზერვები. ვალუტის რეზერვი კი ქვეყნის ფინანსური მდგომარეობის გარანტიაა.

6.სამომხმარებლო ფასების ზრდა.

მიუხედავად ასეთი მძიმე მდგომარეობისა უცილებელია გამოსავლის პოვნა, ფაქტობრივად ყველამ იქნება ეს ეროვნული ბანკი, ეკონომიკის სამინიტრო, ფინანსთა სამინიტრო, თუ ა.შ., ყველამ გარკვეული წილი შეიტანა ლარის გაუფასურებაში, ხოლო მთავრობამ კი დაშვებულ შეცდომებზე სწავლა უნდა შეძლოს, მათ შორის გაითვალისწინოს რომ:

- მაღალი ბიუჯეტის დეფიციტი, მით უმეტეს ამ დეფიციტის წლის ბოლოს რამოდენიმე თვეზე გადანაწილება სახიფათოა, როგორც ლარის კურსისათვის ასევე მთლიანად ეკონომიკისათვის.
- ეკონომიკაში რეგულაციების გამკაცრებით და სახელმწიფოს როლის გაძლიერებით ვერ მივიღებთ ექსპორტის ზრდაზე ორიენტირებულ ეკონომიკას.

• უნდა გაძლიერდეს რეფორმები, საქართველოს მომდევნო წლებში სულ უფრო მეტი ინვესტიციები დასჭირდება მაღალი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად.

• უნდა გამოსწორდეს უცხოელების მიწის მიყიდვის გართულება, სავიზო რეჟიმის გამკაცრება შერბილდეს.

აღნიშნული ფაქტორების გამოსწორება შედარებით დაასტაბილურებს ვითარებას, სავარაუდოდ კი ლარი არ დაუბრუნდება პირვანდელ კურსს, მაგრამ ახალ წონასწორობის წერტილზე გაჩერდება. თუმცა ეს დროებით სტაბილურობა იქნება, რადგან თუ ფუნდამენტურად არ გადაიხედა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა, აგრეთვე შესწავლილი უნდა იქნეს ეროვნული ბანკის მოქმედებების ადეკვატურობა, თუ ეს არ მოხდა საიდანაც გამომდინარეობს ფაქტობრივად ლარის გაუფასურების სტატისტიკური მიზეზები, ჩვენი ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობა მუდმივი საფრთხის ქვეშ იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ფულის მიმოქცევა და კრედიტი - ვ.მოსიაშვილი., მ.კვარაცხელია., შ.ბერუაშვილი.,თბილისი 2014 წელი.,
2. ეკონომიკური თეორია-გ.ადეიშვილი.,რ.ასათიანი.,თბილისი-1998
3. World Bank Group. 2017. Global Economic Prospects, Jenuary 2017 Weak Investment in Uncertain Times. Washington, DC: World Bank
4. International Monetary Fund. 2017. World Economic Outlook: Gaining Momentum Washington, April.
5. http://www.businessdictionary.com/definition/foreign-currency.html
6. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=20281
7. https://www.imf.org/external/np/exr/ib/2000/062600.htm
8. https://en.wikipedia.org/wiki/Fixed_exchange-rate_system
9. http://geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo
10. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=533

საკრედიტო პორტფელის მართვის სპეციფიკა და ხარისხის ანალიზი

Credit portfolio management specification and quality analysis

ვაჟა ჯაშიაშვილი - ბიზნესის მართვის ფაკულტეტი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, მაგისტრი
v.jashiashvili@gmail.com
დავით სეფაშვილი - ბიზნესის მართვის ფაკულტეტი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
dato.sepashvili@gmail.com

Vaja Jashiashvili – Faculty of Business Management,
Georgian National University, Master
v.jashiashvili@gmail.com
Davit Sepashvili – Faculty of Business Management,
Georgian National University
dato.sepashvili@gmail.com

აბსტრაქტი: საკრედიტო რისკი – დანაკარგების შესაძლებლობა, გამოწვეული კონტრაგენტის მიერ საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობით. უფრო ფართო ცნებით, საკრედიტო რისკი მოიცავს დანაკარგებს გამოწვეულს ფასიანი ქაღალდების ემიტენტის, დებიტორისა და კონტრაგენტის მდგომარეობის გაუარესებით.

საკრედიტო რისკის შეფასების პროცედურა მოიცავს: დეფოლტის ალბათობა – ალბათობა, როცა დებიტორი გარკვეული პერიოდის განმავლო¬-ბაში დაკარგავს გადახდისუნარიანობას. საკრედიტო რეიტინგი – დებიტორების, კონტრაგენტებისა და ფასიანია ქაღალდების ემიტენტების კლასიფიკაცია მათი საკრედიტო საიმედოობის კუთხით.

საკრედიტო რისკისადმი მიდრეკილი თანხა – დავალიანების მთლიანი მოცულობა დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების მოცულობა – საკრედიტო რისკისადმი მიდრეკილი თანხის წილი, რომელიც შეიძლება დაიკარგოს დეფოლტის დადგომისას.

Resume: Credit risk is the probability of losses caused by the counterparty's failure to fulfill its obligations. In a broader sense, credit risk includes losses caused by the deterioration of the issuer, recipient and counterparty of securities.

The procedure for assessing credit risk includes: The probability of default - the likelihood that the debtor will lose solvency over a certain period of time. Credit rating - classification of debtors, counterparties and issuers of securities in terms of their creditworthiness.

Credit risk - the total amount of debt in the event of debt - the amount of credit risk that could be lost in the event of default.

საკვანძო სიტყვები: საკრედიტო პოლიტიკა, რისკი, დეპიტორები, კონკურენცია, ლიკვიდობა, დინამიკა, შეფასეის პროცედურები.
Keywords: Credit Policy, Risk, Deposits, Competition, Liquidity, Dynamics, Valuation Procedures.

შესავალი: საკრედიტო პოლიტიკა უნდა მოიცავდეს მთელ რიგ პროცესებს, როგორიც არის იმ რესურსების განთავსების გეგმა, რომელიც სესხების გასაცემად არის განკუთვნილი. ასევე უნდა მოიცავდეს მეთოდების სისტემას თუ როგორ უნდა მოხდეს საკრედიტო პორტფელის მართვა. ორგანიზება უნდა მოხდეს სესხის გაცემის პროცესიდან მის მიღების პროცესამდე საჭირო პერიოდის განმავლობაში რამაც უნდა უზრუნველყოს სესხის დაბრუნება. იმისათვის, რომ საკრედიტო პოლიტიკა იყოს ეფექტური საჭიროა თავი ავარიდოთ ძალიან შემზღუდავი ბერკეტების გამოყენებას, მაგრამ ამასთანავე უნდა იყოს ელასტიური, რომ საბაზრო ცვლილებეის პარალელურად მოხდეს გარდაქმნები და განვითარება.

ძირითდი ტექსტი: გაცემულ სესხს მაქსიმალურად ვერ ვუზრუნველყოფთ, მაგრამ არსებობს გარკვეული ფაქტორები, რომელთა გათვალისწინებაც უკეთეს შედეგს მოგვცემს, ესენია:

➢გაცემული სესხების მთლიან მოცულობაზე ლიმიტი - მოცემული ფაქტორის მიხედვით, ურთიერთკავშირი ხორციელდება საკრედიტო პორტფელის მოცულობასა და დეპოზიტების, აქტივების ან ვალდებულებების მოცულობებს შორის.

➢გეოგრაფიული ლიმიტი - ერთერთ გასათვალისწინებელ პრობლემას წარმოადგენს. ამ ფაქტორში ძირითადი პრობლემა არის, ბანკის ორიენტირი, ანუ არ არის საკმარისი ყურადღება გამახვილებული საკუთარ სეგმენტზე და პოზიციაზე, მაგალითად თუ ბანკი სპეციალიზებულია ეკონომიკის ვიწრო განხრის გეოგრაფიულ არეალში, მკაცრმა გეოგრაფიულმა ლიმიტებმა შესაძლოა ფატალურ შედეგებამდის მიიყვანოს ბანკი.

➢კრედიტების კონცენტრაცია - საკრედიტო პორტფელის დივერსიფიკაციის წახალისება უნდა მოხდეს საკრედიტო პოლიტიკის მიერ, ამასთან ერთად მინიმალურ რისკსა და მაქსიმალურ შემოსავალს შორის ბალანსი დაცული უნდა იყოს ეფექტურობისათვის. მოცემული შეზღუდვის მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ უნდა დადგინდეს სესხის ის მაქსიმალური ზღვარი სადამდისაც შეუძლია გასცეს ბანკმა სესხის სახით.

➢სესხების სახეობები - მოცემულ შემთხვევაში საკრედიტო პოლიტიკა უნდა ანხორციელებდეს კლასიფიკაციას შეთავაზებული პროდუქციისა თუ მომსახურებისათვის, რომელიც ნომენკლატურულად უნდა იყოს წარმოდგენილი და შექმნას მითითებები სპეციალური სესხებისათვის.

➢სესხის ვადები - საკრედიტო პოლიტიკამ ასევე უნდა გაითვალისწინოს მაქსიმალური ვადა ცალკეული სესხებისათვის და სესხების გაცემა უნდა მოხდეს გრაფიკის რეალური დაფარვით.

➢სესხის ფასწარმოქმნა - საპროცენტო განაკვეთი უნდა იყოს იმ მოცულობის, რომ ბანკის ხარჯები დაიფაროს და ამასთანავე მივიღოთ მოგების სასურველი მოცულობა.

➢რეგისტრაცია სააღრიცხვო ჩანაწერებში - ბანკის ბალანსში ასახული უნდა იყოს როგორც გაცემული ისე მიღებული სესხები.

➢დასუსტება - იმ შემთხვევაში თუ არსებობს რისკი, ხელშეკრულებით გათვლისწინებული თანხის არ მიღების შესახებ, ბანკმა ასეთი სესხები დასუსტებულად უნდა აღიაროს.

➢ინკასაცია - უნდა აღირიცხოს ყველა სახის გადაუხდელი ვალდებულება და წარედგინოს მმართველობას, აქედან გამომდინარე მათ უნდა განსაზღვრონ რისკის ფაქტორები, მოსალოდნიელი დანაკარგები და შესაბამისად სხვა გზების ძიება.

➢ფინანსური ინფორმაცია - ამის საფუძველზე ხდება სესხის რისკიანობის განსაზღვრა, ანუ მსესხებლის ფინანსურ მდგომარეობაზე არსებული ინფორმაცია გადაწყვეტილების მიღების პროცესის მნიშვნელოვანი ელემენტია.

როგორც უკვე აღვნიშნე, საკრედიტო რისკების მართვაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის საკრედიტო ანალიზს და მომხმარებლის შერჩევის მეთოდთა ერთობლიობით. მოცემული ანალიზის შედეგად ვარკვევთ მსესხებლის შესახებ ინფორმაციას, გადახდისუნარიანობასთან, კრედიტუნარიანობასთან და ფინანსურ სტაბილურობასთან დაკავშირებით.

საკრედიტო ანალიზი რთული პროცესია რომელიც მოიცავს შემდეგ ძირითად ეტაპებს:

✓სესხის საჭიროების ანალიზს;
✓საწარმოს ფინანსური ანგარიშების ანალიზს;
✓საწარმოს ფინანსური ანგარიშგების წინასწარ ანალიზს;
✓ფულადი სახსრების მოძრაობის ანალიზი;
✓მთავარი დოკუმენტაციის გაფორმება;
✓მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასება, რომელიც გარკვეული თანმიმდევრობით ხორციელდება.

1.პირველი ეტაპზე ხორციელდება მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის შეფასება, კერძოდ:

- აქტივის და პასივის სტრუქტურული ანალიზი;
- ფულადი ნაკადების მოძრაობის შეფასება;
- საწარმოს ფინანსური სტაბილურობის ანალიზი;
- და ეფექტური საქმიანობის შეფასება.

2.მეორე ეტაპი შეფასებას უკეთებს მმართველობითი ორგანოს უმაღლესი რგოლის წარმომადგენლებს ისეთ ასპექტებში, როგორიცაა პროფესიონალიზმი, კომპეტენტურობა, გამოყენებული სტრატეგიები და მათ საფუძველზე მიღებული შედეგები;

3.შემდეგ ეტაპზე ხდება მსესხებლის სეგმენტისა და კონკურენტების შესწავლა;

4.და ბოლოს გარე გარემოს შესწავლა ხდება, უფრო გლობალურ ასპექტებში, როგორიც არის ქვეყანაში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური რისკები. და ყოველივე ამის შემდეგ საჭიროება საკრედიტო პროდუქტის რისკების შეფასებაში ჩნდება, ასევე აქაც არსებობს გარკვეული ფაქტორები, რომელთაც შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ პროდუქტის საკრედიტო რისკზე:

- საკრედიტო პროდუქტის ვადა - რაც უფრო დიდი დროა დარჩენილი საკრედიტო პროდუქტის დაფარვამდე, მით უფრო დიდია რისკი და პირიქით;
- საპროცენტო განაკვეთი;
- მესამე პირების მიერ მხარდაჭერა;

საკრედიტო ოპეაციების ანლიზისას განისაზღვრება კონკრეტული პროცესები, კერძოდ:

- საკრედიტო პროცესის ანალიზი - იმის და მიხედვით თუ როგორ საკრედიტო გადაწყვეტლებას მივიღებთ ეს ქმედება ზეგავლენას მოახდენს, პროცესის მიზნობრიობაზე და სანდოობის ხარისხზე, რაც საბოლოოდ მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია რისკის მოსალოდნელი დონისა და შემოსავალს შორის თანაფარდობას შორის. მოცემული პროცესი უნდა მოიცავდეს ყველა იმ ეტაპსა თუ პროცესს რომელიც დაკავშირებულია კრედიტის გაცემასთან, როგორიც არის სხვადასხვა საკრედიტო ინსტრუმენტების შექმნა, შეფასება, დამტკიცება, გაცემა, ინკასაცია და დამუშავება.

- შემდეგი ეტაპი ეს არის, კადრების ანალიზი - ეს ანალიზი მოიცავს ყველა იმ თანამშრომელს, რომელიც საკრედიტო რისკებთან დაკავშირებით რაიმე სახის მონაწილეობას იღებს. დგინდება მათი რაოდენობა, ასაკი, თანამდებობა და კონკრეტული მოვალეობები.

- და ბოლოს, საინფორმაციო ნაკადები - იმისათვის, რომ ინფორმაცია სრაფად და მარტივად გადაადგილდებოდეს საჭიროა სხვადასხვა ანგარიშების მომზადება, რომელიც უნდა წარვუდგინოთ მენეჯმენტს და მოიცავს ინფორმაციას საკრედიტო პორტფელისა და დაქვემდებარებული პირების საქმიანობის შესახებ. მოცემულ ანალიზს შინაარსობრივად და არსობრივად მჭიდრო კავშირი აქვს პერსონალთან, კონტროლის სტრუქტურასთან, ორგანიზაციულ სტრუქტურასთან და ინფორმაციულ ტექნოლოგიების ანალიზთან.

საკრედიტო პორტფელის ხარისხი შეგვიძლია განვსაზღვროთ ანალიტიკურის შეფასების საფუძველზეც. საკრედიტო პორტფელი მოიცავს ბანკის სეგმენტის ბიზნეს სტრატეგიას, რისკების სტრატეგიას და ბანკის უნარს სესხის გაცემასთან დაკავშირებით. განსახილველია მრავალი ასპექტი, მაგალითად უნდა განისაზღვროს ის სესხები, რომელთაც შეუძლიათ დაფარონ მთლიანი თანხის 70%-ის დაფარვა და მთელი სესხების მოცულობის 30%. უცხოური ვალუტის შემთხვევაში ცოტა განსხვავებულად არის, 1 წელზე მეტი დაფარვის ვადის შემთხვევაში, რომელთაც შეუძლიათ მთლიანი თანხის 75%-ის და სესხების რაოდენობის 50%-ს.მოცემულის გარდა საკრედიტო პორტფეის დაწვრილებითი ანალიზიც გვჭირდება რომელიც უნდა მოიცავდეს:

✓აქციონერებსა და ბანკთან დაკავშირებულ მსესხებლებზე გაცემული ყველა სესხი;

✓ყველა სესხი რომელიც მეტია ბანკის კაპიტალის 5%-ისა;

✓იმ სესხების რომელთა პროცენტის ანძირის დაფარვის ვადა გადაცილდა 30 დღეს;

✓ყველა ისეთი სესხი რომელიც მაღალრისკიანია თავის არასტანდარტულობით, უიმედოობითა თუ საეჭვო ფორმით;

✓ასევე ყველა ისეთი სესხი, რომლის პირობებიც დაფარვის ვადასთან და საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებით შეიცვალა სესხის გაცემის შემდეგ.

საკრედიტო პორტფელის ანალიზი საშუალებას გვაძლევს ბანკის შესახებ მთავარ ინფორმაციას, მაგალითად ბანკის საქმიანობის, მათი პრიორიტეტების, საკრედიტო რისკის დიფერენციაციისა და მათი გადაჭრის ხერხების შესახებ.

ჩმოთვლილი ინფორმაციის გარდა ასევე გასათვალისწინებელია და გაანალიზება ჭირდება შემდეგ მოცემულობებს:

- სესხების ძირითადი ტიპები და ამასთანავე მსესხებლის რაოდენობის განსაზღვრა, გაცემული სესხების ვადიანობა და მათი საპროცენტო განაკვეთი;

- უნდა განაწილდეს საკრედიტო პორტფელი სხვადასხვა მიმართულებებით;

- სასესხო გარანტიები სახელმწიფოსა თუ სხვა უზრუნველმყოფელი პირების მხრიდან;

- ასევე უნად კლასიფიცირდეს რისკები სახეობების მიხედვით, მაგალითად მაღალიდან დაბლისაკენ ან პირიქით;

- და რა თქმა უნდა პრობლემური სესხები.

პრობლემური სესხების პორტფელის კუთხით, თუ დეტალურად ჩავუღრმავდებით პრობლემური სესხის არსს, მივიღებთ ასეთ მოცემულობას - პრობლემური სესხი, ეს არის სესხი, რომელსაც არ მოაქვს შემოსავალი. სესხს პრობლემურობის კუთხით განვიხილათ, თუ მისი პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდის ვადა გადაცილდა 90- ს და მეტ დღეს, თუმცა აღნიშნული ვადა განსაზღვრული არ არის და სხვადასხვა კანაონმდებლობით, სხვადასხვა გვარად შეიძლება განისაზღვროს, მაგალითად 30, 90, 180 ან 360 დღიანი ვადაგადაცილება. მოცემული სესხები რა თქმა უნდა უარყოფითად აისახება მთლიანი საკრედიტო პორტფელის ხარისხზე,

რაც გავლენას ახდენ ბანკის საკრედიტო გადაწყვეტილებასა და ასევე მის ხარისხზე.

პრობლემური სესხების პორტფელის ანალიზი ასევე უნდა მოიცავდეს შემდეგ ასპექტებს:

- ვადაგადაცილებული სესხებისათვის შესაძლებელია შემოებული იქნეს გარკვეული საკლასიფიკაციო ასპექტები, როგორიც არის მაგალითად: მომხმარებლის ტიპი და მისი საქმიანობის სფერო. მსგავსი კრიტერიუმები გვეხმარება ზოგადი ტენდენციების განსაზღვრაში, რაც საბოლოოდ საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ მათი ზეგავლენა მსესხებლებსის მიმართ.

- ყველა სახის ინფორმაცია უნდა გაანალიზდეს პრობლემურ სესხებთან დაკავშირებით, რაც საფუძველს მოგვცემს სიტუაციის გაუმჯობესების გზების მოძიებისათვის და იმ ხერხების ფორმირებაში დაგვეხმარება რომელიც მეტ ალბათობას მოგვცემს პრობლემური სესხის ამოსაღბად.

- უნდა განისაზღვროს რეზერვების სრული მოცულობა, მისი შეფასებით შეგვიძლია დავადგინოთ თუ რამდენად კარგად უმკლავდება ბანკი საკრედიტო რისკებს.

საკრედიტო პორტფელის ხარისხი შესაძლოა გაუარესდეს სხვადასხვა მიზეზების გამო. ბანკები ხშირად უშვებენ შეცდომებს გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით მაგრამ, თუ საქმე გაკოტრებამდის მივიდა ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სისტემურ პრობლემასთან, რასაც იწვევს ბანკის არასწორი საკრედიტო კულტურა. მოცემული პრობლემებია:

- პირადი ინტერესები;
- საკრედიტო პრინციპების გაუთვალისწინებლობა;
- მოგების მაქსიმიზაციისაკენ სწრაფის მიდრეკილება;
- კონტროლის ნაკლებულობა;
- რისკების შეუსაბამო შერჩვა;

საკრედიტო ინფორმაციის სისტემურად ჩამოუყალიბებელი მდგომარეობა და სხვა.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

1. ბენიძე ნ., შონია ნ., ბიწაძე ჯ., - „რისკები და დაზღვევა“ თბილისი გამომცემლობა „ინოვაცია“ 2010
2. ინგოროყვა ა., ცაავა გ. – „ფინანსური მენეჯმენტი“ თბილისი გამომცემლობა „გრაალი“ 2011
3. შათირიშვილი ჯ., კაკაშვილი ნ. – „სადაზღვეო საქმე“ თბილისი გამომცემლობა „ივერიონი“ 2012
4. ცაავა გ., აბრამია თ., ცაავა დ. – „რისკოლოგია/ფინანსური და საბანკო რისკების მენეჯმენტი“ თბილისი გამომცემლობა „აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია“ 2014

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების გავლენა ქართული კომპანიების საექსპორტო სტრატეგიებზე

Quality Impact of Deep and Comprehensive Free Trade Area Agreement with EU on export strategies of Georgian companies

თეონა კანკია - ბიზნესის მართვის ფაკულტეტი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
g.gogoladze@gmail.com

Teona Kankia – Faculty of Business Management,
Georgian National University
g.gogoladze@gmail.com

აბსტრაქტი: "ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე" - ევროკავშირის თითოეული ქვეყნის ასოცირების ხელშეკრულების ნაწილი, სადაც საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინას აქვს შესაძლებლობა შერჩეულ სექტორში შეიტანოს თავისი პროდუქცია და ასევე განახორციელოს ინვესტირება ასოცირებულ ქვეყნებში.

DCFTA „აუქმებს პროდუქტების იმპორტის ტარიფებს და უზრუნველყოფს ფართო ორმხრივ წვდომას სერვისებით ვაჭრობაზე". არსებულ ქვეყნებს საშუალებას აძლევს აითვისოს ევროკავშირის ბაზრის ოთხი თავისუფლებიდან ოთხივე: საქონლის, მომსახურების, კაპიტალის თავისუფალად მოძრაობის, ხოლო, მეოთხე, რომელიც ადამიანთა თავისუფალ გადაადგილებას გულისხმობს.

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების რატიფიცირების შემდგომ GSP+ -სს ანაცვლებს DCFTA, რომელიც ეტაპობრივად აუქმებს ხელისშემშლელ ბარიერებს.

საქართველომ მოლაპარაკების შედეგად მიაღწია იმ წარმატებას, რომ პროდუქცია, რომელიც გაივლიდა ყველა სტანდარტს ევროკავშირის ბაზარზე შევიდოდა ნულოვანი ტარიფით. ასევე DCFTA-ს მიხედვით საქართველოდან იმპორტირებულ საქონელზე უქმდება ყველა სახის საბაჟო გადასახადი გამონაკლისი საქონლის გარდა, რაც ზღუდავს ტარიფის განაკვეთის ქვოტებს.

საქართველოდან ექსპორტირებული საქონლის დაახლოებით 80% მიდის, ერთი მხრივ, მინერალებსა და ლითონებზე, მეორე მხრივ, საკვებ პროდუქტებზე.

ევროპის შიდა ბაზარი, რომელსაც მოიხსენიებენ როგორც „ერთიანი ბაზარი“ არის საკმაოდ მოცულობითი, რომელიც მეწარმეებს საშვალებას აძლევს თავისუფლად შეიტანოს პროდუქტი ამ ბაზარზე და იძლევა თავისუფლად ვაჭრობის საშუალებას. ყოველი პროდუქტი, რომელიც შედის ევროკავშირის ბაზარზე არის კონკურენტუნარიანი და აქედან გამომდინარე მომხმარებელს სთავაზობს მისთვის მისაღებ ფასს. მყიდველებს აქვთ საშუალება მრავალფეროვანი არჩევანისა და ამასთანავე არის დაცული.

ყველაზე დიდი პლიუსი, რაც შეიძლება ევროკავშირის ბაზარს ჰქონდეს არის ის რომ ერთიანი ბაზარი ბიზნესის კეთებას ამარტივებს. ეს მოიცავს შემდეგ რამეს, ანუ არის საერთო აღიარება ნებისმიერ ერთ-ერთ წევრ ქვეყანაში განთავსებული/წარმოებული პროდუქტი შესაძლებელია გაიყიდოს სხვა წევრ ქვეყანაში.

იმ მკაცრი რეგულაციებიდან გამომდინარე, რომელსაც ევროკავშირის ბაზარი აყენებს, თითოეული პროდუქტი გადის შესაბამის სამედიცინო შემოწმებას, რომლის მიხედვითაც ევროკავშირის ბაზარზე შეღწეული პროდუქტი არის უსაფრთხო.

ევროკავშირის ჰარმონიზებული წესები ქმნის ყველასთვის გასაგებ სამართლებრივ დებულებებს, რომლის დაცვის შემთხვევაში პროდუქტი უპრობლემოდ იყიდება ერთიან ბაზარზე.

Abstract: "Deep and Comprehensive Free Trade Area" - Part of the Association Agreement of each EU country, where Georgia, Moldova and Ukraine have the opportunity to invest in selected sectors and also invest in associated countries.

DCFTA "cancels product import tariffs and provides broader access to trade in services." It allows existing countries to capture all four of the four freedoms of the EU market: the free movement of goods, services, capital and, fourth, the free movement of people.

Following the ratification of the Deep and Comprehensive Free Trade Area Agreement with the EU, the GSP + will be replaced by the DCFTA, which will gradually eliminate barriers.

Georgia has succeeded in negotiating that products that meet all standards will enter the EU market at zero tariffs. Also, according to DCFTA, customs duties on all imported goods from Georgia will be abolished except for exempt goods, which will limit tariff rate quotas.

About 80% of exported goods from Georgia goes to minerals and metals, on the one hand, to food products.

The European internal market, referred to as the "single market", is quite voluminous, enabling entrepreneurs to freely enter products into this market and to allow free trade. Every product on the EU market is competitive and therefore offers its customers a reasonable price. Buyers have a variety of choices and are protected.

The biggest plus of the EU market is that the single market simplifies doing business. This includes the following, ie it is a common acknowledgment that products placed / manufactured in any one Member State may be sold in another Member State.

Due to the strict regulations imposed by the EU market, each product undergoes an appropriate medical examination to ensure that the product marketed in the EU is safe.

Harmonized EU rules create legally understandable provisions whereby a product can be sold without a hitch in the single market.

საკვანძო სიტყვები: ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე, ევროპის შიდა ბაზარი, ევროკავშირის ჰარმონიზებული წესები.

Keywords: Deep and Comprehensive Free Trade Area, European Internal Market, EU Harmonized Rules.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:

1. აღმოსავლეთ ევროპის კვლევითი ცენტრი, "DCFTA-ის საკომუნიკაციო სახელმძღვანელო საქართველოსთვის, 2018

2. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება - რისკები და შესაძლებლობები საქართველოსთვის, 2014

3. მელქაძე, ქ., ევროკავშირის ქვეყნებში ქართულინ ექსპორტის შემაფერხებელი ფაქტორების ანალიზი, 2016.

4. საქსტატი, საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2018 წლის იანვარი-ივნისი (სტატისტიკური მონაცემები). https://www.geostat.ge/ka

5. ღაღანიძე, გ., კონკურენტული უპირატესიბის სისტემური კვლევის საკითხები.

ლიდერი როგოც როლური მოდელი თანამედროვე ბიზნესში
Leader as a role model in modern business

ლიკა ხურციძე - ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტის მაგისტრი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
lika.khurtsidze@outlook.com

Lika Khurtsidze - Master of Business Administration
Georgian national university
lika.khurtsidze@outlook.com

ანალიტიკური გონება, ადამიანთა კონკრეტული ჯგუფის ხელმძღვანელობის/მართვის სურვილი, პროფესიული ცოდნა და უნარები, ენერგიულობა, თავდაჯერება, ამბიციურობა, სიმტკიცე, ენთუზიაზმი, გამჭრიახობა, საკუთარი ძალების რწმენა, გაბედულება და ქარიზმა - ეს ის ძირითადი თვისებებია, რაც უმეტესობას ლიდერის ხსენებაზე ახსენდება. ბევრს მსგავსი თვისებების მოსმენის შემდეგ უყალიბდება, აზრი რომ ის ვერ იქნება ლიდერი, „თუმცა ზოგჯერ არაფერია ცუდი იმაში, რომ გაჰყვე და არა გაიყოლო“...

ლიდერი როგორც როლური მოდელი - განმარტება თავისი შინაარსით მიემსგავსება ლიდერობის სიტუაციურ თეორიას. ლიდერობის სიტუაციური თეორია მოიაზრებს, რომ არ არსებობს ლიდერობის რომელიმე საუკეთესო სტილი. პირიქით ლიდერობა მთლიანად დამოკიდებულია მოცემულ სიტუაციაზე და ამოცანაზე.

თეორიის თანახმად, ყველაზე ეფექტური ლიდერები არიან ისინი, ვისაც შეუძლიათ, მოარგონ თავისი სტილი სიტუაციას და განსაზღვრონ მათ წინაშე მდგარი ამოცანის ტიპი, გუნდის ხასიათი და სხვა ფაქტორები, რამაც შეიძლება შეიტანოს წვლილი საქმის ეფექტურად გაკეთებაში.

ჰერსი და ბლანჩარდი მოიაზრებენ, რომ არსებობს სიტუაციური ლიდერობის ოთხი ძირითადი სტილი: დირექტიული, მასწავლებლური, თანამონაწილეობითი და დელეგირებადი.

ასევე გამოყოფენ თანამშრომლის ოთხ ტიპს: „არ შეუძლია და უნდა“, „არ შეუძლია და არ უნდა“, „შეუძლია და არ უნდა“, „შეუძლია და უნდა“ სიტუაციური ლიდერობის სტილი განისაზღვრება მათზე დაყრდნობით. სიტუაციური ლიდერობა სწავლებადია. იმისათვის რომ გახდე სიტუაციური ლიდერი საჭიროა სამი საკვანძო უნარის შეძენა. ეს უნარებია: პრობლემების დიაგნოსტიკის უნარი, ელასტიურობის უანრი და პარტნიორობის უნარი.

ჩვენს მიერ ჩატარებული პატარა კვლევის შემდეგ გავიგეთ რომ შემთხვევით შერჩეული 30 სტუდენტიდან 17 ვერ იქნებოდა ლიდერი 9 არ იქნებოდა ლიდერი 4 იქნებოდა ლიდერი. თუმცა სიტუაციური ლიდერის არსის გაგების შემდეგ 26-მა სტუდენტმა აზრი შეიცვალა.

სიტუაციურ ლიდერებს საბედნიეროდ ქართულ რეალობაშიც ვაწყდებით რაც დადებითი მოვლენაა, თუმცა სამწუხაროდ ასეთი ლიდერების შესახებ ინფორმაცია ძალიან ცოტაა კვლევების სიმცირის გამო...

Analytic mind, willingness of management of specific group of people, professional knowledge and skills, energy, self-confidence, ambitiousness, strength, enthusiasm, belief in own strength, boldness and charisma – these are the main characteristics of a leader for majority of people. After hearing of these characteristics many people think that they cannot be leaders “though it is not bad if you follow somebody and not lead the others”.

Leader as a role model is similar to situational theory of leadership. Situational theory of leadership means that there is no single "best" style of leadership. On the contrary, leadership is situation and tasks-relevant.

According to the theory the most effective leaders are those who can adapt their leadership style to situation and specify the type of a task,

type of a team and other factors that may make a contribution in carrying out the work in an efficient manner.

According to Hersey and Blanchard there are four main styles of situational leadership: directive (telling), teaching (selling), participating and delegating.

They distinguish four types of employees: Unable but confident, Unable and insecure, Capable but unwilling, Very capable and confident; Style of situational leadership is specified based on them.

Situational leadership can be taught. A person shall adopt three main skills in order to become a situational leader; These skills include: skills of diagnosis of problems, skill of flexibility and skills of partnership.

We have conducted a research among 30 randomly selected students and found out that 17 of them would be unable to become a leader, 9 of them would not become a leader and 4 of them would become a leader. After understanding the concept of a situational leader, 26 students have changed their mind.

You can meet situational leaders in Georgian reality, which is very good but unfortunately information about such leaders is very little due to small amount of researches.

საკვანძო სიტყვები: ლიდერობა, როლური ლიდერობა, სიტუაციური ლიდერობა, თეორიები.

Keywords: Leadership, Role Leadership, Situational Leadership, Theories.

ბიბლიოგრაფია:

1. დეივ ლოგანის, ჯონ კინგისა, ჰეილი ფიშერ-რაითის - „ლიდერობის ხელოვნება“. 2017;
2. გ. ამყოლაძე, ი. ამყოლაძე - „ლიდერობა. უნარები, სტილი და მეთოდები“. 2014;
3. სინერჯი ჯგუფის“ მიერ მომზადებული სტატიების კრებული „ლიდერობის ხელოვნება“ 2018;

ეკონომიკის მნიშვნელობა და მისი როლი საზოგადოების ცხოვრებაში

The importance of economics and its role in the life of society

მთვარისა თანანაშვილი - ასოცორებული პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
მაია კილაძე - ასოცორებული პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Mtvarisa Tananashvili - Associate Professor,
Georgian Technical University
Maya Kiladze - Associate Professor,
Georgian Technical University

ანოტაცია: სტატიაში განცილულია ეკონომიკის როლზე საზოგადოების ცხოვრებაში. აღწერილია რომ ეკონომიკა სათავეს იღებს ადამიანთა განვითარების ადრეული საფეხურებიდან, ადამიანი და ეკონომიკა მჭიდროდ იყვნენ ერთმანეთთან გადაჯაჭვულნი. ამასთან ერთად ვითარდებოდა რა ეკონომიკა

საკვანძო სიტყვები: საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრება, ეკონომიკური განვითარება, ეკონომიკა, ცხოვრების დონე, საბაზრო ეკონომიკა, საზოგადოებრივი ცხოვრება, ეკონომიკური ცხოვრება, მთლიანი ეროვნული შემოსავალი.

Resume: Aspects chosen by us clearly show that the role of economics in society is very important, and its understanding gives to people to make choices in the economic and social fields, and it helps to avoid conflicts between society and people. Therefore, we can conclude that the role of economics for man is the basic foundation of all human life. At the same time, the main function of the economy is to continually create the benefits that are essential to human life. Economics is the basis of modern scientific and technical progress, as new ideas are born in the process of solving economic problems that ensure the viability and development of man and society.

შესავალი: ეკონომიკა ყოველთვის იყო ადამიანისა და საზოგადოების ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. დედამიწაზე ადამიანთა გაჩენის დღიდანვე ჩამოყალიბდა ეკონომიკური

ურთიერთობები, ადამიანი განსხვავდება სხვა ცოცხალი არსებისგან იმით, რომ მას აქვს უნარი გამოიყენოს და შეცვალოს სამყარო თავისი მოთხოვნილებების შესაბამისა. ეკონომიკური საქმიანობისას ადამიანი აფართოებს თავის მსოფლმხედველობას, ზრდის თავისი ცოდნის დონეს და კვალიფიკაციას, ყალიბდება სპეციალისტად, პიროვნებად, თვითრეალიზდება და იღებს საზოგადოებრივ აღიარებას. ამრიგად ეკონომიკური სფერო დაკავშირებულია არა მარტო არსებობის მატერიალური საფუძვლების უზრუნველყოფასთან, არამედ იგი არის შემოქმედების სულიერი და სოციალური განვითარების წყარი. ეკონომიკა თავის მხრივ წარმოადგენს რთულ და ყოვლისმომცვე ორგანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს თითეული ადამიანის სიცოცხლის უნარიანობას და განვითარებას მთლიანად.

ხშირად როდესაც სიტყვა ,,ეკონომიკას '' ხმარობენ, ადამიანს მაშინვე რიცხვები, ფორმულები და ცხრილები წარმოუდგება გონებაში. თუმცა ,,ეკონომიკა" ბევრად უფრო მარტივი ცნებაა, იგი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს საოჯახო მეურნეობის მართვას. დღეს ის შედარებით ფართო დატვირთვითაა და ნიშნავს საქმიან ურთიერთობებს, გაცვლას, სპეციალიზაციას და სხვა.

ისმის კითხვა შესაძლებელია თუ არა საზოგადოების სრულყოფილი განვითარება ეკონომიკის გარეშე და შეუძლიათ თუ არა მათ ერთმანეთის გარეშე არსებობა?

ძირითადი ტექსტი: საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრება მრავალმხრივია და შეისწავლება სხვადასხვა ეკონომიკური მეცნიერებებით. ამ შემთხვევაში ჩვენ უფრო მეტად გვაინტერესებს მისი ისეთი მხარეები როგორიცაა საზოგადოების ცხოვრების შედარება მის ეკონომიკურ განვითარებასთან, ეკონომიკის ზემოქმედება საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ეკონომიკური

ცხოვრების ძირითადი გამოვლინებები, ეკონომიკის კავშირი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა მხარეებთან.

ადამიანები ეკონომიკის შესახე იგებენ ადრეულ ასაკიდანვე. ისინი აცნობიერებენ იმას, რომ არის მრავალი ნივთი, რომელიც მათ უნდათ რომ შეიძინონ, მაგრამ ყოვეთვის ეს არ შეუძლიათ სამომხმარებლო უნარის გამო. ადრეული დროიდან საზოგადოება და ეკონომიკა მჭიდროდ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული. ეკონომიკური ცხოვრება განიცდიდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარის ზეგავლენას (სოციალური, პოლიტიკური, სულიერი). ამ დასკვნას ამყარებს შემდეგი:

✓საზოგადოების არსებობა შეუძლებელია მატერიალური სარგებლის წარმოების გარეშე;

✓საზოგადოებრივი წარმოება და პირველ ყოვლისა არსებული შრომის საზოგადოებრივი დანაწილება და საკუთრებისადმი მიდგომა განსაზღვრავენ მის სოციალური სტრუქტურის გამოვლინებასა და განვითარებას;

✓ეკონომიკური ურთიერთობები აქტიურად ზემოქმედებენ საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ეკონომიკურად გაბატონებული ჯგუფები როგორც წესი მიისწრაფიან ზემოქმედება მოახდინონ სახელმწიფო აპარატის მუშაობაზე, პოლიტიკური პარტიების მიმართულებებზე და სხვა;

✓წარმოების პროცესში იქმნება აუცილებელი მატერიალური პირობები.

საზოგადოების სულიერი მოთხოვნის განვითარებისათვის (ბიბლიოთეკების, თეატრების შენობები, მოწყობილობები წიგნების, გაზეთების გამოსაცემად და ა. შ). ცხადია რომ ერთ სფეროში ცვლილება გამოიწვევს ცვლილებას მეორეში, ეს კი ნიშნავს, რომ ერთი სფეროს სრულფასოვანი არსებობა შეუძლებელია მეორის გარეშე;

ეკონომიკა სამეურნეო სისტემაა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებისა და ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ცხოვრებისათვის აუცილებელი სარგებლის შექმნითა და გამოყენებით. პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია ადამიანთა მრავალრიცხოვანი და მუდმივად მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილებასთან ყოველთვის არსებობდა, მაგრამ ეკონომიკის ცოდნის გარეშე ამ პრობლემების რეგულირება შეუძლებელია რესურსების შეზღუდვის გამო. ეს ამართლებს ეკონომიკის ინტენსიური გზით განვითარებას, რაც გულისხმობს რესურსების რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენებას. ამის საფუძველზე ადამიანმა უნდა გადაამუშაოს არსებული რესურსები ისე, რომ ნაკლები დანახარჯებით მიღებულ იქნეს მაქსიმალური შედეგი.

ეკონომიკის მთავარი საკითხია რა, როგორ და რისთვის ვაწარმოოთ. სხვადასხვა ეკონომიკური სისტემები მათ სხვადასხვანაირად წყვეტენ. ამისდა მიუხედავად ისინი იყოფიან ოთხ ტიპად: ტრადიციული, ცენტრალიზებული (ადმინისტრაციულ-მბრძანებლური), საბაზრო და შერეული.

საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების მნიშვნელოვან მაჩვენებელს და შედეგს წარმოადგენს მისი წევრების ცხოვრების დონე, რომლის ქვეშაც იგულისხმება მოსახლეობის უზრუნველყოფის დონე საქონლით მომსახურებითა და ცხოვრების პირობებით. გაეროს ექსპერტების აზრით ცხოვრების დონეს ახასიათებს ისეთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, როგორიცაა ადამიანის განვითარების ინდექსი (აგი). იგი წარმოადგენს ადამიანის განვითარების მთლიან მაჩვენებელს ამა თუ იმ ქვეყანაში და ამიტომ მას იყენებენ ზოგჯერ ისეთი ცნებების სინონიმებად როგორიცაა ,,ცხოვრების ხარისხი“ ან ,,ცხოვრების დონე“. იგი განსაზღვრავს ქვეყნის მიღწევას ადამიანთა ჯანმრთელობის მდგომარეობის მხრივ, განათლების, ფაქტიური შემოსავლების მიხედვით. ისინი სამი

ძირითადი მიმართულებით ფასდება და გააჩნიათ თავიანთი ინდექსები:

1.ცხოვრების მოსალოდნელი ხანგრძლივობის ინდექსი - ჯანმრთელობა და სიცოცხლის ხანგრძლივობა, რომელიც იზომება სიცოცხლის უნარიანობის საშუალო ხანგრძლივობით;

2.განათლების ინდექსი - განათლებასტან მიწვდომა, რომელიც იზომება სკოლის ასაკისა და ზრდასრული მოსახლეობის სწავლის საშუალო ხანგრძლივობით;

3.მთლიანი ეროვნული შემოსავლის ინდექსი - ცხოვრების დონე, რომელიც იზომება ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი ეროვნული შემოსავლის მიხედვით აშშ დოლარებში.

სახელმწიფოს კეთილდღეობის დონე ბევრადაა დამოკიდებული ეკონომიკური მექანიზმების სრულყოფაზე. ასეთ მექანიზმებს მიეკუთვნება ჩვენთვის უკვე ცნობილი საზოგადოებრივი დანაწილება, სპეციალიზაცია და ვაჭრობა. ისინი ქმნიან პირობებს რათა მომუშავეებმა მიაღწიონ მაღალ შრომის ნაყოფიერებას და შესაძლებლობას აძლევენ მწარმოებლებს ურთიერთსარგებლობის საფუძველზე შრომის შედეგების გასაუმჯობესებლად ადამიანთა კეთილდღეობის დონის უზრუნველყოფისათვის. ეკონომიკური მნიშვნელობა შეიძლება გავიგოთ თუ შევადარებთ ნატურალური მეურნეობისა (აფრიკის, ლათინური ამერიკის მოსახლეობა) და სასაქონლო მეურნეობის საზოგადოების ცხოვრების დონეს.

მსოფლიოს ქვეყნების ცხოვრების დონის მიხედვით ყველაზე მაღალი ცხოვრების დონეა ნორვეგიაში. გავაანალიზეთ ქვეყნების ცხოვრების დონე რამოდენიმე მაჩვენებლის მიხედვით. ისეთი როგორიცაა ეკონომიკა (ე), მართვა (მ), პიროვნების თავისუფლება (პთ), მეწარმეობა და ინოვაცია (მი), განათლება (გ), უსაფთხოება (უ), სოციალური კაპიტალი (სკ).

ეკონომიკის დაბალი ეფექტიანობის მიზეზები შეიძლება იყოს მოძველებული ტექნოლოგიების გამოყენება, კადრების დაბალი კვალიფიკაცია, ბუნებრივი სიმდიდრის არაყაირათიანად ხარჯვა და სხვა. ეკონომიკური განვითარების დაბალი დონე იწვევს მოხმარების შემცირებას: მეტი რომ მოვიხმაროთ მეტი უნდა ვაწარმოოთ. ამრიგად, ეკონომიკური განვითარების დონე პირდაპირ მოქმედებს ქვეყნის ცხოვრების დონეზე.

მოხმარების მინიმალურ დონეს განსაზღვრავს ისეთი მაჩვენებელი როგორიცაა: სიღარიბე. სიღარიბის დონეს უწოდებენ ნორმატიულად დადგენილ ფულადი შემოსავლების დონეს გარკვეული პერიოდის განმავლობაში, რომელიც უზრუნველყოფს მის ფიზიკურ (ფიზიოლოგიურ), სასიცოცხლო მინიმუმს. სიღარიბის დონე სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა. როგორც წესი რამდენადაც მდიდარია ქვეყანა მით უფრო მაღალია მათში სიღარიბის ნიშნები. მაგალითად მსოფლიო ბანკმა დაადგინა სიღარიბის შემდეგი კრიტერიუმები: განვითარებადი ქვეყნებისათვის 1 აშშ დოლარი ერთ ადამიანზე დღეში; აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ს ქვეყნებისათვის 4 დოლარი, საბაზრო ეკონომიკის სამრეწველო განვითარებული ქვეყნებისათვის 14,4 დოლარი.

სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ინტერესები სხვადასხვაა და ხშირად ერთმანეთს უპირისპირდებიან. საზოგადოების სოციალური დაყოფა ამწვავებს სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ინტერესებს, მათ შორის ეკონომიკურსაც. ამრიგად თანამედროვე საზოგადოებაში არის ამ ინტერესების შეთანხმების პრობლემა.

საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების მონაწილეთა სხვადასხვა ინტერესების შეთანაწყობა მეტად აქტუალურია. ამიტომ ეკონომიკურმა და სოციალურმა სფეროებმა უნდა შეავსონ და მხარი დაუჭირონ ერთმანეთს. აუცილებელია თვალყურის მიდევნება თანამედროვე სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკისადმი,

გამოყენებულ უნდა იქნეს ინტერესების ცოდნა, სხვადასხვა სოციალურ-პროფესიული ჯგუფების მოთხოვნები და მათი რეალიზაციის შესაძლებლობები თანამედროვე ეკონომიკურ პირობებში, ქვეყანაში ეკონომიკური გარდაქმნების დადებითი და უარყოფითი შედეგების ანალიზის მცდელობა და ცივილიზებური ფორმების მოძიება.

ვნახოთ თუ როგორ მოქმედებს საზოგადოების ეკონომიკურ განვითარებაზე მისი მთავარი პოლიტიკური ინსტიტუტი - სახელმწიფო. ყოველი სახელმწიფო აწყდება ასეთი განვითარების საუკეთესო არჩევანის პრობლემას. სახელმწიფოს ერთ-ერთი საზოგადოებრივი ფუნქცია-ეკონომიკური განვითარებისთვის არსებული შესაძლებლობების გამოყენებაა.

საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფოს მთავარი ფუნქციაა საბაზრო ძალების მოქმედების შემსუბუქება და სტიმულირება სახელმწიფო პოლიტიკის ღონისძიებებით. სახელმწიფოს ერთ-ერთი საზოგადოებრივი ფუნქციაა - ეკონომიკური განვითარებისთვის არსებული შესაძლებლობების გამოყენება. საბაზრო ეკონომიკის მნიშვნელოვანი პირობაა ისეთი პოლიტიკური მიზნების რეალიზაცია როგორიცაა საზოგადოების თავისუფალი განვითარება, სამართლებლივი წესი, შიგა და გარე უსაფრთხოება.

საზოგადოების თავისუფალ განვითარებაში იგულისხმება როგორც სოციალური, ისე ეკონომიკური კატეგორია. რაც უფრო დაფასებულია საზოგადოებაში ადამიანის თავისუფლება, მით უფრო მნიშვნელოვნად აღიქმება სახელმწიფო ეკონომიკური თავისუფლება. სახელმწიფო დაინტერესებას უზრუნველყოს ეკონომიკური საქმიანობის სამართლებრივი საიმედოობა, რომ გამოიყენოს მისი შედეგები. სამართლებრივი წესის შემოღება გულისხმობს პირველ ყოვლისა კანონების დახმარებას საკუთრებასა და მის დაცვაზე, მეწარმეთა თავისუფალ საქმიანობაზე, სამეურნეო ხელშეკრულების

სისტემაზე. საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებაზე გავლენას ახდენს აგრეთვე სხვადასხვა პარტიები და გაერთიანებები.

საბაზრო ეკონომიკა როგორც სამეურნეო ურთიერთობების ორგანიზაციის ხერხი მიმართულია შექმნას ბუნებრივი ფუნქციონირების პირობები სამართლებლივი სახელმწიფოს ფარგლებში. მაგალითად, მეწარმეობა საჭიროა დაწყებულ იქნას საბაზრო ეკონომიკაში მაშინ როცა ცნობილია ,,თამაშის წესები'', ანუ როცა ცნობილმა კანონებმა უნდა იმოქმედოს. ეკონომიკის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორც გადასახადების დაგეგმვაა, ქონების დაცვის კანონები, დადგენილებები, რომლებიც არეგულირებენ სამუშაოს მომცემსა და დაქირავებულ მომუშავეთა ურთიერთობებს ღიად უნდა იქნეს განხილული სხვა მხარეთა აზრის გათვალისწინებით.

ვითარდებოდა რა ეკონომიკა მოდიფიცირებულ იქნა თვით საზოგადოების რეალიზაციის არე. მაგალითად, პირველი ნეოლითური რევოლუციის დროს შესაძლებელი გახდა მწარმოებელი მეურნეობის გამოჩენა და შესაბამის ცხოვრების წესზე გადასვლა. ამან გამოიწვია მოსახლეობის რიცხვის ზრდა; მოხდა ე. წ. პირველი დემოგრაფიული აფეთქება - დედამიწის ზრდის ტემპი გაიზარდა ორჯერ. წარმოება ამ მომენტისათვის ინდუსტრიამდელ სტადიამდე. წარმოება ამ მომენტისათვის ინდუსტრიულ სტადიამდე ხასიათდებოდა სოფლის მეურნეობის უპირატესი განვითარებით, ხელის შრომის გამოყენებით და წარმოების, ორგანიზაციის პრიმიტიული ფორმებით. ასეთი წარმოება ახლაც ტიპიურია აფრიკის ზოგიერთი ქვეყნისათვის (გვინეა, სენეგალი და სხვა), მეორე სამრეწველო რევოლუცია მოდის XVIII ს-ს მეორე ნახევარსა და XIX -ს -60 წ.წ. მას უწოდებენ სამრეწველოს, რადგანაც ასეთი რევოლუციის შინაარსი იყო სამრეწველო გარდაქმნა - ხელით შრომიდან სამანქანო შრომაზე გადასვლა. დღეისთვის წარმოების მთავარი სფეროა მანქანათმშენებლობა, ხოლო მოსახლეობის ძირითადი მასა

დასაქმებულია მრეწველობაში და ცხოვრობს ქალაქში. ეკონომიკის განვითარების ამ სტადიით, რომელიც იწოდება ინდუსტრიულად დაკავშირებულია მეორე დემოგრაფიულ აფეთქებასთან, რომლის დროსაც პლანეტის მოსახლეობა გაოზარდა თითქმის 7-ჯერ. თუმცა ინდუსტრიული ეკონომიკის მიღწევები არ უნდა იყოს საკმარისი ინდუსტრიულად განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ეს წყდება XXI ს-ის 40-50 წ -ში სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციით.

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია თავის მხრივ წარმოადგენს ნახტომს საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარებაში, მის გადასვლას სამეცნიერო ცოდნის სისტემაში პრინციპული გარდაქმნების საფუძველზე.

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ძირითადი მიმართულებებია:

1. საწარმოოს ავტომატიზაცია და კომპიუტერიზაცია;
2. უახლოესი ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა;
3. ბიოტექნოლოგიების დამუშავება;
4. ახალი კონსტრუქციული მასალების შექმნა;
5. ენერგიის ახალი წყაროების ათვისება
6. კომუნიკაციისა და კავშირგაბმულობის საშუალებებში რევოლუციური გარდაქმნა.

ამ რევოლუციის შედეგი იყო წარმოების პოსტინდუსტრიულ სტადიაზე და საინფორმაციო საზოგადოებაზე გადასვლა. შედარებით უფრო დიდი განვითარება მოიპობა მომსახურების სფერომ სადაც მუშაობს შრომისუნარიანი მოსახლეობის 50-70%, ამასთან იცვლება საზოგადოების სოციალური სტრუქტურა, მნიშვნელოვნად იზრდება სოციალური განათლების მოსახლეობის რიცხვი.

ჩვენს მიერ არჩეული ასპექტები თვალნათლივ გვიჩვენებენ, რომ საზოგადოების ცხოვრებაში ეკონომიკის როლი ძალზე დიდია და მისი გაგება ადამიანებს საშუალებას აძლევს შეიცნონ თავიანთი არჩევანი ეკონომიკური და სოციალური სფეროების თანამშრომლობაში, ეს კი საშუალებას იძლევა თავიდან იქნეს აცილებული კონფლიქტები საზოგადოებაში და ადამიანებს შორის. აქედან გამომდინარე ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადამიანისათვის ეკონომიკის როლი მთელი კაცობრიობის ცხოვრების საბაზო საფუძველია. ამასთან ეკონომიკის მთავარი ფუნქცია არის ის რომ მუდმივად შექმნას ისეთი სიკეთეები, რომლებიც აუცილებელია ადამიანის სიცოცხლისუნარიანობისათვის. ეკონომიკა საფუძველია თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის, რადგანაც ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის პროცესში იბადება ახალი იდეები, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანისა და საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობასა და განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მექვაბიშვილი ვ. -ტანამედროვე ეკონომიკური თეორიები (ლექციების კურსი) თბილისი
2. პაპავა ვ. - საქართველოს ეკონომიკა. თბილისი 2015.
3. ციმანტია კ. - აგრარული სექტორის ეკონომიკა. თბილისი 2005

კორპორაციული სტრუქტურების ორგანიზაციული ფორმები
Organizational forms of corporate structures

გიორგი ქევხიშვილი - ბიზნესის მართვის ფაკულტეტი,
კავკასიის უნივერსიტეტი
g.kevkhishvili@gmail.com
ნიკა ზარანდია - ბიზნესის მართვის ფაკულტეტი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
n.zarandia@gmail.com

Giorgi Kevkhishvili - Faculty of Business Management,
Caucasus University
g.kevkhishvili@gmail.com
Nika Zarandia – Faculty of Business Management,
Georgian National University
n.zarandia@gmail.com

კორპორაციული სტრუქტურა წარმოდგენს ერთ სამეურნეო რგოლში გაერთიანებული სტრუქტურული ერთეულების კავშირს, როგორც ჰორიზონტალურ ისე ვერტიკალურ ჭრილში. იქმნება კორპორაციის მატრიცული სტრუქტურა მრავალდარგობრივი განყოფილებების რთული კავშირებით..კორპორაციის ორგანიზაციული სტრუქტურის ძირითადი რგოლია სტრატეგიული სამეურნეო ერთეულები, რომლებსაც გააჩნიათ დამოუკიდებელი ავტონომია (დამოუკიდებელი ბალანსი, მმართველობა, ბაზარზე გასვლა და ა. შ.). ამგვარად:

1. კორპორაცია წარმოადგენს ინტეგრირებულ საინვესტიციო ინსტიტუტს, შეძლებს კაპიტალის გაფართოებული განახლება, რისთვისაც შეძლებს კაპიტალის დაბანდება კონკურენტუნარიან, ექსპორტზე შეძენილი ფართომასშტაბიანი პროდუქციის შექმნა. კორპორაციის საბოლოო მიზანია ბაზრის გარკვეული სეგმენტის ექსპანსია და მასზედ დამკვიდრება.

2. კორპორაციის შემადგენლობა წარმოდგენილია ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ორი ქვესისტემით - ფინანსურ-კრედიტული და საწარმოო-ტექნოლოგიური. თითეული მათგანი აერთიანებს ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, საწარმოებს, რომლებიც ქმნიან გაფართოებული ფინანსური და სასაქონლო კვლავწარმოების დახშულ ციკლს, დაწყებული პირველადი დაფინანსებიდან. კორპორაციის შემადგენლობაში შედიან მხოლოდ ის ბიზნეს-ერთეულები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ კორპორაციის პროდუქტის წარმოებაში და მისი ბაზარზე გატანაში.

3. კორპორაციის სტატუსით იქმნება მაღალი ეფექტის მიღების ორგანიზაციული წინაპირობა ფინანსური და საწარმოო სტრუქტურების პირდაპირი კავშირების გამო

კორპორაციის ფორმირების საფუძველები, როგორც წესი, შეძლებისდაგვარად ფინანსური სტრუქტურები (საფინანსო - საწარმოო ჯგუფები, ჰოლდინგები, საბანკო ჯგუფები) და საწარმოო-ტექნოლოგიური სტრუქტურები (კონცერნი, სააქციო საზოგადოება, კარტელი, სინდიკატი, ტრესტი).

საერთაშორისო კორპორაციები: საერთაშორისო კორპორაციები წარმოადგენენ სამრეწველო, სავაჭრო, სატრანსპორტო ან საბანკო მსხვილ გაერთიანებებს, რომელთა საქმიანობა სცილდება მათი ბაზირების ქვეყნების საზღვრებს და უზრუნველყოფს მათთვის მომგებიან პოზიციებს წარმოების, გასაღების, შესყიდვებისა და მომსახურების სფეროებში. პირველი საერთაშორისო გაერთიანებები შეიქმნა 19-ე საუკუნის 60-80-იან წლებში მინერალური ნედლეულის მოპოვების, შესყიდვისა და გასაღების სფეროში. 20-ე საუკუნის მეორე ნახევარში საერთაშორისო კომპანიების საქმიანობის ხასიათი იცვლება.

გასული საუკუნის პირველი ნახევარში საერთაშორისო კომპანიების ძირითადი ფორმა იყო კარტელის ტიპის გაერთიანებები, ხოლო მეორე ნახევარში-საერთაშორისო კონცერნები და სხვა უძლიერესი საწარმოო ფირმები.თანამედროვე საერთაშორისო გაერთიანებები ხელმძღვანელობენ გლობალური ექსპანსიის კონცეფციით. ისინი მთელი მსოფლიოს მეურნეობას განიხილავენ თავისი კაპიტალის დაბანდების სფეროდ. საბაზრო ეკონომიკის პირობებში კონცენტრაცია წარმოადგენს საკონკურენციო ბრძოლაში თავის გადარჩენის, დანახარჯების შემცირების, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განხორციელების, ეფექტიანი რეკლამის ფაქტორს წარმოადგენს.

საერთაშორისო კორპორაციების შექმნას განაპირობებს შემგეგი მიზეზები: 1. ახალი ბაზრების ძიება ნედლეულის ძიება; 2. ახალი ტექნოლოგიებისძიება; 3. საწარმოო-ფინანსური მომგებიანობის ამაღლება.

საერთაშორისო კორპორაციები იყოფა სამ ჯგუფად:

ტრანსნაციონალური კორპორაციები, რომლებიც შექმნილია ერთი ნაციონალობის სააქციო კაპიტალით და აწარმოებენ მთელი კორპორაციის საქმიანობის კონტროლს. ისინი თავის საქმიანობას აწარმოებენ სხვა ქვეყნებში იქ არსაბული თავისი ფილიალებისა და შვილობილი საწარმოების მეშვეობით. ამ ფილიალებსა და საწარმოებს გააჩნიატ დამოუკიდებელი საწარმოო და პროდუქციის გასაღების სამსახურები, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები და სხ. ამ სახის საერთაშორისო კორპორაციის ტიპიური წარმომადგენელია “ჯენერალ მოტორს“, “ფორდი“, აი ბი ემ, შვეიცარული საკვები კონცერნი “ნესტლე“ და სხ.

მრავალნაციონალური კორპორაცია - ტრესტები, კონცერნები და სხვა საწარმოო გაერთიანებები, რომლებიც წარმოადგენენ

საერთაშორისო ფირმებს არა მხოლოდ თავისი საქმიანობის ხასიათით, არამედ მათზე კონტროლით. მრავალნაციონალური კორპორაციები აერთიანებენ ორი ან მეტი ქვეყნის ნაციონალურ კომპანიებს საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკურ საფუძველზე, რომლებიც ეკუთვნიან ამ ქვეყნების მესაკუთრეებს. მაგალითად, ინგლის-ჰოლანდიური ქიმიურ- ტექნოლოგიური კონცერნი“იუნილევერი“, რომელიც ფუნქციონირებს 1907 წლიდან, ინგლისურ-იტალიური რეზინოტექნიკური კონცერნი “დანლოპ-პირელი“, იტალიურ-ფრანგული საავტომობილო კონცერნი “ფიატ-სიტროენ“.

საერთაშორისო კორპორაციული კავშირები-ძირითადად კონსორციუმის სახით, სპეციალური გაერთიანებები, სამრეწველო, საბანკო და სხვა კონცერნებისა, რომლებიც იქმნებიან უმნიშვნელო-ვანესი ეკონომიკური ამოცანების გადასაწყვეტად. მაგალითად, დასავლეთ ევროპის კონსორციუმი “ერბას ინდასტრი“.

თანამედროვე ეტაპზე დიდ მნიშვნელობას იღებს ტრანსნაციონალური კომპანიების ურთიერთთანამშრომლობა სტრატეგიული ალიანსის სახით.

სტრატეგიული ალიანსის შექმნის ტენდეცია სულ უფრო ძლიერდება, მათ შეუძლიათ მრავალი სახის ამოცანის გადაწყვეტა, რაც წარმოიქმნება მათ წინაშე მსოფლიოს ძირითად ბაზრებზე.

კორპორაციული მართვის ორგანიზაციული სტრუქტურების ტიპები: ორგანიზაციული სტრუქტურა წარმოადგენს კორპორაციული მართვის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს. იგი გულისხმობს ორგანიზაციის განყოფილებებსა და პერსონალს შორის მართვის მიზნებისა და ამოცანების განაწილებას. თავისი შინაარსით მართვის სტრუქტურა წარმოადგენს მართვის გადაწყვეტილებებისა და რეალიზაციის მიზნით შრომის განაწილების ფორმას.

მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის ქვეშ იგულისხმება მართვის რგოლების ერთობლიობა, რომლებიც განაწილებულნი არიან მკაცრი დაქვემდებარების პრინციპით, რის შედაგადაც უზრუნველყოფილია მმართველი და მართვადი სისტემების ურთიერთკავშირი. მართვის ორგანიზაციული სისტემა გამოიხატება ორგანიზაციის ქვესისტემების შემადგენლობაში, მათ განაწილებაში, ურთიერთ-შეფარდებაში და ურთიერთკავშირში. იგი უზრუნველყოფს ორგანიზაციის ცალკეული განყოფილებების გამოკვეთილ ურთიერთკავშირს, მათ შორის უფლებებისა და მოვალეობების განაწილებას.

ორგანიზაციული სტრუქტურა ყალიბდება სხვადასხვა კრიტერიუმებით: ძალაუფლების განხორციელების წესები, ორგანიზაციის შიგნით განყოფილებების ურთიერთზემოქმედება, ორგანიზაციის სიდიდე, სტრატეგია, გამოყენებული ტექნოლოგია.

ორგანიზაციის მართვის სტრუქტურის ძირითადი ტიპებია: სწორხაზოვანი ორგანიზაციული სტრუქტურა. ეს არის მართვის უმარტივესი ორგანიზაციული სტრუქტურა. მისთვის დამახასიათებელია ის, რომ ყოველი სტრუქტურული განყოფილების თავში დგას ხელმძღვანელი-ერთმართველი, რომელიც აღჭურვილია ყველა უფლებებით და ანხორციელებს მისდამი დაქვემდებარებულთა ერთპიროვნულ ხელმძღვანელობას. იგი ფლობს მართვის ყველა ფუნქციას.

მართვის სწორხაზოვანი სტრუქტურის დროს გადაწყვეტილება გადაეცემახდება ჯაჭვური მეთოდით "ზემოდან-ქვემოთ". მართვის ქვედა რგოლის ხელმძღვანელი ექვემდებარება ზედა რგოლის ხელმძღვანელს, და ამგვარად ფორმირდება იერაქიული სტრუქტურა. მართვა ემყარება ერთმართველობის პრინციპს, დაქვემდებარებული ასრულებს მხოლოდ ერთი ხელმძღვანელის განკარგულებას.

ფუნქციონალირი ორგანიზაციული სტრუქტურა. ფუნქციონალური სტრუქტურის დროს მართვა ხორციელდება სამუშაოს კონკრეტულ სახეზე სპეციალიზებული განყოფილებების მიერ, რომელიც აუცილებელია მართვის სწორხაზოვანი სისტემის დროს გადაწყვეტილების მისაღებად.

მართვის ფუნქციონალური სტრუქტურის დროს, ერთი პროფილის სპეციალისტები ერთიანდებიან სპეციალიზებულ სტრუქტურილ განყოფილებაში, მაგალითად, მარკეტინგის განყოფილება, საგეგმო განყოფილება, ბუღალტერია და ა. შ. ამგვარად, ორგანიზაციის საერთო ამოცანა იყოფა ფუნქციონალური კრიტერიუმის მიხედვით, რაც უდევს საფუძვლად მართვის ფუნქციონალურ სტრუქტურას.

ფუნქციონალური სტრუქტურა მოქმედებს სწორხაზოვანთან ერთად, რის გამოც ყალიბდება შემსრულებლის ორმაგი დაქვემდებარება.

მართვის სწორხაზოვან-ფუნქციონალური სტრუქტურა. მართვის სწორხაზოვან-ფუნქციონალური სტრუქტურის დროს სახელისუფლებო ფუნქციები ეკისრება სწორხაზოვანი იერარქიის ხელმძღვანელებს. კონკრეტული საკითხების, პროგრამების, გეგმების დამუშავების დროს მათ დახმარებას უწევს სპეციალური აპარატი, რომელიც შედგება ფუნქციონალური განყოფილებებისგან.

ფუნქციონალური სტრუქტურული ერთეულები ექვემდებარებიან მთავარ სწორხაზოვან ხელმძრვანელს. მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელება ხდება მთავარი ხელმძღვანელის ან შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელის მეშვეობით.

ამგვარად, სწორხაზოვანი-ფუნქციონალური სტრუქტურა მოიცავს სპეციალურ განყოფილებებს სწორხაზოვანი ხელმძღვანელობის

პირობებში, რომლებიც ეხმარებიან სწორხაზოვან ხელმძღვანელობას ორგანიზაციის ამოცანების შესრულებაში.

დივიზიონალური სტრუქტურა. დივიზიონალური სტრუქტურა წარმოადგენს იერარქიული სტრუქტურის ყველაზე სრულყოფილ სახეს. დივიზიონალური სტრუქტურის პირობებში გამოყოფილია მსხვილი ავტონომიური საწარმოო-სამეურნეო განყოფილებები, მათ განკუთვნილი აქვთ მართვის შესაბამისი დონე, სარგებლობენ ოპერატიულ საწარმოო დამოუკიდებლობით ,რომელიც შეესაბამება მართვის მოცემული დონის პასუხისმგებლობას.

დივიზიონალური განყოფილების ქვეშ იგულისხმება ორგანიზაციული ერთეული, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შიდა ფუნქციონალურ ქვეგანყოფილებებს. განყოფილება პასუხისმგაბალია წარმოებაზე, განსაზღვრული პროდუქციის გასაღებაზე, მოგების მიღებაზე, რის შედაგადაც, მაღალი ეშელონის ხელმძღვანელობა გამოთავისუფლებულია ოპერატიული ფუნქციებისაგან და ძირითადად დაკავებულია სტრატეგიული ამოცანების შესრულებაზე. როგორც წესი, ორგანიზაციის მაღალი დონის ხელმძღვანელობას ექვემდებარება მხოლოდ 4-6 ცენტრალიზებული ფუნქციონალური განყოფილება.

უმაღლესი ხელმძღვანელობა იტოვებს მკაცრი კონტროლის უფლებებს განვითარების სტრატეგიის საკითხებში, სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში, ფინანსებში, ინვესტიციებში.

ამგვარად, დივიზიონალური სტრუქტურისთვის დამახასიათებელია მართვის მაღალ დონეებზე ცენტრალიზებული სტრატეგიული დაგეგმვის შეთანაწყობა განყოფილებების დეცენტრალიზაციურ საქმიანობასთან, რომლებიც ანხორციელებენ ოპერატიულ მართვას და პასუხისმგებლები არიან მოგების მიღებაზე.

მართვის მატრიცული სტრუქტურა წარმოადგენს პროექტული სტრუქტურის შემდგომ საფეხურს. ეს არის ორგანიზაციული სტრუქტურის თანამედროვე ეფექტიანი ტიპი, რომელიც აგებულია შემსრულებელთა ორმაგი დაქვემდებარების პრინციპით: ერთის მხრივ, ისინი ექვემდებარებიან უშუალოდ ფუნქციონალური სამსახურის უფროსს და მეორეს მხრივ, პროექტის ხელმძღვანელს. პროექტის ხელმძღვანელი ურთიერთობს Dდაქვემდებარებულთა ორ ჯგუფთან: პროექტის ჯგუფის მუდმივ წევრებთან და ფუნქციონალური განყოფილებების თანამშრომლებთან, რომლებიც მას ექვემდებარებიან პროექტის განსაზღვრულ საკითხებში.

მატრიცული სტრუქტურა ყოველთვის ორი ორგანიზაციული ალტერნატივის კომბინაციაა-ფუნქციონალურისა და პროექტულის. მათ შორის ბალანსის დარღვევა იწვევს მნიშვნელოვან პრობლემებს.

მატრიცული სტრუქტურის დანერგვა ეფექტს იძლევა მაშინ, როცა მაღალია კორპორაციული კულტურა და საქმე გვაქვს მაღალი კვალიფიკაციის პერსონალთან. ყველა ორგანიზაციულ სტრუქტურას და უარყოფითი მხარეები.

დასკვნა: თანამედროვე მსოფლიოში ბიზნესის ცივილიზებული წარმართვა წარმოუდგენელია კორპორაციული მართვის მაღალი სტანდარტების დაცვის გარეშე.
მას შემდეგ რაც 1600-იან წლებში აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანიამ (Vereenigde Oost-Indische Compagnie, ნიდერლანდები) შემოიტანა დირექტორთა საბჭოს (Court of Directors) ინსტიტუტი, რითაც ერთმანეთისგან განცალკავებული იქნა კომპანიის მფლობელობა და მართვა, საფუძველი ჩაეყარა კორპორაციული მმართველობის საერთაშორისო წესებს. ათწლეულობის განმავლობაში ეს წესები იხვეწებოდა. თანამედროვე ბიზნესში კორპორაციული მართვის მაღალი სტანდარტების დამკვიდრებას ახალი ძალა მიეცა 1990-იან

წლებში, რასაც ბიძგი მისცა წინა პერიოდში გახმაურებულმა კორპორაციულმა სკანდალებმა.

კორპორაციული მართვის საუკეთესო სტანდარტების შემოღება აუცილებელია იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც მიზნად ისახავენ კერძო სექტორში ინვესტიციების სტიმულირებას და კომპანიებისთვის, რომელთაც სურთ მოიზიდონ ახალი, დამატებითი კაპიტალი. თუ კომპანიას აქვს ძლიერი და სწორი კორპორატიურლი მმართველობა, ის წარმატებული იქნება ამ პროცესში, სუსტი კორპორატიული მმართველობა კი ასუსტებს კომპანიის პოტენციალს და გზას უხსნის ფინანსურ პრობლემებსა და თაღლითობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Jim Woodruff; Reviewed by Jayne Thompson - The Advantages and Disadvantages of the Different Types of Business Entities. LLM; Updated January 28, 2019
2. Nicole Gagliardi - Forms of Business Organization (provided by the Missouri Small Business and Technology Development Centers). Kansas City, MO 64110 LLS 2019.
3. Michael Spadaccini - The Basics of Business Structure. Sole proprietorships, partnerships, LLCs and corporations--learn the differences and which one fits your company best. 2018

ვალუტის გაუფასურების შედეგები და მოლოდინები საქართველოში
Currency Impacts and Expectations in Georgia

ნათია კახნიაშვილი - ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
Natia.kakhniashvili@tsu.ge

Natia Kakhniashvili - Doctor of Business Administration,
Tbilisi state university,
Natia.kakhniashvili@tsu.ge

რეზიუმე: მიმდინარე პერიოდის ერთ-ერთი აქტუალური საკითხი დოლართან მიმართებით ლარის კურსის დაცემა გახდა. საქართველოს ეროვნულ ვალუტას მცურავი გაცვლითი კურსი აქვს, რაც ნიშნავს, რომ კურსი ყალიბდება სავალუტო ბაზარზე არსებული მოთხოვნა-მიწოდების შესაბამისად და ეროვნული ბანკი მოცემულ პროცესში კურსის კორექტირების მიზნით არ ერევა, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევისა, როცა კურსის ცვლილება ინფლაციის პროვოცირებისათვის საკმარის მასშტაბებს აღწევს. თუმცა ლარის გაცვლითმა კურსმა ისეთ ნიშნულს მიაღწია, რომელმაც რისკი შეუქმნა ფასების სტაბილურობას.

Resume: One of the pressing issues of the current period is the fall of the GEL against the dollar. The national currency has a floating exchange rate, which means that the exchange rate is set according to the demand and supply of the foreign exchange market And the National Bank does not interfere with the exchange rate adjustment process, except when the exchange rate is sufficient to provoke inflation. However, the exchange rate of the GEL reached a benchmark that created a risk to price stability.

საკვანძო სიტყვები: ლარის კურსი, მონეტარული პოლიტიკა, ინფლაცია, ფულადი აგრეგატები, ინფლაციის თარგეთირება.
Keywords: GEL exchange rate, monetary policy, inflation, monetary aggregates, inflation targeting.

ბოლო პერიოდში ხშირად საუბრობენ ფულის მასის სხვადასხვა აგრეგატებსა და გაცვლით კურსს შორის კავშირზე. ამ საკითხზე ინფორმაცია ეროვნულმა ბანკმა არაერთხელ გაავრცელა. საქართველოში, ისევე, როგორც განვითარებული მონეტარული პოლიტიკის მქონე ყველა სხვა ქვეყანაში, ფულის მიწოდება ხდება ავტომატურად ფულზე მოთხოვნის მიხედვით. ვინაიდან ეკონომიკის ზრდასთან ერთად დროთა განმავლობაში ფულზე მოთხოვნაც შესაბამისად იზრდება, ფულის აგრეგატების ზრდაც მხოლოდ ფულზე მოთხოვნის ზრდას, და არა ეკონომიკისთვის ფულის ჭარბ მიწოდებას ასახავს. ინფლაციის თარგეთირების რეჟიმში ყველა ცენტრალური ბანკი (მათ შორის სებ-იც), ოპერაციულ მიზნად იყენებს საპროცენტო განაკვეთს. სწორედ საპროცენტო განაკვეთის, და არა ფულადი აგრეგატების, ცვლილება აწვდის ბაზარს ინფორმაციას იმის შესახებ, გამკაცრდა, შერბილდა თუ უცვლელი დარჩა მონეტარული პოლიტიკა. რაც შეეხება სახელდობრ ფულადი აგრეგატების ცვლილებას, ის მხოლოდ ფულზე მოთხოვნის ზრდასა ან შემცირებაზე მიუთითებს. შესაბამისად, ეროვნულ ბანკში ამბობენ, რომ კორელაცია ფულის მასის ზრდასა და ლარის გაუფასურებასთან არ მყარდება მიზეზ-შედეგობრივი კავშირით. თუმცა 2016 წლის ივნისში ლარმა აშშ დოლარის მიმართ ბოლო 1 წლის მინიმალურ ნიშნულს – 2.12-ს მიაღწია და სწრაფად დაიწყო გაუფასურება. 8%-იანი გაუფასურების შემდეგ ლარი ბაზარზე 2.3 აშშ დოლარის ფარგლებში ივაჭრება. BREXIT–ი ლარის გაუფასურების ყველაზე ხშირად გამოყენებული ასახსნელი ფაქტორია. თუ შევხედავთ, რა დაემართა სხვადასხვა ვალუტას აშშ დოლართან მიმართებით, ვნახავთ, რომ ლარის გაუფასურებასა და BREXIT-ს შორის ურთიერთკავშირის დადგენა ყველაზე „ადვილია“. უპირობოა, რომ ჩვენს პარტნიორ ქვეყნებში მიმდინარე მოვლენებმა „დააჩქარა“ ლარის გაუფასურება. თუმცა ლარის გაცვლითი კურსის მერყეობა მხოლოდ საგარეო ფაქტორებით არ განისაზღვრება. ვალუტის გაუფასურების მიზეზები შეიძლება გამოწვეული იყოს

დეფიციტური ხარჯვით, ეროვნული ბანკის გამოწვეული პოლიტიკით, სპეკულაციური შეტევებით...

დეფიციტური ხარჯვა. ვალუტა უფასურდება, როდესაც მთავრობა დეფიციტურ ხარჯვას ახორციელებს და ფულს სესხულობს. რამდენად რელევანტურია ეს არგუმენტი ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურების ასახსნელად? ამ კითხვაზე პასუხი გადის იმ მექანიზმის ახსნაზე, რომლის გავლითაც დეფიციტური ხარჯვა კურსს აუფასურებს, ეს კი ინფლაციაა. ანუ, როდესაც მთავრობა დეფიციტურ ხარჯვას ეწევა, ის ამ ფულს სესხულობს და ეკონომიკაში ფულის მასას ზრდის, რასაც მოყვება ინფლაცია, რომელიც, თავის მხრივ, იწვევს გაუფასურებას.

საქართველოს შეთხვევაში არ გვაქვს მყარი არგუმენტაცია, რომ მთავრობის დეფიციტური ხარჯვით ავხსნათ ლარის გაუფასურება. თუმცა, გარდა ინფლაციური არხისა, დეფიციტურ ხარჯვას სხვა კუთხითაც შეუძლია იმოქმედოს ვალუტის გაუფასურებაზე. ეს ხდება მაშინ, როდესაც მთავრობის ვალი იზრდება, რაც ამცირებს ინვესტორების ნდობას, ვინაიდან არსებობს მოლოდინი, რომ მომავალში ვალის მომსახურებისთვის საჭირო იქნება გადასახადების ზრდა; ასევე, ვალის მომსახურებისთვის საჭირო იქნება მეტი ვალუტა. ბაზრის მოთამაშეების ასეთი პესიმიზმის გამო ვალუტის გაუფასურება მოსალოდნელია. უნდა აღვნიშნოთ, რომ მიმდინარე პერიოდში მთავრობის ვალი ზრდას განაგრძობს.

ეროვნული ბანკის როლი. რაც შეეხება ეროვნული ბანკის პოლიტიკას, აქ ორი მოსაზრებაა: პირველი არის ის, რომ ეროვნულ ბანკს შეუძლია გამოიყენოს რეზერვები გაუფასურების შესაჩერებლად, ხოლო მეორე - ის, რომ ეროვნულმა ბანკმა არ შეამცირა ლარის მასა ეკონომიკაში, რაც გაუფასურებას დაეხმარა. რეზერვების გამოყენებით შესაძლებელია ვალუტაზე პანიკური შეტევების მომენტში რეაგირება და გაუფასურების დინამიკიდან (ტრენდიდან) გადახრების დაკორექტირება, რასაც ეროვნული ბანკი პერიოდულად აკეთებდა. ამავე დროს, გაცვლითი კურსის

შენარჩუნება მოითხოვს რეზერვების ხარჯვას ეროვნული ბანკიდან, რაც ამცირებს ლარის მასას ეკონომიკაში (როდესაც ეროვნული ბანკი დოლარს ყიდის, მას ლარი ამოაქვს ეკონომიკიდან), მაგრამ ლარის მასის შემცირებამ შესაძლოა გამოიწვიოს საპროცენტო განაკვეთების აწევა და დეფლაციური პროცესი, რაც, თავი მხრივ, დააზარალებს ეკონომიკას. აქედან გამომდინარე, მოწოდებები ეროვნული ბანკისადმი ე.წ. არასტერილური ინტერვენციების განხორციელების შესახებ (ანუ, როდესაც ეროვნული ბანკი დოლარის გაყიდვით ამოიღებს ლარს, თუმცა აღარ მოახდენს ეკონომიკაში ამავე მოცულობის ლარის მიწოდებას) ეკონომიკური ზრდის შეფერხების წინაპირობაა. შესაბამისად, როდესაც ეროვნული ბანკი არ ამცირებს ლარის მასას ეკონომიკაში დოლარის გაყიდვის პარალელურად, ეს ხორციელდება იმიტომ, რომ საპროცენტო განაკვეთები არ გაიზარდოს, რაც უარყოფითად იმოქმედებდა ეკონომიკურ ზრდაზე, რომელიც მიმდინარე პერიოდში დაბალ ნიშნულზეა. აქედან გამომდინარე, ეროვნულ ბანკს ინტერვენციებით შეეძლო მხოლოდ მყისიერი რყევების შერბილება და არა გაუფასურების ტრენდის შეცვლა.

სპეკულაციური შეტევა. კურსზე სპეკულაციური შეტევაც, თავის მხრივ, არის ფუნდამენტური ფაქტორების შესახებ ინფორმაციის ასახვა კურსზე მანამ, სანამ ფუნდამენტური ფაქტორები თავისით მივლენ ამ წონასწორობაში. ბაზრის აგენტები, რომლებიც სპეკულაციურ შეტევას ახორციელებენ, ასე იქცევიან თავიანთი მოლოდინების გამო. ეს პრინციპულად არასწორია, რადგან ბაზრის აგენტები ნებისმიერ დროს ეცდებიან გამოიყენონ თავიანთ ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია. თუ არსებობს მოლოდინი, რომ მომავალში ლარი გაუფასურდება, მაშინ რაციონალური აგენტი შეეცდება ამ შანსის რეალიზება დღესვე მოახდინოს და დღესვე დაიწყოს ლარის გაყიდვა და დოლარის შესყიდვა, რაც ლარს დღესვე გააუფასურებს (ეს იგივეა, მაგალითად, რომ მივიღოთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დღეიდან ორ თვეში

ბენზინი გაძვირდება და რაციონალური ქცევა იქნება დღესვე დავიწყოთ შესყიდვა, რაც დღესვე გააძვირებს მას და არა ორი თვის შემდეგ). აქედან გამომდინარე, ბაზრის სპეკულიანტებზე გაუფასურების გადაბრალება არ არის მიზანშეწონილი. სპეკულიანტები ბაზარს უტევენ მაშინ, როდესაც სახეზეა ისეთი ცვლილებები ფუნდამენტურ ფაქტორებში, რომელთა რეალიზების შემთხვევაში ქვეყნის ცენტრალური ბანკი არ იქნება მოტივირებული დაიცვას კურსი.

სპეკულიანტთა მოქმედება იწვევს პროცესების მხოლოდ და მხოლოდ დაჩქარებას და ადრე დაწყებას. გაუფასურების ბოლო დინამიკა აშკარად ატარებს ე.წ. „ინფექციის ეფექტის“ ხასიათსაც (ჩონტაგიონ). საქართველო არ არის გამონაკლისი ამ კუთხით. 90-იან წლებში ლათინური ამერიკის ქვეყნების და სამხრეთ აზიის სავალუტო კრიზისები ამ სცენარით წარიმართა. მაშასადამე, ჩვენი ინტერესის საგანი ძირითადად უნდა იყოს ფუნდამენტურ ფაქტორებში მიმდინარე პროცესები.

ლარისთვის 2017 წელი რთული აღმოჩნდა. დოლართან მიმართებაში ეროვნული ვალუტის კურსის ცვალებადობის ამპლიტუდამ თითქმის 65 თეთრს მიაღწია. ლარის გაცვლითმა კურსმა ამერიკულ დოლართან მიმართებაში უკვე ახალი წლის იანვარში 2,67-2,69-იან ნიშნულს მიაღწია. ლარის კურსის ცვალებადობა აქაც უცხოური ინვესტიციების და ფულადი გზავნილების მოცულობის ზრდას დაბრალდა. 2018 წლის 1 იანვარს დოლარი 2.67 ღირდა, აპრილში მისი ფასი 2.40-მდე შემცირდა და აგვისტომდე 2.45-ს მხოლოდ რამდენიმე დღით ასცდა. აგვისტო-სექტემბერში თურქული ლირისა და რუსული რუბლის გაუფასურებამ გავლენა ლარზეც მოახდინა. მართალია წმინდა მაკროეკონომიკური გათვლებით მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორის ვალუტის გაუფასურება ამ ქვეყნიდან საშუალოვადიან პერსპექტივაში იმპორტის ზრდას უნდა იწვევდეს, თუმცა როდესაც საქმეში მოლოდინები ერთვება სიტუაცია იცვლება. 2 კვირაში

თურქული ლირა 4.92-დან 6.95-მდე გაუფასურდა და ამით საკუთარი ანტირეკორდი დაამყარა. იმავე პერიოდში დოლარის ღირებულება 63-დან 70.5 რუბლამდე გაიზარდა. 70-იან ნიშბულს რუბლი 2016 წლის მარტის შემდეგ პირველად გადასცდა. ლარიც სექტემბერში 2.62-მდე ნოემბერში კი 2.75-მდე გაუფასურდა, ეს უკანასკნელი ეროვნულმა ბანკმა ძირითადად არჩევნების მეორე ტურს და მისგან შექმნილ მოლოდინებს დაუკავშირა. რაც შეეხება 2019 წელს, ეროვნული ვალუტა ძირითადად გაუფასურების ტენდენციით ხასიათდებოდა. სავალუტო აუქციონებზე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 93 მილიონი დოლარი გაყიდა. ამ ინტერვენციების მიზანი ლარის გაცვლითი კურსის გამყარება იყო. ამის მიუხედავად, პირველი იანვრიდან ლარი 11% გაუფასურდა. 28 ნოემბრის ოფიციალური კურსით, ერთი დოლარი 2,9754 ლარი ღირდა. ეს მას შემდეგ, რაც ეროვნულმა ბანკმა ინტერვენცია განახორციელა და სავალუტო აუქციონზე 20 მილიონი დოლარი გაყიდა. სებ-ის ინტერვენციის შემდეგ, ეროვნული ვალუტა 0,4 თეთრით გამყარდა, თუმცა შემდეგ ეს მატება კვლავ მინუსში წავიდა. სებ-ის ჩარევის მიუხედავად, კურსის გაუფასურება ლარის მიმართ პესიმისტურ მოლოდინებზე, დოლარის გაზრდილ მოთხოვნაზე და ლარის შემდგომ მოსალოდნელ გაუფასურებაზე მიანიშნებს.

2019 წელი ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოს ისტორიაში ყველაზე ძვირი წელი აღმოჩნდა. სხვადასხვა ეკონომიკურმა ფაქტორებმა და ლარის არაერთმა ანტირეკორდმა ბაზარზე ძალიან ცუდი გავლენა მოახდინა. როგორც პირველადი მოხმარების საგნები, ასევე მომსახურეობაც მკვეთრად გაძვირდა. ყველა პირობაა იმისათვის რომ ლარი კიდევ უფრო გაუფასურდეს. საზოგადოება მზად უნდა იყოს სიტუაციის გაუარესებისკენ. თუმცა შეიძლება ლარი ამ ნიშნულთან გაჩერდეს ან რამდენიმე ერთეულითაც დაიწიოს, მაგრამ რყევები გაგრძელდება და საბოლოო ჯამში ლარის კურსი კვლავ მგძნობიარე იქნება დოლარის მიმართ.

გამოყენებული ლიტერატურა :

1. „ლარის გაუფასურების მიზეზები“, ინფორმაციის თავისუფლების და გამოყენების ინსტიტუტი (IDFI), 07.02.2017;
2. „წელს ლარის გასამყარებლად სებ-მა 93 მილიონი დოლარი გაყიდა-ლარი 30 თეთრით გაუფასურდა“, ტაბულა, 27.11. 2019;
3. „საზოგადოება მზად უნდა იყოს სიტუაციის გაუარესებისთვის“, ჯ.კახნიაშვილი, ასავალ-დასავალი, N 28, 15-21 ივლისი, 2019;
4. სტატისტიკის ეროვნული სამსახური; http://geostat.ge/?action=page&p_id=139&lang=geo (18.09.2019);
5. www.nbg.gov.ge

საზღვარგარეთ სწავლების პრინციპები
Principles of Teaching Overseas

თორნიკე მღებრიშვილი - საქართველოს უნივერსიტეტი
მაგისტრი
tornike.mgebrishvili@outlook.com

Tornike Mgebrishvili – The University of Georgia
Master of Philology
tornike.mgebrishvili@outlook.com

Abstract: Working in an international environment may lead to several issues such as misunderstanding of the local attitude towards many aspects which may cause expatriates to lose their interest, passion and doubt their professionalism. This concept mostly affects teaching abroad and, as a result, many prefer to operate locally.

Teaching overseas, especially in an international school, means getting accustomed to working with students and academic staff from many diverse nations. In the modern world, "knowing the knowledge" is no longer enough to be successful in certain areas and, in most cases, one needs to rely on their active skills rather than their qualifications and theoretical knowledge.

Certain areas have to be taken into consideration while deciding on teaching international students such as their favourite activities, interests and hobbies, their expectations and needs etc.

Key words: International education, teaching abroad, working overseas, survey amongst KS2 students, basic needs for great teachers, possible difficulties related to teaching international students.

As an expatriate myself I've encountered some difficulties when I first started working for an international school. Needless to mention that I had to rearrange my priorities and resources. Personally speaking, I found it quite complicated to perceive my students' ideas and preferences as well

as that of the managerial department. Soon enough, I realized that my priorities had to be altered and adapted to the local mindset.

In December 2019, I conducted research amongst students aged 10 to 12. 80 students were given the questionnaire and the questions were designed to receive objective and authentic data regarding all the teachers combined and help the teachers become more engaging and enjoyable for the learners.

There are the questions presented below:

1. Which activities in the classroom do you enjoy the most? Why?
2. If you were given one thing you could change in the class, what would it be? Why?
3. On a scale of 0-10, please rate your teachers (write a comment)
4. How much time do you spend every day on homework?
5. What are the achievements you are proud of?
6. Do your teachers encourage you to perform better?
7. Do your classmates encourage you to perform better?
8. Top 3 things that you love about your teachers.
9. Top 3 things that your teachers need to improve.
10. Top 3 things that your classmates need to improve.

The learners were comprehensively explained the rules of completing the questionnaire, therefore the results I received has been substantially significant for my development as a teacher.

It is worth mentioning that I am very surprised by the results. It appeared that the majority of students greatly appreciate what they are given and what they need is a happy, caring, interesting teacher who listens to them and understands their problems or difficulties. Nevertheless, one of the notable matters that the students appreciate so much is teachers' passion for the subject.

As for the favourite classroom activities "playing games" dominate the chart with 33%. Apart from that, classroom discussions and teamwork accounted for 19% and 10% respectively. 10% enjoys making

presentations, completing tasks and working alone. However, there are quite a few students who do not enjoy anything during their classes (29%), which is a dramatically high number.

"Things to change" seems to be an interesting topic for the students. The results keep surprising me though as 18% likes everything in the classroom, while 35% finds their classmates' behaviour unacceptable. 18% and 15% consider the classroom layout and teachers' methods inadequate accordingly. Apart from that, timetable, boring lessons, homework, resources and school rules account for 14% in total.

The teachers overall rating is another interesting matter to discuss. Giving 10 is quite unrealistic but still, 17% did so. However, more realistic scores - 9 and 8 were given by 29% and 33% respectively. 12% considered the teachers to deserve 7 and 4%, 3% and 3% marked them with 6, 5 and 0 respectively.

Time spent on homework is one of the crucial elements while trying to make the learning process enjoyable for children. In this case, the results were not so dramatic as only 10% spends more than 5 hours on completing the homework. The majority - 38% need 1-2 hours, followed by 27% who need just under an hour to finish their tasks. 17% and 8% use 2-3 and 3-4 hours respectively.

The answer that startled me the most was regarding achievements the students consider worthy. 24% of the children do not realise whether they have any kind of progress and have no answer to this question while 41% are proud of their results in exams and certain competitions. 31% are happy that they became better in some subjects and only 4% believes that their biggest achievement is their improved personality.

Fortunately, 60% believes that teachers encourage them to perform better, while 36% consider it to be occasional and 4% don't feel that whatsoever.

On the contrary, 51% answered that their classmates don't care about them, 31% feels support from some of them while only 18% believes that the class constantly encourages them.

As I mentioned above, students love kind, professional teachers who conduct interesting lessons and show love towards them, whilst they would like to have more positive, friendly and happy teachers.

As for the classmates, they would love to have supportive, kind, appreciative and respectful partners who continuously motivate them.

To summarise, working abroad with international people may mean having many unpredictable issues as well as surprises. Yet, every great teacher needs to listen to their students, adjust their methods and make them believe that they can achieve more than they could have ever imagined.

Bibliography:

1. https://accjc.org/wp-content/uploads/Principles-of-Good-Practice-in-Overseas.pdf
2. https://teach.com/careers/become-a-teacher/where-can-i-teach/abroad/
3. https://www.nais.org/articles/pages/taking-the-international-school-route.aspx

ინტერნეტ მარკეტინგის როლი ბიზნესში და მისი განვითარება საქართველოში

The role of Internet marketing in business and its development in Georgia

სოფიკო ცერცვაძე - ბიზნესის მართვის ფაკულტეტი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
s.tsertsvadze@gmail.com
დავით ჩახვაშვილი - ეკონომიკის დოქტორი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
davit.chakhvashvili@seu.edu.ge

Sopiko Tsertsvadze – Faculty of Business Management,
Georgian National University
s.tsertsvadze@gmail.com
Davit Chakhvashvili - Doctor of Economics,
Georgian National University
davit.chakhvashvili@seu.edu.ge

აბსტრაქტი: ინტერნეტ მარკეტინგი და ინტერნეტ რეკლამა – ეს არის თემა, რომელზეც მსოფლიოში უამრავი ლიტერატურა არსებობს, ძალიან ძნელია ამ ინფორმაციის ერთ სტატიაში ჩატევა, ამიტომ ჩვენ შევეხებით მარკეტინგულ ინსტრუმენტებს და ინტერნეტში მიმდინარე პროცესებს, რომლებიც ყველაზე ეფექტურ საშუალებებად არის აღიარებული, ასევე გვსურს განვიხილოთ ამ მიმართულების საქართველოში განვითარების პერსპექტივები.

ტრადიციული მარკეტინგის მსგავსად, ინტერნეტ მარკეტინგი არის ყველაფერი ის, რაც გვეხმარება ახალი მომხმარებლების მოზიდვაში და ძველების შენარჩუნებაში. ინტერნეტ-მარკეტინგი თანამედროვე კომპანიების განვითარებაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტთა კომპლექსს წარმოადგენს. დღესდღეობით მომხმარებლები უფრო ხშირად და სიამოვნებით ხარჯავენ ფულს ინტერნეტით, ამიტომ, კომპანიებმა პოტენციური მომხმარებლები სწორად აქ უნდა ეძებონ. ჩვეულებრივი რეკლამების დრო დიდი ხანია წავიდა, ხალხი დაიღალა ძველმოდური

რეკლამებით და დიდად აღარც ენდობიან მათ, ინტერნეტ მარკეტინგი კომპანიებს შესაძლებლობას აძლევს, რომ მთელ მსოფლიოს გააცნონ საკუთარი პროდუქტი.

Resume: Internet Marketing and Internet Advertising - This is a topic with lots of books written, it is very difficult to put all of this into one article, so we will touch on marketing tools and processes on the Internet. Like traditional marketing, internet marketing is all about helping us attract new customers and keep them old ones.

Internet marketing is one of the most important tools for the development of modern companies. Consumers are currently spending more and more money online, so companies should look for potential customers right here. The time of random advertising has long passed, people are tired of old-fashioned advertising and no longer trust it, and Internet marketing gives companies the opportunity to present their products to the whole world.

საკვანძო სიტყვები: ინტერნეტ-მარკეტინგი, რეკლამა, ანალიზი, სოციალური მედია, კონკურენტუნარიანობა, სეგმენტი, ფოკუსირებული სტრატეგია

Keywords: internet marketing, advertising, analytics, social media, competitiveness, segment, focused strategy

შესავალი: პირველ რიგში, ასაღნიშნია ის ფაქტი, რომ ნებისმიერი მარკეტინგის მიზანი-ბიზნესის მოგების ზრდაა. ძირითადად პირდაპირ - რეკლამის დაკვეთით, ან ირიბად - გარკვეული დროის შემდეგ. ირიბი მარკეტინგის მიზანია: - PR, ბრენდის პოპულარიზაცია, აუდიტორიის გაფართოება, ნდობის და ცნობადობის ასამაღლებელი აქციები და ა.შ.

მომხმარებლებისთვის სახლიდან გაუსვლელად ინტერნეტით, მათთვის სასურველი პროდუქტისა და მომსახურების შეთავაზებაა, მის მთავარ მიზანს წარმოადგენს საიტის სტუმრების

მომხმარებლებად ქცევას და კომპანიის შემოსავლების გაზრდას. კომპანიები, რომლებიც აწარმოებენ ინტერნეტ გაყიდვებს უნდა ფლობდნენ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა სიხშირით ახორციელებს მომხმარებელი ონლაინ შესყიდვებს, რატომ ურჩევნია იყიდოს ინტერნეტით და ენდობა თუ ვერ ენდობა მას მომხმარებელი.

ძირითადი ტექსტი: ინტერნეტ-მარკეტინგი ეხმარება მარკეტინგის მიზანს - შეიძინოს ახალი მომხმარებლები და შეინარჩუნოს არსებულ მომხმარებლებთან ურთიერთობა. ინტერნეტ მარკეტინგს აქვს სამი მთავარი უპირატესობა, რომელიც განასხვავებს მას ჩვეულებრივი მარკეტინგისგან: ინტერაქციულობა, ზუსტი სეგმენტაცია (თარგეთირება), ვებ-ანალიტიკა.

ინტერაქციულობა-ინტერნეტში შესაძლებელია „მარტივი„ ურთიერთობის დამყარება მომხმარებელთან, ნებისმიერ დროს მათთან დაკავშირება, სიტუაციის კონტროლი.

ზუსტი სეგმენტირება (თარგეთირება): ეს მიმართულება საშუალებას აძლევს კომპანიას, რომ არსებული აუდიტორიიდან აარჩიოს სამიზნე აუდიტორია და მხოლოდ მათ გაუგზავნოს რეკლამა ან ინფორმაცია კონკრეტულ პროდუქტზე.

ვებ-ანალიტიკა: კომპანიას საშუალებას აძლევს გაიგოს, მათ მიერ განხორციელებული ქმედებიდან, რომელი იყო მაქსიმალურად ეფექტური, რომელმაც მოიზიდა ბევრი კლიენტი და „აიძულა“ შეეძინა მათი პროდუქტი ან მომსახურება. ინტერნეტ მარკეტინგს, ისევე როგორც ჩვეულებრივ მარკეტინგს სჭირდება სტრატეგია.

სტრატეგიის გაწერისას აუცილებელია გავარკვიოთ ვინ არის კომპანიის მიზნობრივი აუდიტორია და მათი მოთხოვნების ერთგვარი სურათი შევადგინოთ. უნდა დადგინდეს, რამდენად აკამაყოფილებთ მათ ჩვენს მიერ შეთავაზებული პროდუქტი, თუ არ

აკმაყოფილებთ მაშინ რას შეცვლიდნენ ისინი მასში, სწორედ ამ დროს გამოადგება კომპანიას ინტერქციული ღონისძიებები.

სტრატეგიის შემუშავებისას ასევე აუცილებელია როგორც პირდაპირი ასევე ირიბი კონკურენტების შესწავლა, რა პოზიცია აქვთ მათ ბაზარზე. წარმატებული ონლაინ მარკეტინგული სტრატეგია კომპანიისთვის სასურველი შედეგის მომტანია.

ყველაზე ხშირად გამოყენებადი ონლაინ პლატფორმები მსოფლიოში: შეიძლება ითქვას რომ Amazon ინტერნეტ გაყიდვების მონოპოლისტია[13]
მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტ მარკეტინგი მსოფლიოში უკვე კარგად განვითარებული და გავრცელებულია, საქართველოში ის ჯერ კიდევ განვითარების სტადიაზეა.



[13] https://www.similarweb.com/top-websites/category/e-commerce-and-shopping

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2007 წელს საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა 4394700-ს, ხოლო აქედან ინტერნეტის მომხმარებელი იყო მხოლოდ 8,26%, დღეს სიტუაცია რადიკალურად შეცვლილია და 2019 წლის 1 ივლისის მონაცემებით 3723500-დან ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა 89,7 % შეადგენს, თუმცა მათი რაოდენობა ვინც ინტერნეტით ყიდულობს პროდუქტს ან მომსახურებას შეადგენს 20,8 % რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია[14].

2019 წლის 1იანვრის მონაცემებით კომპანიები,რომლებსაც აქვთ ვებსაიტი/ვებგვერდი შეადგენს 18,4%-ს[15] .

სამწუხაროდ ქართული ვებ-სივრცის პროდუქცია არაკონკურენტუნარიანია და საჭიროებს სრულყოფას, საქართველოში უცხოური ვებ-გვერდები მეტი პოპულარობით სარგებლობენ, მომხმარებლები უპირატესობას ანიჭებენ Amazon.com, Ebay.com, Aliexpress.com, 6pm.com და ა.შ. ვიდრე ქართულს საიტებს, მიზეზი საკმაოდ ბევრია: ვებ-გვერდების განახლება ხდება იშვიათად ,დიზაინის მხრივაც ნაკლებად მომხიბვლელია, რეკლამებიც ცოტაა, ელექტრონულ მაღაზიაში განთავსებული პროდუქტის სურათების დაბალი ხარისხი, სკანირების ტექნოლოგიების (ვირტუალური შემოწმება) და პროდუქტის, ნახვის ტექნოლოგიების (3D ფორმატში) არარსებობა, არასრული ინფორმაცია პროდუქტის მიწოდებასა და გადახდის საშუალებების შესახებ, არასრულყოფილი ინფორმაცია პროდუქტისა და მომსახურების შესახებ, სხვადასხვა უკუკავშირის მექანიზმების (ბლოგი, ფორუმები) არარსებობა და რაც მთავარია ქართულ ენაზე ინფორმაციის სიმცირე. ქართული კომპანიები

---

[14] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/106/sainformatsio-da-sakomunikatsio-teknologiebis-gamoqeneba-shinameurneobebshi

[15] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/105/sainformatsio-da-sakomunikatsio-teknologiebis-gamoqeneba-satsarmoebshi

გაყიდვებს ძირითადად Facebook-ის მეშვეობით ახორციელებენ რაც მომხმარებელში უნდობლობას იწვევს, ამიტომ კომპანიებმა პირველ რიგში უნდა ეცადონ მოიპოვონ მომხმარებლების ნდობა, შესთავაზონ ფასდაკლებები, ფასები იყოს მომხიბვლელი, რათა მომხმარებელმა იგრძნოს ინტერნეტით შეძენის უპირატესობები და ააწყონ ისეთი საიტი რომელიც იქნება მომხმარებელზე მორგებული, ეფექტური და მარტივი გამოსაყენებელი. კომპანიამ აუცილებლად უნდა მოახდინოს საძიებო სისტემის ოპტიმიზაცია, რაც ნიშნავს, კომპანიის ვებ გვერდი იყოს ცნობილი საძიებო სისტემების პირველ ათეულში დიდი ხნის განმავლობაში. რაც მეტი იქნება ამ გზით საიტზე მოხვედრილთა რაოდენობა, მით მეტი შემოსავალი ექნება კომპანიას.

ინტერნეტ მარკეტინგის ინსტრუმენტები, რომლებიც აუცილებელია კომპანიისთვის და რომელთა დახმარებითაც ქართული კომპანიები შეძლებენ კონკურენტუნარიანი ვებ-საიტების შექმნას:

მთავარი გვერდი (Landing Page), ვებ-ანალიტიკა, SEO ოპტიმიზაცია, სოციალური მედია, კონტენტ მარკეტინგი, კონტექსტური რეკლამა, ფოსტა, ა/ბ ტესტირება.

მთავარი გვერდი (Landing page) - იმისათვის, რომ მომხმარებელს გააცნოთ და აჩვენოთ თქვენი პროდუქტი ან მომსახურება საჭირო არის სივრცე, რომელიც მთავარი გვერდით იწყება, ლენდინგის მთავარი მისია არის მომხმარებლის დარწმუნება, რომ დარეგისტრირდეს/შეიძინოს პროდუქცია. ლენდინგისთვის დამახასიათებელია მაღალი ეფექტურობა და დაბალი ღირებულება ჩვეულებრივ საიტთან შედარებით და მისი გაკეთება არ მოითხოვს დიდ დროს, თუნდაც თავიდან შესაძლებელია, რომ კონკურენტების მაგალითზე აიწყოს გვერდი. ლენდინგი არის ეფექტური საშუალება, რომ სტუმარი გახდეს მომხმარებელი. აუცილებელია თქვენი

უპირატესობების დაწერა კონკურენტებთან შედარებით და რაც ყველაზე მთავარი და აუცილებელია გვერდი უნდა იყოს მოსახერხებელი, მარტივად გასაგები და უნდა პასუხობდეს მომხმარებლების ყველა შეკითხვას.

ვებ-ანალიტიკა - ინფორმაციის შეკრება და ანალიზი მომხმარებლებზე, უბრალოდ დაათვალიერეს თუ შეიძინეს რამე, რამდენი ფული დახარჯა კომპანიამ და რამდენი გამოიმუშავა. ვებ ანალიტიკის ერთ-ერთი სერვისია Google analytics[16], სადაც ხდება ყველა უკვე ხსენებული ინფორმაციის შეყვანა, გარკვეული დროის შემდეგ, როდესაც იქნება მონაცემების საკმარისი რაოდენობა, შესაძლებელი იქნება მისი გაანალიზება და გაგება ვინ საიდან შედიოდა ამ საიტზე, რას აკეთებდნენ იქ და რა გავლენა იქონია ამ ყველაფერმა კონვერსიაზე.

ვებ ანალიტკიკის სერვისი: (www.google.com/analytics); კონვერსია - საიტის მნახველების პროცენტული რაოდენობა, რომლებმაც შეასრულეს მიზანმიმართული მოქმედება(ყიდვა ან რეგისტრაცია) მთლიანი მხახველების რაოდენობასთან

SEO ოპტიმიზაცია - საძიებო სისტემის კარგად ოპტიმიზაციის დახმარებით ვებ-საიტი სხვა გვერდებთან შედარებით მარტივად ძებნადი და Google-ის საძიებო სისტემისთვის უფრო მეტად პრიორიტეტული ხდება. რაც უფრო ხშირად იქნება თქვენი საიტი საძიებო სისტემის პირველ გვერდებზე უფრო მეტი მნახველი ეყოლება ვებ-გვერდს. SEO-ს ოპტიმიზაციისთვის აუცილებელია საკვანძო სიტყვები, რა პროდუქტი და მომსახურებაც აქვს კომპანიას მისთვის დამახასიათებელი სიტყვები ან მოკლე წინადადება დაიწეროს. და გახსოვდეთ რაც უფრო კარგად არის SEO ოპტიმიზირებული მით უფრო მეტი ტრაფიკი მოაქვს.

---

[16] www.google.com/analytics

SMM (სოციალური მედია) - ექაუნთი სოციალურ ქსელში შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ცალკე საიტი, რომელიც არსებულ და პოტენციურ მომხმარებლებს მისცემს შესაძლებლობას მიიღონ ყოველდღიური ინფორმაცია, უკეთესად გაიცნონ კომპანია და თამამად მიიღონ თქვენი პროდუქტის ყიდვის შესახებ გადაწყვეტილება, ამიტომ სოციალური ქსელი ისეთივე დახვეწილი და გასაგები უნდა იყოს, როგორც უშუალოდ ვებ გვერდი. მსოფლიო მასშტაბით კომპანიების 86% თავიანთ მომხმარებელს იზიდავს Facebook-ისა და Twitter-ის მეშვეობით. საქართველოში ყველაზე პოპულარული სოციალური ქსელი სწორედ Facebook-ია, ქართული კომპანიების რეიტინგი(მოწონება) სოციალურ მედიაში შემდეგნაირია: ლიდერობს თიბისი ბანკი, მეორე ადგილზე საქართველოს ბანკია, მესამეზე ალტა, მეოთხეზე თიბისი სმარკ კლუბი და ხუთეულს ხურავს ალდაგი.

კონტენტ მარკეტინგი - მომხმარებლისთვის საინტერესო და საჭირო ინფორმაციის შექმნა ციფრულ ფორმატში და მათთვის ამ ყველაფრის ეფექურად მიწოდება, თუნდაც ბლოგის მეშვეობით .

კონტენტი აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს მომხმარებლის ინტერესებს. კონტენტ მარკეტინგის მიზანი კომპანიის ცდობადობის, ლოიალური მომხმარებლების გაჩენა და რა თქმა უნდა გაყიდვების ზრდაა. იმ შემთხვევაში თუ არ გაკმაყოფილებთ მომხმარებლების ის რაოდენობა, რომელიც გყავთ და გინდათ მათი რაოდენობის გაზრდა, რომ შემდგომში გაყიდვებმაც იმატოს აუცილებელია კონტექსტური რეკლამის გამოყენება. კონტექსური რეკლამა- სარეკლამო განცხადება, რომელსაც მომხმარებელი ხედავს იმის მიხედვით, თუ რას ეძებს ის საძიებო სისტემაში. კონტექსტური რეკლამის მთავრი უპირატესობაა, რომ მას მხოლოდ კომპანიის სამიზნე აუდიტორია ნახავს. დაწყებამდე აუცილებელია სერვისის არჩევა, დაფიქრდით რომელ საძიებო სისტემას იყენებს თქვენი სამიზნე აუდიტორია

ყველაზე ხშირად, თუ ეს არის Google, მაშინ თქვენ გჭირდებათ Adwords.[17]

Mailing (წერილები) - წერილების მასიური გაგზავნა საკუთარი მომხმარებლებისთვის. თუ კომპანიისთვის პრიორიტეტია არა მარტო ყურადღების მიქცევა, არამედ მათ მუდმივ მომხმარებლად გადაქცევა აუცილებლად უნდა გამოიყენოს ფოსტა.

მიზანშეწონილია, გზავნილი იყოს ისეთი,რომ დააინტერესოს მომხმარებელი და გახსნას ის, რიგ შემთხვევებში წერილს არც ხსნიან ისე შლიან, რაც კომპანიისთვის წარუმატებლობაა, ასევე გასათვალისწინებელია, ის ფაქტი რომ წერილები ყოველდღე არ იგზავნებოდეს რათა მომხმარებელს თავი არ მოაბეზროთ.

ფოსტა არის ასევე კარგი საშუალება პოტენციურ მომხმარებლებთან ურთიერთობისთვისაც, მაგრამ მანამ სანამ კომპანია დაიწყებს ფოსტის გაგზავნას აუცილებელია **lead** ბაზის გაკეთება (lead- პოტენციური მომხმარებლები,რომლებმაც დატოვეს საკონტაქტო ინფორმაცია). ფოსტის მეშვეობით შეგვიძლია გავაგზავნოთ ინფორმაცია ახალი პროდუქტის, სხვადასხვა სახის აქციების, იმ ბონუსების შესახებ რასაც მიიღებენ ჩვები პროდუქტის ან მომსახურების შეძენის შემთხვევაში და სხვა. მასობრივი ფოსტის გაგზავნა შესაძლებელია[18]

მას შემდეგ რაც საიტი დაიწყებს საკმარისი რაოდენობის ტრაფიკის მიღებას კონტექსტური რეკლამის, კონტენტ მარკეტინგის და mailing მეშვეობით, უკვე შესაძლებელია A/B ტესტირების გამოყენება საიტის გაუმჯობესებისთვის.

---

[17] www.google.com/adwords

[18] www.unisender.com, www.mailchimp.com

A/B ტესტირება - კვლევა, რომელიც საშუალებას გვაძლევს შეფასდეს გვერდის 2 ვარიანტი და დადგინდეს რომელი მათგანი არის უფრო ეფექტური. მომხმარებლების ნაწილი ვებ-გვერდზე შესვლისას ხედავს საიტის A ვარიანტს, ხოლო მეორე ნაწილი B ვარიანტს. განსაზღვრული დროის შემდეგ, რომელ ვარიანტსაც ექნება უფრო მეტი ტრაფიკი საბოლოო ჯამში ის ვარიანტი დარჩება ვებ-გვერდზე. A/B ტესტირების გაკეთება შესაძლებელია Google Analytics (www.google.com/analytics), Visual Web Optimizer (www.vwo.com), Optimizely (www.optimizely.com).

ინტერნეტ მარკეტინგი გამუდმებით განიცდის ცვლილებებს და აუცილებელია მათ მივყვეთ. დროდადრო საკმაოდ პოპულარული ხდება Mobile ოპტიმიზაცია და ვიდეოკონტენტი.

Mobile ოპტიმიზაცია- 2019 წლისთვის მობილურის ტრაფიკმა სტაციონარის გადასწრება დაიწყო, მისი აღზევება განსაკუთრებით დაიწყო მას შემდეგ რაც Google-მა შეიმუშავა ალგორითმი "Mobilegeddon", ეს ალგორითმი საიტებს , რომლებიც არ არის ადაპტირებული მობილურ ვერსიებზე საძიებო სისტემის პირველი გვერდებიდან აქრობს, ფაქტობრივად ეს ალგორითმი კომპანიებს აიძულებს ქონდეთ ვერ-გვერდის მობილური აპლიკაციაც, რაც შეეხება **ვიდეოკონტენტს**, ხდება სულ უფრო და უფრო პოპულარული, ვიდეო მთავარ გვერძე შესაძლებლობას იძლევა გაარდოს კონვერსია 20%მდე. გარდა ამისა ის უზრუნველყოფს მაღალ ჩართულობას და „უარის" დაბალ მაჩვენებელს, ამიტომაც კარგი ვიდეოკონტენტი -საუკეთესო საშუალებაა აჩვენოთ როგორია და როგორ მუშაობს თქვენი პროდუქტი.

დასკვნა: ინტერნეტ მარკეტინგის განვითარება ქართულ კომპანიებს საშუალებას მისცემს გავიდეს ბაზარზე დაბალი ბარიერებით, შეისწავლოს მომხმარებელთა ქცევა, აწარმოოს სტატისტიკა. საქართველოში ინტერნეტ მარკეტინგის დანერგვა ერთ-

ერთი მნიშვნელოვანი პირობაა, როგორც ადგილობრივ ასევე გლობალურ გარემოში წარმატების მისაღწევად.

ფაქტია, რომ ინტერნეტ მარკეტინგში ყველაფრის ციფრებით გამოთვლაა შესაძლებელი, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ქართული ბიზნეს სივრცე უნდა მიხვდეს, რომ მისი მეშვეობით შესაძლებელია ახალი ბაზრის დაპყრობა. ინტერნეტ მარკეტინგით ჩვენ შეგვიძლია მივმართოთ მხოლოდ ჩვენს მიზნობრივ აუდიტორიას, იოლად შევინარჩუნოთ ინტერაქტიული ურთიერთობა მომხმარებელთან, გავავრცელოთ ნებისმიერი ინფორმაცია მაღალი სიჩქარით. დარგის სპეციალისტებს უსასრულოდ შეუძლიათ ისაუბრონ ინტერნეტ მარკეტინგის უპირატესობებსა და შესაძლებლობებზე, თუმცა ვფიქრობთ, რომ ამ მცირე სტატიაში საკმარისი ინფორმაცია გაშუქდა, რომ ყველა დაინტერესებულ პირს, დაფიქრების და ინტერნეტ მარკეტინგის მიმართულებით ეფექტური გადაწყვეტილების მიღების საშუალება მიეცეს.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

1. https://www.similarweb.com/top-websites/category/e-commerce-and-shopping გადამოწმებულია 05.01.2020
2. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/106/sainformatsio-da-sakomunikatsio-teknologiebis-gamoqeneba-shinameurneobebshi გადამოწმებულია 05.01.2020
3. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/105/sainformatsio-da-sakomunikatsio-teknologiebis-gamoqeneba-satsarmoebshi გადამოწმებულია 05.01.2020
4. https://www.webopedia.com/TERM/I/internet_marketing.html გადამოწმებულია 05.01.2020
5. https://www.webfx.com/internet-marketing/why-is-internet-marketing-so-important.html გადამოწმებულია 05.01.2020

ახალი პროდუქტის განვითარების პროცესი და ონლაინ პლატფორმების როლი მის წარმატებით დანერგვაში
New product development process and the role of online platforms in its successful implementation

ბექა ზაუტაშვილი - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Bekazautashvili1@gmail.com
დავით ჩახვაშვილი - ეკონომიკის დოქტორი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
davit.chakhvashvili@seu.edu.ge

Beka Zautashvili – Faculty of Economics and Business,
Tbilisi State University
Bekazautashvili1@gmail.com
Davit Chakhvashvili - Doctor of Economics,
Georgian National University
davit.chakhvashvili@seu.edu.ge

აბსტრაქტი: კომპანიის მიერ სამომხმარებლო ბაზარზე ახალი პროდუქტის დანერგვა რთული პროცესების ერთობლიობაა, რომელიც დეტალურ დაგეგმვას საჭიროებს. პროდუქტის განვითარება და მისი ბაზარზე გატანა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფეხურია, თუმცა მხოლოდ ინოვაციის შექმნა და მისი ასე უბრალოდ გასაყიდად მაღაზიის თაროებზე განთავსება საკმარისი არაა. წარმატების მისაღწევად და შემოსავლების მაქსიმიზებისთვის საჭიროა მწარმოებელმა კარგი მარკეტინგული კამპანიაც შეიმუშაოს, რომელიც ახალი პროდუქტის შესახებ ინფორმაციას პოტენციურ მყიდველამდე მიიტანს და „აიძულებს“ მომხარებელს მის ყიდვას. პროდუქტის წარმატებით დანერგვაში დღეს ონლაინ პლატფორმები გადამწყვეტ როლს ასრულებენ, რაც უკვე ყველასთვის კარგად ცნობილი ფაქტია. კომპანიები მრავლად იყენებენ სხვადასხვა სიახლისა და ინოვაციის დანერგვის პროცესში ისეთ საშუალებებს, როგორიცაა: ელექტორნული ფოსტა, სოციალური მედია, ვებ ბანერები, მობილური აპლიკაციები და სხვ. ისეთი პლატფორმების დახმარებით, რომლებიც ციფრული მარკეტინგის განუყოფელ ნაწილად იქცა

მწარმოებლები მარტივად ამყარებენ კავშირს მიზნობრივ აუდიტორიასთან და აჩქარებენ ახალი პროდუქტის დანერგვის პროცესს.
საკვანძო სიტყვები: ახალი პროდუქტის განვითარება, ინოვაციური პროდუქტი, ონლაინ პლატფორმები, ციფრული მარკეტინგი.

Abstract: Introducing a new product to the consumer market by a company is a combination of complex processes that require detailed planning. Product development and marketing is one of the important steps, however, just creating innovation and putting it on store shelves for sale is simply not enough. To succeed and maximize revenue, the manufacturer needs to develop a good marketing campaign that brings new product information to a potential buyer and "forces" the customer to buy it. Online platforms play a key role in the successful implementation of the product, which is a well-known fact to everyone. Companies use a variety of tools in the process of implementing various innovations such as e-mail, social media, web banners, mobile applications and more. With platforms that have become an integral part of digital marketing, manufacturers are easily connecting with their target audience and accelerating the process of introducing new products.
Key words: New product development, Innovative product, online platforms

ძირითადი ტექსტი: ახალი პროდუქტი ნიშნავს სიახლეს, როგორც სამომხმარებლო ბაზრისთვის ასევე ბაზარზე მოღვაწე კომპანიებისთვის. ვინაიდან ნებისმიერი ახალი პროდუქტი არის არამარტო ფირმის შემოსავლების ზრდის საშუალება, არამედ ქვაკუთხედი კომპანიის წარმატების.[19] თუმცა ახალი პროდუქტის განვითარებას თან სდევს საკმაოდ კომპლექსური პროცესები. ინოვაცია თავისი არსით არის რისკიანი და კომპანიამ შეიძლება

[19] 1990 წელს ჩატარდა კვლევა მარკეტინგული მეცნიერების ინსტიტუტის (Marketing Science Institute) მიერ და დადგინდა, რომ წარმატებული კომპანიების მიმდინარე გაყიდვების 25%-ს სწორედ ბოლო 3 წელიწადში წარმოებული ახალი პროდუქტები განაპირობებდა. კვლევა საკმაოდ ძველია, თუმცა გამოტანილი დასკვნა დღემდე აქტუალურია.

დაუთმოს დიდი დრო და რესურსები იმ იდეის განხორციელებას, რომელიც კომერციულად მომგებიანი შესაძლოა არ იყოს. არსებობს სიტუაცია, როდესაც ახალი პროდუქტი ვერ ახერხებს კომპანიისთვის სასურველი მოგების მოტანას, მაგ: ჯენერალ მილს-მა (General Mills) დაკარგა მილიონობით დოლარი, იმის გამო რომ მან მომხმარებელს წარუდგინა წასახემსებელი საკვების ტიპები შემდეგი სახელებით: "ბაგლსი" "გვირილები" და "პეპლები".

ახალი პროდუქტი მომხმარებლამდე გადის დიდ გზას, რომელიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც ახალი პროდუქტის განვითარების ძაბრი (The New Product Development Funnel), რომელიც მოიცავს:

შესაძლებლობების იდენტიფიკაცია და იდეების გენერირება - ახალი პროდუქტის განვითარების პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი სწორედ პირველი საფეხურია, როდესაც კომპანია ან ინდივიდი იწყებს იდეების გენერირებას, რომელიც ძირითადად ახალი შესაძლებლობების გამონახვით ან მომხმარებელთან მოთხოვნილებების გაანალიზებით ფორმირდება. ვინაიდან მომხმარებლები პროდუქტის გაყიდვებთან უშუალო კავშირში არიან, ამიტომ ფირმები ვერ უგულებელყოფენ მათ მოთხოვნილებებს, სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია მომხმარებელთა გამოკითხვა, რომელიც შესაძლებელია სხვადასხვა სახის იყოს: ინტერვიუები, ონლაინ გამოკითხვები და მომხმარებლებზე დაკვირვება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ კვლევის მეთოდებს გააჩნია რამდენიმე უარყოფითი მხარეც:

1. მომხმარებლები პასუხზე გაცემისას შესაძლოა იყვნენ საკუთარი აზრის ფორმირების პროცესში და მალევე აზრი შეეცვალოთ.
2. ხშირად მომხმარებელს უჭირს გამოხატოს თავისი ნამდვილი მოთხოვნილებები სასურველი პროდუქტის აღწერისას.
3. გამოკითხვები დროში გაწელილი და არასაისმოავნო პროცესია, მოითხოვს უამრავი მეთოდოლოგიისა და კითხვარის გამოყენებას.

4. შესაძლოა ინტერვიუერმა თავისდაუნებურად რესპოდნეტზე იქონიოს გავლენა, რაც კვლევების სანდოობას ეჭვქვეშ დააყენებს.

კონცეფციების განვითარება - ახალი პროდუქტის განვითარების გუნდი, როგორც კი დაადგენს მომხმარებელთა საჭიროებებს, უკვე იწყება მეორე საფეხური, რომლის დროსაც ფორმირდება პროდუქტის შესახებ იდეები. იდეების გენერირებისთვის არაერთი გზა არსებობს, მაგ: ბრეინშტორმინგი, მორფოლოგიური ანალიზები, სისტემური მიდგომები, არქივების ანალიზი და სხვ.

კონცეფციების დატესტვა - კომპანიები ზოგადად იმაზე მეტ იდეებს ქმნიან ახალ პროდუქტის შესახებ, ვიდრე საზოგადოებას წარუდგენენ სამომხმარებლო ბაზარზე. ამის მიზეზი კი კონცეპტუალური ტესტირებებია. ასეთი სახის ტესტირებები მნიშვნელოვან როლს თამაშობს არამარტო კომერციულად არამგომგებიანი იდეების გაფილტვრაში, არამედ ახალი პროდუქტის თვისებების და დიზაინის სრულყოფაშიც. კონცეპტუალური ანალიზის დროს იყენებენ, როგორც რაოდენობრივ ასევე ხარისხობრივ კვლევის მეთოდებს და პროდუქტის კონცეფციებს წარუდგენენ პოტენციურ მომხმარებლებს. მომხმარებელი აფასებს აღნიშნულ პროდუქტს სხვადახვა კრიტერიუმებით, მაგ: რამდენად აკმაყოფილებს სამომხმარებლო საჭიროებას, რამდენადაა მორგებული მომხმარებლთა ინტერესებზე და სხვ. ეს და სხვა კრიტერიუმები განსაზღვრავენ იმას თუ რა უნდა დაიხვეწოს და როგორ უნდა განვითარდეს ახალი პროდუქტი. კონცეპტუალური ანალიზის კიდევ ერთი მიზანია დემონსტრაცია როგორც მომხმარებლისთვის ასევე კონკურენტებისთვის, რომ კომპანია ზრუნავს მყიდველთა მოთხოვნილებებზე.

პროდუქტის დიზაინის შექმნა - როგორც კი არსებობს საჭირო ინფორმაცია კითხვარებიდან, იწყება ახალი პროდუქტის დიზაინის შექმნა, რომელიც მორგებული იქნება მომხმარებელთა ძირითად მოთხოვნილებებზე. კითხვარების ანალიზის მიზანია: გამოავლინოს და განსაზღვროს პროდუქტის მახასიათებლები, რომლებიც

უნივერსალურია და მისაღებია პოტენციური მომხმარებლის უმეტესობისთვის.

პროტოტიპის შექმნა და მისი ტესტირება - ახალი პრდუქტის საბოლოო დიზაინისა და შექმნის ბოლო ფაზა ესაა პროტოტიპების შექმნა, რომელიც შეიძლება იყოს ვირტუალური. ამ ეტაპზე ეწყობა შეხვედრები მომხმარებელთან და მათთვის წარდგენა ახალი პროდუქტის შესაძლო პროტოტიპების. მსგავსი ტესტირებები და შეხვედრები არამარტო მომხმარებელს უქმნის შთაბეჭდილებას ახლა პროდუქტზე, არამედ თავად კომპანისაც თუ რა სახის შედეგებს მიიღებს ამ პროდუქტის გამოშვების და რეალიზაციის შემთხვევაში.

პროდუქტის იდეაზე მუშაობის დაწყებისთანავე უნდა შეიქმნას ძირითადი გუნდი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება შექმნის პროცესზე, მაგრამ ასევე საჭიროა სხვა სახის ადმინისტრაციული ჯგუფის შექმნაც, რომელიც პასუხისმგებელი იქნება უშუალოდ გაყიდვებზე. ამიტომ დასაწყისიდანვე უნდა შეირჩეს ის პასუხისმგებელი პირები, რომლებიც შემდგომ იზრუნებენ ცნობადობის ამაღლებაზე. მსგავსი სტრუქტურის ფორმირებისას, საჭიროა სულ მცირე ერთ წევრს მაინც ჰქონდეს გამოცდილება NPD[20] პროცესებში მონაწილეობისა. აღსანიშვანია, რომ მსგავსი პიროვნებების მოძიება ხდება პროდუქტის იდეის დასაწყისიდანვე, რადგან მსგავსი ჯგუფები პროდუქტის შექმნის პროცესშივე იწყებენ ფიქრს თუ როგორ შეიძლება მისი (პროდუქტის) ცნობადობის ამაღლება, ან აჯამებენ თუ რა უარყოფითი მხარეები აქვს პროდუქტს და ამ ინფორმაციას წარმოების გუნდს აწვდიან. მსგავსი ტიპის დეპარტამენტები პასუხისმგებლები არიან ასევე სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებზეც. პროდუქტის წარმატების პროცესში კი ერთ-ერთი ეფექტურ ინსტრუმენტად სწორედ რომ ონლაინ პლატფორმებზე დაფუძნებული საშუალებები ითვლება, რომლებიც

[20] ახალი პროდუქტის განვითარების პროცესი - New Product Development process

მწარმოებელს საშუალებას აძლევს წარმატებით დანერგოს სიახლე ბაზრებზე. ციფრული მარკეტინგის წარმომადგენლებს იმაზე მეტი ინსტრუმენტი აქვთ მომხმარებლებზე გასასვლელად ვიდრე აქამდე: ციფრული ბაზები, ახალი მიწოდების არხები და რაც მთავარია ონლაინ პლატფორმების მთელი წყება.



[21]

იმეილ-კამპანია: ელექტრონული ფოსტა საკმაოდ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად შეიძლება იქცეს პროდუქტის ბაზარზე დანერგვის პროცესში. მიუხედავავდ იმისა, რომ გარკვეულ შემთხვევაში მომხმარებელი უკმაყოფილოა ელ. ფოსტაზე იმ შეტყობინებების მიღებით, რომელიც გატენილია სარეკლამო შეთავაზებებითა და ახალი პროდუქტის ნიმუშებით ის მაინც ეფექტურ საშუალებად ითვლება მომხმარებლის მოსაზიდად და პროდუქტის ცნობადობის ასამაღლებლად. შედეგი გაცილებით უფრო ეფექტურია თუ შეტყობინების შინაარსი მომხმარებელს აძლევს საშუალებას უფასოდ მიიღოს პროდუქტის დემო ვერსია (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მიიღოს ფასდაკლება ან სხვა სახის სარგებელი. ელ.ფოსტის

[21] წყარო: https://www.statista.com/statistics/456500/daily-number-of-e-mails-worldwide/

გამოყენება სულ უფრო და უფრო იზრდება, რაც ამ პლატფორმის ჩართულობას ახალი პროდუქტის დანერგვის პროცესში აქტუალურს ხდის. მონაცემებზე დაყრდნობით 2019 წელს ელ. ფოსტის მომხმარებელთა რაოდენობამ 3.9 მილიარდს გადააჭარბა, ხოლო 2022 წლისათვის ელ. ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი შეტყობინებათა რაოდენობა ყოველდღიურად 333,2 მლრდ. ერთეულს მიაღწევს.
ამასთანავე მსოფლიო მოხმარების მიხედვით ადამიანები საკუთარ ელ. ფოსტას საკმაოდ ხშირად ამოწმებენ, Statista-ს მონაცემებზე დაყრდნობით შედეგები შემდეგი სახისაა:



იმ ფაქტების გათვალისწინებით თუ ყოველდღიურად რა რაოდენობის შეტყობინება იგზავნება ელექტრონული ფოსტის საშუალებით და რამდენად გაიზარდა ამ პლატფორმის მოხმარება, ახალი პროდუქტის დანერგვისთვის ის სულ უფრო და უფრო ეფექტურ საშუალებად ითვლება.
სოციალური ქსელები: მომხმარებლები თავისუფალი დროის ნაწილს სწორედ, რომ სოციალურ ქსელებს უთმობენ. მსგავსი პლატფორმების პოპულარობამ კი განაპირობა პროდუქტის გაყიდვების სრულიად ახალი გზების დანერგვა ბიზნესში, სადაც

სოციალურ მედიას მნიშვნელოვანი როლი უკავია. Oberlo.com-ზე დაყრდნობით ყოველდღიურად სოციალურ მედია საშუალებებს 3,5 მილიარდი ადამიანი იყენებს (მთლიანი მოსახლეობის 45%), რაც ცალსახად მოსახეხებელია ახალი პროდუქტის დასანერგად სამომხამრებლო ბაზარზე.



[22]

ვებ ბანერები: ონლაინ მარკეტინგში ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობს ვებ ბანერები, რომელთა მიზანია პროდუქტის, ბრენდის და სხვ. ცნობადობის ამაღლება. ვებ ბანერი შესაძლოა იყოს ფოტო (.jpg, .png), ასევე gif-იც, მას შეიძლება ქონდეს მინი ვიდეოს ან სხვა სახის ვიზუალური სახე. ბანერზე დაკლიკვით კი მომხმარებელი უშუალოდ გადადის დამკვეთი კომპანიის მიერ მითითებულ მისამართზე. ვებ ბანერები ხშირად თავსდება პოპულარულ ონლაინ პლატფორმებზე, რომლებსაც უამრავი მომხმარებელი სტუმრობს.

---

[22] https://www.statista.com/statistics/1010716/apple-app-store-google-play-app-downloads-forecast/
შენიშვნა: მონაცემები გამოსახულია მილიარდებში

მობილური აპლიკაციები: დღეს ტელეფონი მხოლოდ დარეკვისა და შეტყობინების გადაგზავნის საშუალებასთან აღარ ასოცირდება, მან გაცილებით მეტი დატვირთვა შეიძინა ყოველდღიურობაში. შესაბამისად ადამიანები გაცილებით მეტ დროს უთმობენ მას. მობილურის მოხმარებასთან ერთად იზრდება სხვადასხვა აპლიკაციების მოხმარების რეიტინგიც, მაგალითისთვის:
დიაგრამაზე ასახულია თუ თითოეულ წელს რა რაოდენობის აპლიკაცია ჩამოიტვირთა Google Play და App Store მეშვეობით, მონაცემები გამოსახულია მილიარდებში. აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით რთული მისახვედრი არაა, რომ ამ პლატფორმების გამოყენება ახალი პროდუქტის დანერგვის პროცესში პროდუქტიული და წარმატების მომტანი შესაძლოა იყოს.
აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დასკვნა მარტივია: ახალი პროდუქტის შექმნის პროცესი კომპლექსური და ხშირად დროში გაწელილია. სწორად დაგეგმილი პროცესის პარალელურად საჭიროა კარგი მარკეტინგული კამპანიაც, რათა მაქსიმალური სარგებლიანობა მიიღოს კომპანიამ. კარგი მარკეტინგული კამპანიის დაგეგმვისა და განხორციელების ერთ-ერთი საუკეთესო გზა კი ამ პროცესებში ისეთი ონლაინ პლატფორმების ჩართვაა საჭირო, როგორიცაა: ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელები, ვებ ბანერები, მობილური აპლიკაციები და სხვ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. John R. Hauser, MIT და სხვ., New Product Development, Columbus Ohio,2008, თავი 8
2. https://www.oberlo.com/blog/social-media-marketing-statistics
3. https://www.acquisio.com/blog/agency/10-display-advertising-statistics-every-ppc-marketer-needs-to-know/
4. https://www.statista.com/

ხელოვნური ინტელექტის როლი განათლებასა და ბიზნესში
Роль искусственного интеллекта в образовании и бизнесе

მაკა სოსანიძე - გორის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი.
m.sosanidze@mail.ru
ლეილა მამულაშვილი - გორის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი,
lmamulashvili@gmail.com

რეზიუმე: ხელოვნური ინტელექტი, გულისხმობს პროგრამასა თუ კომპიუტერს, რომელსაც შეუძლია იაზროვნოს, როგორც ადამიანმა და მიიღოს ლოგიკური გადაწყვეტილებები. თუ კონკრეტული სამუშაოს შესრულებას ადამიანი რამდენიმე თვეს ანდომებს, ხელოვნურ ინტელექტს მისი შესრულება შეუძლია რამდენიმე წუთში. დღევანდელი მსოფლიო ხელოვნური ინტელექტის გარეშე წარმოუდგენელია და მას იყენებს თითქმის ყველა წამყვანი კომპანია. 21-ე საუკუნეში ხელოვნური ინტელექტის შექმნა-განვითარებაში მრავალი ქვეყანაა ჩართული.

განათლების სფეროში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების მთავარი პერსპექტივები სწორედ პერსონალიზებულ, ინტერაქტიურ და დიფერენცირებულ სწავლებას უკავშირდება,ხელოვნური ინტელექტის განვითარება გვპირდება განათლების სფეროს გაუმჯობესებას სხვადასხვა დონეზე. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით უკვე ბევრი სასწავლო სისტემაა შექმნილი, რომელიც მოსწავლეებს სთავაზობს ბიოლოგიის, ანატომიის, გეოლოგიის, ისტორიისა და ასტრონომიის სწავლას ვიდეოთამაშების პრინციპით.

დღეისათვის ბიზნესის სფეროში AI-ტექნოლოგიების ბუმი დაიწყო და ის ეკონომიკაზე ძალზე დიდ გავლენას მოახდენს. ხელოვნური ინტელექტი იჭრება და მკვიდრდება სამხედრო და წარმოების სფეროებში, მარკეტინგში, სარესტორნო ბიზნესში,

ფოტოგრაფიაში, ლოჯისტიკაში, ტრანსპორტში (სარკინიგზო შემადგენლობის მემანქანის გარეშე ტარება), მედიცინაში (დაავადებათა დიაგნოსტიკა და მათ გამოვლენა ადრეულ სტადიებზე), მენეჯმენტში,კრიმინალისტიკაში , საბანკო საქმეში, ქოლ-ცენტრებში, საფონდო ბირჟებზე და სხვ. გამოკვევებმა აჩვენეს,რომ ხელოვნური ინტელექტის როლი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ფინანსურ სფეროში.

სწრაფად განვითარებად ტექნოლოგიურ ეპოქაში, კრიტიკულად მნიშვნელოვანიასაქართველომაც დაიწყოს მსოფლიო ტრენდის კვალდაკვალ სვლა.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი, ვირტუალური ტექნოლოგიები, რობოტული სისტემები.

Резюме: термин «искусственный интеллект» относится к программе или компьютеру, которые могут мыслить как человек и принимать логические решения. Если человеку требуется несколько месяцев, чтобы выполнить определенную работу, искусственный интеллект может занять минуту. Сегодняшний мир без искусственного интеллекта немыслим. Он используется практически всеми ведущими компаниями.

Есть много стран, вовлеченных в создание и развитие искусственного интеллекта в 21 веке. В Грузии тоже начинает развиваться искусственный интеллект.

Основные перспективы использования искусственного интеллекта в образовании связаны с персонализированным, интерактивным и дифференцированным обучением. Развитие искусственного интеллекта обещает улучшить образование на разных уровнях. Виртуальные технологии уже создали множество образовательных систем, которые предлагают студентам возможность изучать биологию, анатомию, геологию, историю и астрономию по принципу видеоигр.

В наши дни начался бум AI-технологий в бизнесе и это окажет огромное влияние на экономику. В настоящее время искусственный интеллект заселен в сферах военной и производственной деятельности, маркетинга, ресторанного бизнеса, фотографии, логистики, транспорта, в медицине они диагностируют заболевания и выявляют их на самых ранних стадиях, в управлении,в криминалистике, в банковском деле,в колл-центрах, на биржах и др.В быстро развивающуюся технологическую эру для Грузии чрезвычайно важно идти по стопам мировой тенденции.

Ключевые слова: Искусственный интеллект; Виртуальные технологии; Роботизированные системы.

ტერმინი "ხელოვნური ინტელექტი", რომელიც პირველად 1955 წელს მეცნიერმა ჯონ მაკარტიმ გამოიყენა, გულისხმობს პროგრამასა თუ კომპიუტერს, რომელსაც შეუძლია იაზროვნოს, როგორც ადამიანმა და მიიღოს ლოგიკური გადაწყვეტილებები. თუმცა უფრო სწრაფად და მულტიფუნქციურად. თუ კონკრეტული სამუშაოს შესრულებას ადამიანი რამდენიმე თვეს ანდომებს, ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია რამდენიმე წუთში გააკეთოს.სწორედ აქედან ჩაეყარა საფუძველი ახალ დარგს, რომელსაც განვითარების ძალიან დიდი პოტენციალი აქვს და შეუძლია მნიშვნელოვნად დაეხმაროს კაცობრიობას განვითარებაში. დღევანდელი მსოფლიო ხელოვნური ინტელექტის გარეშე წარმოუდგენელია. მას იყენებს თითქმის ყველა წამყვანი კომპანია.

21-ე საუკუნეში, ტექნოლოგიების ხანაში, ხელოვნური ინტელექტის შექმნა-განვითარებაში მრავალი ქვეყანაა ჩართული. ეს დარგი საქართველოშიც იდგამს ფეხს.დღეს მსოფლიოში არ არსებობს იმაზე მნიშვნელოვანი და სწრაფად განვითარებადი ტექნოლოგიური ტრენდი, როგორიც ხელოვნური ინტელექტია. ის უკვე ისეთ სფეროშია ფეხმოკიდებული, როგორიცაა: მშენებლობაში, მედიცინაში, ტურიზმში, განათლებაში და ა.შ.

განათლების სფეროში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების მთავარი პერსპექტივები სწორედ პერსონალიზებულ, ინტერაქტიურ და დიფერენცირებულ სწავლებას უკავშირდება, რომლის სარგებლობაზე რამდენიმე ათეული წელია განათლების მკვლევარები საუბრობენ. მაღალი ხარისხის განათლებას ყოველთვის სჭირდება ადამიანის ჩარევა, მაგრამ ხელოვნური ინტელექტის განვითარება გვპირდება განათლების სფეროს გაუმჯობესებას სხვადასხვა დონეზე.

დღეს განათლების დარგში ხელოვნური ინტელექტი რამდენიმე მიმართულებით ვითარდება:

-მოსწავლეთა/სტუდენტთა ნაშრომების ავტომატური შეფასება, რაზეც მასწავლებლის და ლექტორის დროის მნიშვნელოვანი ნაწილი იხარჯება.

-სასწავლო პროგრამებსა და კურსებში ხარვეზების აღმოჩენა. ლექტორისთვის ყოველთვის არაა ცხადი, სასწავლო მასალების და სწავლების მეთოდის რა ტიპის ხარვეზები უშლით ხელს სტუდენტებს მასალის ათვისებაში.ხელოვნური ინტელექტის მეთოდებით კი შესაძლებელია ამ პრობლემის გადაჭრა.

-ონლაინ სწავლების სწრაფი გაუმჯობესება. დღეს ონლაინ სწავლების მთავარ სირთულედ ითვლება მასწავლებლის სტუდენტთან ინტერაქციის ნაკლებობა. ხელოვნურ ინტელექტზე და კომპიუტერულ ხედვაზე დაფუძნებული სისტემები შეძლებენ სრულად აღიქვან ეკრანთან მყოფი სტუდენტის ემოცია და შესაბამისად უზრუნველყონ უკუკავშირი.

-ხელოვნური ინტელექტის სისტემები სასწავლო კურსების შერჩევისთვის. სასწავლო პროგრამების განვითარებასთან ერთად სტუდენტებს ხელი მიუწვდებათ სხვადასხვა ტიპის არჩევით კურსებზე. ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული სისტემები სტუდენტს ურჩევენ მისი უნარების, დროისა და წინა გამოცდილების გათვალისწინებით მასზე მორგებულ სასწავლო განრიგს, ხოლო

უნივერსიტეტს აწვდიან სავარაუდო პროგნოზს კურსების მომავალი დატვირთვის შესახებ.[1]

ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით უკვე ბევრი სასწავლო სისტემაა შექმნილი, რომელიც მოსწავლეებს სთავაზობს ბიოლოგიის, ანატომიის, გეოლოგიის, ისტორიისა და ასტრონომიის სწავლას ვიდეოთამაშების პრინციპით. ამ სისტემების გამდიდრება ხელოვნური ინტელექტით მოსწავლეებს დაეხმარება თამაშით აითვისონ ის მასალა, რომელიც სახელმძღვანელოში მოსაწყენი ეჩვენებათ.

ხელოვნური ინტელექტის განათლებაში გამოყენება არის ის მიმართულება, რომელიც პირველად საქართველოში ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტმა დაიწყო. პირველი ნაბიჯები რაც ამ უნივერსიტეტმა გადადგა, არის ის რომ განათლების პროცესში მოხდა ხელოვნური ინტელექტის დაინტეგრირება. უნივერსიტეტის პროგრამაში გარკვეული ნაწილი ისწავლება ხელოვნური ინტელექტის დახმარებით, ის სტუდენტს მცირე დროში აწვდის ძირითად ინფორმაციასდა მას აღარ სჭირდება ათობით, ასობით წიგნი, კონკრეტულ სფეროში ახალი აღმოჩენების შესახებ ინფორმაციის მისაღებად. ამას ტუდენტის მაგივრად ხელოვნური ინტელექტი აკეთებს.[2]

რაც შეეხება ხელოვნური ინტელექტის ბიზნესში გამოყენებას,აღსანიშნავია რომ, მსოფლიოში AI-ტექნოლოგიების დიდი ბუმი დაიწყო და ის ეკონომიკაზე ძალზე დიდ გავლენას მოახდენს. ეს იქნება უფრო დიდი გავლენა, ვიდრე შრომის მექანიზაციამ და კონვეიერული ხაზების გავრცელებამ გამოიწვია. აღნიშნული ტექნოლოგიები კიდევ უფრო შეცვლის მსოფლიოს ფინანსურ სფეროს. გონიერი სისტემების დანერგვა იწვევს ეკონომიკის კლასიკური დარგების ძირეულ ტრანფორმაციას.

ახალი გამოწვევები მოაქვს მანქანურ ინტელექტისა და რობოტების. გამოყენებას. არსებობს პერსპექტივა, რომ რობოტული სისტემები ხელმძღვანელ პოსტებზე აღმოჩნდებიან და განვითარების

სტრატეგიული გეგმის შედგენაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ. ფაქტობრივად, რობოტი გახდება მენეჯერი და ადამიანები მისი ხელმძღვანელობით იმუშავებენ. კომპანიები, რომლებსაც ეყოლებათ რობოტი მენეჯერები, ბევრად გაუსწრებენ იმ კომპანიებს, სადაც რობოტიზაცია ნაკლებად იქნება გამოყენებული.. მენეჯმენტის ავტომატიზაციისა და რობოტიზაციის შედეგად გაკოტრდება უამრავი საშუალო კომპანია და შთაინთქმება რობოტიზებული კომპანიების მიერ. [3]

2016 წლის 2 მარტს გამოქვეყნდა აუდიტორული და კონსალტინგური კომპანიის Deloitte Touche Tohmatsu-ს ანალიზი. მასში მოცემულია იმ პროფესიების ჩამონათვალი, რომელთაც უახლოეს მომავალში ემუქრებათ გაქრობა რობოტული ტექნიკის განვითარების წყალობით . ჩამონათვალის თანახმად, გაქრობის მაღალი რისკის ქვეშ არიან ბიზნეს-ადმინისტრატორები,რომელთა მესამედი შესაძლოა რობოტებმა შეამცირონ. რისკის ქვეშ არიან ტურიზმის სფეროში დასაქმებულნი, ავტომექანიკოსები, ტრანსპორტის დარგში მომუშავენი, სასაწყობო მეურნეობის მუშაკები. ხელოვნური ინტელექტი არ მოსპობს სამუშაო ადგილებს, რადგან გაჩნდება ახალი პროფესიები.

დღეისათვის ხელოვნური ინტელექტი იჭრება და მკვიდრდება სამხედრო და წარმოების სფეროებში, მარკეტინგში, სარესტორნო ბიზნესში, ფოტოგრაფიაში, ლოჯისტიკაში, ტრანსპორ-ტში (სარკინიგზო შემადგენლობის მემანქანის გარეშე ტარება), მედიცინაში(დაავადებათა დიაგნოსტიკა და მათ გამოვლენა ადრეულ სტადიებზე), ურბანულ მენეჯმენტში, კრიმინალისტიკაში, საბანკო საქმეში, ქოლ-ცენტრებში, საფონდო ბირჟებზე და სხვ. გამოკვლევებმა აჩვენეს,რომ ხელოვნური ინტელექტის როლი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ფინანსურ სფეროში, სადაც აღნიშნული ტექნოლოგიები დანახარჯების შემცირების,რისკების მინიმიზირების, კრედიტორების შემოწმების, მათი გადახდისუნარი-ანობის შეფასების საშუალებას იძლევა. სადაზღვევო სფეროში კი

ხელოვნური ინტელექტი გამოიყენება დოკუმენტაციის, კლიენტთა მონაცემების დასამუშავებლად, რისკების შეფასებისთვის, სადაზღვევო მომსახურების განსაზღვრისთვის და ა.შ.[5]

რუტინული სამუშაოს და მონაცემთა დიდი რაოდენობის არსებობისას, რობოტების სარგებლიანობა განსაკუთრებულად დიდია. რობოტის უპირატესობა ისაა, რომ მის მიერ შესრულებულ შრომატევად სამუშაოს არა აქვს წუნი, მუშაობს გაცილებით სწრაფად და შესაძლებელს ხდის ადამიანური რესურსების დიდ ეკონომიას. სწორედ ამაზე დაყრდნობით გამოითქმის აზრი, რომ სამუშაო პოზიციების ნახევარი უახლოეს მომავალში ავტომატიზებული იქნება, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანებს ჩაანაცვლებენ რობოტები. ამასვე აღნიშნავენ ოქსფორდის უნივერსიტეტის მეცნიერებიც. ისინი ვარაუდობენ,რომ უახლოეს 20 წელიწადში სამუშაო ადგილების 47 % აშშ-ში რობოტების მიერ იქნება დაკავებული. [3]

საქართველოში ხელოვნური ინტელექტის ბიზნეს ასოციაცია AI Georgia შეიქმნა, რომლის მიზანია ქვეყანაში ხელოვნური ინტელექტის ხელშეწყობა და ცნობიერების ამაღლება. განსაზღვრავს თუ რამდენად მნიშვნელოვანია ხელოვნური ინტელექტის როლი ბიზნესისა თუ სახელმწიფოსთვის, ბიზნეს პროცესების გამარტივებისა თუ უსაფრთხოებისთვის. ასოციაციის მიზანია ასევე, იმ კვლევების ხელშეწყობა, რომელიც საქართველოში ამ პოტენციალის გამოვლენის და განვითარების საშუალებას იძლევა.

წრაფად განვითარებად ტექნოლოგიურ ეპოქაში, კრიტიკულად მნიშვნელოვანიასაქართველომაც დაიწყოს მსოფლიო ტრენდის კვალდაკვალ სვლა. სწორედ ამიტომ, მაშინ როდესაც ქვეყანაში არსებობს უზარმაზარი პოტენციალი, აუცილებელია საჯარო და კერძო სტრუქტურების მიერ, AI-ით დაინტერესებული ახალგაზრდების წახალისება და ამ მიმართულებით განათლების ხელშეწყობა, რაც მოგვცემს საშუალებას, დავიკავოთ მოწინავე პოზიციები მსოფლიო დონეზე.

გამოყენებული წყაროები

1.https://www.marketer.ge/xelovnuri-inteleqti-nana-dixaminjia/
2. https://m2b.ge/post/232629-xelovnuri-inteleqti-ganatlebasi-axali-instrumenti-qartvel-startaperebs-da-mewarmeebs
3.გ.გვასალია ,,ხელოვნური ინტელექტი და ბიზნესი ‘’ ბიზნესი და მენეჯმენტი“ N 3 (56) 2018
https://porphyreos.wordpress.com/2018/11/23/
4.https://commersant.ge/ge/post/saqartveloshi-xelovnuri-inteleqtis-biznes-asociacia-sheiqmna
5.https://www.simbirsoft.com/blog/rol-iskusstvennogo-intellekta-v-biznese/

Влияние музыкального туризма на экономическое развитие региона (на примере музыкального фестиваля в Анаклии)

The Influence of Music Tourism on the Economic Development of the Region (on the Example of the Music Festival in Anaklia)

Нино Летандзе – доктор бизнес-администрирования,
Грузинский национальный университет, ассистент-профессор
letandzen@gmail.com
Nino Letandze – Doctor of Business Administration,
Georgian National University, Assistant Professor,
letandzen@gmail.com

Резюме: В период 2009–2013 гг. Грузия продемонстрировала один из самых высоких в мире темпов роста туризма и доходы от туризма в ВВП составили 7%. Существует прямая зависимость между экономическим развитием страны, объемом национального дохода и материальным благосостоянием ее граждан. Государства с развитой экономикой, как правило, лидируют на мировом рынке по количеству туристских поездок своих граждан. Поэтому, тенденциями развития туризма и экономики наблюдается тесная взаимосвязь.

Музыкальные фестивали – это одна из главных форм развития музыкального туризма, который считается прибильным явлением для местной экономики. Если музыка соответствует предпочтениям клиентов, можно получить экономический доход. В приморском городе Анаклия с 2014–го проводится масштабный грузинский фестиваль электронной музыки, который помимо собитиийности, владельцам малого бизнеса дает возможность заработать дополнительный доход от музыкальной индустрий туризма.

Ключевые слова: Развитие туризма, Экономические факторы, Музыкальный туризм, Музыкальные фестивали.

Summary: In the period 2009–2013. Georgia showed one of the highest tourism growth rates in the world and tourism revenues in GDP amounted to 7%.

There is a direct correlation between the country's economic development, the volume of national income and the material well-being of its citizens. States with developed economies, as a rule, lead the world market in the number of tourist trips of their citizens. Therefore, the development trends of tourism and the economy are closely interconnected.

Music festivals are one of the main forms of development of music tourism, which is considered a profitable phenomenon for the local economy. If the music matches the preferences of customers, you can get economic income. Since 2014, a large-scale Georgian electronic music festival has been held in the coastal city of Anaklia, which, in addition to being so involved, gives small business owners the opportunity to earn additional income from the music tourism industries.

Key words: Tourism Development, Economic Factors, Music Tourism, Music Festivals.

В наше время в общественном сознании материальные блага отошли на второй план. Люди нуждаются в духовных ценностях, в том числе в путешествиях, которые удовлетворяют их эстетические и познавательные потребности.

Туризм стал неотъемлемой частью жизни людей на планете. Это сложный, высокодоходный, межотраслевой комплекс представляет собой один из основных секторов мировой экономики, способствующий высокому уровню занятости, а также развитию, экономическому единству и культурному разнообразию государств мира. За быстрые темпы развития туризм признан экономическим феноменом столетия. На развитие туризма воздействуют различные факторы: демографические, природно-географические, социально-экономические, исторические, религиозные и политико-правовые. Значение туризма, как источника валютных поступлений, расширения международных контактов, обеспечения занятости населения, - постоянно растет.

Влияние экономических факторов на туризм главным образом обусловлено тем, что между тенденциями развития туризма и

экономики наблюдается тесная взаимосвязь. Существует прямая зависимость между экономическим развитием страны, объемом национального дохода и материальным благосостоянием ее граждан. Поэтому государства с развитой экономикой, как правило, лидируют на мировом рынке по количеству туристских поездок своих граждан.

В Грузии туризм назван одним из приоритетных направлений экономики, поскольку страна имеет громадный туристический потенциал.

К немаловажным факторам, способствующим развитию туризма в нашей стране относится рекреационно-ресурсный потенциал территории, выражающийся в количестве и качестве природных и культурно-исторических ресурсов. Рекреационно-ресурсный потенциал обычно опосредуется социально-экономическими факторами. Для Грузии важно создание рабочих мест, генерирование экономического роста, развитие малого и среднего бизнеса.

В период 2009–2013 гг. Грузия продемонстрировала один из самых высоких в мире темпов роста туризма: общее количество прибытий туристов в страну увеличилось более чем на 300% – с 1,5 млн до 5,4 млн человек. Общие доходы от туристической деятельности выросли за тот же период с 475 млн долл. до 1,8 млрд долл. США, превысив среднемировой показатель более чем 20 раз.

Согласно данным статистики, в 2016 г. количество международных туристов, побывавших в Грузии, превысило 6,3 млн человек, что на 7,6%, или 450 тыс. человек, больше по сравнению с 2015 годом. За 2016 г. международные туристы осуществили платежные операции посредством иностранных платежных карт на сумму около 1,5 млн лари (порядка 536 тыс. долл. США), что на 10,1% больше по сравнению с аналогичным периодом 2015 года. 2016 году стране впервые удалось получить доход от международного туризма в размере 2 млрд долл. США, что на 19% больше по сравнению с данными за 2015 год.

По данным министерства внутренних дел Грузии в 2017 году страну посетили больше чем 6 млн международных визитеров и общий доход от иностранного туризма за год в Грузии составило 2,2 миллиарда долларов (рост 29%) - на 489 миллионов долларов больше по сравнению с 2016 годом. Доля туризма в ВВП Грузии составил 7%, что на 11,5% больше в сравнении с аналогичным периодом предыдущего года. Привлечению иностранных туристов способствует визовая политика: гражданам 94 стран не требуется получать визы для приезда в Грузию.

По мнению некоторых грузинских экспертов, для малой страны с уникальными природно-культурными ресурсами, какова Грузия, приоритетным должно быть не количество туристов, а экономический рост, вызываемый потраченными ими средствами, разнообразием туристических услуг, высоким уровнем и качеством обслуживания.

Как известно, сдерживающим факторам, негативно влияющим на развитие международного туризма, относятся кризисы, милитаризация экономики, политическая и финансовая нестабильность, рост цен, криминогенная обстановка, неблагополучная экологическая ситуация, ужесточение туристских формальностей и др. К числу финансово-экономических факторов, воздействующих на развитие туризма в Грузии, относятся такие факторы, как инфляция, процентные ставки, колебания реальных обменных курсов валют. Для экономики страны характерными являются из множества причин, вызывающих инфляцию, такие, как неправильная денежно-кредитная политика, импортированная инфляция, высокие инфляционные ожидания.

Национальная служба статистики Грузии опубликовала показатели инфляции (рост цен на потребительские товары и услуги) за 2017 год. В декабре инфляция составила 0,8%, а в сумме уровень годовой инфляции был равен 6,7%.

Инфляцию вообщем могут провоцыровать вляние внешних и внутренных факторов. В Грузии последнее время на фоне износа

национальной валюты возрасли инфляционные ожидания. В странах, где показатели экспорта превышают показателей импорта, то имея слабую валюту, могут быть конкурентоспособными на международном рынке и при этом получать выгоду. Но в Грузии, на данный момент импорт почти пять раз превышает экспорта и здесь ослабление национальной валюты означает высокому росту потребительских цен.

Эксперт по экономическим вопросам считает, что туризм является одним из фактором способствующим инфляцию: ,,80% нашей ,,потребительской корзины'' составлена из импортированных подуктов, соответственно, увеличение числа прибываний туристов повышает спрос на импорт. Для развития туризма необходимо сосредоточиться на том, чтобы важную часть потребительской корзины составляли национальные продукты, что само собой подразумевает продвижению сельского хозяйства»[23].

Мы в данной статье хотим коснуться теме музыкальных фестивалей - одной из главных форм развития музыкального туризма, который считается прибыльным явлением для местной экономики. Если музыка соответствует предпочтениям клиентов, можно получить экономический доход. Зачастую они охватывают несколько дней, по крайней мере, выходные. В музыкальной индустрии туризма существует практически все типи музыки, хотя рок-музыка является самым популярным. Музыкальные фестивали владельцам малого бизнеса – небольших ресторанов, кафе, баров, семейных гостиниц – дают возможность заработать дополнительный доход от музыкальных индустрий туризма. Главной составляющим музыкальных фестивалей является событийность, которая заключается в привлекании внимания телевидении и других СМИ. Внимание со стороны прессы укрепляет

---

[23] Папава В., Основные проблемы экономического развития пост-розовой Грузии. Мнение эксперта N4 2013

позицию руководства фестиваля по отношению к политическим лидерам, спонсорам и финансирующим организациям. Такой интерес объясняется тем, что фестивали и народные празднества вносят значительный вклад в социальную и економическую жизнь страны, влияют на социокультурную ситуацию в местах проведения.

Музыкальные фестивали проводятся главным образом за счет частных спонсоров, а участие государства не превышает 30%. В таких странах как Грузия, государство всегда помогает в организации фестивалей, а в развитых странах такой необходимости нет, хотя даже там государство осуществляет координацию и берет часть ответственности на себя

В приморском городе Анаклия с 2014–го проводится масштабный грузинский фестиваль электронной музыки. За пять лет небольшой черноморский поселок становится главной локацией, куда летом съезжаются рейверы со всей Грузии и других стран. По словам организаторов, фестиваль электронной музыки в Анаклии направлен на увеличение притока туристов, рабочих мест и доходов людей, проживающих вблизи оккупированной территории Абхазии, и в то же время обеспечение приятной атмосферы для всех участников.

Легендарный фестиваль электронной музыки Казантип, который традиционно проводился в Крыму, из-за событий на Украине, 2014 году переехал на черноморское побережье Грузии. Фестиваль проходил с 20 по 30 августа на территории между Анаклией и Ганмухури, близ отколовшейся от Грузии Абхазии был установлен большой желтый чемодан – один из главных символов вымышленной Республики Казантип. девушкам Украины и Грузии Казантип дарил бесплатный вход.

С 2015-го года в Анаклии проводились фестивали электронной музыки GEM Fest, который в 2017 году попал в список лучших музыкальных фестивалей Европы. По версии британского издания «Independent» в загадочной стране Грузии проходил один из самых

длинных летних фестивалей, который длился целый месяц, с 15 юля до 15 августа.

В 2018 и в 2019 годах фестиваль электронной музыки в Анаклии прошел в рамках правительственного проекта Check in Georgia уже под названием Echowaes.

Владелец одного из частных гостиниц отмечает, что во время фестивальных дней отель полностью переполнен, в отличие от другого периода. Гостиница в 2014 году имела 5 двухместных номеров, а на сегодня имеется 17 номеров. Он отмечает, что с момента основания музыкального фестиваля наблюдается значительная тенденция: 10-дневные фестивали являются наиболее прибыльными для владельцев малого бизнеса и семейных отелей. В 2017 году в течение месяца, пока прохадил фестиваль, объекты размещения работали с неполной нагрузкой. Это обьясняется тем, что большинство из участников приезжали по выходным. По словам предпринимателя, экономический доход он скомпенсировал от продуктового магазина. Хотя, ежедневные доходы торгового объекта в 2017 году снизились почти на 40% по сравнению с 2014 годом. Он отмечает, что 2018-2019 годах 3-4-х дневные фестивали также, коммерческий не особо выделялись. На примере хозяина частной гостиницы и других владельцев малого бизнеса можно сделать вывод, что десятидневные музыкальные фестивали являются приемлемым и оптимальным вариантом для улучшения благосостояния населения Анаклии.

Проведение музыкального фестиваля в Анаклии, важном порту с большими перспективами имеет большое значение, как для нашей страны, так и для всего региона. Музыкальный фестиваль в Анаклии - очень успешный проект по развитию этого региона, но, конечно, всегда есть потребность в инновациях и улучшениях. Это касается как инфраструктурных, так и концептуальных аспектов, аспектов безопасности, культуры и экономики, которые будут и должный постепенно улучшаться и развиваться.

Литература:

1. Маглакелидзе Т. Экономическая безопасность. ,,Сиахле''. Тбилиси, 2002
2. Натрошвили Г. Факты, цели и показатели национальной безопасности
3. Ахали азри, №8 (14), - декабрь
4. http://allrefrs.ru/5-18387.html
5. http://www.interpressnews.ge/ge/interviu/412821-2016-tslis-ekonomikuri-shedegebi-da-2017-tslis-perspeqtivebi.html?ar=A
6. https://ru.ictsd.org/bridges-news
7. https://sputnik-georgia.ru/tourism/20180106/238794122/Vl
8. https://commersant.ge
9. http://kvirispalitra.ge/economic.html?start=20
10. http://www.blackseanews.net/read/10321
11. http://www.for.ge/view.php?for_id=47523&cat=9
12. -festivalja-Anaklija-dva-raza.htmlhttps://batumilife.ru/kazantip-v-gruzii
13. http://forbes.ge/news/370/anaklia.-soflidan-megapolisamde
14. https://bpi.ge/musikaluri-festivalebi-da-turizmi-interviu-interko-trevelis-damfudznebeltan-nino-makhviladzestan/

იაპონური მენეჯმენტის ტრანსფერის შესაძლებლობები საქართველოში

ნინო ძნელაძე - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
nino.dzneladze2000@gmail.com
ნინო მაზიაშვილი - ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
n.maziashvili@yahoo.com

Nino Dzneladze - Tbilisi State University
nino.dzneladze2000@gmail.com
Nino Maziashvili - Doctor of Economics, Georgian national university
n.maziashvili@yahoo.com

რეზიუმე: თანამედროვე სამყაროში აღარავინ კამათობს იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ ადამიანური რესურსი ყველაზე მნიშვნელოვანი და კრიტიკული რესურსია ორგანიზაციისთვის და იგი ნებისმიერი კომპანიის ღერძს წარმოადგენს. მართვის ეფექტურობა კი ცალსახად განაპირობებს საწარმოს არსებობის ხანგრძლივობას, წარმატებასა და წინსვლას. ეფექტური მართვა, თავის მხრივ, სამუშაო პერსონალის სტიმულირებისა და მოტივაციის მიმცემ ფაქტორებს გულისხმობს.

ამ მხრივ მეტად საინტერესოა ადამიანური რესურსების მართვის იაპონური მექანიზმები, რომელმაც მცირე ხანში აღიარება მოიპოვა მსოფლიოში, როგორც საუკეთესო მენეჯერულმა სისტემამ. ჩვენთვის კი როგორც განვითარების საფეხურზე მყოფი ქვეყნისთვის ძალზედ მნიშვნელოვია ისეთი ქვეყნის გამოცდილების გაზიარება როგორიცაა იაპონია. საქართველო, იაპონიის მსგავსად, მცირე ბუნებრივი რესურსების მქონე და განვითარებადი ქვეყანაა. შესაბამისად, ახალი ინოვაციური მართვის სისტემების კვლევა, გაცნობა და დანერგვის მცდელობა, ეკონომიკის სრულყოფისა და ბიზნესის განვითარებისათვის მეტად მნშივნელოვანია, იმისათვის რომ ჩვენმა მხარემ შეძლოს და თავი დაიმკვიდროს მსოფლიო გლობალურ ეკონომიკაში.

Resume: In the modern world, no one argues that human resources are the most important and critical resource for an organization and that is the strong foundation of any company. Effectiveness of management is the key to the longevity success and advancement of an enterprise. Effective management, in turn, involves stimulating and motivating staff.

In this respect, the Japanese human resource management mechanisms are very interesting, which have gained recognition in the world as the best management system. And for us as a country in development, it is very important to share the experience of a country like Japan. As Japan, Georgia is a small and developing country.Consequently, the research, introduction and introduction of new innovative management systems is crucial for the improvement of the economy and for the development of the business our country can and will succeed in the global economy.

საკვანძო სიტყვები: ადამიანური რესურსი, იაპონური მენეჯმენტი, გლობალური ეკონომიკა, საერთაშორისო ბაზარი, ინოვაციური მართვის სისტემა.

Keywords: Human Resources, Japanese Management, Global Economy, International Market, Innovative Management System.

მსოფლიო მოწინავე ქვეყნების მთავრობები, მეცნიერები, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები და პოლიტიკოსები, ბოლო რამდენიმე ათწლეულია, ეცნობიან და დიდ ინტერესს ამჟღავნებენ იაპონიაში ბიზნესის განვითარების სფეროში გატარებული რეფორმებისადმი ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ ,,იაპონური ეკონომიკის სასწაულის“ ფენომენისადმი.რიალურად ეს არის იაპონური მენეჯმენტის შედეგი რაც თავის თავში მოიაზრებს: ინოვაციურ მართვას, მაღალტექნოლოგიურ განვითარებასა და უმთავრესად კი ადამიანური რესურსის ასე ვთქვათ „ინდივიდის ბიტკოინის“ საუკეთესოდ გამოყენებას.

სამეცნიერო საზოგადოებაში, მსჯელობა და დაინტერესება იმის შესახებ, შესაძლოა თუ არა წარმატებული იყოს იაპონური

მენეჯმენტის მეთოდოლოგიის ტრანსფერი სხვა ქვეყნებში, დიდი ხანია მიმდინარეობს.

მკვლევართა ნაწილი, მაგალითად იაპონელი მკვლევარი მორიშიტა, მიიჩნევს რომ იაპონელთა მენეჯმენტის სისტემა უნიკალურია და ის მხოლოდ იაპონური საზოგადოებისთვისაა. ჩოუდარის მოსაზრებით, იაპონური მართვის სისტემის მხოლოდ ზოგიერთი ელემენტი შეიძლება მივიჩნიოთ კონკრეტული იაპონური კუტურისა და საზოგადოების უნიკალურ მახასიათებლად, სხვა დარანჩენი კი უნივერსალური სპეციფიკისაა და შესაძლებელია ადაპტირებული იქნას სხვა ქვეყნებში. (Choudhury 2000:http://www.insead.edu).

იაპონური მენეჯმენტის საზღვარგარეთ გადმოტანის შემსწავლელი მკვლევარები ძირითადად სამი მიმართულებით მუშაობენ: პირველი შედგება ფსიქოლოგებისა და სოციოლოგებისგან ე.წ. ,,კულტურული სკოლა," მეორე მიმართულებას წარმოადგენს ეკონომისტები, რომლებიც განსხვავებით წინა სკოლისაგან, კულტურული სპეციფიკის გარდა, ყურადღებას ამახვილებენ მენეჯმენტის ტექნიკისა და მეთოდოლოგიის უნიკალურობასა და უნივერსალურობაზე. მესამე სკოლა მკვლევარებისა, რომელიც იაპონური მენეჯმენტის თავისებურებებს იკვლევს, არის ტექნოლოგიური სკოლა და შეისწავლის ტექოლოგიური პროცესებისა და ხარისხის კონტროლის მეთოდების გადატანას უცხო ქვეყნებში.

კონოსუკე მაცუსიტა, რომელიც ფირმა ,,მაცუსიტას" დამფუძნებელია, ხაზგასმით საუბრობდა ქვეყანაში საწარმოთა და მათი მართვის ახალი მეთოდოლოგიის მნიშვნელობაზე და მიიჩნევდა რომ საწარმოთა ეფექტურად მუშაობა დამოკიდებული იყო მენეჯერის მართვის თანამედროვე ინოვაციურ მიდგომებსა და დაუღალავ ძალისხმევაზე.

იაპონის სწრაფი განვითარების ფაზაში ჯგუფი ,,დოკაი“ აქვეყნებს ახალ დეკლარაციას (1965), რომელიც მართვის მეთოდებს ეხება. დეკლარაციაში ხაზგასმით აღინიშნებოდა, რომ კომპანიისთვის უფრო მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო თანამშრომლებისა და კომანიის ინტერესების თანხვედრა, ვიდრე მხოლოდ კომპანიის მოგებაზე ზრუნვა. ასევე ხაზი ესმებოდა განსაკუთრებულ პასუხისმგებლობებსა და უნარებს რომლითაც მენეჯერები უნდა ყოფილიყვნენ აღჭურვილი, რადგანაც სწორეთ მათი ფუნქციის განმსაზღვრელი ხაზი იყო თანხმობაში მოეყვანათ, ხშირად ურთიერთსაპირისპირო ინტერესები. ჯგუფი ,,დოკაი“ არ იყო ერთადერთი რომელიც ახალი მართვის თეორიის შემუშავებას ცდილობდა, მას მრავალი მიმდევარი გამოუჩნდა, რაც ცხადჰყოფდა, ჯგუფის ინიცირებისა და დოქტრინების სიცოცხლისუნარიანობას.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში, ამერიკა თავისი მზარდი პოლიტიკური გავლენით უმსხვილეს ექსპორტიორს წარმოადგენდა მსოფლიო ბაზარზე და მას უზარმაზარი შემოსავალი ჰქონდა. აშშ -ს მკვლევარი იუდით ნიქსონი აღნიშნავდა, რომ აშშ-ს პროდუქციაზე მუდმივი მოთხოვნილება იყო მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის ბაზარზე, შესამაბისად მას არასდროს ექმნებოდა პრობლება ექსპორტის თვალსაზრისით. მზარდი მოთხოვნილება ქვეყანას აიძულებდა გაეზარდა რაოდენობა და არა პროდუქციის ხარისხი, თუმცა 70-იანი წლებიდან იგი აღმოჩნდა უცნაური კონკურენციის წინაშე. აღმოჩნდა რომ იაპონური კომპანიები გაცილებით დაწინაუ-რებულნი იყვნენ პროდუქციის ხარისხის კონტროლში, ვიდრე აშშ.

რეალურად იაპონიაში ვითარდებოდა ე.წ. ჯაჭვური რეაქციის თეორია, რომლის მიხედვითაც პროდუქცის ხარისხის გაზრდასთან ერთად იზრდებოდა საწარმოს პროდუქტიულობა და მცირდებოდა საწარმოს ხარჯები, რაც თავის მხრივ განაპირობებდა კომპანიის გრძელვადიან წარმატებას. გერტ ჰოფსტედი თავის წიგნში ,,კულტუ-რა და ორგანიზაციები: გონების საზრისი“ მართვის კულტურაზეც

საუბრობს. მისი აზრით, მართვის კულტურა შეიძლება დაიყოს რამდენიმე განმსაზღვრელ სეგმენტად. კერძოდ: 1) ინდივიდუალურ-კოლექტიურ კულტურად; 2) ძალაუფლების მანძილზე გავრცელების კულტურად 3) გაურკვევლობის აცილების კულტურად (uncertainty avoidace culture); 4) ინდივიდუალურ-კოლექტიური კულტურად, 5)მართვის მამაკაცური კულტურად (masculinity culture) და მართვის ქალური კულტურად (feminity culture).

აღნიშნული კატეგორიების კვლევით ავტორი ცდილობდა დაედგინა რამდენად შესაძლებელი იყო ერთი ქვეყნის მენეჯმენტის ძირითადი სისტემების გადატანა სხვა ქვეყანაში და რამდენად ახდენდა კულტურა გავლენას წარმატებულ თუ წარუმატებელ ტრანსფერზე. ჰოფსტედი იკვლევდა აზიურ განვითარებად ქვეყნებს, რომლისთვისაც მახასიათებელია უმუშევრობა, ელიტარული კორუფცია, სახელმწიფო სახსრების არამიზნობრივი და გაუმჭვირვალე ხარჯვა, ეკოლოგიური დაბინძურება და ა. შ, რაც სამწუხაროდ ჩვენი ქვეყნის პრობლემასაც წარმოადგენს.

საინტერესოა რამდენად შესაძლოა მოერგოს იაპონური მართვის მეთოდოლოგიის ელემენტები საქართველოს, თუ გავითვალისწინებთ იმას რომ ჰოფსტედის კულტურის კატეგორიების მიხედვით, საქართველო იაპონიის ინდექსთან ახლოსაა. მაგალითად :კოლექტიური კულტურა, მამაკაცური მართვის კულტურა. შესაბამისად, შესაძლოა იაპონური მართვის სისტემის მთელი რიგი ელემენტები კარგად ადაპტირდეს ჩვენს ქვეყანაში. ქართველ მეცნიერთა და მკვლევარების ინტერესი იაპონური მენეჯმენტის მიმართ ორი მიმართულებით მიმდინარეობს. ერთის მხრივ იაპონური მენეჯმენტის მეთოდ-ლოგიის შესწავლა და მისი ეფექტები სხვა ქვეყნის მენეჯმენტში და მეორე ადამიანის მართვის ფენომენზე დაკვირვება და კულტურის ზემოქმედების განხილვა იაპონური მენეჯმენტის სისტემაში.

ქართულ ეკონომიკურ რეალობაში იაპონური მენეჯმენტის ტრანსფერის სრული განსაზღვრა ჯერ მეცნიერულად არ არის დამუშავებული. ბუნებრივია არსებობს ტრანსფერის შესაძლებლობა, თუმცა, თავის მხრივ, მისი ხარისხი დამოკიდებულია, როგორც საქართველოს კულტურულ მახასიათებელზე, ასევე, პერსონალის მართვის მახასიათებელზე და ძალაუფლების გამოყენების თავისებურებაზე.

ბოლო ათი წლის განმავლობაში, საქართველოში მრავალი საკადრო ცვლილება არაკონსტრუქციულად განხორციელდა. ხშირად ხდება კვალიფიციური პერსონალის შევიწროება. თანამშრომლობის ჰარმონიული პირობები იშვიათად გვხვდება შრომით კოლექტივებში. ადამიანებს შორის არსებობს დაძაბულობა, რაც იწვევს სხვადასხვა ინტენსივობის კონფლიქტს და ა.შ. ეს ყველაფერი მნიშვნელოვნად აფერხებს ორგანიზაციების და მთლიანობაში განვითარების ტემპს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია შეისწავლონ ის ფაქტორები, რომლებიც იწვევენ ორგანიზაციებში ასეთ ნეგატიურ პროცესებს, რათა დაადგინონ სიტუაციის გაუმჯობესების სათანადო გზები სათანადო სამუშაოს ჩატარებით.

თანამშრომლობა არის სტრატეგია, რომელიც ეხმარება ორგანიზაციას წინსვლაში, რომ გაზარდოს მისი ეფექტურობა თანამშრომელთა კონსოლიდაციის გზით. სამწუხაროდ, ხშირად, როგორც ზემოაღნიშნული სიტუაციიდან ჩანს, ჩვენს მოქმედ ორგანიზაციებში ადამიანური რესურსები არაეფექტურად გამოიყენება, რაც იწვევს ორგანიზაციული განვითარების დაბალ მაჩვენებელს. ორგანიზაციების განვითარება არის ძლიერი ინსტრუმენტი საზოგადოების მთლიანი განვითარებისთვის. ორგანიზაციები ქმნიან პროდუქტებს, რომლებიც აძლიერებენ საზოგადოების კეთილდღეობას. ადამიანური რესურსების მართვის წარმატებული მოდელების გამოყენებით ორგანიზაციების განვითარება შეიძლება იყოს ძლიერი სტიმულირება საზოგადოებისა

და მთლიანად ქვეყნის განვითარებისთვის. რაც უფრო წარმატებით მოხდება წარმატებული მოდელების დანერგვა, უფრო მეტ გავლენას მოახდენს საზოგადოებისა და ქვეყნის განვითარების ტემპზე. იაპონური მოდელი შეიძლება ჩაითვალოს ადამიანური რესურსების მართვის ყველაზე ეფექტურ მოდელად ფართოდ გავრცელებული ადმინისტრაციული (ამერიკული) მოდელის ნაცვლად, რაც ათწლეულების განმავლობაში მსოფლიოში დადასტურდა.

როგორც ზემოთ ავღნიშნე, გარკვეულ მსგავსება ქართული და იაპონური კულტურის მახასიათებლებს შორის (კოლექტივიზმი, მასკულინური კულტურა და ა.შ.) ნამდვილად არსებობს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ იაპონური მმართველობის მოდელის რიგი ელემენტების დანერგვა სინამდვილეში არ უნდა იყოს დაკავშირებული დიდ სირთულეებთან რაც ხელს შეუწყობს ორგანიზაციებსა და ფართო საზოგადოებას , გადავიდნენ განვითარების ახალ და საინტერესო ეტაპზე.[24]

ადამიანური რესურსების მართვის იაპონური მოდელი ყველაზე მომგებიანი მიდგომაა, რომელსაც შეუძლია საქართველოს განვითარების ძლიერი იმპულსი მისცეს. ცხადია, იგი არ არის მთლიანად მორგებული ქართულ რეალობაზე, კულტურათა სპეციფიკის გამო, მაგრამ მასში შედის ელემენტები, რომლებიც თავისუფლდება ამ სპეციფიკისგან, კერძოდ, სტაბილური შრომითი გარანტიები, სოციალური გარანტიები, კარიერული წინსვლის გარანტია, მოტივაცია სამუშაო პროცესში უშუალო მონაწილეობით, გადაწყვეტილების მიღება რეალური დემოკრატიული გზით ორგანიზაციაში, ჯანსაღი კომუნიკაცია და ატმოსფერო და სხვა.

იაპონიის ორგანიზაციებში დემოკრატიის ეფექტურობის კულმინაციას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ქვემოდან ზემოთ იქმნება

---

[24] გუგეშაშვილი მ. პერსონალის მართვა იაპონიაში, თბილისი, 2004

სამუშაო მექანიზმები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი რეალობისთვის. დრომოჭმული ბიუროკრატიული და ადმინისტრაციული მისწრაფებები წარსულის შეხსენება და განვითარების წინაღობის იზეზი შესაძლოა იყოს. ამრიგად, ორგანიზაციებმა, ალბათ, უნდა განიხილონ ყოველივე ზემოთქმული, როდესაც ეფექტური განვითარების სტრატეგიებს შეიმუშავებენ.

დასკვნის სახით, შესაძლოა ვთქვათ, რომ იაპონური მენეჯმენტი არის იაპონური კულტურის ნაწილი და მას ეროვნული ხასიათი გაჩნია,თუმცა იაპონური საწარმოების ფილიალები წარმატებულად მუშაობენ საზღვარგარეთის ქვეყების ბაზარზე, როგორც განვითარებად ასევე განვითარებულ ქვეყნებში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ იაპონური მენეჯმენტი შეიძლება გამოიყენონ სხვა ქვეყნებში. იაპონური მენეჯმენტის წარმატების ყველაზე მნივნელოვანი მონაპოვარია ადამიანური რესურსების ეფექტური გამოყენება, მათი სტუმულირებისა და მართვის მექანიზმები, რა პირდაპირპორპორციულად უკავშირდება თითოეულ პერსონალზე ზრუნვას, ანაზღაურებად სისტემას, განვითარებას, საწარმოო პროცესში ჩართულობასა და მართვის დემოკრატიულ სტილს.

იაპონური მენეჯმენტის ტრანსფერი სხვადასხვა ქვეყანაში გარკვეული მოდიფიკაციით მეტად წარმატებულია და დღესაც თანამედრვე სამეცნიერო წრეები ცდილობენ მის მეცნიერულად შესწავლასა და დანერგვას. იაპონური მენეჯმენტს ადაპტირება შესაძლებელია საქართველოშიც, თუმცა ტრანსფერი ბუნებრივია დამოკიდეული იქნება კულტურათა სხვაობაზე, პერსონალის მართვის თავისებურებებზე და ძალაუფლების გამოყენების თავისებურებაზე. იაპონური მენეჯერული სისტემის წარმატების კარგი ადაპტაცია, ჩვენს ქვეყანაში, უპირობოდ რეგიონში ეკონომიკურ გარღვევას არ ნიშნავს, თუმცა ხანგრძლივი დროის ვადაში, თანმიმდევრული ეკონომიკური პოლიტიკით წარმატების მიღწევა შესაძლებელია.

იაპონური მენეჯმენტის დანერგვისათვის, რა თქმა უნდა, უმნიშვნელოვანესია, ჩვენი საწარმოების მიერ მართვის მეთოდოლოგიისა და თეორიის შესწავლა, მათ შორის ისეთი ინსტრუმენტების, როგორიცაა ტოტალური ხარისხის მენეჯმენტი, კაიზენი, ჯასთ ინ თაიმი, და ა.შ. ამ მიმართულებით მნიშვნელოვან სწავლებებსა და კვლევებს , ბუნებრივია ხელი უნდა შეუწყოს ხელისუფლებამ. თუმცა ძირეული იდეური და კულტურული სახესხვაობებისადაგამო ამ ეტაპზე ჩვენი ქვეყნისთვის საკმაოდ შორეულ პერსპექტივას წარმოადგენს იაპონური მენჯმენტის დანერგვა. პერსონალის ინოვაციური მართვის სისტემა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საწარმოებისათვის, არამედ სახელმწიფო დაწესებულებების მართვისათვის, რათა, მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში, შევძლოთ ვიპოვოთ ჩვენი ადგილი როგორც ეკონომიკურ სფეროში, ასევე მსფლიო პოლიტიკურ სივრცეში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარათაშვილი, ე თაკალანძე ლ, აბრალავა ა, ,, მენეჯმენტი და ადმინისტრირება“ თბილისი, 2007
2. გუგეშაშვილი მ. პერსონალის მართვა იაპონიაში, თბილისი, 2004.
3. დათაშვილი ვ., თანამედროვე მენეჯმენტის როლი ორგანიზაციის ეფექტურად განვითარებაში, ჟურნალი “სოციალური ეკონომიკა“, 2014, №
4. იმნაიშვილი ნ. ,, მენეჯმენტის კულტურა“ თბილისი, გრიგოლ რობაქიძის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013.
5. Anthony Inman R., David A. Victor. Japanese Management (revised by Gerhard Plenert) 2011.
6. Bird A., Permanent Employee. Encyclopedia of Japanese Business, 2002.

სესხის ტიპები და რეფინანსირების განაკვეთის ცვლილების გავლენა ცვლად პროცენტიან სესხებზე
Loan types and the impact of refinancing rate changes on variable interest rate loans

ანი ხაჩიძე - დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
anikhachidze@tbcbank.com.ge

Ani Khachidze - PhD student
Georgian Technical University
anikhachidze@tbcbank.com.ge

ანოტაცია: სტატიაში განხილულია სესხის სახეები, ცვლად პროცენტიანი სესხები, ფიქსირებული სესხები, ლიბორის ინდექსზე მიბმული სესხები და აღწერილია თუ რა გავლენას ახდენს ლარის ვალუტაში გაცემულ სესხებზე რეფინანსირების განაკვეთი. წარმოდგენილია დეტალური სტატისტიკური მაჩვენებელი ზემოთ აღნიშნული ტიპის სესხებისათვის. ნაჩვენებია რეკომენდაცია სასურველი ტიპის კრედიტის ასარჩევად.

საკვანძო სიტყვები: რეფინანსირების განაკვეთი. ცვლად პროცენტიანი სესხი. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი. ლიბორის ინდექსი

Annotation: The article deals with the types of loans, variable interest loans, fixed loans, loans vith the Libor Index and describes the impact of the refinancing rate on lari-denominated loans. Showed statistics for the above types of loans. A recommendation is shown to select the best type of loan.

Key words: Refinancing rate. Variable rate loans. fixed loans. Libor index

საბანკო საკრედიტო პროდუქტების განვითარებასა და საჭიროებაზე მრავალი გარემოება მოქმედებს. თანამედროვე ცხოვრებაში, როდესაც ადამიანთა მოთხოვნილებები ყოველწლიურად იმატებს და ვითარდება, უმეტეს შემთხვევაში შეუძლებელია მათი დაკმაყოფილება ფულადი დანაზოგის ან მხოლოდ ხელფასის ხარჯზე. წარსულში არ არსებობდა ის ოდენობა ტექნიკა და ტექნოლოგია, პირადი მოხმარების ნივთები ან თუნდაც გართობის

საშალება, რაც ამჟამად. სწორედ ჩვენი სურვილების დაკმაყოფილების საჭიროებითვის არსებობს საბანკო კრედიტი, რომელიც საშუალებას გაძლევს აისრულო სურვილი დღეს და გადაიხადო თანხა მომავალში. სამომავლო ყოველთვიური შენატანის ოდენობას კი განსაზღვრავს შენი გადახდისუნარიანობა, ანუ თანხა რომლის გადახდის საშალებასაც მოგცემს შენი ხელფასი. დროის განვითარებასთან ერთად უფრო მეტად გახდა სესხის საჭიროება, რადგან ადამიანთა მოთხოვნილება საკმაოდ განვითარდა. მოთხოვნილებებთან ერთად დღითიდღე ვითარდება ტექნოლოგია, რაც ხელს უწყობს ინფორმაციის გავრცელებას. ასევე ფირმებმა გააცნობიერეს თუ რამხელა ადგილი უკავია ფირმის განვითარებასა და პირველი ადგილის დაკავებაში პიარსა და რეკლამას, რაშიც დღესდღეობით უამრავი თანხა იხარჯება. ეს ყველაფერი კი განაპირობებს ინფორმაციის მიღების დიდ წყაროს, რაც განაპირობებს სესხის აღების დიდ მაჩვენებელს. ფირმების უმეტესობა ტელეკომპანიისა თუ სხვა საშალებების დახმარებით ყოველდღიურად არეკლამებს საკუთარ პროდუქტს და ხაზს უსვამს მისი სერვისის უპირატესობას კონკურენტ ბანკთან შედარებით. შესაბამისად მოსახლეობის უმეტესობისთვის კრედიტი და ბანკი უცხო არაა და ის ასოცირდება ყოველდღიურ ცხოვრებასთან. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ისეა გარკვეული საბანკო სისტემაში რომ მათ არანაირი შიში ან ეჭვია რ უჩნდებათ სესხის აღების წინ. სწორედ ცნობიერების ამაღლება უწყობს ხელს პროდუქტის გაყიდვას. ასევე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ თითქმის ყველა მაღაზიასა თუ საიტზე შეიძლება ნივთის განვადებით შეძენა, რაც პროდუქტის ყიდვის ჩვეული ხერხი გახდა. დღევანდელი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი საჭიროდ არ თვლის პროდუქტის ნაღდი თანხით შეძენას, როდესაც შეიძლება ნივთის მიღება დღეს და ყოველთვიურად საოცრად მცირე თანხის გადახდა. აღნიშნულ მომსახურებას კიდევ უფრო მომხიბვლელად აქცევს რეკლამა, რომელიც მომხმარებლების უმეტესობას სინამდვილედ მიაჩნია.

საუბარი მაქვს „0%“ -იან განვადებაზე, რომელიც სინამდვილეში არ არსებობს. ეს ყველაფერი რაც ხელს უწყობს პროდუქტის გაყიდვას არის სწორად და მიზანმიმართულად შერჩეული სარეკლამო კამპანია, რომლის მიზნობრიობაცაა მოგების ზრდა. რეკლამის გარდა სესხების აღების დიდ მაჩვენებლზე ლოგიკურად მოქმედებს მოსახლეობის ზრდა. 2019 წლის მონაცემებით მსოფლიო მოსახლეობის მაჩვენებელი დაახლოებით 7,7 მილიარდ ადამიანს შეადგენს. სწორედ ამ ყველა ფაქტორმა განაპირობა სესხის საჭიროების დღითიდღე განვითარება.

კრედიტის მოცულობა, ვადა და პროცენტი განსხვავდება საჭიროების მიხედვით. რაც უფრო მეტი თანხა სურს კლიენტს მით უფრო დიდია სესხის ვადა. ასევე რაც უფრო დიდი თანხა სურს კლიენტს, მით ნაკლებია სესხის საპროცენტო განაკვეთი. ეს ფაქტორი იმით აიხსნება, რომ კლიენტს სესხის გაძვირება არარეალურად დიდი თანხა არ დაუჯდეს. შესაბამისად დღეს იპოთეკური სესხის საპროცენტო განაკვეთი ყველაზე დაბალია. ხოლო სასწრაფო სესხის და საკრედიტო ბარათის კი ყველაზე მაღალი. ასევე განსხვავდება ვადა - იპოთეკურ სესხზე ვადა შეადგენს 15 წელს, ხოლო სასწრაფო სესხისა კი 1 წელს. ზოგადად საკრედიტო პროდუქტი ვითარდება ყოველწლიურად, ყოველთვიურად და ყოველდღიურადაც კი, რაც იწვევს სტანდარტული მახასიათებლების მნიშვნელოვან ცვლილებებს. საბანკო სისტემაში საკრედიტო პრდუქტებს აქვს 3 ძირითადი მახასიათებელი: ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი, ცვლადი საპროცენტო განაკვეთი და ლიბორის ინდექსზე მიბმული საპროცენტო განაკვეთი. მოდი გავიაროთ თითოეული მათგანი.

როდესაც განვიხილავთ ქართულ ბაზარს აღსაღნიშნავია ის ფაქტი. რომ სახელმწიფო რეგულაციების მიხედვით თუკი სესხის თანხა ნაკლებია 200 000 ლარზე, სესხი აუცილებლად უნდა გაიცეს ლარის ვალუტაში. შესაბამისად არსებული სესხების უმეტეს ნაწილს შეადგენს ლარის სესხები. ეროვნული ვალუტის სესხებზე კი

გავლენას ახდენს ეროვნული ბანკი. თვეში ერთხელ ეროვნული ბანკის საბჭო ადგენს ახალ რეფინანსირების განაკვეთს, რომელზეც შემდეგ ემატება ბანკის საპროცენტო განაკვეთი რის შედეგადაც ყალიბდება ახალი საპროცენტო განაკვეთი საბანკო სფეროში. კომიტეტი შედგება 11 წევრისგან და მას თავჯდომარეობს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი. კომიტეტი განსაზღვრავს თუ რა იქნება მიზნობრივი ინფლაციის მაჩვენებელი შემდეგი თვისთვის და აწესებს მოკლევადიან პროცენტს, ანუ რეფინანსირების განაკვეთს, რომლის მიზანია ინფლაციის საჭირო მაჩვენებლის მიღწევა. ამჟამად რეფინანსირების განაკვეთი შეადგენს 9%-ს. მსგავსი დიდი პროცენტი ბოლოს დაფიქსირდა 2008 წელს როდესაც რეფინანსირების განაკვეთი 9% ზე მეტს შეადგენდა. მონაცემების მიხედვით ბოლო პერიოდში მსგავსი დიდი მაჩვენებელი არყოფილა, რამაც გამოიწვია სერიზული უკმაყოფილება მსესხებლების მხრიდან და არეულობა საბანკო სისტემაში. ბოლო 2 თვის მონაცემებით ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთი ოთხჯერ გაიზარდა:

- 04.09.2019 ის მონაცემებით გაიზარდა 0.5% ით
- 25.09.2019 ში მოხდა საპროცენტო განაკვეთის კიდევ 0.5% ით მატება.
- 23.10.2019 ში 1% ით
- ბოლო ცვლილება კი 11.12.2019 ში განხორციელდა და საპროცენტო განაკვეთი გაიზარდა 0.5% ით

ჯამში საპროცენტო განაკვეთის 2.5% - ით ცვლილებამ გამოიწვია რეფინანსირების განაკვეთის 6.5% იდან 9% მდე გაზრდა. აღნიშნულმა ცვლილებამ გამოიწვია ის, რომ იპოთეკური სესხების საშუალო საპროცენტო განაკვეთი გაიზარდა წლიური 8%-დან დაახლოებით 11.5%-მდე. საშუალოდ რეფინანსირების განაკვეთს დამატებული ბანკის 2.5%. მსესხებელთა უმრავლესობამ რომლებიც სარგებლობენ ცვლად პროცენტიანი სესხით, გამოთქვეს სეროზული უკმაყოფილება და ითხოვენ პროცენტის შემცირებას მომსახურე

ბანკებში. რათქმაუნდა არსებულმა ცვლილებამ ზეგავლენა იქონია მხოლოდ ცვლად პროცენტიან სესხებზე. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია რამდენიმე ყველაზე გასამახვილებელი პერიოდი, როდესაც საპროცენტო განაკვეთი საკუთარ უმაღლეს ან უმცირესს ნიშნულს გაუთანაბრდა. საშუალო რეფინანსირების განაკვეთის მაჩვენებელი შეადგენს 7%-ს. დეტალური ცხრილი კი მოცემულია ნახაზი N1-ში: (აღნიშნული მონაცემების დეტალური ნახვა შესაძლებელია საიტზე: www.nbg.gov.ge)



ნახაზი N 1

შესაბამისად რაც შეეხება ცვლად პროცენტიან (რეფინანსირების განაკვეთზე მიბმულ) სესხებს, აღნიშნული ეხება მხოლოდ ლარის სესხებს. როგორც წესი იპოთეკური სესხი და იპოთეკური საკრედიტო ხაზი ყოველთვის არის ცვლად პროცენტიანი სესხი. რაც შეეხება საკრედიტო ბარათს, სასწრაფო სესხსა და სწრაფ სამომხმარებლო (სახელფასო) სესხს, აღნიშნული სესხები არის ფიქსირებულ განაკვეთიანი სესხი. ცვლად პროცენტიანი სესხისგან განსხვავებით ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე ვერაფერი ვერ ახდენს გავლენას და მას აწესებს ბანკი. როდესაც ვსაუბრობთ ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე, მხედველობაში შესაძლოა

გვქონდეს როგორც ლარის, ასევე დოლარის ან ევროს სესხი. (აღსაღნიშნავია ის გარემოება, რომ ამ 3 ვალუტის გარდა სხვა ვალუტის სესხი საქართველოში არ გაიცემა). ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი არის საპროცენტო მაჩვენებელი, რომელიც მითითებულია სესხის ხელშეკრულებაში და აღნიშნული მაჩვენებელი უცვლელია მთელი სესხის მოქმედების პერიოდში. მოცემული შემთხვევა უმეტესად გვხვდება საკრედიტო ბარათების, არაუზრუნველყოფილი კრედიტების და სხვა მცირე სესხების შემთხვევაში. რაც შეეხება გრძელვადიან სესხებს როგორიცაა იპოთეკური სესხი, ბიზნეს სესხი, უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხი და სხვა, უმეტეს შემთხვევაში არის ცვლადი.

უმეტეს შემთხვევაში ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი შესაძლოა იყოს სხვადასხვა მაჩვენებელი სესხის ვადის მიხედვით. ანუ როდესაც სახელფასო სესხი გაიცემა 1 წლის ვადით, პროცენტი შესაძლოა იყოს 11% (რათქმაუნდა ფიქსირებული), ხოლო როდესაც იგივე ტიპის სესხი გაიცემა უკვე 4 წლის ვადით, ამდროს სესხის საშუალო საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 15%-ს. როდესაც საქმე გვაქვს სახელფასო კლიენტებთან, ამ შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთზე არსებობს გარკვეული პერსონალური შეთავაზებები და ფასდაკლებები. შესაბამისად სტანდარტული მსესხებლისგან განსხვავებით სახელფასო კლიენტების საპროცენტო განაკვეთები შედარებით ნაკლებია. არაუზრუნველყოფილი სწრაფი სესხები, ოვერდრაფტი, ასევე საკრედიტო ბარათები ყოველთვის არის ფიქსირებული განაკვეთი. სწორედ ამიტომაა, რომ საკრედიტო ბარათი არის წლიურ 36% იანი ხოლო არაუზრუნველყოფილი სესხის საშუალო საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 15% ს. ეს ყველაფერი კი იმ დროს, როდესაც დღესდღეობით იპოთეკური სესხის საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 11%-ს. არსებობს ზოგადი წესი საბანკო სისტემაში, რომ ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთიანი სესხების მაქსიმალური ვადა შეადგენს 4 წელს, როდესაც საუბარია ლარის არაუზრუნველყოფილ სესხებზე. რაც შეეხება უზრუნველყოფილ

სესხს, თუკი უზრუნველყოფილი სესხის ვადა განისაზღვრება 4 წლით, შესაძლოა ავირჩიოთ როგორ ფიქსირებული, ასევე ცვლადი საპროცენტო განაკვეთი. ხოლო როდესაც 4 წელზე მეტია სესხის ვადა, სესხი აუცილებლად იქნება ცვლად პროცენტიანი, რომელიც მიბმულია ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთზე.

იმისდა მიუხედავად, რომ ვერც ერთი ადამიანი წინასწარ ვერ განსაზღვრავს ბაზარზე მოსალოდნელ ცვლილებებს, მომხმარებელთა უმეტესობას პრივილეგიად მიაჩნია ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი, რადგან მსესხებელმა ზუსტად იცის თუ რისი გადახდა მოუწევს მას მაგალითად: შემდეგი 4 წლის განმავლობაში. სწორედ ამ მიზეზის გამო. ცვლად პროცენტიანი სესხის საპროცენტო განაკვეთი ყოველთვის უფრო დაბალია, ვიდრე ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მაჩვენებელი. მაგალითისთვის რომ ავიღოთ თუნდაც 2 თვის წინ ლარის იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 8,5%-ს. ხოლო ამჟამად იპოთეკური სესხი გაიცემა 11,2%_ში, რაც გამოიწვია რეფინანსირების განაკვეთის მკვეტრმა ცვლილებამ. შესაბამისად იმ მომხმარებლებს, რომლებსაც სესხი აღებული ქონდათ ცვლადი საპროცენტო განაკვეთით, მათი მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა. როდესაც საქმე ეხება უცხო ვალუტაში გაცემულ სესხებზე, ანუ უზრუნველყოფილ სესხებს რომელთა თანხაც აღემატება 200 000 ლარს, სესხი შეიძლება იყოს მთელ ვადაზე ფიქსირებული. აღნიშნული ეხება დოლარისა და ევროს სესხებს. თუმცა ვალუტის სესხებიც შესაძლოა იყოს ცვლადი, რომელიც დამოკიდებული იქნება ლიბორის ინდექსზე. განსხვავება ისაა რომ ფიქსირებული სესხი ევროსა და დოლარში უფრო დიდი პროცენტიანია, ვიდრე ცვლადი სესხი იმავე ვალუტაში. ეს იმით აიხსნება, რომ ადამიანი თანახმაა გადაიხადოს მეტი მისი შემდეგი გარკვეულობის და თავის დაზღვევისთვის. ამჟამად დოლარის იპოთეკური სესხის ფიქსირებული საპროცენტოგანაკვეთი შეადგენს

7.5%-ს. რაც ლიბორის შემთხვევაშ ბევრად ნაკლებია და შეადგენს 6.8%-ს. ხოლო ევროს ფიქსირებული განაკვეთი შეადგენს 5.5%-ს ხოლო ლიბორი ევროსი კი არის 4.8%.

ლიბორის ინდექსი არის პროცენტის ცვლილების მაჩვენებელი რომელიც უცხოური ვალუტისთვისაა დამახასიათებელი.ლიბორი არის ლონდონის ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსი. აღნიშნულ ინდექს ადგენს ლონდონის ბირჟაზე მონაწილე ბანკები სხვადასხვაზე ვალუტაზე და სხვადასხვა ვადით. აღნიშნულო ინდექსი იცვლება 6 თვეში ერთხელ. ლიბორის მაჩვენებელი აზრობრივად აღნიშნავს იგივეს, რაც არის რეფინანსირების განაკვეთი ლარის სესხებისთვის, უბრალოდ არა ლარის სესხებისთვის, არამედ უცხოური ვალუტისთვისთვის. ლიბორის ინდექსი შემოიღეს 1985 წლიდან, (London Interbank Offered Rate) რომელიც გავლენას ახდენს შემდეგ ვალუტებზე:

- ავსტრიული დოლარი
- დანიური კრონი
- აშშ დოლარი
- ევრო
- კანადური დოლარი
- ახალზელანდიური დოლარი
- გირვანქა სტერლინგი
- შვედური კორნი
- შვეიცარული ფრანკი
- იაპონური იენა

ლიბორის ინდექსი ყალიბდება შემდეგნაირად - ბრიტანეთის საბანკო ასოციაციის უფლებამოსილი აგენტი დასავლეთ ევროპის დროით დილის 11 საათზე უკავშრდება პირველ 16 ბანკს, რომელიც წინასწარ არის შერჩეული, გავლენა აქვთ ლონდონის ბირჟაზე და ეკითხება ერთი თვიდან 1 წლამდე მოსალოდნელ საპროცენტო

განაკვეთს და მიღებული 16 მონაცემიდან ოთხი ყველაზე დიდი და ოთხი ყველაზე მცირე მაჩვენებლის საშუალო არითმეტიკულის შედეგად ყალიბდება ლიბორის ინდექსი. ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთისგან შედარებით ლიბორის ინდექსი ბევრად უფრო სტაბილურია. მეტი ხილვადობისთვის განვიხილოთ ნახაზი N 2 დოლარის ლიბორისთვის: (აღნიშნული მონაცემების დეტალური ნახვა შესაძლებელია საიტზე: www.global-rates.com)



როგორც ვხედავთ ბოლო 6 თვის მონაცემების მიხედვით დოლარის ლიბორის მაქსიმალური ცვლილება შეადგენს მხოლოდ 0.3245% ს. რაც ლარის რეფინანსირების განაკვეთისგან საგრძნობლად განსხვავდება, რადგან რეფინანსირების განაკვეთი ბოლო 2 თვის მანძლზე 2.5% ით გაიზარდა. რაც შეეხება ევროს ლიბორის ის არის მინუსში და ბოლო დროის მაჩვენებელი გამოიყურება შემდეგნაირად: (აღნიშნული მონაცემების დეტალური ნახვა შესაძლებელია საიტზე: www.global-rates.com). ევროს ლიბორის შემთხვევაში მაქსიმალური ცვლილება შეადგენს 0.0807%-ს რაც რათქმაუნდა საუკეთესო მაჩვენებელია, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ სესხის აღების დროს. უბრალოდ საქართველოში ევროს სესხების მოცულობა საქმაოდ მცირეა, რაც აიხსნება ევროს

დიდი კურსით. თუმცა საპროცენტო განაკვეთის არასტაბილურობის დიდი მაჩვენებლის გამო საუკეთესო ლიბორის ინდექსს და საუკეთესო საპროცენტო განაკვეთს ბაზარზე მაინც ევროს სესხი გვთავაზობს.



სწორედ არსებული მაჩვენებლების დეტალური შესწავლის და მათი გათვალისწინების შემდეგ მიწანშეწონილია გადაწყვეტილების მიღება და საჭირო სესხის აღება. წინააღმდეგ შემთხვევაში რეფინანსირების პროცენტის ცვლილებამ ან ლიბორის ინდექსის მერყეობამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზარალის საფრთხის წინაშე დაგაყენოთ. სწორედ ამიტომ ნებისმიერი სასესხო ხელშეკრულების ხელმოწერამდე უმჯობესია დეტალურად გავეცნოთ ხელშეკრულების პირობებს და გავიაროთ უცნობი დეტალები კრედიტ ოფიცერთან ან იურისტთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვებგვერდი: www.nbg.gov.ge
2. ვებგვერდი: www.global-rates.com

დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის მიზნები და ამოცანები

Цели и задачи государственной политики занятости

ლალი სრესელი - მოწვეული სპეციალისტი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
lalisreseli@yahoo.com

Лали Сресели - Приглашенный специалист
Горийский государственный университет
lalisreseli@yahoo.com

რეზიუმე: სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია და მოვალეობა ქვეყნის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ეფექტური დასაქმებაა.

შრომითი პოტენციალის რაციონალური გამოყენება და განვითარება, სტრუქტურულ ცვლილებებთან ადამიანური რესურსების დროულად მორგება, სამუშაო ძალაზე მთხოვნა-მიწოდების შორის ოპტიმალური თანაფარდობის დაცვა, უმუშევრობის ზრდის შეჩერება, დასაქმების სფეროში სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვა, სამუშაოს მაძიებელთათვის დასაქმების თანაბარი შესაძლებლობების შექმნა სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებულ მხარდაჭერას საჭიროებს. აღნიშნულ ამოცანათა გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ შრომისა და დასაქმების სფეროში მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებითა და გატარებით,რომლის საბოლოო მიზანია შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა.

საკვანძო სიტყვები: დასაქმება, შრომის ბაზარი, დასაქმების პოლიტიკა.

Резюме: Одной из основных функций и обязанностей государства является эффективная занятость экономически активного населения страны.

Рациональное использование и развитие трудового потенциала, своевременная корректировка человеческих ресурсов для структурных изменений, Поддержание оптимального соотношения

предложения рабочей силы, прекращение безработицы, соблюдение принципов социальной справедливости в сфере занятости и создание равных возможностей трудоустройства для лиц, ищущих работу, нуждаются в особой поддержке со стороны государства. Эти задачи могут быть решены только путем разработки и реализации целенаправленной государственной политики в области труда и занятости, конечной целью которой является содействие эффективному функционированию рынка труда, социально-экономическому развитию страны.

Ключевые слова: занятость, рынок труда, политика занятости.

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა და არსებული სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობას, როგორც ბიზნეს-გარემოს სრულყოფის, ისე შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარების გზით. ეს უკანასკნელი სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია და მოვალეობაა.

შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების სახელმწიფო მხარდაჭერის აუცილებლობა განპირობებულია შემდეგი ობიექტური გარემოებებით: [**1.** .დანართი 1]

- შრომის ბაზარი მოწოდებულია, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მოთხოვნებიდან გამომდინარე, უზრუნველყოს შრომითი პოტენციალის რაციონალური გამოყენება და განვითარება, მოსალოდნელ სტრუქტურულ ცვლილებებთან ადამიანური რესურსების დროულად მორგება, სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის ოპტიმალური თანაფარდობის დაცვა, ეკონომიკური დაცემის პერიოდში დასაქმების სტაბილიზაცია, უმუშევრობის ზრდის შეჩერება და ა.შ;
- სტიქიურად განვითარებადი შრომის ბაზარი ვერ უზრუნველყოფს დასაქმების სფეროში სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვას, სამუშაოს მაძიებელთათვის დასაქმების თანაბარი შესაძლებლობების შექმნას, განსაკუთრებით

საზოგადოების იმ ჯგუფებისათვის, რომლებიც შრომის ბაზარზე დაბალ კონკურენტუნარიანები არიან და სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებულ მხარდაჭერას საჭიროებენ;

- სოციალურ პარტნიორობაზე დაფუძნებული მოქნილი შრომის ბაზარი განაპირობებს უმუშევრობის დონის ზრდის შეჩერებას, შრომითი უფლებების თანაბარი რეალიზაციის და უმუშევართა სოციალური დაცვის მექანიზმის შემუშავებას.

აღნიშნულ ამოცანათა გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ შრომისა და დასაქმების სფეროში მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებითა და გატარებით,რომლის საბოლოო მიზანია შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა.

ყოველი სახელმწიფო თავად განსაზღვრავს საკუთარ პოლიტიკას მოსახლეობის დასაქმების სფეროში. დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკა განისაზღვრება იმ მიზნებით და ამოცანებით,რომლებიც ამ სფეროში სახელმწიფოს წინაშე დგას: რა უნდა გაკეთდეს,რას უნდა მივაღწიოთ და ეს ყოველივე რა საშუალებებით და მეთოდებით?

შრომის ბაზარი საქართველოში ფორმირების სტადიაშია, რაც იწვევს საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გაზიარების აუცილებლობას.

განვითარებულ ქვეყნებში გამოყოფენ დასაქმების პოლიტიკის შემდეგ მოდელებს: [2 .გვ 58]

- ამერიკული მოდელი ორიენტირებულია დაბალი შემოსავლების განაწილებაზე სამუშაო ადგილების შექმნის მეშვეობით,რომელიც არ მოითხოვს ეკონომკურად აქტიური მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მაღალ მწარმოებლურობას. ამ დროს უმუშევრობა ფორმალურად მცირდება, მაგრამ არის რისკი დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის რაოდენობის გაზრდის.

- სკანდინავიური მოდელი გვთავაზობს პრაქტიკულად ყველა მშრომელისათვის დასაქმების გარანტიას შრომის ანაზღაურების

დამაკმაყოფილებელი პირობებით სამუშაო ადგილების შექმნით სახელმწიფო სექტორში. ასეთი პოლიტიკა დაკავშირებულია ინფლაციური წნეხის წარმოშობის და სახელმწიფო ფინანსური რესურსების ამოწურვის რისკთან.

- ევროპული მოდელი ითვალისწინებს დასაქმებულთა რიცხვის შემცირებას შრომისმწარმოებლურობის ამაღლების და მომუშავეთა შემოსავლების ზრდისას

დასაქმების სფეროში ქვეყნები მიმართავენ დასაქმების როგორც აქტიურ,ასევე დასაქმების პასიურ პოლიტიკას.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) შრომის ბაზრის აქტიურ პოლიტიკას განსაზღვრავს შემდეგნაირად: „შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკა არის ნებისმიერი სოციალური დანახარჯი (განათლების სფეროს გარდა), რომელიც მიმართულია იმაზე, რომ ბენეფიციარს გაეზარდოს დასაქმების ან შემოსავლის მიღების შესაძლებლობა“. [**3.** მუხლი2.]

სოციალურად ორიენტირებული განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების დიდი უმრავლესობა დასაქმების პოლიტიკის სფეროში ახორციელებს აქტიურ პოლიტიკას, რომელიც მიმართულია სრული,პროდუქტიული და თავისუფალ არჩევანზე დამყარებულ დასაქმებაზე. სახელმწიფო ისწრაფის და ქმნის პირობებს, რათა:

- სამუშაო არსებობდეს ყველასთვის,ვინც მას ეძებს და მზადაა შეუდგეს მუშაობას

- სამუშაო იყოს რაც შეიძლება მეტად პროდუქტიული

- არსებობდეს არჩევანის თავისუფლება დასაქმებაში

დასაქმების სფეროში აღნიშნული მიზნების მისაღწევად დასახული ღონისძიებები უნდა იყოს მკაფიოდ განსაზღვრული და პერიოდულად გადახედული კოორდინირებული ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ჩარჩოებში. ამასთან დასაქმების სფეროში მიღებული გადაწყვეტილებები მოითხოვს შეთანხმებულ

მოქმედებას,როგორც სახელმწიფოს მხრიდან, ასევე დამქირავებლების და დაქირავებული მუშების მხრიდან.

გარდა ამისა, სახელმწიფო დასაქმების პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეს, ასევე კავშირს დასაქმების სფეროში დასახულ მიზნებსა და სხვა ეკონომიკურ

თუ სოციალურ მიზნებს შორის. დასაქმების პოლიტიკა უნდა განხორციელდეს იმ მეთოდებით რომელიც შეესაბამება ამ თუ იმ ქვეყნის ნაციონალურ პირობებს და პრაქტიკას. „ქვეყნები შრომის ბაზრის რეგულირებას სხვადასხვა გზით ახდენენ და იყენებენ როგორც ნორმატიულ, ასევე კოლექტიური გადაწყვეტის საშულებებს. რეგულირების თითოეულ მექანიზმს ახასიათებს უარყოფითი და დადებითი მხარეები, მაგრამ მნიშვნელოვანია ის, რომ ქვეყნის სპეციფიკური ბუნება და არსებული ტრადიციები განსაზღვრავენ ამ მექანიზმების გამოყენების ეფექტიანობას. „ [4.გვ 64.]]შესაბამისად ხდება საერთაშორისო შრომითი სტანდარტების, რომლებიც მიზნად ისახავს გააუმჯობესოს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) წევრი ქვეყნების შიდა ეროვნული სოციალური გარემო, ტრანსფორმაცია ქვეყნებში მათი სპეციფიკის შესაბამისად. [5.72]

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ შექმნა შრომის საერთაშორისო ნორმების სისტემა - საერთაშორისო კონვენციები და რეკომენდაციები, რომლებიც ეხება შრომასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს და რომელთა შემუშავებაში მონაწილეობას ღებულობენ მთავრობების, დამსაქმებლებისა და

დასაქმებულების წარმომადგენლები მთელი მსოფლიოდან.

შრომის საერთაშორისო ნორმები ჩამოყალიბდა, როგორც შრომისა და სოციალური პოლიტიკისადმი მიძღვნილი დოკუმენტების ყოვლისმომცველი სისტემა კონტროლის საკუთარი მექანიზმით, რომელიც მოწოდებულია, უპასუხოს ეროვნულ დონეზე

ამ ნორმების გამოყენების პროცესში წარმოქმნილ ყველა შესაძლო პრობლემას. [6 გვ14]

დასაქმების პოლიტიკის შესახებ კონვენცია, 1964 წლის (№122) მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა, რომლებმაც მოახდინეს მისი რატიფიცირება, გამოაცხადონ და გაატარონ აქტიური პოლიტიკა სრული, პროდუქტიული და თავისუფალი არჩევანზე დაფუძნებული დასაქმების მიღწევისათვის. ამ პოლიტიკის მიზანია,- უზრუნველყოს, რომ სამუშაო არსებობდეს ყველა იმ პირისათვის, ვინც ეძებს მას და მზად არის მის შესასრულებლად;- რომ ეს სამუშაო იყოს რაც შეიძლება მეტად პროდუქტიული; -და რომ არსებობდეს დასაქმების თავისუფალი არჩევანი და მაქსიმალური შესაძლებლობა იმისა, რომ თითოეულმა მუშაკმა საკუთარი უნარ-ჩვევებისა და ნიჭიერების წყალობით დააკმაყოფილოს იმ სამუშაოს ადგილზე მისაღებად არსებული მოთხოვნები, რომელსაც ის ყველაზე მეტად შეეფერება მისი რასის, ფერის, სქესის, აღმსარებლობის, პოლიტიკური შეხედულების, ეროვნული კუთვნილებისა და სოციალური წარმომავლობის მიუხედავად. ამ პოლიტიკამ სათანადოდ უნდა გაითვალისწინოს ეკონომიკური განვითარების სტადია და დონე, აგრეთვე ურთიერთკავშირი დასაქმებისა და სხვა ეკონომიურ თუ სოციალურ მიზნებს შორის და იგი უნდა განხორციელდეს ისეთი მეთოდების გამოყენებით, რომლებიც შეესაბამება სახელმწიფოში არებულ პირობებსა და პრაქტიკას. [6.გვ14]

დღეს ევროკავშირის შრომისა და სოციალური სტანდარტების ფუნდამენტური პრინციპები და დებულებები მოცემულია არა მხოლოდ ევროკავშირის ხელშეკრულებებში,(პირველად კანონმდებლობაში) არამედ დირექტივებში(მეორად კანონმდებლობაში) რომლებსაც აქვს სავალდებულო და მბოჭავი ხასიათი ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის.[7]

დღეს როდესაც მთავრობის პრიორიტეტული მიმართულებაა ეფექტიანი და ცივილიზებული შრომის ბაზრის ჩამოყალიბება.

შრომის კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია ამ ამოცანის შესრულების მნიშვნელოვანი კომპონენტია. [8.გვ11]

მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში დასაქმების პოლიტიკის მოქმედება ეფუძნება შრომის ბაზრის აქტიურ და პასიურ რეგულირებას.

საქართველოს შემთხვევაში, შრომის ბაზრის რეგულირება, უმეტესწილად ხდება აქტიური სახელმწიფო დასაქმების პოლიტიკის გატარებით, რაც გამოიხატება სახელმწიფოს მიერ ინიცირებულ დასაქმების პროგრამებსა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნისთვის ბიზნესის სტიმულირებაში. ასეთ ღონისძიებებად შეიძლება ჩაითვალოს: სამუშაო ადგილების შექმნა,პროფესიული გადამზადება,ბიზნესის სახელმწიფო იაფი კრედიტით უზრუნველყოფა და მოქალაქეთა ცალკეული ჯგუფებისათვის საზოგადოებრივი საქმიანობის ორგანიზება [5.გვ 77]

საქართველოს მთავრობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობას, რომლის მთავარი მიზანია მოსახლეობის პროდუქტიული დასაქმების შესაძლებლობების გაზრდა, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება ისეთ მოწყვლად ჯგუფებს, როგორებიც არიან ახალგაზრდები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და ა.შ. 2013 წელს წარმატებით დასრულდა მოლაპარაკებები ევროკავშირის წარმომადგენლობასთან დასაქმებისა და პროფესიული განათლების სფეროში სექტორული მხარდაჭერის პროგრამის ამოქმედების შესახებ, რომლის თანახმადაც, მომდევნო წლებში საქართველოში უნდა განხორციელდეს სექტორული რეფორმა დასაქმებისა და პროფესიული განათლებისა და გადამზადების მიმართულებით, რაც მხარდაჭერილი იქნება ევროკავშირის სექტორული მხარდაჭერის პროგრამით. [3.მუხლი2.]

განვითარებულ საბაზრო ეკონომიკაში შრომის ბაზრის სუბიექტებად გვევლინებიან დამქირავებლები და დაქირავებული

მუშები (ან ორგანოები,რომლებიც მათ ინტერესებს გამოხატავენ, მაგ. მწარმოებელთა ასოციაციები,პროფკავშირული ორგანიზაციები და სხვა სტრუქტურები) ასევე სახელმწიფო. სახელმწიფო,როგორც დამსაქმებელი სახელმწიფო საწარმოებში, გამოდის ინვესტორის როლში, რომელიც აფინანსებს სოციალურად მნიშვნელოვან პროექტებსა და პროგრამებს. მაგრამ სახელმწიფოს მთავარი ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ იგი აყალიბებს,განსაზღვრავს და აკონტროლებს შრომის ბაზარზე პარტნიორთა ინტერესების რეგულირებას და ქცევის წესებს.

დასაქმების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სრული,პროდუქტიული და თავისუფალ არჩევანზე დამყარებულ დასაქმების მიზნით სახელმწიფო ახორციელებს:

- სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმებისა და პროგრამების დამუშავებას, ღონისძიებებს საფინანსო-საკრედიტო, საინვესტიციო და საგადასახადო პოლიტიკაში, რომელიც მიმართულია მწარმოებლურ ძალთა რაციონალურ განთავსება,გადაადგილების, შრომითი რესურსების მობილობის ამაღლებასთან,დროებითი და სტაბილური დასაქმების განვითარების,შრომის მოქნილი რეჟიმების მიღების წახალისების და სხვა ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობს სამუშაო ადგილების შექმნა/შენარჩუნებას.

- სამართლებრივ რეგულირებას დასაქმების სფეროში მოქალაქეთა კანონიერი უფლებების დაცვის საფუძველზე სახელმწიფო გარანტიებთან შესაბამისობით, მოსახლეობის დასაქმების შესახებ კანონმდებლობის შემდგომ სრულყოფას.

- რეგიონალური პროგრამების დამუშავება-რეალიზაციას,რომელიც ითვალისწინებს მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობის ღონისძიებებს.

- დასაქმების აქტიური პოლიტიკის გატარებისათვის ეფექტური მექანიზმების დანერგვას, რომელიც მოიცავს:

- უმუშევარი მოქალაქეების პროფილის მიხედვით განაწილების სპეციალური ღონისძიებების ორგანიზებას და გატარებას უმუშევარი მოქალაქეების განაწილება ჯგუფებად მათი ყოფილი

პროფესიული მოღვაწეობის მიხედვით, ასაკის სქესის, განათლების დონის და სხვა სოციალურ დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით) მათთვის სამუშაოზე მოწყობაში ეფექტური დახმარების აღმოჩენის მიზნით, შრომის ბაზარზე არსებული სიტუაციის გათვალისწინებით.

- სოციალური დახმარების აღმოჩენა მოქალაქეებს რომლებსაც უმუშევართა სტატუსი აქვთ .[4]

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს თვითრეგულირების მექანიზმებისა და შრომის ბაზრის სახელმწიფო რეგულირების შეთანხმებული მოქმედების არა მარტო გარდაუვალობას, არამედ მის ეფექტურობასაც. იმ მრავალრიცხოვან პრობლემებს შორის, რომლებიც დაკავშირებულია დასაქმებასთან და შრომის ბაზრის ფუნქციონირებასთან, სახელმწიფო რეგულირების პრიორიტეტულ მიმართულებებად ითვლება მისი სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდა, სამუშაო ადგილებზე მოთხოვნის რეგულირება, ასევე სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაცია განათლების განვითარების, პროფესიული მომზადებისა და კადრების კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში.

ლიტერატურის სია

1. საქართველოს მთავრობის დადგენილება №732 2014 წლის 26 დეკემბერი ქ.თბილისი „საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2013-2014 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 აგვისტოს №199 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

2. Стимулирование занятости: Доклад генерального директора на 82-й сессии Международной конференции труда 1995 года. Женева, 1995. С. 58.

3. საქართველოს მთავრობის საქართველოს დადგენილება №167 2016 წლის 4 აპრილი ქ. თბილისი -- შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის სტრატეგიისა და მისი განხორციელების 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

4. О. В. Заяц . Занятость населения и ее Регулирование. 2003

5. ირაკლი მესხი - უცხოური ინვესტიციები და შრომის ბაზრის ტრანსფორმაცია საქართველოში სადოქტორო დისერტაცია. 2003

6.ინტერნეტრესურსიhttp://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_norm/---normes/documents/publication/wcms_226313.pdf - თამაშის წესები. მოკლე შესავალი შრომის საერთაშორისო ნორმებში შესწორებული რედაქცია 2009

7. ინტერნეტ-რესურსი http://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/12875.pdf შრომითი უფლებების დაცვა, როგორც ევროპული ინტეგრაციის პოლიტიკის ნაწილი – განვითარების პერსპექტივები ასოცირების შეთანხმების, ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმისა და სოციალური ქარტიის ფარგლებში

8. ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2014-2017 წლებისათვის (გადამუშავებული ვარიანტი) თბილისი 2013

სატრანსპორტო ლოგისტიკის ძირითადი გამოწვევები საქართველოში
Основные проблемы транспортной логистики в Грузии

ლალი ოსაძე - ასოცირებული პროფესორი,
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
l.osadze@gmail.com

Лали Осадзе - доцент ГГАУ,
l.osadze@gmail.com

რეზიუმე: ლოგისტიკური სერვისისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ რევოლუციური ცვლილებები გამოიწვია წარმოებისა და დისტრიბუციის პროცესებში, რამაც გლობალური ბაზრის ჩამოყალიბება განაპირობა. მზარდი კონკურენციის პირობებში აუცილებელი გახდა ლოგისტიკური სერვისის პროვაიდერების მიერ მაღალი ხარისხის ლოგისტიკური სერვისის უზრუნველყოფა, რომლის მთავარ ამოცანას პროდუქტის მიწოდება განსაზღვრულ ადგილას, განსაზღვრულ დროს, განსაზღვრულ მდგომარეობაში და განსაზღვრულ ფასად წარმოადგენს.

სატრანსპორტო და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურისა და ლოგისტიკაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვით საქართველოს უჩნდება რეალური შანსი, იქცეს კავკასიისა და ცენტრალური აზიის სავაჭრო-ლოგისტიკურ ჰაბად. ინტერმოდელური ლოგისტიკური სისტემის ჩამოყალიბება და ლოგისტიკური ნოუ-ჰოუს მოზიდვა წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას, რომლის შესრულება იძლევა საშუალებას, საქართველო გახდეს გლობალური ლოგისტიკური ქსელის ნაწილი და მოიზიდოს გლობალური ეკონომიკის უდიდესი ბაზრის მოთამაშეები. საქართველოს უმთავრეს გეოპოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენს ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაცია.

საჭიროა, საქართველოში სატრანსპორტო–ლოგისტიკური დარგის სფეროში ერთიანი სახელმწიფო სტრატეგიის და ერთიანი საკანონმდებლო რეგულირების შემუშავება, რომლის ფარგლებში შესაძლებელი იქნება მთლიანი სატრანსპორტო-ლოგისტიკური სისტემის უფრო ქმედითად წარმოჩენა.

საკვანძო სიტყვები: სატრანსპორტო ლოგისტიკა, გლობალური ბაზარი, კონკურენცია, ლოგისტიკური სისტემა

Резюме: Быстрое развитие логистических услуг и информационных технологий привело к революционным изменениям в процессах производства и распределения, которые сформировали глобальный рынок. В условиях растущей конкуренции возникла необходимость в предоставлении логистических услуг высокого качества поставщикам логистических услуг, основной задачей которых является доставка продукта в нужное место, в нужное время, в нужном состоянии и по разумной цене.

С внедрением новых технологий в транспортно-логистической инфраструктуре и логистике у Грузии появился реальный шанс стать торгово-логистическим центром на Кавказе и в Центральной Азии. Создание интермодальной логистической системы и привлечение ноу-хау в области логистики является одной из ключевых задач Грузии, которая позволяет Грузии стать частью глобальной логистической сети и привлечь крупнейших игроков рынка в мировой экономике. Основная геополитическая задача Грузии - интеграция в европейские структуры.

Необходимо разработать единую государственную стратегию и единое законодательное регулирование в области транспортно-логистической деятельности в Грузии, что позволит более эффективно представить всю транспортно-логистическую систему.

Ключевые слова: транспортная логистика, мировой рынок, конкуренция, логистическая система

საქართველო მდებარეობს მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან და რთულ გეოპოლიტიკურ რეგიონში, დიდი აბრეშუმის გზის საკვანძო ადგილზე, რომელიც ისტორიულად უდიდეს როლს თამაშობდა ევროპისა და აზიის განვითარებასა და ურთიერთობებში. მას შემდეგ, რაც საქართველომ თავი დააღწია საბჭოთა კავშირის გეოპოლიტიკურ ტყვეობას, ქვეყანა საკუთარი გეოგრაფიული სივრცის, ისტორიული წარსულის, პოლიტიკური მნიშვნელობისა და ეკონომიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, გახდა ახალი გეოეკონომიკური ცენტრი ევროპასა და აზიას შორის, რუსეთსა და ახლო აღმოსავლეთს შორის. შესაბამისად,

საქართველოს, როგორც ახალი გეოეკონომიკური მიზიდულობის ცენტრის მიმართ გაჩნდა მზარდი ინტერესი, როგორც რეგიონულ, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. ქვეყნის უმთავრეს გეოპოლიტიკურ ამოცანას ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაცია წარმოადგენს. ამდენად, გეოპოლიტიკური სტრატეგია მკაფიოდ არის დეკლარირებული, ხოლო მსოფლიო ეკონომიკაში საკუთარი ნიშის დამკვიდრებისათვის კი უაღრესად მნიშვნელოვანია სწორად ჩამოყალიბებული გეოეკონომიკური სტრატეგიის ფორმირება და მისი იმპლემენტაცია, რეგიონის ლოკალურ და საერთაშორისო მოკავშირეებთან შესაბამისი თანამშრომლობით. ამდენად, საქართველოს გეოეკონომიკურ პოზიციონირებაზე გავლენას ახდენენ: შიდა რეგიონული დონის მოთამაშეები (სომხეთი, აზერბაიჯანი); გარე რეგიონული დონის შემთხვევაში - რუსეთი, თურქეთი, ირანი, შუაზიური ქვეყნები და ისეთი საერთაშორისო დონის მოთამაშეები, როგორებიც არიან ევროკავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები და ჩინეთი. [1]

ევროპის ლოგისტიკის ასოციაციის (ელა) განმარტებით, ლოგისტიკა(ფართო გაგებით) არის, მატერიალური და მისი შესაბამისი ნაკადების მოძრაობის პროცესის დაგეგმვა, შესრულება და კონტროლი შესყიდვის მომენტიდან -წარმოების და საქონელმოძრაობის ჩათვლით - საბოლოო მომხმარებლამდე, ბაზრის მოთხოვნების უკეთესად დაკმაყოფილების მიზნით, მინიმალური დანახარჯებითა და საშუალებების რაციონალური გამოყენებით[2.გვ.5]. ლოგისტიკა გლობალური ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ლოგისტიკის ბაზრის მოცულობა ევრო კავშირში 900 მლრდ. ევროს აღემატება, მისი საშუალო წლიური ზრდა 5 პროცენტზე მეტია, აღმოსავლეთ ევროპაში ეს მაჩვენებელი 15 პროცენტს შეადგენს, რაც 3-4 ჯერ მეტია მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდაზე. ლოგისტიკური სერვისისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ რევოლუციური ცვლილებები გამოიწვია წარმოებისა

და დისტრიბუციის პროცესებში, რამაც გლობალური ბაზრის ჩამოყალიბება განაპირობა. მზარდი კონკურენციის პირობებში აუცილებელი გახდა ლოგისტიკური სერვისის პროვაიდერების მიერ მაღალი ხარისხის ლოგისტიკური სერვისის უზრუნველყოფა, რომლის მთავარ ამოცანას პროდუქტის მიწოდება განსაზღვრულ ადგილას, განსაზღვრულ დროს, განსაზღვრულ მდგომარეობაში და განსაზრვრულ ფასად წარმოადგენს. ის ქვეყნები, რომლებიც ქმნიან ხელსაყრელ პირობებსა და ეფექტურ სატრანსპორტო-ლოგისტიკურ ინფრაქტრუქტურას, ახერხებენ მოიზიდონ კომპანიები, რომლებიც გლობალური ეკონომიკის ნაწილს წარმოადგენენ. გლობალიზაციის პროცესში აღნიშნული კომპანიები ღებულობენ სტრატეგიულ გადაწყვეტილებას, თუ სად განალაგონ მათი საწარმოები, სად გაასაღონ წარმოებული პროდუქცია და როგორ და რა პირობებში მოახდინონ მათი ტრანსპორტირება მსოფლიო ბაზარზე. ამ გადაწყვეტილებაზე სხვადასხვა ფაქტორი ახდენს გავლენას, მათ შორის, ლოგისტიკური სერვისის ხარისხი და მისი დანახარჯი. ამისთვის აუცილებელია მზა პროდუქციის სწრაფი, უსაფრთხო და იაფი ტრანსპორტირება საბოლოო მომხმარებლამდე.

ლოგისტიკა საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. მისი წილი ქვეყნის მშპ-ს 12 პროცენტს შეადგენს. ლოგისტიკის სექტორის განვითარება განაპირობებს საქართველოს ინტეგრაციას გლობალურ ლოგისტიკურ ქსელში და მის ეფექტურ დაკავშირებას მსოფლიოს წამყვან ბაზრებთან. ლოგისტიკა რეგიონებისა და კომპანიების კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს მათ გლობალურ ბაზარზე წარმატებულ პოზიციონირებაზე. განვითარებული ლოგისტიკა განაპირობებს მაღალი ხარისხის სერვისს, იაფ და ეფექტურ მიწოდების ქსელს, რაც კონკურენტუნარიანობის ამაღლების აუცილებელი პირობაა, როგორც მთლიანად საქართველოსთვის, ასევე ქვეყანაში მოქმედი წარმოებებისთვის.

საქართველოს გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, გააჩნია რეალური შანსი გაატაროს და გადაამუშაოს დამატებითი ტვირთების ნაკადი, რაც განაპირობებს შემოსავლების ზრდას და გაუმჯობესებულ პირობებს წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებისთვის. ლოგისტიკის განვითარება საქართველოში წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის აღორძინების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. სატრანსპორტო და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურისა და ლოგისტიკაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვით საქართველოს უჩნდება რეალური შანსი, იქცეს კავკასიისა და ცენტრალური აზიის სავაჭრო-ლოგისტიკურ ჰაბად. ინტერმოდელური ლოგისტიკური სისტემის ჩამოყალიბება და ლოგისტიკური ნოუ-ჰოუს მოზიდვა წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას, რომლის შესრულება იძლევა საშუალებას, საქართველო გახდეს გლობალური ლოგისტიკური ქსელის ნაწილი და მოიზიდოს გლობალური ეკონომიკის უდიდესი ბაზრის მოთამაშეები.

ლოგისტიკური ინფრაქტრუქტურის განვითარება - უმნიშვნელოვანესია საქართველოს ყველაზე პერსპექტიული დარგების აღორძინებისთვის, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, წარმოება, ვაჭრობა და ტურიზმი. მაგალითად, საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქტის დაახლოებით 50 პროცენტი ლპობას განიცდის, რაც განპირობებულია შესაბამისი სასაწყობო ინფრასტრუქტურის არარსებობითა და ამ მიმართულებით ტექნოლოგიური ჩამორჩენით. თანამედროვე სოფლის მეურნეობის მიწოდების ჯაჭვის ფასწარმოქმნის 70-80 პროცენტს ლოგისტიკა წარმოადგენს. მისი ეფექტური მართვაა სწორედ სოფლის მეურნეობის პროდუქტის ერთ-ერთი უმთავრესი ხარისხის განმსაზღვრელი ნიშანი საერთაშორისო ბაზარზე. გარდა სოფლის მეურნეობისა, ლოგისტიკა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებისთვის ჩვენს ქვეყანაში. ლოგისტიკური პროცესების გაუმჯობესება ამ დარგში

მოღვაწე კომპანიებისთვის წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ პირობას მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და საერთაშორისო ბაზარზე დამკვიდრებისთვის.[3]

1993 წელს ქ. ბრიუსელში ევროკომისიის მიერ მოწვეულ კონფერენციაზე მიღებულ იქნა დეკლარაცია, რომლის საფუძველზეც სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნებისთვის შემუშავებულ იქნა რეგიონული პროგრამა - TRACECA - და მის უმთავრეს მიზნად ტრანსპორტის ტრადიციული სახეობების - რკინიგზის, საავტომობილო გზების, საზღვაო პორტების, ტერმინალების მშენებლობა, რეკონსტრუქცია, მოდერნიზაცია და ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის ევროპულ დერეფანთან მიერთება განისაზღვრა. TRACECA-ს პროგრამამ მალე შეიძინა დინამიზმი და მასთან ერთად, საერთაშორისო აღიარებაც.

ევროპისა და აზიის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთკავშირში უმნიშვნელოვანესი როლი უკავია ყველა იმ სატრანზიტო მარშრუტს, რომელიც უზრუნველყოფს ტვირთნაკადების გადაზიდვას, როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო და შერეული ფორმით. მსოფლიო ტვირთნაკადების 50%-ზე მეტი მოდის დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის შესრულებულ ტვირთზიდვაზე. TRACECA (Transport Corridor Europe-Caucasus-Asia) - ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი, რომელიც გადის ევროპიდან შავი და კასპიის ზღვების გავლით ცენტრალური აზიის ქვეყნებამდე. პროექტის მონაწილე 13 ქვეყანაა: აზერბაიჯანი, ბულგარეთი, თურქეთი, თურქმენეთი, მოლდოვა, რუმინეთი, საქართველო, სომხეთი, ტაჯიკეთი, უკრაინა, უზბეკეთი, ყაზახეთი და ყირგიზეთი.

უკანასკნელ პერიოდში ე.წ. ''ახალი აბრეშუმის გზის'' სატრანზიტო დერეფანში ტვირთნაკადები მნიშვნელოვანად გააქტიურდა, ჯერ კიდევ სრულად არ არის ათვისებული აღნიშნული დერეფნის პოტენციური შესაძლებლობები. აღნიშნული პოტენციალის სრულფასოვანი რეალიზაცია მჭიდრო კავშირშია იმ ინსტიტუციური,

სტრუქტურული და სტრატეგიული გამოწვევების ეფექტიან გადაჭრასთან, რომელთა მოუგვარებლობის გამო, ''ახალი აბრეშუმის გზის'' სატრანზიტო დერეფანი ნაკლებად კონკურენტუნარიანია ალტერნატიულ დერეფნებთან შედარებით. ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის შესაბამისად, საქართველოს აქვს შესაძლებლობა ნახსენებ სატრანზიტო დერეფანში შეასრულოს საკვანძო ფუნქცია, მოახდინოს საკუთარი სატრანსპორტო-ლოგისტიკური სისტემის სიღრმისეული ინტეგრაცია საერთაშორისო ლოგისტიკურ სისტემებში და ამით ხელი შეუწყოს ქვეყნის საერთო ეკონომიკურ განვითარებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - „საქართველო 2020“ - განსაზღვრავს სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების მიზნით განსახორციელებელი პოლიტიკის შემდეგ მიმართულებებს:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სრულყოფა და ლოგისტიკური ცენტრების განვითარება;
- ინვესტიციების ხელშეწყობა ენერგეტიკის, ტრანსპორტის და ლოგისტიკის სფეროში, სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის გაძლიერება;
- კონკურენტული გარემოს ფორმირება და ინფორმაციული სისტემების განვითარება;
- საერთაშორისო და რეგიონულ სატრანსპორტო სისტემებში ინტეგრაცია.

აღსანიშნავია, რომ “აბრეშუმის გზა”-მ ხელი შეუწყო აღმოსავლეთ-დასავლეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ დაახლოებას. თანამედროვე ეტაპზე, გლობალიზაციის პირობებში, დამოუკიდებელი საქართველოს გეოეკონომიკური როლი, როგორც დასავლეთისა და აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის მნიშვნელოვანი დამაკავშირებელი სატრანზიტო არტერიისა, კიდევ უფრო აქტუალური ხდება და ისეთი დიდი ქვეყნების გეოეკონომიკურ ინტერესებში ჯდება, როგორებიცაა: აშშ,

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები, რუსეთი, თურქეთი, ირანი და ჩინეთი. ეს სატრანზიტო არტერია მნიშვნელოვანია, ასევე, სომხეთის, აზერბაიჯანისა და შუა აზიის ქვეყნების ეკონომიკური ინტერესებისთვისაც. ამდენად, საკუთარმა გეოეკონომიკურმა პოზიციონირებამ საქართველო გლობალურ ინტერესთა სფეროში მოაქცია. განვითარებულმა სახელმწიფოებმა აქტიურად დაიწყეს თანამშრომლობა საქართველოსთან თავიანთი უპირატესი გეოეკონომიკური მნიშვნელობის მაქსიმალური რეალიზაციის მიზნით.

თანამედროვე ეტაპზე აზიის წყნარი ოკეანის სანაპიროზე განლაგებული ქვეყნები დასავლეთ ევროპის ატლანტიკის ოკეანისპირა განვითარებულ სახელმწიფოებს უკავშირდებიან ხუთი არსებული საერთაშორისო სატრანზიტო დერეფნით: 1. ჩრდილოეთის საზღვაო დერეფანი; 2. სამხრეთის საზღვაო დერეფანი; 3. ტრანსციმბირული სარკინიგზო სატრანზიტო დერეფანი; 4. სამხრეთის სახმელეთო სატრანსპორტო დერეფანი; 5. აბრეშუმის გზის ანუ TRANCECA-ს მულტიმოდალური ანუ შერეული ტიპის სატრანზიტო დერეფანი.[4]

საქართველოს სატრანსპორტო-ლოგისტიკური სექტორი მოიცავს საზღვაო, სარკინიგზო, საგზაო-საავტომობილო და საჰაერო სისტემებს, რომლებსაც შესაბამისი დატვირთვა გააჩნიათ საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის პოტენციალის წარმოჩენაში. საქართველოს სატრანზიტო დერეფნის ფუნქციის გაძლიერებისთვის გეოეკონომიკურად სტრატეგიული მნიშვნელობის გადაწყვეტილება იქნა მიღებული, როცა, ორი მსხვილი რეგიონული ნავთობსადენის - ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი და ბაქო–სუფსის, და ასევე - სამხრეთ კავკასიური გაზსადენის ბაქო–თბილისი–ერზრუმის (შაჰ-დენიზი) პროექტების განხორციელება გადაწყდა. სამივე ობიექტი მნიშვნელოვანია არა მარტო საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის გაზრდის მიზნით, არამედ რეგიონული ინტეგრაციის გაუმჯობესების

თვალსაზრისითაც. საქართველო-აზერბაიჯანი-თურქეთის გრძელვადიანი სტრატეგიული თანამშრომლობის მთავარი ამოცანა ენერგეტიკული დერეფნის განვითარებაში მდგომარეობს. საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი 3 საერთაშორისო მნიშვნელობის მილსადენის გარდა, რომლის საშუალებითაც ენერგომატარებლები შუა აზიიდან ევროპას უკავშირდებიან, კიდევ არსებობს ჩრდილოეთ-სამხრეთის გაზის მაგისტრალური მილსადენი, რომლის საშუალებითაც ბუნებრივი აირი რუსეთიდან საქართველოს და სომხეთს მიეწოდება.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი კასპიისა და ხმელთაშუა ზღვებს შორის ნავთობის ტრანსპორტირების პირველი და უმოკლესი მარშრუტია. მილსადენის სიგრძე 1768 კმ–ია, აქედან აზერბაიჯანზე მოდის 443 კმ, საქართველოზე - 249 კმ და თურქეთზე - 1076 კმ. პროექტი მნიშვნელოვანია არა მარტო საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის გაზრდის თვალსაზრისით, არამედ რეგიონული ინტეგრაციის ხელშეწყობის მხრივაც. ახლო მომავალში იგეგმება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მეშვეობით ყაზახეთის ნავთობის ექსპორტიც, რაც ამ ქვეყნის რეგიონული ინტეგრაციის პროცესებში ჩართვის პირობებს შექმნის.

შავ და კასპიის ზღვებს შორის მდებარე ევრაზიის სატრანსპორტო არტერიის მნიშვნელოვანი ნაწილია საქართველოს რკინიგზა, რომელიც ევროპას ცენტრალურ აზიასთან და შემდგომ ჩინეთთან უმოკლესი გზით აკავშირებს. მისი საექსპლუატაციო სიგრძე 1 575 კილომეტრია. უკანასკნელ პერიოდში კავკასიის დერეფნის გასწვრივ სარკინიგზო მიმოსვლის მოცულობის ზრდის საფუძველი გახდა ტრასეკას ფარგლებში განხორციელებული პროექტების მიერ სარკინიგზო მიმოსვლის უსაფრთხოებისა და ეფექტიანობის ზრდა. ამჟამად, საქართველოს რკინიგზის ყველაზე მომგებიანი მიმართულება სატვირთო გადაზიდვებია და ამ გადაზიდვებით საქართველოს რკინიგზა, კასპიისა და ცენტრალური აზიის რეგიონების ევროპასთან დამაკავშირებელ ალტერნატიულ გზად

განიხილება, რომელიც უკავშირდება ფოთის, ბათუმისა და ყულევის პორტებს, საიდანაც ტვირთები პირდაპირ გადაიზიდება ბულგარეთის, რუმინეთის, უკრაინის, რუსეთისა და თურქეთის პორტებში. [4]

საქართველოსათვის მნიშვნელოვანია ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა, რომლის მშენებლობაც 2017 წელს დაიწყო და 2020 წელს უნდა დასრულებულიყო, მაგრამ დღეისათვის შეჩერებულია. დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს მთავრობის ჩართულობას პორტის განვითარებაში.

საზღვაო ტრანსპორტი - საქართველოს ეკონომიკაში საზღვაო ტრანსპორტს სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ფოთის, ბათუმისა და ყულევის პორტები. მათი მეშვეობით საქართველოზე გამავალი ტრანზიტული ტვირთები გადაიზიდება, ვარნას, კონსტანცას, ნოვოროსისკის, ოდესისა და სტამბულის პორტების მიმართულებით.

ფოთის პორტი საქართველოს პირველი ნავსადგურია. 1889-1905 წლებში ორჯერ მოხდა პორტის ფორმირება და დღეს ის TRACECA-ს უმნიშვნელოვანეს შემაერთებელ რგოლს წარმოადგენს. ამჟამად, ნავსადგური 2650 მეტრის სიგრძისაა და 14 ნავმისადგომს აერთიანებს. ტვირთის ტრანსპორტირებისთვის საჭირო პირობები მორგებულია როგორც მშრალი, ისე თხევადი ტვირთების გადასაზიდად. ფოთის პორტში მშრალი და თხევადი ტვირთების ტვირთბრუნვა შეადგენს დაახლოებით – 600,000 TEU-ს13. არსებული ნავმისადგომის მთლიანი სიგრძე 2,900 მეტრს შეადგენს, სადაც 20-ზე მეტი საპორტო ამწეა განლაგებული. [5]

ბათუმის პორტი, ფოთის ნავსადგურის მსგავსად, ამუშავებს თხევად და მშრალ ტვირთებს. ბათუმის ნავთობტერმინალი ყაზახეთის პირველი სტრატეგიული კაპიტალდაბანდებაა შავ ზღვაზე. ტერმინალი უზრუნველყოფს ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადატვირთვის მომსახურებას ყაზახეთიდან,

აზერბაიჯანიდან, თურქმენეთიდან, საქართველოდან და სხვა ქვეყნებიდან.

ყულევის საზღვაო ტერმინალის გამტარუნარიანობა - წელიწადში 10 მლნ ტონამდე ნავთობპროდუქტის გადატვირთვის საშუალებას იძლევა, აქედან: 3 მლნ ტონა ნავთობის, 3 მლნ ტონა დიზელისა და 4 მილიონი ტონა მაზუთის. სარეზერვუარო პარკის მთლიანი მოცულობა 320 ათასი კუბური მეტრია, 380 ათას ტონამდე გაზრდის პოტენციალით. ნავთობპროდუქტების ჩამოსხმის მწარმოებლურობა საათში 1000-დან 8000-მდე კუბურ მეტრს შეადგენს.

სატრანსპორტო დარგების მიერ გადაზიდული ტვირთების საერთო მოცულობის ტრენდს თუ გადავხედავთ, 2014 წლიდან დღემდე, ტრენდი კლებადია. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად მცირდება გადაზიდვები საზღვაო პორტებსა და ტერმინალებში

საავტომობილო ტრანსპორტი. საქართველოს სატრანსპორტო სისტემის სტრუქტურაში საავტომობილო ტრანსპორტი უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს. თურქეთთან საზღვრის გახსნამ მკვეთრად გაზარდა საავტომობილო ტრანსპორტის საქმიანობის მასშტაბები. შესაბამისად იზრდება საავტომობილო გზებით გადაზიდული ტვირთების მოცულობა და ტვირთბრუნვის მაჩვენებლები. ქვეყნის საავტომობილო გზებით, საშუალოდ ყოველწლიურად თითქმის 17.2 მილიონი ტონა ტვირთის გადაზიდვა ხორციელდება. საქართველოში გადაზიდული ტვირთის მოცულობაში დიდი ხვედრითი წილი, დაახლოებით 59.9%, საავტომობილო გადაზიდვებზე მოდის. 1990 წლის შემდეგ საავტომობილო მაგისტრალებმა თავისი ფუნქცია დაიბრუნეს, თუმცა აღსანიშნავია, რომ მოუვლელობის შედეგად მაგისტრალების უმეტესობა ამორტიზირდა. მას შემდეგ, რაც საქართველომ შეიძინა აზია-ევროპის დამაკავშირებელი დერეფნის სტატუსი, ქვეყნისთვის პრიორიტეტული გახდა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება. საავტომობილო გადაზიდვების გაზრდილმა

მოთხოვნებმა, დღის წესრიგში დააყენა არსებული გზების რეკონსტრუქციის და ზოგ შემთხვევაში ახალი უსაფრთხო მონაკვეთების მშენებლობის აუცილებლობა. საქართველოს ტერიტორიაზე სატრანზიტო ტვირთის გადაადგილებისათვის საერთაშორისო მნიშვნელობის გზის საერთო სიგრძეა 1467 კმ, ხოლო შიდასახელმწიფოებრივი გზის საერთო სიგრძე კი - 3477 კმ-ია.

საჰაერო ტრანსპორტი. საქართველოს, როგორც მაღალი სატრანზიტო სტატუსის მქონე ქვეყნის ფუნქციონირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს ავიაცია, რომელმაც დამოუკიდებლად ფუნქციონირება 1993 წლიდან დაიწყო. საჰაერო ტრანსპორტს საქართველოში(თბილისის საერთაშორისო აეროპორტი, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი, ქუთაისის „კოპიტნარის“ საერთაშორისო აეროპორტი) ყოველდღიურად დაახლოებით 1800-ზე მეტი მგზავრი გადაყავს და დაახლოებით 16,6 ტონამდე ტვირთი გადააქვს. [6]

მნიშვნელოვანია, რომ სატრანსპორტო დერეფანი განვიხილოთ არა მარტო საერთაშორისო ეკონომიკურ და სატრანსპორტო დერეფნებში ინტეგრაციის პოზიციიდან, არამედ პირველ ყოვლისა, როგორც მსოფლიო ლოგისტიკური სისტემის უმნიშვნელოვანესი ელემენტი.

საქართველოში სატრანსპორტო–ლოგისტიკური დარგის ძირითადი გამოწვევებისა და განვითარების პერსპექტივების კვლევა მიუთითებს, ამ სფეროში ერთიანი სახელმწიფო სტრატეგიის და ერთიანი საკანონმდებლო რეგულირების შემუშავების საჭიროებაზე, რომლის ფარგლებში შესაძლებელი იქნება მთლიანი სატრანსპორტო-ლოგისტიკური სისტემის უფრო ქმედითად წარმოჩენა. ამასთან, საქართველოს სატრანსპორტო-ლოგისტიკური პოტენციალის სრულფასოვანი ათვისება უკავშირდება შემდეგი საკითხების ერთიან ფორმატში გაანალიზებას: სახელმწიფო ხელისუფლების ცალკეულ უწყებათა შორის კოორდინაციის ხარისხის ამაღლება; გადამზიდავ ბიზნეს ოპერატორებს შორის კონკურენტული გარემოს

განვითარების ხელშეწყობა; ტვირთზიდვაზე საერთო სატარიფო პოლიტიკის გატარების ხელშეწყობა; საქართველოს საგადასახადო და თავისუფალი ინდუსტრიული ზონების მარეგულირებელ კანონმდებლობაში განსახორციელებელი ცვლილებები; ეკონომიკური დიპლომატიის გააქტიურება; სატრანსპორტო-ლოგიტიკური ინფრასტრუქტურისა და მომსახურების ადმინისტრაციული, ტექნოლოგიური და საინფორმაციო სივრცის გაუმჯობესება.

გამოყენებული წყაროები:

1. http://parliament.ge/ge/ajax/downloadFile/98817/ სატრანსპორტო–ლოჯისტიკური_დარგი_საქართველოში;
2. შ. ვეშაპიძე, ლ. ოსაძე, დ. სეხნიაშვილი, ,,ლოგისტიკა“, ელ. სახელმძღვანელო, თბ.2012;
3. https://www.interpressnews.ge/ka/article/274690-logistikis-roli-kartuli-ekonomikis-ganvitarebashi/;
4. file:///C:/Users/user/Desktop/ სატრანსპორტო ლოჯისტიკური_დარგი_საქართველოში.pdf;
5. http://www.apmterminalspoti.com ფოთის პორტის ადმინისტრაცია /„ეიპიემ ტერმინალს ფოთი“;
6. http://www.economy.ge საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო .

ანტონ ფურცელაძის წერილის „კაპიტალიზმი და კაპიტალური წარმოება“ ისტორიისათვის

For the History of Anton Purtseladze's letter "Capitalism and Capitalist Production"

თამარ გოგოლაძე - ფილ. მეცნ. დოქტორი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
t.gogoladze@yahoo.com

Tamar Gogoladze - Phil. MSc. Doctor
Gori State University
t.gogoladze@yahoo.com

რეზიუმე: XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართველი სამოციანელების სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა აღინიშნა მათი, როგორც ქვეყნის ინტერესებისათვის, მისი ხალხის ყოფის გაუმჯობესებისათვის მებრძოლი ადამიანების გამოჩენით, რომლებიც ყველა საჭირო საქმეში გამოდიოდნენ და არა მარტო სიტყვით, საქმითაც ხელს უწყობდნენ მას 80-იან წლებში. ასევე რეალისტური მიმართულების მწერლობა, რომელიც ხალხოსნობის სახელით გამოვიდა, აშკარად განიცდის იდეოლოგიაში რუსული ნაროდნიკობის გავლენას, მაგრამ, მათგან განსხვავებით, ცნობს კაპიტალიზმის ძალას და ამას ზოგიერთ თავის პუბლიცისტურ წერილებში უსვამს ხაზს. ერთი ასეთი მწერალ-პუბლიცისტი, რომელიც, ხშირად ეხება რა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საკითხებს, გაზეთ „ივერიაში“ 1895 წელს აქვეყნებს წერილს „კაპიტალიზმი და კაპიტალური წარმოება“. წერილი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მასში გამოკვეთილია კაპიტალიზმის ამისი, მისი აღიარება ევროპისა და ამერიკის სახელმწიფოებში, უპირატესობა და სარგებლიანობა ჩვენი ქვეყნისათვის, რომელშიც გლეხობის ძირითადი ფენა უმიწოდ დარჩა და ფაბრიკა-ქარხანას მიაშურა, წერილი მნიშვნელოვანია ქართველი პუბლიცისტის, მამულიშვილის, მწერლის თვალით საღად აღქმული კაპიტალისტური წარმოების თვალსაჩინოდ წარმოჩენის კუთხით.

საკვანძო საკითხები: ქართველი ხალხოსნები, ანტონ ფურცელაძე, კაპიტალიზმი, სარგებლიანობა.

Resume: The second half of the nineteenth century, was remarkable by appearing the Georgian “Sixties” in the writing field of activity. They were struggling for the interests of the country, for improving people’s living conditions by their speeches and by their activities as well. In the 80s the type of realistic writing, which came out in the name of populism, was clearly affected by Russian “Narodnik” ideology, but in deference of it, it recognizes the power of capitalism and highlights it in some of its publications. One such writer-publicist who, often deals with the country's economic development issues, in 1895 published a letter "Capitalism and Capitalist Production" in the newspaper “Iveria”. The letter is important as it outlined the main point of capitalism, its recognition by European and American states, the advantages and benefits for our country, where the core layer of peasantry remained without plots and went for work to factories. The letter is important as it presents the sound reality of capitalist production seen by a Georgian patriot and publicist and patriot.

Key Issues: Georgian pupulists, Anton Purtseladze, Capitalism, Benefits.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ეკონომიკის საკითხები არაერთგზის გამხდარა ისტორიკოსთა თუ მეცნიერ-ეკონომისტთა შესწავლის საგანი, თუმცა აღნიშნული ეპოქის ქართული ინტელიგენცია, მოაზროვნენი, მწერლები არასოდეს იფარგლებოდნენ მხოლოდ ლიტერატურული ტექსტებით. პუბლიცისტიკა ამის თვალსაჩინო დადასტურებაა, მით უმეტეს, რომ იმდროინდელი პრესა („ივერია“, „დროება“, „გუთნისდედა“ და სხვ.) სწორედ ქართული ეკონომიკის საკითხებს ეხება აქტუალურად. და, როგორც ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა, „ჩვენი შიდა-ცხოვრების ისტორია ჯერ ფარდა-აუხდელია და უცნობი ჩვენგან.... უეჭველია, ჩვენი უწინდელი ეკონომიკური წყობა ისეთი ყოფილა, რომ ხალხს იქიდამ ჰქონია ის ქონებითი ძალ-ღონე, რომლითაც იგი გასძღოლია ამოდენა ვაი-ვაგლახსა და ომებსა ამდენა ხნის განმავლობაში. აი, საგანი ღირს შესანიშნავი და მეტად საინტერესოა გამოსაკვლევად. ეს საგანი რომ თვალწინა ჰქონდეს ჩვენს ეხლანდელს მეისტორიეს, ამ

საგანზედ რომ უეჭველი პასუხი მოგვცეს ვინმემ, ბევრს ნათელს მოჰფენდა აწმყოსა და მომავალსაც გზას გაუნათებდა“ - ეს სიტყვები ეპიგრაფად აქვს წანამძღვრებული პაატა გუგუშვილის წიგნსაც „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX ს.ს.“ და სწორედ ილია იყო იურისტიც, ფინანსისტიც, ქართული სათავადაზნაურო ბანკის დამაარსებელი, მწერალი და პუბლიცისტი. ამ გზას აგრძელებდნენ აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, ივანე მაჩაბელი და სხვ. ისინი ხან ეხმარებოდნენ გლეხობას იურიდიული საკითხების მოგვარებში, ხან ბანკში თანამშრომლობდნენ. ამიტომ არანაკლებ მნიშვნელოვანია იმ ხალხოსნური მიმართულების მწერლის, ანტონ ფურცელაძის (1839-1913), წვლილიც, რომელიც ერთ პერიოდში, კერძოდ XIX საუკუნის 80-იან წლებში, გადადის რა „საადგილმამულო ბანკში, სადაც მუშაობს ჯერ დამფასებლის თანამდებობაზე, ხოლო ილია ჭავჭავაძის ბანკიდან წასვლის შემდეგ, ბანკის დირექტორად“ (მ. ზანდუკელი, III, 1978:264). აქ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორიც წამოიჭრება, რაც ხალხოსნური იდეოლოგიის ერთი შემადგენელი ნაწილთაგანია: თუ რუსი ნაროდნიკები, რომელთა ნააზრევითაც ნასაზრდოებია ქართული ხალხოსნობა, უარყოფითად უყურებენ კაპიტალიზმს (რამდენადაც მან წარმოშვა პროლეტარიზაცია, რაც შედეგად მოჰყვა საგლეხო რეფორმას) და თემობრივი წესწყობილებისაკენ აპყრობდნენ მზერას, ქართულ ხალხოსნობას არ ეტყობა ასეთი მტრული დამოკიდებულება, ერთგვარად ურიგდება კაპიტალიზმის ძალას, როგორც ხალხოსნური ორგანოს „იმედის“ თანამშრომელი დავით აბდუშელიშვლი წერდა, „დღეს ყველა თვალხილულისათვის ცხადია, რომ მეცნიერებით დაიარაღებული კაპიტალი, რომელმაც ხალხს ხელიდან გამოაცალა მიწა და ხელ-ფეხის მეტი არა დაუგდო რა, დღეს თუ ხვალ ჩვენც გვესტუმრება, და აბა რას გვირჩევს ჩვენი ლიტერატურა? ხმასაც არ იღებს, ყურსაც არ ანძრევს....“ (დ. აბდუშელიშვილი, „იმედი“, 1881, #1:105). „აშკარაა, არა მარტო დ. აბდუშელიშვილი, არამედ მთელ ის ჯგუფი ხალხოსნებისა, რომელიც

„იმედის“ გარშემო მუშაობდა, იღებს კაპიტალიზაციის პროცესს, როგორც ფაქტს და ცდილობს ალღო აუღოს ცხოვრების ახალ მიმდინარეობას, თუმცა, რა თქმა უნდა, სათანადოდ ვერ აფასებს კაპიტალიზმის ისტორიულ მნიშვნელობას“. (მ. ზანდუკელი, III, 1978:29). და აი, ასეთ დროს გაზეთ „ივერიაში“, 1895 წ. #277, ქვეყნდება ანტონ ფურცელაძის წერილი „კაპიტალიზმი და კაპიტალური წარმოება“ (რომელსაც ქვემოთ ახლავს რედაქტორის მინიშნება: „რედაქციას აქვს აზრათ კიდევ დაბრუნდეს ამ საკითხსა“). წერილი დროულია, ჯერ ერთი, რომ იგი ერთგვარად ეპასუხება დ. აბდუშელიშვილის ბრალდებას, რომ ლიტერატურა არაფერს წერს კაპიტალიზმზე და, მეორეც ეს არის მწერლის მიერ ევროპის სხვადასხვა ქვეყნის მაგალითების მოშველიებით კაპიტალიზმის არსის, ბუნების წვდომა და მისი განვითარების პერსპექტივების ჩვენება ქართული სინამდვილისათვის. აღნიშნულ საკითხზე ზოგადად მსჯელობს ”ა. ფურცელაძის პუბლიცისტური წერილების“ ავტორი მზიური ჩხიკვაძე წინასიტყვაობაში, სხვაგან აღნიშნულ საკითხზე მსჯელობას ვერ მივაკვლიეთ, რაც გამოწვეული უნდა იყოს იმითაც, რომ სწორედ მ. ჩხიკვაძის მიერ იქნა შეკრებილი და გამოსაცემად გამზადებული სხვადასხვა პრესის ორგანოებში გაფანტული ანტონ ფურცელაძის პუბლიცისტიკა და ამდენად ხელსაწვდომი გახადა ფართო საზოგადოებრიობისათვის.

ვიდრე უშუალოდ წერილის მიმოხილვაზე გადავიდოდეთ, აუცილებელია მიმოვიხილოთ ეპოქა, რომელიც ქმნის ნოყიერ ნიადაგს ახალი ცხოვრების წესის განვითარებისათვის.

ბატონყმობის გაუქმებას მოჰყვა ის მნიშვნელოვანი ძვრები, რისი გამოხატულებაცაა უმიწაწყალოდ დარჩენილი გლეხობის პროლეტარიატის რიგებში გადასვლა. როგორც გაზეთი „კვალი“ იუწყებოდა: „მწარე ბედმა... გლეხს მიატოვებინა ცოლ-შვილი, მოხუცი დედ-მამა და ბათუმის ქარხნების ალაყაფის კარებთან ამოაყოფინა თავი. აქ მას სხვა ათასიც დაუხვდა და, თუ სამუშაო რამ გამოჩნდა, ამუშავებენ იმას, ვინც ყველაზე ნაკლებ შრომის

სასყიდელს მოითხოვს“ („კვალი“, 1898, #28), ფაბრიკა-ქარხნების რიცხვი 90-იანი წლებისათვის 3899-მდე იზრდება, მუშათა რიცხვი კი - 11 300 -მდე. „ყოველივე ამან საქართველოს ფეოდალური ყოფა არსებითად შეცვალა და კაპიტალისტური განვითარების რელსებზე შეაყენა“ (ს. ჭილაია, IV,(982;8).

ასეთ პირობებში იქმნება ანტონ ფურცელაძის წერილიც, რომელიც 4 თავისაგან შედგება და პირდაპირ იწყება რიტორიკული კითხვით: „არის ჩვენში კაპიტალიზმი და კაპიტალური წარმოება თუ არა?“ სავნოა თუ სასარგებლო ჩვენთვის კაპიტალიზმი და კაპიტალური წარმოება?“ (ა. ფურცელაძე, 2000:526).

I თავში ა. ფურცელაძე ყველაფერს ვრცელი მიმოხილვით იწყებს, რომელშიც ასაბუთებს, რომ უძველესი დროიდან, კერძოდ ტექნიკის განვითარებიდან, იწყებაო კაპიტალიზმი: „მაშასადამე, კაპიტალიზმი და კაპიტალური წარმოებანი სრულად არ არიან ახალი საქმენი, არც არიან ნაყოფიანი ახალი ერასი, ისინი იყვნენ მას აქეთ, რაც კაცობრიობას ახსოვს თავი და იქნებიან, მანამ არ ჩავა კაცობრიობა საფლავს“ (ა. ფურცელაძე, 2000:528). აქ მარტო საკითხის ჩაღრმავება არაა, პირდაპირი დირექტივა, რომ კაპიტალიზმი იყო და იქნება. ამით ა. ფურცელაძე აჩვენებს მკითხველს, რომ მისი ხელაღებით უარყოფა არ შეიძლება.

II თავში კი დასაბუთებაა იმისა, რა სარგებლობა მოაქვს კაპიტალიზმს ქვეყნისათვის. როგორც დღესო გვიჩვენებს დაწინაურებული ნაწილი კაცობრიობისა: „გადადით ინგლისიდამ საფრანგეთში. ნუთუ იქ რომ კაპიტალიზმი და კაპიტალისტური წარმოება არა ყოფილიყო, ვნახავდით იმ სასწაულებს კაცის გონების ნაყოფისას, რასაც ტეხნიკა და მეცნიერება სჩადის საფრანგეთში კაცობრიობის სასარგებლოდ“ (ა. ფურცელაძე, 2000:530).

მესამე თავში ა. ფურცელაძე ცდილობს წარმოაჩინოს, რამდენად სავნოა ან სასარგებლო საქართველოსათვის კაპიტალიზმი, ანუ საჭიროა იგი თუ არა საქართველოსათვის. აქ ა. ფურცელაძე სიმბოლურად ადარებს ხალხს, რომელთანაც არ არის

გაძლიერებული კაპიტალიზმი, უიარაღო მეომარს, რომელსაც თავს დასხმია თავით ფეხებამდე შეიარაღებული მებრძოლი.

ა. ფურცელაძე ილაშქრებს იმათ წინააღმდეგ (აქ ალბათ, უნდა ვიგულისხმოთ ის ხალხოსნები, რომლებიც უარყოფდნენ კაპიტალიზმს) და გადაჭრით აცხადებს, რომ ადრეც უსაუბრია ამ საკითხებზე წერილებში „კაცობრიობა და ეროვნება“, რომლებიც „ივერიაში“ იყო დაბეჭდილი. აშკარაა, „ივერია“ და მისი რედაქტორი ილია ჭავჭავაძეც ხელს უწყობდნენ ანტონის წერილების პუბლიკაციას კაცობრიობის ცხოვრების სრულყოფის გზებზე.

ა. ფურცელაძე აცხადებს, რომ ორი გარემოების გამოა საჭირო კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში: „პირველი მიტომ, რომ ჩვენს ქონებას ჩვენვე მოვუხმოთ, ჩვენვე ვისარგებლოთ ამით, მეორე მიტომ, რომ უცხო ტომთ, უცხო კაპიტალმა და კაპიტალისტთ არ ჩაგვიგდონ ხელში და ჩვენს ქონებაზედ ისინი არ გახდნენ პირველნი“. (ა. ფურცელაძე, 2000:533)

მაგრამ რას უშვებით ბრალდებას, რომ კაპიტალიზმი წყაროა პროლეტარიატის წარმოშობისა, უმამულობისა, სიღატაკისა?

ანტონ ფურცელაძე აქ ცდილობს ამის მიზეზები თავად დიდი მამულის მეპატრონეობაში უნდა გამოძებნოს, რომლებიც ჭამენ თავიანთ ქონებას და ამით იძულებულს ხდიან პროლეტარად იქცეს გლეხი, რამდენადაც იმის გამო, რომ ან მამული აქვს მცირე, ან შემოსავალი, და ამდენად, რამდენადაც სწორად კაპიტალიზმი და კაპიტალისტური წარმოება სასარგებლოა ეკონომიკურად დაცემული ქვეყნისათვის. თავად ქარხანაში ან ფაბრიკაში გაცნობიერებული გლეხი ხედავს ტექნიკის ძალას და ხვდება, რომ შრომას აქვს ძალა, ხდება გაბედული, ეძლევა სიმხნევე, ხვდება, როგორ იშოვოს შრომითი საზრდო, მისცეს შვილს სწავლა, აქციოს ის კაცად, ეხსნება ხალხს გონი. ასეთ დროსო- ასაბუთებს ა. ფურცელაძე, „ის ფული, რაც ამ ფაბრიკებსა და ამგვარი საქმეების პატრნს უცხოეთში უნდა ჩაეყარა, რჩება საქართველოშივე“. ეს კი საჭიროა, „თუ გვინდა ვიხსნათ ჩვენი თავი ჩვენი უძლიერდება ჩვენი გაჭირვებიდამ და არ

გავხდეთ მსხვერპლი ჩვენი უმეცრებისა და სიღარიბისა“ (ა. ფურცელაძე, 2000:536).

IV თავში, ანტონ ფურცელაძე საუბრობს იმაზე, რამაც გამოიწვია კონკურენცია და აქ საჭიროა ბრძოლა, მაგრამ არა კაპიტალსა და შრომას შორის, არამედ მშრომელთა და კაპიტალთა მეპატრონეს შორის. აქ ავტორი თითქმის რევოლუციურ აზრს ატარებს, თუმცა ეს გასაკვირი არაა აღნიშნულ ეპოქაში. და ისე ამთავრებს თავის წერილს, რომ სახელმწიფომ უნდა შეუწყოს ხელი „დაარდგინოს მშრომელთა სამფარველო კანონები“, აშკარაა, ა. ფურცელაძე აქ პროფკავშირებს გულისხმობს.

ა. ფურცელაძის ზემოდასახელებელი წერილი ხელს უწყობს მკითხველის გაცნობიერებას და მარტივად, მაგრამ მეცნიერულად გამართული ენით ასაბუთებს კაპიტალიზმის განვითარების აუცილებლობას საქართველოში. ამაშია მისი, არა მარტო როგორც მწერლისა, არამედ ეკონომიკურ საკითხებში განსწავლული პიროვნების, დამსახურებაც, რაც შემდგომი კვლევის აუცილებლობას ბადებს ეკონომიკური მეცნიერების ისტორიით დაინტერესებული მკვლევარებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფურცელაძე ა., „პუბლიცისტური წერილები“, თბილისი, 2000;
2. გუგუშვილი პ., „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX ს., ტ. II, სახელგამი, თბილისი, 1956;
3. ზანდუკელი მ., თხზულებანი, III, თსუ, 1978;
4. ჭილაია ს., „სოციალურ-პოლიტიკური ვითარება და მწერლობა, კრებულში „ქართული ლიტერატურის ისტორია“, V, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1982.

ელექტრონული მმართველობის გამოყენება სახელმწიფო მმართველობის სისტემაში

Применение электронного правительство в системе государственного управления

თინათინ მშვიდობაძე - ასოცირებული პროფესორი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
tinikomshvidobadze@gmail.com

Тинатин Мшвидобадзе - Ассоцированный профессор
Горийский государственный учебный университет
tinikomshvidobadze@gmail.com

რეზიუმე: სტატიაში მოცემულია ელექტრონული მმართველობის განვითარების ძირითადი ტენდენციების ანალიზი 2018 წლის მონაცემების მიხედვით, ელექტრონული მმართველობის განვითარების ინდექსის საფუძველზე (შემდგომში EGDI).
ნაჩვენებია "გაეროს კვლევა: ელექტრონული მმართველობა 2018", ზოგადი თემით "ელექტრონული მმართველობის გამოყენება მდგრადი და მოქნილი საზოგადოების გასამყარებლად", რომელიც გამოქვეყნებულია, როგორც მისი შესრულების დღის წესრიგი (მესამე წელი) 2030 წლამდე.
ინტერნეტი უზრუნველყოფს ელექტრონული ჩართულობის შესაძლებლობებს, მაგრამ ასევე შეიძლება გამოიწვიოს ციფრული ბარიერი, რომელიც დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში ქსელის განაწილების პრობლემებითაა გამოწვეული. კვლევაში ასევე მითითებულია, რომ ფიჭური და მობილური ფართო არის ქსელებში ინფორმაციის შეგროვების, შენახვის, ანალიზისა და გავრცელების სიმარტივე, აგრეთვე მათი გამოყენების დაფარვა და დაბალი ღირებულება, აუმჯობესებს მოწყვლადი ჯგუფებისთვის ელექტრონული მომსახურების მიწოდებას.
საკვანძო სიტყვები: ელექტრონული მთავრობა, გაერო, ინდექსი, ონლაინ მომსახურება.

Резюме: В статье представлен основанный на данных анализ ключевых тенденций развития электронного правительства в 2018 году на основе Индекса развития электронного правительства (ИРЭП, далее EGDI).
Показано *"Исследование ООН: электронное правительство 2018"* с общей темой "Применение электронногоправительства для формирования устойчивого и гибкого общества", публикуется в качестве реализации Повестки дня до 2030 года (третий год).
Интернет предоставляет возможности для электронного вовлечения, но также может привести к формированию цифрового барьера, вызванного проблемами с доступом к сети в странах с низким доходом. В *Исследовании* также указывается, что простота сбора, хранения, анализа и распространения информации в сетях сотовой и мобильной широкополосной связи, а также охват и снижающаяся стоимость их использования улучшили ситуацию с предоставлением электронных услуг уязвимым группам населения.

Ключевые слова: Электронное правительство, ООН , **и**ндекс, онлайн-обслуживания.

Введение: "Электронное правительство" - это механизм функционирования государственных органов, основанный на широком применении информационных технологий и максимально ориентированный на предоставление услуг гражданам и организациям, в том числе посредством сети Интернет.

Мировой опыт показывает, что внедрение системы электронных государственных услуг воздействует на эффективность государственного сектора по шести категориям:

1.Снижение затрат на обслуживание за счет автоматизации;

2.Экономия благодаря доставке услуг путем самообслуживания;

3.Снижение государственных расходов на закупки;

4.Улучшение управления цепочками поставок;

5.Уменьшение расходов на образование и командировки;

6.Сокращение количества ошибок, случаев мошенничества и злоупотреблений [1].

Таким образом, «электронное правительство» представляет собой современный инструмент совершенствования государственного управления и взаимоотношений государства и общества.

Благодаря внедрению все более совершенных информационных технологий, граждане и бизнес ожидают от государства новых электронных форматов оказания государственных услуг, причем не меньшего качества, чем то, которое они получают в бизнес-секторе. При этом данный процесс воспринимается как необратимый, так как информационные технологии становятся неотъемлемой частью повседневной жизни граждан и нормой функционирования бизнеса. Однако на смену электронному правительству в настоящее время приходят технологии цифрового правительства. При этом даже государства-лидеры в построении электронного правительства (Великобритания, Австралия и Республика Корея) [2] на сегодняшний день не смогли провести полномасштабную цифровизацию правительственных механизмов и перейти к цифровому правительству по умолчанию, подразумевающему цифровой формат обращения граждан и бизнеса за государственными услугами и максимальный уход от бумажного документооборота, производство и оказание услуг на основе информационной инфраструктуры совместного использования, позволяющей многократно использовать во всех административных процессах собранные различными ведомствами данные .

Электронное правительство как платформа устойчивого развития: На саммите ООН(Организация Обьединенных Наций), состоявшемся в Нью-Йорке в сентябре 2015 года, мировые лидеры приняли амбициозную «дорожную карту», которая будет служить руководством для устойчивого развития всех стран в течение следующих 15 лет.

В Повестке дня до 2030 года [3] подчеркиваются стратегические преимущества, предлагаемые технологической революцией: «Распространение информационно-коммуникационных технологий и

развитие глобальных взаимосвязей способны помочь в преодолении цифрового барьера и формировании обществ знаний, а также во внедрении научно-технических инноваций в различных областях, таких как медицина и энергетика».

Представление электронного правительства в качестве платформы для устойчивого и гибкого развития строится непосредственно из подхода, основанного на открытом управлении. Здесь платформа означает открытую среду и экосистему данных с четкими стандартами и руководящими принципами, инструментами и ресурсами. Это может быть платформа с открытым исходным кодом в облаке, предоставляющая государственные услуги, данные и инструменты в качестве строительных блоков для повышения эффективности, чему способствует «Европейский план действий по реализации электронного правительства» (European E-Government Action Plan).

Несмотря на успехи и возможности, связанные с использованием ИКТ в государственном секторе для формирования устойчивых и гибких обществ, существует множество проблем и рисков, которые могут подорвать роль электронного правительства в достижении ЦУР. К ним относятся воздействия на окружающую среду и бедствия, социально-экономические и управленческие риски, а также проблемы, связанные с технологиями. Недостаток базовых услуг может даже стать постоянным. Факторы риска, такие как плохо спланированная и управляемая урбанизация, ухудшение состояния окружающей среды и нищета, часто усугубляют ситуацию, что неблагоприятно воздействует на реализацию Повестки дня до 2030 года.

Развитие устойчивости для предотвращения, смягчения и устранения таких угроз имеет решающее значение. Для этого необходимо принимать меры, в том числе разрабатывать планы действий в чрезвычайных ситуациях, для решения как природных, так и техногенных катастроф.

Рейтинги электронных правительств в 2018 году: В «Повестке дня в области устойчивого развития на период до 2030 года» вводится понятие управления на основе данных и подчёркивается задача «значительного повышения доступности высококачественных, своевременных, надёжных и неагреггированных данных к 2030 году» [4].

Исследование - ООН на тему «Электронное правительство» за 2018 год - направлено на индикативную оценку внедрения электронного правительства в странах по отношению друг к другу на основании рейтингов эффективности. Индекс развития электронного правительства (EGDI) представляет собой средневзвешенное значение усреднённых оценок трёх наиболее важных аспектов электронного правительства: объёма и качества онлайн-обслуживания на основании Индекса онлайн-обслуживания (OSI), состояние развития телекоммуникационной инфраструктуры на основанииИндекса телекоммуникационной инфраструктуры (TII) и оценки человеческого капитала на основании Индекса человеческого капитала (HCI). Каждый из этих индексов представляет собой комбинированный показатель, который может быть извлечён и оценен отдельно. Значение каждого индекса нормируется и попадает в отрезок от 0 до 1, общее значение EGDI определяется в виде среднего арифметического трёх индексов.

За последние 17 лет с момента первой попытки ООН отметить состояние электронного правительства в 2001 году оно быстро развивалось. Исследование 2018 года подчёркивает постоянную положительную глобальную тенденцию к повышению уровня развития электронного правительства. По данным исследования 40 стран получили оценку «очень высокий», с показателями EGDI (ИРЭП) от 0,75 до 1. Для сравнения: в 2003 году таких стран было только 10, а в 2016 году — всего 29. С 2014 года все 193 государства-члена обеспечивают онлайн-присутствие в какой-либо форме[5].

На Рисунке 1 показаны процентные соотношения групп различных по уровню EGDI за 2018 и 2016 годы.



Рисунок 1. Группировка проанализированных стран по Индексу (EGDI) за 2016 и 2018 гг

Страны-лидеры в области развития электронного правительства: В представленном рейтинге за 2018 год важно подчеркнуть, что Индекс развития электронного правительства представляет собой нормированный относительный индекс. EGDI представляет собой мощный и надёжный инструмент для оценки развития, но его нужно использовать в качестве иллюстративного показателя результативности, а не награды за лидирующие позиции или выдающиеся показатели на фоне других стран.

Перечень стран с наивысшими рейтингами в сфере развития электронного правительства по результатам Исследования за 2018 год представлен в Таблице 1 вместе с соответствующими значениями EGDI и его трёх компонентов — OSI, TII и HCI. Все 29 стран-лидеров с очень высокими рейтингами EGDI в 2016 году остались в той же группе в 2018 году.

Восемь из 11 новых стран, перешедших в группу с очень высоким EGDI в 2018 году, являются европейскими (Беларусь, Греция, Лихтенштейн, Мальта, Монако, Польша, Португалия и Российская Федерация), а две азиатскими (Кипр и Казахстан). Уругвай — это единственная латиноамериканская страна и одна из трёх стран из

Америки в данной группе, а двумя другими являются США и Канада. Восемь из этих 11 стран добились значительного роста своего онлайн-присутствия и онлайн-обслуживания, что отражают их соответствующие показатели OSI.

Все, кроме двух, из 40 стран в группе с очень высоким уровнем EGDI являются странами с высоким уровнем дохода [6]. Беларусь и Казахстан относятся к странам со средне-высоким уровнем дохода. Как указано в прошлых изданиях Исследования ООН (2012, 2014 и 2016 гг.), доход на душу населения страны, отражающий состояние экономики, значительно влияет на развитие электронного правительства в стране.

Таблица 1. Страны-лидеры в области развития электронного правительства

Страна	Регион	OSI OSI	HCI HCI	TII ИТИ	EGDI ИРЭП	2016 Рейтинг	2018 Рейтинг	EGDI (ИРЭП) Изменение группы
Дания	Европа	1,0000	0,9472	0,7978	0,9150	9	1	Нет
Австралия	Океания	0,9722	1,0000	0,7436	0,9053	2	2	Нет
Южная Корея	Азия	0,9792	0,8743	0,8496	0,9010	3	3	Нет
Соединённое Королевство Великобритании и Северной Ирландии	Европа	0,9792	0,9200	0,8004	0,8999	1	4	Нет
Швеция	Европа	0,9444	0,9366	0,7835	0,8882	6	5	Нет
Финляндия	Европа	0,9653	0,9509	0,7284	0,8815	5	6	Нет
Сингапур	Азия	0,9861	0,8557	0,8019	0,8812	4	7	Нет
Новая Зеландия	Океания	0,9514	0,9450	0,7455	0,8806	8	8	Нет
Франция	Европа	0,9792	0,8598	0,7979	0,8790	10	9	Нет
Япония	Азия	0,9514	0,8428	0,8406	0,8783	11	10	Нет
США	Америки	0,9861	0,8883	0,7564	0,8769	12	11	Нет
ФРГ	Европа	0,9306	0,9036	0,7952	0,8765	15	12	Нет
Нидерланды	Европа	0,9306	0,9206	0,7758	0,8757	7	13	Нет
Норвегия	Европа	0,9514	0,9025	0,7131	0,8557	18	14	Нет
Швейцария	Европа	0,8472	0,8660	0,8428	0,8520	28	15	Нет
Эстония	Европа	0,9028	0,8818	0,7613	0,8486	13	16	Нет
Испания	Европа	0,9375	0,8885	0,6986	0,8415	17	17	Нет
Люксембург	Европа	0,9236	0,7803	0,7964	0,8334	25	18	Нет
Исландия	Европа	0,7292	0,9365	0,8292	0,8316	27	19	Нет
Австрия	Европа	0,8681	0,8505	0,7716	0,8301	16	20	Нет
ОАЭ	Азия	0,9444	0,6877	0,8564	0,8295	29	21	Нет
Ирландия	Европа	0,8264	0,9626	0,6970	0,8287	26	22	Нет
Канада	Америки	0,9306	0,8744	0,6724	0,8258	14	23	Нет
Италия	Европа	0,9514	0,8341	0,6771	0,8209	22	24	Нет
Лихтенштейн	Европа	0,7986	0,8237	0,8389	0,8204	32	25	из В в ОВ
Бахрейн	Азия	0,7986	0,7897	0,8466	0,8116	24	26	Нет
Бельгия	Европа	0,7569	0,9740	0,6930	0,8080	19	27	Нет
Монако	Европа	0,6250	0,7901	1,0000	0,8050	31	28	из В в ОВ
Португалия	Европа	0,9306	0,8170	0,6617	0,8031	38	29	из В в ОВ
Мальта	Европа	0,8403	0,7973	0,7657	0,8011	30	30	из В в ОВ
Израиль	Азия	0,8264	0,8635	0,7095	0,7998	20	31	Нет
Российская Федерация	Европа	0,9167	0,8522	0,6219	0,7969	35	32	из В в ОВ
Польша	Европа	0,9306	0,8668	0,5805	0,7926	36	33	из В в ОВ
Уругвай	Америки	0,8889	0,7719	0,6967	0,7858	34	34	из В в ОВ
Греция	Европа	0,8194	0,8867	0,6439	0,7833	43	35	из В в ОВ
Кипр	Азия	0,7847	0,8083	0,7279	0,7736	64	36	из В в ОВ
Словения	Европа	0,7986	0,8923	0,6232	0,7714	21	37	Нет
Беларусь	Европа	0,7361	0,8681	0,6881	0,7641	49	38	из В в ОВ
Казахстан	Азия	0,8681	0,8388	0,5723	0,7597	33	39	из В в ОВ
Литва	Европа	0,7986	0,8323	0,6293	0,7534	23	40	Нет

Государственный доход и развитие электронного правительства: Средние показатели EGDI и его компонентных индексов улучшились в течение рассматриваемого периода по всем доходным группам. Кроме того, имеется положительная корреляция между уровнем

дохода страны и её местом в рейтинге электронного правительства, как показано на Рисунок 2. Большинство стран в группах с высоким и средне-высоким доходом обычно демонстрируют показатели EGDI выше среднего.

Двадцать две страны со средне-высоким доходом и 39 стран со средне-низким доходом демонстрируют EGDI в диапазоне от 0,2154 до 0,5390, что ниже среднемирового значения EGDI, равного 0,55. С другой стороны, 10 стран из группы со средне-низким доходом демонстрируют показатели выше среднемирового уровня EGDI. Это — Армения (0,5944), Грузия (0,6893), Индия (0,5669), Кыргызстан (0,5835), Филиппины (0,6512), Молдова (0,6590), Шри-Ланка (0,5751), Украина (0,6165), Узбекистан (0,6207) и Вьетнам (0,5931).

В этих странах с низким и средне-высоким доходом, если это позволяет телекоммуникационная инфраструктура, мероприятия по повышению уровня онлайн-обслуживания значительно улучшают общее развитие электронного правительства.



Рисунок 2. Распределение значений OSI по доходным группам, 2018 год

Разрыв между показателями компонентов HCI, OSI и TII относительно небольшой для стран с высоким доходом, которые уже обладают довольно высокими уровнями развития человеческого капитала и телекоммуникационной инфраструктуры. В странах с

низким и средним доходом, тем не менее, тенденция повышения показателей TII и OSI за последние четыре года впечатляет, что подразумевает непрерывное увеличение доступности и качества онлайн-обслуживания и ведёт к общему улучшению развития электронного правительства.

Заключение: Цифровизация зависит не только от технологий. Этот процесс требует комплексного подхода, который предлагает доступные, быстрые, надёжные и персонализированные службы. Государственный сектор во многих странах плохо подготовлен к такой трансформации. Правительства могут реагировать, разрабатывая необходимые политики, службы и нормативные акты. Услуги могут оказываться с учётом конкретных потребностей и определённых целевых аудиторий, включая органы власти, бизнес или гражданское общество.

Государствам мира потребуется переосмыслить модели управления с учётом основных принципов Повестки на период до 2030 года и потребностей людей в более реактивном и инклюзивном обслуживании. Хотя электронное правительство начало с предоставления услуг в интернете, будущее ориентировано на способность электронного правительства использовать социальные инновации и устойчивость и преобразовывать организацию управления для более скорого достижения ЦУР.

Ссылки:

1.Н.Ж.Курманкулова, С.А.Байганин Место и роль «Электронного правительства» в системе государственного управления, Вестник Актюбинского университета им. С.Баишева, 2009.

2. UN E-Government Survey 2016 // https://publicadministration.un.org/egovkb/en-us/Reports/UN-E-Government-Survey-2016 (дата обращения: 29.11.2017).

3. ООН (2015). *Transforming our World: the 2030 Agenda for Sustainable* Development. Ссылка: https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/21252030%20Agenda%20for%20Sustainable%20Development%20we b. pdf
4. Резолюции ГА ООН от 25 сентября 2015года, A/RES/70/1, пп. 48. http://www.un.org/en/development/desa/population/migration/generalassembly/docs/globalcompact/A_RES_70_1.pdf
5. The World Bank (2018). The World Bank in Ghana. http://www.worldbank.org/en/country/ghana/ overview#
6. The World Bank. World Bank Country and Lending Groups. Доступно по ссылке: https://datahelpdesk.worldbank.org/knowledgebase/articles/906519-world-bank-country-and-lending-groups.

სოფლის მეურნეობის დაკრედიტების პრობლემების სრულყოფა საქართველოში
Improving agricultural lending problems in Georgia
Решение проблем кредитования сельского хозяйства в Грузии

გიორგი ნატროშვილი - პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
მანანა ცინცაძე - პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ნათია ნატროშვილი - პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Giorgi Natroshvili - Professor
Georgian Technical University
Manana Tsintsadze - Professor
Georgian Technical University
Natia Natroshvili - Professor
Georgian Technical University

ანოტაცია: სტატიაში განხილულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამები, ის მნიშვნელოვანი ღონისძიებები, რომლებიც ხორციელდება მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების, სურსათის უვნებლობის, მცენარეთა დაცვის და ბაზრის დივერსიფიკაციის კუთხით. გამოვლენილია ის პრობლემები, რომლებიც არსებობენ საქართველოში და დასახულია გზები მათ აღმოსაფხვრელად.
საკვანძო სიტყვები: სოფლის მეურნეობა, დაფინანსება, დაკრედიტება, აგროკრედიტი, ეკონომიკა.

Annotation: The article discusses support programs for agricultural cooperatives, important measures taken in the development of animal welfare, food safety, plant protection and market diversification, identifies problems in Georgia and ways to address them.
Keywords: agriculture, financing, lending, agro-credit, economics.

Аннотация: В статье рассматриваются программы поддержки сельскохозяйственных кооперативов, важные мероприятия,

предпринимаемые в области развития благосостояния животных, безопасности пищевых продуктов, защиты растений и диверсификации рынка, выявлены проблемы, существующие в Грузии, и пути их устранения.
Ключевые слова: сельское хозяйство, финансирование, кредитование, агрокредитование, экономика.

საქართველოს მთავრობა ახორციელებს სახელმწიფო პროგრამებს, რომლებიც მიმართულია ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებისაკენ, რომელიც ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის ფინანსებზე, ინფრასტრუქტურაზე და თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობას.

სოფლის მეურნეობის დაფინანსების სისტემის სრულყოფის მიზნით 2012 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შეიქმნა ა(ა) იპ-სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, რომელიც ახორციელებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებულ პროექტებს, სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების მიზნით. ქვეყანაში სააგენტოს მიერ ხორციელდება "ერთიანი პროექტი" რომელიც აერთიანებს სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებს [1. 35 გვ.] დანერგე მომავალი, აწარმოე საქართველოში, აგროდაზღვევა, გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსება, შეღავათიანი აგროკრედიტი, ქართული ჩაი და ა.შ.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრუქტურაში 2013 წლიდან შეიქმნა სსიპ - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, რომელიც ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების მხარდაჭერის პროგრამებს, მათ შორის:

- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მოცულობა და სათიბებით უზრუნველყოფა;
- თხილის წარმოების განვითარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელშეწყობით;

- მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობით;

- რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა;

- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით აღჭურვა.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების კუთხით და ასევე სურსათის უვნებლობის, მცენარეთა დაცვის და ბაზრის დივერსიფიკაციის კუთხითაც. ქვეყანაში არსებულ - 19 კომერციული ბანკიდან, აგროკრედიტების გაცემას უზრუნველყოფდა 15 მსხვილი ბანკი. პროექტების მიღება, განხილვა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდებოდა მხოლოდ კომერციული ბანკების მიერ, სახელმწიფო უწყებების ჩარევის გარეშე. "შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის" საწყის ეტაპზე სააგენტო ფერმერების და აგრომეწარმეებს საკრედიტო ინსტიტუტებისა და სოფლის მეურნეობის საწარმოო საშუალებების მიმწოდებლების მეშვეობით სთავაზობდა სამი სახის შეღავათიან კრედიტს:

1. უპროცენტო სასაქონლო კრედიტი (განვადებას) მცირე ფერმერებისათვის;

2. შეღავათიანი აგროკრედიტი საშუალო და მსხვილი მეწარმეებისათვის (საბრუნავი საშუალებების და მარაგების დაფინანსება მოკლე ვადით);

3. შეღავათიანი აგროკრედიტი სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისთვის (ძირითადად-ძირითადი საშუალებების და ტექნოლოგიების დაფინანსება ხანგრძლივი პერიოდით).

2017 წლის თებერვალში მთავრობის მიერ მიღებული იქნა დადგენილება №246. რომლის საფუძველზეც "შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი" შედგება შემდეგი ფინანსური პროდუქციისაგან:

I. შეღავათიანი აგროკრედიტი ორი კომპონენტით:

1) შეღავათიანი აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებებისათვის.

საბრუნავი საშუალებებისათვის პროექტის ფარგლებში, აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებებისათვის გაიცემა ბენეფიციარებისათვის შემდეგი კომპონენტების ფარგლებში:

ა) ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოები;ბ) ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოები, რომლებიც ყურძნის შეძენას ახდენენ სპირტის წარმოების მიზნით; გ) ატმის შემსყიდველი საწარმოები;

დ) არასტანდარტული ვაშლის შემსყიდველი საწარმოები; ე) მანდარინის შემსყიდველი და გადამამუშავებელი საწარმოები.

2) შეღავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისათვის. პროექტის ფარგლებში ძირითადი საშუალებებისათვის სესხი გაცემა ახალი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შექმნის, არსებულის გაფართოვების ან მოდერნიზაციისათვის. აღნიშნული კომპონენტი ითვალისწინებს აგრო-სესხების გაცემის 20 000-დან 150 000 ლარამდე, ხოლო ფიზიკური პირების შემთხვევაში. 20 000-დან 75 000 ლარამდე.

II. შეღავათიანი აგროლიზინგი. ეს კომპონენტი ემსახურება სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამატებითი ღირებულების შემქმნელი ინფრასტრუქტურის განვითარებას. შეღავათიანი აგროლიზინგის დაფინანსებით სარგებლობენ ის საწარმოები, რომლებიც ქმნიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას ან ეწევიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებას (შენახვა, დაფასოება, გადამუშავება), ან აწარმოებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესაფუთ მასალებს.

III. პროგრამა "აწარმოე საქართველოში". პროგრამას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. მისი მიზანია წარმოების განვითარებაზე ორიენტირებულ-ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა და

ახალი საწარმოების შექმნა, ასევე არსებულის მოდერნიზაცია.

პროექტის განხორციელებაში ჩართული ფინანსური ინსტიტუტები:

- უზრუნველყოფენ დაბალ საპროცენტო განაკვეთს სასაქონლო განვადებაზე;

- გასცემენ კრედიტებს საბრუნავი საშუალებების და ძირითადი საშუალებების დასაფინანსებლად;

- გრძელვადიანად გასცემენ ძირითად საშუალებებს ლიზინგით.

სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტო:

- ახდენს შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის პირობების შესაბამისად საფინანსო ინსტიტუტების მიერ გაცემული კრედიტების საპროცენტო ხარჯების საგარანტიო თანადაფინანსებას, საბრუნავი საშუალებების შემთხვევაში წლიურად 8%-ს, ხოლო ძირითადი საშუალებების შემთხვევაში წლიურად 11% (2015 წლის 1 იანვრამდე გაცემულ სესხებზე 9% და 12%);

- აფინანსებს ლიზინგით ძირითადი საშუალებების გადასახადს წლიურად 12%-ით (2015 წლის 1 იანვრამდე გაცემულ ლიზინგზე 13%);

- სესხის ძირითადი თანხის ნახევარს უზრუნველყოფს საგარანტიო წერილით (მეორადი უზრუნველყოფა);

- სასოფლო-სამეურნეო მიწით უზრუნველყოფილი სესხის ჩამოწერის შემდეგ, საფინანსო ინსტიტუტის სურვილის შემთხვევაში, გარანტირებულად შეისყიდოს სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთულ მიწას, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნორმატიული ფასის შესაბამისად;

- მონიტორინგს უწევს პროცესებს, რომ დაცული იყოს შეღავათიანი აგროკრედიტის გაცემას და მომსახურების პირობები.

უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის პროცესში ძირითადად ვეყრდნობოდით გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტოს მონაცემებს, რადგან

საქსტატისა და ეროვნული ბანკის მონაცემები ხშირ შემთხვევაში არასრულყოფილად ასახავს შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის რეალურ მაჩვენებლებს. განსაკუთრებით პრობლემატურია გაცემული სესხების რაოდენობას და მოცულობას, ასევე პორტელის ოდენობის შესახებ მონაცემთა აღრიცხვა, ეროვნული ბანკის მიერ. განსხვავების მიზეზს წარმოადგენს ეროვნული ბანკის მიერ სესხებზე მინიჭებული კლასიფიკაცია, რომლის მიხედვითაც არამეწარმე ფიზიკურ პირებზე გაცემული შეღავათიანი აგროსესხები, რომლებიც შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის პირობების მიხედვით მხოლოდ აგრო დანიშნულება შეიძლება იქნეს გამოყენებული, აღირიცხება როგორც სამომხმარებლო სესხები.გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტოს მონაცემებით, რომელსაც ეყრდნობა წარმოდგენილი კვლევა შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის დაწყებიდან 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში ყველა კრედიტის (მცირე, საშუალო და მსხვილ) ფერმერებზე გაცემულია 25313 სესხი ლარში და 2260 სესხი აშშ. დოლარში, რომელია ჯამური მოცულობა შეადგენს 760800,3 ათას ლარს და 240067,5 ათას აშშ დოლარს. პროექტის ბენეფიციართა რაოდენობამ შეადგინა 17746 აქედან 13849 მცირე ფერმერის.ორივე ვალუტაში გაცემული სესხების გაცემით 2016 წლის 31 დეკემბერს არსებულ-კურსის (2,6468 ლარი/აშშ დოლარი) მიხედვით, ჯამში გაცემული თანხის მოცულობა შეადგენს 1,4 მილიარდამდე ლარს.

კვლევის შედეგად საინტერესო აღმოჩნდა მცირე ფერმერებზე პროექტის ფარგლებში გაცემული სესხების მოცულობის დაჯგუფება მიზნობრიობის მიხედვით.ჩატარებული ანალიზი გვიჩვენებს საკვლევი წლების მიხედვით მცირე ფერმერებზე საბრუნავი საშუალებებისათვის გაცემული სესხების მოცულობა შეადგენს 49%, ხოლო ძირითადი საშუალებებისათვის გაცემული სესხების მოცულობა შეადგენს 51% შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში დაფინანსებულია სოფლის მეურნეობის 45 პირველადი

და გადამამუშავებელი დარგი, ასევე ინფრასტრუქტურული მიმართულებები, შერეული და მრავალდარგიანია.

საწარმოთა კატეგორიების მიხედვით გაცემული სესხების რაოდენობა და ჯამების წლების მიხედვით პირველადი წარმოებაზე გაცემული სესხების რაოდენობა შემცირდა 2015-2016 წლებში, რაც აიხსნება სესხის ზღვარის 20000 ლარამდე. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად ბენეფიციართა უმრავლესობამ ისარგებლა "შეღავათიანი აგროკრედიტისაბრუნავი საშუალებებისათვის" კომპონენტით -41%, რომელსაც შემდეგ მოსდევს უპროცენტო განვადება - 24%.

შეღავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისათვის" - 23%, რაც შეეხება კრედიტით სარგებლობის მიზნობრიობას, ის შემდეგია 59% მიმდინარე საჭიროებების დასაფინანსებლად, 38% არსებული ბიზნესის გასაფართოებლად, 5% ახალი ბიზნესის დასაწყებად და 5% სხვა მიზნებისათვის.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა საშეღავათო პერიოდთან დაკავშირებული გარემოება, ფერმერთა უმრავლესობა მოითხოვს, რომ პერსპექტივაში ბანკებმა უნდა განსაზღვრონ რეალური საშეღავათო პერიოდი. აღნიშნულს კარგი მაგალითია თი-ბი-სი ბანკი, მის მიერ შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამის ფარგლებში შექმნილი ახალი პროდუქტი - აგრო-საინვესტიციო სესხი, რომლის მაქსიმალური საშეღავათო პერიოდი 5 წელია. აგრო-საინვესტიციო სესხი მრავალწლიანი ნარგავების გაშენებით დაინტერესებულ პირებს საშუალებას აძლევს აღებული სესხის ძირი თანხის გადახდა მხოლოდ მას შემდეგ განახორციელოს, რაც სესხით გაშენებული ბაღი კომერციულ მსხმოიარობაში შევა. სამომავლოდ დახვეწას საჭიროების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მოთხოვნები, რადგან იგი წარმოადგენს მცირე ფერმერებისათვის სესხზე უარის თქმას ძირითად მიზეზს. სახელმწიფო უფრო აქტიურად უნდა ჩაერიოს რათა ბანკებმა გადახედონ საკუთარ პოლიტიკას უზრუნველყოფასთან

დაკავშირებით. მართალია, დღეისათვის პროექტების მართვის სააგენტო ახდენს ძირითადი საშუალებების კომპონენტის ფარგლებში გაცემული სესხების ძირითადი თანხის მთლიანი მოცულობის 50%-მდე მეორად უზრუნველყოფას, მაგრამ იგი მაინც ვერ აგვარებს პრობლემას. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს არანაირი ბარიერი ქალების და ახალგაზრდების პროგრამაში მონაწილეობისათვის, მათი პროგრამაში ჩართულობის დონე მაინც დაბალია, სახელმწიფო ვალდებულია შექმნას ქვე-კომპონენტი, რომლითაც წაახალისებს ქალებს და ახალგაზრდების ჩართულობის პროგრამაში.

სოფლის მეურნეობის გაფართოვებული აღწარმოების და სასაქონლო წარმოების აღმავლობის საქმეში ძალზე მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის სუბსიდირების პრობლემის მოგვარება. დღეისათვის ევროკავშირის ქვეყნებში სოფლის მეურნეობის დაფინანსება ხდება, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით, ასევე სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან გამოყოფილი თანხებით. სახელმწიფო ატარებს ისეთ საბაჟო და საგადასახადო (ფისკალურ) პოლიტიკას, რითაც ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებას. მაგალითისათვის საინტერესოა ქვეყნებისბალტიის პირეთის პოსტ საბჭოთა ესტონეთის, ლიტვის და ლატვიის აგრარული სექტორის დაფინანსების გაანალიზება. ლიტვაში სოფლის მეურნეობა ფინანსდება, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ასევე ევროპის სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდიდან (EAFRD). აღნიშნული ფონდიდან გამოყოფილი თანხა შეადგენს 1,8 მილიარდ ევროს, რომელიც მიმართულია სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამაზე, ხოლო სოფლის მეურნეობის სექტორზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები 66 მლნ. ევროს შეადგენს. სოფლის მეურნეობის სამინისტრო გამოყოფს თანხების სახნავ-სათესი მიწების დასამუშავებლად და მეცხოველეობისათვის, ასევე დამატებით თანხები გამოეყოფა იმ

პირებს, ვინც ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას აწარმოებს. საკომპენსაციო თანხები გამოეყოფათ იმ ფერმერებს, რომლებიც ეწევიან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ნაკლებად შემოსავლიან ადგილებში. რაც შეეხება ლატვიას სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფს 76 მლნ. ევროს, ესტონეთში სოფლის მეურნეობის განვითარება ფინანსდება, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან (სუბსიდიები შეადგენს 35 მლნ. Eევროს), ასევე ევროპის სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდიდან (EAFRD) გამოყოფილი თანხები 107 მლნ ევროს შეადგენს, რაც აღნიშნული ფონდის ბიუჯეტის (54 მლრდ. ევრო) 0,20%-ია. სუბსიდირებას საქართველოს აგრარულ სექტორშიც ახორციელებს, სხვადასხვა ფორმით, სუბსიდირებას არსებული მოდელი 2013 წელს შეიქმნა და იგი მნიშვნელოვან სოციალურ დატვირთვას ატარებს. მაგალითად. 2016 წელს ყველა მევენახემ 1 კგ ჩაბარებულ “რქაწითელზე” და “მწვანეზე” ბიუჯეტიდან 45 თეთრი, 1 კგ. “საფერავზე” 20 თეთრის სუბსიდია მიიღო. ჯამში ყურძნის სუბსიდირებაში გადახდილმა თანხამ 100 მლნ. ლარი შეადგინა.

ჩატარებული კვლევის ანალიზიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობის გაფართოვებული კვლავწარმოების უზრუნველყოფისათვის მეტად მნიშვნელოვანია ქვეყანაში სოფლის მეურნეობის დაფინანსების პირობების სრულყოფა, ახალი ალტერნატიული წყაროების და მექანიზმების მოძიება და დანერგვა. ასევე საჭიროა არსებული საბიუჯეტო წყაროების მიზანმიმართული და ეფექტიანი გამოყენება, რათა სოფლად ინვესტირებულმა ფინანსებმა უზრუნველყოს მაქსიმალური უკუგება და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის გადიდება.

ამასთან ერთად ავღნიშნავთ, რომ პასუხისმგებლიანი დაკრედიტება მაქსიმალურად უნდა იყოსკონტროლირებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, და ასევე ცალკეულმა ფინანსურმა ინსტიტუტებმა უნდა დაიმკვიდრონ სოციალური

პასუხისმგებლობის მაღალი სტანდარტები, რაც უპირველეს ყოვლისა, პასუხისმგებლიან დაკრედიტებას და მომხმარებელთა კეთილსინდისიერ მომსახურებას უზრუნველყოფს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნ. გრიგალაშვილი-საკრედიტო პოლიტიკის რეგულირების ინსტრუმენტები. თბ. 2012
2. თ. ხომერიკი-საკრედიტო ბაზრის განვითარება არამდგრად გარემოში. ჟ. ბიზნესი და კანონმდებლობა N17 2012
3. ნ. გრიგალაშვილი-საბანკო დაკრედიტების სისტემის სრულყოფის გზები საქართველოში. დისერტაცია. თბ. 2011
4. საკრედიტო აქტიურობა. ჟ,ბიზნესი N6(26) 2009

მექრთამეობა და ფულის გათეთრების პრობლემა საბანკო სისტემებში
Bribery and the problem of money laundering in banking systems

ანი ხაჩიძე - დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
anikhachidze@tbcbank.com.ge

Ani Khachidze - PhD student
Georgian Technical University
anikhachidze@tbcbank.com.ge

ანოტაცია: ნაშრომში დეტალურად იქნება განხილული იმ პოლიტიკების შესახებ, რასაც ფლობს და ახორციელებს საბანკო სისტემა დღესდღეობით. ნებისმიერი საბანკო პროდუქტის გაყიდვის თუ მომსახურების გაწევის დროს აუცილებელი თავდაცვითი მექანიზმების განმარტება. საბანკო წესებისა და პროცედურების დაცვის აუცილებლობა.
საკვანძო სიტყვები: მექრთამეობა. ფულის გათეთრებასთან ბრძოლა.

Annotation: The aarticle will discuss in detail the policies that the banking system nowadays owns and operates. Definition of defense mechanisms required when selling or banking any bank product. Necessity to adhere to banking rules and procedures.
Key words: bribery. Fight against money laundering

საბანკო დაწესებულებაში გამორიცხულია ნებისმიერი სახის საკრედიტო ან თუნდაც სადებეტო პროდუქტის გაცემა იმ შემთხვევაში, თუკი ეს წახალისებული იქნება ქრთამით ან ფულის გათეთრების მიზნით. შესალებელია საკრედიტო და სადებეტო პროდუქტის პირობებზე ზეგავლენის მოხდენა სხვა ადამიანის მიზანმიმართული ქმედებით, რაც გამომჟღავნების შემთხვევაში საფრთეს უქმნის ბიზნესს. ამ ყველაფრის თავიდან აცილების მიზნით ნებისმიერი დაწესებულება იქნება ეს საბანკო სისტემა თუ სხვა, თავის საქმიანობას და ბიზნეს ურთიერთობას წარმართავს

სამართლიანად და ეთიკის მაღალი სტანდარტების მიხედვით. შესაბამისად ნებისმიერ ორგანიზაციას აქვს ნულოვანი ტოლერანტობა ფინანსური დანაშაულის მიმართ. ფინანსური დანაშაულის ნებისმიერი ფორმა იქნება ეს მექრთამეობა, კორუფცია თუ ფულის გათეთრება არის დანაშაული. მსგავსი ქმედება კი აზიანებს ფირმას და მისდამი ნდობის დონე მკვეთრად ეცემა. აღნიშნულის თავიდან აცილების მიზნით ფირმა უნდა ფლობდეს მკაფიოდ გაწერილ გეგმას და პოლიტიკას რომლის მიხედვითაც უნდა აწარმოებდეს ის საკუთარ საქმიანობას. ბანკი წამართავს რა თავის საქმიანობას სამართლებრივად, ის ხელს უწყობს ეთიკის ჩამოყალიბებას და სრულად იცავს საკუთარ სახელს. სწორედ ამიტომ ის კრძალავს ნებისმიერი სახის მექრთამეობას. იქნება ეს ქრთამის შეთავაზება, აღება, გაცემა, მოთხოვნა და სხვა. მექრთამეობასთან ბრძოლის პილიტიკის მიზანია აკონტროლოს ყველა იმ ადამიანის ქმედება, რომელიც მოქმედებს ბანკის სახელით. პოლიტიკა წარმოადგენს სახელმძღვანელოს ბანკის თანამშრომლებისთვის, დირექტორები-სთვის და აღმასრულებელი დირექტორებისთვის, რათა მათ სწორად შეძლონ მექრთამეობის, კორუფციის და გადასახადებისგან თავის არიდების შემთხვევების იდენტიფიცირება და მოახდინონ შესაბამისი რეაგირება. პოლიტიკა ასევე თავისი მიზნებიდან გამომდინარე განსაზღვრავს თანამშრომლებისა და ბანკის მიერ დაქირავებული პირების პასუხისმგებლობას. თანამშრომლების მიერ პოლიტიკის მოთხოვნების შესრულება იცავს მას უარყოფითი შედეგებისგან. პოლიტიკის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში თანამშრომელზე შესაძლოა გავრცელდეს დისციპლინარული ზომები, რაც მოიცავს დაკავებული პოზიციიდან განთავისუფლებას, ასევე ფულად ჯარიმას. გარდა ამისა, პოლიტიკის დარღვევის შედაგად შესაძლოა აღიძრას სამოქალაქო ან სისხლის სამართლის საქმე და გავრცელდეს შესაბამისი სანქციები (მათ შორის, თავისუფლების აღკვეთის სახით). მსგავსი ტიპის სანქციები შესაძლოა გავრცელდეს პირადად თანაშრომელზე ან მის

მენეჯერზე/ხელმძღვანელზე. ბანკის მექრთამეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა მექრთამეობის აღკვეთის მიზნით შეიმუშავებს შიდა წესებს და პროცედურებს, რომელიც ეფუძნება შესაბამის ადგილობრივ და საერთაშორისო საკანონმდებლო მოთხოვნებს და საუკეთესო პრაქტიკის ნორმებს, მათ შორის და არა მხოლოდ, დიდი ბრიტანეთის ანტიკორუფციული და მექრთამეობის საწინააღმდეგო კანონი - the Bribery Act 2010 (ქრთამის კანონი), ასევე FCA (financial Conduct Authority, ფინანსური ქცევის ორგანო) guideline on preventing financial crime (სახელმძღვანელო ფინანსური დანაშაულის პრევენციის შესახებ) (იანვარი 2015), Wolfsberg Anti-Corruption Guidelines (ვოლფსბერგის ანტიკორუფციული სახელმძღვანელო მითითებები) (აგვისტო 2011), Criminal Finance Bill 2017. მექრთამეობასთან ბრძოლის დოკუმენტი ბანკის მასშტაბით ამკვიდრებს საუკეთესო პრაქტიკის საერთო სტანდარტს და განმარტავს, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ბანკის თანამშრომლები, დირექტორები, აღმასრულებელი დირექტორიები და ნებისმიერი მესამე პირი, ვინც მოქმედებს ბანკის სახელით („ასოცირებული პირები“). მესამე პირებისთვის/მესამე პირებიდან საჩუქრების, მასპინძლობის, ჯილდოების შეთავაზების, მიწოდების ან მიღების შემთხვევაში. პოლიტიკა ვრცელდება ბანკის ყველა თანამშრომელზე მათი მდებარეობის, ფუნქციის და პოზიციის მიუხედავად. ნებისმიერი პირი, რომელიც დასაქმებულია ბანკში, ვალდებულია დაიცვას ბანკის შინაგანაწესი და მისი პოლიტიკა.

მექრთამეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკის მოთხოვნების შეუსრულებლობის გამოსავლენად ეფექტური მაკონტროლებელი სისტემის არსებობისთვის აუცილებელია ბანკმა დანერგოს და/ან რეგულარულად განაახლოს შემდეგი სახის შიდა პროცედურები და სტანდარტები და სხვა დაკავშირებული პროცედურები/პროცესები:

- ეთიკის კოდექსი

- შინაგანაწესი/ქცევის კოდექსი
- იცნობდე შენს კლიენტს
- კლიენტის შესწავლის პროცედურები
- იცნობდე შენს პარტნიორს პროცედურება, რაც მოიცავს ბანკთან დაკავშირებული მესამე მხარის რისკების შეფასებას
- იცნობდე შენს თანამშრომელს
- ბანკის ბიზნეს მიმართულებების და მოქმედების იურისდიქციების შეფასებას
- საჩუქრების და მასპინძლობის ღონისძიების ინსტრუქციებს
- ინციდენტების მართვის პოლიტიკას
- ინციდენტის მართვისა და რისკის ესკალაციის პროცედურა მენეჯმენტის ინფორმირების პროცედურასთან ერთად.

მექრთამეობა არის ქმედება, რომელიც გულისხმობს გარკვეული სარგებლის დაპირებას, შეთავაზებას, მიღებას, ან გადაცემას პირდაპირ ან ირიბად იმ მიზნით, რომ შეიქმნას ნებისმიერი ტიპის კომერციული, კონტრაქტული, რეგულატორული ან პირადი უპირატესობა და / ან წახალისდეს ან დაჯილდოვდეს ქმედება, რომელიც არის უკანონო, არაეთიკური ან არღვევს პოზიციით დაკისრებული ვალდებულებებს. მაგალითისთვის ბანკის თანამშრომელზე ქრთამის გაღება შესაძლოა მიმართული იყოს საბანკო კრედიტის დამტკიცების, ან უკეთესი პირობების შეთავაზებისთვის. (უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საბანკო სისტემაში სტატუს/სოლო/ვიპ კლიენტები ყოველთვის სარგებლობენ უკეთესი პირობებით, ვიდრე რიგითი მომხმარებლები. აღნიშნულ მომსახურებაში კი მსესხებელი ყოველთვიურ საკომისიოს იხდის). მექრთამეობის სამართალდარღვევის შეფასებისას, არ აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რამდენად გააზრებულად ხდება მსგავსი ქმედება. ქრთამად შესაძლოა ჩაითვალოს ნებისმიერი შემდეგი:

- ფული
- საჩუქარი
- გასართობი ღონისძიებები და მასპინძლობა

- სხვადასხვა შესაძლებლობების შეთავაზება (მაგ: საგზურის შეთავაზება)
- ნებისმიერი ფასეული ნივთი

ქრთამის რისკი განისაზღვრება სამი დონის მიხედვით. დაბალი, საშუალო და მაღალი რისკის მატარებელი.
მომხმარებლის მიერ შესაძლოა საჩუქრად წარმოდგენილი იყოს ნებისმიერი დასახელების და სახეობის ნივთი თუ მომსახურება. იქნება ეს უბრალოდ ტკბილეული თუ ძვირადღირებულ კურორტზე დასვენების ვაუჩერი.

მასპინძლობა შეიძლება იყოს ნებისმიერი კერძო პირის თუ ფირმის ორგანიზებული ღონისძიება, რომელიც შეიძლება მოიცავდეს სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებს, კონფერენციას და სხვა. თუმცა მასპინძლობასაც აქვს სხვადასხვა სახე. პოლიტიკა არ კრძალავს კეთილსინდისიერი განზრახვით მოწყობილ მასპინძლობას, რომელიც უკეთ წარმოაჩენს ფირმის სახეს და ეხმარება კლიენტსა და თანამშრომელს უკეთესი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში. მასპინძლობასთან დაკავშირებული მაღალი რისკის შემთხვევის დროს ფირმის თანამშრომელმა აღნიშნული საკითხი უნდა გააგებინოს უშუალო უფროსს და კონსულტაცია უნდა გაიაროს შესაბამისობის რისკების მართვის სამსახურთან, რომელიც დაადგენს თანამშრომლის შემდეგ ქმედებას. იმ შემთხვევაში თუ შესაბამისი სამსახური უფლებას მისცემს თანამშრომელს ისარგებლოს შეთავაზებული მასპინძლობით, თანამშრომელს უპრობლემოდ შეუძლია ისარგებლოს შეთავაზებით.

ბანკის ან კლიენტის მხრიდან გაღებული საჩუქარი, არის ნივთი, რომლისთვისაც არ მოითხოვება ფინანსური ანაზღაურება და რომელიც უმეტეს წილად წარმოადგენს მადლიერების ან სტანდარტული ბიზნეს ეტიკეტის გამოხატვის საშუალებას. საჩუქრის ღირებულების მიუხედავად ისეთი საჩუქრის გაცემა ან მიღება, რომელიც მიზნად ისახავს საჩუქრის მიმღების ბიზნეს გადაწყვეტილებებზე ზეგავლენას, განიხილება როგორც ქრთამი.

არცერთ თანამშრომელს არ აქვს უფლება მიიღოს საჩუქარი თუკი ეს საჩუქარი აღიქმება როგორც ქრთამი. აღნიშნულ შემთხვევაში ბანკის თანამშრომელი ვალდებულია მიმართოს შესაბამისობის რისკის განყოფილებას, რომელიც გადაწყვეტს შემდეგ ქმედებას თანამშრომლის მხრიდან. ქრთამად არ აღიქმება იმ სახის საჩუქარი, რომელიც ასახავს კლიენტის მადლიერებას და საჩუქრის თანხობრივი მაჩვენებელი არ აღემატება ბანკის შნაგანაწესით დადგენილ მაჩვენებელს. (სს თიბისი ბანკში საჩუქრის მაქსიმალური თანხობრივი ოდენობა უნდა განისაზღვრებოდეს მაქსიმუმ 100 ლარით). თუ საჩუქრის ღირებულება აღემატება დადგენილ ზღვარს, მისი შეთავაზების ან მიღებისთვის საჭიროა შესაბამისობის რისკების მართვის დეპარტამენტის ნებართვა.თუკი სამსახურმა არ მისცა უფლება თანამშრომელს საჩუქრის მიღებაზე, აღნიშნული უნდა დაუბრუნდეს მის მფლობელს, შესაბამისი განმარტებით, იმისათვის რომ არ გამოვიწვიოთ კლიენტის წყენინება ან გაღიზიანება. იგივე წესი ვრცელდება საჩუქრებზე, რომლის მიღების ან შეთავაზების სიხშირე აღემატება წელიწადში სამ შემთხვევას. ასეთი შემთხვევები უნდა დაფიქსირდეს საჩუქრების და მასპინძლობის ელექტრონულ ჟურნალში. თუ თანამშრომელი ვერ ამბობს უარს საჩუქარზე/მასპინძლობაზე, რადგან ამგვარი საქციელი შეიძლება იქნას აღქმული, როგორც ეტიკეტის დარღვევა, მან უნდა მოიპოვოს თანხმობა შესაბამისობის რისკების მართვის დეპარტამენტისგან საჩუქრებისა და მასპინძლობის ელექტრონული ჟურნალის საშუალებით. თუ საკითხის გადაწყვეტა არ შეუძლია შესაბამისობის რისკის მართვის განყოფილებას, საკითხი უნდა გადაწყვიტოს კომიტეტმა. ნებისმიერი სახის მასპინძლობა და საჩუქარი აღწერილი უნდ აიყოს შესაბამის ჟურნალში. აღნიშნულ მონაცემებს ბანკი ინახავს 6 წლის განმავლობაში. დაუშვებელია ჟურნალში ყალბი ჩანაწერების გაკეთება. ბანკს უფლება აქვს მიიღოს ან გასცეს შემოწირულობა და სპონსორობა. თუმცა ბანკი არ გასცემს შეწირულობებს

პოლიტიკური პარტიებისთვის და ორგანიზაციებისთვის. იმისათვის რომ ორგანიზაციის ყველა თანამშრომელმა იხელმძღვანელოს შიდა განაწესით და დაიცვას ფირმის სახელი, აუცილებელია ტრენინგების ჩატარება და ყველა თანამშრომლის ცნობიერების ამაღლება შიდა პოლიტიკის წესების დაცვისათვის.

„ფულის გათეთრება“ არის პროცესი, რომლის დროსაც ხდება კრიმინალური საქმიანობიდან მიღებული უკანონო შემოსავლისათვის კანონიერი სახის მიცემა, მისი რეალური წარმოშობის, მესაკუთრის ან მფლობელის ან/ და ქონებრივი უფლებების დამალვა ან შენიღბვა ან/და ასეთი ქმედების ჩადენის მცდელობა. ფულის გათეთრებად შესაძლოა ჩაითვალოს არალეგალიზებული პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლისთვის ოფიციალური სახის მიღება. ე.წ. შავი შემოსავლის ოფიციალურ წყაროდ ჩვენება და სხვა. ბანკი აანალიზებს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკებს და ამ პროცესის წარმართვისას ხელმძღვანელობს ადგილობრივი კანონმდებლობით, FATF (Finanscial Action Task Force. ფინანსური მონიტორინგის სამსახური) რეკომენდაციებით, ბაზელის სტანდარტებითა და საუკეთესო პრაქტიკით. ბანკის პერსონალმა უნდა გამოიჩინოს სათანადო ყურადღება და გულმოდგინება. ბანკის ყველა თანამშრომელი ვალდებულია დაუკავშირდეს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ქვეგანყოფილებას (შემდგომში AML ქვეგანყოფილება) ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების კუთხით საეჭვო ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში. AML განყოფილების თანამშრომლები ყოველდღიურ მონიტორინგს უწევენ ბანკის კლიენტების ბრუნვას, გადარიცხვას, შემოსავალას და სხვა. მაგალითისთვის როდესაც ანგარიშზე აღმოჩნდება დიდი თანხა, ბანკის თანამშრომელი აუცილებლად ახდენს აღნიშნული თანხის წარმომავლობის დადგენას. როდესაც ანგარიშზე ხდება 30 000 ლარის, (ექვ. ვალუტაში) შეტანა, ბანკის

თანამშრომელი აუცილებლად ეკითხება თანხის შემომტანს თუ საიდან არის აღნიშნული თანხა, რომელზეც პასუხი სავალდებულოა. სხვადასხვა საბანკო დაწესებულებაში შესატანი თანხის ლიმიტი განსხვავებულია. თიბისი ბანკში აუცილებელია ინფორმაციის გამხელა 30000 ლარს ზემოთ განხორციელებული ტრანზაქციის დროს. ტერა ბანკში აღნიშნული ლიმიტი შეადგენს 15000 ლარს. ხოლო რაც შეეხება საქართველოს ბანკს, აღნიშნულს ეს შეზღუდვა არ აქვს. მხოლოდ საკმაოდ დიდი თანხის შეტანის შემთხვევაში ინტერესდება AML განყოფილება თანხის წარმომავლობით. როდესაც კლიენტს არ სურს თანხის წარმოშობის გზის გამხელა, მას შეუძლია შესატანი თანხის დანაწევრება, რაც უკანონოა და გულისხმობს თანხის ნაწილ ნაწილ შეტანას. მაგალითად 10000-10000-10000 ად შეტანას. თანხის დანაწევრება ასევე შესაძლებელია კრედიტის აღების დროს. თუკი სესხის თანხა აღემატება 15 000 ლარს, სესხის მიზნობრიობა უნდა იყოს მკაცრად გაწერილი. შესაბამისად თუკი მსესხებელს არ სურს თანხის მიზნობრიობის გამჟღავნება, მას შეუძლია სესხის ნაწილ ნაწილ აღება. აღნიშნული დანაწევრების მონიტორინგიც AML დეპარტამენტის მოვალეობაა. ბანკის შესაბამისობის რისკის მართვის განყოფილების AML ქვეგანყოფილება წარმოადგენს აღმასრულებელ ორგანოს, რომელიც ახორციელებს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (AML პროცედურები) აღკვეთის პოლიტიკას. შესაბამისობის რისკის მართვის განყოფილების უფროსი ანგარიშვალდებულია რისკის, ეთიკისა და შესაბამისობის რისკის მართვის კომიტეტის (RECC) წინაშე, რომელსაც ყოველკვარტალურად წარუდგენს ანგარიშს განვლილი პერიოდის განმავლობაში ჩატარებული სამუშაოების შესახებ. მეტი თვალსაჩინოებისთვის განვიხილოთ ტერმინები, რომელთანაც შეხება გვექნება ფულის გათეთრებასთან დაკავშირებით.

- უკანონო შემოსავალი არის შემოსავლის ტიპი, რომელიც არის პირის საკუთრებაში და რომლის დასაბუთებაც შეუძლებელია
- ქონება არის ნებისმიერი ნივთი რომელსაც განკარგავს ფიზიკური ან იურიდიული პირი
- ფულის გათეთრება გულისხმობს ფულის გამოყენებას, რომელიც მიღებულია კრიმინალური საქმიანობიდან და რომლის პირდაპირ გამოჩენა და გამოყენება შეუძლებელია. ფულის გათეთრება მოიცავს რისკებსაც, რომელიც გულისხმობს ტერორისტთა დაფინანსებას ან ისეთი საქმიანობის დაფინანსებას რომელიც არის კრიმინალური.
- სატრანზიტო ანგარიში არის ანგარიში რომლის მეშვეობითაც კლიენტს შეუძლია განახორციელოს საკუთარი გადარიცხვები დამოუკიდებლად. სატრანზიტო ანგარიში ცნობილია როგორც გამტარი ანგარიში.
- საბოლოო ბენეფიციარი მფლობელი არის ფიზიკური პირი, რომელიც ფლობს ან აკონტროლებს კლიენტის/პარტნიორის მხარეს; ასევე, ის ფიზიკური პირი, რომლის სახელზეც შესრულდა ტრანზაქცია ან დამყარდა ბიზნეს ურთიერთობა, სამეწარმეო იურიდიული პირის ბენეფიციარი მესაკუთრე არის მისი წილის ან ხმის უფლების მქონე აქციების 25 პროცენტის ან მეტის პირდაპირი ან არაპირდაპირი ფორმით საბოლოო მესაკუთრე.
- მოკორესპონდენტო ბანკი - არის ბანკი, რომლის მეშვეობითაც მუდმივად ხორციელდება გადახდები და ანგარიშსწორება კლიენტების მიერ მოთხოვნილი ტრანზაქციების დამუშავების მიზნით.
- საეჭვო ზონა – ქვეყანა ან ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი, რომელიც მიჩნეულია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სუსტი მაკონტროლებელი მექანიზმის მქონედ.
- გარიგებების დანაწევრება ამ პოლიტიკის მიხედვით გულისხმობს ერთი პირის მიერ ან ერთი ბენეფიციარის

სასარგებლოდ დროის გარკვეულ პერიოდში შესრულებული გარიგებების ერთობლიობას, რომლის ჯამური ოდენობა აღემატება 30 000 ლარს ან მის ექვივალენტს სხვა ვალუტაში და რომლის შესახებაც არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ მოხდა მათი განგებ დანაწევრება. ეჭვის დასაბუთების საფუძველს წარმოადგენს AML ოფიცრის მიერ ჩატარებული ანალიზი.

იმისათვის რომ უკეთ ჩავატაროთ კლიენტების მონიტორინგი, ამისათვის საჭიროა „იცნობდე შენს კლიენტს“ (Know Your Customer - KYC). ეს არის მუდმივი, რისკზე დამყარებული პროცესი, რომელიც ემსახურება ბანკის კლიენტებზე, მათ საქმიანობაზე და ფინანსური სახსრების წარმომავლობაზე საჭირო ინფორმაციის მოპოვებას. ბანკი არა მხოლოდ ამოწმებს მისი კლიენტების ვინაობას, არამედ აგრეთვე მონიტორინგს უწევს ანგარიშებზე არსებულ ბრუნვას, რათა განსაზღვროს ის ტრანზაქციები, რომლებიც არ შეესაბამება აღნიშნული კლიენტისათვის მოსალოდნელ ან მისთვის ჩვეულ ტრანზაქციებს ან ანგარიშის ტიპს. საბანკო სისტემა ALTA_ში არსებობს ჩანაწერი რომელიც აღნიშნავს, რომ კლიენტის მონაცემების განახლებიდან გასულია დიდი ვადა, შესაბამკისად ავტომატურად ენიჭება სტატუსი, რომ KYC ინტერვიუ განსაახლებელია. შესაბამისად როდესაც კლიენტი ბანკში მიდის, მომსახურე მენეჯერი ავტომატურად ახდენს ინფორმაციის განახლებას. ბანკი კლიენტს ყოფს მისი რისკების დონის მიხედვით. კლიენტის შეფასებისას ვიყენებთ კლიენტის წარმოშობის ქვეყანას, ვინაობას, პროფესიას, მის ბრუნვას, იმ ქვეყანას სადაც ის საქმიანობს და სხვას. მაგალითად საქართველოს საბანკო სისტემაში არ ემსახურებიან ერაყის მოქალაქეებს.

კლიენტის რისკის დონეებია:

- დაბალი რისკი
- საშუალო რისკი

- მაღალი რისკი
- კრიტიკული რისკი

ფიზიკური პირების კლასიფიკაცია ხდება შემდეგი მაჩვენებლების მხიედვით:

- გეოგრაფიული რისკი
- საქმიანი რისკი

იურიდიული პირების კლასიფიკაცია ხდება შემდეგი ნიშნების მიხედვით:

- გეოგრაფიული რისკი
- საქმიანობის რისკის მიხედვით
- იურიდიული ფორმის რისკის მიხედვით

კლიენტს მიენიჭება რისკის დონე. როცა ბანკი ფლობს სრულყოფილ ინფორმაციას კლიენტის შესახებ და აქვს დეტალური წარმოდგენა მის ბიზნესსა და ტრანზაქციების ხასიათზე. იმ შემთხვევაში, თუ ბანკი ვერ ახერხებს კლიენტების სათანადო შემოწმების პროცედურის სტანდარტული მეთოდის სრულყოფილად განხორციელებას ან კლიენტი უარს ამბობს მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდებაზე, საქმიანი ურთიერთობის დამყარება, ან უკვე არსებულის გაგრძელება დაუშვებელია.

თუ კლიენტთან თანამშრომლობის დაწყებამდე ბანკი შეიტყობს, რომ კლიენტი ან საბოლოო ბენეფიციარი მფლობელი არის პოლიტიკურად აქტიური პირი, კლიენტთან საქმიანი ურთიერთობის დაწყების საკითხი წინასწარ უნდა შეთანხმდეს AML ქვეგანყოფილებასთან. AML ქვეგანყოფილება უზრუნველყოფს ბანკის შესაბამისი დირექტორისაგან ასეთ პირთან საქმიანი ურთიერთობის დამყარების ნებართვის მიღებას. პოლიტიკურად აქტიური პირები მაღალრისკიანი კლიენტების ჯგუფში რჩებიან თანამდებობიდან წასვლის ან გადადგომის დღიდან მინიმუმ 1 წლის განმავლობაში. ამის შემდეგ AML ქვეგანყოფილებამ უნდა

გადაწყვიტოს, დატოვოს თუ არა აღნიშნული პირები მაღალრისკიანი კლიენტების კატეგორიაში, ან გადაიყვანოს სხვა რისკის კატეგორიაში. ყოველთვის, როდესაც ვცდილობთ ავიღოთ კრედიტი საფინანსო ინსტიტუტში უნდა ვიცოდეთ, რომ სხვადასხვა დეპარტამენტი ყველაფერს ამოწმებს და ცდილობს რომ არ დაირღვეს კანონი. სწორედ იმისათვის, რომ არ მოხდეს საბანკო საკრედიტო პროდუქტების არასწორად და არამიზნობრივად გაცემა უნდა მოხდეს ყველა ზემოთაღნიშნული საკითხების შესწავლა და გათვალისწინება. წინააღმდეგ შემთხვევაში დარღვეული იქნება მიზნობრიობა, რომელიც განსაზღვრავს საპროცენტო განაკვეთსა და ვადას. შესაბამისად ერთმა არასწორმა ნაბიჯმა შესაძლოა გამოიწვიოს არალეგალური ბიზნესის დაფინანსება და ფულის გათეთრება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვებგვერდი: www.nbg.gov.ge
2. თიბისი ბანკის შიდა გამოყენების საბუთები
3. საქართველოს ორგანული კანონი

მუშაკთა შრომითი კმაყოფილება - ორგანიზაციის წარმატების შემადგენელი

Worker Job Satisfaction - A Component of Organization Success

ია ჯიმშიტაშვილი - პროფესორი
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ia.jimshitashvili@tesau.edu.ge

Ia Jimshitashvili - Professor
Telavi State University
Ia.jimshitashvili@tesau.edu.ge

რეზიუმე: შრომითი კმაყოფილება და მისი კვლევა კვლავ რჩება საკმაოდ აქტუალურ საკითხად ბიზნეს სფეროში, სტატიაში განხილული მცირე კვლევაც აღნიშნულს ადასტურებს, მუშაკი როგორც ნებისმიერი ტიპის ორგანიზაციის ცენტრალური ფიგურა მუდმივად უნდა იყოს განხილვის საგანი და მუდმივად უნდა იდგეს დღის წესრიგში მისი სამუშაო უნარ-ჩვევების ამაღლება.

საკვანძო სიტყვები: ბიზნესი, ორგანიზაცია, სოციალური გარემო, შრომით კმაყოფილება

Summary: Job satisfaction and its research remain a very topical issue in the business field. The small research discussed in the article also confirms that the worker as a central figure of any type of organization should be constantly discussed and constantly be on the agenda to improve his/her working skills.

Keywords: business, organization, social environment, job satisfaction,

ორგანიზაციების წარმატებული ფუნქციონირებისათვის საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს მის სოციალურ გარემოს, რაზეც გარკვეულწილადაა დამოკიდებული მუშაკთა შრომის მწარმოებლურობის მაღალი დონე. ის თუ რამდენად კომფორტულად გრძნობს მუშაკი თავს დამსაქმებელ ორგანიზაციაში და თუ

რამდენად გრძელვადიანია ეს შეგრძნება აისახება მისი მუშაობის შედეგებზე.

დღეს ფართო განხილვის საგანია ოთხდღიან სამუშაო გრაფიკზე გადასვლა, რაც ძირითადად ევროპის განვითარებულ ქვეყნებში განიხილება, მნიშვნელოვანია ახალი ზელანდიის შედეგი, რომლებიც დროებით გადავიდნენ ოთხდღიან სამუშაო კვირაზე და ორი თვის შემდეგ გადაწყვიტეს რომ საერთოდ გადასულიყვნენ ამგვარ გრაფიკზე, მათთან მიღებული შედეგის მიხედვით გაიზარდა მუშაკთა პროდუქტიულობა, მუშაკები მეტ ყურადღებას აქცევენ დეტალებს, გამომდინარე იქიდან რომ დამსაქმებელმა მისცა მუშაკებს დასვენების დღის არჩევის უფლება (ორი დღიდან ერთ-ერთი), და მათ თავისთავად სხვადასხვა დღე აირჩიეს, დაწესებულებაში შემცირდა მუშაკთა რაოდენობა, რამაც თავის მხრივ შეამცირა ხმაური, რამაც დანარჩენების საქმეში ჩართულობა და კონცენტრირება გაზარდა, საგრძნობლად შემცირდა სტრესის დონე, და გაიზარდა სამუშაოსადმი ერთგულება.

ამ მიდგომას რაღა თქმა უნდა ყავს მიმდევრებიც და მოწინააღმდეგებიც, და რაღა თქმა უნდა ხელაღებით ყველა კომპანიისთვის ეს შეიძლება არ იყოს მისაღები, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ თბილისში საკონსულტაციო რეკრუტინგულმა კომპანია „ინსორსმა“ განაცხადა რომ გადადის ოთხდღიან სამუშაო გრაფიკზე, ისინი დარწმუნებულები არიან რომ ამით გაიზრდება მუშაკთა „სამსახურებრივი ბედნიერება“. მომავალში დრო გვიჩვენებს თუ რამდენად მომგებიანი და გრძელვადიან პერსპექტივებზე გათვლილი აღმოჩნება ეს ახალშემონაღები.

რას ვგულისხმობთ როდესაც ვსაუბრობთ სოციალურ გარემოზე? რა თქმა უნდა პირველ რიგში უნდა (1) მუშაკებს შევეხოთ, ორგანიზაციაში დასაქმებულ ადამიანებს, განურჩევლად პირობებისა თუ დროის ჭრილისა (ხელშეკრულებით დაქირავებულნი, შტატიანი

თუ მოწვეული პერსონალი, კონსულტანტები თუ მენეჯერული ფენა, დამხმარე თუ ძირითადი შემადგენლობა);

2) შემდგომ მოვიაზრებთ ორგანიზაციის ინფრასტრუქტურას, სოციალურ ინფრასტრუქტურას, ამგვარის არსებობა არა მარტო ორგანიზაციის იმიჯზე მეტყველებს, არამედ ხელს უწყობს მათი თანამშრომლების კეთილდღეობას, მუშაკები ახერხებენ საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას მინიმალური ფინანსური დანახარჯებით, საშუალება ეძლევათ გაიუმჯობესონ ჯნმრთელობის მდგომარეობა და აიმაღლონ შრომისუნარიანობა;

3) შემდგომ ყურადღებას გავამახვილეთ სოციალურ-ფსიქოლოგიურ შემადგენელზე, თუ როგორი ურთიერთობები აქვთ მუშაკებს ერთმანეთთან, ხელმძღვანელებთან, დაქვემდებარებულებთან, აღნიშნული მჭიდრო კავშირშია შრომისა და მართვის კულტურასთან, მართვის სტილთან, ურთიერთობების კულტუ-რასთან;

4) აუცილებლად უნდა შევჩერდეთ შრომის პირობებზე და დაცვაზე (უსაფრთხოებაზე), აქ დიდი როლი ტექნიკურ შემადგენელსაც უკავია, აგრეთვე აქვე მოიაზრება სანიტარული და ჰიგიენური ნორმები;

5) სტიმულირების სისტემა, აუცილებელია იყოს გამჭვირვალე და ობიექტური, რეალურ მიღწევებზე დაფუძნებული;

6) სოციალური დაცვა - სოციალური შეღავათებისა და გარანტიების არსებობა;

7) დასვენების შესაძლებლობა, რომელიც არა მარტო მუშაკებზე არამედ მათი ოჯახის წევრებზეც გავრცელდება, კულტურული დასვენება ადამიანის ერთ-ერთი მოთხოვნილებაა, რაც ხელს უწყობს არა მარტო მისი კულტურის დონის ამაღლებას არამედ ოჯახური

ფასეულობების ჩამოყალიბებას, სამუშაო ჯგუფში მჭიდრო და ჯანსაღი ურთიერთობების შექმნას. აღნიშნული საკითხის უფრო ღრმად შესწავლისათვის ჩვენ მიერ ჩატარებული იქნა მცირე კვლევა, გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 154 რესპოდენტმა.

მაღალი ანაზღაურება	54,10%
შრომის პირობები	18,03%
მეგობრული თანამშრომლები	19,67%
ინიციატივის გამოვლენის შესაძლებლობა	3,28%

პასუხები კითხვების ნაწილზე არ იყო ჩვენთვის მოულოდნელი, მაგალითად გამოკითხულთა უმეტესობისათვის სამსახურში ანაზღაურება ყველაზე მნიშვნელოვანია, რაც ლოგიკურიცაა ნებისმიერი განვითარებადი ქვეყნის მოსახლეობისათვის, თუმცა შრომით კოლექტივს და შრომის პირობებსაც აქვს გარკვეული მნიშვნელობა, სამწუხაროდ გამოკითხულებისთვის არ აღმონდა მნიშვნელოვანი საკუთარი ინიციატივის (შესაძლებლობების) გამოვლენის ფაქტორი, რაც მეტყველებს სამუშაოთი ნაკლებ დაინტერესებას. შემდეგი კითხვა კარიერული ზრდის შესაძლებლობას შეეხო და გამოკითხულთა 74% აქვს ამის შესაძლებლობა და 26% კი არა. საინტერესო იყო თუ რამდენად საინტერესო სამუშაო აქვთ გამოკითხულებს, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა:

გაინტერესებთ და მოგწონთ	77,78%
არ გაინტერესებთ და არ მოგწონთ	4,04%
ველი წასვლის შესაძლებლობას	18,18%

გამოკითხულთა ძალიან მცირე ნაწილი ელოდება უკეთესი შემოთავაზების გამოჩენას რათა დაუყოვნებლივ დატოვოს სამსახური, აქედან გამომდინარე ცოტა გაუგებარია თუ 77% აქვს ძალიან საინტერესო სამუშაო რატომ არ აქვთ ინიციატივის გამოვლენის დაინტერესება? გამოკითხულთა 93% შრომის ანაზღაურება დროულად, დაგვიანებების გარეშე ერიცხება, ამ ფაქტორით უკმაყოფილო მხოლოდ 7% გახლდათ.

რაც შეეხება კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობას 68% აქვს დანარჩენი გამოკითხულები სამწუხაროდ ამ სიკეთით ვერ სარგებლობენ, უნდა აუცილებლად აღინიშნოს რომ ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხს, რადგან სწრაფად ცვალებად გარემოში უთუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ცოდნისა და საჭირო უნარების განახლებას, რა თქმა უნდა ეს დამატებით ხარჯებთან იქნება დაკავშირებული, მაგრამ ეს ისეთი ხარჯებია, რომელთა უგულვებელყოფა არანაირად არ მოუტანს ორგანიზაციას სიკეთეს გრძელვადიან პერსპექტივაში.

შემდეგმა კითხვამ გვაჩვენა რომ რესპოდენტთა 89% ხელმძღვანელებთან აქვს ღია და საქმიანი ურთიერთობები, რაც თავისთავად ძალიან კარგი ფაქტია და მეტყველებს მათ დამსაქმებელ ორგანიზაციაში სწორი მენეჯმენტის არსებობაზე. აგრეთვე დადებითი მოვლენაა რომ რესპოდენტთა 87% მიიჩნევს რომ მათი დამსაქმებელი ორგანიზაცია პრესტიჟული სამუშაო ადგილია ქალაქისა და რეგიონის მასშტაბით, ანუ მაინც მნიშვნელოვანი ყოფილა არა მარტო ანაზღაურების სიდიდის ფაქტორი არამედ ისიც თუ რომელ კომპანიაშია მოქალაქე დასაქმებული, აესევე 76% დადებითად მიიჩნევს იმ პროდუქციისა თუ მომსახურების ხარისხს რასაც დამსაქმებელი კომპანია აწარმოებს / ეწევა. შრომის პირობებით 63% კმაყოფილი და ორგანიზაციაში დისციპლინის დონე 61% აკმაყოფილებს.

აქედან გამომდინარე შეგვიძლია შემდეგი დასკვნები გამოვიტანოთ, სოციალური სფერო და სამუშაოთი ყმაყოფილება მნიშვნელოვანი და ყურადსაღები ფაქტორია ნებისმიერი ორგანიზაციის წარმატებული საქმიანობისათვის და ეს ორი ფაქტორი მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან რომ მიუხედავად ბიზნეს ორგანიზაციის მიზნების კრებულისა - მუშაკი მაინც რჩება ცენტრალურ ფიგურად, ისინი დღეს გაცილებით ღიად საუბრობენ პრობლემებზეც და მიღწევებზეც, ერთნაირი დოზით გამოხატავენ კმაყოფილებასაც და უკმაყოფილობასაც, რაც უფრო გაიზრდება უარყოფითი მუხტი და კლიმატი მუთ უფრო მეტად იქნება რისკის წინაშე კომპანია და მით უფრო ნაკლებად ეფექტური იქნება მისი არსებობა. მიუხედავად იმისა თუ რომელ სექტორშია იგი, კერძო თუ სახელმწიფო. მიუხედავად ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სიდუხჭირის და მრავალი პრობლემის დამსაქმებლებს არ უნდა გამორჩეთ სტიმულირებისა და წახალისების საკითხი მხედველობის არედან, ისედაც ფართოდაა ცნობილი მრავალი დამასტიმულირებელი მიდგომა რომელიც არ საჭიროებს დიდი ფინანსურ დანახარჯებს და რომლებსაც შეუძლიათ აამაღლოს მუშაკის შრომისუნარიანობა, საჭიროა მათი მორგება ამა თუ იმ ორგანიზაციის სპეციფიკასთან.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:

1. https://moluch.ru/archive/137/38441/
2. https://e-koncept.ru/2017/970800.htm
3. https://www.fundamental-research.ru/ru/article/view?id=35648
4. http://www.glossary.ru/cgi-bin/gl_sch2.cgi?RRu.ogr;tg9!xwlkg!uwjgtong.oo
5. https://studme.org/60441/psihologiya/sotsialnaya_sreda_organizatsi
6. https://zaochnik.com/spravochnik/psihologija/organizatsionnaja-psihologija/sotsialnaja-sreda-organizatsii/

საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის განვითარების ტენდენციები

Development Tendencies of Georgia's Economic Policy

ნაზი ჭიკაიძე - პროფესორი
სსაქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
სალომე ოღაძე - მაგისტრი
საქართველოს უნივერსიტეტის

Nazi Chikaidze - Professor
Georgian Technical University
Salome Oghadze - Master
University of Georgia

რეზიუმე: თანამედროვე სამყაროში, არსებული ეკონომიკური განვითარების ფონზე, მეტად მნიშვნელოვანია ეკონომიკური პოლიტიკის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების გაცნობა და განსაზღვრული ფუნქციების ჩამოყალიბება, რათა მაქსიმალური სიზუსტით მოხდეს მისი როლის შეფასება სახელმწიფოს ცხოვრებაში.
დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალურად აქტიური ადამიანის დამოუკიდებელ, რაციონალურ და ოპტიმალურ გადაწყვეტილებას. ამგვარი გადაწყვეტილებისთვის საჭიროა ეკონომიკური ცოდნა, რათა სწორად შევაფასოთ ეკონომიკური პოლიტიკის რეალურობა და პრაგმატულობა.
როდესაც საუბარია სახელმწიფოს როლსა და ფუნქციებზე ეკონომიკური პოლიტიკის ფარგლებში, უნდა ითქვას, რომ ნებისმიერი სახელმწიფოს სწორი ეკონომიკური პოლიტიკა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცებაში, სოციალური პრობლემების მოგვარებასა და ზოგადად სახელმწიფოს გრძელვადიანი პერსპექტივების განსაზღვრაში.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური პოლიტიკა; სახელმწიფოს როლი; კონკურენტუნარიანობა; ეკონომიკური ზრდა

Resume: In the modern world, in conditions of the current economic development, it is important to understand the theoretical and practical aspects of economic policy and to formulate with maximum accuracy specific functions in order to assess its role in the life of the state.
The independent, rational and optimal decision of a socially active person is essential for the development of the democratic society. Such a decision requires economic knowledge to properly assess the reality and pragmatism economic policy.
When we talk about the role and functions of the state in economic policy, the proper economic policy of any state plays an important role in strengthening the sovereignty of the country, in solving social problems and in defining the long-term prospects of the state in general.
Keywords: Economic Policy; Role of the State; Competitiveness; Economic Growth.

შესავალი: ეკონომიკურ თეორიაში ორი საფუძვლიანად განსხვავებული მიდგომა არსებობს იმის შესახებ, თუ რა როლი ეკისრება სახელმწიფოს ეკონომიკაში: გამოყოფენ ლიბერალურ, იგივე კლასიკურ მოდგომად წოდებულ მხარეს და კეინზიანურ მიდგომებს:

- კლასიკური მიდგომის მიხედვით, ეკონომიკა აღიქმება სტაბილურ ელემენტად და სახელმწიფოს ჩარევა სხვადასხვა პროცესებში მხოლოდ აფერხებს საბაზრო კონკურენციის მექანიზმის მუშაობას, ამიტომაც სახელმწიფოს მხრიდან აქტიური მონაწილეობა მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი.
- კეინზიანიზმის მიხედვით, სახელმწიფო ქვყენის ეკონომიკური პროცესების მთავარი რეგულატორია. 1929–1933 წლების "დიდი დეპრესია" იმის ნათელ მაგალითად მოგვევლინა, რომ ბაზარი დამოუკიდებლად უძლურია ისეთი პრობლემების წინაშე როოგრიცაა – უმუშევრობა და წარმოებული პროდუქციის შემცირება.

აღსანიშნავია, რომ XX საუკუნის 30–იანი წლებიდან კეინზიანური ეკონომიკის მოდელი ბევრ განვითარებულ ქვეყანაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. თუმცა, სანამ ახალი ხელისუფლების მიერ ახლებური პოლიტიკური პლატფორმის შექმნაზე გადავალთ, გასათვალისწინებელი რიგი ფაქტორები, რაც ხშირ შემთხვევაში ზრდის არაეფექტური ეკონომიკური გადაწყვეტულებების მიღებას და საზოგადოების გრძელვადიან ინტერესებთან აშკარა უთანხმოებასა და კონფლიქტში მოდის.

მნიშვნელოვანია, რომ ყოველივე ამის თავიდან ასაცილებლად და ეკონომიკური სუვერენიტეტის ასამაღლებლად აუცილებელია სახელმწიფოს მიერ არსებული პოლიტიკური კურსის ძირეული გადახედვა და ახლებური პოლიტიკური პლატფორმის ჩამოყალიბება, რაც დაფუძნებული იქნება კეინზიანურ მოდელზე.

ძირითადი ნაწილი ქართული ეკონომიკური რეალობის საფუძველზე, საქართველოს ეკონომიკური წიაღსვლისთვის მეტისმეტად ეფექტური იქნება კეინზიანური მოდელის აქტიური დანერგვა, კონკრეტულად კი შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

- კანონშემოქმედებითი და ნორმატიული აქტების მეშვეობით ადმინისტრაციული კონტროლის განხორციელება, რის თვალსაჩინო მაგალითად შეიძლება მოისაზროს ანტიკორუფციული და ანტიმონოპოლირი საბჭოს შექმნა და აქტიური მუშაობა. ელიტური კორუფციის, ტრასტული გარიგებების აღკვეთას და ბაზარზე კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას აქტიურად შეუწყობს ხელს ამ ბერკეტის გამოყენება.
- აუციელებელია ასევე შრომის კოდექსის ძირეული გადახედვა და დასაქმებულთა უფლებების მაქსიმალური დაცვა, რაც შეიძლება გამოიხატოს ისეთი შრომის კოდექსის მიღებაში, რომელიც უზრუნველჰყოფს: ასაკობრივი დისკიმინაციის დაუშვებლობას, დასაქმებულის გათავისუფლების შემთხვევაში წინასწარი მინიმუმ 3 თვის ხელფასის, რაც მსგავსი პოზიციისთვის არის დადგენილი და ხელშეკრულების პირობით გათვალისწინებული.

• საგადასახო სისტმის მოდერნიზება, ამის ნათელ მაგალითად შეიძლება პროგრესული საშემოსავლო გადასახადის მიღება მოგვევლინოს. საშემოსავლო გადასახადის მსგავსი მეთოდი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მოქმედებს და საზოგადოების შემოსავლების გათანაბრებაში უდიდეს როლს თამაშობს.

• გასათვალისწინებელია, უშუალოდ ის ფაქტიც, რომ სახელმწიფო წარმოება, ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორის აქტიური სტუმულირება ხელს შეუწყობს სახელმწიფოს ეკონომიკური სუვერენიტეტის ამაღლებას. კონკრეტულად უნდა განისაზღვროს ეკონომიკის იმ სექტორების მნიშვნელობა, რომელიც პრიორიტეტული იქნება, თუ სახელმწიფო ქონებაში და მმართველობაში მოექცევა. გარდა ამის, ეს შესაძლებელს გახდის დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნასა და განვითარებას შეუწყობს მნიშვნელოვნად ხელს.

• ტრანსფერები, დოტაციები და სუბსიდიები, აუცილებელია ისეთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეგულატორის ასამოქმედებლად, როგორიცაა: სუბსიდია, სუბვენცია და ა.შ.

პირდაპირი და ირიბი საექსპორტო სუბსიდიების მიზანმიმართულმა ამოქმედებამ შესაძლოა უდიდესი როლი შეასრულოს სტრატეგიული განვითარებაში, კერძოდ კი ეკონომიკის ისეთი დარგების ზრდაში, რომელთაც გარკვეული პოტენციალი გააჩნია.

სუბსიდიების სისტემის სწორ დაგეგმვას სოციალური პრობელემების გადაჭრაც ძალუძს, როგორც ევროპის მრავალ განვითარებულ ქვეყენაში მოქმედებდა საცხოვრებელი ფართის სუბსიდირებული და წინასწარ ეკონომიკური პოლიტიკასთან თანაფარდობაში მყოფი პროგრამები.[25]

---

[25] მდივანი გ . სახელმწიფოს როლი ქართულ ეკონომიკაში. თბ. 2014.

მეტად მნიშვნელოვანია, მოხდეს იმაზე, ზრუნვა, რომ სახელმწიფო ვალი ნელი, მაგრამ პერმანენტული ნაბიჯებით შემცირდეს.

რაც შეეხება საკუთრივ ეკონომიკის პოლიტიკას, აღნიშნული მიმართულების წარმატებით განვითარება საგრძნობლად გაზრდის ქვეყანაში პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, სამუშაო ადგილების რაოდენობას და რეგიონის ინფრასტრქუტურას.

ეკონომიკური პოლიტიკა არის სამეურნეო პროცესებზე სახელმწიფოს ზემოქმედების ღონისძიებათა ერთობლიობა საზოგადოებისათვის უმნიშვნელოვანესი მიზნების რეალიზებისათვის. მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე, თანამედროვე ქვეყნებში წარმოებული ეკონომიკური პოლიტიკა შეიძლება იყოს:

- ავანტიურისტული;
- ვოლუნტარისტული;
- პოპულისტური;
- რეალისტური.

იმ შემთხვევაში, როდესაც პოლიტიკაში უარყოფილია საზოგადოების მოთხოვნები, ქვეყნის რეალური შესაძლებლობები, ობიექტური კანონზომიერებანი და მასში მხოლოდ პოლიტიკის შემმუშავებლის სურვილები და ინტერესები დომინირებს, სახეზეა ვოლუნტარისტული პოლიტიკა.

როცა პოლიტიკა ვირტუალური, არარეალური და უპერსპექტივოა, საქმე გვაქვს ავანტიურიზმთან. თუ პოლიტიკაში დომინირებს არა ის, რაც ეკონომიკურად მიზანშეწონილია, არამედ ის, რაც ბევრისთვის მოსაწონია ეს პოპულიზმია. რეალური ეკონომიკური პოლიტიკა არის არა სურვილების, არამედ ეკონომიკური და მიზანშეწონილობების სინთეზი.

რეალური პოლიტიკის არსი საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისად არსებული ეკონომიკური შესაძლებლობების

მაქსიმალურ და პრაგმატულ გამოყენებაშია. სწორედ ამაშია ეკონომიკური პოლიტიკის პრაგმატიზაციის არსი.

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა სამ უმთავრეს პრინციპს ემყარება. პირველი პრინციპი ეკონომიკის რეალური (წარმოების) სექტორის განვითარებაზე ორიენტირებული სწრაფი და ეფექტიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაა, რაც განაპირობებს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პრობლემის გადაჭრას, სამუშაო ადგილების შექმნასა და სიღარიბის დაძლევას. მეორე პრინციპია ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რაც გულისხმობს მოსახლეობის საყოველთაო ჩართულობას ეკონომიკური განვითარების პროცესში (დიასპორის, მიგრანტების, ეთნიკური უმცირესობების და სხვა ჯგუფების ჩათვლით), ეკონომიკური ზრდის შედეგად საზოგადოების თითოეული წევრის კეთილდღეობას, მათ სოციალურ თანასწორობასა და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. მესამე ძირითად პრინციპს ეკონომიკური განვითარების პროცესში ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და მდგრადობის უზრუნველყოფა და ბუნებრივი კატაკლიზმების რისკების თავიდან აცილება წარმოადგენს.

ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ ძირეულ თვისებას წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის და კონკურენციის წახალისება, რასაც თან სდევს მეწარმეობის განვითარება და პროდუქციის მრავალფეროვნება. იმისათვის, რომ ქვეყანამ მოახდინოს ეკონომიკური პოლიტიკის წარმატებით დაგეგმვა და განხორციელება, აუცილებელია გადაიდგას შემდეგი ნაბიჯები:

- მოხდეს პრიორიტეტების დასახვა;
- შესწავლილ იქნას ეკონომიკური გარემო;
- გამოვლინდეს ეკონომიკური საჭიროებები;
- ხელი შეეწყოს მეწარმეობის განვითარებას;
- გაუმჯობესდეს კონკურენტუანიანი გარემო;

- გაიზარდოს პროდუქციის მრავალფეროვნება;
- მოძიებულ იქნას უფრო მეტი ინვესტიცია;
- ამაღლდეს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი
- გაუმჯობესდეს საცხოვრებელი პირობები.

ზემოთ ხსენებული პუნქტების თანმიმდევრულად და წარმატებით განხორციელება, ავტომატურად ცხადყოფს ქვეყანაში წარმატებული ეკონომიკური პოლიტიკის არსებობას.

ცალსახაა, რომ ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა ეკონომიკური განვითარებისა და პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია, რომელიც გარდა წმინდა ეკონომიკური გადაწყვეტილებებისა, მოიცავს არაეკონომიკურ ფაქტორებსაც, რომლებიც უზარმაზარ გავლენას ახდენენ ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე. ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის არაეკონომიკურ ფაქტორებს შესაძლოა მივაკუთვნოთ: პოლიტიკური პროცესები, საზოგადოების ჩართულობა სახელმწიფოს მართვის მნიშვნელოვან საკითხებში და განათლების დონე.[26]

თანამედროვე სამყაროში, არსებული ეკონომიკური განვითარების ფონზე, მეტად მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების განსაზღვრა და განსაზღვრული ფუნქციების ჩამოყალიბება, რათა მაქსიმალური სიზუსტით მოხდეს მისი როლის შეფასება სახელმწიფოს ცხოვრებაში, ეკონომიკური განვითარების პირობებში.

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობას ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანეს მამოძრავებელ ძალად მიიჩნევს. კონკურენციის

---

[26] ხადური ნ, „საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ანალიზი და პესპექტივები“. თბ.2010. გვ.23

არსებობა, როგორც შიდა, ისე გარე ბაზრებზე, ეკონომიკის წარმატებული ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა.

თუ ეკონომიკური პოლიტიკის საკითხთან მიმართებაში კონკურენციის როლსა და კრიტერიუმებზე ვისაუბრებთ და ერთგვარ შეჯამებას მოვახდენთ, შეიძლება ითქვას, რომ საბაზრო ეკონომიკის კონკურნეტუნარიანობა წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან ბიზნეს სექტორისათვის ისეთი პირობებისა და გარემოს შექმნას, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას თავისუფალი მოქმედებისა და მოთხოვნადი, კონკურენტუნარიანი საქონლის შექმნისა და წარმოებისა. ამ მიმართულებით დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის მატარებელი იქნება, მოხდეს ბაზრის კვლევა, როგორც შიდა ისე მსოფლიო, რომ უკეთესად იქნეს შესწავლილი არსებული გამოწვევები.

ამჟამინდელი სურათი მოწმობს იმას, რომ საქართველო აქტიურად ცდილობს გაიზიაროს წარმატებული პრაქტიკა. ამის დასტურია ის რეფორმები, რაც გატარდა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. ამით საქართველოს ეკონომიკამ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა. გარდა გატარებული ცვლილებებისა, მოხდა იმ პროცედურათა გამარტივება, რასაც ბიუროკრატიული პროცესების შემცირება ჰქვია. ეს კი ერთგვარად წაახალისებს სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის წარმატებით განხორციელებას.

სტრატეგიის ძირითადი ამოცანაა აღმოფხვრას ის ბარიერები, რომლებიც აფერხებს კერძო სექტორის მწარმოებლურობის და შესაბამისად, მისი კონკურენტუნარიანობის სტაბილურ ზრდას. „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“, რომლის განუყოფელი ნაწილია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ჩამოყალიბება, მიზნად ისახავს ევროკავშირის შიდა ბაზარზე საქართველოს ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას და ახალ პერსპექტივებს ქმნის ქართული კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად. აღნიშნული პროცესი ითვალისწინებს ვაჭრობის

სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობისა და ინსტიტუტების ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის შესაბამის რეგულაციებთან და სისტემებთან. შესაბამისად, საქართველოს საქონელს და მომსახურებას გზა გაეხსნება ევროკავშირის შიდა ბაზარზე, შეიქმნება ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების საფუძველი, მოიმატებს ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობა და გაიზრდება ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვის ახალი შესაძლებლობები

დასკვნა: მიუხედავად არსებული სიძნელეებისა, შეიძლება ითქვას, რომ ათწლეულის მანძილზე საქართველოში განხორციელებულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ, ქვეყანაში მიმდინარე სხვა დადებით ეკონომიკურ და პოლიტიკურ ტენდენციებთან ერთად, მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი სტაბილური ეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბებას, რაც გამოიხატა განუხრელი ეკონომიკური ზრდით.

რეკომენდაციები, რომელიც მზადდება მსოფლიოს ეკონომისტთა და ექსპერტთა მხრიდან, ერთმნიშვნელოვნად მიანიშნებს იმაზე, რომ სოციალური მიდგომები ეკონომიკური პოლიტიკის განვითარებისათვის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორია და რომ სახელმწიფოებმა უნდა მიმართონ თავისუფალ სავაჭრო ეკონომიკის პოლიტიკას უფრო ლიბერალიზაციის პირობებში, რათა მოხდეს მეწარმეთათვის შესაბამისი გარემოს შექმნა და ეკონომიკური პოლიტიკა ხასიათდებოდეს პროდუქციის მრავალფეროვნებით და გამოირჩეოდეს კონკურენტუნარიანი გარემოთი.

უნდა ითქვას, რომ საკანონმდებლო ბაზის რეგულირება, ჯანსაღი კონკურენუნარიანი გარემო, თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობები და მდგრადი ეკონომიკური განვითარების პოლიტიკა, საბოლოო ჯამში შექმნის იმ კომპლექსურ მოდელს, რომელსაც შეუძლია მოახდინოს ეკონომიკური პოლიტიკის როლის პრაქტიკაში წარმატებით გაზიარება და გადმოტანა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები; http://www.economy.ge უკანასკნელად გადამოწმდა 20.01.2020
2. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ http://www.economy.ge უკანასკნელად გადამოწმდა 20.01.2020

Методы изучения иностранных языков
Foreign Language Teaching Methodologies

Симон Цулая – факультет бизнес-администрирование,
Университет Короля Хуана Карлоса
s.tculaia@yahoo.com
Simon Tculaia - Faculty business administration,
King Juan Carlos University
s.tculaia@yahoo.com

Аннотация: В течении последних лет многих преподавателей иностранных языков волнует поиск новых методик обучения. Методисты во многих странах занимаются анализом уже существующих методов и технологий и их адаптацией к современным реалиям и требованиям и одновременно ищут кардинально новые подходы. Ведутся споры о том, как должен выглядеть процесс обучения иностранному языку в современной школе. Одни преподаватели выступают за сохранение традиционных методов, другие хотят полностью изменить всю систему. Есть и третья категория преподавателей, предлагающая объединить новые и старые формы. Но не у кого не вызывает сомнения, что изменения неизбежны. Это связано с рядом факторов: требованиями к конечным целям изучения языка, психологией современного студента и, конечно, с технологическими изменениями в окружающем нас мире.

Нынешнее время-период интенсивного развития технологий, прежде всего компьютерных. Это приводит к тому, что современные студенты лучше воспринимают и усваивают новую информацию через контакт с компьютерными информационными источниками. Использование компьютерных технологий в процессе изучения иностранного языка дает возможность сделать этот процесс легче для студентов и создать привычную для них среду. Это также позволяет

разнообразить работу и сделать ее интереснее для студентов. Благодаря мультимедийным ресурсам процесс изучения иностранного языка можно вынести за рамки учебной аудитории и сделать непрерывным. В некоторых случаях желание и потребность изучать язык приходит в результате использования данных ресурсов (общения в сети с носителями языка, просмотр программ и фильмов на иностранном языке, использование различных сайтов, требующих знание иностранного языка).

Таким образом, к современным школам, колледжам и вузам предъявляются требования о пересмотре подходов, которые до сих пор использовались для обучения иностранным языкам и поиск инновационных методов с учетом развития науки и техники. Ожидается, что они будут использовать мультимедиа и интернет технологии наряду с новыми моделями обучения, с целью ухода от ранее используемой модели, основанной на объяснениях преподавателя. Кроме того, студентам рекомендуется изучать иностранный язык с помощью компьютера, что составит 40-50% общего объема учебной нагрузки. Эти изменения перекликаются с идеей о главенствующей роли студента, которому компьютерные технологии предоставляют доступ к продвинутым методам обучения.

Ключевые термины: иностранный язык, методы изучения, современные методы, технологии и адаптации, инновационные методы, процесс изучения, психология, изменения.

Annotation: Over the past years, many foreign language teachers have been worried about the search for new teaching methods. Methodists in many countries are engaged in the analysis of existing methods and technologies and their adaptation to modern realities and requirements and at the same time are looking for radically new approaches. There is debate about how the process of teaching a foreign language in a modern school

should look like. Some teachers advocate the preservation of traditional methods, while others want to completely change the whole system. There is a third category of teachers, offering to combine new and old forms. But no one doubts that change is inevitable. This is due to a number of factors: requirements for the ultimate goals of language learning, the psychology of a modern student, and, of course, with technological changes in the world around us.

The current time is a period of intensive development of technologies, primarily computer ones. This leads to the fact that modern students better perceive and assimilate new information through contact with computer information sources. The use of computer technology in the process of learning a foreign language makes it possible to make this process easier for students and create a familiar environment for them. It also allows you to diversify the work and make it more interesting for students. Thanks to multimedia resources, the process of learning a foreign language can be moved beyond the classroom and made continuous. In some cases, the desire and need to learn a language comes as a result of using these resources (communicating online with native speakers, watching programs and films in a foreign language, using various websites that require knowledge of a foreign language).

Thus, modern schools, colleges and universities are required to revise the approaches that have so far been used for teaching foreign languages and to search for innovative methods taking into account the development of science and technology. It is expected that they will use multimedia and Internet technologies along with new teaching models in order to avoid the previously used model based on the explanations of the teacher. In addition, students are encouraged to learn a foreign language using a computer, which will be 40-50% of the total academic workload. These changes resonate with the idea of the dominant role of a student to whom computer technology provides access to advanced teaching methods.

Key terms: foreign language, study methods, modern methods, technologies and adaptations, innovative methods, the study process, psychology, changes.

Bibliography:

1. http://esl.fis.edu/teachers/support/method.htm
2. https://coerll.utexas.edu/methods/
3. http://www.cal.org/twi/rgos/methods.html

საგადამხდელო ბალანსის უარყოფითი სალდო და ვალუტის კურსის ცვალებადობა

Negative balance of payments and currency fluctuations

ნინო თევდორაშვილი-ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებულიპროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, სეუ n.tevdorashvili66@mail.ru
ნელი სესაძე-ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, სეუ nelisesadze@mail.ru
ლია პიტიურიშვილი-ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, სეუ l.pitiurishvili@mail.ru
ნაილი გაგნიძე - ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებულიპროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, სეუ ngagnidze@seu.edu.ge

Nino Tevdorashvili-Doctor of Economics, Associated Professor
Georgian National University, SEU n.tevdorashvili66@mail.ru
Neli Sesadze Doctor of Economics, Associated Professor
Georgian National University, SEU nelisesadze@mail.ru
Lia P itiurishvili Doctor of Economics, Associated Professor
Georgian National University, SEU l.pitiurishvili@mail.ru
Naili Gagnidze - Doctor of Economics, Associated Professor
Georgian National University, SEU. ngagnidze@seu.edu.ge

რეზიუმე: ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განხილვადი საკითხია არამარტო საქართველოში, არამედ მთლიანად მსოფლიოში. ასევე პრობლემური საკითხია საგადამხდელო ბალანსის მდგომარეობა. 2018 წლის მონაცემებით, 190-დან მხოლოდ 56 ქვეყანას გააჩნია დადებითი სავაჭრო სალდო, რაც აგრეთვე საერთაშორისო ეკონომიკასაც სერიოზულ პრობლემებს უქმნის.

გაცვლითი კურსის ცვალებადობა ზოგადად უარყოფით ზეგავლენას ახდენს მრავალი კომპანიის, ბიზნესის სექტორის, მთლიანად ქვეყნის ფინანსურ მაჩვენებლებზე. გაცვლითი კურსის რისკის შეფასებასა და მისი მართვის თანამედროვე ეფექტური მეთოდების შემუშავებას საერთაშორისო საფინანსო საქმიანობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

მიუხედავად იმისა, რომ ამ თემის ირგვლივ არსებობს მრავალი კვლევა, საკითხი ქვეყნის ვალუტისა და მისი მკვეთრი მერყეობის შესახებ დიდ ინტერესს იწვევს. ვალუტის კურსი ცვალებადი სიდიდეა და ამ

ცვალებადობის გამომწვევი მიზეზები და შედეგებიც ძალიან მრავალფეროვანია. უკანასკნელ წლებში ლარის გაუფასურებამ ეს საკითხი საქართველოში განსაკუთრებით აქტუალური გახადა და საზოგადოებაში დიდი ინტერესიც გამოიწვია.
საძიებო სიტყვები: საგადამხდელო ბალანსი, ვალუტის კურსი, მიმდინარე ანგარიში, კაპიტალის ანგარიში.

Rezume. The relevance of the research topic is determined by the fact that the balance of payments is a mirror of the state of the economy of each country. His condition expresses the scale and structure of the state's international economic relations. The balance of payments is a complex economic category, reflecting the inclusion of the national economy in the world economy, which is associated with negative and positive factors.
The state of the balance of payments can be directly affected by the exchange rate. Also, a comfortable rate is determined by the state of the balance of payments. The article shows the relationship between the balance of payments and the exchange rate on the example of Georgia.
Key words: balance of payments, exchange rate, current account, nominal exchange rate

შესავალი. საგარეო სავაჭრო მაჩვენებლებზე ვალუტის კურსის ზეგავლენის საკითხების გაშუქება მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს დაიწყო ა. მარშალის მიერ. მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ამ საკითხების შესწავლა ჯ. რობინსონმა გააგრძელა. ეს მიმართულება შემდგომ განვითარდა პ. მენდელის, პ. დორნბუშის, ჯ. სტიგლიცის, პ. კრუგმანის და სხვათა მიერ (ტრადიციული მანდელ-ფლემინგ-დორნბუშის მოდელები, ახალი ღია ეკონომიკის მაკრომოდელები) რომელთა მიხედვითაც ნომინალური გაცვლითი კურსის გაუფასურებას ექსპანსიური ზეგავლენა აქვს ეკონომიკურ ზრდაზე,

რაც გამოწვეულია ექსპორტის წახალისებითა და იმპორტის შემცირებით.[27]

გაცვლითი კურსი რთული ეკონომიკური მაჩვენებელია, რომელიც დამოკიდებულია უამრავ ერთმანეთთან დაკავშირებულ ფაქტორზე. აღსანიშნავია მთლიანი შიდა პროდუქტი, ინფლაცია, სახელმწიფო ვალი, საპროცენტო განაკვეთი, სავაჭრო ბალანსი, სპეკულირების როლი, უმუშევრობის, დასაქმების დონე. კურსის ცვალებადობას განაპირობებს აგრეთვე ქვეყანაში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა, გეოპოლიტიკური ფაქტორები და სხვა

ძირითადი ნაწილი. ვალუტის კურსი და ქვეყნის საგადამხდელო ბალანსი ურთიერთგანმაპირობებელი ეკონომიკური ბერკეტებია. ვალუტის კურსს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია იმ მაჩვენებელთა შორის, რომელნიც გამოიყენება საგადამხდელო ბალანსის სახელმწიფოებრივი რეგულირებისათვის. კურსის ცვლილება დაუყოვნებლივ ახდენს ზეგავლენას ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. იცვლება მისი საგარეო-ეკონომიკური მაჩვენებლები, სავალუტო რეზერვები, დავალიანება, სასაქონლო და ფინანსური ნაკადების დინამიკა.

ვალუტის კურსიც დამოკიდებულია საგადამხდელო ბალანსის მდგომარეობაზე. აქტიური საგადამხდელო ბალანსი ხელს უწყობს ქვეყნის ვალუტის კურსის ამაღლებას, რადგან იზრდება მასზე მოთხოვნა უცხოელი დებიტორების მხრიდან. პასიური საგადამხდელო ბალანსის შემთხვევაში ხდება პირიქით. საგადამხდელო ბალანსის ზეგავლენის სიდიდე ვალუტის კურსზე განისაზღვრება ქვეყნის ეკონომიკის გახსნილობის ხარისხით. ასე,

---

[27] პოლ კრუგმანი, მაურის ოფსვილდი. საერთაშორისო ეკონომიკა. თბ 2000

რაც უფრო მაღალია ექსპორტის წილი მთლიან ეროვნულ პროდუქტში (რაც უფრო მაღალია ეკონომიკის ღიაობის დონე), მით უფრო ელასტიურია ვალუტის კურსის ცვლილება საგადამხდელო ბალანსის ცვლილების მიმართ. საგადამხდელო ბალანსის არასტაბილურობა იწვევს შესაბამისი ვალუტის მოთხოვნისა და მიწოდების ნახტომისებურ ცვლილებებს. თანამედროვე პირობებში გაიზარდა კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის ზეგავლენა საგადამხდელო ბალანსსა და შესაბამისად ვალუტის კურსზე.

ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორები (2013-2017) ცხრილი №1

ეკონომიკური მაჩვენებელი	ზომის ერთ.	2013	2014	2015	2016	2017
მშპ მიმდინარე ფასებში	მლრდ ლარი	26.8	29.2	31.8	34.0	38.0
საშუალოწლიური გაცვლითი კურსი	დოლარი/ლარი	1.6634	1.7659	2.2702	2.3667	2.5086
საშუალოწლიური გაცვლითი კურსი	ევრო/ლარი	2.2094	2.3462	2.6175	2.5197	2.8322
მიმდინარე ანგარიში	მლნ$	-955.3	-1,784.5	-1,766.7	-1,890.1	1,332.0

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო კურსზე ზეგავლენას ახდენს სახელმწიფოს პოლიტიკა საგადასამხდელო ბალანსის რეგულირების სფეროში, მათ შორის აღასანიშნავია საბაჟო გადასახადების ცვლილება, საექსპორტო სუბსიდიები, იმპორტის შეზღუდვა და სხვა.

როგორც №1 ცხრილიდან ჩანს, ეროვნული ვალუტის, ლარის კურსის მოძრაობა ემთხვევა მიმდინარე ოპერაციების ბალანსის

სალდოს ცვლილებებს. ეროვნული ვალუტისათვის როგორც აშშ დოლართან, ისე ევროსთან მიმართებაში 2013-2017 წლებში გაუფასურების ტენდენცია იყო დამახასიათებელი, ასევე ზრდის ტენდენცია იყო დამახასიათებელი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტისათვის. ეროვნული ვალუტა უფასურდებოდა არა მხოლოდ დოლარისა და ევროს მიმართ, არამედ სხვა ვალუტებთან მიმართებაში.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით დღეისათვის ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში შეადგენს 2,8986 ლარს, რითაც ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია ბოლო ათწლეულში.

რაც შეეხება საგადამხდელო ბალანსს მიმდინარე ანგარიში უკანასკნელ წლებში დეფიციტურია, თუმცა დეფიციტის დონე შემცირებით ხასიათდებოდა. 2017 წელს საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა -1,332.0 მლნ აშშ დოლარი (38.0მლრდ ლარი, 2017 წლის მშპ-ს 3.5 პროცენტი) შეადგინა.[28]

[28] https://www.nbg.gov.ge/uploads/bop/bop_2017_geo_publish.pdf

როგორც ცხრილიდან ჩანს, მიმდინარე ანგარიშის უარყოფითი სალდოს ფორმირებაში მთავარი როლს, ტრადიციულად, საქონლით ვაჭრობა ასრულებს . საქონლით ვაჭრობის უარყოფითი სალდო 2017 წელს 2013 წელთან შედარებით 8 პროცენტით გაიზარდა და 3,804.1 აშშ დოლარი შეადგინა. მომსახურებით ვაჭრობის დადებითი ბალანსი (ტურისტული შემოსავლების გამო) ნაწილობრივ ანეიტრალებს საქონლით ვაჭრობის უარყოფით სალდოს. 2017 წელს 2,024.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა მომსახურების ბალანსმა. მომსახურებით ვაჭრობიდან ყველაზე მაღალი დადებითი სალდოთი ტურისტული მომსახურება გამოირჩევა. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს ამცირებს ასევე მიმდინარე ტრანსფერები.

მლნ $	2013	2014	2015	2016	2017
საქონელი	-3,506.2	-4,285.6	-3,951.9	-3,882.5	-3,804.1
მომსახურების ბალანსი სულ	1,416.3	1,306.0	1,404.1	1,577.0	2,024.3
ჩარიცხვა სულ	1,477.0	1,440.8	1,080.0	1,151.2	1,379.5
გადარიცხვა სულ	155.2	178.2	170.8	194.0	208.7

მიმდინარე ანგარიში (2013-2017წწ) ცხრილი№2

როგორც დიაგრამიდან ჩანს იმპორტირებულ სასაქონლო ჯგუფებში ღირებულების მიხედვით პირველ ადგილზეა ნავთობი და ნავთობპროდუქტები, მეორეზე მსუბუქი ავტომობილები ხოლო მესამეზე სპილენძის მადნები (6,8%), 4,0% უჭირავს იმპორტის

ღირებულებაში სამკურნალო საშუალებებს. 70% მოდის სხვა დანარჩენ საქონელზე.



წყარო:საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მნიშვნელოვანი წვლილი უჭირავს შავი ლითონის მეტალოკონსტრუქციების, სარეცხ-საწმენდი და ჰიგიენური საშუალებების იმპორტზე გაწეულ დანახარჯებს. ასევე აღსანიშნავია სხვადასხვა სახის სპეციალური დანადგარებისა და მანქანა-მოწყობილობების (აირის ან სითხის ხარჯის საზომი აპარატურა, ძრავები ტურბორეაქტიული, მანქანები მასალების ტემპერატურული ცვლილებით დასამუშავებლად და ელექტრული ტრანსფორმატორები) იმპორტი.

იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში დიდი მოცულობით წარმოდგენილია აგრობიზნესი და სოფლის მეურნეობაც.

საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის აღმოფხვრის და შესაბამისად ვალუტის კურსის დარეგულირების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს იმპორტირებული საქონლის ადგილობრივი საქონლით ჩანაცვლება წარმოადგენს.

ზემოთმოცემული საქონლის (შავი ლითონის მეტალოკონსტრუქციების, სარეცხ-საწმენდი და ჰიგიენური

საშუალებების და სხვა) იმპორტის ჩანაცვლება გრძელვადიან სტრატეგიას წარმოადგენს.

ცხრილი 3: აგროვაჭრობის წილი სავაჭ. ბალანსში 2017 (მლნ. აშშ დოლარი)

	საერთო ვაჭრობა	აგრო ვაჭრობა	სოფლის მეურნეობის წილი
ექსპორტი	3,499.1	774	20,4%
იმპორტი	7,374.0	1292	17.5%
ბალანსი	-3,874.9	-518	13.3%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ვფიქრობთ, სწორედ სოფლის მეურნეობის განვითარება შეძლებს მოაგვაროს საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის პრობლემები. უნდა მოხდეს და მეტიც, აუცილებელია ქართული აგრობიზნესის პროდუქცია ექსპორტის გზით გავიდეს უცხოეთში. ამ დარგის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის საქართველოს მთავრობამ 2016 წელს შეიმუშავა სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგია და 2017 წლის დეტალური სამოქმედო გეგმა, რომელის გახორციელებასაც კოორდინაციას უწევს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.[29]

საქართველოს აქვს პოტენციალი ბუნებრივი რესურსების თვალსაზრისით გახდეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტიორი. სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტის გაზრდისათვის აუცილებელია წარმოებული პროდუქციის ხარისხის

[29] https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/30 საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020 წწ

გაუმჯობესება და რაოდენობის გაზრდა. ეს ეხება ისეთ მნიშვნელოვან საექსპორტო პროდუქციას, როგორიცაა თხილი, სასმელები - ღვინო, მინერალური წყლები, წვენები, ლიმონათები, ჩირი და ტრადიციული ქართული პროდუქტები -ჩურჩხელა, სულგუნი, მაწონი.

ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოში კენკროვანების წარმოება, რომელიც მაღალი მოთხოვნილებით სარგებლობს (მოცვი, მაყვალი, ჟოლო), ასევე მაღალი ღირებულების ახალი და გადამუშავებული ხილი-კივი, ფეიხოია, სამკურნალო მცენარეები.

ყურადღება უნდა მიექცეს ისეთი პროდუქციის წარმოებას, რომლებიც სხვა ქვეყნებში არ იწარმოება ან მათი წარმოება სხვაგან რთული და ძვირი ჯდება. მაგალითად, ტრადიციული ტექნოლოგიებით დამზადებული ექსკლუზიური ღვინოები, სხვადასხვა კლიმატურ ზონების ნექტრის მატარებელი მცენარეების შემცველი თაფლი და განსაკუთრებით შაქრის მაღალი შემცველობის მქონე მაყვალი. ყველა ამ პროდუქტს აქვს უნიკალური სამომხმარებლო თვისებები და მათზე მოთხოვნა მსოფლიოში, მათ შორის ევროკავშირშიც მაღალია.

მიუხედავად ამ პოტენციალისა დღეისათვის საქართველოში კენკროვანების მიხედვით სავაჭრო ბალანსი უარყოფითია: ახალი ჟოლო და მაყვალი შემოგვაქვს 2,6 ათასი დოლარის, გაგვაქვს 1 ათასი დოლარის 2017 წლის მონაცემებით, ხოლო 2018 წელს ეს მაჩვენებლები მკვეთრად შემცირებულია და შესაბამისად შეადგენს 0,4, 0,6 ათას დოლარს. აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში იმპორტის გზით შემოდის გაყინული სახით კენკრა, რაც შეადგენს 2018 წლის მონაცემებით 142,2 ათას დოლარს. ეს მაჩვენებელი გაზრდილია წინა წლებთან შედარებით თითქმის 6-ჯერ. გამონაკლისია მოცვი, სადაც სავაჭრო ბალანსი დადებითია 2014-2018წწ (ექსპორტი-445,4 ათასი დოლარი, ხოლო იმპორტი -17,3 ათასი დოლარი 2018 წლისათვის). აქ იმპორტის ჩანაცვლების პოტენციალი აშკარად ჩანს. (მარწყვისა და

ხენდროს წარმოება 2016-2018 წლებში-2,6-1,2ათასი ტონა, ხოლო ჟოლო 0,2- 0,4 ათასი ტონა შესაბამისად).[30]

სოფლის მეურნეობის პირველადი და გადამუშავებული პროდუქტების ექსპორტისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA). საქართველოს აქვს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება დსთ-სთან და თურქეთთან (2008 წლიდან), უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი (MFN) ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) წევრ ქვეყნებთან, პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა (GSP) აშშსთან, კანადასთან, იაპონიასთან. თავისუფალი სავაჭრო სივრცე ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან (EFTA). 2016 წელს დასრულდა მოლაპარაკებები თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან.

მიუხედავად ასეთი შესაძლებლობებისა სოფლის მეურნეობის პროდუქციის, კერძოდ კი კენკროვანების წარმოების შემაფერხებელი მიზეზები მრავალფეროვანია, მათგან აღსანიშნავია სამაცივრე მეურნეობების არარსებობა, რაც მნიშვნელოვანია ამ პროდუქციისათვის; ასევე აღსანიშნავია სპეციფიკური განათლების დაბალი დონე, რაც უკავშირდება უკვე აღებული მოსავლის შენახვას. საქართველოში უმეტესად ეს დარგი წარმოდგენილია მცირე საწარმოების სახით, რაც აძნელებს საკუთარი ძალებით პროდუქციის ექსპორტს და ასე შემდეგ.

პრობლემურია ქვეყანაში ინვესტიციების სტრუქტურაც. უნდა აღინიშნოს, რომ მრეწველობაზე მოდიოდა ინვესტიციების 7.9 პროცენტი, 24.9 პროცენტი-ტრანსპორტზე, 16.0 პროცენტი საფინანსო სექტორზე. მშენებლობაში - 14.9 პროცენტი, ენერგოსექტორში -11.8 პროცენტი განხორციელდა. ინვესტიციების 9.4 პროცენტი მოდიოდა უძრავ ქონებაზე; 4.0 პროცენტი - სასტუმროებსა და

[30] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/297/sasursato-usafrtkhoeba

რესტორნებზე. სოფლის მეურნეობაში პირდაპირი ინვესტიციების წილი დაბალია-2017 წელს შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 0,7%.

ამ სტატისტიკური ინფორმაციის ბაზაზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სოფლის მეურნეობა განსაკუთრებული ზრუნვის საგანი უნდა გახდეს საქართველოს მთავრობის მხრიდან.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“ მიხედვით ძირითად მიმართულებად აღიარებულია სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის როლი ქვეყნის მდგრად განვითარებაში, [31] ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას შეიძლება სარგებელი მოუტანოს ბუნებრივი რესურსების მოპოვებამაც.



გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საქართველოს მთლიანი ექსპორტის თითქმის მეოთხედი სწორედ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე მოდის. ქვეყანას ბუნებრივი რესურსების მნიშვნელოვანი მარაგი გააჩნია. დღეისათვის აქცენტი გაკეთებულია სამშენებლო მასალების (ქვების) მოპოვებაზე. ამ შემთხვევაშიც დარგი მცირე საწარმოების სახითაა წარმოდგენილი.

---

[31] საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020 http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf

საქართველოში ოქროს დაცული მარაგები 2017 წლის 1 იანვრ ის მდგომარეობით 60 923 კილოგრამს შეადგენს. კაზრეთის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საწარმოა, სადაც მუშავდება ქართული ოქრო.

ბუნებრივი რესურსების მოპოვებაზე მოდის ქვეყნის მშპ-ს 1%. ბუნებრივი რესურსების მოპოვების ზრდა გაზრდის დასაქმებას, შემოსავლებს, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტსაცა. ბუნებრივი რესურსების დამუშავების სექტორს აქვს პოტენციალი.

დასკვნა: საქართველოს მომავალი, ლარის კურსის სტაბილურობა დამოკიდებულია რეალური ეკონომიკის ზრდაზე, მის ინდუსტრიალიზაციაზე. პრიორიტეტული უნდა გახდეს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა. იმაზე, თუ რამდენად სწრაფად გაიზრდება ეკონომიკის ისეთი დარგები, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ბუნებრივი რესურსების მოპოვება. სახელმწიფოებრივი პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს ამ დარგების სწრაფი განვითარებისაკენ. ეკონომიკის ზრდის ნელი ტემპი წინაპირობა იქნება ეროვნული ვალუტის გაუფასურდების .

გამოყენებული ლიტერატურა

1. პ. კრუგმანი, მაურის ოფსვილდი საერთაშორისო ეკონომიკა. 2000
2. ბლანშარი ო. მაკროეკონომიკა. თბ.ს უნ-ტის გამომცემლობა, 2010;
3. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=353 საქართველოს ეროვნული ბანკი (გადამოწმებულია 2020. 20 .01)
4. https://cyberleninka.ru/article/n/platezhnyy-balans-rossii-i-dinamika-valyutnogo-kursa-effekt-razvorota-tekuschego-scheta (გადამოწმებულია 2020. 20 .01)
5. https://www.gfsis.org/ge/blog/view/864 (გადამოწმებულია 2020. 20 .01)
6. http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf (გადამოწმებულია 2020. 20 .01)
7. https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/30 (გადამოწმებულია 2020. 20 .01)

პირველადი ჯანდაცვის მენეჯმენტის სრულყოფის ზოგიერთი ასპექტი

Some Aspects of Improving Primary Care Management

მარიამ მგელაძე - დოქტორანტი,
საქართველოს უნივერსიტეტი
m.mgeladze91@yahoo.com

Mariam Mgeladze - PhD student,
University of Georgia
m.mgeladze91@yahoo.com

აბსტრაქტი: 2017 წლის მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველო საშუალოზე დაბალი შემოსავლის ქვეყანას მიეკუთვნება. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ჯანმრთელობაზე დანახარჯები მნიშვნელოვან ზრდას განიცდის, ევროპის რეგიონის ქვეყნებს შორის საქართველო ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა ჯანდაცვაზე დანახარჯის წილით. ქვეყანაში მიმდინარე ჯანდაცვის სისტემის რეფორმა ითვალისწინებს მრავალი ცვლილების გატარებას, მათ შორის პირველადი ჯანდაცვის კუთხით, რადგან ეს რგოლი არის პაციენტთან პირველი კონტაქტის ადგილი. ძლიერ პირველად ჯანდაცვას, კი აქვს შესაძლებლობა, რომ უმეტესწილად დააკმაყოფილოს პაციენტის საჭიროებები.

ჯანდაცვის სექტორში არსებული რეფორმების მიუხედავად, კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება პირველადი ჯანდაცვის დეფინიცია, სისტემის ორგანიზაციული მოწყობის მოდელი და მარეგულირებელი გარემო, სუსტი უკუკავშირი პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებსა (პჯდ) და ჰოსპიტალურ დაწესებულებებს შორის, მომსახურების ფრაგმენტულობა, ნაკლები ყურადღება დაავადებათა პრევენციაზე, მათ ადრეულ გამოვლენასა და მართვაზე. შესაბამისად, საკმაოდ აქტუალურ პრობლემად რჩება პირველადი ჯანდაცვის განვითარებისა და მენეჯმენტის სტრატეგიების შემუშავება.

საკვანძო სიტყვები: პირველადი ჯანდაცვა, ჯანდაცვის დაფინანსების საკითხები, ჯანდაცვის მენეჯმენტი, საზოგადოებრივი ჯანდაცვა,

პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებები, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია

Abstract: According to the World Bank 2017 data, Georgia belongs to a lower-middle income country. Despite of spending on health has grown significantly in recent years, Georgia is one of the last countries in the European region with a share of health care spending. The reform of the current healthcare system in the country involves many changes, including primary care, as this is the first point of contact with the patient. Strong primary health care has the potential to meet the needs of most patients.

Despite the reforms of the health sector, the definition of primary health care remains a challenge, the system model and organizational structure of the regulatory environment, poor feedback from primary care (primary health care) and hospital facilities, the fragmentation of services, with less attention to disease prevention, including early detection and management.

ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკა სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს. ჯანსაღი საზოგადოება ქვეყნის სოციალურ მდგომარეობის განმსაზღვრელია და სწორედ ამიტომ, საზოგადოების ჯანმრთელობის ხელშეწყობა სახელმწიფო ინტერესის საგანია.

2019 წლის დასაწყისში, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) მიერ განისაზღვრა და გამოქვეყნდა გლობალური ჯანდაცვის 10 ყველაზე მნიშვნელოვანი საფრთხე. ესენია: ჰაერის დაბინძურება და კლიმატის ცვლილება, არაგადამდები დაავადებები, გრიპის გლობალური პანდემია, სუსტი და მოწყვლადი გარემოცვები, ანტიმიკრობული რეზისტენტობა, ებოლა და სხვა მაღალი საშიშროების პათოგენები, სუსტი პირველადი ჯანდაცვა, ვაქცინაციისგან თავის არიდება, დენგეს დაავადება და აივ/შიდსი. (მიქავა ნინო, 2019) აღნიშნულ ანგარიშში საკმაოდ დიდი ყურადღება აქვს დათმობილი სწორედ პირველადი ჯანდაცვას და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს. იქედან

გამომდინარე, რომ პაციენტისთვის პირველადი ჯანდაცვა არის პირველი რგოლი კონტაქტისა, მას უნდა აწვდიდეს ყოვლისმომცველ, ხელმისაწვდომ, სათემო პრინციპზე დაფუძნებულ მომსახურებას მთელი ცხოვრების მანძილზე. პჯდ-ს ყოვლისმომცველი დეფინიცია შესაძლოა ასე ჩამოყალიბდეს: ადამიანების ჯანმრთელობის საჭიროებების დაკმაყოფილება ყოვლისმომცველი მასტიმულირებელი, დამცავი, პრევენციული, სამკურნალო, სარეაბილიტაციო და პალიატიური დახმარებით მთელი ცხოვრების მანძილზე. პირველადი ჯანდაცვა განკუთვნილი უნდა იყოს ინდივიდებისთვის და მათი ოჯახებისთვის, სტრატეგიული პრიორიტეტების მინიჭება უნდა ხდებოდეს საკვანძო ჯანდაცვის სერვისებისთვის, რომლის მიწოდებაც ხდება პირველადი ჯანდაცვის მეშვეობით და მოსახლეობისთვის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სერვისებით. პჯდ განიხილება როგორც ინტეგრირებული ჯანდაცვის სერვისების სტრატეგიული ელემენტი. (კომიტეტი, 2017)

ევროპაში ჯანდაცვის სისტემა მრავალი ყოფითი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა, ესენი იყოს: დემოგრაფიული ცვლილებები (ემიგრაცია, მოსახლეობის დაბერება), მოსახლეობის ავადობის ზრდა, ჯანდაცვის არათანაბარი მაჩვენებელი, სოციალური უთანასწორობის ზრდა, ღირებულებების თვალსაზრისით ახალი სადიაგნოსტიკო და თერაპული საშუალებები და ყოველივეს პარალელურად, მზარდი სახელმწიფო მოთხოვნილებები და მოლოდინები. შედეგად ჯანდაცვა საკმაოდ ძვირი ღონისძიებაა, სახელმწიფო დანახარჯები მუდმივად არასაკმარისია, ხოლო მოსახლეობისათვის გადახდა სავალდებულო აღმოჩნდა.

ჯანდაცვის პოლიტიკის შემქმნელებს უწევთ გააკეთონ საბოლოო არჩევანი სახელმწიფო ფულის ხარჯვასთან მიმართებაში, რაც მოიცავს ჯანდაცვის პრიორიტეტების დადგენას, რესურსების თანასწორად გადანაწილების, მომარაგებისა და განვითარების

რაციონალიზაციას, ჯანდაცვის ინსტიტუციების კოორდინაციას. (el, 2009)

პირველად ჯანდაცვას, რომელიც შეჭიდულია ზოგად პრაქტიკასთან, უნარი აქვს გამოასწოროს ჯანდაცვის დანახარჯების ეფექტურობა, მაკოორდინებელი ქმედებები და პერსონალის გულისხმიერება, ამავე დროს შეამციროს არასასურველი ეფექტები დაკავშირებული უთანასწორობასთან. მიუხედავად ამ შესაძლებლობის არსებობისა, თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში (მათ შორის ამარიკას წამყვანი პოზიცია უკავია), მოსახლეობა სპეციალისტების მომსახურება უფრო ინტენსიურია, ვიდრე პირველადი ჯანდაცვის, თუმცა ამის არანაირი მეცნიერული გამართლება არ გააჩნია. პირველადი ჯანდაცვა აშკარად იაფია, რადგანაც მას ნაკლებად ძვირი ტექნოლოგია და იაფი მუშა ხელი ჰყავს, ვიდრე საავადმყოფოებს. ვერც ერთი ქვეყანა ვერ გაექცევა კონფლიკტს, მზარდ მოთხოვნებს, ჯანდაცვის ღირებულებებსა და საზოგადოების შესაძლებლობებს შორის. პირველად ჯანდაცვაზე არჩევანის გაკეთება არა მარტო მისი ნაკლებ ფასთანაა დაკავშირებული, არამედ მის პოტენციალთან კოორდინირება და ხელმძღვანებლობა გაუწიოს, ქრონიკული მდგომარეობებისა (ავადობის), ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობის, მავნე ზემოქმედებას ჯანდაცვის მდგომარეობაზე.

პჯდ საკვანძო როლს ასრულებს ჯანდაცვაზე დანახარჯების შემცირებაში, ჯანმრთელობის ძირითად (სოციალურ) დეტერმინანტებზე ფოკუსირებით და მთელი მოსახლეობისთვის ჯანდაცვის სერვისების მიწოდებით, რომელიც დაავადებათა პრევენციასა და კეთილდღეობის პოპულარიზაციაზეა მიმართული. ორივე მათგანი ამცირებს ინდივიდის მოვლის საჭიროებას და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას (გართულებულ, უფრო ძვირადღირებულ მკურნალობაში რომ არ გადაიზარდოს).

ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების მფლობელები, სხვა იურიდიულ პირთა შორის არიან კერძო სადაზღვევო და ფარმაცევტული კომპანიები. პრივატიზაციისა და დეცენტრალიზაციის პროცესის შედეგად დაწესებულებების უმრავლესობა დამოუკიდებელია მათი საკუთრების ფორმის, მართვისა და მენეჯმენტის თვალსაზრისით. სურათი ქვეყანაში არსებული ჰოსპიტალური ქსელის საკუთრების ფორმის მიხედვით, რადიკალურად განსხვავდება მსოფლიოს განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყნებისგან. ევროპის რეგიონის ქვვეყნებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საავადმყოფოების ხვედრითი წილი მთლიან რაოდენობაში 60%-დან 75%-მდე მერყეობს, მაშინ როდესაც საქართველოში 15%-ია. სახელმწიფო საკუთრებაში უმეტესწილად იმყოფება სპეციალიზებული სამედიცინო დაწესებულებები (ფსიქიატრიული, ფთიზიატრიული, ნარკოლოგიური და სხვა სერვისები). (კომიტეტი, 2017)

პჯდ-ს მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელია პოლიტიკური ლიდერობა, რომელიც პრიორიტეტს ანიჭებს პირველად ჯანდაცვას. დაბალი და საშუალო შემოსავლიანი ქვეყნების ჯანდაცვის სისტემების შესწავლისას იკვეთება, რომ სუსტი პირველადი ჯანდაცვის განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორებია: პერსონალის არასაკმარისი განათლება და ტრენინგი, არასწორი სტიმულები სისტემაში, დაბალი მოტივაცია, სუსტი ძალისხმევა და საჭირო მასალების არარსებობა (აპარატურა და ა.შ.).

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის 2018 წლის „პირველადი ჯანდაცვის ხარისხი საქართველოში“ აღწერილია არსებული სიტუაცია, პრობლემატიკა და შესაბამისი რეკომენდაციები. ამავე ანგარიშში ნახსენებია, რომ პირველად ჯანდაცვაზე მიმართული რეგულაციები სუსტადაა შეფასებული. ეს ყოველივე შეფასებულია, როგორც მონაცემთა შეზღუდული

გამოყენება პოლიტიკის, მართვის და კლინიკური პრაქტიკის მიმართულებით სწავლებისთვის და შესრულების გაუმჯობესებისთვის, რაც თავის მხრივ ანგარიშგებაშიც ქმნის ბარიერებს.

საერთაშორისო ფონდი კურაციოს მიერ 2018 წელს გამოქვეყნდა ანგარიში "Primary Health Care Systems" (PRIMASYS) – Case Study from Georgia. აღნიშნულ ანგარიშში საჭიროებებისა და რეკომენდაციების ნაწილში განხილულია შემდეგი საკითხები: (Chikovani & Sulaberidze, 2018)

- ✓ პჯდ სერვისების დაბალი უტილიზაციის და ოჯახის ექიმების მიერ „მეკარიპჭეს" ფუნქციის არაადექვატური შესრულება;
- ✓ ვერტიკალური პროგრამების საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში თანდათანობით ინტეგრირება. ეს პჯდ სისტემას უფრო ყოვლისმომცველს და ხარჯთ-ეფექტურს გახდის;
- ✓ პჯდ სისტემა ვერ გაძლიერდება ადექვატური დაფინანსების არქონის პირობებში. მიუხედავად იმისა, რომ ჯანდაცვის დაფინანსება უკანასკნელ წლებში გაიზარდა, მაინც დაბალია მაჩვენებელი (მშპ-ს 2.7%). და რაც უფრო შემაშფოთებელია, სახელმწიფოს ფინანსები არაპროპორციულად არის განაწილებული ჰოსპიტალურ სერვისებზე, რის შედეგადაც ჯანდაცვის სისტემა ვერ უზრუნველყოფს არსებული დაფინანსების პირობების შესაბამისად საუკეთესო ჯანდაცვის შედეგების მიღებას.

დღესდღეისობით საყოველთაო ჯანდაცვის ფარგლებში არსებული კაპიტაციური დაფარვა არაა საკმარისი პირველადი ჯანდაცვის სერვისებისთვის. პირველადი ჯანდაცვის ორგანიზაციას არსებული დაფინანსებით არა აქვს მოტივაცია/შესაძლებლობა იზრუნოს სამედიცინო და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე. ეს სიტუაცია განსაკუთებით პრობლემურია ჯანდაცვის სისტემის

მაღალი კომერციალიზაციის პირობებში. კერძო, მომგებიანი სამედიცინო დაწესებულებების წილობრივი მაჩვენებლით საქართველო უნიკალურ ქვეყნად ითვლება მსოფლიოში. არსებული სიტუაციის გამო კერძო, კომერციული დაწესებულებები ცდილობენ მოგების გაზრდის მიზნით სხვადასხვა ხერხებით პაციენტების მიმართვიანობის გაზრდას პირველადი ჯანდაცვიდან სტაციონარში. ასეთი მიდგომა კი ზრდის ხარჯევს არარაციონალურად გადაუდებელ სერვისებზე, არა საჭირო გამოძახებეს სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და ა.შ. ძლიერი პირველადი ჯანდაცვის არსებობის შემთხვევაში კი შემცირდება არარაციონალურად გადანაწილებული ხარჯები. ასევე, ხშირია ოჯახის ექიმების მიერ არასაჭირო რეფერალები სხვადასხვა მიმართულების სპეციალისტებთან, კვლევებზე, სადაც დაზღვეულებს უწევთ თანხის სრულად ჯიბიდან გადახდა, ან თანაგადახდა მაინც. ხშირია ზედმეტი მედიკამენტების დანიშვნის ტენდენციაც. ამის მიზეზია ის ფაქტორი, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პირობებში არსებული კაპიტაციური ანგარიშსწორება ვერ უზრუნველყოფს ხარისხიან პჯდ მომსახურებას, ასევე, ფარმაცევტული კომპანიების უარყოფითი ზეგავლენაც საკმაოდ თვალშისაცემია. კერძოდ, ოჯახის ექიმებს გააჩნიათ ფინანსური მოტივაცია - რომელსაც ფარმაცევტული კომპანიები თუ ჰოსპიტალური ქსელები აქტიურად ასტიმულირებენ. (Verulava, 2016)

საყურადღებოა ხარჯთ-სარგებლიანობის (cost-benefit) ანალიზის ჩატარება, რათა შეფასდეს იმ ტანხის მოცულობა, რითაც მოხდება სტაციონარულ შემთხვევებზე მკურნალობის დანახარჯის შემცირება და ამ თანხის გამოყენება პირველადი ჯანდაცვის გაძლიერებისათვის. საჭიროა მოხდეს ანალიზი იმისა, თუ რა რაოდენობას ხარჯავს სახელმწიფო სტაციონარული დაავადებების მკურნალობაზე, რომელთა პირველადი ჯანდაცვის დონეზე

ეფექტური მართვა, სტაციონარული მკურნალობის საჭიროებას და გადაუდებელი დახმარებას შეამცირებდა.

ფაქტია, რომ დღეს პაციენტები სხვადასხვა მიზეზების გამო არ მიმართავენ პირველადი ჯანდაცვის ცენტრებს და ურჩევნიათ პირდაპირ სტაციონარში მიმართონ ექიმებს. საჭიროა, რომ პირველადი ჯანდაცვის ყველა დონეზე მოხდეს შესაბამისი, კვალიფიციური, პერსონალით უზრუნველყოფა. შესაბამისი კადრების არ არსებობა თუ არასწორად ადამიანური რესურსების მართვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა საზოგადოებრივი ჯანდაცვისთვის.

ჯანდაცვის სისტების ფინანსური მდგრადობისა და დანახარჯების ზრდის კონტროლისათვის უმნიშვნელოვანესია პირველადი ჯანდაცვის სისტემის განვითარება და მისი "gatekeeping" („მეკარიბჭის") ფუნქცის გაზრდა. ამავე დროს მნიშვნელოვანია პრევენციული მომსახურებების მიმართულებით მეტი ფინანსური რესურსების ინვესტირება, რათა გაძლიერდეს ავადობისა და სიკვდილიანობის ყველაზე მძიმე ტვირთის მქონე დაავადებათა პირველადი, მეორეული და მესამეული პრევენცია. სამედიცინო დაწესებულებათა მასობრივ პრივატიზაციასა და მარკეტიზაციას შედარებით ჩამორჩება რეგულირების სისტემის ეფექტიანი ქმედება, რომელმაც უნდა დაიცვას როგორც პაციენტის უფლებები უსაფრთხო და ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების მისაღებად, ასევე ექიმთა უფლებებს სამედიცინო შეცდომების სისტემური ანალიზისა და მართვის თვალსაზრისით. კვლავ გამოწვევად რჩება ხარისხის უზრუნველყოფის საყოველთაოდ აღიარებული მეთოდების დანერგვა. ინფრასტრუქტურისა და საკადრო რესურსის თვალსაზრისით ხარისხისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის არსებული მექანიზმები (ნებართვები, ლიცენზიები და სერტიფიცირების სისტემა) საჭიროებს სრულყოფას, განვრცობასა და მონიტორინგის მექანიზმების დახვეწას. დაწესებულებების დონეზე

სამედიცინო მომსახურების ხარისხის შეფასება და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის დანერგვა არასრულყოფილია. (Gerdzmava, 2016)

კვალიფიცირებული ადამიანური რესურსთან დაკავშირებული გამოწვევები და მათი არათანაბარი გეოგრაფიული გადანაწილება წარმოადგენს ერთ–ერთ სერიოზულ დაბრკოლებას ხარისხიანი სამედიცინო სერვისების უზრუნველყოფის საქმისათვის. ქვეყანაში არსებული ადამიანური რესურსის განვითარების სისტემა (დიპლომამდელი და 13 დიპლომისშემდგომი განათლება, რეზიდენტურა, უწყვეტი სამედიცინო განათლება და პროფესიული განვითარება) საჭიროებს გარდაქმნას. მნიშვნელოვანია მტკიცებულებებზე დაფუძნებულ კლინიკურ პრაქტიკის მხარდამჭერი სისტემების გაუმჯობესება, რომელიც მოიცავს როგორც განათლების, ისე სამედიცინო სერვისის სტანდარტიზაციის, დაფინანსებისა და მონიტორინგის მექანიზმებს. საჭიროა რუტინული სტატისტიკური და ზედამხედველობის სისტემების გამართული მუშაობა და დახვეწა, ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების მონიტორინგისა და შეფასების ერთიანი სავალდებულო ჩარჩოს შემუშავება და განხორციელება, რათა, გადაწყვეტილების მიღების დროს, ხელმისაწვდომი იყოს სანდო მონაცემები.

გამოყენებული ლიტერატურა

Chikovani, I., & Sulaberidze, l. (2018). *PRIMARY HEALTH CARE SYSTEMS Case study from Georgia.* Tbilisi: Curatio International Foundation.

el, C. (2009). *"Georgia: Health system review.".* Tbilisi: Health Systems in transition.

Georgia, G. o. (2014). *"Universal Healthcare and Quality.* Tbilisi: Government of Georgia.

Gerdzmava, O. (2016). *Public Health and Managment.* Tbilisi: Tbilisi.

Verulava, T. (2016). *Health Policy.* Tbilisi: ILIA STATE UNIVERSITY PRESS.

კომიტეტი, ს. პ. (2017). *საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარების ხედვა 2030 წლისათვის.* თბილისი: საქართველოს პარლამენტი.

მიქავა ნინო, გ. ს. (2019). *ჯანდაცვაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის მიღწევის ძირითადი გარიერი.* თბილისი: საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი; Welfare Foundation.

შორენა, ჯ. (2016). *ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსება საქართველოში.* თბილისი: საქართველოს სადაზღვევო ასოციაცია.

ქოუჩინგი, როგორც პერსონალის განვითარების მეთოდი
Coaching as a method of staff development

ნინო დიდიშვილი - ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
ndidishvili1@gmsil.com

Nino Didishvili - Associate Professor
Georgian national university
ndidishvili1@gmsil.com

რეზიუმე: სტატიაში განხილულია ისეთი მოთხოვნადი ფენომენი თანამედროვე ორგანიზაციების მართვის პრაქტიკაში, როგორიც ქოუჩინგია. განსაზღვრულია ქოუჩინგის ძირითადი მახასიათებლები და თავისებურებები, მოცემულია ამ კონკრეტული ინსტრუმენტის უპირატესობა პერსონალის განვითარების სხვა მეთოდებთან შედარებით. ყურადღება ეთმობა საქართველოში ქოუჩინგის დანერგვის და განვითარების მნიშვნელობას.
საკვანძო სიტყვები: ქოუჩინგი, მენეჯმენტი, პერსონალის განვითარება, პერსონალის მართვა, ადამიანური რესურსები;

Abstract: The subjeqt of this article is the phenomenon, witch is so popular in the practice of management of modern organizatios, as coaching. The article identifies the main characteristics of coaching, outlaines the advantages of this tool in comparison with other methods of personnel development.
Keywords: coaching, management, staff development, personnel management, human resources

დღეს საკმაოდ რთულია ორგანიზაციისთვის მუდმივ კონკურენტულ ბრძოლაში გამარჯვების მოპოვება. ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობა უზრუნველყოფილია სხვადასხვა რესურსების ხარჯზე, რომელთაგანაც ერთერთია შრომითი რესურსები. საწარმოებმა დაიწყეს კონკურენტული ბრძოლა ახალ სფეროში - და ეს არის არა საქონლის ხარისხი, არამედ მისი

დიზაინი, გარანტია და იმიჯი. ეს სფეროები ადამიანის ინტელექტთანაა დაკავშირებული და რა თქმა უნდა თვითონ პიროვნებასთან. აქტიურად ჩნდება და ვითარდება ახალი ტექნოლოგიები, რომლებსაც სწრაფად ითვისებენ და იყენებენ ყოველდღიურ პრაქტიკაში. ეს ახალი ტექნოლოგიები არსებითად ცვლიან მოთხოვნებს ადამიანის იმ უნარების და მათი კომპეტენციის მიმართ, რომლებიც მოქმედებენ საქმიანობის ეფექტურობაზე. ამიტომ გაცილებით მეტი დრო ეთმობა პერსონალის პროფესიულ ზრდას და კადრების სწავლების ახალი მეთოდების და მიდგომების ძიებას. ქოუჩინგი წარმოადგენს ორგანიზაციის პერსონალის განვითარების ყველაზე პერსპექტიულ და აქტიურად განვითარებად მეთოდს. ბოლო ათი წლის მანძილზე ქოუჩინგმა საკმაოდ გააფართოვა პერსონალთან მუშაობის მოდელების და მეთოდების სპექტრი.

ქოუჩინგი არის ერთ-ერთი თანამედროვე და ეფექტური მეთოდი პერსონალის განვითარების და სწავლების. ქოუჩინგი, როგორც მართვა - ეს არის ხედვა თანამშრომლებზე, როგორც საწარმოს გიგანტურ დამხმარე რესურსზე. ქოუჩინგი არის პარტნიორობის პროცესი, რომელიც ასტიმულირებს აზროვნებას და კრეატიულობას, ხსნის პირად და პროფესიულ პოტენციალს. ქოუჩინგი - ეს არის იმ გარემოს შექმნის ხელოვნება, რომელიც უადვილებს ადამიანს სასურველ მიზნამდე მიახლოვებას, ხელს უწყობს შედეგის დადგომას, ადამიანის სწავლებას და განვითარებას. ქოუჩინგის ფილოსოფია სამ პოსტულატად შეიძლება ჩამოვაყლიბოთ:

- შემეცნება არის ხარისხიანი ცვლილებების საფუძველი ცხოვრებაში;
- პასუხისმგებლობა საკუთარ ცხოვრებისეულ არჩევანზე;
- რწმენა ადამიანის უსაზღვრო შესაძლებლობებში;

ქოუჩინგის ეს ფილოსოფიური მიმართულებები გვეხმარება გავიგოთ, რამდენად ეფექტური შეიძლება იყოს ის პერსონალთან მუშაობის დროს. პერსონალთან მუშაობის დროს საკმაოდ მნიშვნელოვანია თითოეული თანამშრომლის პოტენციალის გახსნა და მათი საქმიანობის გარდაქმნა მაქსიმალურად ეფექტურად, მისი პიროვნული და კარიერული ზრდის სტიმულირებით. პერსონალის განვითარების სხვა მეთოდებთან შედარებით ქოუჩინგის უპირატესობა არის ის, რომ თანამშრომლები ახალ პერსპექტივებს იძიებენ საკუთარ შესაძლებლობებში, ხდებიან უფრო თავდაჯერებულები. ქოუჩინგს შეუძლია აზროვნების გაფართოვება, ეს მეთოდი ხელს უწყობს გადაწყვეტილების მისაღებად ახალი არაორდინარული გზების მოძიებას. მოტივაციისგან განსხვავებით ქოუჩინგი არა მხოლოდ ასტიმულირებს თანამშრომელს, არამედ ეხმარება მას გახსნას საკუთარი პოტენციალი როგორც პირად, ასევე პროფესიულ ცხოვრებაში. ძირითადი უპირატესობები ამ მეთოდისა არის შემდეგი:

- მიზნის დასახვის და მათი რეალიზაციისთვის მოქმედებების განსაზღვრის მკაფიოობა;
- მეთოდის გამოყენების შესაძლებლობა როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ დონეზე;
- პერსონალის განვითარების სხვა მეთოდების შერწყმა (ტრენინგები, კონსულტირება);
- მმართველობითი კადრების სწავლების ეფექტურობა;

ქოუჩინგის ერთერთი მნიშვნელოვანი ელემენტია მენეჯმენტი. კონკრეტული მიზნის მისაღწევად აუცილებელია ყველაზე ოპტიმალური მეთოდების ანალიზის ჩატარება, განსაზღვრული ნაბიჯების დაგეგმვა და შემდეგ მაქსიმალურად ეფექტურად რეალიზაციის პროცესის ორგანიზება.

ქოუჩინგი ასევე შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც მენეჯმენტის განსაკუთრებული სტილი, რომელიც წარმოადგენს ურთიერთქმედებას ხელმძღვანელსა და თანამშრომლებს შორის, რომელსაც მივყავართ ეფექტურობის, მოტივაციის გაზრდისკენ,

პირადი პასუხისმგებლობის ფორმირებისკენ. ქოუჩინგის ღირსებად შეიძლება ჩავთვალოთ, რომ მას შეუძლია შეავსოს ხელმძღვანელობის ფორმირებული სტილი და გახადოს ის უფრო შედეგიანი.

ქოუჩინგი განიხილება როგორც XXIს. პერსონალის მართვის თანამედროვე ტექნოლოგია. ის მიზანმიმართულია, სისტემურია და მიუკერძოებელი. აქტიურად გამოიყენება ცნება „ხელმძღვანელი-ქოუჩი“. ის შთააგონებს და მოტივაციას აძლევს თანამშრომლებს. ლიდერის ეს ტიპი არ აიძულებს მუშაობას, მას პატივს სცემენ და მასთან სურთ მუშაობა. შემოქმედებითი ატმოსფერო და სამუშაოს მიმართ ინტერესი კომპანიას უფრო მიმზიდველად წარმოაჩენს ახალი თანამშრომლების თვალში, პერსონალის შერჩევის სისტემა უფრო ოპტიმიზირებულია, კლიენტების ლოიალურობა იზრდება, მოლაპარაკებების პროცესი მარტივდება.

ამრიგად, ქოუჩინგი შეიძლება განვსაზღვროთ როგორც პროფესიონალური დახმარება ადამიანისთვის პირადი მიზნების განსაზღვრასა და მიღწევაში. ის გვეხმარება შემდეგი ამოცანების გადაწყვეტაში:

- პროფესიონალური ზრდა, მათ შორის კარიერულ საფეხურებზე ასვლაში დახმარება;
- მენეჯერის ინდივიდუალური განვითარება, როგორც პროფესიონალური, ასევე ემოციური კომპეტენციის განვითარება;
- თაიმ-მენეჯმენტის უნარები და უფლებამოსილების დელეგირება;
- წარმატება მოლაპარაკებების პროცესში;
- ლიდერული თვისებების განვითარება;
- თანამოაზრეების საკუთარი გუნდის ფორმირება; სტარეგიის ფორმირებისას გუნდური მუშაობა, გუნდში ურთიერთქმედების ანალიზი;
- ეფექტური პიროვნებათშორისი კომუნიკაციები;

- ხელმძღვანელსა და დაქვემდებარებულებს შორის ურთიერთობების გაუმჯობესება;

ქოუჩინგის გამოყენების ეფექტურობის სტატისტიკური მონაცემები შემდეგია: კონსალტინგური კომპანიის Hay Group-ის მონაცემებით, 23%-დან 44%-მდე კომპანიების, რომლებიც Global 500-ის რეიტინგში შედიან იყენებენ მართვაში ქოუჩინგს. Metrix Global-ის კვლევების მიხედვით, მრავალ კომპანიაში, რომლებიც Global 500-ის ტოპ-რეიტინგში შედიან, ქოუჩინგში ჩადებული ინვესტიციების უკუგება არის 5295.

პრინციპული სიახლე ამ მეთოდის არის ის, რომ ქოუჩინგის მეთოდიკის გამოყენებით ადამიანი აღმოაჩენს და შემდგომში განავითარებს ახალ შესაძლებლობებს და უნარებს, რომლებიც მომავალში მის ეფექტურობას გაზრდის. ქოუჩინგი მუშაობს ჯერ არ გახსნილ პოტენციალთან, მის რეზერვებთან და მიმართავს მთელ ძალებს თანამშრომლის ეფექტურობის გაზრდისკენ და მასში ლიდერობის უნარების გამოვლენისკენ. ქოუჩინგის საერთაშორისო ფედერაციის (ICF) მონაცემებით, პერსონალთან მუშაობის დროს ქოუჩინგი გვეხმარება შემდეგი მონაცემების მიღწევაში:

- შეგნების გაზრდა-69%;
- ბალანსირებული ცხოვრება-65%;
- მასშტაბური მიზნების დასახვა-63%;
- სტრესის დონის შემცირება-54%;
- მეტი თავდაჯერებულობა-53%;
- მეტი პოტენციალის გახსნა-53%;

ბოლო პერიოდში ქოუჩინგი გამოვლინდა, როგორც კადრების სწავლების და განვითარების ყველზე მოთხოვნადი და ეფექტური მეთოდი.

უნდა აღინიშნოს, რომ ქოუჩინგი ფეხს საქართველოშიც იკიდებს. აქ ის ხუთწლიან ისტორიას ითვლის. ყველაზე პოპულარული კომპანია „გროუინი“ ქართულ ბაზარზე 2015წლიდან

არსებობს და საკმაო წარმატებითაც. ჯერჯერობით ის ერთადერთი კომპანიაა საქართველოში, სადაც ICF სერთიფიკატის მიღებაა შესაძლებელი. სასურველი იქნება, რომ ქოუჩინგი საქართველოში არა მხოლოდ მაღალი დონის მენეჯმენტისთვის იყოს განკუთვნილი, არამედ საშუალო დონის მენეჯმენტისთვის და რიგითი პერსონალისთვისაც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Уитмор Джон, Внутренная сила лидера; Коучинг как метод управления персоналом М. альпина паблишер 2012;
2. Смарт Дж .К. Коучинг; нева 2009;
3. Downey, myles effective coaching. Lessons from the coachs coach; Second edition; Texere 2003;
4. Leonard Tomas, Working wisdom, coach u 1998;
5. Parsloe Eric, Coaching, mentoring and assessing, kogan page, London 1999;
6. Stephen Fairly and Cris Stoit, Getting started in Personal and executive coaching;

სექსუალური შევიწროება დასაქმების ადგილზე, როგორც ძალადობისა და დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმა

Sexual harassment at the workplace as one form of violence and discrimination

ლელა ბაქრაძე - დოქტორანტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.
LLbakradze@gmail.com
ელა სხირტლაძე - კავკასიის უნივერსიტეტი
E_skhirtladze@cu.edu.ge

Lela Bakradze – PhD student,
Georgian Technical University,
LLbakradze@gmail.com
Ela Skhirtladze – Undergraduate student.
Caucasus University
E_skhirtladze@cu.edu.ge

Abstract: Violence is not a problem of just one community, family or a person. First of all it's a problem of the society and government. Therefore, it's necessary to discuss this topic in a complex manner in terms of prevention as well as development of victim and abuser support strategies, especially since violence can be expressed in different ways and anyone can become its victim.

Sexual harassment is one of the forms of violence and discrimination and its victims can be both- male and female. However, in our reality this is usually a problem of women. In many countries this topic is still tabooed and not properly addressed by society and governmental agencies. We are not critical enough when it refers to the sexual harassment in the workplace. While such behavior seems to be publicly unacceptable, it is often secretly acknowledged and accepted. Moreover, the victim may become subject to criticism and instead of empathy, can even be stigmatized. Consequently, in addition to improving legal norms, it is significantly important to overcome the perceptions, social and cultural stereotypes, which decrease the sense of protest against the facts of sexual harassment at work and belittle their importance.

Keywords: Sexual Harassment, Discrimination, Violence, Workplace, Stigma, Negative Stereotype

სექსუალური შევიწროება დისკრიმინაციის ერთ-ერთ რთულად იდენტიფიცირებად და ნაკლებად ხილულ ფორმას წარმოადგენს. მისი მსხვერპლი შეიძლება იყოს როგორც ქალი, ასევე მამაკაცი. თუმცა ჩვენს რეალობაში უმეტეს შემთხვევაში ეს პრობლემა ქალებს ეხებათ. სექსუალური შევიწროება სამწუხაროდ, ხშირად არ განიხილება როგორც ძალადობის ფორმა, განსაკუთრებით პატრიარქალურ საზოგადოებაში, რომელშიც მამაკაცების ასეთი ქცევა ნორმად ითვლება. გასათვალისწინებელია, რომ უმეტეს შემთხვევაში მსხვერპლისთვის რთულია მოძალადის გამოაშკარავება, მასთან დაპირისპირება და ამ თემაზე ხმამაღლა, საჯაროდ საუბარი. შესაბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ სოციალური და კულტურული სტერეოტიპების დაძლევა, რომელიც სექსუალური შევიწროების ფაქტების მიმართ პროტესტის გრძნობას ამცირებს და მის მნიშვნელობას აკნინებს.

გაეროს ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის (CEDAW) თანახმად, ,,სექსუალური შევიწროება მოიცავს არასასურველ, სექსუალური ხასიათის ქცევას, მათ შორის ფიზიკურ კონტაქტსა და სხვა მცდელობებს, სექსუალური შინაარსის მქონე განცხადებებს, სექსუალური ხასიათის მოთხოვნებს; მნიშვნელობა არ აქვს, ასეთი ქცევა გამოხატული იქნება ვერბალურად თუ ქმედებით. ამგვარი პრაქტიკა დამამცირებელია და შესაძლოა, მან ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები გამოიწვიოს. დისკრიმინაციულია ქმედება, თუ ქალს აქვს გონივრული ეჭვი, რომ აღნიშნულის გაპროტესტება უარყოფით გავლენას მოახდენს მის სამსახურებრივ მდგომარეობაზე, მათ შორის სამსახურში აყვანასა თუ დაწინაურებაზე, ან როდესაც ასეთი ქცევა მას მტრულ სამუშაო გარემოს უქმნის" (The United Nations General Recommendation 19 to

the Convention on the Elimination of all Forms of Discrimination Against Women).[1] ნებისმიერი ქმედება ან სიტყვები რომელიც შეიცავს სექსუალური ხასიათის შინაარს ან კონოტაციას და ქმნის არაკომფორტულ სამუშაო გარემოს, შეიძლება მივიჩნიოთ სექსუალურ შევიწროებად, მათ შორის სექსუალური შინაარსის მქონე ფოტოების, ვიდეოების გაზიარება თანამშრომლებთან, სექსუალური ჟესტები, შეუსაბამო კითხვები და გამაღიზიანებელი კომენტარები თანამშრომლის სექსუალურ ორიენტაციაზე ან მის გენდერულ იდენტობაზე. შესაბამისად, მკვლევარები განასხვავებენ სამი სახის სექსუალურ შევიწროებას: 1.სექსუალური შევიწროების ფიზიკური ფორმები, რომელიც გულისხმობს არასასურველ შეხებას, მოხვევას, კოცნას, ჩახუტებას და სხვა; 2. შევიწროების ვერბალური ფორმები, რომელიც მოიცავს სექსუალური ხასიათის ხუმრობებს, კომენტარებს, მუქარას, შეკითხვებს გარეგნობასთან, ცხოვრების სტილთან, სქესთან, გენდერულ იდენტობასა და ორიენტაციასთან დაკავშირებით; 3. შევიწროების არავერბალური ფორმები, ეს შეიძლება იყოს მიშტერება, დაჟინებით ყურება, მიუღებელი ჟესტიკულაცია, აგრეთვე კიბერშევიწროება, რაც გულისხმობს სექსუალური ხასიათის შეურაცხმყოფელ შეტყობინებების, ფოტოების, ვიდეო თუ აუდიო მასალის გაგზავნას ან ჩვენებას ელექტრონულ სივრცეში.

2019 წლის 19 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა მხარი დაუჭირა დისკრიმინაციის ყველა ფორმის შესახებ კანონში ცვლილებებს, რომლის მიხედვით სექსუალური შევიწროება დისკრიმინაციის ფორმად განისაზღვრა, გარდა ამისა, ამ მიმართულებით საკანონმდებლო ცვლილებები შეეხო ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსს, სახალხო დამცველის შესახებ კანონს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსს და შრომის კოდექსს, ამ უკანასკნელს დაემატა სექსუალური შევიწროების განმარტება: ,,სექსუალურ შევიწროებად მიიჩნევა

პირის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან/და იწვევს მისი ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს" (მუხლი 2-ის 4[1)2]

საქართველოში ამ მიმართულებით ბოლო წლებში რამდენიმე მნიშვნელოვანი კვლევა ჩატარდა, თუმცა ზუსტი მონაცემების დადგენა, თუ რამდენ ქალს განუცდია სექსუალური შევიწროება დასაქმების ადგილზე - თითქმის შეუძლებელია. ვინაიდან, შესაბამისი სტატისტიკა არ არსებობს. ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, რესპონდენტთა 72% განაცხადა, რომ სექსუალური შევიწროების შემთხვევაში შეეცდებოდა სხვების ჩარევის გარეშე, თავად ,,მოეგვარებინა“ პრობლემა, 17% მიმართავდა მენეჯერს, სამსახურიდან კი 10% წამოვიდოდა.[3] ცხადია, ამგვარი მიდგომას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. მათ შორის ისიც, რომ მსხვერპლი თავად შეიძლება გახდეს საზოგადოების მხრიდან გაკიცხვის, კრიტიკის ობიექტი და ემპათიის ნაცვლად, მისი სტიგმატიზებაც კი მოხდეს. სტიგმა, ზოგადად, უარყოფითი სტერეოტიპების ერთობლიობას წარმოადგენს და მკვეთრად გამოხატული სოციალური იარლიყია, რომელსაც შეუძლია როგორც ცალკეული პიროვნების, აგრეთვე გარკვეული ჯგუფის იდენტობის სრული დევალვაცია და დისკრედიტაცია მოახდინოს. აღნიშნულ ტენდენციას სწორედ საზოგადოებაში დამკვიდრებული წარმოდგენები და სტერეოტიპები უწყობს ხელს. ზოგადად, ძალადობის ხელშემწყობ ფაქტორებში განსაკუთრებული ადგილი უკავია სოციალურ რისკ-ფაქტორებს, მათ შორის სოციალურ და კულტურულ ნორმებს, ამიტომ ხშირად ადგილი აქვს სექსუალური შევიწროების ფაქტის იგნორირების მცდელობას თავად მსხვერპლის მხრიდან, იმ იმედით რომ ეს მხოლოდ ერთჯერადი ფაქტი იყო და აღარ განმეორდება, თუმცა კვლევებმა

აჩვენა, რომ იგნორირება არაეფექტური გამოსავალია და მოძალადემ ეს შეიძლება აღიქვას როგორც წახალისება და თანხმობა.

სექსუალური შევიწროება, როგორც სოციალური ფენომენი, ძირითადად დასაქმების ადგილთან ან სასწავლო დაწესებულებასთან ასოცირდება, თუმცა მას ასევე შეიძლება ადგილი ჰქონდეს საჯარო სივრცეში, მაგალითად, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე, ქუჩაში, ტრანსპორტში, მაღაზიაში და ა.შ. პირველ შემთხვევაში თუ მოძალადე კარგად ნაცნობია და მასთან გარკვეული სამსახურებრივი ურთიერთობები გვაკავშირებს, მეორე შეთხვევაში შემვიწროებელი, როგორც წესი უცხო ადამიანი (Fairchild et al. 2008, Fileborn 2013).

განსაკუთრებით დასაქმების ადგილზე სექსუალური შევიწროების შემთხვევებში, მნიშვნელოვანია სოლიდარობისა და მხარდაჭერის მნიშვნელობა. გასული საუკუნის ბოლოს ქალებმა შეძლეს და დაიწყეს ამ პრობლემის შესახებ ხმამაღლა საუბარი. რათა ღიად გაეჟღერებინათ, რომ არ სურდათ მოესმინათ მამაკაცების მხრიდან არასასიამოვნო კომენტარები, დიალოგები, ე.წ. კომპლიმენტები, რაც ერთგვარი შოკი იყო შემვიწროებელი მამაკაცებისთვის. როგორც აღვნიშნეთ, სამწუხაროდ, ასეთ სიტუაციებს მარტივი გამოსავალი არასოდროს აქვს - თუ გაჩუმდები, ერთგვარად დაიცავ მოძალადეს, ხოლო თუ დაუპირისპირდები, ეს დაპირისპირება მარტა ლანგელანის აზრით, გულისხმობს არა მხოლოდ მოძალადესთან, არამედ ბიუროკრატიასთან დაპირისპირებას, საჯარო და ოფიციალური გამოძიების დაწყებას, რაც მსხვერპლის ემოციურ, მენტალურ თუ ფიზიკურ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს .[2]

კვლევები სექსუალური შევიწროების თაობაზე, 1970-იანი წლებიდან იღებს სათავეს. ამერიკის შეერთებულ შტატებში Redbook Magazine-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, რომელშიც 9000-ზე მეტმა ქალმა მიიღო მონაწილეობა, დადგინდა რომ ათიდან ცხრა ქალი ერთხელ მაინც ყოფილა სექსუალური შევიწროების

მსხვერპლი სამუშაო ადგილზე (C. Safran, “What Men Do To Women On The Job,” Redbook Magazine (Nov. 1976)). ხოლო 1992 წელს Working Woman Magazine-ის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით კი 60%-ზე მეტმა ქალმა განაცხადა, რომ სექსუალური შევიწროება გამოუცდიათ, ხოლო მესამედზე მეტი იცნობდა ერთ თანამშრომელს მაინც ვისაც ასეთი შევიწროება გამოუცდია (R. Sandroff “Sexual Harassment: The Inside Story,” Working Woman, p. 47 (June 1992)). აგრეთვე, განსაკუთრებით აღსანიშნავია კვლევა ,,ABC NEWS/WASHINGTON POST POLL: Sexual Harassment“ რომლის მიხედვითაც დადგინდა რომ 33 მილიონი ამერიკის მოქალაქე ქალი ყოფილა სექსუალური შევიწროების მსხვერპლი სამუშაო ადგილზე. გამოკითხული მსხვერპლი ქალების 83% აღნიშავს რომ სექსუალური შევიწროვების გამო განიცდიდნენ ბრაზს, 64% თავს გრძნობდა დაშინებულად, 52% თავს გრძნობდა დამცირებულად, ათიდან სამი კი შერცხვენილად.

ამ ყოველივეს ემატება ისიც, რომ სექსუალირო შევიწროება დასაქმების ადგილზე არ არის სათანადოდ გაკიცხული საზოგადოებისა და სახელმწიფო უწყებების მხრიდან. არ ვართ საკმარისად კრიტიკულები. მნიშვნელოვანია აგრეთვე შემდეგი საკითხის გააზრებაც: მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი ქცევა საჯაროდ თითქოს მიუღებლობას იწვევს, იგი ფარულად ხშირად აღიარებული და სოციალურად მისაღებია. ძალიან დიდი პრობლემაა ამგვარი საკითხების გაშუქების კონცეფტი მედია საშუალებების მიერ. ხშირად ლატენტურად აქცენტი კეთდება, ცილისწამებასა და ყალბ საჩივრებზე, თითქოს მსხვერპლი პირადი ინტერესისა და მოტივების გამო სდებს ბრალს მოძალადეს სექსუალურ შევიწროებაში. თუმცა, კვლევები ადასტურებს, რომ სექსუალური შევიწროების საჩივრების ერთ პროცენტზე ნაკლებია მხოლოდ მცდარი. გასათვალისწინებელია რომ ქალებს ასეთ ფაქტებზე ხმამაღლა საუბარი უჭირთ და როდესაც საჩივარს წერენ უმეტესად ეს რეალურ ფაქტებს ემყარება.

სექსუალური შევიწროების შედეგები საკმაოდ მძიმეა, მან შეიძლება გავლენა მოახდინოს მსხვერპლის ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე, კერძოდ შეიძლება გამოიწვიოს დეპრესია, შფოთვა,
ბრაზი, შიში, ფრუსტრაცია, სირცხვილი და დაუცველობის განცდა. თვითშეფასების დაქვეითება და დანაშაულის განცდა. აგრეთვე გავლენას ახდენს ფიზიკურ ჯანმრთელობაზე და იწვევს ისეთ ფიზიოლოგიურ რეაქციებს, როგორიცაა გამუდმებული თავისტკივილი, ლეთარგიულობა, წონის ცვალებადობა, დერმატოლოგიური რეაქციები, ძილთან დაკავშირებული პრობლემები პანიკური რეაქციები და ა.შ. რაც შეეხება კარიერულ განვითარებას, მსხვერპლი ამ თვალსაზრისითაც აწყდება სერიოზულ პრობლემებს. ეს შეიძლება იყოს დაქვეითებული შრომითი კმაყოფილება, სამსახურის ან დაწინაურების შანსის დაკარგვა, სტრესით გამოწვეული არასრულფასოვნად შესრულებული სამუშაო. ხშირი გაცდენა, კარიერული მიზნების შეცვლა და სხვა არა ერთი წინააღმდეგობა პროფესიული განვითარების თვალსაზრისით.

სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯები, არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ უკვე განხორციელებულ ფაქტებზე რეაგირებით, არამედ თანამედროვე მიდგომა გულისხმობს მის წინასწარ აღკვეთას და პრევენციას. საჭიროა ნათლად იყოს გაცხადებული, თითოეულ ორგანიზაციაში, რომ სექსუალური შევიწროვება არ იქნება დაშვებული. ამისათვის საჭიროა არსებობდეს შესაბამისი ტრენინგები ან/და საინფორმაციო შეხვედრები. ასევე უმნიშვნელოვანესია ორგანიზაციებმა უზრუნველყონ ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება სექსუალური შევიწროების ფაქტის დაფიქსირების შემთხვევაში სათანადო რეაგირებისა და ზუსტი პრიორიტეტების განსაზღვრის თვალსაზრისით. დაზარალებულს უნდა ჰქონდეს შანსი მიიღოს

სათანადო დახმარება. მითუმეტეს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გასათვალისწინებელია, რომ უმეტეს შემთხვევაში მსხვერპლისთვის რთულია მოძალადის გამოაშკარავება, მასთან დაპირისპირება და ამ თემაზე ხმამაღლა საუბარი.

თამამად შეიძლება ითქვას რომ სექსუალური შევიწროება სამუშაო ადგილზე - საკამოდ გავრცელებულია. თუმცა რეალური მონაცემები შესაძლოა კიდევ უფრო მძიმე იყოს იმის გათვალისწინებით რომ მსხვერპლმა შეიძლება ვერც გაიაზროს აღნიშნული მდგომარეობა. ხშირად, თავად ქალებმა შეიძლება არც განიხილონ არასასურველი სექსუალური ყურადღება, როგორც შევიწროება და მიიღონ ეს ფაქტი როგორც "ნორმა" მამაკაცების მხრიდან. ვინაიდან, სოციალური და კულტურული წარმოდგენებისა თუ სტერეოტიპების ფორმირება ყოველთვის კონკრეტულ მოცემულობასა და ისტორიულ კონტექსტს და დისკურსში ხდება. სოციალიზაციის პროცესში, ცხადია ადამიანი ცდილობს აირჩიოს ქცევის მეტად წარმატებული მოდელი და თუ ძალადობრივი ქცევა არის წარმატებული და თან ხშირ შემთხვევაში დაუსჯელი, ალბათობა იმისა რომ იგი ქცევის სწორედ ამგვარ სტრატეგიას მიანიჭებს უპირატესობას - საკმაოდ დიდია. ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია როგორც საკანონმდებლო რეგულაციების გამკაცრება/აღსრულების საკითხი, აგრეთვე იმ სოციალური და კულტურული სტერეოტიპების დაძლევა, რომელიც ძალადობის ფაქტების მიმართ პროტესტის გრძნობას ამცირებს და მის მნიშვნელობას აკნინებს, ვინაიდან, სექსუალური შევიწროება დისკრიმინაციისა და ძალადობის, როგორც სოციალური მოვლენის ერთ-ერთი ფორმაა და ხშირ შემთხვევაში, მისი აქტორების - მოძალადისა თუ მსხვერპლის, მოწმისა თუ დამკვირვებლისადმი არსებული სოციალური სტერეოტიპებით საზრდოობს. შესაბამისად, აღნიშნული პრობლემის მასშტაბურობიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია

ეფექტური ნაბიჯების გადადგმა სწორი საინფორმაციო კამპანიის წარმოებისა და ცნობიერების ამაღლების მიმართულებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არონსონი ე. სოციალური ცხოველი. თბ.: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2014
2. გერიგი რ., ზიმბარდო ფ. ფსიქოლოგია და ცხოვრება. თბილისი, თსუ, 2009
3. სექსუალური შევიწროება - ქალთა ,,უჩინარი" დისკრიმინაცია. კვლევის ანგარიში. თბ.2015 http://www.parliament.ge/uploads/other/75/75629.pdf
4. Bedneliani et al., Gender Discrimination in Georgian Labour Market, USAID, Center for Social Sciences. 2014
5. Kramer G.P., Bernsyein D.A.,Phates V. Introduction to Clinical Psychology. New-York: Pearsonn Education, Inc., 2015
6. Langelan, Martha. Back Off: How to Confront and Stop Sexual Harassment and Harassers. Fireside, 1993
7. Sandroff R. Sexual Harassment: The Inside Story. Working Woman, p. 47 (June 1992)
8. Safran C. What Men Do To Women On The Job, Redbook Magazine (Nov. 1976).
9. Sexual Harassment: Myths and Realities. Uoregon.edu. Archived from the original on 2008-05-16. Retrieved 2012-10-07 (https://web.archive.org/web/20080516085341/http://www.uoregon.edu/~counsel/harass.htm)
10. The United Nations General Recommendation 19 to the Convention on the Elimination of all Forms of Discrimination Against Women. https://www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/cedaw.aspx

სახელმწიფოს როლი მდგრადი განვითარების ეკონომიკურ მექანიზმებში

The role of the state in the economic mechanisms of sustainable development

ელენე მენაბდე-ჯობაძე - ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
e.menabde@gtu.ge
მარიამ ძებისაშვილი - დოქტორანტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
mariamdzebisashvili@yahoo.com

Elene Menabde-Jobadze - Associate Professor,
Georgian Technical University
e.menabde@gtu.ge
Mariam Dzebiashvili - PhD student,
Georgian Technical University
mariamdzebisashvili@yahoo.com

აბსტრაქტი: სტატიაში „სახელმწიფოს როლი მდგრადი განვითარების ეკონომიკურ მექანიზმებში“ აღნიშნულია, რომ მოხმარებაზე ორიენტირებული ცხოვრების წესის მიერ დამკვიდრებულმა პრინციპმა, კაცობრიობა მომავალი ცხოვრების ბუნებრივი რესურსებით უზრუნველყოფის გლობალური პრობლემის წინაშე დააყენა. ამ პრობლემის გაცნობიერების გზაზე ბოლო ათწლეულებში გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, პრაქტიკული შედეგები ჯერჯერობით არ ჩანს. რესურსების უგუნური გამოყენების შედეგია არა მარტო მათი ამოწურვის საშიშროება, არამედ ბუნების თვითაღდგენის უნარის ამოწურვაც. სიმდიდრე და სიღატაკე სხვადასხვაგვარ უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ბუნებაზე. სიმდიდრეს (ჭარბწარმოებასა და ჭარბმოხმარებას) უკავშირდება გარემოს ისეთი პრობლემები, როგორიცაა ინდუსტრიული ნარჩენები და სამომხმარებლო ნაგავი, ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურება. სიღატაკეა მთავარი მიზეზი გარემოს ისეთი პრობლემებისა, როგორიცაა ტყეების გაჩეხვა, საძოვრებისა და ნიადაგის ეროზია ზედმეტი დატვირთვის გამო, მდინარეთა აუზების დატბორვა და სხვა. ენერგიის დამზოგავ

ეფექტურ ტექნოლოგიებზე ხელმიუწვდომლობა აძლიერებს აღნიშულ უარყოფით შედეგებს. სტატიაში დასმულია კითხვა უნდა ჩავრიოთ, თუ არა ასეთ დროს სახელმწიფო მდგრადი განვითარების ეკონომიკურ მექანიზმებში და რა შედეგებამდე მიგვიყვანს ეს. ავტორი პარალელებს ავლებს საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე და გვთავაზობს არსებული პრობლემების გადაჭრის რამოდენიმე გზას.
საკვანძო სიტყვები: მდგრადი განვითარება, ჭარბი მოხმარება, ბუნებრივი რესურსები, კეთილდღეობა, ეკონომიკური თავისუფლება, კერძო საკუთრება, ექსპორტი, იმპორტი.

Abstract: In the article "The Role of the State in the Economic Mechanisms of Sustainable Development" it is written that the consumption-based lifestyle principle has put mankind at a global disadvantage in securing the future of life. Despite the steps taken in the last decades to understand this problem, the practical implications are not yet apparent. The result of reckless use of resources is not only the danger of their exhaustion, but also the depletion of nature's ability to evolve. Wealth and poverty have various negative effects on nature. Wealth (excess production and excess consumption) are associated with environmental problems such as industrial waste and consumer waste, air, water and soil pollution. Poverty is a major cause of environmental problems such as cutting down the forest, land erosion erosion, river flooding, and more. The lack of effective energy saving technologies enhances these negative effects. In the article asked the question of whether or not such a time will be included in the economic mechanisms of state sustainable development and what the consequences will be. The author draws parallels to current events in Georgia and suggests several ways to solve existing problems.

Keywords: Sustainable Development, Excess Consumption, Natural Resources, Prosperity, Economic Freedom, Private Property, Export, Import.

ეკონომიკური განვითარება და სოციალური კეთილდღეობის მიღწევა, როგორც ამჟამინდელი ისე მომავალი თაობებისთვის შეუძლებელია ეკოსისტემების დაცვისა და მდგრადობის

უზრუნველყოფის გარეშე. წლების განმავლობაში ბუნებრივი რესურსების არაეფექტიანმა ხარჯვამ მსოფლიო სავალალო შედეგების წინაშე დააყენა. გაჩნდა საშიშროება, რომ მომავალი თაობები ვერ მიიღებენ იმ ბუნებრივ სარგებელს რასაც დღეს ჩვენ ვიყენებთ და არა მხოლოდ ეკონომიკური ან სოციალური პრობლემები შეექმნება მსოფლიოს, არამედ ადამიანის არსებობა დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ.მსოფლიოს მოსახლეობის 20 პროცენტი მოიხმარს რესურსებისა და ენერგიის 70-80 პროცენტს და იღებს შემოსავლების სამ მეოთხედს. ერთ სულზე შემოსავალი მდიდარ ქვეყნებში 40-ჯერ აჭარბებს ღარიბი ქვეყნებისას. მსოფლიო მოსახლეობის ღარიბი ნახევარი წლიურად მოიხმარს დაახლოებით ერთ ტრილიონ დოლარს, რაც ნაკლებია შეიარაღებაზე გაწეულ წლიურ მსოფლიო ხარჯებზე. ასეთ პირობებში ბრაზილია, რომლის ეკონომიკა ზრდის სწრაფი ტემპით გამოირჩევა, მხოლოდ 300 წლის შემდეგ შეძლებს. [5]

არაერთი კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა გარემოს დაბინძურებისა და ბუნებრივი რესურსების გამოლევის გლობალური ხასიათი, სიღატაკის პრობლემის უშუალო კავშირი ამ პრობლემასთან. მთელი სიმძაფრით დადგა გარემოს დაცვისა და განვითარების ურთიერთკავშირის ახლებურად გააზრების პრობლემა. ამ მიმართულებით მიმდინარეობს აქტიური მუშაობა. მასში ჩართულია როგორც საერთაშორისო, ისე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაცები, რელიგიური, ქალთა, ახალგაზრდული, პროფკავშირული, სამეცნიერო, საგანმანათლებლო და სხვა მოძრაობები. ყალიბდება გლობალური პრობლემების ღრმა ურთიერთკავშირის გაგება, რომელთა გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ მსოფლიო საზოგადოებრიობის ერთიანი ძალისხმევით.

გაეროს მდგრადი განვითარების გადაწყვეტის ქსელებმა (SDSN), ცნობილი ეკონომისტის, პან გი მუნის მრჩევლის, ჯეფრი საქსის ხელმძღვანელობით თავდაპირველად შეიმუშავა მდგრადი განვითარების 10 ძირითადი მიზანი, რომლის საფუძველზეც

შემუშავდა 2015 წლის სექტემბერში მისაღები საბოლოო დოკუმენტი, სახელწოდებით „გარდავქმნათ მსოფლიო: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“. [6]

როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, ეს დღის წესრიგი სამოქმედო გეგმაა ხალხის კეთილდღეობისთვის, პლანეტისათვის, ასევე უნივერსალური მშვიდობისა და მეტი თავისუფლებისთვის. დოკუმენტში მოცემულია მდგრადი განვითარების 17 მიზანი და 169 ამოცანა. მიზნები განუყოფელი და ინტეგრირებულია და აბალანსებენ მდგრადი განვითარების 3 განზომილებას – ეკონომიკურს, სოციალურს და ეკოლოგიურს.

ამ მიზნებმა და ამოცანებმა მომდევნო 15 წლის განმავლობაში უნდა ასტიმულირონ მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი მოქმედებები იმ სფეროებში, რომლებიც კრიტიკულია, როგორც კაცობრიობისათვის, ისე პლანეტისთვის.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ 2030 წლამდე უნდა დასრულდეს სიღატაკე და შიმშილი ყველგან; აღმოიფხვრას უთანასწორობა ქვეყნებში და ქვეყნებს შორის; აშენდეს მშვიდობიანი, სამართლიანი და ინკლუზიური საზოგადოებები; დაცულ იქნას ადამიანის უფლებები და ხელი შეეწყოს გენდერულ თანასწორობას, ქალთა და გოგონათა უფლებების რეალიზებას; უზრუნველყოფილი იყოს პლანეტისა და მისი ბუნებრივი რესურსების უწყვეტი დაცვა. [6]

წარმოების ზრდა და მასთან დაკავშირებული რესურსების ფართო გამოყენება ისეთ ლეგიტიმურ მექანიზმს ემყარება, როგორიც ღია ბაზარია. საბაზრო ძალების თავისუფალ მოქმედებას, როგორც ადამ სმიტი მიიჩნევდა, საყოველთაო ჰარმონია, კეთილდღეობა, აყვავება, განვითარება და პროგრესი უნდა მოეტანა. ამას იგი “უხილავი ხელის“ პრინციპს უწოდებდა. კერძო ინტერესებით მოტივირებული უამრავი მწარმოებლისა და მომხმარებლის ლოკალური ქმედება მოთხოვნა-მიწოდეის წონასწორობის თვალსაზრისით მართლაც ქმნის ერთგვარ ჰარმონიას, ოღონდ შეზღუდულ დროსა და სივრცეში.

ინგლისელი მკვლევარი მაიკლ ჯაკობსი შენიშნავს, რომ საბაზრო ძალები, სხვა მხრივ თუ არა, გარემოს მდგომარეობის თვალსაზრისით მაინც უეჭველია, ქმნის შემაფერხებელ პირობებს, რაც სერიოზულად აზიანებს, არღვევს პლანეტის ეკოლოგიურ ბალანსს. აშკარა ხდება, რომ საბაზრო აქტივობის შედეგები მთლიანობაში უნდა დაიგმოს. ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ სახელმწიფომ ტოტალური კონტროლი გაუწიოს ყოველგვარ ეკონომიკურ აქტივობას, პირიქით, მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის ერთ-ერთი უმთავრესი საშუალება სწორედ საბაზრო მექანიზმებისა და ინსტრუმენტების ფართოდ გამოყენებაა. იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ბაზრის მექანიზმის რეკონსტრუირებით კეთილდღეობის განმსაზღვრელმა ყოველმა ელემენტმა ჭეშმარიტი, ადეკვატური ფასი მიიღოს, ეს კი ორი გზით შეიძლება განხორციელდეს:

1) პრივატიზაციის ცნების გაფართოებით (ყველა გახდეს მესაკუთრე);

2) სახელმწიფოს ჩარევით ფასწარმოქმნის სისტემაში. [1]

ჩვეულებრივ გამოყოფენ გარემოზე ზემოქმედების რეგულირების ოთხ ძირითად მიმართულებას, რომლებითაც შესაძლებელია სახელმწიფოს ჩარევა საბაზრო მექანიზმში:

1. სახიფათო ქმედებების არარეგულარულად გამოცხადება (სტანდარტები, სახელმწიფო რეგულირება);

2. სახიფათო ქმედებების დაჯარიმება;

3. დაბინძურებისა და რესურსების გამოყენების ბაზრის რეგულირება (ოპტიმალურ დონეზე დაბინძურებისა და რესურსების გამოყენების ლიცენზირება;

4. სასარგებლო ქმედებების წახალისება (სუბსიდიები დაბინძურების შეზღუდვასა და რესურსების ეფექტიან გამოყენებაზე).

პირველი სამი მიმართულება უზრუნველყოფს მიდგომას: დამბინძურებელი და მომხმარებელი იხდის, მეოთე პრინციპით კი

გადასახადის გადამხდელი იხდის. ამ პრინციპით ხდება წარმოების რეალური ხარჯებისა (საზოგადოებისათვის მიყენებული ზარალისა) და მოხმარების ეფექტის გათვალისწინება. მრავალმხრივი სირთულეების მიუხედავად, დღეისათვის უკვე შესაძლებელია მდგრადი განვითარების ინსტრუმენტების პრაქტიკული გამოყენება. ეკოლოგიური გადასახადები, რომლებიც არა მარტო ზღუდავენ გარემოსათვის მავნე ქმედებას, არამედ ასტიმულირებენ კიდეც სასურველ მიმართულებებს, უკვე ფართოდ გამოიყენება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. მაგალითად, პირველად 1989 წელს ბრიტანეთში ეთილირებულ ბენზინზე შემოღებულმა 8%-მა გადასახადმა ერთ წელიწადში არაეთილირებული ბენზინის მოხმარება 4-დან 30%-მდე გაზარდა. მსოფლიოში ასეთი მაგალითები ბევრია, როდესაც სახელმწიფოს ამ სახით ჩარევამ ბუნებას დიდი რაოდენობით რესურსი დაუზოგა.

საქართველოში, როდესაც ფაქტობრივად თავიდან ვიწყებთ სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას, საშუალება გვეძლევა გავითვალისწინოთ როგორც განვითარებადი, ისე ინდუსტრიული ქვეყნების გამოცდილება.

იმისათვის რომ საბაზრო ეკონომიკა გვქონდეს, აუცილებელია „დომინირებადი“ კერძო საკუთრების ქონა, რაც იმას გულისხმობს, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ აქტივებთან შედარებით უდიდესი წილი კერძო მესაკუთრეთა ხელში უნდა იყოს. აქტივები, რომლებიც ჩაბმულია ეკონომიკურ ბრუნვაში და ასტიმულირებენ სამეურნეო პროცესს, კერძო მესაკუთრეების ხელში უნდა იყოს. საქართველოში კერძო მესაკუთრედ ფიქსირდება მხოლოდ 30%-ი, რაც ცხადყოფს იმ ფაქტს, რომ ჩვენ საბაზრო ეკონომიკა რეალურად ჯერჯერობით არ გვაქვს, თუმცა გვაქვს არჩეული მიზანი და სწორი ვექტორი, რომლისკენაც უნდა წავიდეთ და ეს პროცესები უნდა დავაჩქაროთ.

საქართველო, 2019 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით, მსოფლიო

ქვეყნებს შორის მე-7 ადგილზეა. თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება. საქართველო კვლავ დამოკიდებულია იმპორტირებულ საქონელზე და ქვეყანაში ჯერაც არ არის საკმარისი პირობები შექმნილი პროდუქტის თუნდაც შიდა ბაზარზე სარეალიზაციოდ. იმპორტირებული საქონლის შეძენა გაცილებით იაფი ჯდება ვიდრე ადგილზე ნაწარმოების და თავისთავად მწარმოებლებიც ვერ უძლებენ კონკურენციას ისეთ გიგანტ კომპანიებთან, რომლებსაც ჩინეთიდან, თურქეთიდან და ევროპის სხვდასხვა ქვეყნებიდან შემოაქვთ თავიანთი პროდუქცია. [6]

რაც შეეხება საქართველოში წარმოებული საქონლის გატანას ევროპის ბაზარზე, მიუხედავად ღრმა და ყოვლისმომცევლი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებისა, ევროკავშირს დადგენილი აქვს სტანდარტები. სამწუხაროდ, ხარისხის კონტროლის აპარატი, ჩვენ არ გვაქვს გამართული იმ დონეზე, რომ ნაწარმოები პროდუქტი შემოწმდეს სტანდარტის ყველა პუნქტის დაცვით და თავისუფალი ბაზრის ათვისება შევძლოთ.

აუცილებელად მიგვაჩნია სახელმწიფომ გაამარტივოს პრივატიზაციის პროცესი, გახადოს ის მასშტაბური, მდგრადი განვითარების ინსტრუმენტებს მოუძებნოს უფრო პრაქტიკული გამოყენება. რა შედეგებამდე მივალთ ამ სქემით? ქვეყანაში გაჩნდება მეტი მესაკუთრე, მეტი დამსაქმებელი, მეტი გადასახადების გადამხდელი. შესაძლებელია გაჩნდეს თუნდაც მეტი ელექტრომობილი, რომელიც გამონაბოლქვის პრობლემას ნაწილობრივ შეგვიმცირებს. გაჩნდება მეტი რესურსი უფრო ჯანსაღი გარემოს შესანარჩუნებლად, რაც ადგილობრივ გლეხებს მისცემს საშუალებას ნატურალური პროდუქტით გაუწიონ კონკურენცია ქიმიკატებით გაჯერებულ პროდუქციას. ეკონომიკური თავისუფლება ძალზე მნიშვნელოვანია და მდგრადი განვითრებაც, ეკონომიკური თავისუფლების გარეშე ვერ შეძლებს წარმატებულად არსებობას. თუმცა ამ მიმართულებით სახელმწიფოს მხრიდან

ჩარევა, კეთილდღეობისა და მდგრადი განვითარების შენარჩუნებისათვის აუცილებელია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაბუნაშვილი გ. საქართველოს ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების პრობლემები. თბილისი: გამომცემლობა "თბილისის უნივერსიტეტი", 2000.
2. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო. საქართველოს ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური სისტემების მოწყვლადობა და ადაპტაცია კლიმატის ცვლილებების მიმართ. http://www.moe.gov.ge/ka/%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/klimatis-cvlileba/adaptacia/1970-01-01-adaptacia უკანასკნელად გადამოწმებულია 08.02.2020
3. საქართველოს მთავრობის დადგენილება. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის, "საქართველო 2020" დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების თაობაზე. თბილისი, 2014. http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf უკანასკნელად გადამოწმებულია 08.02.2020
4. The Crisis from the Point of View of Evolutionary Economics. International Journal of Social Economics, 37(6), 466–471; https://doi.org/10.1108/03068291011042337 უკანასკნელად გადამოწმებულია 08.02.2020
5. The Haritage Foundation. Freedom and Prosperity: The 2019 Index Of Economic Freedom https://www.heritage.org/search?contains=Index%20of%20Economic%20Freedom უკანასკნელად გადამოწმებულია 08.02.2020
6. Sustainable Development Solutions Network. The World In 2050. https://www.unsdsn.org/the-world-in-2050 უკანასკნელად გადამოწმებულია 08.02.2020

მსოფლიო ბანკის და მისი ჯგუფის საქმიანობის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე
Impact of the World Bank and its Group on Georgia's Economy

ლაშა გაბისონია - დოქტორანტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
l.gabisonia@hotmail.com
Lasha Gabisonia - PhD in Economics,
GeorgianTechnikal University
l.gabisonia@hotmail.com

რეზიუმე. მსოფლიო ბანკის მიზანი იყო განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ფინანსური დახმარება და იმ ეკონომიკური პროლემბის გადჭრა, რომლის წინაშეც აღმოჩნდა კაცობრიობა ეკონომიკური კრიზისის შემდეგ. მსოფლიო ბანკი ამდენი წლის მანძილზე აქტიურად არის ჩართული განვითარებადი ქვეყნების ხელშეწყობაში. მსოფლიო ბანკი უნზრუნველყოფს სხვადასხვა პროექტების და პროგრამების კრედიტით დაფინანსებას და ასევე უწევს რეკომენდაციას განვითარებად ქვეყნებს და მათ შორის საქართველოს იმ რეგულირებების შესახებ, რომელიც აძლიერებს ან აფერხებს ეკონომიკას.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ბანკს დიდი წვლილი შეაქვს მსოფლიოს ეკონომიკურ კეთილდღეობაში. საზოგადოეისა და მეცნიერებსი ნაწილი ვერ შეთანხმდენ ერთ მოსაზრებზე, მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროეტების შესახებ, დადებითად მოქმედებს თუ არა აღნიშნული პროექტები საქართველოს ეკონომიკაზე. საზოგადოებაში რადკალური განსხვავების მიზეზი გამომდინარეობს, იქედან რომ, არ არის შესაბამისი რაოდენობით კვლევები და მათზე დამყრებული ჯანსაღი მოსაზრებები.

დღეს მთელი მსოფლიოსთვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია მსოფლიო ბანკისა და მისი ჯგუფის წევრი ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ, თუმცა მნიშვნელოვანია საქართველოში საზოგადოების სწორი ინფორმირება მსოფლიო ბანკის და მისი ჯგუფის წევრი ორგანიზაციების ძრითადი მიმართულებების შესახებ. საერთაშორისო ორგანიზაციების

შესახებ ინფორმაციის არქონა, კი იწვევს ეკონომიკისა და ბიზნეს სექტორის შეფერხებას, რადგან კერძო მეწარმეები კარგავენ საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან დაფინანსების შესაძლებლობას.

საკვანძო სიტყვები: მსოფლიო ბანკი, მსოფლიო ბანკის ჯგუფი, საერთაშორისო, საფინანსო, ორგანიზაციები, ფინანური დახმარება, მთლიანი შიდა პროდუქტი.

Abstract. The purpose of the World Bank was to provide financial assistance to developing countries and countries with transition economy, as well as to address the economic challenges that humanity has faced since the economic crisis. The World Bank has been actively involved in promoting developing countries for many years. The World Bank provides credits to finance various projects and programs, as well as advice to developing countries, including Georgia, on rules which stimulate or impede the economy.

Despite the fact that the World Bank is making a significant contribution to the prosperity of the world economy, some members of the public and scientists have not come to a common agreement regarding the projects financed by the World Bank - whether these projects have a positive impact on the Georgian economy. The reason for the radical differences in society arises from the lack of relevant research and reasoned assumptions.

Today, information about the activities of the World Bank and its member organizations is available worldwide, but it is important to correctly inform the Georgian public about the key activities of the World Bank and its member organizations. The lack of information about international organizations causes failures in the economic and business spheres, since private entrepreneurs lose the possibility of financing from the international organizations.

Keywords: World Bank , World Bank Group, International, Financial, Organisations, Financial assistance. Gross Domestic Product.

შესავალი: საქართველოს ეკონომიკა პრაქტიკულად სრულად ჩამოიშალა 1990-იანი წლებიდან მოყოლებული. ოკუპაციამ, კრიმინალმა, ენერგო ბლოკადამ, კორუფციამ და სხვა მრავალმა

ფაქტორმა, საბაზრო პრინციპებზე დაფუძვნებული ეკონომიკური სისტემის ფორმირებაზე მძიმე გავლენა იქონია. ქვეყანა საჭიროებდა ეკონომიკურ ტრანსფორმაციას, დარგების და სექტორების აღორძინებას. 1995 წლიდან იწყება საქართველოს ეკონომიკის ნელი ტემპით განვითარება, იწყება უკვე ინსტიტუციონალური გადასვლა საბაზრო ეკონომიკაზე. დაიწყო სახელმწიფოს არსებული ქონების პრივატიზების და ქვეყნის სავაჭრო სისტემის ლიბერალიზაციის პროცესი. სწორედ ამ ეკონომიკური პროცესების განვითრებაში შეუწყო ხელი საქართველოს მსოფლიო ბანკმა.

ძირითადი ტექსტი: მსოფლიო ბანკი საქართველოსთან იმ დროიდან პარტნიორობს, როდესაც ქვეყანაში ფაქტობრივად არ არსებობდა წარმოება, განათლების, ჯანდაცვის და ინფრასტრუქტურის სექტორი მძიმე რეგრესს განიცდიდა. 1993 წლიდან 2016 წლამდე მსოფლიო ბანკის ფინანსური დახმარება შეადგენდა 4,3 მილიარდ დოლარს, მათ შორის 1,5 მილიარდი დოლარი საერთაშორისო განვითარების ასოციაციის (IDA) მიერ. მსოფლიო ბანკის თავდაპირველი პრიორიტეტი იყო ჰიპერინფლაციის შეჩერება, წარმოების განახლების ხელშეწყობა, სახელმწიფო სერვისების განახლება და განადგურებული ინფრასტრუქტურის აღდგენა.

გაცემული კრედიტების მიხედვით დგინდება, რომ მსოფლიო ბანკის მთავარი პრიორიტეტი სატრანსპორტო და ინფრასტრუქტურის და საფინანსო სექტორის დაფინასება გახლდათ. მსოფლიო ბანკისთვის ნაკლებ პრიორიტეტულ დარგებად დაფინანსების მიხედვით განათლება და სოფლის მეურნეობა წარმოადგენს.

მსოფლიო ბანკი უკანასკნელი 25 წლის განვმალობაში აქტიურად იყო ჩართული სატრანსპორტო კორიდორის აღდგენის პროცესში. 1995-2005 წლამდე მსოფლიო ბანკმა, საგზაო ინფრასტრუქტურა დააფინანსა 84 მლ დოლარით, მკვეთრად

გაიზარდა დაფინანსება 2006-2017 წლებში. მსოფლიო ბანკმა ამ წლებში 898 მლ დოლარის კრედიტი გამოუყო საქართველოს. პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში საქართველო თანდათან ახორციელებდა სატრანსპორტო მომსახურების კომერციალიზაციას და პრივატიზაციას.

მსოფლიო ბანკის მიერ გაცემული კრედიტები საქართველოში, სექტორების მიხედვით (1995-2017)



წყარო : მსოფლიო ბანკი

თავდაპირველი ინვესტიციების განხორციელების ფარგლებში 2000 წლებში აღდგენილი იყო უკვე მთავარი გზის თითქმის 70% , თუმცა მეორეხარისხოვანი შემოვლითი გზების და მუნიციპალური საგზაო ინფრასტრუქტურა კვლავ განადგურებული რჩებოდა.

2004 წელს მსოფლიო ბანკის ჯგუფმა განახორციელბა პროგრამა, რომლის მიხედვითაც უნდა აღდგენილიყო და რეაბილატიცია ჩატარებულიყო უკვე არამხოლოდ ცენტრალურ გზებზე, არამედ შიგნით ქალაქში არსებული და რეგიონალური გზების რეაბილიტაცია და მისი გამოყენება, რომლის აღდგენაც მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობის გამოუჯობესებას ხელს შეუწყობდა. ამ პროგრამისთვის გამოიყო 400 მილიონი დოლარი. პროგრამის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა და დაიგო 700

კილომეტრის სიგრძის საავტომობილო გზა და დაიგო ასევე ადგილობრივი საგზაო ინფასტრუქტურა, რომლის სიგრძეც 200 კილომეტრს შეადგენდა. მსოფლიო ბანკი და საქართველო კვლავ აქტიურად თანამშრომლობს საგზაო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის საკითხებში, ვინაიდან გაგრძელდეს მისი რეაბილატიაცია და ეფექტურად გამოყენება, არამხოლოდ საქართველოსთვის, არამედ ყველა იმ მხარისთვის ვინც საგზაო ინფრასტურქტურით სარგებლობს. მსოფლიო ბანკი მისი პროქტების მეშვეობით ცდილობს, დააკავშიროს რეგიონები და საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების შედეგად, მოხდეს ამ რეგიონების ეკონომიკური განვითარება, რაც სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

2006-2016 წლებში მსოფლიო ბანკის ჯგუფმა 450 მილიონი დოლარი გამოყო პროგრამისთვის, რაც გულისხმობდა საქართველოს საგზაო კორიდორის მოდერნიზაციის პროცესს, რომელიც დააკმაყოფილებდა ევროპულ სტანდარტებს. სწორედ ამ პროგრამის განხორცილების შედეგად ყოველწლიურად იზრდება ტრანზიტის რაოდენობა, „აღმოსავლეთ-დასავლეთის'' დამაკავშირებელი მაგისტრალით. პირველ რიგში სატრანზიტო კორიდორი ეხმარება საქართველოს ეკონომიკის სტაბილურ ზრდას. 2015 წლისთვის უკვე 300 კილომეტრის სიგრძის გზას ჩაუტარდა მოდენიზაცია. მსოფლიო ბანკის გარდა აქტიურად თანამშრომლობს ევროპის განვითარების ბანკი, აზიის განვითარების ბანკი და ევროპის საინვესტიციო ბანკიც, საქართველოს საგზაო კორიდორის გაუმჯობესების პროგრამაში.[32]

მსოფლიო ბანკმა საქართველოს გამოუყო დაახლოებით 145 მილიონი დოლარი ენერგო სექტორისთვის, რომ გაზრდილიყო

---

[32] The World Bank. (2017) . Georgia and World Bank group 25 year of partnership. (pp 1-20).

ენერგო დამოუკიდებლობა. განხორციელებული რეფორმების შედეგად მეტნაკლებად ჩამოყალიბდა საიმედო და სტაბილური ენერგო სექტორი. თუმცა მნიშვნელოვანია გაგრძელდეს ენერგო სექტორის განვითარება, ვინაიდან ენერგო დამოუკიდებლობა ხელს შეუწყობს ეკონომიკის ზრდის ტემპს. ეკონომიკური ზრდა ხასიათდება დროის განსაზღვრულ პერიოდში საქონლის და მომსახურების ეროვნული წარმოების გადიდებას.[33]

2019 წელს მსოფლიო ბანკის დირექტორთა საბჭომ საქართველოს ენერგეტიკული სექტორისთვის 62 მილიონის სესხის გამოყოფაზე გადაწყვეტილება მიიღო. თანხა "ელექტროენერგიის მიწოდების საიმედოობის და ფინანსური გაჯანსაღების'' პროექტის ფარგლებში გამოიყოფა და მას IBRD დააფინანსებს.

მსოფლიო ბანკი აღნიშნავს, რომ ბოლო 20 წლის განვმალობაში საქართველოს ენერგო ბაზარმა პოზიტიური ცვლილებები განიცადა. ისინი განმარტავენ, რომ „რეფორმების შედეგად, ქვეყნის ენერგო სექტორი, რომელიც ფინანსური კოლაფსის წინაშე იდგა, საიმედო და განვითარებად სექტორად იქცა. მიუხედავად ამისა კვლავ რჩება გამოწვევები. დაფინანსება კი საქართველოს სწორედ ამ გამოწვევების დაძლებაში დაეხმარება.[34]

მსოფლიო ბანკის ჯგუფის ნაწილის Doing Business-ის კვლევის შედეგებიდან გამომდინარე საქართველომ 2020 წლის ბიზნესის კეთების ანგარიშში ერთი ერთეულით უკან გადაინაცვლა 2019 წელთან შდარებით. რაც შეეხება აბსოლიტურ ქულას 0.2-ით გაიზარდა. Doing Business-ი არის მსოფლიო ბანკის ჯგუფის ნაწილი, რომლის ანგარიშიც ქვეყნდება ყოველწლიურად. ანგარიში იკვლევს იმ რეგულირებებს, რომელიც აძლიერებს ან აფერხებს ბიზნეს-

---

[33] ვეშაპიძე. შ (2015). ეკონომიკის საფუძვლები. თბილისი. 266 გვ.

[34] Forbes.ge (2019). https://forbes.ge/news/6324/msoflio-banki-saqarTvelos-energetikul-seqtors-62-milioniT-daafinansebs- უკანასკნელად გადამოწმდა - 07.02 2020.

საქმიანობას . რეიტინგში პოზიციის დათმობა კი იმის შედეგია, რომ სხვა ქვეყნებმა უფრო მეტად გაუმჯობესეს ბიზნესის რეგულირება და საქართველოზე უკეთესი ადგილი დაიკავეს.

ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსი



წყარო: Doing Business 2020 Geo

საქართველოს პოზიცია ათეულში მყოფ სხვადასხვა ინდიკათორებში.



წყარო: Doing Business 2020 Geo

აღნიშნულ დიაგრამაში, კი მოცემულია საქართველოს პოზიცია ათეულში მყოფ სხვადასხვა ინდიკათორებში.
ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსის დასადგენად გამოიყენება თერთმეტი ინდიკატორი:

1. ბიზნესის დაწყება;
2. მშენებლობის ნებართვა;
3. ელექტროენერგიის მიღება;
4. ქონების რეგისტრაცია;
5. კრედიტის ხელმისაწვდომობა;
6. მინორიტარული ინვესტორების უფლებების დაცულობა;
7. გადასახადების გადახდა;
8. საერთაშორისო ვაჭრობა;
9. კონტრაქტების აღსრულება;
10. გადახდისუუნარობა;
11. თანამშრომელთა დაქირავება.

აღნიშნული ანგარიში გვაძლევს მონაცემებს საქართველოს შესახებ, თუმცა ეს, რამდენად მოქმედებს საქართველოს ეკონომიკურ ზრდაზე, კიდევ ცალკე განხილვის და უფრო ფართო კვლევის საკითხია. აუცილებელია საქართველოში გადაიჭრას სისტემური პრობლემები და აღნიშნული რეფორმები უფრო შეუწყობს ხელს მოსახლეობას არა მხოლოდ ბიზნესის დაწყების შესაძელებლობას, არამედ მის შემდგომ განვითარებას.

დასკვნა: მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკონომიკური ზრდის ტემპი დაბალია. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია მსობლიო ბანკის ჯგუფის დაფინანსება, გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკიური ზრდის მისაღებად.

საქართველოსთვის მრავალმილიონიანი კრედიტები უნდა მიმართული იყოს ქვეყნის ეკონომიკური სტრატეგიის განსახორცილებლად და არსებული სექტორების გასაუმჯობესებლად. მრავალწლიანი კრედიტის აღება არ უნდა დააწვეს სახელმწიფოს, როგორც მხოლოდ საგარეო ვალი, ის უნდა

იძლეოდეს ეკონომიკურ სარგებელს და უნდა უზრუნველყოფდეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სტიმულირებას და განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბაშიშვილი. გ, „საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების გამოწვევები
   განვითარებადი ქვეყნების მთავრობებთან და ბიზნესთან მიმართებაში“ თბილისი-2013.
2. ბერუაშვილი.შ, „საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების როლი განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის ზრდის უზრუნველყოფაში“, თბილისი- 2019.
3. ვეშაპიძე. შ, „ეკონომიკის საფუძვლები“, 266 გვ, თბილისი-2015.
4. მოსიაშვილი. ვ, ბერუაშვილი.შ, ,,მსოფლიო ბანკის ჯგუფის ფინანსური დახმარებების გავლენა დაბალგანვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაზე'', ჟურნალი: ,,ბიზნეს-ინჟინერინგი'', გვ.,92-97# 1. თბ., 2015;
5. European Bank for Reconstruction and Development. (2018). Transition report 2018-2019.
6. The World Bank. (2018) . Georgia and World Bank group 25 year of partnership. (pp 1-20).
7. https://forbes.ge/news/6324/msoflio-banki-saqarTvelos-energetikul-seqtors-62-milioniT-daafinansebs- უკანასკნელად გადამოწმდა - 05.02.2020.
8. https://www.worldbank.org/en/country/georgia/publication/georgia-country-partnership-framework-2019-2022 უკანასკნელად გადამოწმდა - 09.02.2020.
9. https://www.doingbusiness.org/content/dam/doingBusiness/country/g/georgia/GEO.pdf უკანასკნელად გადამოწმდა - 31.012020.
10. https://openknowledge.worldbank.org/bitstream/handle/10986/32436/9781464814402.pdf უკანასკნელად გადამოწმდა -04.02.2020.
11. http://www.economy.ge/uploads/files/2017/reitingebi/doing_business_2020_geo.pdf უკანასკნელად გადამოწმდა -07.02.2020.

შიდა საინვესტიციო რესურსების ეფექტურად მართვის გზები საქართველოში
Ways of effective management of domestic investment resources in Georgia

დალი სეხნიაშვილი - პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
d.sekhniashvili@gtu.ge

Dali Sekhniashvili - Professor,
Georgian Technical University
d.sekhniashvili@gtu.ge

Abstract. The investment funds are one of the most popular forms of the financial intermediation today. The experience of foreign countries indicates on the high investment importance of people's savings and it the needs to develop collective investment instruments to manage it.

It is desirable to take a dynamic and rational form from the beginning of the process of the free stocks market developing in Georgia. In order to use adequately them as investment resources, it is important to study the features of the functioning of the investment funds and their promotion.

The paper discussed the role of investment funds in the effective management of domestic investment resources in Georgia, in the economic well-being of people, analyzes the theoretical-methodological and practical experience of investment funds in Georgia.

Keywords: Domestic Investments, Investment Funds, Investments, Investment Resources.

ძირითადი ტექსტი. ერთობლივ ფონდებში მონაწილეობა საფონდო ბაზარზე სახსრების ინვესტირების მოხერხებული ფორმაა, რომელიც ინვესტორს საშუალებას აძლევს აღარ იზრუნოს კონკრეტული კომპანიის აქციების არჩევაზე. ერთობლივი ფონდი აქციების, ობლიგაციებისა და ნაღდი სახსრების ერთიანი პორტფელია, რომელსაც საინვესტიციო კომპანია მრავალი ინვესტორის სახელითა და დავალებით მართავს.

განვითარებულ ქვეყნებში, ამ ტიპის საინვესტიციო საქმიანობა 80 წელზე მეტია რაც არსებობს და განვითარების მეტად მაღალ დონეს მიაღწია. ყველაზე დიდი საინვესტიციო ფონდები აშშ-სა და ევროპაშია (47.2 და 29.6%), შემდეგ ადგილზეა ავსტრალია (5.9%), ბრაზილია (4%), იაპონია (3.2 %), კანადა (2.6%). [5] ლუქსემბურგში, უმსხვილეს ოფშორულ ცენტრში, საინვესტიციო ფონდების რაოდენობა 9353-ია, კორეაში (8687), საფრანგეთში (7791) და აშშ-ში (7581). [7]

საინვესტიციო ფონდი არის ფინანსური შუამავალი, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილეთა სახსრების მოზიდვას ფასიანი ქაღალდების გამოშვებით ან ხელშეკრულებების გაფორმებით, რომელიც, მოგების მიღების მიზნით, ახორციელებს ინვესტირებას ფასიან ქაღალდებსა და სხვა ლეგალურ აქტივებში და წმინდა აქტივების ღირებულების განაწილებას ახდენს ინვესტორების წილის შესაბამისად [6, გვ. 414].

როგორც ავღნიშნეთ, საინვესტიციო ფონდების საქმიანობის მიზანია ინვესტიციების განთავსება ფინანსურ ინსტრუმენტებში, შესაბამისად, მათი ძირითადი ფუნქციებია:

- ინდივიდუალური ინვესტორების დანაზოგების აკუმულირება;
- საინვესტიციო რესურსების ეფექტური მართვა;
- ინდივიდუალური ინვესტორების აქტივების განთავსება ფინანსურ ინსტრუმენტებში, რისკების დივერსიფიკაციის მიზნით;
- ფასიანი ქაღალდების ბაზარზე განხორციელებული ოპერაციებისთვის განკუთვნილი ხარჯების შემცირება.

საინვესტიციო ფონდი, როგორც განსაზღვრული ორგანიზაციული სუბიექტი, ქართულ საკანონმდებლო სივრცეში პირველად „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში 2008 წლის 14 მარტს დამატებული VI1 თავის – „საინვესტიციო ფონდი“ აისახა. 2013 წლის 24 ივლისს, საქართველოს პარლამენტმა აღნიშნული თავი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის

შესახებ“ საქართველოს კანონიდან ამოიღო და სანაცვლოდ, „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ სრულიად ახალი კანონი მიიღო. ძველი რეგულაციისგან განსხვავებით, ახალი კანონით დეტალურად განისაზღვრა საინვესტიციო ფონდების შექმნისა და საქმიანობის სამართლებრივი საშუალებები, რაც ხაზს უსვამს აღნიშნული ფინანსური ინსტიტუტის მნიშვნელობას. [3]

„საინვესტიციო ფონდის“ საკანონმდებლო განმარტება მოცემულია „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 55-ე პუნქტში, რომლის მიხედვით: „საინვესტიციო ფონდი არის იურიდიული პირი ან კოლექტიური საინვესტიციო სქემა, რომელიც იქმნება ინვესტორის ფულის აკუმულირებისა და განთავსების მიზნით.“ [6]

საზოგადოდ, საინვესტიციო ფონდი არის ინვესტორთა გაერთიანება, რომელიც კოლექტიურად ახორციელებს კომპანიის აქციათა შესყიდვას, რის შედეგადაც თითოეული ინვესტორი მოიპოვებს საკუთრების უფლებას შენაძენზე და გააჩნია საკუთარი ფასიანი ქაღალდების კონტროლის უფლება.[3] ზოგადად კი, საინვესტიციო ფონდებისათვის დამახასიათებელია სხვადასხვა სახის ფინანსური საშუალების გაერთიანება, რისი მეშვეობითაც შემდგომში შესაძლებელი ხდება ამა თუ იმ კომპანიაში გარკვეული მონაწილეობის მიღება, რაც სამომავლოდ მიზნად ისახავს ფონდის მონაწილეთათვის ფინანსური მოგების მიღებას.2

„საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, არსებობს საპაიო საინვესტიციო ფონდი, ღია საპაიო საინვესტიციო ფონდი, ინტერვალური საპაიო საინვესტიციო ფონდი, დახურული საპაიო საინვესტიციო ფონდი, სააქციო საინვესტიციო ფონდი, ვენჩერული კაპიტალის საინვესტიციო ფონდი და კერძო კაპიტალის საინვესტიციო ფონდი. ასევე, ამავე კანონის მე-3 მუხლი – „საინვესტიციო ფონდები და მათი სახეები“ განსაზღვრავს რეგულირებადი საინვესტიციო ფონდების შემდეგ სახეებს: საპაიო საინვესტიციო ფონდი, გათვითცნობიერებულ

(გამოცდილ) ინვესტორთა საინვესტიციო ფონდი (გისფ), სააქციო საინვესტიციო ფონდი და სხვა სახის საინვესტიციო ფონდები (მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ა-დ“ ქვეპუნქტები).[3]

საინვესტიციო ფონდის სხვადასხვა ტიპი გამოირჩევა გარკვეული სპეციფიკურობით, მაგრამ სხვაობის მიუხედავად, ნებისმიერი სახის ფონდი ახორციელებს: ფინანსური წყაროების მოზიდვას და მათ აკუმულირებას, მოზიდული და დაგროვილი მატერიალური საშუალებების მენეჯმენტს, იღებს კერძო პროექტების დაფინანსების შესახებ კოლექტიური ან/და ინდივიდუალური გადაწყვეტილებებს და სხვ.

საინვესტიციო ფონდების განვითარების ფაქტორები. საინვესტიციო ფონდების მსოფლიოში არსებული მრავალფეროვნება აკმაყოფილებს სხვადასხვა გემოვნების მქონე ინვესტორების მოთხოვნებს. ქვეყნის კანონმდებლობასა და კულტურული ტრადიციების შესაბამისად, იცვლება საინვესტიციო ფონდების ფორმებიც, მაგრამ მიუხედავად ამისა, არ იცვლება მათი ამოცანები.

არსებობს საინვესტიციო ფონდების შექმნის საერთო მიზნები განვითარებულ და განვითარებადი ქვეყნებში, კერძოდ:

- ეკონომიკური პროცესების მონაწილეთა (უწინარეს ყოვლისა, დანაზოგების მქონეთა და ინვესტორების) ინტერესების დაბალანსება;
- ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფისთვის საინვესტიციო რესურსების მობილიზაცია;
- საინვესტიციო რესურსების სწრაფი და მოქნილი გადანაწილება;
- სამეწარმეო აქტიურობისა და სამომხმარებლო მოთხოვნის სტიმულირება საკრედიტო პირობების გაუმჯობესებით;
- მცირე ინვესტორების დანაზოგების ინვესტირება მაღალი შემოსავლების და დივერსიფიცირებული რისკების მქონე მქონე აქტივებში;

- მცირე ზომის საკუთრების მქონე ინვესტორების ქონების პროფესიული მართვა;
- ფასიანი ქაღალდების მთლიანი ბაზრის განვითარება და გაუმჯობესება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, საინვესტიციო ფონდების ბაზრის ფორმირების პირობები და ღონისძიებები შეიძლება დაიყოს რამდენიმე დიდ ბლოკად:

- საკანონმდებლო გარემო - საინვესტიციო ფონდის შესახებ კანონმდებლობის მიღება; ფონდების მართვის საქმიანობის ნორმატიული რეგულირება; ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატი.
- ზოგადი ეკონომიკური გარემო - საშუალო კლასის ჩამოყალიბება, მოთხოვნის ფორმირება, მათ შორის საპენსიო სისტემის რეფორმა და დაზღვევის განვითარება, პრივატიზაცია და აქციონირება, ლიბერალიზაცია და ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება.
- ინსტიტუციური გარემო - ინფრასტრუქტურის განვითარება (რეესტრის მქონეთა, დეპოზიტარების, აუდიტორების და სხვ. სისტემები), პერსონალის მომზადება, სააგენტო პუნქტების ქსელების შექმნა, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ანგარიშსწორების და ვაჭრობის ტექნოლოგიების განვითარება.
- რეგულირების სფერო - მაკონტროლებელი ორგანოს ფორმირება, საინვესტიციო ფონდების და მათი მომსახურე ორგანიზაციებისადმი ისეთი მოთხოვნების დადგენა, რომლებიც შეესაბამება საინვესტიციო ფონდების ორგანიზების პრინციპებს.
- პოლიტიკური პირობები - პოლიტიკური სტაბილურობა და სახელმწიფოსადმი ნდობის ატმოსფეროს შექმნა, საინვესტიციო ფონდების ფართოდ რეკლამირება, საერთო ეროვნული საგანმანათლებლო პროგრამის ჩატარება.

- საპროცენტო განაკვეთი და საგადასახადო პოლიტიკა - სახელმწიფო ფასიან ქაღალდებზე საპროცენტო განაკვეთის, რეფინანსირების განაკვეთის და ინფლაციის შემცირება, პოტენციური ინვესტორების შემოსავლებზე, საინვესტიციო ფონდებისა და მათი ინვესტორებისთვის კეთილსასურველი საგადასახადო რეჟიმი.

საინვესტიციო ფონდების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. საინვესტიციო ფონდი ძლიერი კონკურენტია ბანკებისა და მათი საინვესტიციო აქტივობისათვის. სწორედ საინვესტიციო ფონდების საქმიანობამ გაზარდა ფასიანი ქაღალდების ბაზრის მნიშვნელობა. გაჩნდა ტერმინი equity culture, რაც ნიშნავს ინდივიდუალური ინვესტორების მასობრივ მონაწილეობას ფასიანი ქაღალდების ბაზარზე. ამერიკული საოჯახო მეურნეობების ნახევარზე მეტი არიან სხვადასხვა საინვესტიციო ფონდების მეანაბრენი. აქციონერული ქრაუდფანდინგი და ქრაუდინვესთინგი (საზოგადოებრივი, სახალხო ფინანსირება) არის ალტერნატიული ფინანსური ინსტრუმენტი მცირე ბიზნესსა და სტარტაპებში.

გასული საუკუნის 90-იან წლებში გლობალური საფინანსო ბაზარი სწრაფი ტემპით განვითარდა. მისი აქტიური მონაწილენი ინსტიტუციური ინვესტორები – საინვესტიციო ფონდები, საპენსიო ფონდები, სადაზღვევო კომპანიები იყვნენ. ამ საუკუნის დამდეგიდან ფასიანი ქაღალდების ბაზრები ეკონომიკის სტიმულირებისა და ფინანსირების საქმეში გადამწყვეტ როლს ასრულებენ. ინტერნეტის გავრცელებამ დააჩქარა ფასიანი ქაღალდების გლობალური ბაზრის შექმნა. გაჩნდა დოტკომები (dot-com company), კომპანიები, რომლებიც მხოლოდ ინტერნეტში მუშაობენ. ფინანსური ბაზარი უკვე მრავალჯერ აღემატება რეალური, მწარმოებლური ეკონომიკის ბაზარს. [2]

საინვესტიციო ფონდები პოზიტიურ გავლენას ახდენენ ქვეყნის ეკონომიკის ზრდის ტემპზე, საინვესტიციო აქტიურობის ზრდაზე, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც ახალი ტექნოლოგიებს განვითარებაზე, ასევე, ქვეყნის შრომითი და ბუნებრივი რესურსების ეფექტიანად გამოყენების ამაღლებაზე; მეურნეობის პროგრესულ, ტერიტორიულ და დარგობრივ სტრუქტურის გაუმჯობესების ხელისშეწყობაში; და ბოლოს, საინვესტიციო ფონდები მოქმედებენ ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რაც ვლინდება მის საექსპორტო პოტენციალში, მოქმედებს სავაჭრო და საგადამხდელო ბალანსზე.

საინვესტიციო ფონდები საქართველოში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსახლეობის დანაზოგების საინვესტიციო რესურსად გამოყენების მიმართულებით განხორციელებულ აქტივობებს მეტად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება.

საქართველოში 2011 წელს სატრანსპორტო, ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის სფეროში არსებული მსხვილი სახელმწიფო საწარმოების: საქართველოს რკინიგზა, ნავთობისა და გაზის კორპორაცია, სახელმწიფო ელექტროსისტემა, ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი, თელასი, კონსოლიდაციის ბაზაზე დაფუძნდა *საინვესტიციო სახელმწიფო ფონდი საპარნტიორო ფონდი.* სს „საპარტნიორო ფონდი" სახელმწიფო საინვესტიციო ფონდია - მისი 100% სახელმწიფო საკუთრებაშია. მისი მიზანია კომერციულად მომგებიანი პროექტების მხარდაჭერა ეკონომიკის პრიორიტეტულ სექტორებში, რაც შემდეგ ხელს შეუწყობს კერძო ინვესტორების მოზიდვას აღნიშნულ სფეროებში. პრიორიტეტულ სფეროებად დასახელებულია აგრობიზნესი, ენერგეტიკა, ინფრასტრუქტურა და ლოგისტიკა, წარმოება, უძრავი ქონება და ტურიზმი. ფონდი უფლებამოსილია მიიღოს მონაწილეობა კაპიტალში და ასევე გასცეს სესხი, თუმცა ფონდის მონაწილეობა პროექტში კერძო ინვესტორის წილს არ უნდა აღემატებოდეს.

ფონდის აქტიური საინვესტიციო საქმიანობა 2013 წლიდან დაიწყო და უკვე დასრულებულია ისეთი პროექტები, როგორიცაა: სასტუმრო „ჯინო ველნეს სპა“ ახალციხეში, რაბათის ციხის ტერიტორიაზე; მეცხოველეობის სანაშენე მეურნეობა „კალანდა“ ქვემო ქართლში; სასტუმრო „როიალ ბატონი“ ყვარელში. მისი პროექტებია: ნენსკრას ჰიდროელექტროსადგური სვანეთში, 628 მლნ აშშ დოლარი; გარდაბნის თბოსადგური, 220 მლნ საინვესტიციო ღირებულებით; სასტუმროები რიქსოს ბორჯომი, კურორტი საირმე, რადისონი წინანდალში - სულ, 76 მლნ აშშ დოლარი, სამშენებლო მასალის საწარმო, რომელშიც ჯამური განხორციელებული ინვესტიციაა 6 მლნ აშშ დოლარი, სამაცივრე მეურნეობა - 7 მლნ აშშ დოლარი.

როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, სახელმწიფო საინვესტიციო ფონდების წილი მთლიან საინვესტიციო პორტფელში საკმაოდ მაღალია. ჩვენი აზრით, მისი აქტიური საინვესტიციო პოლიტიკა ხელს შეუწყობს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების ზრდასა და პრიორიტეტული დარგების განვითარებას.

საქართველოში არსებულ *თანაინვესტირების ფონდს* მართავს კერძო ინვესტორები და არა სახელმწიფო. თანაინვესტირების ფონდი, შესაძლოა, გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდეს საქართველოსთვის მეტად საჭირო, თუმცა ძვირადღირებული, ინფრასტრუქტურული და ბიზნეს პროექტებისთვის ფართო მასშტაბიანი დაფინანსების მოპოვებაში. თანაინვესტირების ფონდი იმით არის განსაკუთრებული, რომ იგი არ არის შეზღუდული მინორიტარული მეწილის სტატუსით როგორც, მაგალითად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საპარტნიორო ფონდი, და, საჭიროების შემთხვევაში, პროექტის ღირებულების 75%-ის დაფინანსება შეუძლია. ეს გარემოება მას მეტი საინვესტიციო პროექტისა და კამპანიის წამოწყების საშუალებას აძლევს, რაც საქართველოს ეკონომიკასა და დასაქმების მაჩვენებელზე დადებითად უნდა აისახოს.

თანაინვესტირების ფონდი კერძო სააქციო ფონდია, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი 100 %-ით ინვესტორების საკუთრებას წარმოადგენს. მისი გაცხადებული მიზანია „ქვეყანაში უმაღლესი დონის სტრატეგიული ინვესტორების მოზიდვა“ და „ინვესტორებისთვის მაღალი სარგებლის მოტანა“. ამ დროისთვის გაურკვეველია, რეალურად უკვე არსებობს თუ არა დაფინანსება და თითოეულ ინვესტორს ფონდში რა თანხა აქვს დაბანდებული. თანაინვესტირების ფონდი არ ასაჯაროებს დეტალურ ინფორმაციას მისი პროექტებისა და ზედამხედველობის მექანიზმების შესახებ. ის არც ფინანსური ანგარიშებას აქვეყნებს. თუმცა, ჩვენი აზრით, გახსნილობა მნიშვნელოვანი იქნება იმ ინვესტორების მოსაზიდად, რომლებიც ფონდთან ერთად თანაინვესტირებაზე ფიქრობენ, ან აპირებენ ინვესტიცია ისეთ პროექტში ჩადონ, რომელსაც თანაინვესტირების ფონდის მიერ მხარდაჭერილი პროექტი გაუწევს კონკურენციას.

თანაინვესტირების ფონდს რთული მფლობელობისა და მმართველობის სტრუქტურა აქვს: იგი კაიმანის კუნძულებზეა რეგისტრირებული და ორი შვილობილი კომპანია ჰყავს, ერთი ლუქსემბურგში, მერე კი - ჰონგკონგში. ფონდის ხელმძღვანელობის თქმით, კაიმანის კუნძულებზე დაგროვებული კაპიტალი საქართველოში ინვესტიციად ამ ორი კომპანიიდან ერთ-ერთის გავლით ჩაიდება. ფონდს ქართული კომპანია „GCF Partners“ (შპს ჯი სი ეფ პარტნიორები) მართავს.[1]

მიუხედავად იმისა, რომ თანაინვესტირების ფონდი კერძო საკუთრებაშია, იგი მთავრობის საინვესტიციო პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ფონდი დიდი რაოდენობით კაპიტალს ფლობს, მისი ინვესტიციების წარმატება ან წარუმატებლობა პოტენციურად მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს არა მარტო მის ინვესტორებზე, არამედ ეკონომიკის იმ სეგმენტებზე, რომლებშიც მოხდება ინვესტირება. ინვესტორების საქმიანობის გადამოწმების უფრო მკაცრი პროცედურების დანერგვითა და

წლიური ფინანსური ანგარიშების გამოქვეყნებით, თანაინვესტირების ფონდი შეძლებს მის მიმართ ნდობის ხარისხის ამაღლებას.

საქართველოში ამჟამად დაახლოებით 35 კერძო საინვესტიციო ფონდი ფუნქციონირებს. მათი საქმიანობის შესახებ მეტად მწირე ინფორმაცია არსებობს, არ ვიცით რა ოდენობის კაპიტალს ფლობენ ისინი და რა სახის ინვესტიციებს ახორციელებენ, საქართველოში ჯერ არც განვითარებული საფონდო ბაზარი გვაქვს, მაგრამ, ვიმედოვებთ, რომ გაიზრდება როგორც მოსახლეობის შემოსავლების, ისე საინვესტიციო ფონდების რაოდენობის და მათი აქტივების ზრდა დადებით ტენდენციას შეიძენს და, შესაბამისად, საინვესტიციო ფონდები მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს დანაზოგების მობილიზებასა და საინვესტიციო რესურსად მათ გამოყენებაში. ჩვენი მოსაზრებით, საქართველოში საინვესტიციო ფონდების ფართომასშტაბიანი რეკლამა და ქვეყნის მასშტაბით საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირება, აგრეთვე, დაწყებით ეტაპზე შეღავათიანი საგადასახადო პოლიტიკის განხორციელება დადებითად აისახება როგორც თითოეული მისი წევრის კეთილდღეობაზე, ისე ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანდერსონი ე., ახალი 6 მილიარდიანი თანაინვესტირების ფონდი: გამჭვირვალობა წარმატების საწინდარი იქნება. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო. 26 ნოემბერი 2013. http://transparency.ge/blog/akhali-6-miliardianitanainvestirebis-pondi-gamchvirvaloba-tsarmatebis-satsindari-ikneba, გადამოწმებულია: 26.01.2020
2. გვასალია გ., ჰეჯ- ფონდების მზარდი როლი გლობალურ ეკონომიკაში, #7(211), 2017
3. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ორმხრივი და მრავალმხრივი

საგზაო რუკების შესრულება საქართველოში 2013 წელს ვაჭრობასა და მასთან დაკავშირებულ ზოგიერთ სფეროში, http://www.epfound.ge/wp-content/uploads/2016/10/report_2013__geo.pdf, გადამოწმებულია: 20.01.2020

4. საქართველოს კანონი საინვესტიციო ფონდების შესახებ, https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/fasianikagaldebi/2014/kanoni_sainvestiocio_fondeb_07_03_14.pdf , გადამოწმებულია: 26.01.2020
5. Investment Company Fact Book / ICI, Washington, 2011
6. Абрамов, А.Е. Инвестиционные фонды / А.Е. Абрамов. М., Альпина бизнес букс, 2005.
7. Балан О., Условия создания инвестиционных фондов в национальной экономике, Банкаўскі веснік, Жнівень, 2011.

რეფინანსირების განაკვეთის გავლენა შიდა ინვესტიციებზე
Impact of refinancing rate on domestic investment

ვალერი მოსიაშვილი - ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, სეუ
vmosiashvili@seu.edu.ge
ნინო სიბაშვილი - მაგისტრანტი.
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ.
sibashvili1811@gmail.com

Valeri Mosiashvili - Doctor of Economics, Professor
Georgian National University, Seu
vmosiashvili@seu.edu.ge
Nino Sibashvili - Master
Georgian National University, Seu .
sibashvili1811@gmail.com

აბსტრაქტი: მსოფლიო ეკონომიკის ტენდენციების ანალიზი გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ ეკონომიკის ზრდა-განვითარებისთვის ერთ-ერთი მნშვნელოვანი ფაქტორია ინვესტიციური რესურსების სათანადო მოცულობის არსებობა.ინვესტიციები უნდა გახდეს ეკონომიკის როგორც ზრდის, ასევე განვითარების ხელშემწყობი. ისეთი მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნების, როგორიც საქართველოა, გამოცდილება ცხადყოფს, უცხოური ინვესტიციების მოძიება ხშირად სასიცოცხლოდ აუცილებელია. ეროვნული ეკონომიკის სტაბილურობისთვის.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვის და მათი ზრდის დადებით შედეგებზე ბევრი თქმულა და დაწერილა, ჩვენ წინამდებარე კვლევაში მოკლედ აღნიშნეთ, მის სავარაუდო არც თუ ისე სასურველ შედეგებზე., კერძოდ ჩვენს ქვეყენაში ინვესტიციების უმეტესობა ხორციელდება მომსახურების სფეროში, ინფრასტრუქტურაში და არა ეკონომიკის რელურ სექტორში, სადაც იქმნება და უნდა იქმნებოდეს კიდეს მატერიალური დოვლათი; ამ უცხოური ინევესტიციების სოლიდური ნაწილი საერთასორისო საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციებიდანაა, რაც სახელმწიფო საგარეო ვალის ზრდას განაპირობებს; თუ გადავხედავთ უცხოური ინვესტიციების განაწილებას ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით, ამ კატეგორიაში გვხვდება ინვესტიციები სტატუსით „ქვეყანა უცნობია“, რაც რა თქმა უნდა არ ნიშნავს, რომ საეჭვო რეპუტაციის არის ეს

თანხები, მაგრამ ალბათობა ნამდვილად არის იმის, რომშესაძლოა ამის უკან არაჯანსაღი ეკონომიკური სუბიექტები/ორგანიზაციები იდგენ და სხვ.

დასკვნით ნაწილში განხილულია საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა მიმდინარე ეტაპზე, კერძოდ რეფინანსირების განაკვეტის ცვლილება, მისი გავლენის სავარაუდო შედეგები შიდა ინვესტირებაზე, მოცემულია რეკომენდაციები, ალტერნატიული გზების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: ინვესტიცია, უცხოური ინვესტიცია, მონეტრაული პოლიტიკა, რეფინანსირების განაკვეთი, დევალვაცია, კრედიტი.

Abstract: An analysis of the trends in the world economy allows us to conclude that one of the most important factors for growth and development of the economy is the existence of an adequate amount of investment resources. Investments must support both growth and development of the economy. Experience in countries with small economies like Georgia shows that foreign investment is often vital. For the stability of the national economy.

Much has been said and written about the positive effects of attracting foreign investment and their growth, we briefly mention in the present study its likely not-so-desirable results, namely that most of our investments are in the service sector, infrastructure, and not in the real sector of the economy where we are and should be formed. With material supply ; The bulk of these foreign investments are from international financial and credit organizations, which has led to an increase in public external debt; If you look at the distribution of FDI by country and region, this category includes investments with the status "Country unknown", which does not mean that these are of dubious reputation, but the probability is that unhealthy economic entities / organizations can stand behind it. other.

The final section discusses the monetary policy of the National Bank of Georgia at the current stage, in particular the change in the refinancing rate, the expected effects of its impact on domestic investment, and recommendations on alternative ways.

Keywords: Investment, Foreign Investment, Monetary Policy, Refinancing Rate, Devaluation, Credit.

შესავალი. ეკონომიკის ზრდა-განვითარებისთვის ერთ-ერთი მნშვნელოვანი ფაქტორია ინვესტიციური რესურსების სათანადო მოცულობის არსებობა. ინვესტიციები უნდა გახდეს ეკონომიკის როგორც ზრდის, ასევე განვითარების ხელშემწყობი. ისეთი მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნების, როგორიც საქართველოა, გამოცდილება ცხადყოფს, უცხოური ინვესტიციების მოძიება ხშირად სასიცოცხლოდ აუცილებელია. ეროვნული ეკონომიკის სტაბილურობისთვის.

ინვესტიციების მოცულობის ზრდა, საქართველოს შემთხვევაში არა მარტო ეკონომიკის რაოდენობრივ და ხარისხობრივ ზრდას უწყობს ხელს, არამედ ეროვნული ვალუტის სტაბილურობასაც უზრუნველყოფს. აქედან გამომდინარე გასაგებია თუ რატომ არის რომ ხელისუფლება ცდილობს მაქსიმალურად შეუწყოს ხელი საზღვარგარეთიდან ინვესტიციების მოზიდვას, მით უმეტეს როცა შიდა საინვესტიციო რესურსები საკმაოდ შეზღუდულია.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვის და მათი ზრდის დადებით შედეგებზე კიდევ მეტი საუბარია შესაძლებელია, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ როგორც ყველაფერს, მათ შორი უცხოურ ინვესტიეციებსაც აქვთ „გარკვეული უარყოფითი“ გავლენი ალბათობა. პირველ რიგში აქ მხედველობაში გვაქვს მათი არასტაბილური მოცულობა წლების მიხედვით, რაზედაც მეტყველებს ცხრილი 1-ის მონაცემები. დასაფიქრებელია, ისიც რომ:

1. ჩვენს ქვეყენაში არც თუ ისე მცირე მცულობა ინვესტიციებისა ხორციელდება მომსახურების სფეროში, ინფრასტრუქტურაში და არა ეკონომიკის რელურ სექტორში, სადაც იქმნება და უნდა იქმნებოდეს კიდეს მატერიალური დოვლათი.

2. ამ უცხოური ინევესტიციების სოლიდური ნაწილი საერთასორისო საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციებიდანაა, რაც სახელმწიფო საგარეო ვალის ზრდას განაპირობებს;

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები[35]

მლნ. აშშ დოლარი

წელი	**სულ**	I კვ.	II კვ.	III კვ.	IVკვ.
1996	**3.8**	...	...	...	...
1997	**242.6**	38.8	48.5	97.0	58.2
1998	**265.3**	19.1	97.8	45.0	103.4
1999	**82.2**	19.4	22.3	20.0	20.6
2000	**131.2**	32.7	30.0	28.9	39.5
2001	**109.8**	20.0	30.8	29.8	29.2
2002	**160.2**	24.4	44.6	36.4	54.8
2003	**334.6**	56.3	80.4	83.4	114.4
2004	**492.3**	118.2	117.2	133.0	123.9
2005	**452.8**	88.6	104.8	79.6	179.7
2006	**1,171.2**	145.2	318.0	332.4	375.5
2007	**1,764.7**	330.8	375.3	470.6	588.0
2008	**1,575.2**	540.1	607.7	136.1	291.3
2009	**666.8**	114.5	178.3	179.1	194.9
2010	**865.6**	176.1	211.5	236.8	241.2
2011	**1,134.0**	222.6	273.1	309.1	329.2
2012	**1,048.2**	312.4	248.0	220.5	267.3
2013	**1,039.2**	291.8	224.1	271.6	251.6
2014	**1,837.0**	331.9	217.6	749.5	538.0
2015	**1,729.1**	343.4	493.2	531.1	361.3
2016	**1,650.3**	392.2	452.1	506.5	299.5
2017	**1,962.6**	411.7	394.0	627.9	529.0
2018	**1,265.2**	323.5	403.6	367.0	171.0
2019*	**909.0**	287.5	204.1	417.3	
*წინასწარი მონაცემები					

[35] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi გადამოწმებული 10.02.2020.

3. თუ გადავხედავთ უცხოური ინვესტიციების განაწილებას ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით, ამ კატეგორიაში გვხვდება ინვესტიციები სტატუსით „ქვეყანა უცნობია“, რაც რა თქმა უნდა არ ნიშნავს, რომ საეჭვო რეპუტაციის არის ეს თანხები, მაგრამ ალბათობა ნამდვილად არის იმის, რომშესაძლოა ამის უკან არაჯანსაღი ეკონომიკური სუბიექტები/ორგანიზაციები იდგენ;
4. უცხოური ინვესტიციების ზრდა თავისთავად იწვევს ეროვნული სიმდიდრის, ეროვნული ეკონომიკის მნიშვნელოვანი სეგმენტის უცხოური გავლენის/ინტერესების ქვეშ მოქცევა, რაც არ არის გამორიცხული ახლო პერსპექტივაში პრობლემური გახდეს და ა.შ.

ძირითადი ნაწილი. ჩვენ რა თქმა უნდა არ გამოვდივართ უცხოური ინვესტიციების შეზღუდვის, ბარიერების დაწესების იდეით (თუმცა ვფიქრობთ ამასაც აქვს თავისი ლოგიკა), არამედ გვინდა ვთქვათ, რომ საჭიროა შიდა ინვესტიციები სტმულირება. გასაგებია, რომ სქართველოს ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს ინვესტირების შედარებით მწირი რესურსი ავქთ უცხოელ ინვესტორებთან შედარებით, მაგრამ რა პოტენციალიც არის, უნდა იქნეს მაქსიმალურად გამოყენებული. ამის ერთ-ერთი წინაპირობაა მოსახლეობასა და ბიზნეს სექტორს თანხები გამოუთავისუფლდეს ინვესტირებისთვის, დანახარჯების ზრდისთვის. თუმცა რელურად მონეტარული პოლიტიკის მიმდინარე ცვლილებები ფაქტობრივად რადიკალურად განსხვავებულ გავლენას ახდენს დანაზოგებზე და შესაბამისად შიდა ინვესტიციებზე.

მოკლედ განვიხილოთ რა გავლენა მოახდინა რეფინანსირების ცვლილებამ დანაზოგებზე ეროვნულ ეკონომიკაში, რაც შიდა ინვესტირების ერთ-ერთი მნიშვნეოვანი წყაროა. გასული ერთი წლის მანძილზე ლარმა საკმაოდ მაღალი დევალვაცია განიცადა, 19.02.2019

წ. ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი 1 $ - 2.6404 ₾[36], გაიზარდა და 27.09.2019 წ. შეადგინა 1 $ - 2.9808 ₾[37], (დევავაცია განიცადა - 12.9 %-ით), რაც სხვა თანაბარ პირობებში ნიშნავს, რომ საქართველოს თითოეულ მოქალაქეს, რომელსაც შემოსავალი აქვს ეროვნულ ვალუტაში, ხარჯები გაეზარდა, „ცხოვრება“ გაუძვირდა და შესაბამისად დახარჯულ ერთ ლარზე დამატებით იხდის 12.9 თეთრს.

ცხრილი 2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მდგომარეობა საქართველოში პერიოდის ბოლოს[38] (ათასი აშშ დოლარი)

ქვეყნები	12/31/2016	12/31/2017	12/31/2018	9/30/2019*
სულ	**15,166,679.7**	**17,955,131.1**	**18,258,006.8**	**18,487,296.0**
მათ შორის:				
ევროკავშირის ქვეყნები	**6,642,988.9**	**8,105,582.7**	**8,178,446.2**	**8,214,258.5**
დსთ-ის ქვეყნები	**3,813,261.4**	**4,488,346.6**	**4,652,475.4**	**4,702,376.3**
დანარჩენი ქვეყნები	**4,452,546.0**	**5,098,977.7**	**5,165,936.5**	**5,313,578.8**
ქვეყანა უცნობია	**13,849.5**	**13,849.5**	**13,849.5**	**13,849.5**
საერთაშორისო ორგანიზაციები	**244,034.0**	**248,374.6**	**247,299.2**	**243,232.9**
*** წინასწარი მონაცემები**				

[36] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=582&lng=geo last modified 02. 2020.
[37] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=582&lng=geo last modified 02. 2020.
[38] [38] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi გადამოწმებული 10.02.2020.

ამან თავისი გავლენა მოახდინა ინფლაციურ პროცესებზე და საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური მონაცემებით ნაცვლად მიზნობრივი 3%-ისა, შეადგინა 6.4 %[39].

ძირითადი ნაწილი. ქყეყნის მონეტარული ხელისუფლება მართალია „დაგვიანებით“ (ავტორის შენიშვნა), მაგრამ ცდილობს შეარბილოს დევალვაციური და ინფლაციური „წნეხი“ და შექმნას სტაბილური სავალუტო და ზოგადად მონეტარული გარემო. ვფიქრობთ ამის შედეგია ბოლო პერიოდში განხორციელებული მონეტარული პილიტიკის ისეთი ინსტრუმენტების გამოყენება, როგორიცაა სავალუტო ინტერვენცია და რეფინანსირების განაკვეთის ცვლილება.

აღნიშნულმა ღონისძიებებმა ვფიქრობთ ვერ მოგვცა ის შედეგი, რომელსაც ელოდა როგორც საზოგადოება ასევე ბიზნეს სექტორი, რამდენადაც ლარი კვლავ „დაბალ ნიშნულზეა“, რაც ზრდის უნდობლობას მის მიმართ და ამცირებს საზოგადოების გადახდისუნარიანობას.

მთლიანობაში უნდა ითქვას, რომ დევალვაციური პროცესი, თუ იგი „გონივრულ სამიზნე“ მაჩვენებს არ აჭარბებს, მისაღებია, ეკონომიკის ზრდა განვითარებისთვის უფრო მეტად ხელის შემწყობი ფაქტორია, ვიდრე შემაფერხებელი. ამ საკითხზე აქ აღარ შევჩერდებით, გვინდა განვიხილოთ სებ-ის მიერ გატარებული ანტიდევალვაციური პლიტიკის შედეგები და ვაჩენოთ ალტერნატიული გზის შესახებ, რომელიც შეუძლია სებ-მა გამოიყენოს, რათა დროის არც თუ ისე გრძელვადიან პერიოდში მივიღოთ შედეგები (ლარის კურსის რევალვაცია საწყის ეტაპზე, და სტაბილურობა გრძელვადიან პერიოდში). თან ისე, რომ არ მოხდეს ბიზნესაქტიურობის შეფერხება და ნაკლებად „გაძვირდეს“ საკრედიტო რესურსი.

მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების განაკვეთები[40]

---

[39] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2 last modified 02. 2020.

ძალაშია 2020 წლის 30 იანვრიდან	**ვადიანობა**	**განაკვეთი (%)**
რეფინანსირების სესხი	7 დღე	განისაზღვრება აუქციონით (მინიმალური 9%)
ღია ბაზრის ერთთვიანი ინსტრუმენტი	28 დღე	განისაზღვრება აუქციონით (მინიმალური 9%)
ერთდღიანი დეპოზიტები	1 დღე	(9 -0.75) %
ერთდღიანი სესხები	1 დღე	(9 +0.75) %
სადეპოზიტო სერტიფიკატები	3 თვე	განისაზღვრება აუქციონით
სახაზინო ფასიანი ქაღალდები	1/2/5/10 წელი	განისაზღვრება აუქციონით
	ეროვნული ვალუტით მოზიდული სახსრებისთვის	**უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრებისთვის**
სარეზერვო მოთხოვნა*	5.0%	25.0%
* წარჩენი ვადიანობების მიხედვით ეროვნული ვალუტით 1 წელზე მეტი ვადიანობის და უცხოური ვალუტით 2 წელზე მეტი ვადიანობის ნასესხები სახსრები გათავისუფლებულია სარეზერვო მოთხოვნებისაგან, ხოლო უცხოური ვალუტით 1-დან 2 წლამდე ვადიანობის ნასესხები სახსრებისათვის სარეზერვო ნორმა შეადგენს 15 პროცენტს.		

გასული წლის (2019 წ.) სექტემბერ-დეკემბერში სებ-მა მაღალი მაღალი დევალვაციის და თანდართული ინფლაციური პროცესების „მოთოკვისთვის“ გამოიყენა ერთ-ერთი, ტრანსფორმირებადი ეკონომიკის და „მესამე სამყაროს“ ქვეყნებში ფართოდ აპრობირებული - რეფინანსირების განაკვეთის ზრდა, თან ისე რომ ამისთვის მას დაჭირდა მონეტარული პლიტიკის რიგგარეშე სხდომის ჩატარება და ერთი თვის განმავლობაში (2019 წლის სექტემბერი) მართლაც უპრეცედენტოდ, ორჯერ 0.5 %-ული პუნქტით, ჯამში 1%-ით გაზარდა რეფინანსირების განაკვეთი, დეკემბრის ბოლოს 2.5 %-ით. თუ გავითვალისწინებთ აქამდე არსებულ პრაქტიკას ეს ცვლილება ერთ-ერთი შედეგის მომტანია

[40] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=539 last modified 02. 2020.

ეროვნული ვალუტის სტაბილურობის ან სულაც რევალვაციისთვის. თუმცა აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მსგავსი ღონისძიებები ამცირებს ქვეყანაში გადახდისუნარიან მოთხოვნას, აუარესებს სოციალურ ფონს.

ყოველივე აღნიშნულის ნათელსაყოფად, სებ-ის ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით, ჩვენ მიერ ჩატარებული იქნა კვლევა, რომელიც მეტ-ნაკლებად ნათელ წარმოდგენას გვიქმნის რეფინანირების განაკვეთის ზრდის მიზანშეწონილობის შესახებ.

გამომდინარე იქიდან, რომ გაიზარდა რეფინანსირების განაკვეთი, საბანკო სექტორში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, ბანკის კლიენტებს, რომლებიც სარგებლობდნენ ეროვნულ ვალუტაში უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხებით (და არა მარტო), მათ აბსოლუტურ უმეტესობას ხელშეკრულებიდან გამომდინარე გაეზარდათ სესხის მოცულობა 2.5 %-ით.

ეროვნული ვალუტით გაცემული, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი ვადიანი სესხები ფიზიკურ პირებზე (2019 წლის ბოლოსთვის) შეადგენდა 4 005 853 ათას ლარს. მარტივი მათემატიკური გათვლებით ამ მოცულობის კრედიტის 2.5 % არის 100 146.3 ლარი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სესხის ამღებმა ფიზიკურმა პირებმა კომერციული საბანკო სექტორს დამატებით უნდა გადაუხადონ აღნიშნული მოცულობის თანხა.

მთლიანობაში ამ მონაცემების ანალიზი საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ სებ-ის აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ გადახდისუნარიანი მოთხოვნა შეამცირა დაახლოებით 100.1 მლნ ლარით, ამას თუ დავუმატებთ ზოგადად ეროვნული ვალუტით გაცემული, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი ვადიანი სესხების მთლიან მოცულობას (ოქტომბრის თვის ბოლოს მდგომარეობით) 5 780 755 ათას ლარს, მსაგსი გათვლებით თანხა კიდევ მეტია და შეადგენს 144 518.9 ლარს.

ასევე კიდევ მეტად არასახარბიელო სურათია შინამეურნოებებზე გაცემული სესხების მოცულობის მიხედვით

დანაკარგების შესახებ, კერძოდ 2019 წლის ბოლოსთვის - შინამეურნეოებებზე გაცემული სესხებიდან (15 132 018 ათასი ლარი), უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები შეადგენს 9 526 469 ათას ლარს. ჩვენს მიერ გამოყენებული მეთოდოლოგიით შინამეურნეობებს (ეკონომიკის ამ ერთ-ერთ ყველაზე მგრძნობიარე სფეროს), გადასახდელი მხოლოდ უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხებისთვის გაეზარდათ 238 161.7 ლარით. რაც საზოგადოების სოციალურ ფონზეც ნეგატიურ გავლენას ახდენს

თუ უფრო შორს წავალთ და ავიღებთ კრებსით მონაცემს, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ეკონომიკაზე (რეზიდენტ იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე) გაცემული სესხებით დავალიანება შეადგენს 28 834 963 ათას ლარს[41], ჩვენი მეთოდოლოგიის მიხედვით გადახდისუნარიანი მოთხოვნა შემცირდა 720 874 075 ლარით.

ჩვენს მიერ სებ-ის ოფიციალური მონაცემების საფუძველზე ჩატარებულ კვლევაზე დაყრდნობით შესაძლებელია გავაკეთოთ დასკვნა, რომ მიმდინარე წლის სექტემბერში მონეტარული ხელისუფლების მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა, რომლის ძირითადი მიზანი იყო ლარის დევალვაციური პროცესების და აქედან გამომდინარე ინფლაციური „წნეხის“ შემცირება, ეროვნული ეკონომიკისთვის გადახდისუნარიანი მოთხოვნა დაახლოებით 700 მილიონი ლარით შეამცირა, ანუ ეკონომიკას პოტენციურად დააკლდა ამ შიდა მოცულობის ინვესტიცია.

აღნიშნული მონეტარული პოლიტიკის ალტერნატივად გვესახება სებ-მა მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტებიდან გამოიყენოს - სარეზერვო მოთხოვნა. რომელიც ვფიქრობთ საკმაოდ განსხვავებული **ეროვნული ვალუტით მოზიდული სახსრებისთვის (5%) და უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრებისთვის (25 %). რომელიც შესაძლოა გამართლებულია დედოლარიზაციის**

[41] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304 last modified 02.2020

პოლიტიკის გასატარებლად, მაგრამ როგორც პრაქტიკამ დაადასტურა არაეფექტურია ზოგადად ეროვნული ვალუტის სტაბილურობისთვის, იწვევს ინფლაციური „წნეხის“ ზრდას, რომელიც ყველაზე მტკივნეულად აისახება მოსახლეობაზე.

ჩვენი რეკომენდაციებით სასურველია სარეზერვო მოთხოვნის მაცვენებელი, უცხური ვალუტით მოზიდული სახსრებითვის ნაცვლად არსებული 30 %-ისა ნიშნული შემცირდეს 20 %-მდე, ხოლო პარალელურად (ან თანმიმდევრულად) **ეროვნული ვალუტით მოზიდული სახსრებისთვის გაიზარდოს 10 %-მდე, ყოველი შემთხვევისთვის მანამ, სანამ ეროვნულ ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების მოცულობა არ მიაღწევს/გადააჭარბებს „ისტორიულ მაქსიმუმს“ (1962.6134919 მლნ აშშ დოლარი 2019 წ.**[42]**)**

თუ კვლავ სებ-ის ოფიციალურ მონაცემებს გადავხედავთ ვნახავთ, რომ მთლიანობაში უცხური ვალუტით დეპოზიტების მოცულობა, დენომინირებული ლარში შეადგენს - 17 647 328 **ათას ლარს** (ცხრილი 1).

დასკვნა: თუ არსებული მონაცემების საფუძველზე გავაკეთებთ გათვლებს, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების „შერბილება“ 25%-იდან 20 %-მდე, საბანკო სექტორს დამატებით გამოუთავისუფლებს 882 366 400 ლარის მოცულობის უცხოურ ვალუტას, (მ.შ. აშშ დოლარში 733 210 500 ლარით, ევრში 136 714 000 ლარით) რაც მიეწოდება ეროვნულ ეკომომიკას კრედიტის სახით, ანუ მონეტარულ ბაზარზე დაახლოებით ამავე მოცულობით გაიზრდება ლარზე მოთხოვნა და უცხოური ვალუტის მიწოდება, სხვა თანაბარ პირობებში ნიშნავს ქვეყნის შიგნით ეკონომიკური სუბიექტების თუ მოსახლეების მიერ საინვესტიციო რსურსის ხელმისაწვდომობის ზრდას. ეს ყოველივე მარტივი ლოგიკით მოახდენს ეროვნული ვალუტის კურსის არა მარტო სტაბილიზაციას, არამედ რევალვაციასაც.

---

[42] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi last modified 02. 2020.

	სულ	აშშ დოლარი	ევრო	ფუნტი სტერლინგი	რუსული რუბლი	შვეიცარიული ფრანკი	სხვა
01/01/19	**15,265,036**	12,684,812	2,339,433	169,597	19,734	27,044	24,416
01/02/19	**14,917,466**	12,361,307	2,320,103	170,931	17,422	25,600	22,102
01/03/19	**14,931,962**	12,434,737	2,268,710	171,539	7,484	26,868	22,624
01/04/19	**15,046,028**	12,547,143	2,269,206	170,269	10,442	28,690	20,277
01/05/19	**15,121,111**	12,626,991	2,262,392	171,810	10,922	26,910	22,085
01/06/19	**15,665,230**	13,126,560	2,318,196	168,211	4,257	26,037	21,968
01/07/19	**16,129,961**	13,511,217	2,361,008	200,259	7,294	25,634	24,549
01/08/19	**16,581,651**	13,963,134	2,365,263	193,539	8,703	26,571	24,441
01/09/19	**16,853,873**	14,184,651	2,397,705	187,409	12,143	45,925	26,042
01/10/19	**17,079,797**	14,335,746	2,460,727	191,734	15,410	47,142	29,037
01/11/19	**17,463,585**	14,746,960	2,431,528	193,100	12,722	46,606	32,667
01/12/19	**17,436,968**	14,596,598	2,562,662	191,084	16,149	31,706	38,768
01/01/20	**17,647,328**	14,664,210	2,734,280	188,204	17,079	24,092	19,462

უცხოური ვალუტით დეპოზიტების სტრუქტურა[43]

გვესმის, რომ აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ მოკლევადიან პერიოდში შესაძლოა გამოიწვიოს ეროვნულ ვალუტაში გაცემულ კრედიტზე საპროცენტო განაკვეთის ზრდა (კომერციულ ბანკეს ლარში საკრედიტო პოტენციალი შეეზღუდებატ), მაგრამ რამდენადაც გაიზრდება კომერციული ბანკების საკრედიტო პოტენციალი უცხოური ვალუტაში, ვფიქრობთ ეს მოახდენს კომპენსირებას და ლარში გაცემული კრედიტის საპროცენტო ან არ გაიზრდება, ან გაზრდის შემთხვევაში „დაუბრუნდა მანამდე არსებულ ნიშნულს“, თუმცა რეფინანსირების განაკვეთის გაზრდა ისედაც იქვევს „კრედიტის გაძვირებას“, განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ რეფინანსირების განაკვეთის გაზრდით კრედიტით სარგებლობა ძვირდება მათთვის ვისაც უკვე აღებული აქვს, ხოლო ლარზე მინიმალური სარეზერვო მოთხოვნის ზრდით

[43] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304 last modified 02. 2020.

გაძვირდება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მათთვის ვინც აპირებს აღებას, ანუ მათ უკვე ეცოდნინებათ რა საპროცენტო განაკვეთი უნდა გადაიხადონ, განსხვავებით მათგან ვინც უკვე სარგებლობს საბანკო კრედიტით.

ბიბლიოგრაფია

1. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=582&lng=geo last modified 10. 2019.
2. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2 last modified 10. 2019.
3. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=539 last modified 10. 2019.
4. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi last modified 10. 2019.
5. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304 last modified 10. 2019.

სასტუმროს მომსახურების და სტუმრის პირადი სტანდარტების შესაბამისობა საქართველოს სასტუმროებში
Compliance of hotel service and guest personal standards in Georgian hotels

ლარისა დოლიკაშვილი - ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

Larisa Dolikashvili – Associate Professor
Georgian national university

რეზიუმე: ნაშრომში განხილულია სასტუმროს მომსახურების და სტუმრის პირადი სტანდარტების შესაბამისობის მნიშვნელობა. ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს სასტუმრო მომსახურების სავალდებულო ან სასურველობითი ხასიათის სტანდარტი. ქართული ინვესტიციებით აშენებულ სასტუმროებში მფლობელი ან სასტუმროს მენეჯერი საკუთარი შეხედულებების მიხედვით სწყვეტენ მისთვის მისაღები „სტანდარტის" შემუშავებას. შედეგად კი მიიღება ის რაც ამ სფეროში გვაქვს, თვითდინებაზე მიშვებული საქმიანობა. გაწეული სასტუმრო მომსახურების დაბალი ხარისხის გამო, სტუმარმა არ იცის სად იჩივლოს, ვის უჩივლოს, როცა კერძო საკუთრებაა და სახელმწიფო ამ მიმართულებით არანაირ ბერკეტს არ ფლობს, ამიტომ გვაქვს ასეთი დიდი სხვაობა მომსახურების ხარისხსა და ფასს შორის. საქართველოს ტურისტულ ბაზარზე არსებულ განთავსების საშუალებებს აქვთ კონტრაქტი სხვადასხვა საერთაშორისო ტურიზმის ონლაინ საიტებზე, ერთ-ერთი ასეთი პოპულარული საიტია - Booking.com, ბოლო პერიოდის მონაცემების საფუძველზე ნათლად ჩანს საქართველოდან განთავსებული სასტუმროების მომხმარებელთა ყველაზე დაბლი შეფასება, სწორედ მომსახურების ხარისხის ფასთან დამოკიდებულებაშია დაფიქსირებული.

სასტუმროს შერჩევისას დიდი მნიშვნელობა აქვს სტუმრის ცხოვრებისეულ გამოცდილებას, რომელიც აყალიბებს კიდეც მოცემულ სასტუმროში დაბინავების, კვების, პერსონალთან ურთიერთობის და ა.შ. წარმოდგენებს. დიდ როლს თამაშობს სტუმრის მოგონებები სასტუმროში ვიზიტების შესახებ. თუკი ეს მოგონებები პოზიტიურია, მაშინ სტუმრის განწყობა პერსონალთან ურთიერთობაში და ცხოვრება სასტუმროში ატარებს

დადებით ხასიათს. ბევრი სასტუმრო ბოლო წლებში თავისი წარმატების საწინდრად სტუმრების მომსახურების სისტემის სრულყოფას და გაწეული მომსახურების ხარისხის ამაღლებას მიიჩნევს სწორედ სტუმრის პოზიციებიდან. სტუმრისთვის, მიღებული მომსახურების ძირითად საინფორმაციო კომპონენტად ითვლება ამ მომსახურების პირადი აღქმა, რომელიც შედგება სხვადასხვა შთაბეჭდილებების უწყვეტი დაგროვებით, ასევე საერთო ემოციური ფონის ფორმირებით და მომსახურების წარმოებული სასტუმროსადმი დამოკიდებულების განწყობით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პოზიტიური განწყობები აუცილებლად ახალი დადებითი შთაბეჭდილებებით უნდა იკვებებოდეს. სტუმრის პოზიტიური გამოცდილების მუდმივი „გამაგრება"-კარგი მეთოდია მოცემულ სასტუმროში მისი ხელახლა ვიზიტის სტიმულირებისა. ყოველივე აღნიშნული დადებითად შეიძლება გადაწყდეს მაშინ, როცა სასტუმრო მოსახურების და სტუმრის პირადი სტანდარტები ერთმანეთს შეესაბამება. ნაშრომში მოცემულია რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოს ბრენდულ თუ ქართული ინვესტიციებით აშენებულ სასტუმროებში.

საკვანძო სიტყვები: მომსახურება, სტანდარტი, სტუმრის შეფასება.

Abstract: The work discusses the importance of compliance with hotel service and guest personal standards. In our country there is no mandatory or desirable standard of hotel service. In hotels built by Georgian investments, the owner or hotel manager, at their own discretion, ceases to develop a "standard" acceptable to him. As a result, we get what we have in this area, self-directed activities. Due to the poor quality of hotel services, the guest does not know where to complain, who to complain about when it is privately owned and the state has no leverage in this regard, so we have such a big difference between the quality of service and the price. The tourism market for the tools to have a contract with the various international tourism online sites, one of the popular online poker room - Booking.com, recent data on the basis of clearly visible from Georgia in the hotel customers the lowest rate, the quality of service price.

For the visitor, the key informational component of the service received is the personal perception of the service, consisting of continuous accumulation of different impressions, as well as the formation of a common emotional background and attitude towards the service produced hotel. It should be noted, however, that

positive attitudes must necessarily feed on new positive impressions. Constantly reinforcing a positive guest experience - a good way to stimulate a return visit to a given hotel. All of the above can be resolved positively when personal standards of hotel service and guest are in line with each other.

Key Words: Hotel, service, standard, guest rating.

შესავალი: საქართველოს სასტუმროებში გაწეული მომსახურების შესახებ ხშირად მსჯელობენ პროფესიონალები, თუ თვით მომხმარებლები. პასუხი არერთგვაროვანია, რადგან საქმე მომსახურებას ეხება, რომლის შეფასება ძალიან რთულია, თან იმ ქვეყანაში სადაც სასტუმროს მფლობელებს თუ მენეჯერებს „პირადი სტანდარტები“ აქვთ დანერგილი, რომელიც აბსოლუტურად არ შეესაბამება თანამედროვე აპრობირებულ უცხოურ სტანდარტებს, რომ არაფერი ვთქვათ ბრენდულ სასტუმროებზე, სადაც ყველანაირი მომსახურების თუ სამუშაოს შესრულების სტანდარტი წინასწარაა გაწერილი. პერსონალი მის მიხედვით ასრულებს შესაბამის სამუშაოს და სტუმარსაც წარმოდგენა ექმნება გაეწია თუ არა შესაბამისი მომსახურება სასტუმროში. რა არის კარგი მომსახურება? როგორ ფასდება იგი?“ - მასზე პასუხის გაცემა არც ისე ადვილია. ჩვენი აზრით, ეს არის შეთავაზებული მომსახურების დონის შესაბამისობა იმ მოლოდინთან, რაც ყალიბდება მომხმარებლის ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზე. შეიძლება ითქვას, რომ ამაზეა დამოკიდებული სტუმრის გაჩერება სასტუმროში თუ რამდენად შეესაბამება მომხმარებლის პირადი სტანდარტები სასტუმროს სტანდარტებს და შესაბამისად კმაყოფილია თუ არა სტუმარი მომსახურებით.

სტუმრის სასტუმროში ცხოვრების ხარისხის პირადი სტანდარტები - ესაა სოციალური გარემოსათვის შესაბამისი დაბინავების, კვების, პერსონალთან ურთიერთობის პირობების დონის შესახებ წარმოდგენა. ეს სტანდარტები უპირველეს ყოვლისა გამოიხატება სტუმრის წარმოდგენაზე ინტერიერის, სასტუმროს შენობის მოვლისა და სისუფთავის შესახებ, ასევე კვების ხარისხისა

და ფასების შესაბამისობის, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კეთილმოწყობის, მომსახურე პერსონალის ქმედებათა შესახებ.

ძირითადი ტექსტი: დღეისათვის სასტუმროების შეფასების თანამედროვე კრიტერიუმად ითვლება სტუმრის მიერ საჯაროდ დატოვებული შეფასება (review), რომელიც მომხმარებლის მიერ სასტუმროს დასაჯავშნ სისტემაზე ან ცნობილ ონლაინ გზამკვლევზე სასტუმროში ყოფნისას მიღებული პირადი გამოცდილებით მიღებულ შთაბეჭდილებას ასახავს. ამ მხრივ ყველაზე პოპულარულია:

- Booking.com - ნებისმიერი ტიპის განთავსების საშუალების მოძიების და დაჯავშნის სისტემა.
- Tripadvisor.com - კვების ობიექტებისა და სასტუმროების მოძიების სისტემა.ჰყავს დაახლოებით 385 მილიონი ვიზიტორი თვეში.
- Expedia.com - ტურ-პაკეტების და ტურისტული შეთავაზებების საძიებო და დაჯავშნის სისტემა.
- Hotels.com - სასტუმროების მოძიების და დაჯავშნის სისტემა.
- Hostelworld.com - შესაძლებელია ჰოსტელების და დაბალბიუჯეტიანი სასტუმროების დაჯავშნა. აერთიანებს 31 000-ზე მეტ განთავსების საშუალებას.
- Kayak.ae და ORBITZ com - სატრანსპორტო და განთავსების საშუალებების მოძიების და დაჯავშნის სისტემა.
- Hotwire.com - ტურისტულ მომსახურებებზე ფასდაკლებების მოძიების და დაჯავშნის სისტემა.
- HomeAway. com - ოჯახური ტიპის განთავსების საშუალებების საძიებო და დაჯავშნის სისტემა.
- Viator.com და Airbnb.com – ნებისმიერი ტიპის განთავსების საშუალების მოძიების და დაჯავშნის სისტემა და სხვ.

აქ სტუმარს აქვს საშუალება დააფიქსიროს თავისი აზრი და საკუთარი გამოცდილება გაუზიაროს მომავალ სტუმრებს. ტექსტურ

კომენტერებთან ერთად მათ აქვთ საშუალება, შეაფასოს სასტუმრო შემდეგი კრიტერიუმებით: Hotel Ratings(Service, Location, Rooms) სოცილაური ჯგუფების მიხედვით (What sort of trip was this? Business, Couples, Family, Friends, Solo). კითხვები ეხება სასტუმროს სტილს და კეთილმოწყობას, მაღალი ბრენდის სასტუმროსათვის დამახასიათებელ სერვისს, ძიძების მომსახურებას, ბავშვების უფასოდ ცხოვრებას, ოთახების ზომას, ხედს, ფასთან შესაბამისობა, სისუფთავეს, პერსონალს, საუზმეს და სხვ. შეფასება ხდება 1-დან 10 ქულამდე, რომელიც შემდეგნაირადაა განაწილებული : განსაკუთრებული (Exceptional 9,5-10), შესანიშნავი (Wonderful 9 – 9,5), საუკეთესო (Excellent 8,5 - 9), ძალიან კარგი (Very Good 8,0- 8,5), კარგი (Good 7,5 -8), Review score (5-7,5). რაც მკითხველს, სასურველი სასტუმროს შერჩევისას, დასკვნის გამოტანას უმარტივებს. სტუმარი მუდმივად იღებს სერვისის ხარისხთან დაკავშირებულ, კონკრეტული დროისთვის აქტუალურ ინფორმაციას.

საქართველოს ტურისტულ ბაზარზე არსებულ განთავსების საშუალებებს აქვთ კონტრაქტი სხვადასხვა საერთაშორისო ტურიზმის ონლაინ საიტებზე, რომლის საშუალებით შესაძლებელია ტურიზმის ინდუსტრიაში შემავალი სხვადასხვა საწარმოების პროდუქტების შეძენა, დაჯავშნა და სხვა ოპერაციები. ერთ-ერთი ასეთი პოპულარული ონლაინ საიტია - Booking.com, [1] სადაც 2019 წლის 25 ნოემბრის მდგომარეობით საქართველოს საუკეთესო ტურისტული ქალაქებიდან - სულ დარეგისტრებულია 5960 განთავსების საშუალება. განთავსების შემდეგი ტიპებით: აპარტამენტები - 2957, სასტუმროები - 1404, სასტუმრო სახლები - 1301, ჰოსტელები - 186, დასასვენებელი სახლები - 112, ოჯახებში ცხოვრება - 88, "საწოლი და საუზმე" - 82, ვილები - 50, საკურორტო სასტუმროები - 25, აგარაკები - 20, ლოჯები - 9, ეკონომ. სასტუმროები - 5, კემპინგები - 3, ძვირადღირებული კარვები - 3,

შალე - 3, სადღესასწაულო კომპლექსები კოტეჯებით / ბუნგალოებით - 2, ფერმა - 1, ბოტელი -1. აქედან თითქმის ნახევარზე მეტი მოდის დედაქალაქზე, ეს გასაგებიცაა, რადგან ყველაზე მეტი სტუმარი თბილისში ჩამოდის. [2] (2019 წლის მონაცემებით ყველაზე პოპულარულ მიმართულებებად დასახელებულია: თბილისი - 24%, ბათუმი -9,7%, ქუთაისი - 8,9%) კომპანიის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით თბილისის განთავსების საშუალებები წარმოდგენილია: აპარტამენტები -1826, სასტუმროები - 634, სასტუმრო სახლები -315, ჰოსტელები -104, დასვენების სახლები - 41, ოჯახებში ცხოვრება -39, "საწოლი და საუზმე" -30, ვილები -14, ეკონომკლასის სასტუმროები -3, კემპინგი -2, ლოჯები -2, აგარაკები -2, ძვირადღირებული კარვები - 2, მოტელები -1, საკურორტო სასტუმროები 1, სადღესასწაულო კომპლექსები კოტეჯებით/ბუნგალოებით - 1. თბილისის სასტუმროები ვარსკვლავების რაოდენობის მიხედვით დარეგისტრირებულია : 1 ვარსკვლავი- 1, 2 ვარსკვლავი - 36, 3 ვარსკვლავი- 1260, 4 ვარსკვლავი - 431, 5 ვარსკვლავი - 49, არცერთი ვარსკვლავი - 4290. [1]

საქართველოს ქსელური სასტუმროებიდან: Best Western – 4, Crowne Plaza Hotels & Resorts -1, Hilton Hotels & Resorts – 1, Holiday Inn Hotels & Resorts – 2, Mercure – 1, Radisson Blu -2, Sheraton – 2, Wyndham Hotels & Resorts - 1, ibis – 1; Ramada – 1, ibis Styles - 1.Citadines – 1, Courtyard by Marriott -1, Millennium Hotels -1, Moxy Hotels -1.

დარეგისტრირებულ სასტუმროთა შეფასების ქულები ასეთია: 9 ქულა (შესანიშნავი) 2587 - გათავსების საშუალებამ მიიღო; 8 ქულა (ძალიან კარგი) - 3610; 7 ქულა (კარგი) - 3772; 6 ქულა (საკმარისად კარგი) -3805; არანაირი ნიშანი 939-მა განთავსების საშუალებამ მიიღო.

სტუმარი, რომელიც მომსახურების მომხმარებელია, უშუალოდ მონაწილეობს მისი წარმოების პროცესში. მომსახურება ფორმირდება შემსრულებლისა და შემკვეთის ურთიერთქმედებით მომსახურების მსვლელობისას. სტუმარი, აყენებს რა მომსახურე მხარის წინაშე ამოცანას, მისი მსვლელობის პერიოდში კონტროლს ახორციელებს და წინ წამოწევს აუცილებლობის ფარგლებში ახალ მოთხოვნებსა და სურვილებს. ამასთან, სასტუმრომ უნდა უზრუნველყოს მომსახურე პერსონალისა და სტუმრების ურთიერთობა იმგვარად, რომ მომსახურების მომხმარებლები, ანუ სტუმრები კმაყოფილნი დარჩნენ გაწეული მომსახურებით. თუ როგორ ახერხებს ამას ქართული სასტუმროები შეგვიძლია ვიმსჯელოთ: ჩვენ ჩავატარეთ Booking.com-ზე არსებული ინფორმაციის მიხედვით შედარება, რომელიც მოცავს საქართველოში არსებულ ქსელური სასტუმროების პერსონალს რამდენი ქულით აფასებს ტურისტები? ლონდონში და აზერბაიჯანში იგივე ქსელის სასტუმროებს რამდენით? დღევანდელი მდგომარეობით ასეთი სურათი მივიღეთ: „Radisson Blu Iveria Hotel“ – პერსონალი შეფასებულია 8,4 - ქულით, „Radisson Blu Edwardian, Grafton“ – 8,5 -თ „Western Tbilisi Art Hotel“- პერსონალი შეფასებულია - 9,1 ქულით და „Best Western London Peckham Hotel“ - 7,8 ქულა; „ Tbilisi Marriott Hotel“ – 9,2 ქულა. და „London Marriott Hotel Marble Arch“ – 8,5 ქულა; „Holiday Inn Tbilisi“- 8,9 ქულით და „Holiday Inn London Bloomsbury“ - 8,5-ით; „Mercure Tbilisi Old Town“ – 9,0 და „Mercure London Bridge“ – 9,1; „Millenium Apartment Tbilisi „- 9,5 და „Millennium Gloucester Hotel London“ – 7,7; „Hilton Batumi“ –8,3-ით და „Hilton London Kensington Hotel“ – 8,1 -ით; როგორც ვხედავთ, საქართველოს სასტუმროები ამ მხრივ ნამდვილად არ ჩამორჩება ლონდონის სასტუმროებს, შეიძლება პირიქით, აღნიშნული მაჩვენებელი ჩვენთან უფრო მაღალიცაა ზოგიერთ სასტუმროში. რაც შეეხება ფასსა და მომსახურების შესაბმისობას ჩვენი სასტუმროები ამ მხრივადაც უსწრებს ლონდონის სასტუმროებს. შედარება გავაკეთეთ ქართული ინვესტიციებით

არსებულ სასტუმროებს შორისაც. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს დაბალი ვარსკვლავის მქონე სასტუმროებში, პერსონალს ყველაზე მაღალ ქულებს უწერს სტუმრები: “MRM Apartment at Avlabari“- 3 ვარსკვლავიანი - პერსონალი შეფასებულია 9,8 ქულით, „Golden Nugget Tbilisi“ - 3 ვარსკვლავიანი - 9,6 -ით. „Villa Rustaveli Hotel & Wine“ – 8, 8 , „Flat 139 - Old Tbilisi „ – 9,5. და სხვ. ასეა ბევრ სხვა სასტუმროებში.

რაც შეეხება ჩვენს უახლოეს მეზობელ აზერბაიჯანის განთავსების საშუალებებს: დღევანდელი მდგომარეობით აღნიშნულ საიტზე დარეგისტრირებულია შემდეგი ქსელის სასტუმროები: Autograph Collection – 2; Days Inn- 1; Fairmont Hotels & Resorts – 2; Hilton Hotels & Resorts- 1; Holiday Inn Hotels & Resorts – 1; JW Marriott Hotels & Resorts- 1; Pullman Hotels and Resorts – 1; Ramada- 1; heraton – 1;Staybridge Suites 1 . იგივე დასახელების ქსელის სასტუმროებში შეფასებები შემდეგნაირადაა განაწილებული: Ambassador Hote Baku, 5- ვარსკვლავიანი 4,6 ქულითაა მთლიანობაში მომხმარებლების მიერ შეფასებული. (პერსონალი- 5.8; აღჭურვილობა - 4.2; სისუფთავე - 4.6; ; კომფორტი - 4.2; ფასისა და ხარისხის დონე - 5.0; ადგილმდებარეობა - 3.8); Holiday Inn Baku – 5 ვარსკვლავიანი - 8,5 ქულითაა შეფასებული (პერსონალი - 8,6, კეთილმოწყობა - 8,4; სისუფთავე - 8,8; კომფორტი - 8,7; ხარისხის ფასთან შესაბამისობა - 8,0; მდებარეობა - 8,7; უფასო ვაიფაი - 8,7) Hilton Baku 5 ვარსკვლავიანი - შეფასებულია 8, 5 ქულით აქედან (პერსონალი - 8,8; ფასის ხარისხთან შესაბამისობა - 7,8 კომფორტი - 8,8, სისუფთავე - 8, 8 და ა. შ)Ramada Baku Hotel - სეფასებულია 7, 7 ქულით აქედან (პერსონალი - 8,2; კომფორტი - 7,7; სისუფთავე - 7,8 ; ხარისხის ფასთან დამოკიდებულება - 7,5 და სხვ)JW Marriott Absheron Baku Hotel 5 ვარსკვლავიანი - შეფასებულია 9,0 ქულით (აქედან პერსონალი -9,2 ქულა, ხარისხის ფასთან დამოკიდებულება 8,1) ამ სასტუმროს ფასი 1 ღამე - 2 სტუმარი -472 ლარი.[1] რა თქმა

უნდა ეს დამშვიდების საშუალებას არ გვაძლევს, ვიფიქროთ ჩვენთან უკეთესი მდგომარეობაა, იმიტომ რომ ყველა ქვეყანას თავისი მომხმარებლების სეგმენტი ყავს, ჩვენთან ჩამოსული ტურისტების უმრავლესობა აზიის ქვეყნებიდანაა, რომლებსაც სხვა მოთხოვნები და შეფასების სხვა კრიტერიუმები აქვს, ვიდრე განვითრებული ქვეყნებიდან ჩამოსულ ტურისტებს, მაგრამ საბოლოო ჯამში, ჩვენ რომელ კულტურებსაც ვუწევთ სასტუმრო მომსახურებას, სწორედ იმ სეგმენტზე გვინდა გავაუმჯობესოთ მომსახურების ხარისხი, რაც როგორც ვნახეთ არც თუ ისე ურიგოა მაღალი ბრენდის სასტუმროებში. აუცილებელია ქართული ინვესტიციებით აშენებულ სასტუმროებშიც მომსახურება შეფასდეს შესაბამისი სტანდარტების შესრულების მიხედვით.

სასტუმროს მიერ შეთავაზებული მომსახურება პრინციპულად განსხვავდება სხვა მომსახურებებისა და საქონლისაგან. ასეთი განსხვავების არსის შეცნობა ძალზე მნიშვნელოვანია ობიექტური მაჩვენებლებისა და მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის სწორი გზების გამოვლენისათვის. ხარისხი ხშირად სასტუმრო ბიზნესში წარმატების განმსაზღვრელ ფატორად და კონკრეტული სახის მომსახურების ბაზარზე წარმატებულ კონკურენციად ითვლება. სტუმრები უარს აცხადებს იმ სასტუმროში ხელახლა მისვლაზე, სადაც სერვისის დონე არ მოეწონებათ. ეს მეტყველებს იმაზე, რომ სტუმრებისა და შესაბამისად მოგების დაკარგვის ძირითად მიზეზად ითვლება სწორედ ხარისხიანი ნაშთით „მინუს“ (ან უხარისხო) მომსახურება.

სასტუმროში განთავსების ფორმით მომსახურების ძირითად შემადგენელ ნაწილებად ითვლება სტუმრის შთაბეჭდილებები ოტელში მოსვლის შემდეგი ეტაპებიდან: შეხვედრა შემოსვლისას; განთავსების რეგისტრაცია და გაფორმება; მომსახურება ნომერში; რესტორნის მომსახურება; კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება; ფიტნეს- მომსახურება; მომსახურება საქმიანი

ვიზიტის (ბიზნეს-მომსახურება) მოთხოვნების დაკმაყოფილებისას; გამგზავრების გაფორმება; ტრანსფერი და ა.შ.

არამატერიალურობა, წინასწარი მომსახურების შეფასების შეუძლებლობა დიდ პრობლემას წარმოადგენს შეთავაზებული მომსახურების ხარისხის კონტროლისა და შეფასებისათვის. ყველასათვის გასაგებია, რომ ცუდად შეთავაზებული მომსახურება შუძლებელია დაბრუნდეს მაღაზიაში, ისე როგორც უხარისხო საქონელი, ის არსებობს მხოლოდ დროის კონკრეტულ პერიოდში. უყურადღებობას, არაკეთილმოსურნეობას ან მომსახურე პერსონალის უხეშ დამოკიდებულებას სტუმრებისადმი თუკი ექნება ადგილი, იმავდროულად ყალიბდება სტუმრის აზრი მომსახურების დონეზე ამ სასტუმროში. სერვისის ფსიქოლოგიაში არსებობს ზუსტი განმარტება იმისა, რომ პირველი შთაბეჭდილება რომელსაც ცხოვრებაში ხშირად უწოდებენ „მაცდუნებელს“, ქმნის მომხმარებლის განწყობას ისარგებლოს ამ მომსახურებით ისევ ან უარი არ თქვას მასზე. ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ სტუმარი, რომელსაც მომსახურება არ მოეწონა, არა მარტო არ მოვა ამ სასტუმროში კიდევ, არამედ „კარგ“ რეკლამასაც გაუწევს სასტუმროს თავის ნაცნობებსა და მეგობრებს შორის.

როგორ შევაფასოთ კარგი მომსახურება? - მასზე პასუხის გაცემა არც ისე ადვილია. ჩვენი აზრით, ეს არის შეთავაზებული მომსახურების დონის შესაბამისობა იმ მოლოდინთან, რაც ყალიბდება მომხმარებლის ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზე. შეიძლება ითქვას, რომ ამაზეა დამოკიდებული სტუმრის გაჩერება სასტუმროში თუ რამდენად შეესაბამება მომხმარებლის პირადი სტანდარტები სასტუმროს სტანდარტებს და შესაბამისად კმაყოფილია თუ არა სტუმარი მომსახურებით.

სტუმრის ცხოვრების ხარისხის პირადი სტანდარტები - ესაა სოციალური გარემოსათვის შესაბამისი ცხოვრების, კვების,

პერსონალთან ურთიერთობის პირობების დონის შესახებ წარმოდგენა. ეს სტანდარტები უპირველეს ყოვლისა გამოიხატება სტუმრის წარმოდგენაზე ინტერიერის, სასტუმროს შენობის მოვლისა და სისუფთავის შესახებ, ასევე კვების ხარისხისა და ფასების შესაბამისობის, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კეთილმოწყობის, მომსახურე პერსონალის ქმედებათა შესახებ.

დიდი მნიშვნელობა აქვს სტუმრის ცხოვრებისეულ გამოცდილებას, რომელიც აყალიბებს კიდეც მოცემულ წარმოდგენებს. დიდ როლს თამაშობს სტუმრის მოგონებები ამ ოტელში ვიზიტების შესახებ. თუკი ეს მოგონებები პოზიტიურია, მაშინ სტუმრის განწყობა პერსონალთან ურთიერთობაში და ცხოვრება სასტუმროში ატარებს დადებით ხასიათს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პოზიტიური განწყობები აუცილებლად ახალი დადებითი შთაბეჭდილებებით უნდა იკვებებოდეს. სტუმარი სასტუმროში თავს კარგად უნდა გრძნობდეს, ასევე ხედავდეს, რომ მისი პრობლემებით პერსონალი ინტერესდება. სტუმრის პოზიტიური გამოცდილების მუდმივი „გამაგრება“-კარგი მეთოდია მოცემულ სასტუმროში მისი ხელახლა ვიზიტის სტიმულირებისა.

იხდის რა მომსახურების საფასურს, სტუმარს არ მიაქვს თავისთვის არაფერი კონკრეტული. მქონებლობის ცნების არარსებობა ხასიათდება შემდეგი მახასიათებლებით:

- სტუმრის აზრის სუბიექტურობა, რადგან მის მიერ კონკრეტული სასტუმროს შეფასება ეფუძნება მხოლოდ შთაბეჭდილებებსა და მოგონებებს;
- მომსახურების წინასწარი მომზადებისა და მისი შენახვის შეუძლებლობა, რადგან მას სთავაზობენ მომენტალურად;
- მომსახურების რეკლამის სირთულე, რადგან გამოსახურების შექმნამ, რომელიც ვერანაირად ვერ გამოიხატება, შეიძლება წარმოქმნას განსაზღვრული სირთულე. რეკლამის შემქმნელი

კონცენტრირებული უნდა იყოს იმ უპირატესობების დემონსტრირებაზე, რომლითაც სტუმარი მიიღებს მომსახურეობის ყიდვის პირობებისას;

- მომხმარებლის სანდოობა მომსახურების მწარმოებლისადმი უნდა არსებობდეს აპრიორად, რადგან მომხმარებელს არ შეუძლია წინასწარი ყიდვის გარეშე შეაფასოს მომსახურება.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ სტუმარი, უშუალოდ მართავს სასტუმროს მუშაობის რიტმს ისევე, როგორც მომსახურების მწარმოებელი. ის მუდმივ კონტაქტში იმყოფება იმ პირთან, რომელიც მომსახურებას სთავაზობს. ბევრი სასტუმრო ბოლო წლებში თავისი წარმატების საწინდრად სტუმრების მომსახურების სისტემის სრულყოფას და გაწეული მომსახურების ხარისხის ამაღლებას მიიჩნევს. სტუმრისთვის, მიღებული მომსახურების ძირითად საინფორმაციო კომპონენტად ითვლება ამ მომსახურების პირადი აღქმა, რომელიც შედგება სხვადასხვა შთაბეჭდილებების უწყვეტი დაგროვებით, ასევე საერთო ემოციური ფონის ფორმირებით და მომსახურების წარმოებული სასტუმროსადმი დამოკიდებულების განწყობით. ამასთან დაკავშირებით შესაძლებელია გამოვყოთ ფაქტორები, რომლებიც უდიდეს გავლენას ახდენენ სტუმრის აღქმაზე. მათ შორის გამოყოფა სასტუმროს უსაფრთხოება და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფა. უსაფრთხოების, დაცულობისა და სიმშვიდის შეგრძნების თვალსაზრისით სტუმარს უყალიბდება იგი სასტუმროში შესვლის პირველი მომენტიდან და ბევრწილად განისაზღვრება იმ გარემოთი, რომელსაც სთავაზობს სასტუმრო. სასტუმროს შესახებ შთაბეჭდილება ექმნება სტუმარს ჰოლშივე. უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების არსებობა, ავტომობილებისათვის დახურული სადგომი, კარგად განათებული მოედნები როგორც სასტუმროს წინ, ასევე შიგნით - ყველაფერი ეს ქმნის დაცულობისა და უსაფრთხოების შეგრძნებას. რასაც სტუმრები ონლაინ შეფასების

სისტემაში კომფორტი, კეთილმოწყობის (Comfort, Facilities) გრაფით აფასებენ. უსაფრთხოების თვალსაზრისით არანაკლებ მნიშვნელოვანია სასტუმროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც: იმის შეგრძნება, რომ სასტუმროში კომფორტული ცხოვრებისთვის აუცილებელი ყველაფერია, ხელს უწყობს სტუმრის პოზიტიურ განწყობას. სუფთა, მყუდრო ნომერი, პირსახოცი და ჰიგიენის საშუალებები, გემრიელი საუზმე , ნომერში ტელევიზორის არსებობა, ექსპრეს-ლიფტი ან უბრალოდ საწერი მაგიდის უჯრაში ბოთლის გასახსნელის არსებობა - თითოეულს კომფორტის თავისებური გაგება აქვს. რა თქმა უნდა, ამ ფაქტორებს მიეკუთვნება მომსახურე პერსონალიც, თანამშრომელი უნდა შეესაბამებოდეს იმ სტანდარტებს, რასაც ელოდება სტუმარი, დაწყებული ამ მომსახურების შეთავაზების სისწრაფიდან, თანამშრომლის გარეგნული სახითა და მომსახურების /სერვისის გაწევის/ მირთმევის მანერით დამთავრებული.

დასკვნა: სასტუმროს მომსახურების და სტუმრის პირადი სტანდარტების შესაბამისობა საქართველოს სასტუმროებში შეუძლებელია დავახასიათოთ იმ სტანდარტების გარეშე რაც განვითარებულ ქვეყნებშია დამკვიდრებული. სტანდარტი-ნორმატიული დოკუმენტია, რომელიც დამტკიცებულია და აღიარებული შესაბამისი ორგანოს მიერ და მიმართულია განსაზღვრულ დარგში მოწესრიგების ოპტიმალური ხარისხის მიღწევაზე. უცხოეთის ქვეყნებში დიდი ხანია არსებობს სხვადასხვა ურთიერთკავშირში მყოფი ნორმატიული დოკუმენტების სასტუმრო მომსახურების სტანდარტების კატეგორიები: სახელმწიფო სტანდარტები (ძირითადად უსაფრთხოების, გარე გარემოს დაცვის საკითხებს მოიცავს); დარგის სტანდარტები; საზოგადოებრივ გაერთიანებათა სტანდარტები; სასტუმრო საწარმოების და სასტუმრო საწარმოო გაერთიანებათა (ასოციაციების) სტანდარტები. აუცილებელია საქართველოშიც შეიქმნას სასტუმროს მომსახურების

სტანდარტი, რომელთა დამუშავებისას უნდა იქნეს გათვალისწინებული საზღვარგარეთული ქვეყნებისა და ორგანიზაციების გამოცდილება, კერძოდ, სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის, გაეროს ევროპული საკანონმდებლო კომისიის, ევრო-პარლამენტის და სხვ.

სამუშაოსადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება შესანიშნავი ხარისხია, მაგრამ მისი ქცევითი გამოხატულება შესაძლოა ძლიერ ვარირებდეს თანამშრომლის ინდივიდუალური გაგებიდან გამომდინარე. სტუმარი, რომელიც დასახლდა სასტუმროში, სურს ერთნაირად კეთიმოსურნე და ზრდილობიანი მოპყრობა, როგორც სასტუმროს სამსახურის თანამშრომლების მხრიდან, ისე რესტორნის მიმტანის მხრიდან. ამიტომ მნიშვნელოვანია სტუმრისთვის შეთავაზებული მომსახურებები განახორციელდეს სასტუმროს მიერ გაწერილი და დამტკიცებული ერთი და იმავე სტანდარტებით. აუცილებელია ამ სტანდარტების არსებობის სავალდებულობა და განხორციელების მკაცრი დაცვა. რაშიც იგულისხმება:

• მომსახურების ტექნოლოგიის სტანდარტი, რომელიც გულისხმობს მომსახურების დადგენილი ტექნოლოგიის დაცვას სასტუმროს სანომრე ფონდში, რესტორნებში, ბარებში, განთავსების დახლთან. ეს ნიშნავს, რომ სტუმრების განთავსების პროცედურები, ნომრების დალაგება, კერძებისა და სასმელების დამზადება, მირთმევა და ა. შ. უნდა იყოს ზუსტად გაწერილი და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ქრონომეტრირებული;

• მომსახურე პერსონალის გარეგნული იერის სტანდარტები. მომსახურე პერსონალისადმი სავალდებულო სტანდარტებად ითვლება გარეგნული იერსახის სტანდარტების დაცვა. თანამშრომლის გარეგნული სახე უდიდეს აზრობრივ დატვირთვას მოიცავს სტუმრისთვის. თუ თანამშრომელი ჩაცმულია სუფთა

უნიფორმაში და აკურატულადაა დავარცხნილი, მაშინ სტუმარი თავმომწონედ გრძნობს თავს;

- მომსახურე პერსონალის ქცევის სტანდარტები. იგულისხმება, რომ პერსონალი უნდა იყოს საკმაოდ პროფესიონალი და კომპეტენტური, იმისთვის, რომ სტუმარს სწრაფად და კულტურულად მოემსახუროს.

ასევე საქართველოს სასტუმროებს სასურველია ჰქონდეს კონფლიქტური სიტუაციასა და საგანგებო სიტუაციაში ქცევის სტანდარტები. (მაგალითად, თუ რაიმე ფორსმაჟორულ სიტუაციაში საჭირო გახდა სასტუმროს დაცლა, სტუმრებიან თანამშრომლებიანა წინასწარ არის განსაზღვრული, რომელიმე ახლომდებარე შენობაში მათი გადაყვანა, ეს ბრენდულ სასტუმროებს ხელშეკრულების საფუძველზე აქვს მოგვარებული - შესაბამისი სტანდარტების დაცვით). სტუმრის მისალმების სტანდარტები (მათ შორის მუდმივი სტუმრისთვის), სტუმრის დამშვიდობების სტანდარტები და სხვ. მომსახურების პროცედურის სტანდარტიზაცია ბევრწილად აიოლებს მომსახურების კონტროლის ამოცანას და ეხმარება პირველ რიგში თვით მომსახურე პერსონალს ეფექტურად შეასრულოს მათ წინაშე დასახული მიზნები.

გამოყენებული ინტერნეტ-რესურსი:

1. booking.com/ 2019 წლის ნოემბრის მდგომარეობით.
2. gnta.ge/ge - გადამოწმებულ იქნა: 08.11.2019.
3. Hotel-Standards-Compendium-Matt-Shiells-Jones http://www.lulu.com/shop/matt-shiells-jones/the-hotel-standards-. გადამოწმებულ იქნა: 21.11.2019.
4. Hotel Quality Standards. გადამოწმებულ იქნა: 28.11.2019.
5. Services Marketing. Christopher H. Lovelock, Sandra Vandermerwe, Barbara Lewis - გადამოწმებულ იქნა: 02.12.2019 .

ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი

სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა და ფინანსები“

რუბრიკა

სტუდენტური ფორუმი

2019 - 2020

გამორჩეული კვლევები და მნიშვნელოვანი პუბლიკაციები

უმაღლესი განათლების პრობლემები საქართველოში და მათი დაძლევის გზები
Problems of higher education in Georgia and ways to overcome them

მარიამ შუბითიძე - ბიზნესის მართვის ფაკულტეტი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
mariam.shubitidze@gmail.com

Mariam Shubitidze – Undergraduate student
Georgian National University
mariam.shubitidze@gmail.com

აბსტრაქტი: უმაღლესი განათლების თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბება ქართული სახელმწიფოს გადაუდებელი ამოცანაა. ამ პრობლემის დროული გადაწყვეტა ქვეყნის პერსპექტიული განვითარების შესაბამისად დემოკრატიული საზოგადოების აშენების, ეროვნული და მსოფლიო კულტურის ღირებულებებისა და ფასეულობების დაცვის, სიღატაკისა და სოციალური გაუცხოების დაძლევის აუცილებელი წინაპირობაა.

საქართველოში უმაღლესი განათლების მაღალი კულტურა არსებობდა, მაგრამ საბჭოური, უკიდურესად ცენტრალიზებული და გეგმური ეკონომიკის შესაბამისი უმაღლესი განათლების ჯერ კიდევ შემორჩენილი ტრადიციები სერიოზულად აფერხებს ამ სისტემის გარდაქმნასა და განვითარებას.

დღესდღეობით უმაღლესი განათლების სფეროში არსებული პრობლემები სისტემის სრულყოფისთვის გაწეულ ძალისხმევას არაეფექტურს ხდის. დღეს ქვეყნის თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში თანამედროვე სწავლებისა და სამეცნიერო კვლევებისათვის არასაკმარისი პირობებია შექმნილი. შრომის დაბალი ანაზღაურება და რთული სამუშაო პირობები კვალიფიციურ კადრსაც კი აიძულებს, სამუშაო არასპეციალობით, თავისავე ქვეყანაში ანდა ქვეყნის გარეთ ეძებოს. სტატიაში ამ და სხვა პრობლემების ანალიზის საფუძველზე არსებული სიტუაციიდან გამოსავალის ჩვენი ხედვა გვსურს შემოგთვაზოთ.

Resume: Creating a modern system of higher education is an urgent task of the Georgian state. Timely resolution of this problem is a necessary prerequisite for the development of a democratic society in accordance with the perspective development of the country, the protection of national and world values and values, overcoming poverty and social exclusion.

Georgia had a high culture of higher education, but Soviet times, highly centralized and well-planned traditions of higher education still impeded the transformation and development of this system.

Challenges in higher education today make efforts to improve the system ineffective. Today, almost all the country's higher educational institutions have inadequate conditions for modern teaching and research. Low pay and difficult working conditions even force skilled workers to seek work in a non-specialist country or abroad. In this article, we want to share our vision of how to deal with these and other problems.

საკვანძო სიტყვები: უმაღლესი განათლება, რეფორმა, განათლების დონე, სასწავლო პროგრამები, სასწავლო კურსები, უნივერსიტეტები.

Keywords: Higher Education, Reform, Education, Curriculum, Universities.

შესავალი: "მთავარი ძალა, რაც გამარჯვებას ანიჭებს ერს საარსებო ბრძოლაში, არის ცოდნა, განათლება." (იაკობ გოგებაშვილი) საუკუნეების განმავლობაში და დღესაც მიმდინარეობს დისკუსია განათლების შესახებ - რას და როგორ უნდა ვასწავლიდეთ ადამიანებს: ყველას მიეცეს თანაბარი განათლება, თუ ვამზადოთ ინტელექტუალური ელიტა, ხოლო სხვებმა მიიღონ - აუცილებელი მინიმუმი? რაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება: პრაქტიკულ, სასარგებლო ცოდნასა და უნარ - ჩვევებზე თუ პიროვნების ზოგად, საერთო განვითარებაზე? უამრავი კითხვა ჩნდება ამ საკითხთან დაკავშირებით და დღესდღეისობით აქტიურად მუშაობენ მეცნიერები, რათა მივიდნენ საბოლოო დასკვნამდე.

ვინაიდან და რადგანაც განათლება და ამ სფეროსთან დაკავშირებული საკითხები მუდამ განხივლის ობიექტია და აქტუალურია ჩვენს ქვეყანაში, გადავწყვიტე, რომ სწორედ არსებულ საკითხზე მესაუბრა და გამეცნო თქვენთვის უფრო კონკრეტულად, რა დონეზეა განვითარებული უმაღლესი განათლება საქართველოში.

უმაღლესი განათლება დაწყებითი და საშუალო განათლებისგან განსხვავებით განვითარებულ ქვეყნებშიც კი არ არის საყოველთაო ხასიათის. მაგრამ წამყვან ქვეყნებში უმაღლეს განათლებას ეუფლება დაახლოებით მოსახლეობის ნახევარი. მიუხედავად პოპულარული მოსაზრებისა, რომ საქართველოში "ყველა უნივერსიტეტს ამთავრებს", სინამდვილეში სხვადასხვა გამოკვლევის მიხედვით 25-34 წლის მოსახლეობაში უმაღლესგანათლებამიღებულთა წილი დაახლოებით 35 პროცენტია. შედარებისათვის, მაღალშემოსავლიან ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 20-დან 70 პროცენტამდე ვარირებს და საშუალოდ 43 პროცენტია.

ძირითადი ტექსტი: საქართველოში უმაღლესი განათლების მაღალი კულტურა არსებობდა, სამწუხაროდ საბჭოური, უკიდურესად ცენტრალიზებული და გეგმური ეკონომიკის შესაბამისი უმაღლესი განათლების ჯერ კიდევ შემორჩენილი ტრადიციები სერიოზულად აფერხებს ამ სისტემის გარდაქმნასა და განვითარებას. ბევრ უმაღლეს სასწავლებელში საკმაოდ დაბალია სასწავლო და პედაგოგიური სტანდარტების ხარისხი, რაც ბუნებრივია, საფუძვლად ედება დაბალკვალიფიციური კადრების მომრავლებას და შესაბამისად, ხელს უწყობს არაპროფესიონალიზმის განვითარებას. უმაღლესი განათლების სისტემის გამჭვირვალეობასა და სწავლების მაღალ ხარისხს ხელს უშლის არასრულყოფილი საგამოცდო სისტემა, უმაღლესი სასწავლებლისა და პედაგოგთა მუშაობის შეფასების მოძველებული მეთოდები.უმაღლესი განათლების სისტემაში არსებული ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ნაკლი კორუფციის შექმნის წყაროა.

განათლების ხარისხის დაბალი დონე, ეს არის უმთავრესი პრობლემა, რომელიც იჩენს თავს. აღსანიშნავია ერთი ფაქტი, არც ერთი ქართული უნივერსიტეტი არ შედის ცნობილ Times Higher Education-ის მსოფლიო უნივერსიტეტის რეიტინგის 400-ეულში (2013 წლის რეიტინგი). რეიტინგის ერთ-ერთი ბოლო უნივერსიტეტი – ტარტუს უნივერსიტეტი კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტნიორი უნივერსიტეტია, რომელშიც განათლების ხარისხი ბევრად მაღალია თსუ-ს განათლების ხარისხზე. რა თქმა უნდა, ვითარება ნაკლებად საგანგაშოდ მოგვეჩვენება, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ 400-ეულში ასევე არ შედის სომხეთის, აზერბაიჯანის, თურქეთის, უკრაინის, მოლდოვის, ბულგარეთის, რუმინეთის, სერბეთის, ბოსნია-ჰერცეგოვინას და სხვა აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის ქვეყნების უნივერსიტეტები. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან, ტარტუს უნივერსიტეტის გარდა, ამ რეიტინგში შედის მხოლოდ მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ე.წ. “МГУ”), რომელიც რეიტინგის 226-250-ე შუალედშია.

მეორე ცნობილი რეიტინგის, QS World University Ranking-ის მიხედვით კი არც ერთი ქართული უნივერსიტეტი არ შედის მსოფლიოს 800-ეულში (2012 წლის რეიტინგი), განსხვავებით მაგალითად, ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტისგან, ბაქოს ქაფქაზის უნივერსიტეტისგან ან ბაქოს ხარაზის უნივერსიტეტისგან. ამავე რეიტინგში ვნახავთ უკრაინულ, რუსულ, ბელორუსულ, ყაზახურ უნივერსიტეტებსაც. QS World University Ranking-ის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქართული უმაღლესი განათლების სისტემა რეგიონულ დონეზეც კი ჩამორჩენილია.

მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს ის დადებითი მხარეებიც, რაც საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემას აქვს: ზოგიერთ დარგში მიღწეულია საერთაშორისო დონის შედეგები;

სტუდენტები ცოდნის მიღებისათვის დიდი აქტიურობითა და გაცნობიერებული მიზანდასახულობით გამოირჩევიან და ზოგიერთი მათგანი ისეთ სერიოზულ კომპანიებში იწყებს კარიერას, როგორიცაა: გუგლი, იაჰუ, ნასა და ასე შემდეგ. მოსახლეობის დიდი ნაწილი კი უფრო და უფრო მეტად მიისწრაფვის უმაღლესი განათლების მისაღებად.

უმაღლესი განათლების თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბება საქართველოსთვის წარმოადგენს გადაუდებელ ამოცანას. ამ პრობლემის დროული გადაწყვეტა ქვეყნის პერსპექტიული განვითარების, შესაბამისად დემოკრატიული საზოგადოების აშენების, ეროვნული და მსოფლიო კულტურის ღირებულებებისა და ფასეულობების დაცვის, სიღატაკისა და სოციალური გაუცხოების დაძლევის აუცილებელი წინაპირობაა.

იმისთვის, რომ ცვლილებების განხორციელება დავიწყოთ, პირველ რიგში, ეს რეალობა კარგად უნდა გავიაზროთ. გამოდის, რომ მსოფლიო რუკაზე ჩვენ, როგორც საგანმანათლებლო ცენტრი, ფაქტობრივად, არ ვარსებობთ და ჩვენი საგანმანათლებლო დაწესებულებები იმდენად მნიშვნელოვნადაც კი არ ითვლება, რომ მსოფლიოს 800-ეულში მოხვდეს.

ვითარების გამოსწორების გზების ძიების პროცესში კი ორი მთავარი პრობლემა იკვეთება, ესაა ფინანსური და შინაარსობრივი. ფინანსურ ჭრილს თუ განვიხილავთ, აქ მოიაზრება, თუ მშპ-ს რამდენი პროცენტი იხარჯება ერთ სტუდენზე. მაგალითად, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ესტონეთი 2010 წელს ერთ სტუდენტზე ხარჯავდა ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის 23 %-ს, ლიტვა – 20 %-ს, ლატვია – 15 %-ს და საქართველო – მხოლოდ 12%-ს... თუმცა ამავე დროს ის, რომ დაფინანსება ყველაფერს არ ნიშნავს, იქიდანაც ჩანს, რომ მოლდოვა იმავე 2010 წელს საქართველოზე სამჯერ მეტს – დაახლოებით 44%-ს

ხარჯავდა ერთ სტუდენტზე, ისე, რომ შედეგებს შორის დიდი სხვაობა არ იყო (საქართველოსა და მოლდოვის მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე დაახლოებით ერთნაირია, მაგრამ არც ერთი ქვეყნის უნივერსიტეტები არ შედის 2012 წლის QS World University Ranking-ის 800-ეულში).

ინტერნაციონალიზაცია იმას გულისხმობს, რომ საჭიროა ქართული უმაღლესი განათლების სისტემის ჩართვა საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ანუ საჭიროა,რომ საქართველოს სწავლების პროცესი დაუახლოვდეს საერთაშორისო სტანდარტებს. სახელმწიფომ უმთავრესი აქცენტი უნდა გააკეთოს არსებული აკადემიური პოტენციალის გაუმჯობესებაზე, რაც, პირველ რიგში, შესაძლებელი იქნება გაცვლითი პროგრამების მატებით და სწორი მიმართულების მიცემით. არა მხოლოდ აკადემიური პერსონალი უნდა მონაწილეობდეს რამდენიმეთვიან და თუნდაც ერთწლიან გაცვლით პროგრამებში საერთაშორისო დონის უნივერსიტეტებში, არამედ ამ პროცესში დოქტორანტებიც აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი. ასეთი პროგრამები უნდა გულისხმობდეს არა მხოლოდ კვლევის ხარისხის ამაღლებას, არამედ სასწავლო კურიკულუმების შემუშავებას და დახვეწასაც. საჭიროების შემთხვევაში კი რომელიმე მსგავსი ეკონომიკური მდგომარეობის ქვეყნის განათლების სისტემის მაგალითად აღებასაც.

უმაღლესი სასწავლებელი უნდა ამზადებდეს ეროვნული თვითშეგნების მქონე პროფესიონალს, რომელსაც იდეალურად ეცოდინება თავისი საქმე, იქნება მოტივირებული, შემართებით აღსავსე, იმუშავებს მუდამ საკუთარ თავზე და ასევე გაცნობიერებული ექნება თავისი უფლებები და ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობა.

ქართულენოვან კურსებთან ერთად, ინგლისურენოვანი კურსების არსებობა ხელს შეუწყობს არა მხოლოდ ენობრივი დონის

ამაღლებას, არამედ საერთაშორისო სტანდარტების უკეთ გაცნობასაც, ვინაიდან ასეთი კურსები შეიძლება წაიყვანონ საზღვარგარეთიდან მოწვეულმა, საერთაშორისო დონის ლექტორებმა, რაც კიდევ და კიდევ დადებითად აისახება უმაღლესი განათლების დონეზე და ზოგადად პიროვნულ განვითარებაზეც თითოეული მონაწილისთვის.

ინტერნაციონალიზაცია მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება, მაგრამ არაფერი გამოვა სისტემური მიდგომის შემუშავების გარეშე. შეუძლებელია გქონდეს საერთაშორისო სტანდარტების განათლების სისტემა იმ პირობებში, როცა არ არის განსაზღვრული ერთიანი სტანდარტები იმისა, თუ მაგალითად, რას ნიშნავს იყო სოციოლოგი, იურისტი, ფიზიკოსი, ეკონომისტი, ინჟინერი და ა.შ შესაძლოა, არსებობდეს სარეკომენდაციო სტანდარტები და თითოეულმა უნივერსიტეტმა გადაწყვიტოს, თუ რა დონეზე გაითვალისწინებს მათ. ყოველ შემთხვევაში, სტანდარტების არარსებობა უკვე თავისთავად პრობლემაა ქვეყანაში, სადაც გაურკვეველია ვის რა აკისრია და რომელი დაწესებულების მიზანს რა წარმოადგენს.

უმაღლესი განათლების რეფორმის მესამე მნიშვნელოვანი კომპონენტი არის იერარქიზაცია, ანუ პრიორიტეტულობის მიხედვით სხვადასხვა სფეროს დაყოფა. აქ მნიშვნელოვანია ის, რომ ობიექტურად მოხდეს იმის შეფასება, თუ სად უფრო დიდი შანსი აქვს ქართულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომ სტუდენტს საერთაშორისო სტანდარტების განათლება მიაწოდონ. ეს გულისხმობს არა მხოლოდ არსებული აკადემიური პერსონალის დონის შეფასებას, არამედ ისეთი დარგების გამოვლენას, სადაც პატარა, განვითარებად ქვეყანას შეუძლია სტუდენტს საერთაშორისო დონის განათლება შესთავაზოს. მაგალითად, ცხადია, რომ ისეთ დარგებს, როგორიც არის ექსპერიმენტული ფიზიკა, სჭირდება გაცილებით მეტი რესურსი, ვიდრე შეიძლება ჰქონდეს

საქართველოსნაირ ქვეყანას. ასეთი დარგები, რასაკვირველია, განვითარებული იყო საბჭოთა პერიოდში, მაგრამ მაშინ ისინი მიბმული იყო უზარმაზარი ქვეყნის მატერიალურ და ტექნიკურ რესურსებთან. დღესდღეობით გაცილებით უფრო პრაგმატული იქნება ისეთ სფეროებზე კონცენტრირება, რომლებიც არ მოითხოვს ამხელა რესურსების არსებობას, მაგალითად, კომპიუტერულ მეცნიერებაზე ან ისეთ სფეროებზე, სადაც გარკვეული აკადემიური პოტენციალი უკვე არსებობს. ასევე მნიშვნელოვანია სტრატეგიული დარგებისთვის ყურადღების მიპყრობაც, მაგალითად, აგრონომიისთვის არსებული რესურსების არარაციონალური ხარჯვა იქნება მათი ისეთ დარგებში ინვესტირება, სადაც საქართველოს მასშტაბის ქვეყანას საერთაშორისო სტანდარტების მიღწევა და შენარჩუნება გაუჭირდება.

დასკვნა: ეს ყველაფერი ამაო საუბარი იქნება, თუ განათლების სამინისტრო და სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები არ შეთანხმდებიან მოქმედების საერთო გეგმასა და სტრატეგიაზე. რა თქმა უნდა, პირველ რიგში, სახელმწიფომ დაფინანსების გაზრდაზე უნდა იზრუნოს, მაგრამ ამასთან ერთად აუცილებელია ისიც, რომ უმაღლესი განათლების სისტემა მეტ-ნაკლებად ერთი მიმართულებით და მეტ-ნაკლებად თანმიმდევრულად, რესურსების რაციონალური განაწილების გზით მიდიოდეს.

საქართველოს მომავალი იმ პირობებში, როდესაც ინფორმაციულ ეპოქაში ცოდნის მნიშვნელობა დღითი დღე იზრდება, მთლიანად არის დამოკიდებული უმაღლესი განათლების სისტემაზე. დღევანდელი მონაცემებით კი, ამ თვალსაზრისით, საქართველო რეგიონალურ დონეზეც კი ვერ გამოირჩევა. ვითარების გამოსასწორებლად უნდა ვიმოქმედოთ დაუყოვნებლივ და ეფექტურად, სხვა შემთხვევაში, ისტორიულ შანსს დავკარგავთ.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

1. კუტალია თ. - ადგილობრივი შრომის ბაზრის როლი განათლების სფეროს დაგეგმვასა და განვითრებაში. ფსიფოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი. 2017.
2. განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021 - http://www.mes.gov.ge გადამოწმებულია 10.01.2020
3. უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა: პრობლემები და მათი დაძლევის გზები" – კვლევის შედეგები. საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო". 2015

პერსონალის შერჩევის პრობლემატიკა საბანკო სფეროში
Problems in the selection of personnel in banking

თამუნა მჭედლიშვილი - ბიზნესის მართვის ფაკულტეტი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
j.toloraia@gmail.com

Tamuna Mchedlishvili - Undergraduate student,
Georgian National University
j.toloraia@gmail.com

აბსტრაქტი: თითოეულ ადამიანს აქვს თანდაყოლილი უნარ-ჩვევები, შესაძლებლობები, მანერები და ენერგია. ეს ყოველივე ერთად ადამიანურ კაპიტალს ქმნის, რომელსაც ადამიანები მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებისას იყენებენ. ნებისმიერი კომპანიისთვის მნიშვნელოვანია თითოეული ის პიროვნება, რომელიც მის დაქვემდებარებაშია. სწორედ ამიტომ დიდ ყურადღებასა და რესურსს უთმობენ თითოეული კადრის შერჩევას.

დღესდღეობით, საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მიმართულება ბიზნესის სფეროა. სტუდენტთა გარკვეული ნაწილი ცდილობს სამსახური დაიწყოს ქვეყანაში არსებულ კომერციულ ბანკებსა თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში. რა თქმა უნდა კადრების მიღებას აღნიშნული კომპანიებიც საჭიროებენ და მათ შესარჩევად სხვადასხვა მეთოდების აქვთ შემუშავებული. ნაშრომის ძირითადი მიზანია, იმ საბაზისო კრიტერიუმების დადგენა, რომლითაც ნებისმიერისაბანკო სფეროთი დაინტერესებული ადამიანი შეძლებს სამსახურის დაწყებას.

საკვანძო სიტყვები: ადამიანური კაპიტალი, საბანკო სფერო, ადამიანური რესურსები

Annotation: Each person has innate skills, abilities, manners and energy. Together, this creates human capital, which people use to fulfill their responsibilities. For any company, it is important that everyone is subordinate. That's why they devote so much attention and resources to choosing each frame.

Today, one of the most popular destinations in Georgia is business. Some students look for work in commercial banks or microfinance organizations in the country. Of course, these companies also need to recruit staff, and they have developed various methods for their selection. The main goal of this work is to establish basic criteria for those who are interested in banking to start their own business.

Keywords: human capital, banking, human resources

ძირითადი ტექსტი: ნებისმიერი კომპანიის საქმიანობა პერსონალის მართვის სფეროში მნიშნელონად დამოკიდებულია იმაზე თუ როგორი კადრი შეირჩევა და როგორ ჩატარდება შერჩევის პროცესი. ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი მთელი სერიოზულობით ეკიდება პერსონალის მართვის ამ ეტაპს, რათა ადგილი არ ჰქონდეს დამატებით გართულებებს ფირმის საქმიანობაში. იმისათვის რომ დაქირავებულ იქნას შესაბამისი მომუშავეები არსებული ვაკანსიების შესავსებად, საჭიროა ზუსტი ინფორმაციის ქონა სამუშაოს ხასიათისა და იმ თვისებებისა და კვალიფიკაციის შესახებ, რომლებიც აუცილებლად უნდა გააჩნდეს პრეტენდენტს დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად. ესაა ე.წ. მოსამზადებელი ეტაპი პერსონალის შერჩევისათვის, რომელიც შემდეგი თანმიმდევრობით ტარდება:

- სამუშაოს შინაარსის ანალიზი;
- სამუშაოს ხასიათის აღწერა (თანამადებობრივი ინსტრუქცია);
- მოთხოვნები პერსონალისადმი.

სამუშაოს შინაარსის ღრმა ანალიზი საშუალებას იძლევა მოვიპოვოთ დეტალური ინფორმაცია იმ ამოცანების შესახებ, რომელთა გადაწყვეტაც მოუხდებათ მომუშავეებს მოცემული სამუშაოს შესრულებისას. მოსამზადებელი სამუშაოს შემდგომ ეტაპზე ხდება იმ მოთხოვნების ჩამოყალიბება, რომელთა

შესრულებაც აუცილებელია პრეტენდენტებისათვის სამუშაოს წარმატებით განსახორციელებლად. ანუ მაქსიმალურად ზუსტად უნდა განისაზღვროს საჭირო უნარ-ჩვევები, ზოგადი და პროფესიული ცოდნის დონე, კვალიფიკაცია, პრაქტიკული გამოცდილება და ა.შ. შერჩევის ორგანიზაციაში მონაწილეობას იღებენ ფუნქციონალური და ხაზობრივი სამსახურების ხელმძღვანელები, მათ ეხმარებიან პროფესიონალი ფსიქოლოგები თანამედროვე მეთოდების გამოყენებით. ფუნქციონალური და ხაზობრივი სამსახურების ხელმძღვანელებს ეკუთვნით საბოლოო სიტყვა თანამდებობებისადმი წაყენებული მოთხოვნების ჩამოყალიბებისას და კადრების განყოფილების მიერ ამორჩეული კანდიდატებიდან სასურველის შერჩევისას. კადრების შერჩევა მიმართულია პრეტენდენტის უნარისა და შესაძლებლობების გამოვლენისაკენ, რათა განსაზღვროს მისი შესაბამისობა ორგანიზაციის მუშაობის თავისებურებებთან და პირობებთან. უამრავი კომპანია იყენებს ვაკანტურ თანამდებობებზე შერჩევის გავრცელებულ პროცედურას, რომელსაც კადრების განყოფილება ახორციელებს.

პერსონალის შერჩევის ტიპიური პროცედურა მოიცავს 6 საფეხურისგან შედგება:

I. განცხადების ბლანკის და ბიოგრაფიული ანკეტის შევსება;
II. ტესტირება;
III. წინასწარი შესარჩევი გასაუბრება (გამოკითხვა);
IV. რეკომენდაციების და დაკავებული თანამდებობების სიის შემოწმება;
V. სამედიცინო შემოწმება;
VI. გადაწყვეტილების მიღება.

საფეხური I: განცხადების ბლანკის და ავტობიოგრაფიული ანკეტის შევსება – იმ პირებმა, რომელებმაც გაიარეს წინასწარი

შესარჩევი გასაუბრება უნდა შეავსონ განცხადება და ანკეტა. ანკეტის კითხვარების რაოდენობა მინიმალური უნდა იყოს და მოიცავდეს ისეთ ინფორმაციას, რომელიც სრულად ახასიათებს პრეტენდენტის ეფექტიანობას. კითხვები შეიძლება ეხებოდეს მის წარსულ გამოცდილებასა და გონებრივ შესაძლებლობებს. ანკეტის პუნქტები ფორმულირებული უნდა იყოს ნეიტრალურ სტილში და გულისხმობდეს ნებისმიერ პასუხს მათ შორის უარსაც. ანკეტის მონაცემების ანალიზი შერჩევის სხვა მეთოდებთან კომბინაციაში გამოავლენს შემდეგ ინფორმაციას:

- განმცხადებლის განათლების დონის შესაბამისობა მინიმალურ კვალიფიციურ მოთხოვნებთან;
- პრაქტიკული გამოცდილების შესაბამისობა თანამდებობის ხასიათთან;
- თანამდებობით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებაზე არსებული სხვა შეზღუდვები;
- დამატებითი დატვირთვის საკუთარ თავზე აღებისათვის მზადყოფნა;
- იმ პირთა წრე, რომელიც რეკომენდაციას აძლევს მომუშავეს ან დაეხმარება მას დამატებითი ინფორმაციის მიღებაში.

ანკეტირების ერთ-ერთი ამოცანაა პირადი თვისებებისა და იმ გარემოებების დადგენა, რომელიც დაეხმარება დაქირავების შემთხვევაში პრეტენდენტებს მუშაობაში.

საფეხური II: ტესტირება - გადაწყვეტილებების მარტივად მისაღებად იყენებენ ტესტებსაც. ფსიქოლოგები და პერსონალის მართვის სპეციალისტები ადგენენ შესაბამის სამუშაო ადგილზე მოვალეობების ეფექტიანად შესრულებისათვის პრეტენდენტების უნარებისა და გონებრივი შესაძლებლობების გამოსავლენად საჭირო ტესტებს.

საფეხური III: წინასწარი შესარჩევი გასაუბრება (გამოკითხვა) - ამ ეტაპის განხორციელება სასურველია კადრების განყოფილებაში. ამ ეტაპზე დამქირავებლისათვის აუცილებელია ისეთი დეტალების გარკვევა როგორიცაა: კანდიდატის შესაძლებლობები, ცოდნის დონე, კვალიფიკაცია, გამოცდილება ინტელექტი და ა.შ. იმის გავითვალისწინებით თუ რა სირთულებთანაა დაკავშირებული ამ ინფორმაციის მიღება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გასაუბრების წარმატებით ჩატარებისათვის აუცილებელია გარკვეული კრიტერიუმების ჩამოყალიბება, ამასთან ეს კრიტერიუმები უნდა იყოს კარგად მოფიქრებული, ერთმანეთისაგან განსხვავებული და იძლეოდნენ პრეტენდენტის თვისებების რაოდენობრივი შეფასების საშუალებას.

საუბრის პროცესში ხდება ინფორმაციის გაცვლა კითხვა-პასუხის ფორმით. არსებობს სხვადასხვა სახის შეცდომები, რომელიც ამცირებს გასაუბრების შედეგებს. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია პრეტენდენტზე დასკვნების გამოტანა პირველი შთაბეჭდილების მიხედვით. მრავალი წლის მანძილზე დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ რამოდენიმე აუცილებელი თვისება, რომელიც უნდა გააჩნდეს ინტერვიუს ჩამტარებელს:

პირველი ესაა – შეეძლოს შეკითხვების სწორად ფორმულირება;
მეორე – ესაა გააჩნდეს გასაუბრების მიმდინარეობის კონტროლის უნარი, ანუ გააკეთოს ისე რომ პრეტენდენტები საუბრობდნენ რაც შეიძლება მეტს იმაზე, რაც მას აინტერესებს.

საფეხური IV: რეკომენდაციების და თანამდებობრივი ჩამონათვალის გადამოწმება - შერჩევის ერთ-ერთ საფეხურს წარმოადგენს წინა სამსახურიდან რეკომენდაციების ან სხვა

ანალოგიური დოკუმენტების მოთხოვნა. თუ უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან დამქირავებლის რეკომენდაცია იძლევა ზოგად და მინიმალურ ინფორმაციას, მაშინ მისგან სარგებელი მეტად მცირეა. ყველაზე ხშირად ამოწმებენ უკანასკნელ სამუშაო ადგილს და სასწავლო დაწესებულებას.

საფეხური VI: გადაწყვეტილებების მიღება - შერჩევა სრულდება სამსახურში მიღებით და ორმხრივი შრომითი ხელშეკრულების დადებით.

უმუშერობის დონე საქართველოს სტატისტიკის სამსახურის ცნობით, 11.8%-ს შეადგენს, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი კი 1069 ლარია. ამ მაჩვენებლიდან გამომდინარე, საინტერესოა ის ფაქტი რომ საქართველოში უმსხილეს დამსაქმებელ 10 კომპანიას შორის 3 კომერციული ბანკია. (საქართელოს ბანკი, თიბისი ბანკი და ლიბერთი ბანკი).

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2018 წლის ბოლოს საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებში 24 998 ადამიანი იყო დასაქმებული, რაც 145 დასაქმებულით მეტია 2017 წლის ბოლოსთვის დასაქმებულ რაოდენობაზე. 2007 წელთან შედარებით ბანკებში 10 804 ადამიანი მუშაობს. საქართველოში სულ 15 კომერციული ბანკი ფუნქციონირებს, რომლებსაც ჯამში 135 ფილიალი და 792 სერვის-ცენტრი აქვთ. ფილიალების და სერვის-ცენტრების 45% თბილისში მდებარეობს.

ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკნათ რომ საბანკო სფერო ერთ-ერთი ყველაზე მზარდია და მას მუდმივად ესაჭიროება ახალი კადრი. თითოეული ბანკი მუდმივად აქვეყნებს ვაკანსიების ვრცელ ჩამონათვალს. პოზიციებიდან გამომდინარე ისინი ეძებენ როგორც კვალიფიციურ ისე გამოუცდელ თანამშრომლებსაც. სწორედ ამიტომ ბიზნესის მართვის

ფაკულტეტის სტუდენტებს ეძლევათ არაჩვეულებრივი შესაძლებლობა დასაქმდნენ საკუთარი სპეციალობით და გარკვეული გამოცდილებაც დააგროვონ საბანკო სფეროში.

საბანკო სფეროში ეიჩარის როლი მეტად საინტერესო და საპასუხისმგებლოა. ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი თითქმის ყოველდღიურად ხვდება ახალ კადრებს და აყალიბებს მათი შერჩევის ეტაპებს. როგორც უკვე ავღნიშნეთ, პირველად ინფორმაცია ვაკანტური პოზიციის შესახებ თავად კომპანიის ინტერნეტ-საიტზე განთავსდება. აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ ბანკები სტაჟირებებსა და ვაკანსიებზე ინფორმაციას სხვადასხვა უნივერსიტეტის ოფიციალურ გვერდებზეც ანთავსებენ. კანდიდატების შერჩევის პროცესი განსხვავდება სამუშაო კატეგორიების მიხედვით და დამოკიდებულია ვაკანსიის საკვალიფიკაციო მოთხოვნებზე. შეგვიძლია 3 ყველაზე მსხილი დამსაქმებელი ბანკის კონკრეტული მაგალითები განვიხილოთ.

საქართველოს ბანკში ამჟამად 7845 ადამიანია დასაქმებული, აქტიურია 72 ვაკანსია. აქედან მინიმალური მოთხოვნები კანდიდატის მიმართ გაყიდვების კონსულტანტის პოზიციაზეა. დაინტერესების შემთხევაში აპლიკანტი ბანკის ელეტრონულ მისამართზე აგზავნის სივსა და სამოტივაციო წერილს. ვაკანსიის ვადის ამოწურვიდან ორი კვირის განმავლობაში შერჩეულ კონკურსანტებს უკავშირდებიან ეიჩარ დეპარტამენტიდან და იწვევენ სათაო ოფისში, სადაც თითოეული კანდიდატი გადის ინდივიდუალურ გასაუბრებას. ამ ეტაპის წარმატებით დასრულების შემდგომ ინიშნება ორკვირიანი სტაჟირება და საბოლოო გამოცდა. როგორც ბანკის ეიჩარ დეპარტამენტი აცხადებს გარკვეული პერიოდის განმალობაში მათ საწყის ეტაპზევე დანიშნული ჰქონდათ მათემატიკისა და უნარების გამოცდა ნებისმიერი პოზიციისთის, თუმცა პრაქტიკამ დაანახათ

რომ მსგავს პოზიციებს უფრო მეტად ვერბალური კომუნიკაციის უნარების უკეთ ფლობა ეხმარებათ დაკისრებული მოვალეობების წარმატებით შესრულებაში. სწორედ ამიტომ ადამიანური რესურსების მართის დეპარტამენტმა გადაწყვიტა შეეცვალათ მიდგომა და საკუთარ „შეცდომებზე“ დაყრდნობით შეემუშავებინათ უკეთესი მეთოდები. დღესდღეობით ბანკი ჯერ სამსახურისთვის შესაბამის ტრენინგებსა და გადამზადებას ატარებს შერჩეულ კადრს, ხოლო შემდგომ მიღებული ცოდნის შესაბამის მისაღებ ტესტს აწერინებს.

კომპანია მიიჩნევს რომ თანამშრომლები ყველაზე მნიშვნელოვანი აქტივია. მათი თქმით ცდილობენ შექმნან თანაბარი შესაძლებლობები, სადაც სხვადასხვა კულტურისა და ღირებულებების მქონე ადამიანებისთვის მუშაობა საინტერესო და გამოწვევებით სავსე იქნება.

თიბისი ბანკში ახალი თანამშრომლის შერჩევის პროცესი განსხვავდება იმის მიხედვით თუ რომელი პოზიციისთვის ხდება კადრის შერჩევა. პროცესი შესაძლოა მოიცავდეს რამდენიმე სატელეფონო თუ პირად გასაუბრებასა და წერილობით ტესტს. საწყისი გასაუბრებისთვის შერჩეულ აპლიკანტებს მიეწოდებათ სრული ინფორმაცია ვაკანტური პოზიციისა და შერჩევის ეტაპების შესახებ. იმ შემთხვევაში თუ აპლიკანტის მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა, ბანკი იტოვებს რეზიუმეს მონაცემთა ბაზაში კიდევ 12 თვის განმავლობაში. აღსანიშნავია რომ ნებისმიერ თიბისი ბანკით დაინტერესებულ ადამიანს შეუძლია ვაკანსიები ავტომატურ რეჟიმში გამოიწეროს საკუთარ ელექტრონულ ფოსტაზე. ეს სიახლე საშუალებას აძლევს დაინტერესებულ პირებს არ გამორჩეთ სასურველი განცხადება და დროულად შეავსონ იგი.

საქართველოს ბანკის მსგავსად ლიბერთი ბანკიც გამოუცდელ სტუდენტებს თავდაპირველად კონსულტანის ვაკანსიას სთავაზობს ნახევარ განაკვეთზე. ძირითადად პოზიციაზე განიხილებიან სტუდენტები ან ახალი კურსდამთარებულები, რომელთაც არ აქვთ სამუშაო გამოცდილება და სწავლობენ ბიზნეს ადმინისტრირების განხრით.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნებისმიერ საბანკო დაწესებულებას საკუთარი კადრის დაწინაურება უფრო მეტად სურს ვიდრე „უცხო ადამიანების“ მიღება. ბანკის ეიჩარები მიიჩნევენ, რომ მათი თანამშრომლები ახარხებენ მუშაობის პროცესში ზრდას, რაც მათ ახალ პოზიციაზე განხილვის საშუალებას იძლევა. ამასთან ერთად თანამშრომლებისთვის კარიერული ზრდის პერსპექტივა არაჩვეულებრივი მოტივატორია. თუმცა აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ არასახაბიელო ანაზღაურება უამრავი ახალგაზრდისთვის გადამწყეტი ფაქტორია. ისინი უარს ამბობენ კომეციულ ბანკში სამსახურის დაწყებაზე ვინაიდან ანაზღაურება ძირითადად გამომუშავებაზეა დამოკიდებული და ფიქსირებული ხელფასი ძალიან მწირია.

დასკვნა: დასკვნის სახით შეიძლება ითქვას რომ საბანკო სფერო დღესდღეობით საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო დამსაქმებელია. ახალგაზრდებს ეძლევათ რეალური შესაძლებლობა კარიერული წინსვლისა და წარმატების. რა თქმა უნდა აღნიშნულ სფეროს აქვს თაისი დადებითი და უარყოფითი მხარეები

ნაშრომის მიზანია იმ საბაზისო უნარ-ჩვევებსა და მოთხოვნებზე ყურადღების გამახვილება, რომელთა ქონის შემთხევაში სტუდენტებს მიეცემათ რეალური დასაქმების შესაძლებლობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://insource.ge/ last modified 07.02.2020
2. http://www.economists.ge/ last modified 06.02.2020
3. https://fas.ge/ last modified 06.02.2020
4. https://www.hr.ge/ last modified 21.01.2020
5. https://bankofgeorgia.ge/ last modified 07.02.2020
6. https://www.geostat.ge/ka last modified 21.01.2020
7. https://www.libertybank.ge/ last modified 08.02.2020
8. https://www.tbcbank.ge/ last modified 08.02.2020
9. https://www.nbg.gov.ge/ last modified 08.02.2020

გაყიდვების სტრატეგიები და ტექნიკები
Sales strategys and tactics

გოგა გოგატიშვილი - ბიზნესის მართვის ფაკულტეტი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
ggogatishvili4@gmail.com
იზა ინაური - ბიზნესის მართვის ფაკულტეტი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
iza.inauri@gmail.com
მირზა რიჟვაძე - ბიზნესის მართვის ფაკულტეტი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
mirza.2000@gmail.com

Goga Gogatishvili – Undergraduate student,
Georgian National University
ggogatishvili4@gmail.com
Iza Inauri – Undergraduate student,
Georgian National University
iza.inauri@yahoo.com
Mirza Rijavadze – Undergraduate student,
Georgian National University
mirza.2000@gmail.com

რეზიუმე: თემა შეეხება გაყიდვების სტრატეგიებს, რომელიც არის გეგმა ნებისმიერი ბიზნესისა და ინდივიდისთვის, როგორ გაყიდოს სასურველი პროდუქტი , რომ გაზარდოს საკუთარი მოგება. გაყიდვების სტრატეგიის გეგმა ძირითად შემთხვევაში ყაილიბდება კომპანიის უმაღლეს რგოლში.

18 აპრობირებული და ძლიერი ტაქტიკა, რომელიც ნებისმიერ ინდუსტრიაში ეფექტურად მუშაობს. ნებისმიერი ქმედება, რომელსაც გამოიყენებ გაყიდვების პროცესში არის გაყიდვების ტაქტიკა. ეს არის თუ როგორ მიაწოდო სწორად პროდუქტი მომხმარებელს.

გაყიდვების სტრატეგია წარმოადგენს თქვენი პროდუქციის პოზიციონირების სტრატეგიას ბაზარზე კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად. ეს ყველაფერი შეეხება როგორც გადაწყვეტილების მიღებას – როგორ და ვის მივყიდოთ პროდუქტი, ასევე გაყიდვების გრძელვადიანი მიზნების დასახვას. ის ასევე ახორციელებს გაყიდვების დარგის სპეციალისტებისთვის მეთოდების დასახვას სხვადასხვა სახის კლიენტებთან შესაბამისი გზით კომუნიკაციისთვის.

დანერგვას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგან ის გაყიდვების სტრატეგიის წარმატებას განსაზღვრავს. აღნიშნული მოიცავს დასახული მიზნების მიღწევას, ამასთან, ახალი შესაძლებლობებისადმი მზადყოფნისა და მოქნილობის შენარჩუნებას. კარგი განხორციელება გულისხმობს ყოველთვიური და ყოველკვირეული მიზნების დასახვასა და შეფასებას გრძელვადიანი სტრატეგიის საფუძველზე.

გაყიდვების სპეციალისტები წარმოადგენენ სპეციალურ მაკავშირებელს კომპანიასა და მის მომხმარებელს შორის. ისინი აწვდიან შეთავაზებებს, რომლებიც აკმაყოფილებს მომხმარებლის განსაკუთრებულ მოთხოვნებსა და ამავდროულად კომპანიას უზრუნველყოფენ ბაზრის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციით. მრავალი მომხმარებლისთვის გაყიდვების დარგის სპეციალისტები უშუალოდ კომპანიაა. ყურადღება მიაქციეთ მათი ტრენინგის ხარისხს. დასახეთ მათთვის რეალისტური ყოველდღიური და ყოველკვირეული მიზნები. ასევე დარწმუნდით, რომ მათი ანაზღაურება სათანადოა.

გაყიდვების ოქროს წესი - გაყიდე ისე, როგორც შენ ისურვებდი რომ იყიდო. იმიტომ, რომ გაყიდვებში არის ერთი მთავარი წესი, არ აქვს მნიშვნელობა რას ყიდი მთავარია როგორ ყიდი.

Resume: Topic will be about sales strategy that is a plan by a business or individual on how to go about selling products and services and increasing profits. Sales strategies are typically developed by a company's administration, along with its sales, marketing and advertising managers.

18 proven tactics that work in any industy. Any action you take take to put your sales into actions is a sales tactic. It is how you deliver your message to consumers.

A sales strategy is the positioning strategy of your products to gain competitive advantage in the market. It is all about making a decision - how and to whom to sell the product, and setting long-term sales goals. It also develops methods for sales professionals to communicate with different types of clients in an appropriate manner.

Implementation is critical as it determines the success of your sales strategy. This includes achieving the set goals, while maintaining readiness and flexibility for new opportunities. Good implementation involves setting and evaluating monthly and weekly goals based on a long-term strategy.

Sales specialists represent a special link between the company and its customers. They provide quotes that meet the specific needs of the user and at the same time provide the company with important market information. For many customers, sales specialists are directly the company. Pay attention to the quality of their training. Set realistic daily and weekly goals for them. Also make sure their remuneration is adequate.

And in the end, golden rule of sales that is sell to other people the way you would like to be sold to. Because its not about what you sell, its about how you sell.

საკვანძო სიტყვები: გაყიდვების სტრატეგიები, გაყიდვების სპეციალისტები, დანერგვას კრიტიკული მნიშვნელობა, კონკურენტული უპირატესობი, კომუნიკაცია.

Keywords: sales strategies, sales specialists, critical implementation, competitive advantage, communication.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://businesshub.ge/ge/dashboard/crm გადამოწმებულია 25.01.2020
2. https://www.roigroup.ge/effective-sales-str/ გადამოწმებულია 25.01.2020
3. ჰოპკინსი ტ. - გაყიდვები მარტივად. გამომცემლობა პალიტრა L. 2018

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობის ანალიზი
Monetary Policy Effectiveness of National Bank of Georgia

ვერიკო ხაინდრავა - ბიზნესის მართვის ფაკულტეტი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
v.khaindrava@gmail.com

Veriko Khaindrava – Undergraduate student,
Georgian National University
v.khaindrava@gmail.com

აბსტრაქტი:წინამდებარე სტატაიაში განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა ზოგადად ცენტრალური ბანკის მიერ გატარებული ფულად-საკრედიტო და მონეტარული პოლიტიკის სავარაუდო სცენარები, ინსტრუმენტები და ამ ინსტრუმენტთა გამოყენების მიზანშეწონილება, კერძოდ კი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ამ ეტაპზე მონეტარული პოლიტიკის ანალიზი და მისი ეფექტურობის ანალიზი.

საკითხის უკეთ და ეფექტურად განხილვის მიზნით მოცემულია საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის შესახებ დარგის ცნობილი ექსპერტების შეხედულებები, მათი ვარაუდები. კვლევაში არსებული სტატისტიკური და თეორიული ინფომაციის შეჯამება ანალიზის საფუძველზე მოცემულია საქართველოს მონეტარული ხელისუფლების მიერ გატარებული საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის გატარების ეფექტიანობის ავტორისეული ანალიზი. აღნიშნულია, რომ წარმატებულ და დროის შესატყვის მონეტარულ პოლიტიკაზე დამოკიდებულია არა მარტო ეროვნული ვალუტის სტაბილურობა, არამედ მთლიანი ეროვნული ეკონომიკის შემდგომი ზრდა-განვითარება.

Resume: In the previous article, there are discussed such important issues as are: generally, presumable scenarios of implementation of sound monetary policy by central bank, instruments and the appropriateness of usage of those

instruments, particularly, the analysis of the monetary policy and its efficiency by Georgian National Bank at this stage.

In order to discuss the matter more effectively, there are introduced the opinions and assumptions of famous experts of the field concerning the monetary policy conducted by Georgian National Bank. On the basis of the analysis of statistical and theoretical information presented in the study, there is given an authorial analysis of sound monetary policy put into effect by Georgian Monetary Authorities.It is stated, that the stability of national currency as well as further growth and development of whole national economy is dependent on successful and timely monetary policy.

საკვანძო სიტყვები: მონეტარული პოლიტიკა, ეროვნული ბანკი, მსყიდველობითი უნარი, ეროვნული ვალუტა, ლარის კურსი, ინფლაცია, კონვერტირება.

Keywords : monetary policy, national bank, purchasing power, national currency, Lari (Gel) rate, inflation, conversion.

შესავალი: ნებისმიერ ქვეყანაში ეკონომიკურ პროცესებზე მონეტარული პოლიტიკის გავლენა საკმაოდ მძლავრი და მნიშვნელოვანია. ბოლო პერიოდში მსოფლიო კრიზისების შესწავლამ ცხადყო, თუ რაოდენ დიდი ზეგავლენა შეუძლია მოახდინოს მონეტარულმა პოლიტიკამ მთლიანად ყვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე.

ზოგადად უნდა აღინიშნოს რომ ცენტრალური ბანკების მონეტარული პოლიტიკა გავლენას ახდენს არამხოლოდ საპროცენტო განაკვეთებსა და ფასების საერთო დონეზე, არამედ საბოლოო ჯამში ყვეყნის ეკონომიკური განვითარების საერთო დონეზეც, ანუ თითოეული მოქალაქის კეთილდღეობაზე. სხვადასხვა ყვეყნის ცენტრალურ ბანკს სხვადასხვა სტრატეგიული მიზნები გააჩნია, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ქვეყნაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური თუ სხვა რეალობიდან გამომდინარეობს.

რაც შეეხება საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის მთავარ მიზანს წარმოადგენს ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა. ფასების სტაბილურობა გულისხმობს ინფლაციის ზომიერი და პროგნოზირებადი ტემპის არსებობას, რაც აუცილებელი ფაქტორია გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისათვის. ამასთანავე, ეროვნული ბანკი ზრუნავს საფინანსო სისტემის სტაბილურ ფუნქციონირებაზე და ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე თუ ეს შესაძლებელია ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მისი ძირითადი ამოცანის შესრულებას. ამგვარად, ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა ემსახურება ეროვნული ვალუტის მსყიდველუნარიანობის შენარჩუნებას, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის პოტენციალის ამაღლებასა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას.რაც უფრო ეფექტიანია ეროვნული ბანკის ინსტრუმენტები, ფასების სტაბილურობის მიღწევა მით უფრო ნაკლები საზოგადოებრივი დანახარჯითაა შესაძლებელი, შესაბამისად ეროვნული ბანკი მუდმივად ზრუნავს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტების დახვეწასა და მონეტარული გადაცემის მექანიზმის ეფექტიანობის ზრდაზე.

ძირითადი ტექსტი: მონეტარულ პოლიტიკაზე საუბრისას, საქართველოს შემთხვევაში აუცილებელია აღინიშნოს, რომ ეროვნული ბანკის ფულადსაკრედიტო პოლიტიკის მთავარ ინსტრუმენტს მონეტარული პოლიტიკის რეფინანსირების სესხების განაკვეთი წარმოადგენს, რომლის მეშვეობითაც მონეტარული პოლიტიკის იმპულსები გადაეცემა ჯერ მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთებს, შემდეგ გრძელვადიან საპროცენტო განაკვეთებს, საბოლოოდ კი ერთობლივი მოთხოვნის შებოჭვის ან სტიმულირების გზით გავლენას ახდენს ფასების საერთო დონეზე.

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა, გაცვლითი კურსის გაუფასურებიდან მომდინარე ინფლაციაზე ზეწოლის განეიტრალების მიზნით, სექტემბერში მონეტარული პოლიტიკის

გამკაცრება დაიწყო. აღსანიშნავია, რომ ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი კვლავ გადახრილია

მისი გრძელვადიანი ტრენდიდან, რაც ინფლაციური მოლოდინების გააქტიურებას უწყობს ხელს და ფასებზე ზრდის მიმართულებით მოქმედებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2019 წლის 23 ოქტომბრის სხდომაზე რეფინანსირების განაკვეთის 1 პროცენტული პუნქტით, 8.5 პროცენტამდე გაზარდა. აღსანიშნავია რომ, ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი კვლავ გაუფასურებულ დონეზე ნარჩუნდება და ინფლაციაზე ზრდის მიმართულებით ახდენს ზეწოლას. ამ უკანასკნელს ერთობლივი მოთხოვნიდან მომდინარე ფაქტორები მხოლოდ ნაწილობრივ ანეიტრალებს, რადგანაც, წინა პერიოდთან შედარებით, წინასწარი ინდიკატორები ეკონომიკური ზრდის გააქტიურებაზე მიუთითებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 23 ოქტომბერს გამართულ სხდომაზე მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა რეფინანსირების განაკვეთის კიდევ 1 პროცენტული პუნქტით გაზრდის გადაწყვეტილება მიიღო და საბოლოო ჯამში 9% შეადგინა. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდგომი გადაწყვეტილებები დამოკიდებული იქნება თუ რამდენად სწრაფად აღმოიფხვრება გაცვლითი კურსიდან ინფლაციაზე მომდინარე ზეწოლა თუმცა, საგარეო სექტორიდან მომავალი რისკების მიუხედავად, საგარეო შემოდინებები ზომიერ ზრდას განაგრძობს და ეკონომიკური აქტივობის ზრდაში დადებითი წვლილი შეაქვს. თუმცა აღსანიშნავია, რომ ერთობლივი მოთხოვნა კვლავ ჩამორჩება პოტენციურ დონეს და, შესაბამისად, მოთხოვნის მხრიდან ფასებზე ზეწოლა სუსტი რჩება. არსებული პროგნოზებით მოსალოდნელია, რომ, სხვა თანაბარ პირობებში, ინფლაცია მიმდინარე წელს მიზნობრივი დონის ზემოთ დარჩება, მომავალი წლის მარტიდან შემცირებას დაიწყებს, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში მიზნობრივ მაჩვენებელთან ახლოს შენარჩუნდება.

ამასთანავე, საბანკო სისტემაში დამატებითი ლიკვიდური სახსრების მობილიზაციის მიზნით, 2019 წლის 25 სექტემბერს მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის რიგგარეშე სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრებისათვის სარეზერვო მოთხოვნის 25%-მდე შემცირების შესახებ. სარეზერვო მოთხოვნების შემსუბუქება, ერთი მხრივ, ბანკებს მისცემს შესაძლებლობას უფრო მეტი უცხოური ვალუტა მიაწოდონ ბაზარს, მეორე მხრივ კი, წაახალისებს მათ უცხოური ვალუტის საკრედიტო რესურსების საერთაშორისო ბაზრებიდან მოზიდვისკენ. შედეგად, ბაზარზე უცხოური ვალუტის მიწოდება გაიზრდება, რაც უცხოურ ვალუტაზე გაზრდილი მოთხოვნის გამო კურსზე ზეწოლას შეასუსტებს.

განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. ექსპერტთა და ანალიტიკოსთა ნაწილი სკეპტიკურად არის განწყობილი, ნაწილი კი დადებითად აფასებს მსგავს ცვლილებებს.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოება და ბანკების“ ხელმძღვანელი გიორგი კეპულაძე საუბრობს იმის შესახებ რომ, „რეფინანსირების განაკვეთი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ არ ყოფილა ასეთ მაღალ ნიშნულზე. როგორც ჩანს ეროვნულ ბანკში კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობის მოლოდინი აქვთ ვიდრე დღეს ქვეყანაში

გვაქვს, სწორედ ამიტომ გადადგეს ძალიან მკაცრი ნაბიჯი“. გიორგი კეპულაძის აზრით ეროვნულმა ბანკმა ეს ნაბიჯი იმიტომ გადადგა რომ, ფაქტობრივად სხვა არჩევანი არ ჰქონდა. ის ყურადღებას ამახვილებს იმ უარყოფით შედეგებზე რაც თან ახლავს გაზრდილ განკვეთებს. "ეს იქნება ის, რომ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი გაიზრდება, რადგან ლარის რესურსი ძვირდება. ასევე ეროვნულ ბანკს დროებით ლარიზაციის პოლიტიკაზე მოუწევს

უარის თქმა. ლარის რესურსის შეზღუდვა კიდევ უფრო შეზღუდავს ხელმისაწვდომობას ფინანსებზე. როგორც ჩანს საკმაოდ პესიმისტურია მოლოდინი და ამიტომ ცდილობს ეროვნული ბანკი წინასწარ მოუჭიროს არტახებს“.ასე აფასებს გიორგი კეპულაძე ეროვნული ბანკის კომიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.

ანალიტიკოსი დემურ გიორხელიძე საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის საკითხს ეხმაურება და მიიჩნევს, რომ ნებისმიერი მექანიზმის გამოყენებისას, სებ-ი უნდა ითვალისწინებდეს გავლენას ეკონომიკის რეალურ სექტორზე მთლიანობაში და არა მის ერთ რომელიმე ასპექტზე, მაგალითად, ინფლაციის ე.წ. „თარგეთზე“. „სებ-ის მიერ რეფინანსირების განაკვეთის (პროცენტის) გაზრდას მივყავართ ფულად ბაზარზე საპროცენტო განაკვეთის ზრდამდე, კრედიტის გაძვირებამდე და ეკონომიკაში მოთხოვნის დესტიმულირებამდე. რაც შეეხება კომერციულ ბანკებს, ანალიტიკოსი აღნიშნავს, რომ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის (პროცენტის) გაზრდა, მათ ეროვნული ბანკიდან უფრო ძვირი მოკლევადიანი კრედიტების აღების პირობებს შეუქმნის. არის საშიშროება, რომ სებ-ი კვლავ გაზრდის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს. ამ შემთხვევაში კი ეკონომიკური აგენტები შეამცირებენ თავიანთ აქტიურობას და დაელოდებიან იმ მომენტს, როცა სებ-ი დაიწყებს ამ პოლიტიკაზე უარის თქმას. ცხადია, ეს შეამცირებს მოხმარებას და შეამცირებს ძალზე არსებითად, რაც აისახება კიდეც ისედაც მწირი ქართული ეკონომიკის მდგომარეობაზე. ასეთ აზრს ავითარებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ანალიტიკოსი დემურ გიორხელიძე.

როგორც ვხედავთ, გამოიკვეთა ის ფუნდამენტური პრობლემები რომელიც თან ახლავს გამკაცრებულ მონეტარულ პოლიტიკას, კერძოდ: სესხებზე საპროცენტო განაკვეთების ზრდა, ლარიზაციის პოლიტიკაზე უარის თქმა, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის

პრობლემა, მოთხოვნის დესტიმულირება, ეკონომიკური აგენტების მხრიდან აქტიურობის შემცირება.

საინტერესოა რამდენად დამაჯერებელ არგუმენტებს წარმოადგენენ ის ადამიანები, რომლებიც უფრო დადებითს ხედავენ ვიდრე უარყოფითს აღნიშნულ რეგულაციებთან დაკავშირებით.

ეკონომიკის დოქტორი აკაკი ცომაია ლარის კურსის გამყარებას ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებას უკავშირებს. „ლარი იმიტომ მყარდება, რომ ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკა გაამკაცრა და ამის შედეგად ინვესტორებს და რეზიდენტებს მოლოდინები შეექმნათ, რომ ლარი გამყარდება. მოლოდინი ნიშნავს იმას, რომ მათ, სავარაუდოდ, შემოიტანეს უცხოური ვალუტა, დააკონვერტირეს ლარში და იყიდეს მაგალითად, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ მოლოდინმა ლარის გამყარებას შეუწყო ხელი, ანუ გამკაცრებულმა მონეტარულმა პოლიტიკამ თავისი წვლილი შეიტანა." როგორც ცნობილია, ეროვნული ბანკის მთავარი მანდატი ფასების სტაბილურობაა, რაც ეკონომიკის გრძელვადიანი ზრდის აუცილებელი ფაქტორია და სწორედ ამის მთავარი ხელშემწყობი ფაქტორია ლარის გამყარება, რაზეც დადებითი გავლენა იქონია მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებამ.

ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის წევრი ანდრია გვიდიანი ეროვნულ ბანკს ადანაშაულებს იმაში რომ, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი ოქტომბრის ნაცვლად ივნისში არ გაზარდა. „როდესაც მონეტარული პოლიტიკა მკაცრდება, ამას ხშირად საშუალოვადიანი პერსპექტივა აქვს. ვგულისხმობ, რომ ჩვენ რომ მონეტარული პოლიტიკა ივნისში გაგვემკაცრებინა, ინფლაციის მართვის თვალსაზრისით შესაბამისი ზომები მიგვეღო და ბერკეტები გამოგვეყენებინა, დღეს შედეგი უკვე დადგებოდა. მაგრამ სექტემბერსა და ოქტომბერში გაზრდილმა განაკვეთმა შედეგი

შესაძლოა, წლის ბოლოს ან მომავალი წლის დასაწყისში გამოიღოს“. განაცხადა ანდრია გვიდიანმა

მნიშვნელოვანი და საყურადღებოა თავად ეროვნული ბანკის პრეზიდენტის განცხადება. რომლის თქმითაც, მონეტარული პოლიტიკის ზრდა ქვეყანაში მთლიანი ხარჯვის მოცულობას შეამცირებს, რაც, საბოლოოდ, სამომხმარებლო პროდუქტების ფასების ზრდის ტემპებს შეანელებს.„საპროცენტო განაკვეთების ზრდა ეროვნული ვალუტით დანაზოგებს უფრო მიმზიდველს ხდის და ინვესტორებს ლარის ფასიანი ქაღალდების გამოყენებისკენ უბიძგებს, ეს კი ლარზე მოთხოვნის ზრდას და მის გამყარებას ეხმარება. გარდა ამისა, ეროვნულმა ბანკმა მის ხელთ არსებული სხვა ბერკეტებიც აამოქმედა, კერძოდ, განახორციელა ინტერვენციები და შეამცირა უცხოური ვალუტის სარეზერვო მოთხოვნები. თუმცა, ყველაზე ქმედითი ბერკეტი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთია. არსებული საბაზო პროგნოზით, წლიური ინფლაცია, სხვა თანაბარ პირობებში, 2020 წლის მარტიდან შემცირებას დაიწყებს და წლის ბოლოსთვის მიზნობრივ მაჩვენებელთან ახლოს იქნება“, – განაცხადა გვენეტაძემ.

დასკვნა: ანალიტიკოსთა მოსაზრებებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გამკაცრებულმა მონეტარულმა პოლიტიკამ მიუხედავად იმისა რომ, გარკვეული პრობლემები შექმნა სესხებზე საპროცენტო განაკვეთების ზრდის, მოთხოვნის დესტიმულირების და ეკონომიკური აგენტების მხრიდან აქტიურობის შემცირების თვალსაზრისით, მიუხედავად ამისა მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეროვნული ბანკის მთავარი ამოცანის გადაწყვეტაში, რაც ფასების სტაბილურობას გულისხმობს. ამ მიზნის მისაღწევად კი ერთ ერთი მთავარი პირობა ლარის გამყარებაა. შექმნილი ვითარება გვაძლევს პოზიტიური პროგნოზის გაკეთების შესაძლებლობას იმის თაობაზე, რომ წლიური ინფლაცია, სხვა თანაბარ პირობებში, 2020

წლის მარტიდან შემცირებას დაიწყებს და წლის ბოლოსთვის მიზნობრივ მაჩვენებელთან ახლოს იქნება.

როგორ შეიცვლება მომავალში ლარის კურსი, ეს ზუსტად არავინ იცის და არც არავის შეუძლია მართოს. მინიმუმ იმიტომ, რომ ეს სხვა ქვეყნების ეკონომიკურ მდგომარეობაზეც არის დამოკიდებული, განსაკუთრებით - ჩვენი მეზობელი ქვეყნების ეკონომიკაზე. ჩვენი მეზობელი ქვეყნები კი პოლიტიკური სტაბილურობით და პროგნოზირებადი ცვლილებებით არ ხასიათდებიან.როდესაც ეროვნულ ბანკს ფასებისა და ვალუტის კურსის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება უხდება, აქ მთავრობის ჩარევაც ძალიან მნიშვნელოვანია, რომელმაც განსაკუთრებულად უნდა შეუწყოს ხელი ბიზნესის განვითარებას, ანუ საქონლისა და მომსახურების მიწოდების სტიმულირება უზრუნველყოს.ამ მიზნის მისაღწევად მთავრობას შეუძლია გადასახადებისა და რეგულაციების შემცირება, რაც წარმოებას ხარჯებს შეუმცირებს და შესაძლებლობას მისცემს, პროდუქციის გამოშვება გაზარდოს.

გარდა უცხოურ ვალუტაში სარეზერვო ნორმის 5% პუნქტით დაწევისა, რატომ შეიძლება რომ გამკაცრებულმა მონეტარულმა პოლიტიკამ ლარის გამყარებას შეუწყოს ხელი? საქართველოდან უცხოური ვალუტა ძირითადად საქონლის იმპორტს გააქვს. 2018 წელს იმპორტმა 8.6 მილიარდი დოლარი შეადგინა. მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებას საპროცენტო განაკვეთების ზრდა და ლარის მასის შემცირება მოჰყვება. ლარის მასის კლებას ლარის გაცვლით კურსზე ირიბი გავლენის მოხდენა შეუძლია. ძირითადად ასეთი სქემა მუშაობს: თუ მცირდება ლარის მასა, მცირდება მოთხოვნა პროდუქციაზე, ეს იწვევს იმპორტის შემცირებას, რაც აუმჯობესებს ჩვენს სავაჭრო ბალანსს და ლარის გაუფასურების მიმართულებით ზეწოლა მცირდება.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

1. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=533.
2. https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/moneratyfiscal/2019/publish_mr_october_2019_geo.pdf
3. https://1tv.ge/news/andria-gvidiani-erovnulma-bankma-shecdoma-daushva-rodesac-monetaruli-politikis-ganakveti-ivnisshi-ar-gazarda/
4. https://forbes.ge/news/7360/ras-unda-velodoT-gamkacrebuli-monetaruli-politikisgan
5. http://intermedia.ge.

ქართველი მეცენატი მეწარმეები
Georgian entrepreneurs

ნანა ხარაიშვილი - ბიზნესის მართვის ფაკულტეტი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
nana,kharaishvili@yahoo.com
მონიკა არობოვა - ბიზნესის მართვის ფაკულტეტი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
marabova@hotmail.com
ჯემალ თოლორაია - ბიზნესის მართვის ფაკულტეტი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
j.toloraia@gmail.com

Nana Kharaishvili - Undergraduate student,
Georgian National University
nana,kharaishvili@yahoo.com
Monika Arabova - Undergraduate student,
Georgian National University
marabova@hotmail.com
Jemal Toloraia - Undergraduate student,
Georgian National University
j.toloraia@gmail.com

აკაკი ხოშტარია. ქართველი ფინანსიტი, მრეწველი, საზოგადო მოღვაწე და ქველმოქმედი.

მისი საქმიანობის ძირითად ასპარეზს წარმოადგენდა სამხრეთ კავკასია (განსაკუთრებით ბაქო), თურქეთი და ირანის ჩრდილო რაიონები.

აკაკი ხოშტარია დაიბადა 1873 წელს აბაშის რაიონის სოფლ სუჯუნაში, ტახტის აზნაურის ოჯახში. აკაკის მამა, მეთოდე, მეთო ხოშტარია იყო დადიანების მოურავი, განაგებდა სადადიანოს მეურნეობას. ზოგიერთი ცნობით, მას ევალებოდა სამეგრელოს საეკლესიო მიწების გამგებლობა და სუჯუნის წმინდა გიორგის ხატის დაცვა

აკაკიმ სასოფლო-სამეურნეო კოლეჯი დაამთავრა სანკტ-პეტერბურგში. რამდენიმე წლის განმავლობაში გაგრაში, პრინც ოლდენბურთან სუპერინტენდანტად მუშაობდა.მან დაგეგმა და მეთვალყურეობას უწევდა ყველა ბულვარისა და ბაღის მოწყობას მთელს შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე. შემდგომშიც ზრუნავდა ამ ადგილების გამწვანებაზე. მისი უშუალო ხელმძღვანელებთან და დაფინანსებით გაშენდა ახალი ათონის ცენტრალური პარკი, იალტის მთავარი ბაღი, ბათუმის მთავარი ზღვისპირა ბულვარი და მახინჯაურის ბოტანიკური ბაღი.

მებაღე - დეკორატორად 10 წლის მუშაობის შემდეგ აკაკი ხოშტარია შემთხვევითობის წყალობით ჩაება სავაჭრო და სამეწარმეო საქმიანობაში. ერთ-ერთი გადმოცემით ამას ერთმა შემთხვევამ შეუწყო ხელი: ახალგაზრდობაში იგი ფოთში მეგობრობდა მეწვრილმანე ვაჭარ, ვინმე ზოდელავასთან. ერთხელ მათ გადაწყვიტეს სავაჭრო გემით ნავთი წაეღოთ ოდესაში სარეალიზაციოდ, მაგრამ ტუაფსეში ამოვარდნილმა ქარიშხალმა გემი თურქეთში გაიტან, სადაც ნავთი ოქროს ფასად გაყიდეს.აკაკი ამ შემთხვევამ სამეწარმეო საქმიანობაზე დააფიქრა. იგი თურქეთიდან ბაქოში გაემგზავრა და ნავთობმრეწველ მუსა ნაგიევისგან ნავთობსარეწი დანადგარები, ბათუმში კი სავაჭრო აქციები შეიძინა და მთლიანად ნავთობსამრეწველო საქმიანობაზე გადაერთო.

პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდში აკაკი ხოშტარიამ ბაქოში ჩამოაყალიბა მსხვილი სამრეწველო კომპანია, რომელიც სამხრეთ კავკასიასა და ირანში წარმართავდა სავაჭრო ოპერაციებს. სანავთობე ამხანაგობა „რუპენტოს“ გარდა აკაკი ხოშტარიამ ბაქოში დააარსა კომერციული ორგანიზაცია – თურქულ-სპარსული „ხოშტარიას ბანკი“, რომლებიც მსოფლიოს წამყვან ქვეყნებთან აწარმოებდნენ ფინანსურ კომბინაციებს.

აკაკი ხოშტარიას ძირითადი სამეწარმეო ასპარეზი ირანი იყო. იგი საკმაოდ დაახლოებული პირი ხდება სპარსეთის შაჰის კარზე. ასევე, მდიდარ და გავლენიან პირად ითვლებოდა მთელს ირანში.

ბერლინში გამომავალი რუს-დემოკრატთა ყოველდღიურ გაზეთ - „რული”-ს ჟურნალისტი, ვინმე ვლადიმერ ნემგინსი, 1924 წელს თავის წერილში აკაკი ხოშტარიას მოიხსენიებს, როგორც *„ირანის უგვირგვინო შაჰს”* და პირველი მსოფლიო ომის დასაწყისისთვის, როგორც *„საქართველოსა და ირანის მნიშვნელოვანი ნაწილის ფაქტობრივ მფლობელს”*.

ასევე, 1913 წელს აკაკი ხოშტარიამ დადო 99 წლიანი კონტრაქტი ჩრდილოეთ ირანის მიწათმფლობელებთან, დააარსა კომპანია „პერსლესი”, რომლის კაპიტალი შეადგენდა რამდენიმე მილიონ ოქროს რუბლს. ააშენა თავისი საკუთარი საამქროები, ელექტრონით მოქმედი ქარხნები და სპეციალური სარკინიგზო ხაზი - „ტალრუდი”, ხის მორების გადასაზიდად. ეს ირანისთვის პირველი რკინიგზის ხაზი იყო.

1916 წელს ხოშტარიამ მიიღო კონცესიები მიწისქვეშა საკუთრების ექსპლუატაციაზე, რომელიც გულისხმობდა მინერალების, ნავთობისა და სხვა წიაღისეულის მოპოვებას ჩრდილოეთ ირანში აზერბაიჯანის ჩათვლით. მან, ასევე, დადო ხელშეკრულება ბრაიტონ ფ. ფ. ლიჩთან, რომელსაც ლონდონში უნდა დაეარსებინა კომპანია 2 მილიონი ფუნტი სტერლინგის ოდენობის ძირითადი კაპიტალით. მაგრამ, რევოლუციის შემდეგ, საბჭოთა მთავრობამ გააუქმა ყველა ის კონცესიები, რომელიც ირანელების მიერ რუსი ქვეშევრდომებისადმი იყო მიცემული ცარიზმის დროს.

აკაკი ხოშტარიამ დააარსა, აგრეთვე, თეირანის რუსულ-ირანული ბანკი და კომერციული სახლი - „რუპეტო”. 1926 წელს ორივე ორგანიზაცია ხელში ჩაიგდო საბჭოთა მთავრობამ.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ქონებისა, აკაკის ირანში ჰქონდა საკუთარი რკინიგზა მატარებლებით, მონოპოლია ხე-ტყის, საპნის, ბრინჯის წარმოებაზე, თევზის სარეწები, ვაჭრობდა მატყლით ინგლისელებთან და, რაც მთავარია, იყო ჩრდილოეთ ირანის ნავთობის კონცესიებისა და მთელი ამ ტერიტორიის მიწების კერძო

მფლობელი, რომელიც მან შეისყიდა მოჰამედ ალი-შაჰის პირველი მინისტრის, სპასალარის, პროვინცია გილანის მმართველ მოჰამედ ვალი ხანისგან. მის ხელში იყო კასპიისპირა ქალაქ ენზელის ელექტროფიკაციაც, სადაც სერიოზულ კონკურენციას უწევდა ინგლისელებსა და ამერიკელებს.

აკაკი ხოშტარიას მიერ დაარსებულმა კომპანიებმა და თურქულ-სპარსულმა „ხოშტარიას ბანკმა" ურთულესი სავაჭრო კომბინაციებით მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების სავაჭრო წრეები დააინტერესა. მისი პიროვნების როლი სცილდება ჩვეულებრივი ნიჭიერი და წარმატებული მეწარმის მასშტაბებს. ის, საერთოდ, XX საუკუნის პირველი მესამედის ერთ-ერთ თვალსაჩინო ფიგურად გვევლინება.

აკაკი ხოშტარია საქართველოს ანექსიის შემდეგ ყველანაირად ცდილობდა დახმარებოდა ეკონომიკურად დაუძლურებულ სამშობლოს. სწორედ ამიტომ მას არ უნდოდა ურთიერთობის გამწვავება საბჭოთა რუსეთთან. 20-იანი წლების შიმშილობის დროს კომუნისტების თხოვნით მან დააარსა კომპანია "საბჭოთა კავშირი და ხოშტარია". ის საკუთარი სახსრებით პურს ირანში ყიდულობდა და ბაქოში გზავნიდა, აქედან კი "ხოშტარიას პური" სხვა ქვეყნებში ნაწილდებოდა. საბოლოოდ, კომუნისტებმა შეპირებული თანხა არ გადაურიცხეს და საერთაშორისო მასშტაბის სკანდალის თავიდან ასაცილებლად, მისი დაპატიმრება გადაწყვიტეს. აკაკიმ გაქცევა მოასწრო, რადგან ბაქოში მიიღო ბუდუ მდივნის საიდუმლო დეპეშა – წადი, თორემ დაგიჭერენო. ისიც, სასწრაფოდ გემით გაემგზავრა და ასე გადარჩა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი გამორჩეული ყურადღება და მზრუნველობა მასთან დახმარებისთვის მისული ადამიანების მიმართ, ქველმოქმედება და მეცენატობა. აკაკი ნამდვილ მამობრივ მზრუნველობას უწევდა ქართველ ახალგაზრდობას, ვისაც განათლების მიღების სურვილი ჰქონდა და საამისოდ ეკონომიკური საშუალება არ გააჩნდა. მის პირად ხარჯზე

საზღვარგარეთ სწავლობდნენ ქართველი სტუდენტები, მათგან ბევრი მოგვიანებით ცნობილი მეცნიერი გახდა. მაგ.: სერგი დანელია, მათე მირიანაშვილი, მიხ. საბახტარაშვილი ცნობილი ინჟინრები: ჟორჟიკა კეშელავა, კუჭი ალანია, ძმები მელიები და ბევრი სხვ.

მანვე ნიკო ნიკოლაძის ინიციატივითა და საკუთარი ხარჯებით გაიყვანა რკინიგზა ფოთსა და აბაშას შორის. საქართველოში ახლად შექმნილ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ბაქოდან გამოუგზავნა რვა ათასი მანეთი. საფრანგეთში შეიძინა ლადო გუდიაშვილისა და ცნობილი კუბისტის, ანდრე ლოტის სურათები და საჩუქრად გადმოუგზავნა საქართველოს ხელოვნების მუზეუმს.

1918 წელს თბილისელმა ქართველობამ სპარსეთში მყოფ აკაკის შეატყობინა, რომ საჯარო აუქციონით უნდა გაყიდულიყო ცნობილი ქართველი კაპიტალისტისა და საზოგადო მოღვაწის დავით - სარაჯიშვილის საცხოვრებელი სახლი სერგეევის (ამჟამად მაჩაბელის) ქუჩაზე და სთხოვა შეეძინა იგი. ეროვნული ინტერესების შესაბამისად ქართველებს სურდათ, რომ აღნიშნული შენობა, რომელიც თავისი ისტორიითა და არქიტექტურული მნიშვნელობით დიდ ფასეულობას წარმოადგენდა, ქართველების ხელშივე დარჩენილიყო. მართლაც, იმავე წელს აკაკი ჩამოვიდა თბილისში და შეისყიდა ეს სახლი. ახალი, ძვირფასი ნივთებით გაწყობილ სასახლეში 1919 წელს მან დიდი ბანკეტი გადაიხადა, სადაც თავი მოუყარა მაშინდელ მოწინავე ქართულ საზოგადოებას. ამ ბანკეტს სასახლის წინ, ქუჩაში იცავდა ქალაქის ჟანდარმერიის უფროსი აპოლონ ურუშაძე.

დავით სარაჯიშვილი. დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი დაიბადა 1848 წლის 28 ოქტომბერს თბილისში. დაწყებითი განათლება სახლში მიიღო. ანბანის სწავლისა და სათანადოდ აღზრდის შემდეგ ფრანგი ჰაკეს კერძო პანსიონში მიაბარეს. 1866 წელს თბილისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ,

სწავლა პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე განაგრძო, ერთი წლის შემდეგ კი გერმანიაში გაემგზავრა, სადაც ლექციებს ჯერ მიუნხენის, ხოლო შემდეგ ჰაიდელბერგის უნივერსიტეტებში ისმენდა. 1871 წელს დაამთავრა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტი და ქიმიისა და ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი მიიღო. 1878 წლამდე ის სოფლის მეურნეობის მეცნიერებებს თეორიულად და პრაქტიკულად ჰოჰენჰაიმში სწავლობდა. 1878 წელს გაემგზავრა საფრანგეთში, სადაც ფუნდამენტურად შეისწავლა მეღვინეობის ტექნოლოგიის ყველა სახე, განსაკუთრებით ღრმად – კონიაკისა და მაგარი სასმელების დამზადების ტექნოლოგია.

საფრანგეთში ყოფნისას იგი დიდად დაინტერესდა კონიაკის წარმოებით. კონიაკის ტექნოლოგიის თეორიული და პრაქტიკული საკითხების ღრმად ცოდნამ დავით სარაჯიშვილს საფუძველი მისცა გაბედულად გადაედგა ნაბიჯი საქართველოში კონიაკის წარმოების შექმნის გზაზე. სამშობლოში დაბრუნებისთანავე ხელი მოჰკიდა სპირტისა და არაყის წარმოების ჩამოყალიბებას, რითაც მოამზადა პირობები კონიაკის წარმოების დაწყებისთვის. მაგრამ ყველა ზემოჩამოთვლილი ცდა უშედეგოდ რჩებოდა პრიმიტიულობისა და ტექნიკური ჩამორჩენილობის გამო. აღსანიშნავია, რომ რუსეთის სამრეწველო ბაზარზე ბატონობდა უცხოური, ძირითადად ფრანგული კონიაკი, ამიტომ ადგილობრივი პროდუქცია ვერ უძლებდა საქვეყნოდ ცნობილი კონიაკების კონკურენციას და მათი წარმოება უქმდებოდა.

1888 წლიდან დავით სარაჯიშვილის ქარხანაში მუშაობდა შვეიცარული სპირტსახდელი აპარატი. სარაჯიშვილის ხელმძღვანელობით 1889 წელს ყიზლარში ამუშავდა კონიაკის სპირტსახდელი ქარხანა, სადაც ყოველ-წლიურად 100-150 ათასი გრადუსი კონიაკის სპირტი იხდებოდა.

შემდეგ მწყობრში ჩადგა მოლდავეთისა და აზერბაიჯანის კონიაკის სპირტსახდელი ქარხნები. ჩამოთვლილი ადგილებიდან მიღებული სპირტები მოჰქონდათ თბილისის ცენტრალურ საწყობში, სადაც დამწიფება-დაძველების შემდეგ ამზადებდნენ კონიაკს.

სამარკო კონიაკის დასამზადებლად, სპირტი ძირითადად შემოჰქონდათ საფრანგეთიდან და პროდუქცია გამოდიოდა კავკასიის ნატურალური კონიაკების სახელწოდებით.

უკვე 1895 წლიდან დავით სარაჯიშვილის 1, 2, 3, 4 ვარსკვლავიანი კონიაკები რუსული კონიაკის" სახელწოდებით დიდი პოპულარობით სარგებლობდა მოსკოვში, პეტერბურგში და რუსეთის იმპერიის სხვა ქალაქებში. სარაჯიშვილის კონიაკი უცხოურზე უფრო იაფი ღირდა. 1898 წელს სარაჯიშვილი თხოვნით მიმართავს დეპარტამენტს - დართონ ნება, რათა რუსეთის იმპერიის ბაზარზე გაეტანა 50-მდე დასახელების ალკოჰოლური სასმელი: კონიაკი, არაყი, რომი და სხვა. სარაჯიშვილს ნება დაერთო, ხოლო სოლომონოვსა და ხუბლაროვს აეკრძალათ თავიანთი პროდუქციის ბაზარზე გატანა დაბალი ხარისხის გამო.

სარაჯიშვილის ფირმისთვის ღვინომასალები შემოჰქონდათ სხვადასხვა რაიონიდან, თბილისში კი მას საკონიაკე სპირტიდან ხდიდნენ, მაგრამ შორი რაიონებიდან ღვინომასალების თბილისში ჩამოტანა არ იყო მომგებიანი, ამიტომ 1895 წელს კონიაკის ქარხანა გადაეცა კონიაკის ცენტრალურ საწყობს თბილისში, სხვადასხვა რაიონში კი მუშაობა დაიწყეს ახალმა ქარხნებმა: ერევანში (1894 წ.), ყარაღაჯში (ბესარაბია, 1895წ.), ბარგუშეთსა და გოქჩაში (ბაქოს გუბერნია, 1901 წ.), ტარუმო-ვკაში (თერგის ოლქი, 1908 წ.), ელიზავეტპოლში (1915 წ.), ფრანკეს ყოფილ ქარხანაში.

ზემოაღნიშნული ქარხნები, საკუთარი პროდუქციის გარდა, სპეციალური პირებისა და აგენტების საშუალებით იძენდნენ როგორც ღვინომასალებს, ისე ხარისხოვან საკონიაკე სპირტს კერძო მწარმოებლებისგან. 1891 წელს სარაჯიშვილის ფირმის მიერ

გამოშვებული იყო 107 ათასი ბოთლი კონიაკი, 1900 წლისთვის პროდუქციამ 218 200 ბოთლს მიაღწია. ეს ციფრები მეტყველებენ სარაჯიშვილის კონიაკის წარმოების მზარდ ტემპებზე.

სარაჯიშვილის ფირმა უშვებდა არა მარტო კონიაკს, არამედ სხვა ტიპის სპირტიან სასმელებსაც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონიაკის ქარხნის გარდა 1889 წელს დავით სარაჯიშვილის ინიციატივით თბილისში მწყობრში ჩადგა ლიქიორის ქარხანა.

სარაჯიშვილის ფირმის პროდუქცია იგზავნებოდა საზღვარგარეთაც: პარიზში, ლონდონში, ბერლინში, ვენაში, ჟენევაში, თავრიზში. კონსტანტინეპოლსა და ევროპისა და აზიის სხვა ქალაქებში, სადაც მაღალ შეფასებას აძლევდნენ ამ ნაწარმს.

სარაჯიშვილის ფირმის პროდუქცია საზღვარგარეთ გაჰქონდათ რუსეთის ცნობილ მეწარმეებს _ დეპრეს, არაბაჯს, სმირნოვს, ვოლბრუკსა და სხვ. დავით სარაჯიშვილის ფირმა აერთიანებდა 5 სარექტიფიკაციო, ერთი არყის, ერთი ლიქიორის, 7 კონიაკის ქარხნებს, მრავალრიცხოვან საწყობებს თბილისში, მოსკოვში, პეტერბურგში, კიევში, ვარშავაში, ბაქოში, რიგაში, ვლადიკავკაზში, ოდესაში, ფეოდოსიაში, პეტროვსკში, ჩარჯოუსა და რუსეთის იმპერიის სხვა ქალაქებში.

სარაჯიშვილის ალკოჰოლურმა სასმელებმა დაიმსახურეს 11 მედალი (6 ოქროს, 4 ვერცხლის და ერთი ბრინჯაოსი) და ერთი დიპლომი (ოქროს მედალზე). ეს ჯილდოები კონიაკებსა და ლიქიორებს მიღებული ჰქონდათ ამიერკავკასიის, სრულიად რუსეთისა და მსოფლიო გამოფენებზე თბილისში, ნიჟნი ნოვგოროდში, ოდესაში, კიევში, პარიზში, პეტერბურგსა და ჩიკაგოში.

1902 წელს სპირტიანი სასმელების წარმოების განვითარებაში დიდი დამსახურებისთვის დავით სარაჯიშვილს მიენიჭა “კომერციის მრჩევლის” წოდება. 1913 წელს სარაჯიშვილის ფირმას

მიენიჭა ოფიციალური სახელწოდება: „ Поставщик двора его Императорского Величества“.

სავაჭრო ურთიერთობა რუსეთთან რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და სამოქალაქო ომის დაწყებასთან ერთად შეწყდა. სარაჯიშვილის ფირმა გაჭირვებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. დაახლოებით 1920 წელს ფირმა “დ. ზ. სარაჯევი” დროებით დაიხურა და მხოლოდ 3-4 წლის შემდეგ, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განაახლა მუშაობა.

სარაჯიშვილის ქარხნის ბაზაზე შეიქმნა თბილისის კონიაკის ქარხანა, რომელიც დღემდე ითვლება საქართველოში ერთ-ერთ საუკეთესო საწარმოდ. სარაჯიშვილის დიდი დამსახურება ის არის, რომ იგი კონიაკისა და სპირტიანი სასმელების წარმოების წამოწყებაში ხედავდა არა მარტო ეკონომიკურ მოგებასა და მატერიალური დოვლათის დაგროვების წყაროს, არამედ კონიაკის წარმოების დაწყება მას დიდ საშვილიშვილო და საქვეყნო საქმედ მიაჩნდა.

სარაჯიშვილი ერთ-ერთ უმდიდრეს პიროვნებად ითვლებოდა მთელს კავკასიაში, მაგრამ მას მხოლოდ სიმდიდრის შეძენა არ ხიბლავდა, სიმდიდრე მხოლოდ პირადი ინტერესებისთვის არ მოუხვეჭია. დავითის ცხოვრებას ამშვენებდა სამშობლოს დიდი სიყვარული. იგი უძეო იყო, ამ დიდბუნებოვან ადამიანს ამის გამო თურმე ხშირად უთქვამს: - “რას მიქვია უშვილობა, განა ყველა ბავშვი მომავლის იმედად აღსაზრდელი, ქვეყნის საკეთილდღეოდ განსაწვრთნელი ჩემი შვილები არ არიანო.

გამოყენებული ლიტერატურა:

http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/00000552/
http://www.nplg.gov.ge/dict/index.php/

ქართული პროდუქციის მოცულობის ზრდის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე

The Influence of Increasing the Volume of Georgian Products on the Company's Financial Position

ტარიელ (ტატო) ჯოხაძე - ბიზნესის მართვის ფაკულტეტი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
t.semumashvili@gmail.com
ლუკა ლორთქიფანიძე - ბიზნესის მართვის ფაკულტეტი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
l.lortkipanidze@mail.com
თორნიკე სელუმაშვილი - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
ბიზნესის მართვის ფაკულტეტი,
t.semumashvili@gmail.com

Tariel Jokhadze – Undergraduate student,
Georgian National University, Master
v.jashiashvili@gmail.com
Luka Lortkipanidze – Undergraduate student,
Georgian National University
l.lortkipanidze@mail.com
Tornike Selumashvili - Undergraduate student,
Georgian National University
t.semumashvili@gmail.com

კომპანიის შესახებ: სს „ნიკორა“ ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული, ხარისხით გამორჩეული კვების ობიექტია საქართველოში, რომელიც დაარსდა 1998 წელს, მალევე დაიმკვიდრა ლიდერის პოზიცია და ის დღემდე ძალიან მოთხოვნად სავაჭრო ობიექტს წარმოადგენს. თავდაპირველად ''ნიკორა'' მხოლოდ ხორცპროდუქტების გამოშვებით გავიდა ბაზარზე, თუმცა 1999 წლიდან 2018 წლამდე მან მოახერხა მასშტაბურ ბაზარზე გასვლა, სადაც იმპორტიორ ქვეყნებსა და მოქმედ სავაჭრო ობიექტებს ერთი ბრენდის ქვეშ აერთიანებს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ ხნის განმავლობაში მან ძალიან ბევრი ნომინაცია მიიღო სხვადასხვა კატეგორიაში, ისეთებში როგორიცაა: „წლის რეპუტაცია და ნდობა“, „ოქროს ბრენდი 2005“ ის ტიტული, მისი 2007 წელს ‘’ლიდერ კომპანიად’’ დასახელება,ასევე ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია, ის რომ ‘’ნიკორას’’ სპონსორობით მოხდა ქართული პროდუქციის ელექტრონული კატალოგის შექმნა. ამის გარდა კომპანიაში არსებობს თანამედროვე მიკრობიოლოგიური ლაბორატორია, რომელიც ამოწმებს ყოველდღიურად წარმოებული პროდუქციის ხარისხს.

„**ნიკორა**“ 200 მდე დასახელების პროდუქტს აწარმოებს, როგორც ქართულ ასევე სხვადასხვა ქვეყნიდან შემოღებულს, კომპანიის ფინანსური შედეგების მიხედვით, თუ ვიმსჯელებთ, მისი აქტუალობა ქართულ ბაზარზე საკმაოდ მაღალია და მოთხოვნადი, მისი ხარისხის სანდოობაში გვაწრმუნებს მილიონობით მომხარებლის არსებობა, რომელიც მის საკმაოდ მყარ ფინანსურ მდგომარეობაზე ისახება და რომელიც ჩვენამდე ცნობილია,“ნიკორას“ მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური მაჩვენებლით.

საკვლევი კითხვა/ჰიპოთეზა: რამდენად გაყიდვადი/ მოთხოვნადია ქართული პროდუქტი სუპერმარკეტებში. ‘’ნიკორა’’ როგორც ერთ-ერთი უმსხვილესი ქართული სავაჭრო ობიექტი, ემხრობა საქართველოში წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაციას, ჩვენთვის ცნობილია, რომ კომპანიის სპონსპრობით შეიქმნა ქართული პროდუქციის ელექტრონული კატალოგი.

მიზანი: „ნიკორას“ ფინანსური შედეგების მიხედვით მისი მოთხოვნადობა ქართულ ბაზარზე საკმაოდ მაღალია, თუმცა ჩვენი კვლევის მიზანია, დადგინდეს რამდენად ხშირად ყიდულობენ მომხმარებლები ქართული პროდუქციას, ასევე რა ფაქტორები

ახდენს ზეგავლენას ქართული პროდუქციის მოთხოვნას სუპერმარკეტთა ქსელებში.

ბაზრის მიმოხილვა: დღესდღეობით ბაზარზე უამრავი კომპანია ცდილობს ადგილის დამკვიდრებას და ლიდერობის შენარჩუნებას, თუმცა ამ ეტაპზე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნიკორა 14 წლის განმავლობაში ადგილობრივი საკვები პროდუქტის „ბაზრის ლიდერია“. იყო დრო ,როცა ქართული პროდუქტი უხარისხობასთან ასოცირდებოდა, თუმცა ამ სტერეოტიპის დამსხვრევა „ნიკორამ“ შეძლო, ის 20 წელია ბაზარზე ოპერირებს და ყოველწლიურად მუშაობს ტექნოლოგიების დახვეწაზე და სტაბილურად მაღალი ხარისხის შენარჩუნებას ახერხებს. კომპანია, მართალია, ანხორციელებს ექსპორტ-იმპორტს, ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა აშშ და ევროკავშირის ქვეყნები, თუმცა ბაზარზე პოპულარიზაციას არ კარგავს ქართული წარმოების პროდუქტები, რომელიც აქტიურადაა გაყიდვაში, უცხოური წარმოების პროდუქტებთან ერთად.



აღსანიშნავია, ისიც რომ კომპანია ნედლელულით მომარაგებას თავად უზრუნველყოფს, საკუთარი საწარმოებით და შემდეგ ავტორიტარულ ქარხნებთან თანამშრომლობს, რომლებიც

ამარაგებენ ევროკავშირის ქვეყნებს. ამასთანავე, არსებობს ''ნიკორა ტრეიდი'', რომელიც ''ნიკორას'' ჰოლდინგში ერთიანდება. მნიშვნელოვანია, იმით რომ ქართულ ბაზარზე ალკოჰოლური და არაალკოჰოლური სასმელების იმპორტითაა დაკავებული, რითაც საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში, ღირსეული ადგილი უჭირავს.

დიაგრამაზე მოცემულია, ''ნიკორა ტრეიდის'' საერთო მოგების მაჩვენებელი, 2015 წლისს ჩათვლით, რომელიც თითქმის სტაბილურად მოდის 2011-2015 წლებში.

	2014A	2015A	2016F	2017F	2018F
შემოსავლები (მილიონი ლარი)	**162**	**252**	**295**	**310**	**319**
ნიკორა ტრეიდი	99	162	247	260	268
ნუგეში	-	45	-	-	-
ხორცპროდუქტების წარმოება	56	58	66	70	72
ინტრეიდი	6	9	11	11	12
ოკეანე	7	8	9	10	10
ფერმერი	3	2	3	3	3
მულტიტრეიდი	32	25	25	26	27
სხვა კომპანიები (მინუს ჯგუფის შიდა ტრანზაქციები)	(42)	(56)	(66)	(70)	(72)

ხოლო ზედა დიაგრამზე, ნაჩვენებია, ის შემოსავალი (მილიონი ლარი), რომელიც ''ნიკორა ტრეიდმა'' მოუტანა კომპანიას, მას მუდმივად ლიდერული პოზიცია უჭირავს სხვებთან შედარებით.

სუპერმარკეტი	ხმების რაოდენობა	პროცენტული რაოდენობა
გუდვილი	177	14%
სპარი	18	1%
კარფური	288	23%
ნიკორა, ნუგეში	262	21%
ორი ნაბიჯი	78	6%
ფრესკო	158	13%
სმარტი	126	10%
ფუდმარტი, იოლი	23	2%
ფურშეტი	50	4%
სხვა	85	7%

კონკურენტების ანალიზი: დღესდღეობით, საქართველოში ძალიან ბევრი სუპერმარკეტთა ქსელი არსებობს, ერთადერთი, რომელიც ''ნიკორას'' ღირსეულ კონკურენციას უწევს ეს არის ''კარფური'', რომელიც რეალურ კონკურენციას უწევს მას და ''ნიკორასთან'' ერთად ჰიპერმარკეტებისა და სუპერმარკეტების ერთ-ერთი უმსხვილესი ქსელია. გვაჩვენებს, პროცენტულ მაჩვენებლებს, ხმების რაოდენობის მიხედვით, სადაც ლიდერპოზიციაზე დგას, ეს ორი უმსხვილესი კომპანია. 2019 წლის, მონაცემებით, რომელიც ''ნიკორას'' ოფიციალურ გვერდზეა მოცემული, თანაბარ პირობებშია საცალო სასურსათო ბაზრის მთლიანი სურათი, სადაც როგორც, ვხედავთ ''ნიკორა ტრეიდი'' და „კარფური" თანაბარ პროცენრულ მაჩვენებლებს გვთავაზობენ.



წყარო: ნიკორას კვლევის შედეგები

დიაგრამაზე, სწორედ მოცემულია ის, მონაცემები,(2015 წლის) რომლებიც

SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	შესაძლებლობები
.ხარისხიანი პროდუქცია .პროდუქციის მრავალფეროვნება .მაღალი სარეპუტაციო მარკა .საზოგადოებასთან მუდმივი ურთიერთობის რეჟიმი .დასაქმებულთა რაოდენობა .სავაჭრო ობიექტების სიმრავლე .საკუთარი წარმოები ხაზი .თანამედროვე მიკრობიოლოგიური ლაბორატორია	.უცხოურ ბაზრებზე გასვლა .ახალი მონათესავე ბიზნესის შეძენა .ქსელის გაფართოება .პროდუქციის გამრავალფეროვნება
სუსტი მხარეები	**საშიშროებები**
.მაღალი ფასები გარკვეულ პროდუქციაზე	.შიდა და უცხოური კონკურენციის გაზრდა .მომხმარებლის გემოვნების ცვლილება .ლარის კურსის დევალვაცია

კვლევის დიზაინი: ჩვენი კვლევა ტარდება სტრუქტურირებული მეთოდით, რომელიც გულისხმობს ინტერვიუერის მიერ ადმინისტრირებადი კითხვების გამოყენებას, სადაც რესპოდენტს შეუძლია დააფიქსიროს თავისი შეხედულება ინტერვიუერის მიერ წინასწარ განსაზღვრული კითხვების მეშვეობით, ჩვენს ინტერვიუში გამოკითხული იქნება დაახლოებით 200 დან 300 მდე ადამიანი, ინტერვიუ ჩატარდება, როგორც სოციალური ქსელის საშუალებით ასევე საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.

- გთხოვთ მიუთითოთ თქვენი ასაკობრივი შუალედი?
- რამდენად ხშირად სტუმრობთ სუპერმარკეტებს?
- რა სიხშირით ყიდულობთ სუპერმარკეტებში ქართულ პროდუქციას?
- რომელს უფრო ანიჭებთ უპირატესობას იმპორტულს თუ ქართულს?
- კმაყოფილი ხართ თუ არა ქართული პროდუქტის ხარისხით?
- რომელ პროდუქციას ანიჭებთ უპირატესობას ქართულს თუ იმპორტულს? რატომ?
- თქვენი აზრით რა განსხვავებაა იმპორტულსა და ქართულ პროდუქციას შორის?

რეკომენდაცია: 2019 წლის დეკემბრის თვეში ჩენ ჩავატარეთ კვლევა. ჩვენი კვლევის მიზანი იყო დაგვედგინა მომხმარებლის აზრი იმასთნ დაკავშრებით თუ რომელ პროდუქტს ანიჭებენ

უპირატესობას ქართულს თუ იმპორტულს და რა გავლენას ახდენს ქართული პროდუქციის მოცულობის ზრდა კონპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე

კვლევის შედეგად დადგინა რომ სოციალური ქსელის მეშვეობით გამოკითხულთა უმრავლესობა, ანუ 38.9% ორივეზე აკეთებს არჩვანს, ხოლო 37.6% ქართულს პროდუქტს, დანარჩენი 23.6% კი იმპორტულს, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც რომ გამოკითხულთა უმრავლესობა 30-ზე ნაკლები ასაკის იყვნენ. ჩენ სოციალური ქსელის გამოკითხვის გარდა ასევე გამოკითხვა ჩავატარეთ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებშიც, სადაც ღია კითხვების საშუალებით გამოვიკითხეთ 30 წელს გადაცილებული ადამიანები, რომლებიც უფორ მეტად ქართულ პროდუქტს ანიჭებდნენ უპირატესოობას და თვლიდნენ რომ ის უფრო ხარისხიანია ვიდრე იმპორტული საქონელი, ასევე მათ არჩევანზე გავლენას ახდენდა განსხვავება ფასში, ხარისხსა და სანდოობაში.

გამოკითხვის შედეგების მიხედვით დადგინდა, რომ დღესდღეობით მოსახლეობის უმრავლესობა მაინც ქართულ პროდუქტს ანიჭებს უპირატესობას, თუმცა ქართული პროდუქტის პოპულარიზაციისთვის საჭიროა უფრო მეტად ჩავანაცვლოთ იმპორტული საქონელი ქართული პროდუქტებით და რაც შეიძლება გავზარდოთ მოთხოვნა სხვადასხვა აქციებით თუ რეკლამებით.

იმისათვის რომ ქართული პროდუქციით მეტი ადამიანი დაინტერესდეს საჭიროა სოფლის მეურნეობის განვითარება ასევე საჭიროა ტექნოლოგიური განვითარებაც რათა ქართული პროდუქცია გახდეს მეტად სანდო და მოთხოვნადი არამხოლოდ საქართველოში არამედ ქვეყნის ფარგლებს გარეთაც.

არაეფექტური მენეჯმენტის მიზეზები და შედეგები თანამედროვე ბიზნეს ორგანიზაციებში
Causes and consequences of ineffective management in modern business organizations

ილია ჭიკაიძე - ბიზნესის ფაკულტეტი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის
i.chikaifdze@mail.com

Ilia Chikaidze - Faculty of Business,
National University of Georgia
i.chikaifdze@mail.com

აბსტრაქტი: დღეს მენეჯმენტი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს თითოეული კომპანიის წარმატებაში. მენეჯმენტმა თავისი არსებობის განმავლობაში, სწორედ ახლა მიაღწია მნიშვნელობის მწვერვალს. თითოეული კომპანია ცდილობს თავისი მენეჯმენტი ძლიერი კადრებით დააკომპლექტოს, რადგან დღეს წარმატების გასაღები სწორედ მენეჯმენტშია. ისეთი დიდი კომპანიები როგორიც არიან: Google; Samsung; Apple; Microsoft და ა.ს.შ. მაქსიმალურად დიდ ყურადღებას უთმობენ სწორედ მენეჯმენტს. მაგრამ არსებობს შემთხვევები, როდესაც კომპანიის წარუმატებლობის მთავარი მიზეზი სწორედ, რომ მენეჯმენტი ხდება. მენეჯერის თითოეული არაეფექტური ქმედება, შეიძლება ის კონკრეტულ მომეტში არც წამგებიანი იყოს და არც მომგებიანი, ანუ არაფრის მომცემი, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ის აუცილებლად დიდ ზიანს მიაყენებს კომპანიას.
არაერთი კვლევა, რომელიც კომპანიაში მენეჯერის როლსა და მის გავლენაზეა დაფუძნებული აჩვენებს თუ რამდენად ხშირია ასეთი ფაქტები. კვლევის მეთოდებისათვის გამოყენებულია, როგორც კითხვარების შევსება ასევე უშუალო ინტერვიუ მენეჯერებთან, თანამშრომლებთან და მათი შედეგების შედარება. ამ შედარებით კი

გაგება იმისა, თუ რამდენად დიდია კონტრასტი მენეჯერის მიერ აღქმულ კომპანიას, თანამშრომლებსა და რეალობას შორის.
სტატიაში განვიხილავ საქართველოში მოღვაწე მცირე და საშუალო კომპანიებს და ასევე რამდენიმე დიდ კომპანიას როგორიც მაგალითად TBC ბანკია და ვეცდები შემოგთავაზოთ არაეფექტური მენეჯმენტის ილუსტრაცია.

Abstract: Today, management plays one of the most important roles in the success of each company. Management has reached its peak of importance right now. Each company strives to make its management staff strong, as the key to success today is management. Great companies like Google; Samsung; Apple; Microsoft and US The utmost attention is paid to management. But there are cases where the main reason for a company failure is that management is done. Any manager's ineffective actions may be unprofitable at a particular point in time or profitable, but in the long run it will inevitably do a great deal of damage to the company. Many of my studies, based on the role of the manager in the company and its impact, show how common such facts are. Survey methods are used to fill out questionnaires as well as direct interviews with managers, employees and compare their results. Understanding this is how much contrast there is between a manager's perceived company, employees and reality. In this article I will discuss SMEs in Georgia as well as some large companies such as TBC Bank and I will try to provide an illustration of ineffective management.

გაოყენებული ლიტერატურის ნუსხა:

1. Nicole Riley - Causes and Consequences of an Ineffective Manager. 2017
2. Megan Parks - The Cause and Effect of Poor Leadership 2017
3. Thomas Junod - How an IMD organizational learning program helped establish the UEFA Academy (Organizational Learning in Action (OLA). 2019

თამარ მაღრაძე - ბიზნესის მართვის საფუძვლები,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

Tamar Magradze - Fundamentals of Business Management,
Georgian national university

აბსტრაქტი: საქართველოში არსებული საპენსიო სისტემა, მიმდინარე დემოგრაფიული დაბერების ფონზე, გარკვეულწილად ნაკლოვანია სამომავლო პერსპექტივაში, რაც ამ სისტემის ცვლილების აუცილებლობაზე მიუთითებს. შემუშავებულია საპენსიო სისტემის რეფორმირების კონცეფცია. კვლევის მიზანია დავადგინოთ რამდენად პოზიტიური მოლოდინები არსებობს ქართულ საზოგადოებრივ სივრცეში საპენსიო სისტემის რეფორმირების თვალსაზრისით ან რამდენად არის საზოგადოება მზად ამგვარი ცვლილებისთვის.

Abstract: Pension system is one of the most important parts of state's social policy. In Georgia population is ageing and the share of pensioners in total population is going to rise significantly. Therefore, the pressure on state budget will rise and it will be much difficult to provide pensions that are sufficient to protect elderly people against the risk of poverty. That is why the issue of pension system reform in Georgia is becoming more relevant.

შესავალი: მსოფლიოს წარმატებულ ქვეყანათა უმრავლესობის ერთ-ერთი მიზანი, რომელიც ამ ქვეყნების პოლიტიკურ დღის წესრიგში მოწინავე ადგილს იკავებს, არის მოქალაქეთა სოციალური დაცვა. თითქმის ყველა დემოკრატიული თუ დემოკრატიზაციის პროცესში მყოფი ქვეყანა აღიარებს ადამიანთა სოციალურ უფლებებს და შესაბამისად აქტიურად იღწვის ამ უფლებების გაფართოებისა და დაცვისთვის. სოციალური დაცვის სისტემაზე საუბრისას არ შეიძლება არ განვიხილოთ საპენსიო დაზღვევის სისტემა, რომელიც არამარტო სოციალური დაცვის სისტემისთვის, არამედ მთლიანად ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს რგოლს წარმოადგენს, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეებისთვის ღირსეული ცხოვრების შექმნასა ან არსებულის შენარჩუნებას.

საპენსიო სისტემაზე აქტიური მსჯელობა კიდევ უფრო აქტუალური გახდა მოსახლეობის დაბერების პროცესის გამწვავების შედეგად. მსოფლიო ბანკის

1994 წლის ანგარიშის მიხედვით, მოსახლეობაში პენსიონერთა ოდენობის ზრდამ შესაძლებელია გამოიწვიოს ფართოდ გავრცელებული საპენსიო სისტემის, კერძოდ, სახელმწიფო გადანაწილებითი საპენსიო სისტემის კრახი [1]. სახელმწიფო იძულებული იქნება გაზარდოს სოციალური დანახარჯები, რაც მის ეკონომიკურ კრიზისს შეუწყობს ხელს. ამ მხრივ, ერთ-ერთი გამოსავალია დაგროვებითი საპენსიო დაზღვევის მექანიზმის შემუშავება, ხოლო, სახელმწიფო გადანაწილებითი საპენსიო სისტემა დამატებითი ბერკეტი იქნება სიღარიბის წინააღმდეგ. [1]

საპენსიო სისტემის სამი მთავარი მოდელი არსებობს: სოლიდარულ პრინციპზე დამყარებული მოდელი, დაგროვებით პრინციპზე დამყარებული მოდელი და შერეულ პრინციპზე დამყარებული მოდელი. საპენსიო სისტემის სოლიდარულ პრინციპზე დამყარებული მოდელი გულისხმობს საპენსიო გასაცემლის დაფინანსებას შრომისუნარიანი მოსახლეობის გადახდების (სადაზღვევო შენატანები, გადასახადები) გზით. ამ მოდელის კიდევ ერთ-ერთ ტიპად შეგვიძლია ჩავთვალოთ, როდესაც სახელმწიფო პირდაპირი გზით, ბიუჯეტიდან აფინანსებს საპენსიო გასაცემელს. საპენსიო უზრუნველყოფის დაგროვებით პრინციპზე დამყარებული მოდელი გულისხმობს პენსიის დაგროვების ინდივიდუალურ ხასიათს, პენსიის ოდენობა ამ შემთხვევაში დამოკიდებულია საპენსიო შენატანის სიდიდესა და საპენსიო ფონდის მიერ განხორციელებულ საინვესტიციო მოგებაზე. შერეულ პრინციპზე დამყარებული მოდელი გულისხმობს გარკვეულ ბალანსს სოლიდარულ და დაგროვებით სისტემასთან მიმართებაში და საპენსიო უზრუნველყოფის სიტემაში სახელმწიფო და კერძო სექტორის ერთობლივ თანაარსებობას. [2, 11]

მსოფლიოში მიღებულია საპენსიო სისტემის სვეტებად (ქვესისტემებად) დაყოფა, სულ არის სამი სვეტი:

პირველი (პილარი) სვეტი – სახელმწიფო გადანაწილებითი პენსია, სოციალური პენსია.

მეორე და მესამე (პილარი) სვეტი – იმ ქვეყნებში, სადაც დაგროვებითი პენსია სავალდებულოა, მეორე სვეტი წარმოადგენს სავალდებულო

დაგროვებით პენსიას, ხოლო, მესამე – კერძო ნებაყოფლობითს. ხოლო იქ, სადაც დაგროვებითი პენსია არ არის სავალდებულო, მეორე სვეტი მოიცავს პროფესიულ საპენსიო სქემებს, ხოლო მესამე – კერძო ინდივიდუალურ საპენსიო სქემებს. შეიძლება ითქვას, რომ დაგროვებითი საპენსიო სისტემა ორი თვალსაზრისით არის სასურველი.

პირველი არის ის, რომ დემოგრაფიული დაბერების პროცესის გამო იზრდება პენსიონერთა რიცხვი, ხოლო შრომისუნარიანი მოსახლეობა მცირდება. დემოგრაფიული დაბერების პროცესი აქტუალურია საქართველოშიც. კერძოდ, 2010 წელს 4.4 მილიონი ადამიანიდან 14%-ზე მეტი 65 წლის და მეტის იყო, ხოლო ერთი მესამედი _ 50 წლის და მეტის. მოსალოდნელია, რომ 2030 წლისთვის 65 წელს გადაცილებული მოსახლეობის მაჩვენებელი 21%-მდე გაიზარდოს, ხოლო 50 წლის და მეტის – 40%-მდე. პროგნოზის მიხედვით, 2019 წლის 1-ელი იანვრის მდგომარეობით, საქართველოში სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მაჩვენებელი 92.7-ს წარმოადგენდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველ 100 ქალზე 92.7 მამაკაცი მოდიოდა. აღსანიშნავია, რომ 35 წლამდე ასაკში

მამაკაცები ჭარბობდნენ ქალებს, ხოლო 35 წლის ასაკიდან ქალების რიცხოვნობა აღემატებოდა მამაკაცებისას, რაც გამოწვეულია მამაკაცებთან შედარებით ქალების უფრო მაღალი სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობით. 2018 წელს სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას შეადგენდა 74.0 წელს, მათ შორის მამაკაცებისათვის 69.7 წელს, ხოლო ქალებისათვის - 78.2 წელს. 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის მედიანური ასაკი 37 წელია. მეორე ფაქტორი ის არის, რომ რაც უფრო იზრდება პენსიონერთა რიცხვი და მცირდება შრომისუნარიან ადამიანთა რაოდენობა, მით იზრდება წნეხი გადასახადების გადამხდელებზე და სახელმწიფოზე. სახელმწიფო იძულებულია გაზარდოს სოციალური დანახარჯები, რაც სახელმწიფოს ზოგად ეკონომიკურ მდგომარეობაზე ნეგატიურად აისახება. დაგროვებითი საპენსიო სისტემა ზრდის მოქალაქეთა ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას და ამცირებს სახელმწიფოზე მუდმივ წნეხს.

ჩვენი ამოცანაა, გავიაზროთ დაგროვებითი საპენსიო დაზღვევა საქართველოს კონტექსტში და კვლევის შედეგად დავადგინოთ რამდენად პოზიტიური მოლოდინები არსებობს ქართულ საზოგადოებრივ სივრცეში

ამ სისტემის დამკვიდრების თვალსაზრისით ან რამდენად არის საზოგადოება მზად ამგვარი ცვლილებისთვის. კვლევის მასშტაბურობის შეუძლებლობა, რა თქმა უნდა, ხელს უშლის არსებული სურათის მთლიანად წარმოჩენას, მაგრამ გარკვეული წარმოდგენის შექმნის შესაძლებლობა ნამდვილად შეიძლება გვქონდეს.

მეთოდოლოგია: თვისობრივი კვლევის ფარგლებში განხორციელდა სიღრმისეული ინტერვიუ დარგის ექსპერტებთან. გარდა ამისა, განხორციელდა საპენსიო სისტემის რეფორმირებასთან დაკავშირებული პირველადი და მეორეული მონაცემების ანალიზი. რესპოდენტთა ასაკობრივი მოცემულობა განვსაზღვრეთ 18_დან 35 წლამდე, რომელიც კიდევ დავყავით ხუთ ასაკობრივ ჯგუფად: 18-19 წელი, 22-23 წელი, 24-25 წელი, 29-30 წელი და 34-35 წელი. თითოეული ასაკობრივი ჯგუფიდან შევარჩიე ორ-ორი რესპოდენტი, მთლიანობაში გამოვკითხეთ 10 რესპოდენტი. ეს ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ მონაცემები ყოფილიყო უფრო რეპრეზენტაციული და არა ერთგვაროვანი.
შევისწავლეთ პირველადი და მეორეული მონაცემები, სხვადასხვა სტატიები, კვლევები, სტატისტიკური მონაცემები, სამართლებრივი დოკუმენტები და ა.შ. ეს მეთოდი დაგვჭირდა იმისათვის, რომ ნაშრომში აგვესახა საქართველოში არსებული ზოგადი მდგომარეობა სოციალურ_პოლიტიკური თვალსაზრისით საპენსიო სისტემასთან მიმართებაში. გარდა ამისა, გავაანალიზეთ ეტონეთის მაგალითი, როგორც უცხო ქვეყნის გამოცდილება. ესტონეთი შეირჩა შემდეგი მიზეზების გამო:

ესტონეთი წარმოადგენს პოსტსაბჭოთა ქვეყანას, ისევე, როგორც საქართველო. შესაბამისად, სოციალურ-პოლიტიკური გამოცდილების თვალსაზრისით ბევრი საერთოს პოვნა შეიძლება, მაგალითად, საბჭოთა სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის სირთულეები;

1991 წლიდან, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ესტონეთში იწყება მოსახლეობის რაოდენობის შემცირება, შესაბამისად, ამ პერიოდისთვის მოსახლეობის დაბერება, ისეთივე აქტუალური იყო, როგორც საქართველოში;

1991_1994 წლებში ესტონეთში შეინიშნებოდა ჰიპერინფლაცია, რის წინაშეც საქართველო ამჟამად იმყოფება [5];

ესტონეთის მაგალითის ანალიზით, გვინდა უფრო ხელშესახები გავხადოთ ჩვენ მიერ დასმული საკითხის შესაძლებლობა, შესაბამისად, ესტონეთის შემთხვევა პარალელის გავლების შესაძლებლობას გვაძლევს საქართველოს სამომავლო პერსპექტივებთან და იმის განხილვა თუ როგორ შეძლო წარმატების მიღწევა ესტონეთმა სხვა და ამ შემთხვევაში საპენსიო სისტემის სრულყოფის თვალსაზრისით, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ჩვენთვის, როგორც ამ გზაზე ახლად შემდგარი სახელმწიფოსთვის.

ლიტერატურის მიმოხილვა: მსოფლიო ბანკის მიერ 1994 წელს გამოქვეყნებული ანგარიში ხაზს უსვამს, რომ სახელმწიფო გადანაწილებითი საპენსიო დაზღვევა საფრთხის შემცველია მიმდინარე დემოგრაფიული დაბერების პროცესის გამო და აუცილებლად უნდა შექმნილიყო დაგროვებითი საპენსიო სისტემა, რომელიც რისკებს მინიმუმამდე დაიყვანდა [1]. ზოგმა ექსპერტმა უარყოფითად შეაფასა ეს იდეა (Muller, 1999). მათი აზრით, მსგავსი სისტემა არათუ მოსალოდნელ რისკებს აქრობს, არამედ იგი ძალიან დიდ საფრთხეს შეიცავს მოსახლეობისათვის, რადგან ეკონომიკური კრიზისის დროს საინვესტიციო მოგება შეიძლება უარყოფითი იყოს და მომხმარებელმა დაკარგოს დანაზოგის დიდი ნაწილი. გარდა ამისა, განვითარებადი ქვეყნებისთვის, სადაც ეკონომიკა არც ისე მდგრადია, ეს პროცესი შესაძლებელია კიდევ უფრო ნეგატიური შედეგით დასრულდეს. ახალ სისტემაზე გადასვლამ შეიძლება გამოიწვიოს დეფიციტი საპენსიო სისტემაში, რადგან იმ შემთხვევაში, თუკი, შენატანების ნაწილი მიემართება მეორე სვეტში, პირველ სვეტს დააკლდება რესურსები და სახელმწიფოს მოუწევს დამატებითი საბიუჯეტო რესურსების მოძიება, რათა დაფაროს მიმდინარე საპენსიო ვალდებულებები. აღნიშნული პრობლემის წინაშე განვითარებადი ქვეყნები (მათ შორის საქართველო) დიდი ალბათობით შეიძლება დადგეს.
2014 წელს მსოფლიო ბანკის მიერ გამოცემული ანგარიში დაგროვებითი საპენსიო სისტემის შემოღების და მრავალსვეტიანი საპენსიო სისტემის აქტიური დანერგვის რეკომენდაციას იძლეოდა [1].

საქართველოში ბოლო დროს მნიშვნელოვნად შემცირდა შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა, რაც გამოწვეულია შობადობის შემცირებითა და მიგრაციით. უნდა ითქვას, რომ 2012 წლიდან ქვეყანაში მიგრაციის სალდო ძირითადად უარყოფითია [12].

ქვეყანაში დიდ პრობლემას წარმოადგენს ინფლაცია. მართალია პენსიის ოდენობა მიახლოვებულია საარსებო მინიმუმთან (ამჟამად პენსია შეადგენს 200 ლარს, ხოლო საარსებო მინიმუმი არის 170 ლარი), თუმცა, სახელმწიფო პენსია ინფლაციის მიმდინარე პროცესის ფონზე არ წარმოადგენს სიღარიბის აღმოფხვრისკენ მიმართულ ბერკეტს. საჭიროა პენსიის ინდექსაციის მექანიზმის შემუშავება. ბოლო წლებში საპენსიო ხარჯები მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2015 წელს საპენსიო სისტემის ხარჯმა 1.3 მილიარდ ლარს მიაღწია, რაც მშპ-ს 4.25%-ის ტოლფასია. აღნიშნული მძიმე ტვირთს წარმოადგენს სახელმწიფოს ეკონომიკისთვის. [6]

წელი	მიგრაციული სალდო
2013	-2.6
2014	-6.5
2015	-3.4
2016	-8.1

ცხრილი 1. მიგრაციული სალდო (ათასი კაცი) საქართველოში;
(წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური)

საქართველოს საპენსიო სისტემის რეფორმირება აუცილებელია შემდეგი ფაქტორების გამო: სოციალურ პენსიას არ შეუძლია მაღალი ჩანაცვლების კოეფიციენტის გენერირება – 2006 წლიდან 2014 წლამდე პენსიის მკვეთრი ზრდის ფონზე სოციალური პენსია საარსებო მინიმუმს მიუახლოვდა. 2014 წელს ყოველთვიური სოციალური პენსია შეადგენდა 150 ლარს და ოდნავ ჩამოუვარდებოდა საარსებო მინიმუმს. აღსანიშნავია, რომ 2006 წელს სოციალური პენსია საარსებო მინიმუმის 50%-ზე ნაკლებს წარმოადგენდა. ამგვარად, 2006-დან 2013 წლამდე, სოციალური პენსია საარსებო მინიმუმს მიუახლოვდა. არსებულ საპენსიო სისტემას არ გააჩნია სამართლებრივი და

გაწერილი კრიტერიუმები, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა შემთხვევაში და რა ოდენობით გაიზრდება სოციალური პენსია. თუ პენსია არ გაიზრდება რეგულარულად, არსებობს პენსიის რეალური ღირებულებისა და მსყიდველუნარიანობის შემცირების საფრთხე, განსაკუთრებით მაღალი ინფლაციის შემთხვევაში. [6.გვ.12]

დიაგრამა 1. სამუშაო ასაკის მქონე მოსახლეობის შემადგენლობა, 2014.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური



თვითდასაქმებულთა რაოდენობის ზრდა სამუშაო სტრუქტურაში, რომლებიც არ ახორციელებენ კონტრიბუციას საშემოსავლო გადასახადის მეშვეობით წარმოადგენს საკმაოდ დიდ პრობლემას, რადგან ისინი არ იხდიან საშემოსავლო გადასახადს [9]. ამ მხრივ, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ თვითდასაქმებულთა რიცხვი საგანგაშოდ მაღალია საქართველოში, როგორც სხვა განვითარებად ქვეყნებში [10]. საქართველოში. განვიხილოთ საქართველოში დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვის სამოქმედო გეგმა. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გარემოს გათვალისწინებით, საპენსიო ფონდში ყოველთვიური შენატანების ოდენობა განისაზღვრა 6%-ით. რეკომენდირებულია, რომ შენატანების კოეფიციენტმა საშუალო ვადიანი პერიოდში 8%-ს მიაღწიოს. საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, არ არსებობს სტანდარტული ფორმულა საპენსიო სისტემაში შენატანების

კოეფიციენტის განსაზღვრასთან დაკავშირებით. მაგალითისთვის, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც მსგავსი საპენსიო მოდელები დაინერგა შენატანების კოეფიციენტი მერყეობს 3%-იდან 9%-მდე, თუმცა, ლათინური ამერიკის ქვეყნებში იგივე კოეფიციენტი 10%- იდან 16%-ის ფარგლებშია. [6. გვ.24]

ესტონეთში 1992 წელს მძიმე ეკონომიკური ვითარების გამო პენსია ყველასათვის თანაბარი გახდა, თუმცა, მანამდე იგი დამოკიდებული იყო სამუშაო სტაჟზე და ხელფასზე, ამგვარმა ცვლილებამ ჩანაცვლების კოეფიციენტი საგრძნობლად შეამცირა, რამაც საზოგადოების უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. ესტონეთში საპენსიო სისტემის ხელახალი რეფორმა იწყება 1995 წლიდან. საპენსიო ასაკი გათანაბრდა ქალისთვისაც და მამაკაცისთვისაც და იგი გახდა 63 წელი ორივე სქესისთვის. ესტონეთი საპენსიო სისტემა შედგება სამი სვეტისგან.

პირველი სვეტი: ეს არის სახელმწიფო პენსია, ეფუძნება შემოსავლების გადანაწილების პრინციპს, რომელსაც აგრეთვე „თაობათა სოლიდარობა“ ეწოდება. სახელმწიფო პენსია გაიცემა სოციალური გადასახადებიდან. დამსაქმებელი იხდის დასაქმებულის ხელფასის 33%-ს სოციალური გადასახადის სახით. პირველი სვეტი შედგება ორი სახისაგან. პირველი გამოითვლება სამუშაო სტაჟის მიხედვით, ხოლო მეორე წარმოადგენს სახელმწიფო პენსიას, რომელიც გაიცემა იმ მოქალაქეებზე, რომელთაც არ აქვთ საშუალება პირველი სახის პენსიის მიღებისა. სახელმწიფო პენსია შეადგენს 167 ევროს.

მეორე სვეტი: ეს არის სავალდებულო დაგროვებითი პენსია, იგი ამოქმედდა 2002 წელს და წარმოადგენს პენსიონერისთვის დამატებით შემოსავლის წყაროს. სქემის მიხედვით, დასაქმებული იხდის ხელფასის 2%-ს აქტივების მმართველი კერძო კომპანიის მიერ დაარსებულ საპენსიო ფონდებში. ამას სახელმწიფო კიდევ უმატებს 4%-ს დასაქმებულის მიერ გადახდილი სოციალური გადასახადებიდან, სულ 6% ირიცხება საპენსიო ფონდში. სავალდებულო დაგროვებით საპენსიო სისტემაში მონაწილეობის ვალდებულება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომელთაც ასაკობრივი მონაცემი ხელს უწყობს შესაბამისი თანხის დაგროვებაში ღირსეული სიბერის უზრუნველყოფისთვის.

ესტონეთში არსებობს 5 კერძო კომპანია, რომლებიც ფუნქციონირებენ საინვესტიციო მოგების ხარჯზე. კომპანიები განსხვავდებიან საინვესტიციო სტრატეგიის თვალსაზრისით, მაგალითად, კონსერვატიული ტიპი გულისხმობს ინვესტირებას მხოლოდ ფიქსირებული შემოსავლის მქონე ინსტრუმენტებში. დაბალანსებულის ტიპის დროს აქტივების 25%_ის ინვესტირება ხდება აქციებში. დინამიური ტიპის დროს აქტივების 75%_ის ინვესტირება ხდება აქციებში. ყველაზე სანდო და ნაკლებად რისკის შემცველი კონსერვატიული ტიპის საინვესტიციო სტრატეგიის მქონე კომპანიები არიან. ყველაზე მეტი რისკი მოდის დინამიური ტიპის კერძო კომპანიებზე.

მესამე სვეტი: ეს არის ნებაყოფლობითი, დამატებითი საპენსიო სქემა. იგი ეფუძნება ცალკეული პირების მიერ ნებაყოფლობით განხორციელებულ საპენსიო შენატანებს და მიზნად ისახავს პენსიონერისთვის პესიაზე გასვლამდე არსებული სოციალური მდგომარეობის შენარჩუნებას.
ესტონეთში არსებობს რამოდენიმე მექნიზმი, რომელიც იცავს დაგროვებით საპენსიო სისტემაში მონაწილე პირებს დანაგროვის დაკარგვისგან.

საგარანტიო ფონდი – როდესაც აქტივების მმართველი კანონმდებლობას არღვევს ან გადახდისუუნარობის გამო სქემის მონაწილეებს მიადგებათ ზარალი, კომპანიები იხდიან მათ განკარგულებაში მყოფი საპენსიო ფონდების აქტივების 0.01%_ს საგარანტიო ფონდში, რომელიც საჭიროების შემთხვევაში დაზარალებულს აუნაზღაურებს დანაკარგს.
აქტივების მმართველის სავალდებულო მონაწილეობა მის მიერ შექმნილ დაგროვებით საპენსიო ფონდში_ აქტივების მმართველის სახსრების ინვესტირება ხდება სქემის მონაწილეების სახსრების ინვესტირებასთან ერთად;
სახელმწიფოს მიერ აქტივების მმართველ კომპანიაზე ზედამხედველობა _ესტონეთში კერძო საპენსიო ფონდების ზედამხედველობას და ლიცენზირებას ახორციელებს ფინანსური ზედამხედველობის სააგენტო (Financial Supervision Authority). [7,8]
ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ სრულიად შესაძლებელია დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვა ისეთ ქვეყანაში, რომელსაც უამრავი ეკონომიკური თუ პოლიტიკური პრობლემა აქვს სისტემის დანერგვის

საწყის ეტაპზე. ამ სისტემის წარმატებით დანერგვის კარგი მაგალითია ესტონეთი.

კვლევის ანგარიში: ნებისმიერი ცვლილება დემოკრატიულ, ხალხის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სახელმწიფოში მიმართული უნდა იყოს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისაკენ. საპენსიო სისტემაში ცვლილება განსაკუთრებით სენსიტიური მოვლენაა და საჭიროებს მაქსიმალურად ფრთხილი პოლიტიკის გატარებას რეფორმის ინიციატორებისა და განმახორციელებლების მხრიდან.
გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი დაგროვებითი პენსიის პროექტი საკმაოდ მკვეთრ ცვლილებებს ითვალისწინებს, გადავწყვიტეთ, სოციალური კვლევის მეთოდებიდან ყველაზე მეტად რესპონდენტის ინდივიდუალურ შეხედულებებზე ორიენტირებული მეთოდი შეგვერჩია, სიღრმისეული ინტერვიუ, და სწორედ მისი საშუალებით გაგვეგო მოქალაქეთა შეხედულება ახალი საპენსიო სისტემის შესახებ. გარდა ამისა, ამ მეთოდის პლუსად მივიჩნიეთ ის გარემოებაც, რომ ინტერვიუს დროს დასმული კითხვები არ იყო მკაცრად განსაზღვრული და იძლეოდა საშუალებას დამაზუსტებელი კითხვების დასმისა, მაგალითად, „რატომ?“, „რა გარემოება განსაზღვრავს ამას?“ და ა.შ. კვლევის მიზანი იყო, გაგვეგო ადამიანების დამოკიდებულება მთავრობის შემოთავაზებულ დაგროვებით საპენსიო სისტემაზე.

ჩემი ჰიპოთეზა მდგომარეობდა შემდეგში: ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ უმუშევრობა დაუძლეველ პრობლემად იქცა, მოქალაქეები, სავარაუდოდ, არ მიესალმებიან საპენსიო სისტემის ცვლილებას. საკვლევი კითხვა: არის თუ არა მოსახლეობა ინფორმირებული\მზად მიიღოს ახალი საპენსიო დაზღვევის სისტემა? გამომდინარე იქიდან, რომ გვინდოდა საზოგადოების კონკრეტული სეგმენტის აზრის გაგება, ჩავატარეთ ათი სიღრმისეული ინტერვიუ ხუთი სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიებიდან

ცხრილი 2. ასაკობრივი ჯგუფები

ასაკობრივი ჯგუფი	რესპოდენტის რაოდენობა
18_20	2
21_23	2
24_26	2
27_29	2
30_32	2

ეს ასაკობრივი კატეგორიები შერჩეულ იქნა იქიდან გამომდინარე, რომ სწორედ ამ ასაკის ადამიანები არიან დაგროვებითი საპენსიო სისტემის პოტენციური „მომხმარებლები“. თითოეული კატეგორიიდან გამოიკითხა ორი განსხვავებული სქესის ადამიანი. რესპონდენტების შერჩევისას მაქსიმალურად ვეცადეთ, ყოფილიყვნენ როგორც დასაქმებულები, ისე უმუშევრები, რათა მიგვეღო მრავალფეროვანი პასუხები. კვლევის შედეგებში რესპონდენტთა ვინაობა, რა თქმა უნდა, არის ანონიმური და გამოყენებულია მხოლოდ მათი შეხედულებები.

კვლევისათვის წინასწარ განსაზღვრული ძირითადი კითხვები დაახლოებით შემდეგნაირად იყო მოდიფიცირებული:

- რა იცით საქართველოში ამჟამად არსებული საპენსიო სისტემის შესახებ? (პირველ კითხვაზე პასუხის არცოდნის შემთხვევაში ვაწვდიდით ინფორმაციას) მოგწონთ თუ არა ამგვარი სისტემა?
- გსმენიათ თუ არა რაიმე ინდივიდუალური დაგროვებითი საპენსიო დაზღვევის შესახებ? (მესამე კითხვაზე უარყოფითი პასუხის შემთხვევაში კვლავ ვაწვდიდით ინფორმაციას) რამდენად მისაღებია თქვენთვის ამგვარი საპენსიო სისტემა?
- რომელ სისტემაზე გააკეთებდით არჩევანს ამ ორს შორის?
- გაძლევთ თუ არა თქვენი ამჟამინდელი მატერიალური მდგომარეობა საშუალებას, ჩაერთოთ ამგვარ საპენსიო სისტემაში და გააკეთოთ დანაზოგი?
- თქვენი აზრით, უნდა იყოს თუ არა ორივე სისტემა თანაბრად ხელმისაწვდომი და არჩევადი?

კვლევის მიმოხილვა: პირველი ასაკობრივი კატეგორიიდან გამოვკითხეთ ორი სტუდენტი, რომელთა შეხედულებები ამ კითხვებზე შემდეგნაირი იყო: არცერთმა მათგანმა კონკრეტულად არ იცოდა, როგორი სისტემა მუშაობს ამჟამად ქვეყანაში;

როდესაც ავუხსენით, პასუხები გაიყო და ერთერთს სისტემის არსი მოეწონა, ხოლო მეორემ აღნიშნა, რომ მსგავსი სისტემა ადამიანებში აჩენს უსამართლობის გრძნობას, რადგან შეიძლება მთელი ცხოვრების განმავლობაში იმუშავო და პენსია 200 ლარი გქონდეს მაშინ, როცა ვიღაც საერთოდ არ მუშაობს და მასაც თითქმის მსგავსი პენსია აქვს;

მესამე კითხვაზე ორივე რესპონდენტისგან დადებითი პასუხი მივიღეთ, თუმცა, აზრთა სხვადასხვაობა იყო მეოთხე კითხვაზე. რესპონდენტი, რომელსაც მოსწონს ამჟამინდელი სისტემა, ამბობდა, რომ სახელმწიფომ ყველას სიბერე ერთნაირად უნდა უზრუნველყოს და თუკი ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში მუშაობს, შეუძლია თავად დააგროვოს კაპიტალი. ყველა მოქალაქე თანასწორია და სიბერე ყველას უზრუნველყოფილი უნდა ჰქონდეს;

მეორე რესპონდენტისთვის მისაღები და სამართლიანია დაგროვებითი სისტემა;

მეხუთე კითხვაზე, ლოგიკურია, რომ პირველმა რესპონდენტმა დააფიქსირა პასუხი: „ავირჩევდი ამჟამინდელ სისტემას“, მეორემ კი უპირატესობა დაგროვებითს მიანიჭა;

მეექვსე და მეშვიდე კითხვებზე რესპონდენტებმა მსგავსი პასუხები გაგვცეს: ორივე უმუშევარია, ამიტომაც ამჟამინდელი მდგომარეობა არცერთს არც აძლევს საშუალებას, ჩაერთოს დაგროვებითი სისტემის პროგრამაში, ხოლო რაც შეეხება არჩევითობას – ორივე რესპონდენტის აზრით, უნდა არსებობდეს არჩევანის თავისუფლება.

მეორე ასაკობრივი კატეგორიაშიც წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების თანახმად შეირჩა ორი რესპონდენტი, რომელთა

გამოკითხვამაც მოგვცა შემდეგნაირი პასუხები: ორივე მათგანს ჰქონდა ინფორმაცია ამჟამინდელი და დაგროვებითი საპენსიო სისტემის შესახებ;

არცერთ მათგანს არ მოსწონს დაგროვებითი სისტემა, რადგანაც, მათივე თქმით, ქვეყანაში უმუშევრობა იმდენად მაღალია, რომ მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი ფიზიკურად ვერ მოახერხებს სისტემაში ჩართვას და პენსიის დაგროვებას. შესაბამისად, ორივე მათგანი ემხრობა ამჟამინდელი მოდელის არსებობას; მიუხედავად იმისა, რომ ორივე მათგანი დასაქმებულია და მათი მატერიალური მდგომარეობა აძლევთ საშუალებას ჩაერთონ პროგრამაში. ბოლო კითხვაზეც ორივე რესპონდენტმა გვიპასუხა, რომ არჩევანის საშუალება, რა თქმა უნდა, უნდა არსებობდეს;

მესამე ასაკობრივი კატეგორიიდანაც, წინა ორის მსგავსად შეირჩა ორი რესპონდენტი.

პირველ კითხვაზე ერთერთმა გვიპასუხა, რომ მხოლოდ ის იცოდა, თუ რა რაოდენობის თანხას იღებენ პენსიონერები, თუმცა სისტემის არსით არასდროს დიანტერესებულა, ხოლო მეორე რესპონდენტმა ზუსტად იცოდა, თუ რა სისტემით გაიცემა პენსია საქართველოში ამ ეტაპზე;

როდესაც პირველ რესპონდენტს ავუხსენით, რაში მდგომარეობდა სისტემის არსი, გვიპასუხა, რომ მსგავს სისტემას არ მიესალმებოდა, რადგანაც ამ ეტაპზე ქვეყანაში მცხოვრები პენსიონერების უმრავლესობა ის ადამიანები არიან, ვინც ყოფილ საბჭოთა კავშირში ცხოვრობდნენ და უმეტესობა დასაქმებული იყო, თუმცა თანამედროვე პირობებში უმუშევრობა ძალიან დიდი პრობლემაა და არ ისურვებდა, რომ ადამიანს, რომელიც ცხოვრების დიდი ნაწილი უმუშევარია და ადამიანს, ვინც მთელი ცხოვრება მუშაობდა, ერთნაირი პენსია ჰქონდეთ;

მეორე რესპონდენტის აზრით კი, სწორედ უმუშევრობის პრობლემაა ის ფაქტორი, რის გამოც მოსწონს ამჟამინდელი სისტემა და, შესაბამისად, არ მიესალმება მის შემოთავაზებულ ალტერნატივას; დაგროვებითი სისტემის შესახებ ორივე რესპონდენტს ჰქონდა ინფორმაცია: პირველი ეთანხმებოდა მსგავსი სისტემის შემოღებას, ხოლო მეორეს აზრით, ჩვენს სოციალურ რეალობაში ეს სისტემა ბევრად უსამართლოა, ვიდრე ამჟამად არსებული;

მეხუთე კითხვაზე რესპონდენტებმა შემდეგნაირად გვიპასუხეს: პირველი რესპონდენტი, ალტერნატივის შემთხვევაში, აირჩევდა დაგროვებით სისტემას, ხოლო მეორე ამჟამინდელს;

მეექვსე კითხვით გაირკვა, რომ პირველი რესპონდენტი იყო დასაქმებული, ხოლო მეორე რესპონდენტი უმუშევარი, თუმცა ორივე ფიქრობენ, რომ უნდა არსებობდეს არჩევანის თავისუფლება – ადამიანმა უნდა ისარგებლოს იმ საპენსიო სისტემით, რომელიც მას ურჩევნია;

მეოთხე ასაკობრივ კატეგორიაში შერჩეულმა ორივე რესპონდენტმა მსგავსი პასუხები გაგვცა:

მათ ჰქონდათ ინფორმაცია როგორც ამჟამინდელ, ისე დაგროვებით საპენსიო სისტემაზე; ორივე მათგანს მოსწონს დაგროვებითი სისტემა და მას აირჩევდა;

აღმოჩნდა, რომ ორივე რესპონდენტი დასაქმებული იყო, თუმცა ისიც აღნიშნეს, რომ ხელფასები ნამდვილად არაა მაღალი ან ნორმალური ცხოვრებისთვის საჭიროც კი, ამიტომ დაგროვებითი სისტემა არ უნდა დააწვეს დასაქმებულებს მძიმე ტვირთად;

ასევე, მსგავსი პასუხები გაგვცეს ბოლო კითხვაზე – მათი აზრით, ყველასთვის არსებობდეს ერთი კონკრეტული საპენსიო სისტემა;

ბოლო ასაკობრივ კატეგორიაში გამოკითხულმა ორივე რესპონდენტმა იცოდა საპენსიო სისტემების რაობის შესახებ:

პირველ რესპონდენტს არ მოსწონს ამჟამინდელი სისტემა და ფიქრობს, რომ სხვა დასავლური ქვეყნების მსგავსად, ჩვენთანაც დაგროვებითი სისტემა უნდა მუშაობდეს. ამიტომაც ის დაგროვებით სისტემას აირჩევდა, თუმცა ისიც აღნიშნა, რომ არასტაბილურობის განცდა აქვს და მაინც დაფიქრდებოდა არჩევანზე – ხომ არ არის საფრთხე, რომ მისი საპენსიო ასაკის მიღწევისას რაღაც დიდი ცვლილება მოხდეს და დაგროვებული პენსია „წყალში ჩაეყაროს“.

მეორე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ამჟამინდელი სისტემა დასახვეწია, თუმცა, დაგროვებითს მაინც ამჟამინდელი ურჩევნია, ისევ ჩვენი ქვეყნის მძიმე სოციალური ფონიდან გამომდინარე. შესაბამისად, ის არჩევის შემთხვევაში, ამჟამინდელ პროგრამას მიანიჭებდა უპირატესობას.

როგორც აღმოჩნდა, მეორე რესპონდენტი უმუშევარი იყო და მისი ამჟამინდელი მდგომარეობა არც აძლევდა საშუალებას დაგროვებითი სისტემით ესარგებლა, თუმცა ფიქრობს, რომ არჩევანის საშუალება უნდა იყოს.

დასკვნა: ათივე რესპონდენტთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ ისინი მეტ-ნაკლებად გარკვეულნი იყვნენ საპენსიო სისტემებში. თუმცა, აზრთა სხვადასხვაობა, რა თქმა უნდა, არსებობდა. რეალურად, კვლევის მიზანიც სწორედ მრავალფეროვანი პასუხების მიღება იყო. რესპონდენტების აზრი ორად გაიყო: ხუთი მათგანი უპირატესობას ანიჭებს ამჟამინდელ სისტემას, ხუთი კი დაგროვებითს. თუმცა, ინტერვიუებმა ცხადყო, რომ დაგროვებითი სისტემის მოწინააღმდეგეების მთავარი არგუმენტი ქვეყანაში უმუშევრობის მაღალი დონე იყო და მისი აღმოფხვრის შემთხვევაში, ათი მათგანიდან შვიდი დაგროვებით სისტემას აირჩევდა. ამჟამინდელი მოცემულობა არ იძლევა საშუალებას, გადაჭრით ითქვას, რომ ქვეყანა მზადაა ამ სისტემაზე გადასასვლელად. უფრო მეტიც, დაგროვებითი სისტემის მომხრეებიც აღნიშნავდნენ, რომ ეს მათი არჩევანი იყო, თუმცა მათ გარშემო უმუშევრობა იმდენად მაღალია, რთული იქნება იმის თქმა, რომ რეფორმა ხალხში მოწონებას დაიმსახურებს. კვლევის შედეგი უფრო ნათელი რომ იყოს, წარმოვადგენთ პრობლემებსა და ამ პრობლემათა შესაძლო გადაჭრის ხერხებს:

ეკონომიკური სიდუხჭირე – ათივე რესპოდენტთან გასაუბრებისას პირველი, რაც უდავოდ იკვეთებოდა არის არსებული ეკონომიკური გარემოს კრიზისული მდგომარეობა, რაც ადამიანთა მატერიალურ მდგომარეობაზე შემაფერხებელ ზეგავლენას ახდენს;

სანდოობის ნაკლებობა – რაც გამომდინარეობს ქვეყნის გამოცდილებიდან, კერძოდ, საბჭოთა ანაბრების დაკარგვა, რამაც მნიშვნელოვნად იმოქმედა საზოგადოების ნდობის ხარისხზე და შიში ჩაუნერგა მათ საკუთარი ფულის გრძელვადიან პერსპექტივაში დაბანდებასთან დაკავშირებით;

ინფორმაციის სრული პაკეტის არ არსებობა სისტემასთან მიმართებაში _მართალია კვლევაში მონაწილე ადამიანების უმრავლესობას ჰქონდა გარკვეული ინფორმაცია საპენსიო სიტემასთან მიმართებაში, თუმცა, ამ ინფორმაციას ჩვენ ვერ დავარქმევთ საფუძვლიანს, იმდენად, რომ ადამიანებმა გადაწყვეტილებების მიღება რაციონალურად შესძლონ;

უმუშევრობა – შემდეგი ფაქტორი უკავშირდება უმუშევრობას, რაც უშუალოდ არის დაკავშირებული ეკონომიკურ პრობლემებთან და რესპოდენტთა დიდი ნაწილისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ისინი განსხვავებული ასაკობრივი და სოციალური კატეგორიიდან შევარჩიეთ მთავარ დამაბრკოლებელ ძალას წარმოადგენდა მუდმივი სამუშაოს ქონის შეუძლებლობა, რაც პრაქტიკული მნიშვნელობით ერთერთი გადამწყვეტი ფაქტორია დაგროვებითი საპენსიო სისტემის უზრუნველყოფისთვის;

დაგროვებითი საპენსიო სისტემა არ უნდა იყოს სავალდებულო ხასიათის – რესპოდენტები მიიჩნევდნენ, რომ ადამიანს მძიმე ტვირათად არ უნდა დააწვეს საპენსიო შენატანი და მან თავად უნდა განსაზღვროს სურს თუ არა მისი გადახდა;

ჩვენი კვლევის შედეგად და იმ პრობლემების იდენთიფიკაციის შედეგად, რომლებიც ჩვენმა რესპოდენტებმა წამოჭრეს საკუთარი დამოკიდებულებებით, შეგვიძლია ვისაუბროთ ამ პრობლემათა გადაჭრის შესაძლო გზებზე:

პირველ რიგში, ეს არის ეკონომიკური ფაქტორის გადაჭრის აუცილებლობა ქვეყნის მასშტაბით, რაც ნებისმიერი სოციალური პრობლემის საწინდარია და ხელს უშლის ყველა ტიპის სოციალურ ინიციატივას საზოგადოებაში. ეკონომიკური ფაქტორი ვერ გაუმჯობესდება არსებული რეალობით, თუნდაც, საპენსიო სისტემის თვალსაზრისით, რადგან უახლოეს მომავალში პენსიონერთა საპენსიო გასაცემელის ტვირთი არამხოლოდ შრომისუნარიან მოქალაქეებს, არამედ სახელმწიფოს დაეკისრება სოციალური გასაცემლის გაზრდის საჭიროების გამო, რადგან ქვეყანა დგას დემოგრაფიული დაბერების წინაშე;

რაც შეეხება სანდოობის ნაკლებობას, ვთვლით რომ ბუნებრივია, რადგან თითქმის ყველა რესპოდენტმა წამოჭრა ანაბრების დაკარგვის საკითხი და შიში გრძელვადიანი დაგროვებითი სისტემისა, რადგან მათ ეშინიათ დიდი

ცვლილებებისა და ფულის დაკარგვის. ამისათვის, ვთვლით ხელსაყრელი იქნება წინასწარი გარანტიების შექმნა მათთვის, როგორც სტატიის პირველ ნაწილში ესტონეთის მაგალითში დავასახელეთ, კერძოდ საგარანტიო ფონდების შექმნა, სახელმწიფო რეგულირების სისტემის ამოქმედება, დიფერენცირება საგარანტიო სტრატეგიებისა, რათა მოსახლეობა ფლობდეს ინფორმაციის ყველა შესაძლო წყაროს, რაც მათ ნდობას გაამყარებს ამ სისტემასთან მიმართებაში;

ასევე, მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ინფორმაციის ზედაპირულობა და თუ გავითვალისწინებთ შიშს, რომელიც ადამიანს გააჩნია იმ მოვლენების მიმართ, რომელზეც თითქმის არაფერი იცის, აუცილებელია ორგანიზებული, მიუკერძოებელი ინფორმაციის გაცემა და მოსახლეობისთვის იმ საფრთხეების გასაგებ ენაზე ახსნა, რა საფრთხეებიც არსებულ საპენსიო სისტემას ემუქრება მომავალში;

უმუშევრობის საკითხი უდაოდ მნიშვნელოვანია და სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება ამ კუთხით განახორციელოს რეგულაციები. მაგალითად, დასაქმების პროგრამების შექმნა და მოსახლეობის აქტიური ჩართვა ამ პროცესში, ვფიქრობთ მნიშვნელოვნად შეცვლის არსებულ ვითარებას. გარდა ამისა, გასათვალიწინებელია თვითდასაქმებულთა დიდი რაოდენობა, რომლებიც არ ფიქსირდებიან სამუშაო ძალად და არ გააჩნიათ ფიქსირებული შემოსავალი. ჩვენი რესპოდენტებიდან გარკვეული ნაწილი წარმოადგენდა სწორედ თვითდასაქმებულს;

დაგროვებითი საპენსიო დაზღვევა საწყის ეტაპზე უნდა იყოს აუცილებლად ნებაყოფლობითი, რადგან მოსახლეობა არ შეშინდეს და მათში პროტესტი არ აღძრას იმგვარმა ვალდებულებებმა, რომლის საკუთარ თავზე აღება პრაქტიკულად მათ ძალებს აღემატება. გარდა ამისა, სახელმწიფო სოციალური პენსია კვლლავ ძალაში უნდა დარჩეს, რათა ადამიანებს ჰქონდეთ გარანტია იმისა, რომ თუ თვითონ ვერ შესძლებენ საკუთარი სიბერის ღირსეულ უზრუნველყოფას სახელმწიფო მათ ბედის ამარა არ მიატოვებს და მინიმალური შემოსავლით უზრუნველჰყოფს სიბერეში;

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ კვლევაში არსებული მონაცემები მთლიანი სურათის ერთი ნაწილია, თუმცა, ჩვენ შევეცადეთ იმგვარად გავსაუბრებოდით რესპოდენტებს, რომ წარმოგვეჩინა ძირითადი პრობლემები ჩვენს საკვლევ საკითხთან მიმართებაში. შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ არსებული რეალობა ხელს უდაოდ უშლის საპენსიო სისტემის იმგვარ რეფორმას, როგორიც იგეგმება. თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ ამჟამად არსებული საპენსიო სისტემა იდეალურად ერგება საზოგადოების ინტერესებს. თუმცა, ესტონეთმა, რომელსაც მსგავსი პრობლემები გააჩნდა 1990_იან წლებში, შეძლო საპენსიო სისტემის წარმატებული რეფორმირება, რაც იმედის მომცემია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. The World Bank.. Averting the Old Age Crisis: Policies to Protect the Old and Promote Growth. New York: Oxford University Press. 1994. Link
2. საჭიროა თუ არა საპენსიო რეფორმა? საპენსიო რეფორმა: გლობალური და ქართული პერსპექტივა. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი. თბილისი,Link
3. ბრუნი ბ, ჭითანავა მ. მოსახლეობის დაბერება და ხანდაზმულობა საქართველოში. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის ფონდი. 2017. Link
4. დემნა დევდარიანი. საპენსიო სისტემის რეფორმის მიმდინარეობის ანალიზი. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. 2016. Link
5. Estonia. Encyclopedia Britanica. Link
6. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. 2016. ანგარიში: საქართველოს საპენსიო რეფორმა. თბილისი: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. Link
7. Estonian Investment Agency. Tax System. Retrieved August 24, 2016, from Estonian Investment Agency. Link
8. (2011). Estonia: Review of the Private Pensions Systems. OECD Publishing.Link

9. Verulava, T. Pension System in South Caucasus: Challenges and Reform Options. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, 2018; 12 (1):168-174. Link Google Scholar
10. Asatiani, M, Verulava T. Georgian Welfare State: Preliminary Study Based on Esping-Andersen's Typology. Economics and Sociology, 2017; 10 (4): 21-28. Link Google Scholar
11. Jgerenaia E, Mourao P, Verulava T. Pension systems in Southern Europe – Challenges and Opportunities. International Affairs and Global Strategy, (2014). 25, 1-19. Link Google Scholar
12. ვერულავა, თენგიზ. სადაზღვევო საქმის საფუძვლები. თბილისი: ჯანდაცვისა და დაზღვევის ცენტრი, 2017. Link, Google Scholar